



ფანჯანე ლეტი. სახი მუსიკოსი

# საუნჯე

1986/1

იანვარი  
თებერვალი



ქართული  
ბიბლიოთეკა



## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ფ. სკოტ ფიცჯერალდი. ნაზია ლამე. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა	8
იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ფაუსტი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა იორამ ქემერტელიძემ	78
ვოლფგანგ კოეპენი. სიკვდილი რომში. რომანი. დასასრული. გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა	87
ილია კავკაზაგი. ბალადა. თარგმნა ზაურ ხოლქვაძემ	148
სოფიასტ მოეში. სანატორიუმი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ფიოლიამ	168
ალესი რაზანაუ. ლექსები. თარგმნა ნუგზარ კობერიძემ	187
ველიმირ ხლემნიკოვი. ლექსები. თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ	199
რუბენ პროსპერიანი. მოთხრობები. სომხურიდან თარგმნა მაყვალა გეურქოვა-სააკიანმა	193
ოსკარი ხალხური პოეზიიდან. მოთხრობა-დატირება. თარგმნა გივი ძნელაძემ	205
გაბრიელა მისტრალი. ლექსები. ესპანურიდან თარგმნა ლია ქავჭავაძემ	207
ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია. მოგონებები. დასაწყისი. თარგმნა ნანა დარჩიამ	219

### წერილები

ჯაკომო ლეოპარდი. დიალოგები. დასაწყისი. იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	
ელჟარნონ ჩარლზ სუინგბერნი. უსაები და გამოკვლევიანი. ინგლისურიდან თარგმნა კოტე გეწაძემ	303
ლილი ჯილაური. 60-იანი წლები ურანგულ დრამატურგიაში	315
მარი ელენ კამიუ. ფირან ლეჟან არაჩვეულებრივი დინამიზმი. ფრანგულიდან თარგმნა როენა უენიამ	319

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

**მუსრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯეგალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურაბ გომიანაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიქნაძე

ვასუშტი კობახიშვილი

რომან მიშინოვილი

გიორგი ნიშენიანიძე

ოთარ ნოდია

დალი შანგიძე

რუსუდან ქაბულაძე

იორაბ ქვერტილაძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე

დავით წერაღიანი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფჩივაძე

რაზო ჭიუშვილი (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: შირნან ლეჟა. მშენებლობა

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი  
გამომშვები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 5.11.85 წ., ხელმოწ., დასაბუქდად. 24.1.86 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>,  
საადრ. თ. 22,44 სასტ. თ. 28. საღებავის ვატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 2587.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქ. კბ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14

# ფ. სკობ უიძეაქალი

ნაზრია ლამე



რომანი

«ნგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა»

ჯერალდს და სარას

მრავალშაგიერ

18247

უკვე შენთან ვარ! ნაზია ლამე,

მაგრამ აქ ბნელა,  
მწვანე ბალახის სიმრუდეში ღამის ცის შუქი  
ხავსიან ბილიეს სიოთი ნელა მიმოვბნევა.

ჯონ კიტსი, „ოდა ბულბულს“

## წიგნი პირველი

### I

საფრანგეთის რივიერაზე, მარსელიდან იტალიის საზღვრამდე, ასე, დაახლოებით შუა გზაზე, ერთ თვალშესავლებ ადგილზე საუცხოო, ვარდისფერი ოტელის დიდი შენობაა ამართული. პალმების შრიალი აგრილებს სიციხისაგან აღმურადენილ ფასადს და ოტელის წინ თვალისმომკრელად ელვარე პლაჟი გადაშლილა. ბოლო წლებში იგი მაღალი წრის ხალხისა და ცნობილ პიროვნებათა საზაფხულო აგარაკად იქცა. ათი წლის წინათ კი, აპრილის თვეში იქაური ინგლისური კლიენტურა ჩრდილოეთისკენ რომ გადაინაცვლებდა ხოლმე, ეს ადგილი მთლად უკაცრიელსა ჰგავდა. ახლა გოსის „Hôtel des Étrangers“-<sup>1</sup> მიდამოებში ბევრი ახალი ნაგებობაა, მაშინ კი, კანამდე ხუთი მილის გაყოლებაზე ჩარიგებულ იმდენ ფიჭვებში, ათიოდე ძველი ვილის სახურავი თუ მოჩანდა ხავსიანი დუმფარებივით.

<sup>1</sup> ოტელი უცხოელთათვის (ფრანგ.).

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

ოტელი და იმის წინ ნოხივით გადაშლილი მზისფერი პლაჟი რაღაც მთლიანსა ჰგავდა. სალოცავივით იყო განათებული ეს ადვილი შენობის წინ. სისხამდლით ზღვაში ეშვებოდა შორეული ანარეკლი ქალაქისა — კანის ქველი, მოვარდისფრო-მოყვითალო ციხესიმაგრეები, იტალიის მიჯნაზე აზიდული ლილისფერი ალპები. წყალმცენარეებისაგან რგოლები და ქველები იწვებოდა გამჟვირვალე ნაპირზე, ირხეოდა და ზღვაზე გაწოლილი ანარეკლიც თრთოდა. რვა საათისთვის პლაჟზე ლურჯ საბანაო ხალათგადაცმული კაცი გამოვიდოდა. ხალათს გაიხდიდა, კარგა ხანს ემზადებოდა, ვიშვიშით, ოხვრითა და ხვნეშით წინასწარ ფრთხილად ტანს აქა-იქ ჯერ ისევ ცივი წყლით დიდი ამბით დაისველებდა, ბოლოს გაბედავდა და ბეგრი-ბეგრი, ერთი წუთით ჩაყურყუმელავდებოდა ზღვაში. იმის წასვლის მერე პლაჟის ახლომახლო არემარე დაახლოებით ერთ საათს ცარიელდებოდა. პორიზონტზე დასავლეთისკენ სავაჭრო გემი ვამოჩნდებოდა, ნელა მიცურავდა, თითქოს მილოდავსო; ოტელის ბიჭები ეზოში ერთმანეთს გასძახოდნენ; ფიჭვებზე ნამი იწყებდა შეშრობას. ერთი საათიც და ნამდვილი, პროვანსული საფრანგეთის სანაპიროდან გამყოფი მავრის არცთუ მაღალი მთაგრეხილის მიხვეულ-მოხვეული შოსედან იქაურობას ჩამოაღწევდა ავტომობილების ხმაური.

ზღვიდან ერთი მილის დაშორებით, იქ, სადაც ფიჭვებს მტვერდაყრილი ალვის ხეები ენაცვლება, ერთი პატარა ბაქანია. ამ ბაქანიდან 1925 წლის ივნისის ერთ დღეს გოსის ოტელისკენ ღია „ვიქტორიათი“ მიდიოდა ორი ქალი — დედა და შვილი. დედას ჯერ კიდევ შერჩენოდა მომხიბვლელობა, ოღონდ, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ჰკნობაშეპარულ სილამაზეს მალე წაშლიდა ძლივს შესამჩნევი წვრილი ძარღვები. გამომეტყველება მშვიდი ჰქონდა, დადაკვირვებულიც; თუმცა, თვალი მაშინვე ქალიშვილისკენ გაგეჰცეოდათ, უმაღლოგაჯადობდათ ვარდისფერი ხელისგულები და ლაწვები — სალამო ხანს გრილი წყლით რომ დაბანენ ბავშვებს, შეაყრიალებთ და სიწითლე წამოუვლით, თრთოლასავით, — იმგვარად, თითქოს შიგნიდან უნათოდა, ძლივს შესამჩნევად. ოდნავ ხვეული ქერა თმა, ფერფლისა და ოქროსფერი რომ დაპკრავდა, ფიქალ შუბლზე ჩამოშლოდა. დიდი და კრიალა, ნათელი, წყლიანი თვალეები უელავდა, ბუნებრივად თეთრყირმიზი სახის კანზეც კი ეტყობოდა, რომ ნორჩი და ძლიერი გული უცემდა მკერდქვეშ. მთელი სხეულით თითქოს თრთოდა, გეგონება, სხლტებაო ბავშვობის მიჯნაზე — თითქმის თვრამეტი წლის იქნებოდა უკვე, მაგრამ ჯერ მაინც შერჩენოდა ცვარ-ნამი ბავშვობისა.

ცა და ზღვა თითქოს ერთურთს შეერწყა, ერთ გავარვარებულ ხაზად იქცა; დედამ ოქვა:

„ასე მგონია, აქ მაინც არ მოგვეწონება“.

„მე უკვე შინ წასვლა მინდა“, მიუგო ქალიშვილმა.

მშვიდად, ხალისით საუბრობდნენ, მაგრამ ცხადი იყო, გული არსაით მიუწევდათ და ეს აწუხებდათ. გართობა სურდათ, გახალისება, მაგრამ იმიტომ არა, მოშვებული ნერვები აღევზნოთ, არა, უფრო იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, ეს მათთვის ახლა საჭირო იყო და ბუნებრივი. იმ ხარბ მოწაფეებს ჰგვანდნენ, მთელი წელიწადი სკოლაში კარგად რომ სწავლობენ და იციან, წლის ბოლოს დიახაც, ეკუთვნით დასვენება.

„სამ დღეს დაერჩებით და წავალთ. გემის ბილეთებს ახლავე შევუკვეთავ ტელეგრაფით“.

ოტელში მისვლისას, ქალშივილი კარგი ფრანგულით ლაპარაკობდა. მაგრამ მაინც, ხანდახან ჩერდებოდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა. პირველ სართულზე დაბინავდნენ, ქალიშივილი გაკაშკაშებული შემინული კარისაგან გაემართა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა და ოტელის გარშემოქცეულ ქვესართულზე გავიდა. ბალერინასავეით დადიოდა, გამართული, ზეაწეული; სიარულისას თითქოს კიდევაც მალდებოდა, ძირს კი არა, ზევით და ზევით იწეოდა. მისი ჩრდილი სხივებქვეშ თითქოს ლამის მოიჭრა, დაბატარავდა. მცხუნვარება მოაწვა თვალებში და მაშინვე უკან დაიხია, ძალზე კაშკაშებდა მზე და დანახვა ჭირდა. ორმოცდაათი იარდის იქით ხმელთაშუა ზღვა დროდადრო რომ ამოაჩენდა თავის სილურჯეს, ხარკს უხდიდა უღმობელი მზის ბრწყინვალეებას. აივნის ქვემოთ, ზედ ოტელთან გახუნებული ფერის „ბიუკი“ იხრაკებოდა.

ყველაფერი თითქოს გარინდდა და მხოლოდ პლაჟზე იყო სიცოცხლე. სამი ინგლისელი გამდელი თილისმაშეკრულებივით იხდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, უფრო ჭორაობდნენ, თან სვიტერსა და წინდებს ქსოვდნენ ვიქტორიანული ხანის ინგლისის ორმოციანი, სამოციანი და ოთხმოციანი წლების მოდაზე: ზღვასთან ახლო, ასე, ათამდე ქალი და კაცი ზოლიან ქოლგებს შეფარებოდა, მათი ბავშვები მეჩხერზე დაუფრთხოველი თევზის დაჭერას ლამობდნენ, ანდა იწვნენ და ქოქოსის ზეთწასმულ მოელვარე შიშველ სხეულებს გასარუჯად მზეს უფიცებდნენ.

პლაჟზე გამოსულ როზმერის თორმეტიოდე წლის ბიჭმა გაურბინა გვერდზე და ყვირილითა და ყიყინით ზღვაში გადაეშვა. როზმერიმ უცნობი სახეების შემფასებლური მზერა იგრძნო, ხალათი გაიძრო და თვითონაც ზღვაში შევიდა. რამდენიმე იარდი გაცურა და მიხვდა, ქვიშას ეხებოდა, ტორტმანით წამოდგა, წალასლასდა. ნაზი ფეხებით ძლივს მიაჩვენებდა წყალს. იმ ადგილამდე რომ მივიდა, სადაც წყალი მკერდამდე თუ მისწვდებოდა, მობრუნდა და ნაპირს გამოხედა: ერთი მელოტი, მონოკლიანი კაცი უყურებდა, ტრუსის ამარა იყო, გაბანჯგვლული მკერდი გამოეხნიქა და მუცელი და ამოსკუპული ჭიპი შიგნით შეეგდო. როზმერიმაც გახედა, კაცმა მაშინვე დაუშვა მონოკლი, რომელიც გაბანჯგვლულ მკერდში ჩაეკარგა და, ბოთლიდან ჭიქაში რაღაც დაისხა.

როზმერიმ სახე წყალში ჩამალა და სწრაფი კროლით გაცურა ტივტივასაკენ. წყალი საყვარლად მიელამუნა სახეზე, პაპანაქება სიცხე დაავიწყა, თმები დაუსველა, ტანზე აქა-იქ ჭავლივით დაუარა. როზმერი ნებივრობდა, ნეტარებდა, ადგილზე ირწეოდა. ტივტივასთან მისული, უკვე ძლივსდა ითქვამდა სულს, მაგრამ ვიღაც მზეზე გარუჯულმა თეთრზეთეთრკბილებიანმა ქალმა ისე დახედა, როზმერიმ თავისი სხეულის სიშიშველე და სითეთრე იგრძნო, ზურგზე გადატრიალდა და წყალს მინებდა. ასე მივიდა ნაპირამდე, სადაც მაშინვე გამოელაპარაკა ის მკერდგაბანჯგვლული კაცი, ხელში ისევ ბოთლი ეჭირა.

„იცით რა, ტივტივას იქით წასვლა არ იქნება. ამბობენ, ზჭიგენებიანო“. ვერ იტყოდით, რა ეროვნებისა იქნებოდა, მაგრამ ინგლისურად ოქსფორდის მანერაზე, ნელა, გაბმით ლაპარაკობდა.

„გუშინ ორი ბრიტანელი მეზღვაური გააქრეს გოლფ-ქუანის ფლოტილიიდან“.

„ღმერთო ჩემო!“ წამოიძახა როზმერიმ.

„მეტადრე ფლოტილიასთან შემოდინ. იციან, რალაცას გამორჩებიან“.

ისე გაუშტერა თვალი, გვეგონებოდა შუშისა აქვსო, და ვითომ მინდა გაფრთხილოთ და იმიტომ გამოგელაპარაკეთო; მერე ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია და ისევ დაისხა ის რალაცა თავის ბოთლიდან.

როზმერი გრძნობდა, ყურადღებას აქცევდნენ ამ საუბრისას და ოდნავ შემცბარმა შეათვალიერა იქაურობა, რომ სადმე დამჯდარიყო. პლაჟის რალაცა მონაკვეთი იმ თავიანთი ქოლგის ახლო, ეტყობოდა, ყველა ოჯახს საკუთრებად მიაჩნდა, ოღონდ, მიმოდინდნენ, ერთმანეთს რალაცას გასძახებდნენ, ერთი სიტყვით, თავიანთი წრე ჰქონდათ და ცოტა უხერხული იქნებოდა და მიძალუბაც კი გამოვიდოდა ამ წრეში შეჭრა. ოდნავ მოშორებით, კენჭებითა და დამპყნარი წყალმცენარეებით მოფენილ ნაპირზე რამდენიმე კაცი და ქალი შენიშნა, როზმერისავით ჯერ არც იმათ მოჰკიდებოდათ მზე და პლაჟის დიდი ქოლგები კი არა, თავიანთი ქოლგები ჰქონდათ. ესენი უფრო ახალბედები ჩანდნენ ამ პლაჟზე. როზმერიმ თავისუფალი ადგილი მოიძია გარუჯულებსა და თეთრებს შუა; ხალათი გაიძრო და ქვიშაზე გაშალა.

მერე ზედ გაწვა, ჯერ მხოლოდ მათი ხმა ესმოდა, გრძნობდა როგორ მიმოდინდნენ, თითქოს გარს უვლიდნენ იმის სხეულს, ხანდახან ვილაცის ჩრდილო ჩამოეფარებოდა წამით მზეზე. კისერზე რომელიღაც ცნობისმოყვარე ძალის თბილი და ხშირი სუნთქვა მიელამუნა; უკვე გრძნობდა მზის მხურვალეობას, თითქოს კანში ატანდა; ტალღების სუნთქვა, მათი წყნარი, დაქანცული „უააჰ“ ჩაესმოდა. თანდათან არჩევდა ვინ რას ამბობდა, მთელი ამბავიც კი მოისმინა, კერძოდ ის, რომ თურმე ვილაცას, „იმ ჯეილს“, ნორთს რომ ეძახდნენ აგდებულად, კანის რომელიღაც კაფედან წუხელ ერთი ოფიციალტი გაუტაცია, უნდოდა ზედ შუაზე გაეხერხაო; ამას თეთრთმიანი ქალი ყვებოდა თავგამოდებით, კაბაზე ეტყობოდა, წინა ღამეს წვეულებაზე ყოფილიყო და სამოსის გამოცვლა ვერ მოესწრო, თმაზე ისევ ეკეთა ტიარა, მხარზე კი დამპყნარი ყვავილი ჩამოჰკიდებოდა საწყლად. როზმერი შეუცნობელმა ანტიპათიამ მოიცვა იმ ქალისა და მთელი მისი კომპანიის მიმართ და შეტრიალდა.

იქითა მხარეს, მოშორებით, ახალგაზრდა ქალს მოჰკრა თვალი. ქოლგის ქვეშ იჯდა და რალაცას იწერდა ქვიშაზე გაშლილი წიგნიდან. სარაფანი მხრებიდან ჩამოეწია და ნარინჯ-ყავისფრად თანაბრად მზემოკიდებული შიშველი ზურგი მზეზე უბზინავდა. ერთი ასხმა შემღვრეული მარგალიტი ირეკლებოდა ნამზეურ ზურგზე. ღამაზ სახეში ერთდროულად სიმკაცრე და უმწეობა გამოსჰკვიოდა. როზმერის შეხედა თითქოს, მაგრამ არც შეხედვა ეთქმოდა. იმის გვერდით მჯდარ მაღალ, მოხდენილ მამაკაცს ყოვეის ქუდი ეხურა, წითელზოლებიანი ტრუსით იყო; იმის იქით კიდევ ის ძალზე თეთრკბილება ქალი, როზმერიმ ადრე რომ ნახა. ამ ქალმა მაშინვე მოხედა როზმერის, ეტყობა, იცნო; მერე ერთი კაცი, მოგრძო სახით, თმა ლომის ფაფარივითა ჰქონდა, უქუდოდ იყო, ლურჯი ტრუსით, ძალიან სერიოზულად ელაპარაკებოდა შავტრუსიან, აშკარად რომანული წარმოშობის ახალგაზრდა კაცს, ლაპარაკისას ორთავე ქვიშაში ურევდა ხელებს, ხანდახან გამხმარ წყალმცენარეებს ამოაყოლებდნენ ხოლმე. ამერიკელები არიანო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც რალაცით არა ჰგვანდნენ იმ ამერიკელებს, ამ ბოლო დროს რომ ხედებოდა როზმერი.

ცოტა ხნის მერე გაიანარა, ის ყოვეისქუდიანი თავის კომპანიას რალაცას

უამბობდა; დინჯად ხვეტდა ნიჩბით ქვიშას და თან ლაპარაკობდა, ალბათ ძალიან სასაცილოს, თუმცა ისეთი სახე ჰქონდა, ფარსს მაინცდამაინც ვერ იფიქრებდი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რაც უნდა ეთქვა, ერთი ხმაც ვერ გმუხვდებოდა, ყოველ მის სიტყვაზე ხარხარებდნენ. როზმერივით, იმათგან, რომლებმაც რებით, სუყველა სმენად ქცეულიყო, რამე ეგება გავიგონოთო. მთელ პლაჟზე მხოლოდ ის მარგალიტის მძივიანი ქალი არ იცინოდა. ალბათ თავმდაბლობის გამო, ამათ ყველა გადახარხარებაზე თავს დაბლა ხრიდა და თავის ფურცლებს აცქერდებოდა.

უცებ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, როზმერის იმ მკერდგაბანჯგვლული და მონოკლიანი კაცის ხმა მოესმა:

„მშვენიერი ცურვა გცოდნიათ“.

როზმერიმ იუარა.

„მართლა, ჩინებული; ჩემი გვარი კემპიონი გახლავთ. აქ ერთი ქალი ამბობს, რომ წინა კვირას გნახათ სორენტოში, იცის ვინა ხართ და თქვენი გაცნობა სურს“.

როზმერის არ გახარებია, მაგრამ არ შეიმჩნია, მიიხედა, ისინი დაინახა, მზე ჯერ რომ არ მოჰკიდებოდათ, მისკენ იყურებოდნენ და იცინოდნენ. უხალისოდ წამოდგა და მათკენ გაემართა.

„მისიზ აბრამზ — მისიზ მაკისკო — მისტერ მაკისკო — მისტერ დამფრი...“

„ჩვენ გიცნობთ“, იმ ქალმა თქვა, ვისაც კაბაზე ეტყობოდა, წუხანდელ ღამით წვეულებაზე ყოფილიყო. „როზმერი ჰოიტი ხართ, მაშინვე გიცანით სორენტოში და ოტელში კლერკსაც ეკითხე. აქ, ყველამ ერთხმად აღიარა, მშვენიერი იმ ფილმში, და გვინტერესებს, რატომ არა ხართ ამერიკაში, იმისათვის, რომ ითამაშოთ სხვა ისეთივე მშვენიერ ფილმში“.

ფაცაფუცით მიიწ-მოიწიეს, რომ ადგილი გამოენახათ და თავიანთ შორის ჩაესვათ როზმერი. ეს ქალი, სორენტოში რომ ენახა, ებრაელი არ იყო, მიუხედავად თავის გვარისა. იმ ხნიერი, „არხეინა ქალების“ ჯიშისას ჰგავდა, კარგად ქამისა და გულგრილობის გამო ყველაფრისადმი, რაც გარშემო ხდება, ყველა თაობას რომ ერგებიან და ვერ გაიგებ, ვისი-რისია.

„გვინდა გაგაფრთხილოთ, პირველ დღეს ძალიან არ დაიწვათ მზეზე“, — ხალისით აგრძელებდა ის ქალი ლაპარაკს, — „ჯანს სათუთად უნდა მოეპყრათ, მეტადრე თქვენ, ოღონდ, ამ პლაჟზე ისეთი ხალხია, რომ ვერავის ვერაფერს ვეღარ ეტყვი, შეიძლება გაგლანძლონ, და არ ვიცოდით გვეთქვა თუ არა, ხომ შეიძლება თქვენც გწყენოდათ“.

## II

„ექვიც კი გამოვთქვით, იქნებ შეთქმულებაში ურევიაო“, მისიზ მაკისკომ თქვა. ეს ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი სახის ქალი, ერთობ უდიერი ჩანდა, თვალებზეც ეტყობოდა. „აქ ვერაფერს გაიგებ, ვინ არის შეთქმული, ვინ არა. სიტყვაზე, აი ის კაცი, კარგა დიდხანს და გულთბილად რომ ესაუბრებოდა ემი ქმარი, ლამის მოთავე ყოფილა ამ ამბისა, ყოველ შემთხვევაში, მოთავეს თანაშემწე მაინც — მეორე კაცი“.

„შეთქმულება?“ გაიოცა როზმერიმ. კარგად ვერ მიხვდა.



„ჩემო ძვირფასო, ჩვენ რა ვიცით“, მიუგო მისიზ აბრამშმა, ლაპარაკისას ხანგამოშვებით ჩაიციინებდა ხოლმე, ისე, სქელმა ქალებმა რომ იციან, „ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა, ჩვენ არა ვართ გარეული მაგ საქმეში, ჩვენ ქანდარა ვართ“.

მისტერ დამფრიმ, ახალგაზრდა ქერა კაცმა, რალაციით ქაფსუტში წააგავდა, შენიშნა: „რალა შეთქმულება და რალა ჩვენი მისიზ აბრამშის წყობის შეთქმულებათ“, რაზედაც კემპიონმა მონოკლი მოუღერა და უთხრა: „აბა, რო-ალ, თავი დაანებეთ ეგეთ სიტყვებს“. როზმერიმ შეშფოთებით შეხედა მათ, ახლა ერჩივნა და უნდოდა კიდევაც დედა ჰყოლოდა აქ, ეს ხალხი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა, პლაჟის იქითა მხარეს მსხდომთ ადარებდა და ისინი ერ-ჩივნა, დედამისის შეუმცდარი, თავისი წრისთვის ჩვეული ტაქტი და ალლო შეველოდათ ხოლმე სწრაფად და იოლად, მოხერხებულად დაელწიათ თავი უხერხული ვითარებისთვის. სულ რალაც ექვსიოდე თვე თუ გავიდა მას შემ-დეგ, რაც როზმერი ცნობილი გახდა, ხანდახან ფრანგული მანერები იჩენდა თავს და ის ამერიკული დემოკრატიული ჩვევებიც, გვიან რომ შეიძინა, და ხში-რად კიდევაც იბნეოდა.

მისტერ მაკისკოს, ხმელ-ხმელ, ჰორფლიან წითურ კაცს, — ასე, ოცდა-ათი წლის იქნებოდა, „შეთქმულებაზე“ ლაპარაკი სიამეს აშკარად არა ჰგვრი-და. ზღვას გაჰყურებდა, მაგრამ უცებ ცოლს შეხედა, მერე როზმერის მოუტ-რიალდა და საკმაოდ მკაცრად და გაჯავრებით, თითქოს რალაცაზე პასუხს აგე-ბინებდნო, ჰკითხა:

„დიდი ხანია ჩამოხვედით?“

„დღეს“.

„აჰა“.

იფიქრა, საუბარს უკვე სხვა გზა მიეცათ და იქ მსხდომთ გადახედა, იქნება ახლა მათ ეთქვათ რამე.

„მთელ ზაფხულს აქ აპირებთ დარჩენას?“ გულუბრყვილოდ იკითხა მი-სიზ მაკისკომ, „მაშინ, ალბათ ნახავთ რით გათავდება ეს ინტრიგა“.

„ღვთის გულისათვის, ვაიოლიტ, კმარა ამაზე!“ შეუძახა ქმარმა, „სხვა ხუმრობა ნახე, ღვთის გულისათვის!“

„ნერვების ბრალია“.

„არავითარი ნერვები“, არ დაეთანხმა მისტერ მაკისკო, ლამის ყვიროდა, „ნერვები აქ არაფერ შუაშია“.

აშკარად ღელავდა, მონაცრისფრო სახეზე აღმურმა გადაჰკრა, რაც რამ ზედ გამომეტყველება აჩნდა, ერთმანეთში არეოდა. იგრძნო, ვერ იყო კარგად. უცებ წამოდგა და წყალში შევიდა. ცოლიც ადგა. როზმერიმ შემთხვევით ისარ-გებლა და ისიც მათ გაჰყვა.

მისტერ მაკისკომ ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ხმელთაშუაში შევიდა და მკლავები მოუსვა, თავისი ვარაუდით კროლით უნდა გაეცურა. მალე ჰაერი აღარ ეყო, ფეხზე დადგა და აშკარა გაკვირვებით მიმოიხედა, რადგან არცთუ ისე შორს წასულიყო და ნაპირიდანაც, უეჭველია, ისევ მოჩანდა.

„სუნთქვა ჭერ კიდევ ვერ მისწავლია კარგად. გაოცებასა ვარ, როგორ ახერხებენ ისე ჩაისუნთქონ, რომ კარგა დიდხანს გაჰყვეთ“, თქვა და როზმერის შეხედა, თითქოს პასუხს მისგან ელისო.

„წყალში ყოფნისას ამოისუნთქეთ“, აუხსნა როზმერიმ, „და მერე კოვტელ მეოთხე მოსმაზე თავს ამოყოფთ და ისევ ჩაისუნთქათ ჰაერს“.

„სხვა ყველაფერი იოლია ჩემთვის, აი მხოლოდ სუნთქვა მინდა“.

ტივზე ის თმალომისფაფრიანი კაცი იწვა. ზღვის ტალღებს აყოლილი ტივი ირწეოდა და როგორც კი მისიზ მაკისკომ ხელი წაავლო, უცბად გვერდზე გადაიხარა და მხარზე მიერთყა. ის თმალომისფაფრიანი კაცი მიეშველა, რომ ზედ ასულიყო.

„შემეშინდა, მაგრამ არ მოგხვედროდათ“, დაბალი, მორცხვი ხმა ჰქონდა. იმისმა უჩვეულოდ ნაღვლიანმა სახემ გააოცა როზმერი, იმისმა ინდიელსავით ფართო ყვრიმალეებმა, განზე გაწეულმა პირმა და ღრმად ჩამჯდარმა ძალიან დიდმა მუქ ოქროსფერმა თვალებმა. როგორღაც, პირის ერთი კუთხიდან დაილაპარაკა, თითქოს იმედი ჰქონდა, მისიზ მაკისკომდე რაღაც მიხვეულ-მოხვეული გზით მიაღწევდნენ მისი სიტყვები და ამგვარად აზრი და ძალა შეემატებოდათ. ერთი წუთიც და წყალში გადაეშვა, გრძელი სხეულით ნაპირთან ახლო გაწოლილი, ტალღებს მიწებდა.

როზმერი და მისიზ მაკისკო თვალს ადევნებდნენ. როგორც კი ბიძგის ინერცია გამოეღია, მაშინვე მკვეთრად შეტრიალდა, წყალზემოთ წამით გამოუჩნდა გამხდარი ბარძაყები და მერე უკვე მთლად გაუჩინარდა. მხოლოდ ჭაფილა მოჩანდა წყალზე იმის თავზემოთ.

„კარგი ცურვა სცოდნია“, შენიშნა როზმერიმ.

მისიზ მაკისკომ მოულოდნელი აღშფოთებით მიუგო:

„სამაგიეროდ, უვარგისი მუსიკოსია“, და ქმრისკენ შეტრიალდა, რომელიც, ორჯერ წარუმატებელი ცდის მერე, როგორღაც აძვრა ტივზე და სცადა ისე დაეჭირა თავი, ვითომდა რაო, არაფერიო, მაგრამ წაიბორძიკა და კინალამ დაეცა. „მე ეს-ეს არის ვთქვი, რომ შეიძლება ეიბ ნორთი კარგადაც ცურავს, მაგრამ უვარგისი მუსიკოსია“.

„ჰო, ასეა“, ჩაიბურტყუნა მისტერ მაკისკომ, ეტყობოდა ამოწმებდა ცოლის სიტყვებს, თითქოს უფლებას არ აძლევდა, რაც უნდოდა ის ელაპარაკა.

„მე თაყვანს ვცემ ანთეილს“. მისიზ მაკისკო ისევ როზმერისკენ შეტრიალდა, როგორღაც თითქოს გამომწვევად. „ანთეილსა და ჯოისს. არ ვიცი, ამ ხალხზე გსმენიათ თუ არა რამე ჰოლივუდში, მაგრამ „ულისეზე“ ამერიკაში გამოქვეყნებული პირველი კრიტიკული წერილის ავტორი ჩემი ქმარი გახლავთ“.

„კარგია, სიგარეტი მქონდეს“, მშვიდად თქვა მაკისკომ. „მოწევას არაფერი მირჩევნია ახლა“.

„ჯოისის ძალა ფარულია, ასე არ არის, ელბერტ?“

უცბად ხმა გაუწყდა. ნაპირიდან არცთუ მოშორებით, მარგალიტის ყელსაბამიანი ქალი თავის ორ ბავშვთან ერთად ბანაობდა და სწორედ იმ დროს, მისიზ მაკისკომ ისევ რომ წამოიწყო ლაპარაკი, ეიბ ნორთმა ჩაყვინთა და მხარზე შესმული ბავშვითურთ წყლიდან ვულკანისებური კუნძულივით ამოიმართა. ბიჭი შიშისა და აღტაცებისაგან კიოდა. ქალი მშვიდად და ალერსიანად უყურებდა მათ, ოღონდ, არ გაუღიმიო.

„მისი ცოლია?“ იკითხა როზმერიმ.

„არა, ეგ მისიზ დაივერია. ოტელში არ ცხოვრობენ“.

თვალეები ლამის ფოტოაპარატის ობიექტივად ექცა, ისე ჩაატეხებოთ უყუ-  
რებდა მისიზ მაკისკო იმ ქალის სახეს, ცოტა ხნის მერე მუცელზე მდებარე  
და როზმერისაკენ.

სიზღინისეჟა

„ადრე ყოფილხართ საზღვარგარეთ?“

„დიახ, პარიზში ვსწავლობდი“.

„ო, მაშინ გეცოდინებათ, რომ თუ კარგი დრო გინდათ გაატაროთ, ჭეშმარიტ  
ფრანგულ ოჯახებს უნდა გაეცნოთ. რა გაპყვება ამ ხალხს აქედან?“ მარცხენა  
მხრით მისიზ მაკისკომ ნაპირისაკენ მიანიშნა. „შეყრილან და სხვას ვერავის  
და ველარაფერს ვერ ამჩნევენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, რეკომენდაციით მივედით  
ცნობილ პარიზულ მხატვრებთან და მწერლებთანაც, ასე რომ, კარგად ვცხოვ-  
რობდით“.

„წარმომიდგენია“.

„ჩემი ქმარი თავის პირველ რომანს ამთავრებს ახლა“.

„მართლა?“ როზმერი ახლა მაინცდამაინც არაფერზე არა ფიქრობდა. ერთი  
ის აფიქრებდა მხოლოდ, დაეძინებოდა თუ არა დედამისს ამისთანა პაპანაქება  
სიცხეში.

„იდეა იგივეა, რაც „ულისეში“, განაგრძობდა მისიზ მაკისკო. „ოღონდ,  
ჯოისთან ოცდაოთხ საათს ხდება მოქმედება, ჩემი ქმრის რომანში კი მთელი  
საუკუნეა; წიგნში გამოჰყავს ძველი ფრანგი არისტოკრატი, რომელიც ტექნიკის  
საუკუნეს ეჯახება...“

„ღვთის გულისათვის, ვაიოლიტ, ნუ იცი ასე, ყველას უყვები ჩემი რო-  
მანის იდეას“, შეაწყვეტინა მისტერ მაკისკომ, „სანამ წიგნი არ გამოქვეყნდება,  
არ მინდა, რომ ყველამ გაიგოს“.

როზმერიმ უკან, ნაპირისკენ გაცურა. ნამზეური მხრები უკვე ცოტათი  
ეწვოდა, ხალათი მოიხსნა და ისევ მზეზე გაწვა. ჟოკეისქუდიანი კაცი ქოლგი-  
დან ქოლგამდე მიდი-მოდიოდა, ხელში ბოთლი და პატარა ჭიქები ეჭირა და  
ყველასთან მიჰქონდა. თანდათან თვითონაც და მისი მეგობრებიც უკეთეს გუ-  
ნებაზე დგებოდნენ. ბოლოს ყველამ ერთ ქოლგასთან მოიყარა თავი — სხვა  
ქოლგები უკვე დაეკეცათ. როზმერი მიხვდა, ვილაცა წასვლას აპირებდა და გა-  
მოსათხოვრისა უნდა შეესვიათ პლაჟზე. ბავშვებმაც კი იგრძნეს, რომ იმ ქოლგის  
ქვეშ მეფობდა გართობა და მხიარულება და იმათაც იქით იბრუნეს პირი, თა-  
ვისდათავად გაიფიქრა, იმ ჟოკეისქუდიანი კაცის წყალობით ხდება ყველა-  
ფერიო.

ცაზეც და ზღვაზეც, ორივეგან შუადღე დადგა. კანის თეთრი ჰორიზონ-  
ტიც კი, ხუთი მილის დაშორებაზე მირაჟად იქცა, მაცოცხლებელ და გრილ  
მირაჟად; კიოტასავით, — იმისმკერდფერა აფრიანი ნავი შემოდიოდა და მუქ  
ლაჟვარდისფერ კუდს იქნევდა, იფიქრებდით, სიცოცხლე ამ ადგილს გარდა  
სანაპიროზე არსად არისო, მხოლოდ აქ, ამ პლაჟზე, მზის სხივებდაფენილი ქოლ-  
გების ქვეშ, სადაც ერთი ორომტრიალი ჰქონდათ და საიდანაც ასეთი მხიარუ-  
ლი ხმები ისმოდა.

კემპიონი დაინახა როზმერიმ, მისკენ წამოვიდა, რამდენიმე ნაბიჯის მო-  
შორებით შედგა და როზმერიმ თვალეები დახუჭა, თავი მოიმძინარა; ცოტა ხნის  
მერე ოდნავ გააბილა და ბუნდოვნად რაღაცა გაარჩია ორი ბოძივით — ვილაცის  
ორი ფეხი. ის ვილაც კაცი ცდილობდა ფეხი შეედგა დიდ, ქვიშისფერ ღრუ-

ბელში, ის ღრუბელი კიდევ სადღაც უსასრულოსა და გავარვარებულ ცაში მიდიოდა. როზმერის მართლა ჩაეძინა.

გაიღვიძა მთლად გაოფლიანებულმა და დაინახა, პლაჟზე ვერცხვულმა ჟოკეისქუდიანი კაცის გარდა, რომელიც იმ ერთადერთ გაშლილ ქოლგასდა კეცავდა. როზმერი წამოდგა, დაბნეული თვალებს ახამხამებდა, ჟოკეისქუდიანი მიუახლოვდა და თქვა:

„მე უკვე მინდოდა თქვენი გაღვიძება წასვლამდე. პირველ დღეს დიდხანს მზეზე წოლა არ გარგებთ“.

„გმადლობთ“. როზმერიმ თავის შეწითლებულ ფეხებს დახედა. „ღმერთო ჩემო!“ გაიცინა, ხალისიანად; სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ დიკ დაივერი უკვე მიათრევდა თავის დასაკეც კარავსა და პლაჟის ქოლგას ავტომობილისკენ, რომელიც პლაჟთან უცდიდა და როზმერი წყალში შევიდა, რათა გაოფლიანებული სხეული გაებანა. დიკ დაივერი ისევ დაბრუნდა, ქვიშაზე დაყრილი ნიჩაბი, ფოცხი და ცხავი წამოკრიბა და ქვებსა და ქვებშუა მიმალა. მერე პლაჟს კარგად მოავლო თვალი, რომ აღარაფერი დარჩენოდა.

„ხომ არ იცით, რომელი საათია?“ ჰკითხა როზმერიმ.

„დაახლოებით ორის ნახევარი“.

ორთავემ ერთად გახედა ზღვას.

„კარგი დროა“, თქვა დიკ დაივერმა. „დღის უარესი დრო არ არის“.

შეხედა და წამით როზმერი მინდობილად და ხალისითაც კი, თვითონვე მოხვდა მისი თვალების კრიალა ცისფერ სამყაროში. მერე მან მხრებზე მოიგდო თუკი რამ პლაჟზე დარჩენოდა და მანქანისკენ წავიდა; როზმერი წყლიდან ამოვიდა, ქვიშა ჩამოიბერტყა და ოტელის გზას ნელა გაუყვა.

### III

უკვე თითქმის ორი საათი იქნებოდა, როცა დედასთან ერთად რესტორანში შევიდა როზმერი. ფანჯრებს იქით ქარი არხევდა ფიჭვებს და მზის სხივები და ჩრდილები რაღაც უცნაურ, რთულ სახეს ფენდა მაგიდებზე. ორი ოფიციანტი, თეფშებს რომ ალაგებდა და იტალიურად ხმამაღლა ლაპარაკობდა, მათი შემოსვლისთანავე გაჩუმდა და table d' hôte-ის ყველაზე ღარიბული ვარიანტი მოართვეს.

„პლაჟიდან შეყვარებული დავბრუნდი“, თქვა როზმერიმ.

„პო? ვინ შეგიყვარდა?“

„ჯერ ერთი მეტად სასიამოვნო კომპანია. მერე ერთი კაცი“.

„ილაპარაკეთ?“

„ცოტა. ძალიან ლამაზია. უღალი თმა აქვს“. როზმერი მადიანად ჰამდა.

„ისე კი, ცოლიანია — სხვანაირად თითქმის არც ხდება“.

როზმერის საუკეთესო მეგობარი იყო დედა. მასზე გადაკეტილი, მთელ თავის ძალასა და ღონეს როზმერიზე ზრუნვას ახმარდა. ეს იყო ახლა იმისი საქმე, რაც არც ისე იშვიათია თეატრალურ ვარემოში, მაგრამ მისიზ ელსი სპირსი იმით გაირჩეოდა, რომ სამაგიეროს არ ითხოვდა, თუნდაც სულაც მარცხი ეგემა. დასაჩივლელი არა ჰქონდა რა, ორჯერ კარგად გათხოვდა, ორჯერვე დაქვრივდა და თანდაყოლილი მხნეობა და ცხოვრებისათვის საჭირო ძალა უფ-

რომ მოემატა. პირველი ქმარი, როზმერის მამა, სამხედრო ექიმის იყო, შვიორე —  
 კავალერიის ოფიცერი, ორივემ დაუტოვა იმდენი, რომ კარგად ეცხოვრა, ყვე-  
 ლაფერი როზმერისათვის სურდა და მისთვის ინახავდა. ქალიშვილს კარ ანე-  
 ბივრებდა და ხასიათი გაუკაჟა, მაგრამ არც ზრუნვასა და სიყვარულს აკლებ-  
 და, ამით თავის სასიკეთო იდეალიზმს უნერგავდა და — როზმერიც აღმერთებ-  
 და დედას, ყველაფერს იმისი თვალთ ხედავდა და გულუბრყვილობის მიუ-  
 ხედავად, ორმაგადაც იყო დაცული — დედისა და თავისი ჯავშნით, მოწიფული-  
 ვით უკვე უნდობლად ეკიდებოდა ყველაფერ უხამსს, მსუბუქსა და ვულგა-  
 რულს. კინოში როზმერის ასეთი უეცარი წარმატების მერე კი მისი სპირსმა  
 იგრძნო, რომ დადგა დრო, როცა მკერდიდან უნდა მოეცილებინა, მაგრამ თუ  
 ეს მომთხოვნი, მღელვარე და ძლიერი იდეალიზმი სხვა რამისკენაც წარიმართე-  
 ბოდა, ტკივილზე მეტად სიბარულს უფრო განიცდიდა.

„ასე რომ, მოგწონს აქაურობა?“ იკითხა მან.

„აქ შეიძლება კარგად იყო, იმ ხალხს თუ გაიცნობ. სხვებიც იყვნენ პლაჟ-  
 ზე, მაგრამ ისეთები არა; ვერც დაელაპარაკები. მე მაშინვე მიცნეს. საოცარია  
 პირდაპირ, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველას ნანახი აქვს „მამიკოს გოგო“.

მისი სპირსმა დააცადა, აგზნებული პატივმოყვარეობა დაეცხრო და საქ-  
 მიანი იერით ჰკითხა:

„მართლა, გამახსენდა, როდის აპირებ ერლ ბრედის ნახვას?“

„შეიძლება ამ საღამოსაც, შენ თუ დალლილი არა ხარ“.

„შენ წადი, მე არ წამოვალ“.

„მაშინ ზვალისთვის გადავდოთ“.

„მე მინდა, რომ მარტო წახვიდე. აქედან შორს არ არის და — თან, გე-  
 გონება ფრანგული ენა არ იცოდე“.

„მაგრამ, დედა, თუკი არ მინდა?“

„მაშინ, დღეს არა, სხვა დროს წადი. ოღონდ, ვიდრე აქა ვართ, აუცილებ-  
 ლად უნდა ნახო“.

„კარგი, დედა“.

საუზმის მერე ორთავე უეცარმა სევდამ მოიცვა. ასე ხშირად ემართებათ  
 ხოლმე ამერიკელებს მყუდრო ადგილას, სხვა კონტინენტზე. არაფერი ახალი-  
 სებდათ, არსაიდან ბიძგი და ხმები, ვერც თავის ფიქრის გამოძახილს ჰპოვებ-  
 დნენ სხვებში და ეჩვენებოდათ, რომ სამყარო გაჩერდა და ცხოვრება აღარ  
 გრძელდებოდა.

„სამი დღეც და, წავიდეთ აქედან, ჰო, დედა?“ თავიანთ ოთახში დაბრუ-  
 ნებისას თქვა როზმერიმ. ზღვიდან მონაბერი სიო ზანტ სიცხეს ერეოდა და  
 გარეთ, ხეებისკენ მიიწევდა, დარაბებიდან გაჰქონდა ცხელი ჰაერი.

„და ის კაცი, პლაჟზე რომ შეგიყვარდა?“

„შენს მეტი მე არავინ მიყვარს, ძვირფასო დედა“.

როზმერი პოლში გავიდა და უფროს გოსს მატარებლებზე გამოელაპარაკა.  
 კანტორასთან მოწყენით მდგარი ღიაყავისფერლივრეიანი კონსიერჟი გაშტერე-  
 ბული მიაჩერდა, მაგრამ მალე მოეგო გონს, მიხვდა, თავის დაჭერა მართებ-  
 და, ისე, როგორც შეეფერებოდა და *métier*<sup>1</sup>-ით მოეთხოვებოდა. როზ-  
 მერი ვაგზალში გაემგზავრა, ავტობუსში ორი მორჩილი ოფიციანტი იჯდა,

<sup>1</sup> პროფესია (ფრანგ.).

მოკრძალებით დუმდნენ და ეს დუმილი აღიზიანებდა როზმერის, უნდოდა შეეცახა მათთვის: „რას გაჩუმებულხართ, მიდით, ილაპარაკეთ, იცინეთ, მე სულაც ხელს არ შემეშლითო“.

პირველი კლასის კუბეში სულისშემხუთველი სიცხე იდგა. კომპანიების არლის აკვედუკ პონ დიუ გარის, ორანჟის ამფითეატრისა და შამონის ზამთრის სპორტის — ბდღვრიალა სარეკლამო პლაკატები უფრო სიგრილეს გგვრიდნენ, ვიდრე თვალუწვდენელი რინდი ზღვა. ამერიკული მატარებლებისაგან განსხვავებით, თავიანთი დაძაბული ცხოვრებით რომ ცხოვრობენ და ხალხს არ დაგიდევენ, — ესენი სხვა სამყაროდან არიან, სისწრაფე რა იციანო, ეს მატარებელი ერთი ძარღვთაგანი იყო იმ მიწისა, რომელზეც მიჰქროდა. მატარებლის ქშინვა პალმის ფოთლებს მტვერს აღენდა, მშრალ ნაკელს ბალებში წიდა ევრებოდა. როზმერის ეჩვენებოდა, საკმარისი იყო ხელი გაეწვდინა ფანჯარაში და ყვავილებს მოწყვეტდა.

კანის ვაგზალთან ათობით დაქირავებული ეტლი იდგა. ელოდნენ და თვლემდნენ მეეტლეები. სანაპიროზე ჩარიგებულ დიდ ოტელებს, კაზინოსა და ფეშენებელურ მაღაზიებს ზაფხულის ზღვისკენ მიექციათ რკინის ყრუ ნიღბები ფასადებისა. ძნელი იყო დაჯერება, რომ აქ ოდესმე „სეზონი“ დგებოდა და როზმერის, რომელზეც ვერ იტყოდით, მოდას არ მისდევსო, თითქოს ეუხერხულებოდა, გეგონება, რაღაც ჩამკვდარის მიმართ ჰქონდა არაჩანსალი გენოვნება და გამვლელებსაც კი ვერ გაეგოთ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რად იყო აქ, ამ სიწყნარეში, გასული ზამთრის მზიარულებასა და მერმისის ზამთრის სიხარულშუა, და არა იქ, შორით, ჩრდილოეთში, სადაც ახლა ცხოვრება დუღდა.

როზმერი აფთიაქში შევიდა, ქოქოსის ზეთი უნდა ეყიდა, იქიდან გამოსულმა მაშინვე იცნო ის ქალი, მისიზ დაივერიაო, რომ უთხრეს. წინ ჩაუარა, ტახტის ყურთბალიშებით დატვირთული, ტროტუართან მდგარი ავტომობილისკენ მიდიოდა. ავტომობილის ფანჯრიდან შავმა ტაქსამ შეუყეფა. შოფერს ჩაეთვლიმა, გამოფხიზლდა და სწრაფად გაულო კარი. მისიზ დაივერი მანქანაში ჩაჯდა, გამართული, მოწესრიგებული, მშვენიერ სახეზე ღიმმოუგვრელი. შეუპოვარი მზერა სადღაც, სიცარიელისკენ მიეპყრო, ღია წითელი ფერის კაბა ეცვა, შიშველი ნამზეური ფეხები მოუჩანდა, ჩაუს ჯიშის ძაღლსავეით მბზინვარე მუქ ხშირ თმას ოქროსფერი დაჰკრავდა.

მატარებლის მოსვლამდე კიდევ ნახევარი საათი იყო და როზმერი კრუაზეტზე „Cafe des Alliés“-ში შევიდა, სადაც ხეებისაგან მწვანე ბინდბუნდი ელო მაგიდებს. ორკესტრს წარმოსახვაში კოსმოპოლიტი მსმენელები ჰყავდა, მათთვის უკრავდა „საამო საკარნავალო სიმღერასა“ და შარშანდელ ამერიკულ მელოდიებს. როზმერის უკვე „Le Temps“ და „სეტერდი ივნიზგ პოსტ“ ეყიდა დედისათვის, ახლა ერთი ჭიქა ღიმონათი დალია და „პოსტში“ დაბეჭდილ რომელიღაც რუსი თავადის ასულის მემუარებს გადახედა. ოთხმოცდაათიანი წლების ბუნდოვანი და პირობითი ფრაზები უფრო რეალურად და ბუნებრივად ეჩვენებოდა, ვიდრე დღევანდელი ფრანგული გაზეთების სათაურები. ისევ ის გაუცნობიერებელი სევდა მოეძალა, ოტელშივე რომ იგრძნო, მიჩვეული იყო, რომ კონტინენტური ყოფის გროტესკულობა ან ტრაგედიად იყო ხოლმე ასახული გაზეთებში, ანდა კომედიად და უძნელდებოდა თვითონ-


ვე დაენახა ახლა რაიმე არსებითი, და ამიტომაც, ცხოვრება საფრანგეთში მოსაწყენი და ერთფეროვანი ეჩვენებოდა. ამ სევდას კიდევ უფრო უმჯობესებდა უღიმღამო მელოდიები, ის მელანქოლიური მუსიკა ახსენდებოდა, რომელიც ვიღაცეების აკრობატების გამოსვლისას რომ ასრულებენ, და უხაროდა, რომ გოსის ოტელში დაბრუნდებოდა.

მხრები ისე ჰქონდა დამწვარი მზისგან, მეორე დღეს ზღვაზე ვერ გავიდოდა და ამიტომაც, ავტომობილი იქირავეს — დედასთან ერთად კარგა დიდხანს კი ურიგდებოდა მძღოლს, — როზმერიმ საფრანგეთში იგრძნო პირველად ფულის ფასი — და რივიერას, მრავალი მდინარის დელტის გაყოლებაზე გაისეირნეს. შოფერმა, ივანე მრისხანის ხანის ბოიარინს რომ ჰგავდა, ხალისით ითავა გიდობა და ისეთმა საუცხოო სახელებმა, როგორცაა ნიცა, კანი, მონტე-კარლო, მთელი თავიანთი ბრწყინვალეობით გაიღვეს და წარმოჩნდნენ იმათ მოდუნებულ ყოველდღიურ კამუფლაჟში, თითქოს გაცოცხლდნენ მეფეები, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ, რათა ელხინათ ან მომკვდარიყვნენ, რაჯები, ინგლისელ ბალერინებს ბუდას თვალებს რომ სტყორცნიდნენ, და რუსი თავადები, მთელ კვირებს ბალტიისპირულ მწუხრად რომ აქცევდნენ იმ დღეების მოსაგონებლად, თავზე საყრელად როცა ჰქონდათ ხიზილალა. რუსული სული და რუსების ნაკვალევი ყველაზე უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა და ჭარბობდა მთელ სანაპიროზე. ბევრგან ნახავდით ახლა უკვე დახურულ რუსული წიგნებისა თუ რუსულ საბაყლო მაღაზიებს. იმ წლებში, როცა სეზონი თავდებოდა აპრილში, რივიერაზე მართლმადიდებლური ეკლესია დაიხურა, რუსებმა თავიანთი საყვარელი სასმელი შამპანური ახალ სეზონამდე გადაინახეს, ჩამოვალთო მომავალი სეზონის დამდგეს, თქვეს, მაგრამ ამაოდ დარჩა ეს ნათქვამი, წავიდნენ და მერე აღარ დაბრუნებულან.

სიამე იყო უკან, ოტელში დაბრუნება, საღამოთი ქვევით ზღვა ჩანდა, — იღუმალად ფერადოვანი — ბავშვობის ხანის სარდიონები და აგატები, მომწვანო ფერის — რძიანასავით; ცისფერი — წყალი გარეცხვის მერე, ღვინო — წითელი. სიამეს ჰგვრიდათ სახლების ჩავლა, დანახვა ხალხის, იმათი, ვინც ვერანდებზე წაიხემსებდნენ; ვაზმოხვეული სოფლურ სახამროს მექანიკური პიანინოს ჟღერიალა ხმაც სიამეს ჰგვრიდათ. როცა მანქანა კორნიშიდან გამოვიდა და გოსის ოტელისკენ დაეშვა, ხეების მრუმ სიმწვანეში გახვეულ აკვედუკის კალთებახვეულ ნანგრევებს უკვე ნუგეშინივით უცქერდა მთვარე...

ოტელის ზვევით, სადღაც გორაკებზე სეირნობდნენ, მუსიკის ხმა მთვარის მჭრქალ შუქთან ერთად ატანდა როზმერის ოთახს იმ სარკმლიდან, რომლისთვისაც ქინქლებიდან დასაცავად ბადე აეკრათ. როზმერიმ ყური მიუგდო, სადღაც მხიარულობდნენ და ის ხალხი გაახსენდა, პლაჟზე რომ ნახა. შესაძლოა ზღალ დილით ისევ შეხვდეს მათ, თუმცა ეტყობა გარიყულად ცხოვრობენ, ცალკე იქნებიან, თავიანთთვის, თავიანთ ქოლგებქვეშ, პლედებით, თავიანთი ძაღლებითა და ბავშვებით და პლაჟის ის თავიანთი მონაკვეთიც უხილავე ზღუდით იქნება შემოვლებული. ასე თუ ისე, რაც გინდა იყოს, ბოლო თრი დღის დილას იმ ხალხს, მაკისკოს კომპანიას აღარ დაუთმობს.

IV



ყველაფერი თავისი გზით წავიდა. მაკისკოები ჯერაც არ მისწავლეს პლაჟზე. როზმერიმ, ის-ის იყო, გაიძრო ხალათი და გაწოლას აპირებდა, რომ მარცხენა მხრიდან ჯგუფს ორი კაცი გამოეყო — ფოკეისქუდიანი და ისა, ოფიციალტების ხერხვის მანია სჭირსო, რომა თქვეს, როზმერისაკენ წამოვიდნენ.

„დილა მშვიდობის“, თქვა დიკ დაივერმა და მაშინვე, ესეც ჰკითხა: „გუშინ ალბათ დაიწვიოთ მზეზე, მაგრამ დაიწვიოთ თუ არ დაიწვიოთ, აღარ გამოჩნდით და რა მოხდა? შევშფოთდით“.

როზმერი წამოჯდა, ბედნიერად გაიღიმა, რა კარგია, რომ შეშფოთდნენ როზმერის გამო.

„იქნებ ამ დილით ჩვენკენ გადმოხვიდეთ?“ ისევ დიკ დაივერმა თქვა. „საჭმელი არის, დასალევიც გვაქვს, და ურიგო მიწვევა არ უნდა იყოს“.

კეთილი იყო და ლამაზი. ხმა თითქოს მფარველობასა და ზრუნვას, უფრო გვიან კი სულ ახალ, უჩვეულო სამყაროს გადაშლას ჰპირდებოდა, დაუსრულებელ, ერთიმეორეზე მომხიბლავსა და მიმზიდველ შესაძლებლობებს. თავის მეგობრებს ისე წარუდგინა როზმერი, რომ მისი სახელი არც წარმოუთქვამს, მაგრამ, იმავ დროს, აგრძნობინა, რომ იცნობენ და უნარი შესწევთ პატივიცა სცენ იმის ნებას — როგორც უნდა ისე იცხოვროს. ასეთი ტაქტი და თავაზიანობა, თუ იმ პროფესიონალებს არ ჩავთვლით, კინოში წარმატების მერე რომ დაუმეგობრდა, როზმერის თითქმის აღარავისგან არ ახსოვდა.

ნიკოლ დაივერის ნამზეურ ზურგზე სალუქად მუქი მარგალიტი ირეკლებოდა. წიწილის მერილენდურად მომზადების რეცეპტს ეძებდა თავის წიგნში. როზმერის ვარაუდით, დაახლოებით ოცდაათხი წლისა უნდა ყოფილიყო, სახეზე, როცა შეხედავდით, უმაღ იტყოდით, ლამაზიაო, ეს თავისთავად, ერთი შეხედვით, მაგრამ მერე ის შთაბეჭდილება უფრო გრჩებოდათ, თითქოს ეს სახე ძლიერ, როდენისებურ ძალას გამოეძერწა, თავიდანვე ისე იყო ჩაფიქრებული, რომ მშვენიერებასთან ერთად საცნაური ყოფილიყო ხასიათიც და ტემპერამენტიც, ოღონდ სახის ნაკვთებით, ლამის ჩვეულებრივ სილამაზემდე დაჰყავდა იგი, და ყველაზე მეტად ამას ბაგის მიხედვით თუ იტყოდით, გეგონება მოქანდაკე სასოწარკვეთით შეეცადაო თავის საჭრეთლით — კუპიდონის მშვილდით მოხრილი, ისეთი, ყურნალების ყდებზე დაბეჭდილ ქალებს რომა აქვთ, ოღონდ, მაინც თავისებური ისევე, როგორც სხვა ნაკვთები.

„დიდი ხნით ჩამოხვედით?“ ნიკოლ დაივერმა ჰკითხა; დაბალი, ცოტა მკვეთრი ხმა ჰქონდა.

როზმერიმ გაიფიქრა, რომ შეეძლო კიდევ ერთ კვირასაც დარჩენილიყო.

„არა, დიდი ხნით არა“, გაურკვევლად უპასუხა. „უკვე კარგა ხანია ვმოგზაურობთ ევროპაში, მარტში სიცილიაში ჩავედით და იმის მერე ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ მივიწვეთ. იანვარში, გადაღების დროს ფილტვების ანთება დამემართა და საჭირო გახდა ჩემი თავისთვის მიმეხედა“.

„ოჰ, რანაირად?“

„ცურვის დროს“, არ ეხალისებოდა თავის ამბებზე ლაპარაკი. „თურმე გრიპი მქონდა და არ ვიცოდი, იმ დღეს იღებდნენ ეპიზოდს, როცა მე ვენეციის არხში ვხტები. დეკორაცია ძალიან ძვირი დაჯდა და გადადება აღარ უნდოდათ, ეს ბევრ სირთულეს იწვევდა, სხვა გზა არ იყო, მე ერთი ათჯერ მაინც



მომიხდა წყალში ჩაყვინთვა, მეტჯერ თუ არა. დედამ მაშინვე მომყვანა ექიმი იქვე, გადაღების ადგილზე, მაგრამ საქმე მაინც იმით დამთავრდა, რომ ფილტვების ანთებას ვერ გადავურჩი“. დაამთავრა და ჩქარა იკითხა: „როგორ მსჭვანო თემაზე გადასულიყვნენ, „მოგწონთ აქ?“

„ამათ არ შეიძლება არ მოეწონოთ ეს ადგილი“, ჩაილაპარაკა ეიბ ნორთმა. „თავისით, თვითონ შექმნეს“. ნელა მიატრიალა მშვენიერი, კეთილშობილი თავი და ცოლ-ქმარ დაივერებს სიყვარულით, ნაზად შეავლო თვალი.

„მართლა?“

„ეს მეორე წელია რაც ზაფხულში ოტელი აღარ იხურება“, აუხსნა ნიკოლმა. „შარშან გოსი დავიყოლიეთ ერთი მზარეული, ერთი ოფიციანტი და ერთიც შიკრიკი ბიჭი დაეტოვებინა. ასეც მოიქცა და წელს კიდევ უფრო კარგად მიდის საქმე“.

„მაგრამ თქვენ ხომ ოტელში არ ცხოვრობთ“.

„ჩვენ სახლი ავაშენეთ, ზევით, ტარში“.

„ვარაუდი ასეთი იყო“, თქვა დიკმა და ერთი ქოლგა გადაადგილა, რადგან როზმერის მხარს ეცემოდა ახლა მზის სხივი. „ჩრდილოეთის აგარაკები, როგორც მაგალითად დოვილი, სავსეა სიცივეს მიჩვეული რუსებითა და ინგლისელებით, ამერიკელები კი უმეტესად ტროპიკულ კლიმატში ცხოვრობენ და ხალხისით ჩამოვლენ აქ“.

რომანული გარეგნობის ახალგაზრდა კაცო „ნიუ-იორკ ჰერალდის“ პარიზის გამოშვებას ფურცლავდა.

„სცადეთ ერთი და გაიგეთ, რა ეროვნებისაა ეს ხალხი, ძნელი საქმეა“, წამოიძახა და ოდნავ ფრანგული აქცენტით ჩაიკითხა: „ვევეში, „პალას ოტელში“ ცხოვრობენ მისტერ პანდელი ვლასკო, ქალბატონი სახედარა — არ ვაჭარბებ, ზუსტად ასე წერია, კორინა მედონკა, ქალბატონი პაშე, სერაფიმ ტულიო, მარია ამალია როტო მაის, მოზეს ტიუბელი, ქალბატონი პარაგორისი, მოციქული ალექსანდრ, იოლანდა იოსფუგლუ და ყენევიევა დე მომუს“.

ყველაზე მეტად ეს ყენევიევა დე მომუსი მაგიეებს. ნამდვილად ღირს ვევეში გასეირნება ამ ყენევიევა დე მომუსის სანახავად“.

უცებ წამოხტა, თითქოს რაღაც მოხვდაო და სწრაფად გასწორდა წელში. დაიჭერზეც და ნორთზეც რამდენიმე წლით უმცროსი იქნებოდა. მაღალი, ძლიერი აღნაგობის, მაგრამ გამხდარი; მხოლოდ მხრები და მკლავები ჰქონდა ძალუმი; ლამაზი მამაკაციაო, იტყოდით, მაგრამ აგდებული იერი ჰქონდა და ეს უშლიდა. თუმცა ბრაზიანი და თაფლისფერი, ბორგნეული თვალების ელვარება უფრო გამახსოვრდებოდათ და მოწყენისაგან ყინიანი პირიცა და გულფიცხობის კვალიც, ჭაბუკურ შუბლზე, გავიწყდებოდათ.

„წინა კვირას ჩამოსული ამერიკელების სიაშიც რამდენიმე კარგი გვარი შეგვხვდა“, თქვა ნიკოლმა, „მისიზ ივლინ ხამანწკა და კიდევ — კიდევ ვინა?“

„კიდევ — მისტერ ს. გვამი“, თქვა დაივერმა და ისიც წამოდგა. ნიჩაბი აიღო, და საქმეს შეუდგა — ქეშიდან კენჭებს ყრიდა.

„ჰო, — ს. გვამი, არ აგბურძგნის?“

ნიკოლთან რაღაც საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა; უფრო მეტ სიმშვიდეს, ვიდრე დედასთანო, გაიფიქრა როზმერიმ. ეიბ ნორთი და ფრანგი ბარბანი მაროკოში მომხდარ ამბებზე ლაპარაკობდნენ და ნიკოლმა, — რაკი უკვე იბოვა საჭირო რეცეპტი, კერეას მიჰყო ხელი, როზმერი ცნობისმოყვარეობით ათვა-

18247

ღიერებდა იმათი პლაჟის უძრავ ქონებას — ოთხ დიდ ქოლგას, კარგ, საინტერესო ჩრდილს რომ აყენებდა, დასაკეც კაბინას — ტანსაცმლის გამოსაცვლელად, გასაბერი რეზინის ცხენს; როზმერისთვის ეს ყველაფერი ომის შემდეგ მისი ყველაფრის სიახლე იყო, ფუფუნების ახალ-ახალი საგნები, რამაც პირველი მისი მშობლები იშოვა უკვე. ეს ხალხი ძალად წრეს ეკუთვნოდა და მიუხედავად აღწრდისა და დედის ჩაგონებისა, ასეთ ხალხს უნდა ერიდოო, როზმერის აქ ეს არ შეეძლო, დილით, მზეზუ, დროის ნებიერად ტარების დროსაც კი ამათი ამათობა, გააზრებულ, რაღაც მიზნისკენ მიმართულ უძრაობად ეჩვენებოდა, თითქოს მის წინაშე შეუცნობელი და უჩვეულო რამ სრულდებოდა. როზმერის გონება ჯერა სწვდებოდა და არც ცდილა გაერკვია მთელი ამათი ურთიერთობა, ანლა მისთვის სხვა უფრო იყო საინტერესო — ყველა მათი ურთიერთობა როზმერისთან, ბუნდოვნად გრძნობდა რაღაცა ხლართს, ვერ გაეგო, მაგრამ შეეძლო ფიქრში, სულაც უბრალოდ, ასე ეთქვა: ძალიან კარგ დროს ატარებენ.

დროდადრო სამივე მამაკაცს უყურობდა. სამთავე — თავისებურად საინტერესო, მშვიდი, თავდაჭერილი მიხრა-მოხრაში და ეს ბუნებრივი თავდაჭერა სულ არა ჰგავდა მსახიობების თავდაჭერას, ისევე როგორც ადრე შემჩნეული თავაზიანობა და ტაქტი არ ჰგავდა იმ რეჟისორების ტლანქ ურთიერთობას, ინტელიგენციას რომ ასახიერებდნენ როზმერის ცხოვრებაში. მსახიობები და რეჟისორები — სხვა მამაკაცებს როზმერი არც იცნობდა, თუ კოლეჯის სტუდენტებს არ ჩავთვლით, ერთი დანახვისთანავე რომ სწყუროდათ სიყვარული და წყლის წვეთებივითა ჰგვანდნენ ერთმანეთს. იმათ, შარშან შემოდგომაზე, იელის უნივერსიტეტის საღამოზე შეხვდა როზმერი.

ეს სამთავე კი სულ არა ჰგავდა ერთიმეორეს. ბარბანი — ვერ იტყოდით, ძალიან თავშეკავებულიო, უფრო მეტად სკეპტიკური და მჭირდავი, ზოგჯერ ცოტა დაუდევარიც ურთიერთობაში. ეიბ ნორთს თანდაყოლილ სიმორცხვესთან ერთად ჭარბი იუმორიც ახასიათებდა. ეს იუმორი იზიდავდა და აშინებდა კიდევაც როზმერის, რადგან, არა სჯეროდა, რომ რაიმე შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლებოდა ასეთ კაცზე.

დიკ დაივერი კი, — დიკი სხვა იყო, სრულყოფილი, როზმერი აღმერთებდა მას, უხმოდ, უსიტყვოდ. დიკის ნამზეურ, ქარდაკრულ კანსა და მოკლე თმასაც მოწითალო ფერი დაჰკრავდა. მკლავებიც მზისგან გარუჯოდა, ცისფერი თვალები უელავდა. ცოტათი წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, ლაპარაკისას, ლაპარაკისას კი — ეჭვიც არ გებადებოდათ ვის მიმართავდა, ამით ძალიან აამებდა მოსაუბრეს, რადგან — განა ასე ხშირად გვიყურებენ? ბევრი-ბევრი გადმოგხედონ, გულგრილად ან ცნობისმოყვარედ, ეს არის და ეს. ირლანდიური ჟღერადობის, ალერსით სავსე ხმა გატყვევებდათ, მაგრამ ამ ხმაში როზმერი სიმტკიცესა და ძალასაც გრძნობდა, თავშეკავებასაც და ამტანობასაც, იმ თვისებებს, რომლებსაც თვითონაც აფასებდა თავის თავში. ჰო, აირჩია, ნიკოლმა თავი ასწია და მიხვდა ამას, რაკი წყნარი ოხვრა მოესმა — არჩევანი ხომ სხვისი იყო.

შუადღისას პლაჟზე გამოვიდნენ ცოლ-ქმარი მაკისკოები, მისიზ აბრამში, მისტერ დამფრი და სენიორ კემპიონი. ახალი, დიდი ქოლგა მოიტანეს, დაამაგრეს, დაივერებს გადახედეს და მერე ყველა შიგ შეიყუენენ, მისტერ მაკისკოს გარდა, თითქოსდა ჯიბრით, ეს გარეთ, მზის გულზე დარჩა. დიკმა თავის ნიჩბებიანად სულ ახლო გაუარა მათ და ქოლგებთან მივიდა.

„ის ყმაწვილები ეთიკის წიგნს კითხულობენ ერთად“, ხმადაბლა თქვა.

საქ. სსრ კ. შარქისა  
სახ. სახ. რესპუბ.  
გიგლითაძე

„მაღალ წრეში გარევა და ტრიალი მოსურვებით“. ჩაილაპარაკა/ეიბმა. მერი ნორთი, ყველაზე მზემოკიდებული ქალი, ისა, როზმერტი, ცხირველ დღეს ტივზე რომ ნახა, ბანაობიდან დაბრუნდა და საკმაოდ უღიარო სიტყვებით თქვა:

„აჰა, მისტერ და მისიზ არაცაბცაბებიც მოსულან“.

„გაჩერდით, ისინი ამ კაცის მეგობრები არიან“, შეახსენა ნიკოლმა და ეიბზე მიუთითა. „რატომ არ მიხვალთ მეგობრებთან და არ დაელაპარაკებით? არ მოგწონთ ეს ხალხი?“

„არ მომწონს კი არა, ძალიან მომწონს“, თქვა ეიბმა, „მაგათზე ვფიქრობ დღე და ღამე“.

„ასეც ვიცოდი, ამ ზაფხულს ბევრი ხალხი იქნებოდა აქ“, ჩაილაპარაკა ნიკოლმა. „არადა, ეს ჩვენი ადგილია, დიკი თავისი ხელით აგროვებდა კენჭებს, თვითონ გააკეთა ეს პლაჟი“. მერე ცოტა დაფიქრდა და ხმადაბლა, ისე რომ მოშორებით მყოფ ძიძებს არ გაეგონათ, დაუმატა: „ისე კი, წლებანდელი ხალხი სჯობია შარშანდელ ინგლისელებს, დილიდან საღამომდე იმათი ხმა ისმოდა პლაჟზე: „რა ცისფერია ზღვა, რა თეთრი ცაა! როგორ გაუწითლდა ცხვირი პატარა ნელის!“

მტრისას ნიკოლის გადაკიდება, გაიფიქრა როზმერიმ.

„მაგრამ თქვენ არ გიყურებიათ ჩხუბისთვის“, თქვა ნიკოლმა, „თქვენი ჩამოსვლის წინა დღეს მოხდა. ცოლიანი კაცი, უცნაური გვარი რომა აქვს, მარგარინისა, თუ რაღაც საწვავის სახელს მოგაგონებს...“

„მაკისკო?“

„ჰო, ჰო, ცოლს წაეჩხუბა, ცოლმა მუჭით ქვიშა შეაყარა სახეში. ამან კიდევ, თავი დააღუნინა და ცხვირს ქვიშაში აყოფინებდა. გავშტერდით. მინდოდა დიკი ჩარეულიყო და გაეშველებინა“.

„მოვიფიქრე“, დაიწყო დიკმა და უაზროდ ჩააშტერდა ჭილოფს, „ყველას ჩამოვეუვლი და სადილად დაეპატიყებ“.

„არ არის საჭირო“, ღამის იყვირა ნიკოლმა.

„მე ვფიქრობ, შესანიშნავი აზრია, რაკი აქ არიან, გავუშინაურდეთ კიდევაც“.

„ძალიანაც ვართ გაშინაურებულები“, სიცილით ამბობდა ნიკოლი, „სუულაც არ მინდა ადგნენ და ცხვირ-პირი ჩამაყოფინონ ქვიშაში. მე ავი ვარ და უკარება“, აუხსნა როზმერის. მერე წამოიწია და ხმამაღლა გასძახა შეილებს: „გაემზადეთ საბანაოდ!“

როზმერიმ იგრძნო, დღევანდელი დღე მაგალითივით გაჰყვებოდა მთელ ცხოვრებაში, როცა კი უნდა ყოფილიყო და რაც უნდა ეთქვათ ზღვაზე, მაშინვე თვალწინ ეს დღე დაუდგებოდა. ყველანი ერთად, ხალისით შევიდნენ ზღვაში, ამდენ ხანს ძალაუნებურად უქმად ყოფნისა და პაპანაქება სიცხის მერე, ცხარე საწებლიან გემრიელ საჭმელზე ყინულჩაგდებული თეთრი ღვინის დაყოფებით სიამოვნებამიგვრილი გურმანებივით სიგრილე მოუნდათ და ზღვას მისცეს თავი. ძველი ცივილიზაციის ხალხებივით, დაივერებს დღე ისე ჰქონდათ გაყოფილი, რაც შეიძლება ესარგებლათ, რომ ერთი შეგრძნებიდან მეორეზე გადასვლით სიმძაფრე შეემატებინათ ორივესთვის და როზმერიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ერთი ასეთი სიმძაფრეც ელოდა — ზღვაში ყოფნის თავდავიწყებიდან პროვანსულ საუზმეზე გადასვლისა, და ახლაც დიკი იყო თითქოს მისი ქო-

მაგი და მფარველობდა, და ამიტომაც ხალისით მიჰყვა ყველას, გვერდებზე უხმოდ უბრძანეს.

ნიკოლმა ის რაღაცა, მთელი დღე რომ უტრიალებდა, ქმარს ვადასწავლიდა. კაბინას მოეფარა და ცოტა ხნის მერე იქიდან მუხლებამდე შავი მამაკაცი უხმოდ სით გამოვიდა. ამან ერთი ამბავი გამოიწვია პლაჟზე. თუმცა, ახლო რომ ნახეს, შეამჩნიეს, პირისფერი სარჩული ედო.

„იცით რა, ეს უკვე პედერასტის საქციელია“, აღშფოთებით წამოიძახა მისტერ მაკისკომ, მაგრამ მაშინვე მისტერ დამფრისა და მისტერ კემპიონისკენ გაიხედა და დაუმატა, „ბოდიშს ვიხდი“.

მაქმანიან ტრუსზე, როზმერიმ აღტაცებისაგან ლამის იბღაველა. თავისი გულუბრყვილობის გამო იყო, რომ დაივერების აწყვეტილ ხუმრობას აჰყვა და ვერა ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი არც ისე მიამიტური იყო, როგორცა ჩანდა, რომ ყველაფერი გულდასმით მოეფიქრებინათ სააშკარაოზე, ცხოვრების ბაზარზე გამოსატანად და თანაც, რაოდენობას კი არა, ხარისხს შეხედეთო, თითქოს გეუბნებოდნენ, დაეინებით მოითხოვდნენ; ესეც, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, უბრალოება ურთიერთობაში, სიკეთე და ბავშვური უშფოთველობა, უბრალო ადამიანური ღირსებების ყველაზე მაღლა დაყენება — ღმერთებთან სასოწარკვეთილი, უგუნური გარიგების წილხვდომაა და მიღწეულია ისეთ ბრძოლაში, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენდა. დაივერები იმხანად თავიანთი კლასის ეკოლუციის მწვერვალზე იდგნენ და ამიტომაც ამათ გვერდით ბევრი მოუქნელი და უხეში ჩანდა, თუმცა უკვე იჩენდა თავს თვისობრივი ცვლილება, მაგრამ ამას როზმერი ვერ შეამჩნევდა.

სხვებთან ერთად ისიც ხერხეს სვამდა და ნამცხვარს აყოლებდა. დიკ დაივერმა ცივი, ცისფერი თვალებით შეხედა მას, მერე ძლიერი, ალერსიანი ბაგე გაეხსნა და ფიქრიანად უთხრა:

„ყვავილსა ჰგავხართ, დიდი ხანია თქვენნაირი ქალიშვილი აღარ მინახავს“.

ერთი საათის მერე როზმერის დედის კალთაში ჩაერგო თავი და ქვითინებდა.

„მიყვარს, საშინლად მიყვარს, დედა, ვერც კი ვიფიქრებდი, ასე თუ შენებლო ვინმეს შეყვარება. არადა, ცოლი ჰყავს, და ისიც ძალიან კარგია. რა შეშველება, ძალიან მიყვარს!“

„შემახედა მაინც, როგორია“.

„პარასკევს სადილად მიგვიწვია“.

„თუ გიყვარს, უნდა გიბაროდეს და იცინოდე, კი არ უნდა ტიროდე“.

როზმერიმ დედას ახედა. თავი ლამაზად შეარხია, ცრემლები მოიშორა და გაიღიმა. დედას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა მასზე.

V

როზმერი მონტე-კარლოში წავიდა. ცუდ გუნებაზე იყო, რამდენადაც საერთოდ შეეძლო ცუდ გუნებაზე ყოფნა. უსწორმასწორო და მიხვეულ-მოხვეულმა გზამ ლა-ტურბამდე, გომონის ძველ სტუდიამდე მიიყვანა. იმეამად იქ რე-

კონსტრუქცია მიმდინარეობდა და სანამ როზმერი ერლ ბრედისადმი შეგზავნილ ბარათზე პასუხის მოლოდინში ვისოსებიან ჭიშკართან იცხადებს მზუნველად, რომ პოლივუდში იყო. ჭიშკრის იქით რომელიღაც უკვე გადატყველდა სურათის მერე დარჩენილი ჭრელაჭრულა ხარახუნა ეყარა, — მინგრეულ-მონგრეული ინდური დასახლების სცენა, პაპიემაშეს დიდი ეეშაპი, კალათბურთის ბურთებისოდენა ალუბლებიანი უზარმაზარი ხე, ეგზოტიკურ ხეს, ფერმიზდილ ამარანტსა თუ მიმოზას, ან კორპის მუხასა თუ ჯუჯა ფიქვებს რომ მოგაგონებდათ. მოშორებით გადაღებებისთვის ძველი ფარდულების მსგავსი ორი პავილიონი იდგა, იმათ შუა კი — კაფე-ფარდული, და ყველგან სახეები, შეღებილი, მოლოდინითა და ამაო იმედით საჭსე სახეები.

ათი წუთის მერე იადონის ბუმბულის ფერის თმთანა ახალგაზრდა კაცმა მოიბრინა ჭიშკართან.

„გთხოვთ, მისს ჰოიტი, მისტერ ბრედი გადამღებ ჯგუფთან არის, მაგრამ თქვენ მოუთმენლად გელით. ძალიან ვწუხნარ, ამდენ ხანს რომ ელოდებოდით. ვერ წარმოიდგენთ, რა მომაბეზრებლები არიან ეს ფრანგი მანდილოსნები, ზოგჯერ არც კი იცი, რანაირად დააღწიო თავი...“

ამ კაცმა, ალბათ სტუდიის მენეჯერი რომ იყო, ერთ-ერთი პავილიონის ყრუ კედელში გაჭრილი შეუმჩნეველი კარი გამოაღო და როზმერი, უეცრად გახარებული იმით, რომ იცნეს, იმას მიჰყვა და სადღაცა ბნელში შეაბიჯა. აქეთ-იქით ბუნდოვნად ირეოდნენ მისკენ მიმართული ფერფლისფერი სახეები, განსაწმენდელში მყოფ სულებსა ჰგვანდნენ, შეშფოთებულებს — თავიანთ სამყაროში მოკვდავის გამოჩენით. ჩახშობილი, ღამის მოჩურჩულე ხმები, სადღაც შორიდან კი ფისპარმონიის მოღუღუნე ტრემოლო მოისმოდა. ფიცრებით შემოზღუდულ კუთხეს შემოუარეს და იმათ წინ თვალისმომჭრელად განათებული ადგილი გაიშალა, აქ ერთმანეთის პირისპირ იდგა ამერიკელი აქტრისა და აქტიორი — ეს ფრანგი იყო, გახამებულ პერანგიანი, ღიავარდისფერ საყელოანი და მანქეტებიანი. გეგონება, ვილაცას ეთქვა, რამდენიმე საათს უნდა გაშეშდეთო და იდგნენ ასე, გაშეშებულნი, მაგრამ ხანი ვადიოდა და არაფერი ჯდებოდა. გაჩახახახებული მხარე ჩამუქდა, ჩაბნელდა, უსიამო უღრიალი გაისმა და სინათლე ჩაქრა, მერე კვლავ აინთო. შორიასლო, თითქოს არსაით, ჩაქუჩის ხმა გაისმა საწყლად. ზევით, თვალისმომჭრელ განათებებშუა ცისფერი სახე გამოჩნდა, ბნელ სახურავქვეშ ვილაცამ რაღაცა დაიძახა და მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. როზმერიმ გაიგონა:

„წინდები არ გაიხადო, ბავშვო, არაფერია, თუნდაც ათი წყვილი დახიე. ეს კაბა თხუთმეტი გირვანქა ღირს“.

ამისი მთქმელი თან უკან-უკან იხედა, ვიდრე როზმერის არ მიაწყდა: მაშინ იყო, რომ მენეჯერმა თქვა:

„ჰეი, ერლ — მისს ჰოიტი“.

პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ბრედი მკვირცხლი და ენერგიული იყო. ხელის ჩამორთმევისას თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა — ეს ყესტი უცნობი არ იყო როზმერისთვის, მისთვის ჩვეულ გარემოში შეჰყავდა ამას, რის გამოც იგი უპირატესობასა გრძნობდა ხოლმე, თუკი მას, როგორც პიროვნებას, ყველა აფასებს, რატომაც არა, კიდევაც უნდა ესარგებლა ამით როზმერის.

„ყოველდღე გელოდით“, ბრედის ხმას კოქნის აქცენტი დაჰკრავდა. ერთ-

გვარი ძალდატანებაც ეტყობოდა, თითქოს ცდილობდა, ჩვეულებრივზე უკეთ ელაპარაკა. „კმაყოფილი ხართ მოგზაურობით?“

„დიახ, მაგრამ უკვე შინისკენ მიგვიწევს გული“.

„ა-არა“, შეეპასუხა ბრედი, „მინდა მოგელაპარაკოთ, მე ვნახე თქვენი „მამიკოს გოგო“; პარიზში ვნახე და მაშინვე ტელეგრაფით გავიკითხე, ახალი კონტრაქტი გაქვთ თუ არა“.

„მე ეს-ეს არის...“

„ღმერთო, რა ფილმია!“

როზმერიმ იგრძნო, ახლა გაღივება სულელურ თანხმობას ნიშნავდა და წარბები შეიჭმუნა.

„მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის ასეთი ხვედრი — ერთი სურათი“.

„ცხადია, ახლა, რას აპირებთ?“

„დედა ამბობს, რომ დასვენება მჭირდება. დაბრუნებისას ჩვენ ალბათ ახალ კონტრაქტს დავდებთ „ფეიმეს პლეიერზთან“, ანდა კიდევ „ფერსტ ნუნ-ლთან“.

„ვინ „ჩვენ“?“

„დედა, ჩემს საქმეებს დედა აგვარებს. უიმისოდ მე ვერ შევძლებდი“.

ისევ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და როზმერიმ უეცრად როგორღაც, თვითონაც უპასუხა ამ შეხედვას. არ მონიბლულა და არ აღფრთოვანებულა, არაფერი იმის მსგავსი, რაც ამ დილით იგრძნო და რამაც ეგრეგად მოიცვა პლაჟზე. ეს რაღაც გაელვებასა ჰგავდა, წაშიერს. ბრედის სურდა იგი. და ქალიშვილურ დათრგუნულ წარმოსახვას ხელი არ შეუშლია წარმოედგინა, რომ შესაძლოა სულ უშფოთველად, დათმობაზეც წასულიყო. მაგრამ ცოტა ხნის მერე დაავიწყდებოდა — ისე როგორც ის მსახიობი, ვისაც გადაღებისას კოცნიან ხოლმე.

„სად ცხოვრობთ?“ ჰკითხა ბრედიმ, „აჰა, გოსის ოტელში. იყოს ასე, წლებ-ვანდელ წელს მეც ყველაფერი ამოვწურე. ოღონდ, ის, რასაც ადრე წერილში გწერდით, ძალაში რჩება. კონი ტოლმეჯის მერე, ეს მაშინ, როცა ნორჩი იყო, მხოლოდ თქვენ თუ ვადაგილებდით“.

„იგივე შემთხვევაა ვითხრათ. დიახ, ვითამაშებდი თქვენთან, ფილმში. რატომ არ უბრუნდებით პოლივუდს?“

„ვერ ვიტან მაგ წყეულ ადგილს. აქაც ძალიან კარგადა ვარ. დაიცადეთ — ამ ეპიზოდს ჩავათავებ და ყველაფერს გაჩვენებთ“.

ბრედი გადამღებ ჯგუფთან მივიდა, თითქმის ჩურჩულით, წყნარად უხსნიდა ფრანგ აქტიორს რაღაც-რაღაცას.

ხუთი წუთი გავიდა — ბრედი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ფრანგი კი უსწენდა, დროდადრო ფეხს ფეხზე გადაიდებდა და თავს დაიქნევდა. მაგრამ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და გამნათებლებს რაღაცა დაუძახა. იმავე წამს ზუ-უნნი და ზრიალი გაისმა და თვალისმომკრებლად აკაშკაშდა იჭაურობა. ლოს-ან-ჯელესი ეძახდა ხმამაღლა როზმერიმ, იჭაური ხმაური ჩაესმოდა, და ამ ხმას მიენდო, მორჩილად მიჰყვა, ისევ იქ სურდა ყოფნა, იმ ტიხრებიანი, თხელკედლებიანი ქალაქის მიხვეულ-მოხვეულებში მიაბიჭებდა უშიშრად. მაგრამ არ უნდოდა გადაღების მერე დაღლილ-დაქანცული ბრედის ნახვა, ჯობდა სხვა დროს ელაპარაკათ. ჯერ ისევ მონუსხული გავიდა პავილიონიდან და ქვევით დაეშვა. სტუდიასთან ახლო იყო, მისი ბანგი იყნოსა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო

უკვე ისე ვარიყული აღარ ეჩვენებოდა, ქუჩებშიც სანდომიანი ხალხი დადიოდა და, ვაგზლისკენ მიმავალმა, გზად ესპადრილები იყუდებოდნენ.

დედას ესიამოვნა, რომ როზმერიმ კარგად შეასრულა რაც კი რამ უთხრა: ოღონდ უნდა ებიძგა ხოლმე, იმის მერეც, როცა გზაზე დააყენებდა, რომ წინ წასულიყო. მხნე იერი კი ჰქნდა მისიზ სპირსს, მაგრამ დაღლილი იყო; მომაკვდავთა სარეცელთან ფხიზლობა ვაი რომ ღლის ხალხს და იმას ორჯერ მოუწია ასე ფხიზლობამ.

VI

ვარდისფერი ღვინის მერე, ლანჩზე რომ შესვა, ნიკოლი თავს კარგად გრძნობდა, მთიან ფერდობზე გაშენებულ თავის საუცხოო ბაღში გავიდა. ხელები გულზემოდ დაეკრიფა და მხარზე მიმაგრებული ხელოვნური კამელია ლოყაზე ეხებოდა. ერთი მხრით ბალი სახლს ეკვროდა, ორით — ძველ სოფელს ესაზღვრებოდა, დაქანებული ქვიანი მხრით კი ზღვისკენ ეშვებოდა.

სოფელთან გამყოფ ქარაბაკთან, ყველაფერი დამტვერილიყო, ჩახვეული: ვაზები, ევკალიპტები და ლიმონის ხეები, შემთხვევით დარჩენილი მებაღის ხელნაც კი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ დაეტოვებინათ აქ, თუმცა უკვე მიწას შეზრდოდა და ლობაც შეპარვოდა. მაგრამ საკმარისი იყო იორდასალამის კვლებისთვის შემოევლო და — ნიკოლი ყოველთვის ოცდებოდა --- თითქოს აქ სულ სხვა სამყარო იყო, მწვანე და გრილი ადგილი, სადაც ფურცელფოთლები ყვავილისა, სათუთად ირხეოდნენ და სინოტივისგან იხვეოდნენ.

ყელზე სოსანისფერი შარფი ეხვია ნიკოლს, აქრომატული მზისგანაც კი სოსანისფერი ფერმკრთალდებოდა და ეს ფერი ედებოდა სახეზეც და იმის ჩრდილსაც, სიარულისას. მკაცრი, თითქოს უწყალო სახე ჰქონდა, მხოლოდ მწვანე თვალების გამოხედვაში გამოსჭვიოდა დაბნეულობა, რაღაც საბრალო. ოქროსფერი თმა ახლა უკვე გამუქებოდა, თუმცა, ოცდაოთხი წლისას უფრო ჰქონდა მიმზიდველობა, ვიდრე როცა თვრამეტის იყო და ერთ ქალად მისი თმაცა კმაროდა.

ნიკოლი ხეივანს გაჰყვა, ხეივნის გაყოლებაზე თეთრი ქვები ეწყო, იმას იქით ყვავილები ოდნავ ბურუსით იფარებოდა. გზამ იმ გაშლილ ადგილზე გარიყვანა, საიდანაც ზღვა ჩანდა, იქ, უზარმაზარ ფიჭვის ხესთან, ბაღში ყველაზე დიდი და ბებერი ხე ზომ იყო, სიენის ბაზრიდან მოტანილი დიდი ქოლგა ჩაერჭოთ. იქვე იდგა მაგიდა და წნული სავარძლები. ლელვის ხის სიმწვანეში დღისით მთვლემარე ფარნები შეყუჟულიყვნენ. წამით გაჩერდა ნიკოლი, დაბნეულმა შეათვალიერა ფიჭვის ძირში ამოსული ზამბახები და დედოფლის ყვავალები, ვიდაცას თითქოს ძალიან ჩქარა, დაუდევრად მოეყარა პეშვით თესლები, ისე იყვნენ ახლართულები; ყური მიუვდო, — სახლიდან გაჯავრებული ზმა მოიხმა, ალბათ ძიძისა, რაღაცაზე თუ დაობდნენ. ხმაური მიწყდა, ზაფხულის ღამეს შეერია და ნიკოლი ისევ მიჰყვა ხეივანს, ვარდისფერი ღრუბლებივით გადაბუმბულულ კალეიდოსკოპურ იორდასალამებს, ყავისფერ და შავ ტიტებს, ფანჯრის რაფების ყვავილებივით იისფერღეროებიან უნაზეს ვარდებს ჩაუარა და უთვალავი ფერების სკერცო, გეგონება, გარკვეულ დაძაბულობას

მიადწიაო, უცებ თითქმის შუა გზაზე შეწყდა. ამას იქით ქვის დანიღობის საფეხურები სხვა მხარეს, ხუთი ფუტით ქვემოთ უხვევდა.

წყაროს გარშემო შემოწყობილი ფიცრები ნზიან დღეებშიც მტკიცედ იდგნენ. სრიალა იყო, გვერდით გაქრილ საფეხურებს აჰყვა ნიკოლი და ბაღში შევიდა. ჩქარა მიდიოდა, უყვარდა მოძრაობა, თუმცა, უფრო უმფოთველი ჩანდა და გამოუცნობიც, რადგან ბევრს არ ლაპარაკობდა, სიტყვები არა ჰყოფნიდა და არცა სჯეროდა სიტყვებისა, ხალხში ჩუმად იყო ხოლმე და ხანდახან თუ იტყოდა რამეს, თითქოს ხარკს უხდისო, ვთქვათ იუმორს, და — ძალიან მჭლედაც. მაგრამ როცა ამის გამო საუბარს ველარ აგრძელებდნენ, უცებ ჩაებმებოდა და ისე აჰყვებოდა, ციებცხელებიანივით, მერე კიდევაც უკვირდა ხოლმე და უცებ ისევ გაჩერდებოდა, ლამის მორცხვად, და მწევარივით, ძალზე მორჩილად, გეგონება, გაიფიქრა, ძალიან ბევრი გავაკეთე და მეყოფაო.

ბაღის სალუქი ფერის მწვანეში იდგა, როცა ბილიკზე თავისი ფლიგელისკენ მიმავალი დიკი დაინახა. ნიკოლმა შეიცადა სანამ დიკი თვალს მიეფარებოდა, ამოწვერილი სალათის მწკრივებს გაუარა და პატარა სამხეცესკენ წავიდა. მტრედების, ბოცვერებისა და თუთიყუშის ერთმანეთში შერეული კაღნიერი ხმები შეესმა, ნიკოლის დანახვაზე ახმაურდნენ ასე. აქედან გზა ისევ ქვევით, კლდის პარაპეტშემოვლებული გამოზნექილი მზრისკენ ეშვებოდა. ნიკოლი ზედ დაეყრდნო და გადაიხედა — შეიდასი ფუტის ქვევით ხმელთაშუა ზღვა ჩანდა.

ეს ადგილი და ეს გორაკიც ტარმის უძველეს დასახლებას ეკუთვნოდა. დაივერების ვილა და მისი შემოგარენიც გორაკების მოსაზღვრე და ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ათიოდე გლეხის პატარა სახლებისგან გაერთიანდა, ხუთი მათგანი ვილად გადაკეთდა, ხუთი სულაც აიღეს და იმ ადგილას ბაღი გააშენეს. გარშემოვლებული ზღუდისთვის ხელი არ უხლიათ და ამის გამო იყო, რომ ქვევით გაქრილი გზიდან თუ ამოხედავდით, ტარმის რუხ-იისფერი სახლებისა და ხეებისგან დაივერების კარ-მიდამო გამოცალკევებული არა ჩანდა.

ცოტა ხანსაც გაჩერდა ნიკოლი, ხმელთაშუას უყურებდა. თავისი მოუღლელი ხელებითაც კი აქაურობას ველარაფერს ვერ შემატებდა. იმ წუთში იყო, რომ ფლიგელიდან დიკი გამოვიდა, ხელში ტელესკოპი ეჭირა და კანსკენ მიემართა. ცოტაც და, ნიკოლი გამოჩნდა ტელესკოპში. დიკი ისევ ფლიგელში შებრუნდა და ახლა მეგაფონით გამოვიდა — ბევრი ამნაირი მექანიზმი ეყარათ სახლში.

„ნიკოლ!“ დაიძახა. „დამავიწყდა შეთქვა ჩემს ბოლო მოციქულებრივ შესტზე, მისიზ აბრამში მოვიწვიე, თეთრთმიანი“.

„ასეც ვიცოდი. უმსგავსობაა და სხვა არაფერი“.

თითქოს დიკის მეგაფონის გამოჯავრებით, სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა ხმა და ახლა უფრო ხმამალლაც გასძახა: „გაიგონე?“

„ჰო“. დიკმა მეგაფონი დაუშვა, მაგრამ მაშინვე ისევ გამეტებით მიიღო პირზე. „სხვებსაც მოვიწვიე, ვთქვათ, იმ ორ ჭაბუკს“.

„ჰო, კარგი“. დაუთანხმა ნიკოლი.

„მინდა ერთი ხმაურიანი სალამო გამოვიდეს, ჩხუბიც იყოს და ცთუნებებიც, ჭალებს გულიც კი მისდიოდეთ, ვილაცას რაღაც ეწყინოს და ისე წავიდეს. ნახავ, რაც იქნება“.



დიკი ისევ ფლიგელში შებრუნდა, მაგრამ ნიკოლი ხვდებოდა, ძველებურ ხასიათზე დამდგარიყო, მხიარულებაატანილი და აგზნებული, მერე რომ ყველას გადასდებდა თავის აგზნებას და ბოლოს კიდევ უმეტესად შეეცვლებოდა თავისებური მელანქოლიით, თვითონ დიკი მალავდა ამას, ნიკოლი კი გუმანით გრძნობდა, ყოველთვის გრძნობდა. მხიარულების მიზეზი კი ზოგჯერ სულაც უბრალო რამ ხდებოდა ხოლმე, ისიც ათასფრად შეფერილი, და ამისთანა დროს, სხვა იყო დიკი, რაღაცა ძალით ავსებული და ეს ძალა აიძულებდა სხვებს, აპყოლოდნენ და ჰყვარებოდათ. მხოლოდ ზოგ-ზოგნი, სუყველაფერი რომ ეეჭვებათ, ისინი თუ არ აპყვებოდნენ დიკის ამ ძალას. რეაქცია მერე იჩენდა ხოლმე თავს, როცა ფხიზლად შეაფასებდა თავის ახირებასა და არევას, ყველაფერ იმას, რაც ზედმეტი იყო და რაც სიცარიელეს უტოვებდა. უკან მიხედვისას, საკარნაეალო სიშმაგესა და შფოთს გაიხსენებდა და ძრწუნდებოდა, ისე როგორც ძრწუნდება ხოლმე ის სარდალი, ხოცვა-ჟლეტას რომ გასცქერის და იცის, მიზეზი თვითონვეა, სისხლმწყურვალი, გულისთქმას და ეინს აყოლილი.

ვინც მცირე ხნით მაინც მოხვდებოდა დიკ დაივერის სამყაროში, უკვე ვეღარ დაივიწყებდა იმ სამყაროს: ეჩვენებოდათ, რომ დიკს შემთხვევით არ გამოეყო სხვებისაგან და წლითიწლობით ჩაკარგულ იმათ მოწოდებასაც ჩახვედრილიყო. თავისი ყურადღებითა და ზრდილობით ყველას გულს იგებდა დიკი, მშვენივრად ამყარებდა ურთიერთობას და ამას ისე უშუალოდ და ისე იოლად ახერხებდა, ეფექტი ყველა მოლოდინს აჭარბებდა — საბოლოოდ ინადირებდა გულებს და მაშინ, გაუფრთხილებლად, ვიდრე ეს-ეს არის დამყარებული მეგობრობა რაიმეთი დაირღვეოდა, დიკი ფართოდ უღებდა კარს და უშვებდა მათ თავის წარმტაცად თავშესაქცევ სამყაროში. ვიდრე ყველა უსიტყვოდ და მთელი გულით მიჰყვებოდა ამ თამაშს, დიკის საფიქრალი მხოლოდ იმათი ბედნიერება თუღა იყო, მაგრამ ოდნავი ეჭვიც რომ შეპარვოდათ თამაშის გამო, დიკი ქრებოდა იმათ თვალწინ და ნატამალიდა თუ რჩებოდა იმისი, რაც თქვა, გააკეთა.

იმ საღამოს, რვა საათსა და ოცდაათ წუთზე, დიკი თავისი პირველი სტუმრების შესახვედრად გამოვიდა, საკმაოდ ცერემონიულად, თვალშისაცემად ეჭირა ხელში კოსტიუმი, ტორეადორი რომ გამოვა მოსასხამით, თითქოსდა ისე. როზმერისა და მისიზ სპირსს მიესალმა და ტაქტიანად შეიცადა, ვიდრე თვითონვე დაიწყებდნენ ლაპარაკს, რომ თავიანთი ხმით რწმენა შემატებოდათ და ახალ გარემოს გაშინაურებოდნენ.

მთის გრილი, სუფთა ჰაერიოთა და ტარმში ამოსვლით მოხიბლული როზმერი და დედამისი ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდნენ დაივერების საცხოვრისს. ხანდახან არაჩვეულებრივი ხალხის ღირსებები სავსებით ჩვეულებრივ გამოთქმაშიც ვლინდება ხოლმე და ვილა „დაიანას“ საგანგებო, თვალშისაცემი სრულყოფილებაც, ყველაფერი გულმოდგინედ რომ მოეფიქრებინათ, სულ უბრალო და მცირე რამეშიც კი ჩნდებოდა, ქთქვათ თუნდაც უდროო დროს უმიზეზოდ მოახლის გამოჩენა, ან საცობის უცბად ამოვარდნის ხმა. საღამოს გამო უკვე დელვაშეპარული პირველი სტუმრები ამათი ყოველდღიური ცხოვრების მოწმენიც გახდნენ — დაივერების ბავშვები ტერასაზე გუვერნანტთან ერთად ვახშობდნენ.

„რა მშვენიერი ბაღია!“ წამოიძახა მისიზ სპირსმა.

„ნიკოლის ბალი“, თქვა დიკმა. „თავს დასტრიალებს, აწუხებს ლამის თავისი ზრუნვით მცენარეებს, გამუდმებით იმაზე ფიქრობს, არ დაავადდნენ. აუ-  
ლაც არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონვე შეეყაროს რაღაცა და  
ჭრაქი, ან ფიტობტორია თუ სეპტორია“. როზმერისკენ შეტრიალდა, თითქოს  
დაემუქრა და, ხუმრობანარევი კილოთი, პატრონივით უთხრა, „მინდა რაიმე  
ვიღონო და თქვენს ჭკუა-გონებას ვუშველო, შლაპას გაჩუქებთ, პლაჟისათვის“.

ბალიდან სტუმრები დიკმა ტერასაზე გაიყვანა, კოქტეილისთვის. მოვიდა  
ერლ ბრედი და ძალიან გაუკვირდა როზმერის დანახვა. გეგონება წამოსვლი-  
სას სტუდიის კარიბჭესთან დატოვაო თავისი შერეკილობა, აქ უფრო სხვა ჩან-  
და იგი. წამით როზმერიმ დიკს შეაღარა, დიკთან ერლ ბრედი უხეშიც იყო და  
ცოტა ბრიყვიც. მაინც, ამ კაცის დანახვაზე თითქოს ისევ დენმა დაარტყა.

ბრედი შინაურულად ელაპარაკებოდა ბავშვებს, რომლებსაც ის იყო, ტე-  
რასაზე ევახშმათ და მოსულიყვნენ.

„ჰელო, ლანიე, რას იტყვი სიმღერაზე? შენ და ტოპსიმ მიმღერეთ რამე“.

„რა ვიმღეროთ?“ ჰკითხა ბიჭმა, საფრანგეთში გაზრდილი ყველა ამერი-  
კელი ბავშვივით სიტყვებს ესეც გაბმით ამბობდა.

„ის სიმღერა, „mon ami Pierrot“.

და-ძმა მაშინვე გვერდიგვერდ დადგნენ, არ დაუმორცხვებიათ, და სალა-  
მოს სიჩუმეში საყვარლად გაისმა მათი მკივანა ხმა:

მთვარის ნათელზე,  
ჩემო პიერო,  
მოყვასო, მომე  
ვალამი, ვწერო.  
სახთელი ჩაქრა,  
ცეცხლი არ არი  
ღვთის გულისათვის,  
გამიღე კარი.

სიმღერა გათავდა და ჩამავალი მზის სხივებით სახე შეწითლებული ბავ-  
შვები იდგნენ და შექებაზე მშვიდად იღიმებოდნენ. ვილა „დაიანა“ როზმერის  
სამყაროს შუაგულად ერგვნებოდა ახლა. ამისთანა ადგილას შეუძლებელი  
იყო რაღაცა უჩვეულო არ მომხდარიყო. ლამის შეხტა, როცა მოესმა, როგორ  
გაჭრიალდა ჭიშკარი ახალი სტუმრების შემოსვლისას. ერთბაშად შემოცვივ-  
დნენ ცოლ-ქმარი მაკისკოები, მისიზ აბრამზი, მისტერ დამფრი და მისტერ  
კემპიონი და მაშინვე ტერასისკენ გამოემართნენ.

როზმერის თითქოს პირში ჩალა გამოავლეს, იმედგაცრუებულმა სწრაფად  
შეხედა დიკს, გეგონება, ეკითხებოდა, რად შეეყარა ერთად ასეთი ჭრელი  
ხალხი, მაგრამ დიკს ისევ ისეთი იერი ჰქონდა, ახალ სტუმრებს ისე იღებდა,  
გეგონება ამაყობს კიდევაც ასეთი ღირსეული ხალხის მოსვლითო, აგრძნო-  
ბინებდა, რომ ყველას ძალიან აფასებდა და იმათ ჯერ კიდევ გამოუვლენელ  
ნიჭსა და უნარს მიხვედრილიყო, და იმდენად სჯეროდა დიკისა, იმავე წუთში  
თვითონაც გაიფიქრა, ცხადია, მაკისკო უნდა მოსულიყო.

„ჩვენ პარიზში შევხვდით ერთმანეთს“, მაკისკომ ეიბ ნორტს უთხრა.

ყოლთან ერთად თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა მათ ეიბი, „თანაც ერთხელ კი არა, ორჯერ“.

„მასსოვს, დიახ“, დაუდასტურა ეიბმა.

„კერძოდ, სად?“ არ დაკმაყოფილდა მაკისკო.

„მე ვფიქრობ, ეს იყო...“ დაიწყო ეიბმა, მაგრამ მხოლოდ მისი „არ მასსოვს სად“.



ერქვენული

ამ რამდენიმე ფრაზამ წუთიერი სიჩუმე შეავსო და როზმერიმ უნებურად იგრძნო, რომ ახლა მისწრება იქნებოდა ტაქტიანად ვინმეს ჩარევა, მაგრამ დიკი არც ცდილა ოდნავ რაღაცა შეეცვალა და ახალი სტუმრების მოსვლით შექმნილი უხერხულობა გაეფანტა. მარტო მისიზ მაკისკოს ქედმალღური ღიმილი რად ღირდა, მაგრამ დიკი არ ერეოდა, ეს არ იყო ახლა მთავარი, ისედაც თანდათან, თავისთავად გაიარკვეოდა ყველაფერი. ძალას იგი სხვა, უფრო საყურადღებო მომენტისათვის იკრებდა და ინახავდა, როცა შესაძლებელი იქნებოდა ახლებურად დანახვებოდა სტუმრებს და ეგრძნობინებინა მათთვის, რომ მშვენიერად აღგილას მოხვდნენ.

როზმერი ტომი ბარბანის გვერდით იდგა. ტომი ცუდ გუნებაზე იყო, გაღიზიანებული ჩანდა, მაგრამ თითქოს რაღაცა მიზეზიც ჰქონდა საამისო. როზმერის უთხრა, ხვალ მივდივარო.

„სამშობლოში?“

„სამშობლოში? მე არა მაქვს სამშობლო. ომში მივდივარ“.

„რა ომში?“

„რომელიმე ომში. კარგა ხანია ვაზეთი არ წამიკითხავს, ალბათ სადღაცა არის ომი, შეუძლებელია, სადმე არ ომობდნენ“.

„თქვენთვის რა, სულ ერთია, რისთვის იომებთ?“

„სავსებით, — ოღონდ კარგად მომექცნენ. ავირევი თუ არა და აღარ ვიცი რაღას მივაწყდე, დაივერების სანახავად მოვდივარ, რადგან ვიცი, ცოტა ხანში ომში წასვლა მომინდება“.

როზმერი შეცბა.

„მაგრამ თქვენ ხომ გიყვართ დაივერები?“

„რა თქმა უნდა, მეტადრე ნიკოლი, მაგრამ მავათ ნახვაზე ომში წასვლა მინდება ხოლმე“.

როზმერიმ სცადა გაეაზრა რაც ახლა უთხრეს, მაგრამ ვერ ჩასწვდა. დაივერებთან სიახლოვისას მას მხოლოდ ის სურდა, არასოდეს გასცლოდა მათ.

„თქვენ ნახევრად ამერიკელი ხართ“, ისე თქვა, თითქოს ამით ყველაფერს გაიარკვევდა.

„და ნახევრად ფრანგიც, გავიზარდე ინგლისში და მას მერე, რაც თვრამეტი წლისა ვავხდი, მოვასწარი რვა ქვეყნის ჯარში მემსახურა. მაგრამ იმედი მაქვს ჩემი სიტყვების გამო არ იფიქრებთ, თითქოს არ მიყვარდეს დაივერები. არ მინდა ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, ძალიან მიყვარს, მეტადრე ნიკოლი“.

„შეუძლებელია არ გიყვარდეს დაივერები“, მშვიდად თქვა როზმერიმ.

უცბად მოუნდა ამ კაცს გასცლოდა, მოეჩვენა თითქოს რაღაცა უსიამოვნო ჰქონდა ხმაში, როზმერი აღმერთებდა დაივერებს და არ უნდოდა ტომი ბარბანს თავისი ცინიზმით შეებლალა მისი გრძნობა; გაუბარდა, რომ მის გვერდით არ იჯდებოდა სადილზე. სხვებთან ერთად ბაღში გაშლილი სუფრისკენ მიმავალს ჯერ ისევ ჩაესმოდა სიტყვები, „მეტადრე ნიკოლი“.

ბილიკზე მიმავალი, დიკ დაივერთან ახლო აღმოჩნდა. ისეაა მშვიდი და ურყევი ჩანდა, თუ რამ ექვი ჰქონდა, მაშინვე გაუქრა, დიკს არაფერი შეეძლებოა. ბოლო წელიწადში, და ეს წელი მისთვის მთელ ცხოვრებას უდრიდა, როზმერის ფულიც ჰქონდა და სახელიც საკმაოდ გაითქვა, საბუნებისმეტყველო ხალხსაც ხვდებოდა და ეჩვენებოდა, რომ ისინი მხოლოდ გადრეხულნი არ არიან, არც ისინი იყვნენ იმათი, ვისაც ექიმის ქვრივი და მისი ქალიშვილი პარიზის hôtel pension<sup>1</sup>-ში ხვდებოდნენ ხოლმე. რომანტიკული ბუნება ჰქონდა, მაგრამ რომანტიკისთვის მის ცხოვრებაში არც დრო იყო და არც ვასაქანი. მისი სპირსმა გადაწყვიტა თავისი ქალიშვილისათვის კარიერა შეექმნა და არ დაუშვებდა, რომ როზმერი წუთიერ, არასაიმედო გატაცებას და ყველა მხრიდან მოსალოდნელ ცდუნებას აპყოლოდა. თვითონ როზმერიმაც უკვე გაიარა ეს ხანა, კინოსა და ილუზიების სამყაროში იმყოფებოდა, მაგრამ ცხოვრებით არ ცხოვრობდა ილუზიებით და როცა საბუნებო შეატყო დედას, რომ მოეწონა დიკ დაივერი, მამ ყველაფერი რიგზე იყო და შეეძლო თავის გულს მიჰყოლოდა.

„გიყურებდით“, უთხრა დიკმა და როზმერიმ იცოდა, არ ტყუოდა. „ძალიან შეგვიყვარდით ყველას“.

„მე კი მაშინვე შემიყვარდით, როგორც კი გნახეთ“, ჩუმად წარმოთქვა. დიკმა ვითომ ვერ გაიგონა, ვითომ მისი სიტყვები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ქათინაური ყოფილიყო.

„ახალ მეგობრებთან“, ისე თქვა, გეგონება ძალიან საყურადღებო რამეს ეუბნებაო, „ხშირად უკეთესადა ხარ, ვიდრე ძველებთან“.

ეს რემარკა, რომლის აზრსაც როზმერი მაინცდამაინც ვერ ჩასწვდა, დიკმა მაშინა თქვა, როცა უკვე მაგიდას უსხდებოდნენ, ბინდი წვებოდა, მაგრამ თანდათან ანთებული ფარნების შუქზე მკაფიოდ ჩნდებოდა იქაურობა. სინარჯის ყრუანტელმა დაუარა, როცა დაინახა, რომ დიკმა მარჯვნივ მოისყა დედამისი. თვითონ იგი ბრედისა და ლუის კემპიონს შუა მოხვდა.

გრძნობამორეული, ბრედისკენ შეტრიალდა, უნდოდა გული გადაეხსნა, მაგრამ დიკი ახსენა იუ არა, ბრედიმ ისე შეხედა, როზმერი მიხვდა, მისი მოძღვარი ვერ იქნებოდა. თავის მხრივ, როცა ბრედიმ სცადა ხელი ხელზე მოეკიდა, როზმერიმ ხელი არ დაანება, ასე რომ, ვიდრე აიშლებოდნენ, მხოლოდ კინოზე ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად, ბრედი ლაპარაკობდა კინოზე. როზმერი კი თავაზიანად უსმენდა, თუმცა გონება სხვაგანა ქროდა და თვითონვე მიხვდა, არ შეიძლება ბრედის არ ეგრძნო; შეუცნობლად ამთლიანებდა აზრს მხოლოდ იმით, რაც დროდადრო თუ ჩაესმოდა და ეს შველოდა, როგორც ხანდახან საათის რეკვას გაივონებ, არ გაგიგია რამდენჯერ დარეკა, მაგრამ გონებაში ჩაბეჭდილა და რიტმით აღადგენ.

VII

როზმერიმ პაუზით ისარგებლა, ნიკოლი ტომი ბარბანსა და ეიბ ნორთს შუა იჯდა და იქით გაიხედა. მისი მბზინავი წაბლისფერი, ჩაუს ბეწვისნაირი თმა

<sup>1</sup> ოტელ-პანსიონი (ფრანგ.).

სანთლებისა და ფარნების შუქზე ჭაფიჭით ჩანდა. ნიკოლის მკლერ ხმასა და მაღლიმალ შეწყვეტილ ლაპარაკს როზმერიმ მოხუსხულივით მოუგდო ყური.

„საწყალი“, წამოიძახა ნიკოლმა, „რა აბირებაა კაცის მუსიკა გახერხვა?“

„მინდოდა მენახა რა ჰქონდა ოფიციალტს შიგნით. თქვენ არ გაინტერესებთ რა არის ოფიციალტის შიგნით?“

„ძველი მენიუები“, ივარაუდა ნიკოლმა. იცინოდა, „დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები, ფული, ფანქრის ნაღრღენი“.

„ნაღრღენი — მაგრამ ამას მეცნიერული დასაბუთება სჭირდება, მერე კიდევ ხერხი ხომ ჩვეულებრივი არ იყო, არამედ მუსიკალური, მთელი ეშხიც ამაშია“.

„თქვენ, რა, ოპერაციის დროს დაუკრავდით იმ ხერხით?“ ჩაეკითხა ტომი.

„აქამდე აღარ მისულა საქმე, ყვირილმა შეგვიშალა ხელი, შეგვეშინდა, ვიფიქრეთ, წელში გადაწყდებო“.

„მაინც ძალიან უცნაურია, მე ვერ გავიგე“, თქვა ნიკოლმა. „მუსიკოსს სურს გამოიყენოს სხვა მუსიკოსის ინსტრუმენტი, რათა...“

საათზე მეტ ხანს ისხდნენ სუფრასთან და ამ ხნის მანძილზე შესამჩნევი ცვლილება მოხდა — ყველამ თითქოს რაღაც მოიცილა, რაღაცა მოეხსნა — ზრუნვა, წუხილი თუ ეჭვი, ახლა მხოლოდ დაივერების სტუმრები იყვნენ, თავისთავადები, ბუნებრივები, რაც კი რამ კარგი ჰქონდა ყველას, ახლა ეხატათ სახეზე და გულგრილობა და მოწყენა კი ის იქნებოდა, მასპინძლებისთვის ეწყენინებინათ და თავგამოდებით ცდილობდნენ ეს არ მომხდარიყო. ამიტომ იყო, რომ როზმერის ახლა თითქმის ყველა უყვარდა, გარდა მაკისკოსი, რომელმაც აქაც მოახერხა გარიყულიყო, თუმცადა, იმდენად ჯიბრისა და სიყვარულის გამო კი არა, უფრო იმიტომ, რომ საღამოს დაწყებისთანავე კარგ გუნებაზე დადგა და გადაწყვიტა ღვინით შეენარჩუნებინა ეს გუნება. მარჯვნივ ერლ ბრედი ეჯდა და იმის გასაგონად მაკისკომ რამდენიმე გამანადგურებელი შენიშვნა გამოთქვა კინოს თაობაზე, მარცხნივ მჯდომ მისიზ აბრამზს კი არც დალაპარაკებია, საერთოდ არ ამჩნევდა; ბოლოს სკამის ზურგს მიეყრდნო და დიკ დაივერს შემმუსვრელი, ირონიული ღიმილით მიაშტერდა, ოღონდ ხანდახან თვითონვე აფუჭებდა ეფექტს იმით, რომ მაგიდის იქითა მხარეს მჯდომი დიკის საუბარში ჩაბმას ცდილობდა.

„თქვენ, მგონი, ვენ დენბი ბიურენის მეგობარი ხართ?“

„მე მგონია ეგეთს არავის ვიცნობ“.

„მე ყოველთვის მეგონა, რომ მისი მეგობარი იყავით“, არ იშლიდა მაკისკო.

მისტერ ვენ ბიურენზე იძულებით ლაპარაკი ყელში ამოუვიდა და მაკისკომ ახლა სხვა თემაზე სცადა საუბრის გაბმა, მაგრამ ისევ ფიასკო განიცადა, დიკი თავაზით ეკიდებოდა და ისე უსმენდა, მაკისკო იმთავითვე პარალიზდებოდა ხოლმე და თავისივე მიზეზით შეწყვეტილ საუბარს უკვე უიმისოდ, სხვები აგრძელებდნენ, იმ სხვების ლაპარაკში ჩარევაც სცადა, მაგრამ ეს ცარიელი ხელთათმანის ხელის ჩამორთმევასა ჰგავდა და ბოლოს და ბოლოს, ბავშვებთან იძულებით ყოფნა რომ უხდება, იმ მოზრდილივით, ხელის ჩაქნევა ამჯობინა, და შამპანურზე დადიტანა მთელი თავისი ყურადღება.

დროდადრო როზმერი თვალს ყველას ისე მოავლებდა, ისე უნდოდა გაეხარათ, თითქოს სუყველა იმისი გერი გახდებოდა მომავალში. ფერმკრთალ მიხაკებში ჩადგმული ლამპის შუქი მისიზ აბრამზის „ქვრივ კლიკოთი“ ავარდისფერებულ სახეს ეფინებოდა და ახალგაზრდულ იერს მატებდა. კარგ გუნებაზე

იღვა. გვერდით მისტერ როიალ დამფრთხი ეჭდა, დამფრთხის ქალიშვილივით სან-  
ლომიანი სახე საღამოს ლეიპმურ ვითარებაში იმდენად აღარ გხვდებოდა  
თვალში. ამათ მერე კიდევ — ვაიოლიტ მაკისკო, რომელსაც, რაც ბუნება  
კარგი უბოდა, ახლა აშკარად სახეზე ენატა და თავს არ იტეხდა იმაზე, ~~ფიქრული~~  
რომ კარიერისტის ცოლი იყო, თანაც ისეთის, ვერაფერსაც რომ ვერ ~~აღწევდა~~

მერე დიკი — სუყველა რომ კარგ გუნებაზე დააყენა და თავის თავზე  
რომ აელო ყველას მოწყენა, ზრუნვა-წუბილი; ისევე ისეთი, — ამ საღამოზე ფიქ-  
რით მოცული.

მერე დედამისე — იდეალური, როგორც ყოველთვის.

მერე, ბარბანი, დედამისთან მოლაპარაკე, და ახლა ისევე მოეწონა როზმე-  
რის იგი. მერე ნიკოლი. როზმერის ახლა რაღაც სხვაგვარი ეჩვენა და გაიფიქ-  
რა, ნიკოლზე ლამაზი ქალი არ მინახავსო. ვიკინგების მადონასა ჰგავდა, და  
განათებულ სივრცეში თეთრად მორიალე მუმლის მიღმა ფიჭვებში ჩაკარგუ-  
ლი ფარნების შუქი ნათელსა ჰფენდა. წყნარად იჯდა, ძალიან წყნარად, ეიბ  
ნორთი თავის მორალურ კოდექსს უხსნიდა: „რა თქმა უნდა, მე მაქვს ჩემი მო-  
რალური კოდექსი“, დაჯინებით ამბობდა, „არ შეიძლება ადამიანს თავისი  
მორალური კოდექსი არ ჰქონდეს. ჩემი ის არის, რომ ვერ ვურიგდები ჯა-  
დოქრების ცეცხლზე დაწვას, და როცა გავიგებ, რომ სადღაცა ჯადოქარი დაწ-  
ვეს, თავსა ვკარგავ“. როზმერიმ ერლ ბრედისაგან იცოდა, რომ ეიბი მუსიკოსია,  
თავიდან შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წელია აღარაფერი შე-  
უქმნია.

შემდეგი კემპიონი იყო, ამან როგორღაც შეძლო მოეთოჯა თავისი აზი-  
რება და ყველას მიმართ უანგარო ინტერესს იჩენდა. მერე მერი ნორთი, რომ-  
მელსაც სახე გაბრწყინებოდა და ისე ხალისით იცინოდა იმ თავისი სარკესავით  
თეთრი კბილებით, გახსნილ ბაკეში ისე ჩაღვროდა სიამოვნება, გინდა, არ  
გინდა, გაიღიმებდით.

და ბოლოს ბრედი, თანდათანობით უფრო გულწრფელი. ამას ხომ ერთი  
ის ზნეც სჭირდა, რომ სულიერი სიჯანსაღით მოჰქონდა თავი; არადა ასეთ სი-  
ჯანსაღეს სხვათა მიმართ გულგრილობით ინარჩუნებდა, იმ სხვათა სუსტი მზა-  
რეების არად ჩაგდებით. ახლა ამ ზნესაც თავაზიანობა სჭარბობდა.

როზმერისთვის, თავისი უშუალობითა და მიმნდობი ხასიათით მისიზ  
ბერნეტის ერთი ოპუსის გმირს რომ წააგავდა, ეს საღამო შინ დაბრუნებას,  
ზღვარდაუდებელი იუმორის მერე დასვენებას უდრიდა. ბალში, სიბნელეში  
ციცინათელები აინთნენ. სადღაც ქვევით, გორაკის ძირში ძალი აყეფდა. მე-  
ქანიკური საცეკვაო მოედანივით მაგიდა თითქოს ოდნავ მოსცილდა მიწას,  
გარშემო მსხდომთ ეგონათ, სამყაროს სიბნელეში ისხდნენ, რაც ქვეყნიერებაზე  
საზრდო გადარჩა, აქ იყო და თვითონ შეექცეოდნენ, რაც სითბო იყო სამყა-  
როში, ამათ ათბობდა. მისიზ მაკისკომ რაღაც საკვირველად, ჩუმად გაიცინა  
და თითქოს ეს სიცილი იმას მოასწავებდა, რომ მიწას უკვე საბოლოოდ მოწყდ-  
ნენ, ორივე დაივერმა ალერსსა და ზრუნვას უმატა, ეფერებოდნენ თავიანთ  
სტუმრებს, ისედაც რომ ნეტარებდნენ ამდენი ქებით, ეგება რაღაც დარჩათო  
ძირს მიწას მოწყვეტილებს და ამისათვის მოფერებით უნდოდათ, რომ ხარკი  
გაეღოთ. ყველას თავიანთ მეგობრობასა და სიყვარულში აჯერებდნენ, სათითა-  
ოდ, და იმ წუთებში მათი მაცქერალი სახეები საშობაო ნაძვის ხის საწყალო-  
ბელი ბავშვების სახეებს ჰგავდა. მერე ყველაფერი უცბად შეწყდა — სადი-

ლობა მოთავდა. ზეიმურობამ, ჩვეული მხიარულებიდან სტუმრები ამაღლებული გრძნობების სამყაროში რომ აიყვანა, მანამდე გაიარა, ვიდრე იქაური პაერი მოხვდებოდათ, ვიდრე გაიანრებდნენ, რომ იმ სამყაროში ავიდნენ უკვე.

ეროვნული

სამხრეთული ცხელი ღამის სიბნელეს შეპარული მგზავნი მუხადან ახრდილივით მოიწვევდა და, ახლა დაივერებში გადავიდა და ამათ შეენივთა.

როზმერიმ გაიგონა ნიკოლისა და დედამისის საუბარი. ნიკოლი დაჟინებით სთხოვდა როზმერის დედას უარი არ ეთქვა და საჩუქრად მიეღო პატარა ყვითელი ჩანთა, რომელიც დედამისს ძალიან მოსწონდა. „ვისაც მოსწონს, იმისი უნდა იყოს“, ღიმილით ეუბნებოდა და რაც ყვითელი ფერის რამ ხელთ მოხვდა, შიგ უყრიდა — პატარა ფანქარს, პომადას, პატარა ყვითელ უბის წიგნაკს — „ეს იმიტომ, რომ ერთმანეთს უხდება“.

ნიკოლი გაქრა და როზმერიმ შეამჩნია, დიკიც აღარ იყო იქ; სტუმრებიდან ზოგი ბალში, ზოგიც ტერასისკენ წავიდა.

„არ გინდათ სააბაზანოში შესვლა?“ ვაიოლიტ მაკისკომ ჰკითხა როზმერის. როზმერის ახლა იქ წასვლა არ უნდოდა.

„მე კი შევალ“, თქვა მისიზ მაკისკომ. „მე მჭირდება იქ შესვლა“. და ყველანაირ პირობითობას აგდებულად რომ უყურებს, იმ ქალივით, თამამად გასწია იქით.

როზმერიმ თვალი გააყოლა, არ მოეწონა ეს საქციელი.

ერლ ბრედიმ ზღვისპირა კედლისკენ ჩასვლა შესთავაზა, მაგრამ როზმერიმ გადაწყვიტა. უკვე დიკოსთვის ეწილადა დრო, დიკის გამოჩენას დაელოდა და მაკისკოს ბარბანთან კინკლაობას მიუგდო ყური.

„რად გინდათ საბჭოების წინააღმდეგ იომოთ?“ ეკითხებოდა მაკისკო. „მე ვფიქრობ, კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი ექსპერიმენტიცაა, ხოლო რიფები? მათი რესპუბლიკა? ჩემი აზრით, თუ ბრძოლაა და გამირობაა, იმათთვის მაინც იბრძოლოს კაცმა, ვის მხარეზეც სიმართლეა“.

„ეგ როგორ უნდა გარკვიო?“ მშრალად ჰკითხა ბარბანმა.

„ყველა გონიერმა კაცმა იცის“.

„თქვენ კომუნისტი ხართ?“

„სოციალისტი ვარ“, თქვა მაკისკომ, „მე თანაგუგრძნობ რუსეთს“.

„მე კი ჯარისკაცი ვარ“. მხიარულად თქვა ბარბანმა. „ჩემი ბიზნესი ხალხის კვლავ ვებრძოდი რიფებს იმიტომ, რომ ევროპელი ვარ, კომუნისტებს ვებრძვი იმიტომ, რომ საკუთრება უნდათ წამართვან“.

„აბა, იცით რას გეტყვიო...“ მაკისკომ აქეთ-იქით გაიხედა, ბარბანის გონებაშეზღუდულობის აგდება უნდოდა. მაგრამ არავინ აუბა მხარი. ვერ გაეგო რისთვის შეეჯახა ბარბანს, მისი იდეების სიმართლისა და შეზღუდულობის გამო არა, არც მისი წარმომშობისა და აღზრდის სირთულე იყო მიზეზი, მაკისკომ იცოდა რას ნიშნავდა იდეები და ჭკუა-გონების განვითარების პროცესში ბევრი იდეა შეიცნო და დაახარისხა კიდევაც თავისთვის, მაგრამ ამ „რეტიანს“ როგორც თავისთვის შეარქვა ბარბანს, არც ერთი მისთვის ცნობილი იდეა არ გააჩნდა, თუმცა ვერც თავის უპირატესობასა გრძნობდა ბარბანის მიმართ და ამიტომ, მაშინვე ჩაეჭიდა მისთვის ხელსაყრელ დასკვნას: ბარბანი ძველი დროის გადმონაშთი იყო და დიდ ვინმეს არ წარმოადგენდა. ამერიკელ არისტოკრატასთან კონტაქტისას მაკისკოს ის შთაბეჭდილება შეექმნა, რომ უგერგილო

და საეჭვო სნობიზმი სჭირდათ, არხეინობა უმეცრების გამო და ერთგვარი უხეშობა, ინგლისელებისაგან რომ გადაეღოთ, მაგრამ უიმფაქტოროდ, რითაც ინგლისურ ფილისტერობასა და ინგლისურ უხეშობას აზრი ეძლევა და ეს სუფიველა გადატანილი იმ ქვეყანაში, სადაც სულ მცირე ცოდნასა და თავისუფლებისადაც ყველაზე მეტად, ვიდრე სხვაგან, ფასი ედება, ერთი სიტყვით, იმ პოზიციანზე დადგა, რომლის აპოგეადაც 1900 წლის „პარვარდის სტილი“ ითვლება. ერთ-ერთ ასეთად მიიჩნია ბარბანი. ღვინო მალე მოეკიდა და შიში ამ ტიპის ხალხის მიმართ რომ ჰქონდა, გაუქრა და გათამამდა.

როზმერის რატომღაც რცხვენოდა მაკისკოს გამო; თავისთვის იჯდა, მაგრამ დიკის მოლოდინში ცეცხლი ეკიდა. სუფრიდან ბარბანის, ეიბის და მაკისკოს გარდა, ყველა წამოიშალა, როზმერი ხედავდა აქეთ-იქით ჩარგული მურტითა და გვიმრით ჩრდილდაფენილ ბილიკსა და ქვის ტერასას, განათებული კარის ფონზე ნათლად იკვეთებოდა დედამისის სახე, როზმერი სიყვარულით შესცქეროდა მას და ის იყო, წამოიწია, რომ იქით წასულიყო და ამ დროს მისიზ მაკისკო შემოვარდა აქოშინებული.

აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. ისე უხმოდ გამოსწია სკამი და დაჯდა, ისე გაშტერებით იყურებოდა და ისე უშრებოდა პირი — თითქოს თქმა უნდა და ვერ ამბობსო, ცხადი იყო, რაღაც იცოდა, და ბუნებრივია, როცა ქმარმა ჰკითხა, რა მოხდაო, ვაიოლიტ, ყველა მას შეაცქერდა.

„ჩემო ძვირფასო... არა, არაფერი, არ შემიძლია, ვერ ვიტყვი, ძალა არ მყოფნის“.

„დამშვიდდით, თქვენ მეგობრებში ხართ“, უთხრა ეიბმა.

„იქ, ზევით ისეთ სცენას შევესწარი...“ თავი საიდუმლოდ გადააქნია და თითქოს ენა დაიბაო, და სწორედ დროზე, რადგან ბარბანი წამოდგა და თავაზიანად, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად მიმართა:

„არ გირჩევთ გამოთქვათ თქვენი შენიშვნები იმაზე, თუ რა ხდება ამ სახლში“.

### VIII

ვაიოლიტმა ერთი ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ამოიოხრაო, და სცადა მშვიდად გამოეხედა.

ბოლოს დიკიც მოვიდა და თითქოს ინსტინქტმა უკარნახა, ბარბანსა და ცოლ-ქმარ მაკისკოებს შუა ჩადგა და მაკისკოს ცოდნას მოწყურებული უმეცარი კაცის სახით, ლიტერატურაზე გაუბა საუბარი, ამით დიდი სიამოვნებაც შეიანიჭა მოსაუბრეს, მაკისკოსთვის უპირატესობა ცოტა რამ როდი იყო. სხვებს ლამპების სახლში შეტანა სთხოვა, ამაზე უარს ვინ იტყოდა — ლამპებით ხელში ბნელი ბაღი რომ გაეარათ. როზმერიმაც აიღო ლამპა, გზად მოთმინებით უსმენდა როიალ დამფრის, პოლივუდზე რომ ეკითხებოდა ათას რაღაცას და პასუხსაც აძლევდა.

აბლა კი, ფიქრობდა როზმერი — შეიძლება ცოტა ხნით მარტო დავრჩე მასთან. არ შეიძლება თვითონ არ გრძნობდეს, იმასაც ხომ ის კანონები აქვს ცხოვრებაში, რომლებიც მე დედამ მასწავლა.

მართალი იყო — სულ მალე დიკი სხვებს გამოეყო და მარტო აღმოჩნდნენ ტერასაზე. მაშინვე წასვლა მოუხდათ და ზღვისკენ დაქანებული ხრამის-



კენ დაშვება, იქით საფეხურები ცოტა იყო და როზმერი ხტებდა ალაგ-ალაგ.

პარაპეტიდან ხმელთაშუა ზღვას უყურებდნენ. ქვევით, ლორანსის კუნძულიდან, ყურეში გვიან შემოსული პატარა სამოგზაურო ხომალდი, ოთხი ევლისის დღესასწაულზე საპაერო ბუშტი რომ მოწყდება და ხევ-ხევით წავა, ისე უფეხურივით ჩანდა, ჩამუჭებულ პატარა კუნძულებშუა მიდიოდა და მუქ დინებას რბილად აპობდა.

„გასაგებია, ყოველთვის სიყვარულითა და აღტაცებით რომ ლაპარაკობთ დედაზე“, უთხრა დიკმა. „მზე ამოსდის თქვენზე. ამერიკაში იშვიათად შეხვდებით ამისთანა გონიერ დედებს“.

„დედაჩემი მშვენიერია“, ლოცვასავით წარმოთქვა როზმერიმ.

„ერთი რამ მოვიფიქრე და გავუზიარე კიდევაც. მითხრა, რომ არ იცის რამდენ ხანს დარჩებით საფრანგეთში, რომ ამას თქვენ გადაწყვეტთ“.

თქვენ, კინალამ ხმამაღლა თქვა როზმერიმ.

„ჰოდა, რაკი აქ უკვე ყველაფერი დამთავრდა..“

„დამთავრდა?“ იკითხა როზმერიმ.

„ტარმს ვგულისხმობ. წლევეანდელი წლის ზაფხული მიილია. წინა კვირაში ნიკოლის და გაემგზავრა, ხვალ ტომი ბარბანი მიდის, ორშაბათსაც ეიბ და მერი ნორთები მიდიან. ამ ზაფხულს იქნებ ბევრი კარგი რამაც გველის კიდევ, მაგრამ აქ არა, მინდა კარგად ჩათავდეს ყველაფერი, ხალისიანად და არა სანტიმენტალურად, ამისთვის გავმართე ეს საღამო. მე და ნიკოლი პარიზში მივდივართ, ეიბ ნორთი ამერიკაში ბრუნდება და გავაცილებთ. ხომ არ წამოხვალთ?“

„დედამ რა თქვა?“

„შესანიშნავი აზრიაო, ოღონდ თვითონ არ სურს წამოსვლა, უიმისოდ მოგიწევთ“.

„რაც მოვიზარდე, პარიზში აღარ ვყოფილვარ“, თქვა როზმერიმ. „კარგია, თქვენთან ერთად ვიქნები“.

„მიხარია, რომ ამას მეუბნებით“, ხომ არ მოესმა როზმერის, რომ ხმამ უცებ თითქოს ლითონივით გაიქვრივალა? „რა თქმა უნდა, მაშინვე ყველამ შეგამჩნიეთ, როგორც კი პლაჟზე გამოხვედით; პროფესიული ხალისი გეტყობოდათ და მივხვდით, მსახიობი იყავით, ყველაზე უფრო ნიკოლი მიხვდა. ასეთი ხალისი ერთს კი არა, მთელ კომპანიასაც კი ეყოფა“.

უნებურად მიხვდა როზმერი, დიკი განგებ ახსენებდა ნიკოლს, შეემზადა, დანებებას არ აპირებდა და მიუგო:

„მეც მაშინვე მომიხდა ყველას გაცნობა — მეტადრე თქვენი. ხომ გითხარით, მაშინვე შემიყვარდით, დაგინახეთ თუ არა“.

სვლა კარგად იყო მოფიქრებული. მაგრამ ცასა და ზღვას შუა სივრცის უსაზღვროებამ სიფხიზლე მოჰგვარა დიკს, გაუნელა აგზნება, რამაც აქეთ წამოაყვანინა როზმერი, უკეთ ჩახვდა ზედმეტად გულახდილ ძახილს, იგრძნო ამ შეუმზადებელი სცენის ხიფათი, რაც დაუსწავლელ სიტყვებშიაც გამოსჭვიოდა.

შეეცადა როზმერის თვითონვე მოსურვებოდა მიბრუნება, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, არც დაკარგვა უნდოდა მისი. თითქოსდა ცივმა ყრუანტელმა დაუარაო, როცა დიკმა გულლიად და მისთვის ჩვეული ხუმრობით უთხრა:

„თვითონაც არ იცით რა გინდათ, წადით, დედას ჰკითხეთ და ის გეტყვით“.

იფიქრა, დამბლა დამეცათ, სახელოზე მოჰკიდა ხელი, სასულიერო პირის შესამოსელივით გლევი ქსოვილი მოხვდა ხელთ. კინალამ ჩაიკიცა მარჯვნივ, რამ თავი შეიმაგრა და ერთხელაც სცადა გასროლა:

„თქვენ ჩემთვის ყველაზე შესანიშნავი ადამიანი ხართ, ვისაც კი ოღესმე შევხვდებივარ — დედაჩემის მერე“.

„რომანტიკულად უყურებთ ყველაფერს“.

დიკმა გაიცინა და ამ გაცინებამ აიყვანა ორივენი ისევ ზევით, ტერასაზე, სადაც როზმერი ნიკოლს ჩააბარა დიკმა...

მალე დამშვიდობების დროც დადგა. დაივერებმა იმაზეც იზრუნეს, რომ არავინ გაწვალებულებოდა და შინ ყველა მშვიდობით მისულიყო. ტომი ბარბანთან ერთად — რომელსაც თავისი ბარგიც მიჰქონდა, რათა ოტელში გაეთაღა ღამე და დილით მატარებლისთვის მიესწრო, დაივერების დიდ „იზოტაში“ ჩასხდნენ მისიზ აბრამზი, ცოლ-ქმარი მაკისკოები და კემპიონი. ერლ ბრედი მონტე-კარლოში მიემგზავრებოდა, როზმერი და დედამისი ჩაისეა მანქანაში, ამათ მიიყვანდა და მერე გააგრძელებდა თავის გზას. როიალ დამფრიც ამათთან ჩაჯდა, რადგან დაივერების მანქანაში მეტი ადგილი აღარ იყო. ბაღში, მაგიდასთან, სადაც ისადილეს, ისევ ისე ენთო ფარნები, დაივერები გვერდი-გვერდ იდგნენ, ჰიმკრის ახლო, ნიკოლი ღიმილად ქცეულიყო და მომხიბვლელივით ავსებდა ღამეს, დიკი ყველას სახელს ამბობდა და მშვიდობის ღამეს უსურვებდა. როზმერის ტკივილმა გაჰკრა გაფიქრებაზე, რომ თვითონ აქედან წავიდოდა, ისინი კი თავიანთ სახლში რჩებოდნენ ერთად. მერე ისევ მისიზ მაკისკო გაახსენდა, რა დაინახაო ნეტავ.

IX

ერთადერთობით მოწყენილ ვარსკვლავს, მჭვირვალედ ბნელი ღამე ეკიდა. წინ მიმავალი „იზოტას“ საყვირის ხმას დახუთული ჰაერი ახშობდა. ბრედის შოფერს ნელა მიჰყავდა მანქანა. „იზოტას“ უკანა ფარები ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე გზის მოსახვევებში და მერე სულაც მიეფარებოდა თვალს. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, გზის პირას იდგა, ბრედის შოფერმა სელა შეანელა, მაგრამ იმავწამს ისიც დაიძრა ადგილიდან, ოღონდ ისე ნელა, რომ იოლად გაასწრეს. ჩაელისას რაღაც ხმაური მოესმათ რესპექტაბელური ლიმუზინიდან და დაინახეს, რომ დაივერების შოფერს თავისთვის ეცინებოდა მალე გაასწრეს. მანქანამ სისწრაფეს უმატა, მიჰქროდა გზაზე და გაწოლილ სიბნელეს შიგნავდა. ბოლოს რამდენჯერმე მოსახვევებში თავქვე დაეშვნენ და გოსის ვეება ოტელთან გაჩერდნენ.

როზმერის სამი საათით ჩაეძინა, მერე კი რული აღარ მიჰკარებია. იწვა და მთვარიან ღამეს გაჰყურებდა. ერთტიკულ სიბნელეში გახვეულს თავიანთი სავარაუდო შეხედრები ელანდებოდა. ეს შეხედრები ბოლოს ატყილებლად კოცნით თავდებოდა, მაგრამ კოცნა რაღაცა უსიცოცხლო იყო, გეგონება, კინიაშიაო. ვერ ისვენებდა, ტრიალებდა, ეს მისი პირველი უძილო ღამე იყო, სცადა დედამისივით ეფიქრა ყველაფერზე, ზოგი რამ წინანდელი საუბრები-

დაც გაახსენდა, ცნობიერებაში ბუნდოვნად რომ ჩარჩენოდა და ცხოვრებაში გამოუცდელს ცოტათი ახლა ესეც შევლოდა.

როზმერი თავიდანვე მიაჩვიეს საქმეზე ფიქრს, ასე აღზარდეს. ორჯერ დაქვრივების მერე მისიზ სპირსმა, რაც რამ გააჩნდა, ყველაფერი შექნის სიზრდას მოახმარა, თექვსმეტისა რომ შეიქნა და ყვავილივით გაიშალა, მომხიბლავი და მშვენიერთმიანი, დედამ იგი ექს-ლე-ბენში წაიყვანა და მიწვევას არ დალოდებია, ისე მიაყენა კარზე იქ სამკურნალოდ ჩასულ ცნობილ ამერიკელ პროდიუსერს, მერე კი, ამერიკელი პროდიუსერი ნიუ-იორკს გაემგზავრა და დედა-შვილიც თან გაჰყვა.

„შენ უფრო საქმისთვის გაგზარდეს, და არა იმისთვის, რომ აუცილებლად გათხოვდე. ახლა შენ პირველი და კარგა მაგარი კაკალი ნახე, ისეთი, გატეხვა რომ ღირს, მიდი და სცადე, არ შეშინდე. გამოვა რამე, ხომ კარგი, არ გამოვა და არც მაგით წააგებ, გამოცდილებას შეიძენ, ეგებ ტანჯვის ფასიდაც, შენი თუ სხვისი, მაგრამ ეგ არაფერი. ქალიშვილი ხარ, მაგრამ შემოსავლით — თავისთავადი, და ამ მხრივ ტაბუკი უფრო გეთქმის“.

როზმერი ბევრ ფიქრსა და სჯას მიჩვეული არ იყო, მხოლოდ დედის სრულყოფაზე თუ ფიქრობდა ხოლმე, — მაგრამ ახლა თითქოს საბოლოოდ მოსცილდაო დედას, ველარა და ველარ დაეძინა. ირიყრაჟა თუ არა და შეშინულ კარს, გვეგონება, ცა ზედ მიეკრა, როზმერი ადგა და ტერასაზე გავიდა ფეხშიშველი. ქვის იატაკი თბილი იყო გუშინდელ მზისგან. პაერში საკვირველი ხმები ირეოდა, რალაცა ჩიტო თითქოს ნიშნისგებით ახშიანდა ჩოგბურთის კორტზე და არა და აღარ ჩერდებოდა. ოტელის უკანა მხარეს ვილაცის ნაბიჯები კვალავ და მიწას, ვილაც მიდი-მოდიოდა და ბეტონის საფეხურებზე, მტვრიან გზასა და ლორღზე გავლისას, ჭრიალი მოისმა. მერე უკან გამობრუნების ხმა და, შორით მიჩუმდა ყველაფერი. მელნისფერი ზღვისა და გორაკის მუჭი ჩრდილების მიღმა ცხოვრობდნენ დაივერები. როზმერიმ თითქოს დაინახა, ერთმანეთის გვერდითა დგანან, ღიღინებენ, სიმღერას ვერ გაარჩევ, ზევით აღენილ კვამლსა ჰგავს იგი, რომელიდაც შორეულ პიძნს, იმათ ბავშვებს სძინავთ, ღამეა და ჭიშკარი დაკეტილი აქვთ.

შაგნით შევიდა ისევ, ესპადრილები და კაბა ჩაიცვა, ისევ გამოვიდა და ტერასის გავლით თითქმის სირბილით წავიდა პოლისკენ, რადგან ჯერ კიდევ ეძინათ იმ ოთახებში, რომლებსაც ჩაუარა. უცებ შეჩერდა, სადარბაზოს თეთრ და განიერ კიბეზე ვილაცა დაინახა. დააკვირდა, ლუის კემპიონი იცნო, საფეხურზე იჯდა და ტიროდა.

კემპიონი ჩუმად, მაგრამ მწარედ ტიროდა, ქალივით უთრთოდა მხრები და ზურგი. ეს ყველაფერი ძალიან წააგავდა ეპიზოდს შარშანდელი ფილმიდან, რომელშიც როზმერი თამაშობდა და ძალაუწებურად გაიმეორა თავისი როლი, მიუახლოვდა და მხარზე შეახო ხელი. მოულოდნელობისაგან, ვიდრე გაარკვევდა ვინ იყო, კემპიონმა წამოიყვირა.

„რა დაგემართათ?“ როზმერი დაიხარა, თვალეში შეხედა. ცნობისმოყვარეობის ნატამალიც არ გამოუხატავს, თანაგრძნობით შესცქეროდა მხოლოდ. „ეგებ შველა შემიძლია?“

„მე ვერაფერ მიშველის, თვითონა ვარ დამნაშავე, ხომ ვიცოდი, ყოველთვის ერთი და იგივე ხდება ხოლმე“.

„იქნებ მითხრათ, რა დაგემართათ?“

შეხედა როზმერის, თითქოს ფიქრობდა, ღირს თუ არაო თქმა.

„არა“, გადაწყვიტა ბოლოს, „ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და არ იცით რას განიცდის ხალხი, როცა უყვართ. ეს აგონიაა. დრო მოვა და თქვენც გაიგებთ. მაგრამ რაც გვიან შეგიყვარდებათ, მით უკეთესი. პირველად უნდა იქნება მართნია, მაგრამ ახლა რაღაც საშინელებაა და მერე როდის — უნდა იყოს ისე, რომ ყველაფერი უკვე კარგად იყო და...“

თენდებოდა, კემპიონს რაღაც საძაგელი სახე ჰქონდა, როზმერის ოდნავდაც არ გამოუხატავს თავისი ზიზღი, კუნთიც კი არ შერბევია, არსაითაც არ გაუხედავს, მაგრამ კემპიონმა უტყუარი ალღოთი იგრძნო და უცებვე სხვა თემაზე სცადა საუბრის გადატანა.

„ეიბ ნორთი სადღაც აქ არის“.

„როგორ, ის ხომ დაივერებთან ცხოვრობს“.

„პო, მაგრამ წამოვიდა იქიდან. არ იცით რა მოხდა?“

მესამე სართულზე ვიღაცამ დარაბა ხმაურით გამოალო და ლანძღვას მოჰყვა. ხმაზე ეტყობოდა, ბრიტანელი იქნებოდა.

„არ შეიძლება ხმადაბლა ილაპარაკოთ?!“

შემცბარი როზმერი და ლუის კემპიონი ქვევით, იმ გზაზე გავიდნენ, პლანეტისკენ რომ უზვევდა და გზის პირას, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

„მაშ არაფერი იცით? ჩემო ძვირფასო, დაუჯერებელია...“ კემპიონი გამხიარულდა, ეტყობოდა, ახალი ამბის მაუწყებელი კაცის როლი კარგ გუნებაზე აყენებდა, „და რაც მთავარია, ეს ისე უცნაურად და სწრაფად მოხდა, მე მუდამ ვერიდები გულფიცხ ხალხს, მშლიან და კარგა ხნით ავადა ვხლები ხოლმე“.

გამოხედვაშიც ეტყობოდა, გიჟდებოდა, ისე უხაროდა: როზმერის ვერ გაეგო, რაზე ლაპარაკობდა, რა უხაროდა.

„ჩემო ძვირფასო“, თქვა ლუის კემპიონმა, მუხლზე დაადო ხელი და წინ გადაიხარა. ვითომ — სხვათა შორის არ ვიქცევი ასე, ვიცი რასაც ვამბობ და დამიჯერეთო. „ღუელი იქნება“.

„რა-ა?“

„ღუელი... ჯერ ცნობილი არ არის რით“.

„ღუელი? ვისი? ვისთან?“

„ახლავე გიამბობთ, თავიდან ბოლომდე“. ღრმად ამოისუნთქა და იმისთანა რიხით დაიწყო, იფიქრებდით, როზმერის პატავს არ მიაგებს რასაც ეტყვის, მაგრამ, სხვა გზა არ არის, არ დაუმაღავს და ეუბნებაო: „თქვენ ხომ სხვა მანქანით მოდიოდით, ესეც თქვენი იღბალია, მე მთელი ორი წლის სიცოცხლე მაინც დავკარგე, ისე ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი...“

„რა, რა მოხდა?“

„არ ვიცი როგორ და რით დაიწყო, ჯერ იმ ქალმა წამოიწყო ლაპარაკი...“

„ვინ?“

„ვაიოლიტ მაკისკომ“. ხმას დაუწია, გეგონება, სკამის ქვეშ ვიღაცები ისხდნენ და ყურს უგდებდნენ, „დაივერები არ ახსენოთ, ისე იმუქრებოდა, ერთი გაგებდა და ქინძეს რამე ეთქვა მაგათზე“.

„ვინ იმუქრებოდა?“

„ტომი ბარბანი. ასე რომ, თქვენ არსადა თქვათ, ჩემგან თუკი რამე შეიტყუეთ. მაინც ვერ გავიგეთ, რისი თქმა უნდოდა ვაიოლიტს, რადგან ბარბანი აწუ-

ვეტინებდა ხოლმე, მერე უკვე ქმარი ჩაერია და ახლა, ჩემო კარგო, დუელი იქნება. დღეს, დილის ხუთზე, ზუსტად ერთი საათის მერე“. ღრმად ამოიოხრა, ისევ თავისი უბედურება მოაგონდა. „მე მაინც ვიყო იმათ მაგივრად, მოვმკვდარიყავი, სულ ერთია, სიცოცხლე უკვე არაფრად მილირს...“

ისევ გარახუნდა დარაბა ზევით და ისევ იმ ბრიტანელის ხმა მოისმა:

„რა ამბავია, ბოლოს და ბოლოს! არ გაათავებთ?!“

სწორედ ამ დროს ეიბ ნორთი გამოვიდა ოტელიდან. რაღაც დაბნეულად მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, როზმერი და კემპიონი დაინახა; ინათა, ზღვას უკვე თეთრი ცა დაჰყურებდა და ორთავე კარგად ჩანდნენ. ეიბს გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ როზმერიმ თავის გაქნევით ფრთხილად ანიშნა და გზის პირასვე, ოღონდ მოშორებით, სხვა სკამზე გადასხდნენ. როზმერიმ შეამჩნია, ეიბი ცოტათი მთვრალი იყო.

„თქვენ რაღად არ გძინავთ?“ ჩაეკითხა ეიბი.

„მე ეს-ეს არის გამოვედი“. როზმერის უნდოდა გაეცინა, მაგრამ დროზე გაახსენდა ის ბრიტანელი და თავი შეიკავა.

„ბულბულის ხმამ მოგაჯადოვათ?“ თქვა ეიბმა და დაუმატა: „აა, უთუოდ ბულბულის ხმამ მოგხიბლათ... უკვე გიამბოთ ამ ქრა-კერვის წრის წევრმა რა ამბავიც მოხდა?“

კემპიონმა ღირსებით აღსაფხე კაცის იერით მიუგო:

„მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ამ ყურებით გავიგონე“.

წამოდგა და ჩქარა გასცილდა იქაურობას. ეიბი როზმერის გვერდით დაჯდა.

„ასე ცუდად რად ექცევით?“ ჰკითხა როზმერიმ.

„ვითომ ცუდად მოვექეცი?“ გაიოცა ეიბმა. „მთელი დილაა ასე ღნავის, წაიღო ტვინი“.

„იქნება რამე უჭირს“.

„შეიძლება“.

„ეს რაღა მითქმა-მოთქმაა დუელზე? ვისა აქვს დუელი და ვისთან? არადა, შევამჩნიე, იმ მანქანას რომ ჩავუარეთ, ყველაფერი რიგზე არ იყო. მართალია?“

„კაცმა რომ თქვას, მამლაყინწიობაა და მეტი არაფერი, მაგრამ ასეა თუ ისე, მართალია“.

X

ეტყობა, არეულობა მანამდე დაიწყო, ვიდრე ერლ ბრედის მანქანა დაივერების გზის პირას გაჩერებულ მანქანას გაუსწრებდა — ეიბის თანაბარი ხმა რიერაჟს მოყოლილ იდუმალ ხმაურს ერეოდა — ვაიოლიტ მაკისკო მისიზ აბრამზს რაღაცას უამბობდა დაივერებზე; ზევით ასვლისას, ისეთი რამ ვნახე, გავშტერდიო. ტომი კი, როცა დაივერებს ეხება საქმე, ქოფაკივით არის, ცუდად არავის არაფერს ათქმევინებს მაგათზე. ისე, უნდა ითქვას, ეს მისიზ მაკისკო აუტანელი და გამომწვევი ვინმეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ დაივერებს, ორთავეს, თავიანთი მეგობრების ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, იმაზე მეტი, ვიდრე ბევრ მათგანს ჰგონია. რა

თქმა უნდა, ასეთ ურთიერთობაში რალაც იკარგება, იმათთან ყოფნისას ზოგჯერ გგონია, მომხიბლავ საბალეტო წყვილს უყურებ, ბალეტი კი, მოგეხსენებათ, ყურადღებას იტაცებს და გზიბლავთ, მაგრამ აქ უფრო რთულადაა საქმე, მთელი ამბები უნდა იცოდე, ისე ძნელია გაგება. ასეა თუ ისე, ტოტოვერთა იმათგანია, ვინც დიკის გამო ნიკოლსაც დაუახლოვდა და როგორც უბრალოდ მაკისკომ თავისი ამბის მოყოლა დაიწყო, მაშინვე ეცა:

„მისიზ მაკისკო, თუ შეიძლება გაათავეთ ლაპარაკი მისიზ დაივერზე“.

„თქვენ არ გელაპარაკებით“, შეეპასუხა იგი.

„თავი დაანებეთ დაივერებს, ძალიან გთხოვთ“.

„რა, სალოცავები არიან?“

„დაივერებს თავი დაანებეთ, მისიზ მაკისკო. სხვა რამეზე ილაპარაკეთ“.

მანქანაში ერთ გადასაშლელ სკამზე ტომი იჯდა, მეორეზე კი კემპიონი და იმან მიამბო ყველაფერი.

„თქვენ მე ნუ მასწავლით“, გაბრაზდა ვაიოლიტი.

ხომ იცით, როგორცა ხდება ხოლმე, როცა გვიან ღამით მანქანით ბრუნდებიან წვეულებიდან, ჩურჩული, ჭორაობა, ზოგს კი აღარც ახსოვს რა იყო საღამოზე და თავისაზე ფიქრობს, ზოგი დაქანცულია და ეძინება. აქაც ასე, არავინ იცის რა მოხდა, სანამ მანქანა არ გაჩერდა და ბარბანმა კავალერისტივით არ დაიძახა:

„ოტელამდე ერთ მილზე მეტი არ იქნება და ფეხით წაბრძანდით, არადა ვიცი, როგორც წახვალთ, მოკეტეთ თქვენც და თქვენმა ცოლმაც!“

„თქვენ შარზე ხართ“, დაიყვირა მაკისკომ, „დიდ გულზე ხართ იმიტომ, რომ ჩემზე მაგარი კუნთები გაქვთ, მაგრამ მე თქვენი არ მეშინია, სამწუხაროა, რომ არა გვაქვს დუელის კოდექსი“.

აი აქ დაუშვა შეცდომა, დაავიწყდა, რომ ტომი ფრანგია. ხელი მოუქნია და გაარტყა მაკისკოს, მერე კი შოფერმა, ეტყობა, იფიქრა, დროაო, და მანქანა ადგილიდან დაძრა. მაშინ იყო, რომ თქვენ გაუსწარით. ქალებმა კივილი ატენეს. მთელი ეს ამბავი ოტელში მისვლამდე გრძელდებოდა.

ტომიმ კანში დაურეკა თავის მეგობარს და სეკუნდანტობა სთხოვა. მაკისკოს კემპიონი არ უნდოდა სეკუნდანტად — სხვათა შორის არც ამას გამოუხატავს დიდი სურვილი — და მე დამირეკა, ტელეფონით არ უამბნია და აქ ჩამოსვლა მთხოვა. ვაიოლიტი მაკისკოს გული წაუჭიდა, მისიზ აბრამზემა თავის ოთახში შეიყვანა, წამალი მისცა და ამასაც მშვიდად ჩაეძინა. როცა ჩამოვედი და გავიგე, რაც მოხდა, ვცადე ტომისთვის გადამეთქმევიინებინა, მაგრამ მოითხოვა, მაკისკომ ბოდიში მოიხადოსო, მაკისკო კი დიდ გულზეა და ბოდიში არც უფიქრია.

ეიბმა მოყოლა დაამთავრა და შეფიქრიანებულმა როზმერიმ ჰკითხა:

„დაიქვრებმა იციან, რომ ყველაფერი იმათ გამო მოხდა?“

„არა — და არც არასოდეს გაიგებენ. ამ იდიოტ კემპიონს თითქოს მეტი საქმე არა ჰქონდა, რომ დადგა და ყველაფერი დაფქვა თქვენთან, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება. შოფერი კი გავაფრთხილე, თუ ხმას ამოიღებ, ჩემს ძველ მუსიკალურ ხერხს გამოვცდი-მეთქი. მაგრამ ტომის ეს ორთაბრძოლა არ უშველის, მაგას მართალი ომი სჭირდება“.

„იმედია, დაივერები არაფერს გაიგებენ“, თქვა როზმერიმ.

„მაკისკოსთან უნდა წავიდე, ვნახავ ერთი, ხომ არ გამომყვებით? გაუხარდება, არავინა ჰყავს, საწყალს ალბათ თვალის არ მოუხუჭავს.“

როზმერიმ ცხადად დაინახა, რა დღეშიც იქნებოდა ეს უზნო, ჰინკული და ბრაზმორეული კაცი. წუთით შეყოყმანდა, მერე სიბრაღეში წიხლს და დათანხმდა, დილაადრიანი ძალ-ღონით საესემ აირბინა კიბე ვიბთან ერთად.

მაკისკო საწოლზე ჩამომჯდარიყო, სიმთვრალისა და დიდ გულზე ყოფნისა აღარაფერი ეტყობოდა, თუმცა შამპანურის ჭიქა ისევ ხელში ეჭირა. ფერი აღარ ედო, ძალაგამოცლილი, გაღიზიანებული ჩანდა. ეტყობა, მთელი ღამე წერდა და სვამდა, დაბნეულად შეათვალიერა ეიბი და როზმერი.

„უკვე დროა?“

„არა, ოცდაათი წუთი კიდევ დარჩა“.

მაგიდაზე ქაღალდები ეყარა, ალბათ ერთი გრძელი წერილის ფურცლები. ძლივს მოუყარა თავი და დააღაგა. ბოლო გვერდების სტრიქონები გაკრული ხელით ეწერა და ძნელი გასარკვევი იყო. რიყრეის მოძალებისას თანდათან მიმქრალ ლამპის შუქზე წერილს ბოლოში ხელი მოაწერა და ეიბს გაუწოდა.

„ჩემს ცოლს ვადაეცი“.

„მიდით, თავი ცივ წყალს შეუშვირეთ“, ურჩია ეიბმა.

„თქვენ ფიქრობთ, საქირთა?“ დაეჭვებით ჰკითხა მაკისკომ, „მთლად გამოფხიზლება არც მინდა“.

„საშინელი შესახედი ხართ“.

მაკისკო მორჩილად წავიდა სააბაჯანოსკენ.

„საშინლად არეულ საქმეებს ვტოვებ“, დაიძახა მან. „არ ვიცი, რანაირად დაბრუნდება ამერიკაში კაიოლიტი. დაზღვეულიც კი არა ვარ, ვერც ამას მოვაბი თავი“.

„რას როშავთ, ერთი საათის მერე მშვიდად ისაუზმებთ ოტელში“.

„ჰო, ვიცი, რა თქმა უნდა“. მალე დაბრუნდა. თმა სველი ჰქონდა. შეფიქრიანებულმა ისე შეხედა როზმერის, თითქოს პირველად ხედავსო, მერე უცებ თვალები ცრემლებით ავესო.

„რომანი მაინც ვერ დავამთავრე. ყველაზე მეტად ესა მტანჯავს. თქვენ კარგი თვალით არ მიყურებთ“, როზმერის უთხრა, „მაგრამ რას იზამ, უწინარესად მე მწერალი ვარ“. ისე სევდიანად ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლაო და უიმედოდ გადააქნია თავი. „ბევრჯერ შევცდი ცხოვრებაში, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ მე მაინც ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი ვარ, ასე თუ ისე...“

ველარ დაამთავრა და ჩამქრალ სიგარეტს დაუწყო ქაჩვა.

„როგორ არ გიყურებთ კარგი თვალით“, უთხრა როზმერიმ, „ოღონდ მე ვფიქრობ, ეს დღელი არ უნდა მოხდეს“.

„ჰო, კარგი იყო ბარბანი ერთი მაგრად მიმებეგვა, აი ეს კი ღირდა, მაგრამ რაც არის არის, რაღას ვიზამ, ისეთ საქმეში გავები, რისი უფლებაც მე არა მქონდა, ძალიან ფიცხი ვარ...“

ეიბს დაკვირვებით შეხედა, თითქოს მოელოდა, რომ შეედავებოდა. მერე უცნაურად გაიცინა და ისევ ჩამქრალი სიგარეტი მიიტანა პირთან. ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

„მთელი უბედურება ის არის, რომ მე თვითონ წამოვიწყე დღელზე ლაპარაკი. კაიოლიტი მაინც რომ გაჩერებულიყო, კიდევ რაღაცას გავხდებოდი.“

ცხადია, ახლაც არ არის გვიან, შეიძლება სულაც ავდგე და სადღაც წავიდე ან ყველაფერზე გავიციხო, მაგრამ მეშინია, ვაიოლიტი არასოდეს მამატივებს“.

„სულაც არა“, თქვა როზმერიმ, „უფრო მეტ პატივსაც გცემთ“.

„თქვენ არ იცნობთ ვაიოლიტს. თუ უპირატესობასა გრძნობს ვინმეს მამართ, თუ თვითონ უფრო ძლიერია. მაშინ ძალიან მკაცრია ხოლმე, თორმეტწევწელია ცოლ-ქმარი ვართ, გოგონა გვყავდა, შვიდი წლისა მოგვიკვდა, მერე ხომ იცით, როგორცა ხდება, თავს ნება მივეციოთ და განზე დავიწყეთ ყურება, არაფერი სერაოზული, მაგრამ მაინც როგორღაც კი დაეშორდით. გუშინ, ლაჩარი ხარო, დამიძახა“.

როზმერი შეწუხდა, ველარაფერა უთხრა.

„კარგი, შევეცდებით ისე ჩაიაროს ყველაფერმა, რომ მაინცდამაინც არ დავზარალდეთ“, თქვა ეიბმა და ტყავის ბუდე გახსნა. „ბარბანის საღუელო რევოლვერებია, თან წამოვიღე, რომ წინასწარ ნახოთ რაც არის. ბარბანს სულ თან დააქვს“. ეიბმა ერთ-ერთი ძველებური რევოლვერი აიღო ხელში, სიმძიმე გაუსინჯა. როზმერიმ უმწეოდ შეპყვირა, მაკისკომ შეშფოთებულმა შეხედა რევოლვერებს.

„რა აუცილებელია, რომ ერთმანეთს ამ ძველი, ორმოცდახუთკალიბრია-ნებით ვესროლოთ“.

„არ ვიცი“, შეუბრალებლად მიუგო ეიბმა. „საერთოდ მიჩნეულია, რომ გრძელვადიანი რევოლვერით უფრო იოლია დამიზნება“.

„მანძილი?“ ჰკითხა მაკისკომ.

„ამაზეც გავიგე ყველაფერი. თუ ორივე მხარე მოწინააღმდეგის მოკვლაზე ფიქრობს, რვა ნაბიჯს ნიშნავენ, თუ ბოლმა უნდათ გახეთქონ, ოც ნაბიჯს, ხოლო თუ ღირსების დაცვაა მიზანი, ორმოც ნაბიჯს ითვლიან“.

„კარგია“.

„საინტერესოა დუელია აღწერილი პუშკინის ერთ მოთხრობაში“, გაიხსენა ეიბმა. „მოწინააღმდეგეები ორივენი უფსკრულის პირას დგანან, ამ დროს სულ მცირე ჭრილობაც კი დაღუპვას ნიშნავს“.

ეტყობა, მაკისკო ვერ უსმენდა, ან ძლივს გაიგო რა თქვა ეიბმა და ჰკითხა:

„რა?“

„არ გინდათ ერთი ჩაყვინთოთ წყალში? გამოცოცხლდებით“.

„არა, არა, აბა რა ცურვის ჯაგრი მაქვს ახლა“, ამოიოხრა მაკისკომ. „ვერ გამოგიცა“, უმწეოდ თქვა, „რა მრჯის?“

ეს პირველი რამ იყო, რასაც ცხოვრებაში აკეთებდა; მაკისკო იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც გრძნობადი სამყარო არ არსებობს, და როცა კონკრეტული ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, დაიბნა, გაკვირდა.

„უკვე შეიძლება წასვლა“. ხედავდა მაკისკო რა დღეშიც იყო და ეიბმა ადგომა ამჯობინა.

„კარგი“. მაკისკომ კარგა ბლომად მოსვა ბრენდი, მათარა ჯიბეში ჩაიღო, ეკლურივით იყურებოდა: „ვთქვით და მე მოვკალი — ციხეში ჩამსჯამენ?“

„იტალიის სანღვარზე გადაგსვამთ“.

1 ლაპარაკი პეჩორინისა და ვრუშნიცკის დუელზე მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირში“.



როზმერის შეხედა და მერე დამნაშავესავეთ მიმართა ეიბს:

„წასვლამდე რაღაცაზე მინდა ცალკე გელაპარაკოთ“.

„იმედი მაქვს, ერთი თქვენგანიც არ დაიჭრება“, თქვა როზმერიმ, „სისულელეა ეს ღუელი და ყველაფერი უნდა იღონოთ, რათა თავიდან ავიცილოთ“.

ბიზლიუსი

XI

ქვევით, ცარიელ ვესტიბიულში როზმერა კემპიონს შეხვდა.

„დაგინახეთ, ზევით რომ აღიოდით“. აღელვებით თქვა. „მაკისკო როგორ არის? ღუელი როდის იქნება?“

„არ ვიცი“. არ მოეწონა კემპიონის ხმა, თითქოს ცირკს ეხებოდა საქმე და მაკისკო კი ტრაგიკული მასხარა ყოფილიყო.

„წამოხვალთ ხემთან ერთად?“ ისე თქვა, ერთი ზედმეტი ადგილიაო, რომ იტყვიან. „მანქანა შევუკვეთე ოტელში“.

„არ მინდა წასვლა“.

„რატომ? მართალია ერთი-ორი წლის სიცოცხლე დამაკლდება, მაგრამ ასეთ რამეს უნდა შეხედო, მერე მოყოლით რას გაიგებ. შეგვიძლია მანქანა გავაჩეროთ, იქამდე არც მივიდეთ და შორიდან ვუყუროთ“.

„იქნებ, მისტერ დამფრის უთხრათ, და ის წამოგყვებ“.

კემპიონს მონოკლი ჩამოუვარდა, ამჯერად ველარსად ჩაემალებოდა იგი. გაიმართა და უპასუხა:

„მე მასთან საქმე აღარა მაქვს“.

„სამწუხაროდ, არ შემიძლია წამოვიდე. დედას ეს არ გაუხარდება“.

როზმერი თავის ოთახში შევიდა, მეორე ოთახში საწოლმა გაიჭრიალა და მისიზ სპირსმა ნამძინარევი ხმით ჰკითხა:

„სად იყავი?“

„არ მეძინებოდა და გარეთ გავედი. დაიძინე, დედა“.

„შემოდი“. როზმერიმ გაიგონა, დედა რომ წამოჯდა, შევიდა და რაც მოხდა, უამბო.

„რატომ არ გინდა, რომ წახვიდე?“ ჰკითხა მისიზ სპირსმა, „ბოლოს და ბოლოს, მოშორებით გაჩერდები, იქნება რა დასჭირდეთ და შენი შველა საჭიროც გახდეს“.

როზმერი მერყეობდა, ამ სანახაობის შემყურე-თავისი თავი წარმოიდგინა და არ მოეწონა. მისიზ სპირსი კი ჯერ ისევ ძილ-ღვიძილში იყო, აზრები ერეოდა. თავისი წარსულიდან, როცა ექიმის ცოლი იყო, ღამით მომაკვდავთან თუ უბედური შემთხვევის ადგილზე გამოძახება გაახსენდა. „მე მინდა, რომ უჩემოდ, შენ თვითონ იცოდე სად წახვიდე და რა გააკეთო, რეინის სარეკლამო ტრიუკებისთვის ხომ გააკეთე უფრო ბევრი რამ და უფრო ძნელიც“.

მაინც ეჭვობდა, რად უნდა წავიდეო, მაგრამ დედის მკაფიო და დამაჯერებელ ხმას დაემორჩილა, როგორც მაშინ, როცა თორმეტი წლისა იყო და დედამ პარიზში მკაცრად უთხრა, „ოდეონში“ მსახიობების შესასვლელიდან შედიო. მერე კი მიეფერა და წარმატება მიულოცა.

კიბეზე იდგა, ჯერ ისევ ფიჭრობდა, როცა მაკისკო და ეიბი დაინახა, უკვე მანქანაში ისხდნენ და მიდიოდნენ. როზმერიმ შვეებით ამოისუნთქა, მაგრამ

თითქმის მაშინვე ოტელის მანქანამ გამოუხვია კუთხიდან. ლუის კემპიონმა წინწინა ხმით შეჰყვირა, როზმერის მანქანის კარი გაუღო და გვერდზე დასვა.

„განგებ დავიძალე, არ დაგვიშალონ-მეთქი. არადა, ზომ ხელდასრულებული პარტიც კი წამოვიღე“.

როზმერიმ, მეტი რომ ველარაფერი თქვა, გაიცინა. იმდენად საზოგადოებრივად, რომ ზიზღსაც აღარ იწვევდა, უბრალოდ, ადამიანს აღარა ჰგავდა.

„საინტერესოა, რატომ არ უყვარს მისინ მაკისკოს დაივერები?“ იკითხა როზმერიმ. „ისინი კარგად ექცეოდნენ“.

„როგორ არ უყვარს. საქმე ის არის, რომ მისი მაკისკომ იმათთან რაღაცა დაინახა. ჩვენ კი ვერა და ვერ გავიგეთ — რა. ბარბანის ბრაღია“.

„ესე იგი, თქვენ ამის გამო არ იყავით შეწუხებული?“

„არა, რას ამბობთ!“ ზმა გაუწყდა. „ის ამბავი ოტელში დაბრუნების მერე მოხდა. მაგრამ ახლა ჩემთვის უკვე სულ ერთია — მე ხელები დამიბანია. ამაზე ფიქრიც აღარ მინდა“.

ეიბის მანქანას მიჰყვებოდნენ, ეუან-ლე-პენს ჩაუარეს, სადაც ახალი კაზინოს კარკასი აღემართათ უკვე და სანაპირო გზით აღმოსავლეთის მხარეს გაუყვანენ. დილის ოთხ საათზე მეტი იყო. ცას მოლურჯო-მონაცრისფრო ფერი ედო, მეთევზეთა პირველი ნაგები კრიალით გადიოდნენ ზღვაში. ცოტა ხნის მერე მანქანებმა მთავარი გზიდან გადაუხვიეს და ეს ადგილიც უკან მოიტოვეს.

„ახლა გოლფის მინდორი გამოჩნდება!“ დაიძახა კემპიონმა. „ექვციც არ შეპარება, რომ დუელი იქ იქნება“.

კემპიონი მართალი იყო, ეიბის მანქანა გაჩერდა. დილიდანვე ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა. აღმოსავლეთით ცას წითელ-ყვითელი ზოლები აჩნდა, რაც ჯოველთვის პათანაქებას მოასწავებს. კემპიონმა და როზმერიმ შოფერს ფიქვნარში გააჩერებინეს მანქანა და თვითონ ტყის პირას ჩრდილში მიდიოდნენ, გარშემო უყლიდნენ იმ მინდორს, სადაც ეიბი და მაკისკო — ხანდახან შეშინებული ბოცვერით რომ წაიგრძელებდა ხოლმე კისერს, სიცხისაგან გადათეთრებულ ბალახზე დადიოდნენ, და მაშინ, გოლფას ბურთის შორეულ სანიშნესთან ვიდაცები გამოჩნდნენ, ბარბანი და მისი ფრანგი სეკუნდანტი იყვნენ, აქეთ მოდიოდნენ, სეკუნდანტი უკან მოჰყვებოდა ბარბანს, ილიაში რევოლვერებიანი ყუთი ამოეღო.

შემცბარი მაკისკო ეიბის ზურგს ამოეფარა და ბრენდიანი მათარა მოიყუდა. მერე ხველებ-ხველებით, გეგონება, ყელში რაღაც გაეჩხირაო, სწრაფად წავიდა პირდაპირ და ალბათ დაეჯახებოდა მისკენ მომავალ მოწინააღმდეგეს, ეიბს რომ არ შეეჩერებინა. თვითონ ეიბი ფრანგთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა. მზე წითლად ამოსულიყო.

კემპიონი მხარში ჩაეჭიდა როზმერის.

„არა, ამის გაძლება არ შემიძლია“, ლამის უხმოდ დაიწრიპინა. „ეს უკვე მეტისმეტია ჩემთვის, ორი წლის სიცოცხლე მაინც...“

„თავი დამანებეთ!“ დაუყვირა როზმერიმ, შეტრიალდა და მხურვალედ მოჰყვა ლოცვას ფრანგულად.

დუელანტები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ბარბანს იდაყვზემთ აეწია სახელოები. თვალები უელავდა მზეზე, აწრიალებულივით იხედებოდა,

თუმცა ხელისგული აღჩქარებლად და მშვიდად შეიმშრალა შარვალზე. ბრენ-  
დმა მაკისკოს გამბედაობა შემატა, ტუჩები წინ გამოეწია, თითქოს ესტვენსო,  
ან ვითომც აქ არაფერიო და სანამ ეიბი ცხვირსახოცით ხელში ერთი ნაბიჯით  
წაიწეოდა, გრძელი ცხვირი შეათამაშა. ფრანგი სეკუნდანტი მეთრეულმჭარეს  
იყურებოდა. როზმერი ლამის იბრჩობოდა საცოდობით, ლაშქარს დაიღწია კერა-  
კუნებდა, ისე სძულდა ახლა ბარბანი. მერე:

„ერთი — ორი — სამი!“ დაჭიმული ხმით დაიძახა ეიბმა.

ორივემ ერთდროულად გაისროლა. მაკისკო შექანდა. მაგრამ მაშინვე თავი  
შეიმაგრა. ორივემ ააცდინა.

„საკმარისია!“ დაიძახა ეიბმა.

დუელანტებმა წინ წამოიწიეს. ყველამ სათითაოდ შეხედა ბარბანს.

„ვაცხადებ, რომ არა ვარ დაკმაყოფილებული“.

„რა? დაკმაყოფილებულიცა ხართ და ნეტიც“, მოუთმენლად თქვა ეიბმა.

„ნაგ არის, რომ ჯერ ვერ მიმზვდარხართ“.

„თქვენი კლიენტი უარს ამბობს მეორე სროლაზე?“

„რას ჩმახავთ, ტომი. თქვენ თქვენსას მოათხოვდით და ჩემმა კლიენტმაც  
ის შეასრულა, რაც მოეთხოვებოდა“.

ტომიმ აგდებულად გაიცინა.

„მანძილი სასაცილო იყო“, თქვა მან. „ასეთ ფარსებს მიჩვეული არა ვარ.  
თქვენს კლიენტს უნდა ახსოვდეს, რომ ამერიკაში არ იმყოფება“.

„ამერიკაზე ცოტა ფრთხილად ილაპარაკეთ“, საკმაოდ უხეშად უთხრა  
ეიბმა და მერე უფრო შემრიგებლური ხმით მიმართა, „საკმაოდ შორს შევტო-  
ზეთ, ტომი“. ერთ წუთს ჩუმად რაღაცაზე დაობდნენ, მერე ბარბანმა თავი და-  
იწინა და ყოფილ მოწინააღმდეგეს შორიდან ცივად დაუკრა თავი.

„ხელის ჩამორთმევა?“ იკითხა ფრანგმა ექიმმა.

„უკვე იცნობენ ერთმანეთს“, მიუგო ეიბმა.

ეიბი მაკისკოსკენ მიტრიალდა.

„წავიდეთ, გავათავეთ“.

ნაბიჯი წადგეს წასასვლელად და აგზნებული მაკისკო მკლავში სწვდა  
ეიბს.

„მოიცადეთ“, უთხრა ეიბმა. „ტომის რევოლვერი უნდა მიეცეთ, კიდევ  
გამოადგება“.

მაკისკომ რევოლვერი გაუწოდა ეიბს.

„ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი“, ჭირვეულად დაიძახა მაკისკომ, „უთხა-  
რით, რომ მას შეუფილია...“

„უთხრა, რომ გსურთ მეორედ სროლა?“

„კარგად გავედი დუელში!“ მაკისკომ, როცა გზას დაადგნენ, მაშინ იყვირა.

„ასე არ არის? ძალიან კარგად. უღიმღამოდ და ისე კი არა“.

„მთვრალი იყავით“, მოუჭრა ეიბმა.

„არა, მთვრალი არა“.

„არ იყავით, პო, იყოს ასე“.

„თუკი კიდევაც დავლიე ცოტა, მერე რა მოხდა, ამით ვითომ რა შეიც-  
ვალა?“

თანდათანობით გულდაჯერებული მაკისკო რიხით ლაპარაკობდა და დრო-  
დადრო უკვე ბოლმამორეულიც გახედავდა ხოლმე ეიბს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„პო, ამით რა შეიცვალა?“ ჩააცვივდა ეიბს.

„თუკი არ გესმით, არსნაც არა ღირს“.

„არ იცით, ომში ყველა თვრებოდა?“

„მოვრჩეთ, რაც იყო იყო“.

მაგრამ კიდევ დარჩა რაღაც, მთლად დამთავრებული არა ჩანდა ეს ამბავი. ბალახზე ვიღაც მორბოდა, სირბილით ეწეოდა მათ, დაინახეს, ეჭიმი იყო, სულს ძლივს ითქვამდა.

„Pardon, Messieurs“, აჭოშინებულმა მიმართა მათ. Voulez-vous régler mes honoraires? Naturellement c'est pour soins médicaux seulement. M. Barban n'a qu'un billet de mille et ne peut pas les régler et l'autre a laissé son porte-monnaie chez lui“<sup>1</sup>.

„ფრანგი რის ფრანგია, თუ ასე არ მოიქცა“, თქვა ეიბმა და მერე ეჭიმს ჰკითხა: „Combien?“<sup>2</sup>

„მე გადავიხდი“, თქვა მაკისკომ.

„არა, ჩემზე იყოს, ერთი ხიფათი გველოდა ყველას“.

სანამ ეიბი ეჭიმს უხდიდა, მაკისკო უცებ ბუჩქებში შეეარდა და აღეზინა. იქიდან გამოსულს ფერი აღარ ედო. ნელა მიჰყვა ეიბს მანქანამდე. დილის მზე უკვე ვარდისფრად ანათებდა.

ჩირგენარში ზურგზე იწვა კემპიონი და სული ეხუთებოდა, ის დაზარალდა ამ დუელში. როზმერიმ, რომელსაც უცებ ისტერიკული სიცილი აუტყდა, სანდლის წვერი წაჰკრა კემპიონს და ვიდრე ზეზე არ წამოდგა, აღარ მოეშვა. ახლა მისთვის ერთი რამ იყო უმთავრესი — რამდენიმე საათის მერე იმას ნახავდა პლაჟზე, ვისაც ჯერ იმეფ „დაივერებს“ ეძახდა ფიქრით.

## XII

ვუაზენთან ნიკოლს ელოდნენ, ექვსივე, როზმერი, ნორთები, დიკ დაივერი და ორი ახალგაზრდა ფრანგი მუსიკოსი. ისტენენ და რესტორანის სხვა კლიენტებს აკვირდებოდნენ — დიკი ირწმუნებოდა, ჩემსავით არც ერთ ამერიკელ მაგაკეს არ შეუძლია ხალხში ბუნებრივად თავის დაჭერაო, ამათ კი სურდათ, საპირისპირო რამ დაენახათ, მაგრამ თითქოსდა ჯიბრზე, ათი წუთი გავიდა და ერთი კაციც არ შემოსულა რესტორანში, რომ სახეზე არ წაევილო ხელი.

„ტყუილად აღარ ვატარებთ ვაწკეპილ და შეღებილ ულვაშს“, თქვა ეიბმა. „მაგრამ მაინც, იმის თქმა, თითქოს დიკი ერთადერთია, ვისაც კარგად უჭირავს თავი, არ არის სწორი“.

„სწორია“, მიუგო დიკმა.

„ერთადერთი, ვისაც კარგად უჭირავს თავი, თუ ფხიზელია“.

შემოვიდა კარგად ჩაცმული ამერიკელი ორ ქალთან ერთად, ლალი მიხრამოხრით, ლაპარაკ-ლაპარაკით მივიდნენ ერთ თავისუფალ მაგიდასთან და დას-

<sup>1</sup> ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, მე ხომ ჩემი პონორარის მიღება მინდა? საეჭიმო შემწეობისთვის, რალი თქმა უნდა. მესიე ბარბანს არ შეეძლო გადახდა, რადგან მხოლოდ ათასფრანკიანი აქვს და, მეორე ბატონს კი საფულე შინ დარჩა (ფრანგ).

<sup>2</sup> რამდენი? (ფრანგ.)

ზდნენ. ამერიკელმა უცებ იგრძნო, რომ უყურებდნენ და მაშინვე კაშნეზე წაივლო ხელი, არადა, ძალიან რიგზე ჰქონდა ყველაფერი. სხვა მამაკაცი ხომ, სანამდე ადგილს შესთავაზებდნენ და დაჯდებოდა, წამდაუწუმ წაივლებდა ხოლმე სახეზე ხელს, — ამ კაცს კიდევ სხვა კაციც ახლდა, ის კინებურად, ჩაუჭრობელ სიგარას ხან ზევით ასწევდა და ხან დაუშვებდა. სხვები შედარებით კარგ დღეში იყვნენ, ზოგი სათვალეს ათამაშებდა ხელში და ვილაცა კიდევ, ხალზე ამოსულ თმას იწვალებდა. ზოგნი, უქმად ყოფნის გამო, სხვა რომ ვერაფერი მოეფიქრათ, პირზე იდებდნენ ხელს ან ყურის ბიბილოს ისე ექაჩებოდნენ, ლამის ჩამოეგლიჯათ.

ახლა კარგად ცნობილი გენერალი შემოვიდა და ეიბ ნორთმა, იმის იმედით, რომ პირველ წლიდანვე უესტ პოინტში ისეთი წვრთნაა, რასაც ვერც ერთი კადეტი ვერ ასცდება და რაც მერე ყველას უკვე ძვალ-რბილში უჯდება ხოლმე, დიკს ხუთ დოლარზე დაუდო სანაძლეო.

გენერალს ხელეები ჩამოეშვა, მშვიდად იდგა და იცდიდა, როდის შესთავაზებდნენ ადგილს, რომ დამჯდარიყო. უცებ ორივე ხელი ჯამბაზ თოჯინასავით უკან გაიქნია და ის იყო, დიკმა კინალამ წამოიყვირა სიხარულით, რომ გენერალი ისევ გაიმართა და ყველამ შვებით ამოისუნთქა — ტყუილუბრალოდ შეშფოთდნენ თურმე, ბიჭმა სკამი შესთავაზა და... მხედართმთავარმა ჭალარაზედა წაივლო ხელი და მოიფხანა.

„ხომ დაინახეთ“, რიხით თქვა დიკმა, „ერთადერთი ვარ“.

როზმერისთვის მაინც ეს ასე იყო. დიკი ზედავდა, მშვენიერი აუდიტორია ჰყავდა და ისე გაამხიარულა და შეაკავშირა ყველა, რომ თავიანთ გარდა ველარავის ამჩნევდა როზმერი. ორი დღის წინათ ჩამოვიდნენ პარიზში, მაგრამ თითქოს ჯერ ისევ პლაჟზე, ქოლგებქვეშ იხდნენ. როცა წუხელ პაჟთა კორპუსის მეჯლისზე მისთვის უცხო გარემოში მოხვდა, პოლიცუდის საღამოებს ჯერ კიდევ შეუჩვეველი როზმერი აქაც ცოტა დაიბნა, მაგრამ დიკი იქ იყო, ის შველოდა; მეგობრულად ხვდებოდა ყველას, რჩეულთა შორის რჩეულებს, რადგან დაივერებს ხომ ყველგანა ჰყავდათ მეგობრები. მაგრამ, ეტყობა, ერთმანეთს ხშირად არ ხვდებოდნენ და ამიტომ იყო, რომ, სად დაიკარგეთ, აღარა ჩანხართო, შესძახებდნენ ხოლმე და მაშინვე ისევ შეიკვრებოდა ვიწრო წრე აბლიბლები, და ყველას, ვინც კი ამ წრის გარღვევას შეეცდებოდა, თავაზიანი, მაგრამ ირონიით სავსე აცილება, ერთგვარი coup de grâce<sup>1</sup> ელოდა. როზმერის უკვე ეჩვენებოდა, რომ ოდესღაც თვითონაც იცნობდა ამ ხალხს. რომ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, და არ იყო ის დრო კარგი დრო და დაშორდა მათ, მეხსიერებიდან ამოშალა.

ამათი კომპანია საოცრად ამერიკული იყო, მაგრამ ხანდახან თითქოს არც არაფერი ეცხო ამერიკული. დიკი სუყველას შველოდა, რათა თავის თავს დაბრუნებოდა ყველა და უკვე მრავალი წლის კომპრომისებით წაშლილი სახე აღედგინათ.

კვამლიან და ჩაბნელებულ, საჭმლის მძაფრი არომატით გაყლენთილ რესტორანში, ნიკოლის ღია ცისფერმა კოსტიუმმა გარედან კარგი ამინდივით შეძოანათა. ყველამ ალტაცებით შეხედა ნიკოლს და ამანაც გაბრწყინებული, მადლიერი ღიმილი შეაგება. ეფერებოდნენ ერთმანეთს და ქათინაურებს არ

<sup>1</sup> გამახადგურებელი დარტყმა (ფრანგ.).

იშურებდნენ, თავაზად იქცნენ. მერე მობეზრდათ ეს ყველაფერი და ხუმრობა იწყეს, ქარაგმებითაც ლაპარაკობდნენ და ქილიკობდნენ კიდევაც, ბოლოს ისა თქვეს, რას აპირებდნენ მომავალში. ბევრს იცინოდნენ და გულიანადაც, თუმცა, რომ გეკითხათ, ერთიც კი ვერ გაიხსენებდა რაზე ან რისთვის, ქარაგმები წამო-ბოთლი ღვინო დალიეს. სუფრასთან სამი ქალი იჯდა, ამ სამეულში მომავალსა-ხანა ამერიკული ცხოვრების ნაკადი სახიერდებოდა. ნიკოლი თავისი შნო-თი გამდიდრებული ამერიკელი კაპიტალისტისა და გრაფ ფონ ლიპე ვაისენ-ფელდის შვილიშვილი იყო, მერი ნორთი — ქარგლის ქალიშვილი და პრეზი-დენტ ჯონ ტაილერის შთამომავალი, როზმერი — საშუალო კლასის ოჯახის შვილი, დედის მცდელობით პოლივუდის უსახელო მწვერვალზე ატყორც-ნილი.

სხვა ამერიკელ ქალებს არ ჰგვანდნენ და სწორედ ამითი ჰგვანდნენ ერთ-მანეთს. სამივე მამაკაცების სამყაროში არსებობდა და ბედნიერებიც იყვნენ ასეთი არსებობით, მით უფრო, რომ იმავე მამაკაცების წყალობით და არამც და არამც იმათთან შეჯახებით, თავისთავადობას ინარჩუნებდნენ. ყველა მათ-განს შეეძლო კარგი ცოლობა გაეწია, ან კარგი კურტიზანი ყოფილიყო, წარ-მოშობის გამო კი არა, ამაზე უფრო მეტის გამოც, იმის მიხედვით, შეხვდებოდა თუ არ შეხვდებოდა ცხოვრებაში კაცს, რომელსაც იგი სჭირდებოდა.

ასე რომ, როზმერის სიამოვნებას ჰგვრიდა რესტორანში ამათთან ყოფნა, და კარგი იყო, რომ შვიდნი იყვნენ, არც მეტი, არც ნაკლები და შესაძლოა იცითონ იგი, ახალბედა ამათ შორის, თავისი ყოფნით კატალიზატორივით მოქ-მედებდა და აიძულებდა გამოველინათ ბევრი რამ, რასაც აქამდე ერთმანეთს, უხდოდნათ, მაგრამ ვერ უმხელდნენ. სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ოფიციალ-ტმა როზმერი იმ ჩაბნელებულ კუნჭულამდე მიაცილა, რაც ყველა ფრანგულ რესტორანსა აქვს. მქრქალ ნარინჯისფერ ნათურის შუქზე როზმერიმ ცნობარში „ფრანკო ამერიკენ ლილმზის“ ტელეფონი მოიებნა და დარეკა. რალა თქმა უნ-და, ჰქონდათ „მამიკოს გოგონას“ ფირი, ოღონდ ახლა იგი წაღებულა, რამდე-ნიმე დღის მერე კი შეიძლება მისი ჩვენება, საკმარისია მისს პოიტი მივიდეს მისამართი — 341, Rue de Saintes Anges, და იკითხოს მისტერ კრაუდერი.

ტელეფონი ვესტიბიულის გასასვლელთან იდგა და როცა მიღს დებდა, როზმერის ჩურჩული მოესმა, ხუთი ფუტის მოშორებით, პალტოების საკიდარს იქიდან ისმოდა ჩურჩული.

„...მაშ, გიყვარვარ?“

„მეკითხები კიდევაც!“

როზმერის ნიკოლის ხმა ეცნო, შეყოყმანდა და კარებში გაჩერდა, მერე დიკის ხმა მოესმა:

„მინდიხარ, საშინლად და ახლავე, ოტელში წავიდეთ“. ნიკოლს შეკავე-ბული ოხვრა აღმოხდა. ერთხანს მხოლოდ სიტყვები ესმოდა როზმერის, ვერ იგებდა რას ამბობდნენ იმ სიტყვებით, მაგრამ ტონი აგებინებდა, და მისი იდუ-მალება თრთოლასავით უვლიდა.

„მინდიხარ...“

„ოტელში მოვალ, ოთხისთვის“.

ხმები მიიკარგა. როზმერი ჯერ ისევ ისე, სუნთქვაშეგუბებული იდგა. გაქ-ვირდა კიდევაც პირველად — მათი ურთიერთობა რატომღაც უფრო შეკავე-ბული წარმოედგინა და უცებ კი სულ სხვა, ახალი გრძნობა მოერია, სულ

უცნობი და ღრმა და არ იცოდა რა იყო — აღტაცება თუ სიძულვილი, შეძრა კი ამან და რესტორანში შებრუნებისას, საშინლად ეწელი ეგონა რაღაც, აგხნებულოყო, ყურებში ისევ ჩავსმოდა ნიკოლის ჰაღლიერი, ვხვდებოდა ხმა, „შეკითხები კიდევაც!“ უნებლიეთ მოსმენილი საუბრის ჰემარტოზული ვერ ჩასწვდენოდა, ეს მერე იქნებოდა, მაგრამ გრძნობდა, ყველაფერი იყო არც ის ანტიპათია დაუფლებია, ფილმებში სასიყვარულო სცენების გადაღებისას რომ მოიცავდა ხოლმე.

თუმცა როზმერის არ ეხებოდა ეს ამბავი, მაინც გულგრილად ვერ იხსენებდა უნებლიეთ გაგონილ სიტყვებს, ნიკოლთან ერთად მალაზიებში სიარულისას ბევრს ფიქრობდა ამათ პაემანზე, ალბათ უფრო მეტს, ვიდრე თავად ნიკოლი. ახლებურად, სხვა თვალთ შვსცქეროდა და აკვირდებოდა და ახლა უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა იგი, ნიკოლზე ლამაზი ქალი ჯერ არ შემხედვარიანო, ფიქრობდა. იმისი სიმკაცრეც გიზიდავდათ, პირგამხეხვაც, თავდადება, ლოიალურობა და კიდევ რაღაცა მოუხელთებელი, რაც როზმერისთვის, ყველაფერს ახლაც თავისი დედას თვალთ რომ ზომავდა, ნიკოლის ფულთან მიმართებაში ვლინდებოდა. როზმერის შრომითა ჰქონდა ეს ფული და ხარჯავდა ახლა, ევროპაში კი იმიტომ იყო, რომ იანვრის ერთ დღეს, დილიდანვე სიცხიანი, 99°-დან 103°-მდე რომ აუწია, ერთი ექვსჯერ გადაეშვა წყალში, ვიდრე დედამისი არ ჩაერია საქმეში და არ შეაჩერა.

ნიკოლის დახმარებით როზმერიმ თავისი ფულით ორი კაბა, ორი შლაპა და ოთხი წყვილი ფეხსაცმელი იყიდა. ნიკოლს ორგვერდიანი სია ჰქონდა და იმ სიის მიხედვით ყიდულობდა რაც სურდა. რაც ვიტრინაში მის ყურადღებას მოიქცევდა, იმასაც ყიდულობდა. შესაძლოა თვითონ ვერ მოეხმარა, მაგრამ მეგობრებისთვის იძენდა. ფერადი მძივები, ხელოვნური ყვავილები, გასაბერი ბალიშები პლაჟისათვის, ჩანთები, შალეები, თათლუჭი და ერთი ათი საბანაო კოსტიუმი იყიდა, და კიდევ: გასაშლელი საწოლი, რეზინის ნიანგი, თოჯინების სახლის ავეჯ-სამკაული, პატარა თუთიყუშები, მოდაში ახალშემოსულა ქსოვილი, სადაფის ელვარება რომ დაჰკრავდა, სპილოს ძვლისგან გაკეთებული ნიოქრული საგზაო ჰადრაკი, თხელი ტილოს დიდი ცხვირსახოცები ეიბისთვის, ორი ნატის ქურთუკი მალაზია „ჰერმესში“ — ერთი ზღვისფერი და მეორე — შემღვრეული შინდისფერი. ნივთებს ისე კი არ ყიდულობდა, როგორც ვინმე კურტიზანი ქალი, რომლისთვისაც ძვირფასეულობა და თეთრეული პროფესიული აღჭურვილობაცაა და კაპიტალის დაგროვებაც. არა, აქ სულ სხვა რამე იყო. ნიკოლის ქვეყნად არსებობას დიდი მოხერხებულობა და მახვილგონიერება ხმარდებოდა, მისი გულისთვის მიქროდნენ მატარებლები კონტინენტის დიდ ფაშებზე, მატარებლები, ჩიკაგოდან რომ იწყებდნენ თავიანთ გზას და ვიდრე კალიფორნიამდე; იცვამლებოდნენ საღებავი რეზინის ფაბრიკები და უფრო და უფრო სწრაფად ბრუნავდნენ დაზგები ქარხნებში; გეგებში ურევდნენ კბილის პასტას და სპილენძის დიდი როფებიდან ასხამდნენ მერე. აგვისტოში ქანცაწყვეტილი ქალიშვილები ძლივს ასწრებდნენ პამიდვრის დაკონსერვებას, საშობაოდ კი წელში ველარ იმართებოდნენ — ნაძვის ხისთვის ყველაფერი აყურში უნდა ყოფილიყო. მეტისები წაქცევას იყვნენ ბრაზილიის ყავის პლანტაციებში, ხოლო მეოცნებე გამომგონებლებს, ერთ მშვენიერ დღეს, როცა უცებ შეიტყობდნენ, რომ თავიანთი გამოგონების პატენტ-სხვებსა რგებია, სახე ეცვლებოდათ, ესენიც და კიდევ სხვებიც, ნიკოლს მკათედს უბდიდნენ, ბოლოს, ეს

მთელი სისტემა იყო, რთული, გამუდმებით და შეუფერხებლად მბრუნავი გრილსა და რყევასი და რაკილა ნიკოლი ამ სისტემას ეკუთვნოდა, მისი გველა საქციელი, მალაზიებში სიარული და ნივთების ყიდვაც კი, რაღაცა შუქით ნათლდებოდა, საცეცხლურის წინ მეცეცხლურის იმ სახესავეთ, ცეცხლურის წინ დასთამაშებს. მეტად უბრალო პრინციპების ილუსტრატორი იყო ნიკოლი, თავისივე ბედისწერა, მაგრამ კარგი ილუსტრატორი, მომხიბვლელი, ისეთი, რომ როზმერის ახლა მოუნდა მისთვის მიეზამა.

უკვე ოთხი იყო თითქმის. ნიკოლი მალაზიის შუაგულში იდგა, მხარზე თუთიყუში შემოესვა, ლაპარაკს მოჰყვა, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

„ხომ შეიძლებოდა ზამთრის იმ ერთ დღეს წყალში არ გადაშვებულიყავით... საოცარია, ზოგჯერ ისე უცნაურად მოხდება ხოლმე ყველაფერი. მახსოვს, ომამდე ბერლინში ვცხოვრობდით, მაშინ დედა ცოცხალი იყო. მე თორმეტი წლისა ვიყავი. ჩემი და, ბები, მიწვეული იყო სასახლის მეჯლისზე და საცეცხლო ბარათში სამი ცეკვა ეწერა ბრწყინვალე პრინციპთან — ეს ყველაფერი ერთი კამერჰერის მეშვეობით მოგვარდა. ის იყო, ოცდაათი წუთის მერე უნდა წასულიყო, რომ უცებ სიცხემ აუწია და ტკივილი იგრძნო. ეჭიმმა თქვა, აპენდიციტია და სასწრაფო ოპერაციაა საჭიროო. მაგრამ დედას თავისი გეგმები ჰქონდა, ასე რომ, ბები მეჯლისზე წავიდა და ლამის ორ საათამდე ცეკვავდა, სამეჯლისო კაბის ქვეშ კი ყინულიანი ბუშტი ჰქონდა მიმაგრებული. დილის შვიდზე ოპერაცია გაუკეთეს“.

მაშ, ისე ჩანს, თითქოს უღმობელოობა საჭიროა; ყველა კარგი ხალხი უღმობელია თავის მიმართ. ამასობაში უკვე ზუსტად ოთხი შესრულდა. როზმერი დიკზე ფიქრობდა, ახლა ის ოტელშია და ნიკოლს ელის. რატომ არ მიდის, რად აცდევინებს, წავიდეს. ფიქრით აჩქარებდა ნიკოლს, „რად არ მიდიხართ?“ და ლამის უცებ წამოიყვირა: „თუ თქვენ არ გინდათ, მაშინ მე წავალ!“ მაგრამ ნიკოლმა კიდევ ერთგან შეიარა, როზმერისთვის და თავისთვის კორსაყები იყიდა, ერთიც მერი ნორთს გაუგზავნა და ეტყობა, მხოლოდ ამის მერე გაახსენდა, დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა და ტაქსის მოუხმო.

„კარგად კი გაუიყვანეთ დრო, თქვენ რას იტყვით?“ დაემშვიდობა იგი.

„შესანიშნადა“, მიუგო როზმერიმ. არ ეგონა, ასე ძნელი თუ იქნებოდა; უყურებდა, როგორ დაიძრა ტაქსი, თანდათან თვალს ეფარებოდა. მთელი მისი არსება პროტესტს მოეცვა.

### XIII

დიკმა ტრავერსს შემოუარა და ფიცრებგადაფარებულ ტრანშეაზე განაგრძო სვლა. გზად პერისკოპი დაინახა, ერთხანს გაჩერდა, მერე სასროლ საფეხურზე ავიდა და მიწაყრილიდან გადაიხედა. მღვრიე წყაროსფერი ცის ქვეშ ბომონ-ჰამელი მოჩანდა, მარცხნივ კი ის ავბედითი ტიპვალის გორაკი. დიკმა თვალბთან მიიტანა საველე ჭოგრიტი, ისეთი სევდა და ნალველი მოეძალა და ისე მოაწვა ყელში, ლამის დაიხრჩო.

გზა განაგრძო, ტრანშეას გასცდა და მომდევნო ტრავერსთან დაეწია ყველას. ერთი სული ჰქონდა სხვებისთვისაც გადაედო თავისი მღელვარება, სხვებ-



საც ეგრძნობ და გაეგოთ; არადა, თვითონ არა და, ეიბ ნორთი იყო ბრძოლაში.

„იმ ზაფხულს ამ მიწას თითო ფუტს ოცე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა“, უთხრა როზმერის დიკმა.



როზმერიმ საწყლად მოავლო თვალი ჯუჯა ხეებჩარბიჭულ ველს, დიკს რომ ეთქვა ახლა, გვბომბავენ, ცეცხლს გვიშენენო, დღეს ამასაც დაუჯერებდა. უკვე ისე უყვარდა, უკვე იმ ზღვრამდე მივიდა მისი სიყვარული, რომ ტკივილი და სასოწარკვეთა ეწვებოდა. რა ექნა, ანდა რა ელონა — კარგია დედა აქა ჰყავდეს და ელაპარაკოს.

„იმის შერე კიდევ ბევრი ხალხი დაიხოცა და მალე ჩვენც ყველა დავიხოცებით“, ანუგეშა ეიბმა.

როზმერი დაძაბული შეჰყურებდა დიკს, ჩქარა უნდოდა ისევ იმას ეთქვა რამე და ელაპარაკა.

„იმ პატარა მდინარეს ხონ ზედავთ,— იქედან ორი წუთის სავალიც არ არის. ბრატანელებს კი მაშინ იქამდე თვე დასჭირდათ, რომ მისულიყვნენ. მთელი იმპერია მოაწევდა წინ, წინა რიგებში ეცემოდნენ და უკანანი ცვლიდნენ. სხვა იმპერია კიდევ უფრო ნელა იხევდა, დღეში ერთი დღეით, და დახოცილები სისხლიანი ნაგლეჯებივით ეყარა ყველგან. ასეთი რამ აღარ იქნება ჩვენა თაობის ცხოვრებაში. ევროპის არც ერთი ხალხი არ გაბედავს ასეთ რაღაცას“.

„თურქეთში ახლახან შეწყდა ომი“, თქვა ეიბმა. „მაროკოში კი...“

„ეგ სხვა საქმეა. დასავლეთის ფრონტის ვამეორება ევროპაში შეუძლებელია. მალე აღარ მოხდება ეს. ამაოდ ჰგონიათ ახალგაზრდებს, რომ ამის თავი აქვთ. მარნის პირველი ბრძოლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ის, რაც აქ იყო — არამც და არამც: რაც აქ მოხდა, იმას ბევრი რამე დასჭირდა, ღმერთის რწმენა, საუბხვის წლები, გაძლება, იმ ხანის კლასთა ურთიერთმიმართება. იტალიელები და რუსები ამ ფრონტისთვის არ გამოდგებოდნენ. საჭირო იყო შენზე უსხესი, აღარც რომ გახსოვს, ისეთი გრძნობისა და მთლიანი სულის აღჭურვილობა. საჭირო იყო გესომებოდა საშობაო დღეები და ღია ბარათები კრონპრინცისა და მისი საცოლის პორტრეტებით, ვალანსის პატარა კაფე და ლუდხანები უნტერ დენ ლინდენზე, ქორწინება მერიში და დერბისკენ გამგზავრება და პაპაშენის ქილვაშები“.

„ბრძოლის ასეთი ტაქტიკა ჯერ კიდევ გენერალმა გრანტმა მოიგონა ათას რუკას სამოცდა ხუთში პიტერსბერგთან“.

„არა, ასე არ არის. გენერალმა გრანტმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ ჩვეულებრივი მასობრივი ელექტა მოაწყო. მე რაზეც ელაპარაკობ, ეს ლუის კეროლისა და ეიულ ვერნის საქმეა, კიდევ იმ გერმანელისა, „Undine“ რომ დაწერა, აეგლის თამაშის მოყვარული დიაკვნებისა და მარსელელი marraine-ს<sup>1</sup>, ვიურტემბერგისა და ვესტფალიის მიყრუებულ ადგილებში შეცდენილი ქალიშვილებისა. კაცმა რომ თქვას, აქ ხომ სასიყვარულო ბრძოლა გაიმართა, ბურჟუას სიყვარულის საუკუნე გავიდა ბრძოლის ამ ველზე. ეს იყო სიყვარულის უკანასკნელი ბრძოლა“.

„თქვენ გინდათ, რომ ამ ბრძოლის თავი და თავად დ. ჰ. ლორენსი გამოაცხადოთ“, უთხრა ეიბმა.

<sup>1</sup> სათოლოდელები (ფრანგ.).

„მთელი ჩემი მშვენიერი, მომხიბლავი, ბედნიერი სამყარო ფეხებზე დასიყვარულის ძალით აიტყორცნა აქ, ჰაერში“, ველარ დაშოშმინდა დიკი „არა, როზმერი?“

„მე არ ვიცი“, სერიოზულად მიუგო მან. „თქვენ იცით ყველაფერი, ისინი სხვებს ოდნავ დაშორდნენ. უცებ სეტყვასავით წამოვიდა მიწის გორახები და კენჭები და შორიახლო ტრავერსიდან ეიბის ხმამაღალი შეძახილი მოისმა:“

„ჩემში ძველი მეომრის სული იღვიძებს ისევ. ჩემს ზურგს უკან მთელი საუკუნის სიყვარულია ოპაიოსი, ჰოდა, ახლა დავბომბავ ამ ტრანშეას“. ეიბმა თავი ამოყო მიწურიდან. „თქვენ რა, თამაშის წესები არ იცით? მოკლულა ხართ, ბომბი გესროლეთ“.

როზმერიმ გაიცინა და დიკმაც, ის იყო პეშვით კენჭები წამოკრიფა, მაგრამ მაშინვე გადაყარა.

„არა, არ შემოძლია ამ ადგილას მასხარაობა, თავის მოტყუება იქნება“, თითქმის დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მან. „ვიდრემდის არა შესცვალოს საბელი ვეცხლისა და არა შეიმუსროს გამოცდა ოქროსა...“ და როგორც არის მერე, მაგრამ მე ძველი რომანტიკოსი ვარ და რას იზამ, ამას აღარაფერი ეშველება“.

„მეც რომანტიკოსი ვარ“.

ზედმიწევნით რესტავირებულ ტრანშეას გასცდნენ და ბრძოლის ველზე დაცემული ნიუფაუნდლენდლების ძეგლთან აღმოჩნდნენ. როზმერი უცებ აქვითინდა. ქალების უმრავლესობასავით, ამასაც უყვარდა ჩაეგონებინათ და ეთქვათ მისთვის, რა როგორ ეგრძნო, და მოსწონდა, დიკი რომ ასწავლიდა, ეს სასაცილოა, ეს კიდევ სამწუხაროთ, მაგრამ ყველაზე მეტად ისა სურდა, გაეგოდო, რა ძალიან უყვარდა ახლა, როცა ამ სიყვარულმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როცა ბრძოლის ველზეც კი ისე დადის, თითქოს მშვენიერ სიზმარშიაო.

მერე თავიანთ მანქანაში ჩასხდნენ და ისევ ამიენს დაბრუნდნენ. ჯუჯა ხეებსა და ბუჩქნარზე თბილი წვიმა ცრიდა. აქეთ-იქით დროდადრო წააწყდებოდნენ ხოლმე თათქოს უზარმაზარი დასამარხავი კოცონისთვის მიზიდულ კურვებს, მასრებსა და ბომბებს, ყუმბარებს და სხვადასხვა ამუნიციას, ჩაჩქნებს, ხიშტებს, თოფის კონდახებს, შვიდ წელს მიწაში გდებისაგან დამპალ ღვედებს და უცებ, გზის მოსახვევს იქით, აქაფებული ტალღებივით გამოჩნდა საფლავეების მთელი ზღვა. დიკმა მოფერს მანქანა გააჩერებინა.

„შეხედეთ, იმ ქალიშვილს ისევ თანა აქვს ყვავილები“.

უყურებდნენ, როგორ გადმოვიდა მანქანიდან და იმ ქალიშვილისკენ გაემართა, ხელში დიდი გვირგვინი რომ ეჭირა და დაბნეული იდგა სასაფლაოს კომპარტან. იქვე ელოდებოდა ტაქსი. ეს ის ტენესელი უღალთმიანი ქალიშვილი იყო, ამ დილას რომ შეხვდნენ და გაიცნეს მატარებელში; ნოქსვილიდან ჩამოვიდა, რათა თავისი ძმის საფლავზე ყვავილები დაეწყო. ახლა გაღიზიანებული, ნამტირალევი ჩანდა, სახეზე ისევ ჩამოსდიოდა ცრემლები.

„სამხედრო დეპარტამენტში, ეტყობა, შეეშალათ და სხვა ნომერი მომცეს“, ახლუქუნდა დიკის დანახვისას. „იმ საფლავზე სხვა სახელი აწერია, ორ საათზე ჩამოვედი და მერე სულ ვეძებ, მაგრამ აქ იმდენია, რას იპოვი“.

„ადექით და რომელიმე საფლავზე დადეთ ეგ ყვავილები“, ურჩია დიკმა.

„თქვენი აზრით, ასე უნდა მოვიქცე?“

„მე მგონია, ისიც ამასვე ინდობებდა, რომ ასე მოქცეულხარ“.

უკვე ბინდდებოდა და წვიმამაც უმატა, ქალიშვილმა მსტრუკინმა კაშკაშით ახლო, ერთ-ერთ საფლავზე დააწყო და ხელად დაეთანხმა დიკს, რომ ტაქსი გაეშვა და ამიენში ამათთან ერთად ჩასულიყო.

სხვისი უბედურების შემყურეს ისევ ტირილი მოერია როზმერის — ერთი სიტყვით, ყველანაირად სველი გამოდგა ეს დღე: მაგრამ მაინც, ეჩვენებოდა, თითქოს ამ დღემაც რაღაც შესძინა, რაღაცას მიხვდა ახალს, თუმცა ზუსტად ვერ იტყოდა — რას. გვიან კი ამ დღეს რომ იხსენებდა, უბედნიერესად მიაჩნდა თავი, მშვენიერი იყო — ხომ ხდება ზოლმე, არაფრით გამოირჩევა ესა თუ ის დღე, გუშინდელი სიხარულის ხვალინდელში გადასვლა თუ გგონია მხოლოდ, არადა, სწორედ მაშინ ყოფილხარ თურმე ბედნიერი.

ამიენს, მოიისფრო და ხმაურიან ქალაქს, ჯერ ისევ აჩნდა ომის კვალი, რაღაც ხალხური დაჰკრავდა, როგორც ზოგიერთ ვაგზალს, ვთქვათ Gare du Nord-ს ან უოტერლოოს ვაგზალს ლონდონში. დღისით ასეთი ქალაქები წუხილსა გგვრიან, ძველებური ტრამვაი მირახრახებს დაცარიელებულ, რუხი რიყის ქვით მოკირწყლულ ტაძრისწინა სკვერზე, ჰაერიც კი დამძიმებული გეჩვენება, ამინდი ძველ ფოტოსავით ვაცრეცილია, მაგრამ ბინდდება და ყველაფერი, რაღაც ასე მიმზიდველია ფრანგული ყოფა, ქუჩებში იფინება — ხარხარა მეძავები, კაფეში მსხდარი კაცები, — ამათ ლაპარაკსა და კამათს ხომ ბოლო არ უჩანს და ზედ ერთი ასჯერ დააყოლებენ „Voilà!“ ერთმანეთს ჩაკრული მოსეირნე წყვილები, არსადაც რომ არ ეჩქარებათ. მატარებლის მოლოდინში დიდ თაღოვანში შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ, მუსიკა, კვამლი და ხმაური ირვოდა თაღებქვეშ და ავსებდა იქაურობას. იმათ პატივსაცემად ორკესტრმა „პო, ჩვენ აღარ გვაქვს ბანანები“ შეასრულა და ამათაც ტაში დაუკრეს, რაკი ღირიქორს კმაყოფილი იერი ჰქონდა. ტენესელ ქალიშვილს თავისი დარდი გადაავიწყდა და დიკთან და ეიბთან ტრფიალება მოუნდა, კეკლუცად არხევდა ტანს და გამომწვევად იხედებოდა, ესენიც აპყოლოდნენ და ახალისებდნენ.

მერე მატარებელი მოვიდა და პარიზს გაემგზავრნენ. უკან დარჩა თბილ-წვიმადადენილი მიწა, რომლის ქვეშაც ლბებოდნენ, იხრწნებოდნენ ვიურტემბერგელები, პრუსიის გვარდიის ჯარისკაცები, ალპიელი მსროლელები, მანჩესტერელი ფეიქრები და იტონის სკოლის აღზრდილები. ვაგზლის რესტორანში ბოლონური ძეხვისა და „ბელ პაეზე“ ყველის ბუტერბროდებს შეექცეოდნენ და ზედ ღვინოს, „ბოქოლეს“ აყოლებდნენ. ნიკოლი დაბნეული ჩანდა, ნერვულად იკვნეტდა ტუჩებს ცნობარში თავჩარგული — დიკს წამოეღო თან, რომ ყველა გზაცა და ყველა ადგილიც კარგად ენახათ და არაფერი გამორჩენოდათ. დიკმა მართლაც ცუდად როდი შეისწავლა ამიენის ბრძოლის ამბები, ზოგი რამ კიდევაც გაამარტივა და საბოლოოდ ცოტათი თავიანთ სახლში გამართულ ერთ-ერთ საღამოსაც დაამსგავსა.

XIV



პარიზში ჩასული ნიკოლი ძალიან დაღლილი ჩანდა საიმისოდ, რომ საღამოთი, როგორც ადრევე დათქვეს, ისიც დეკორატიული ხელოვნების გამოფენაზე წასულიყო. ნიკოლი ოტელ „Roi George“-ში მიიყვანეს დამსწრეების კონსტიბიულში, მინის კარებში გვარედინად არეკლილი სხივების ზოლებს მიეფარა, როზმერიმ შეება იგრძნო. ნიკოლი ძალა იყო, მაგრამ ალბათ მაინც დამაინც სანდო და კეთილი არა, იმასთან აბა, რას მიხედობოდი, წინასწარვე თუ არ იცოდი. დედასთან ასე არ იყო, როზმერის ცოტათი კიდევაც ეშინოდა ნიკოლის.

თერთმეტი საათისთვის როზმერი, ნორთები და დიკი სენაზე ახალგახსნილ კაფე-ტივტივაში შევიდნენ, ლივლივა წყალში ციმციმებდა ხიდის ფარნები, და უთვალავი ცივი მთვარეც შიგ ირწეოდა. დედასთან ერთად პარიზში ყოფნისას, კვირაობით ზოგჯერ ორივენი პატარა გემით სიურენამდე მიდიოდნენ ხოლმე და გზად თავიანთ მომავალზე ბჭობდნენ, ფული ცოტა ჰქონდათ, მაგრამ მისიზ სპირსს სჯეროდა როზმერის სილამაზისა და პატივმოყვარეობისაც, რაც თვითონვე ჩაუნერგა და რისკზე უნდოდა წასულიყო, მერე როზმერი, ფეხზე დამდგარი, დედის ამაგს გადაიხდიდა...

პარიზში ეიბ ნორთი ყოველდღე სვამდა. ღვინისა და შზისგან თვალეები ჰქონდა ჩაწითლებული. იმ საღამოს როზმერიმ პირველად შეამჩნია, ეიბი ლამის ეძებდა ისეთ ადგილებს, სადაც დაღევა შეეძლებოდა და გაიფიქრა, მერე ნორთს ალბათ დიდად არ სიამოვნებდესო ეს ამბავი. მერი ჩუმად იყო ხოლმე, ხშირად იცინოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა, იმდენად ცოტას, რომ როზმერიმ ბევრი ვერაფერი გაუგო, როზმერის მოსწონდა მისი სწორი, ხშირი შავი თმა, უკან სადად გადავარცხნილი, მხოლოდ კისერთან ტალღასავით რომ ეშლებოდა, დროდადრო საფეთქელთან ჩამოეშლებოდა ჯიუტად, ხედვას უშლიდა და მაშინ თავის გაქნევით გაისწორებდა ხოლმე.

„ამდამ ადრე წავალთ, ეიბ, ეს ბოთლი დაიცლება და წავალთ“. მშვიდი ხმა ჰქონდა მერის, მაგრამ შეშფოთება მაინცა სჭვიოდა იმის ხმაში. „ხომ არ გინდა, ამ ნავზე ღვინოდ დაიქცე“.

„კარგა გვიანია“, თქვა დიკმა. „სუყველა წავალთ“. მაგრამ ეიბის ღირსებით სავსე გამოხედვაში სიჯიუტე ჩანდა, გადაჭრით, ოღონდ მძიმელა თქვა:

„არა, არა“, და ცოტა ხნის მერე დაუმატა, „არა, ადრეა, ერთ ბოთლ შამპანურს კიდევ მოვასწრებთ“.

„მე მეტს აღარ დავლევ“, თქვა დიკმა.

„როზმერი კი დალევს, მე ასე მგონია, მართლა, ალკოპოლიკია. სააბაზანოში ყოველთვისა აქვს გადანახული ერთი ბოთლი ჯინი, ლოთია, რა გგონიათ, მისიზ სპირსმა მითხრა“.

ეიბმა ბოთლი დაცალა — როზმერის შეუვისო ჭიქა შამპანურით. პარიზში ჩამოსვლის პირველსავე დღეს იმდენი ლიმონათი დალია, ლამის ცუდად გახდა როზმერი და იმის მერე არანაირ სასმელთან მიკარება აღარ უნდოდა, მაგრამ ახლა შამპანურით შეგსებული ბოკალი ასწია და მოსვა.

„ამას რას ვხედავ!“ წამოიძახა დიკმა, „აკი მითხარით, არასოდეს დამილევიაო“.

„მაგრამ არ მითქვამს, არც არასოდეს დავლევ-მეთქი“.

„დედა რას გეტყვით?“

„ერთ ბოკალს შევსვამ, ეს შეიძლება“.

უცებ ძალიან მოუნდა ბოლომდე შეესვა ეს ერთი ბოკალი შამპანური. დიკი სვამდა, ბევრს არა, მაგრამ სვამდა და იქნებ, თუკი თვითონაც დალევს, დაახლოებს ეს დალევა, შეიძლებინებს იმის ჩადენას, რაც იზრახა და გულში იფიქრა. ერთბაშად გადაკრა თითქმის ბოლომდე, სასულეში გადასცდა და — ესეც არ იყოს, გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, — ამოთქვა, „თვრამეტის გავხდი“.

„როგორ არ გვითხარით!“ წყენით უთხრეს.

„განგებ, რომ არ შეწუხებულყავით“. როზმერიმ ბოლომდე შეესვა თავისი შამპანური. „ჩათვალეთ, რომ დღეს ვიხდით“.

„არავითარი, ასე იოლად არ გამოვა“, შეესიტყვა დიკი. ხვალ საღამოს საზვიამო სადილს გავმართავთ დაბადების დღის აღსანიშნავად და კეთილი ინებეთ და არ დაგავიწყდეთ, როგორი საქმეა — თვრამეტი წელი“.

„ყოველთვის მეგონა, რომ ის, რაც თვრამეტი წლამდე ხდება, უმნიშვნელოა, არაფერი“, თქვა მერიმ.

„ეგრეც არის“, მაშინვე დაეთანხმა ეიბი. „და რაც მერე ხდება, ისიც ისევ არაფერია“.

„სანამ ნავზეა, ყველაფერი სულ ერთია ეიბისათვის“, თქვა მერიმ, „წელს კი, ჩავა თუ არა ნიუ-იორკში, ბევრი რამის გაკეთებას აპირებს, სერიოზული გეგმები აქვს“. თითქოს დაღლილიყო იმის თქმით, რასაც მისთვის აზრი აღარა ჰქონდა, თითქოს უკვე ყველაფერი, რითაც თვითონ და თავისი ქმარი ცხოვრობდნენ ახლა, მხოლოდ განზრახვა და გეგმები იყო.

„ეიბი შტატებში მიდის, რომ მუსიკა წეროს, მე კი მიუნხენში მივდივარ, სიმღერის უკეთ სწავლისათვის და როცა ისევ შევეყრებით ერთმანეთს, წინ აღარაფერი დაგვიდგება“.

„რა კარგია!“ წამოიძახა როზმერიმ, შამპანურს უკვე თავისი გაჰქონდა.

„კიდევ, შამპანური ისევ როზმერის, რომ უკეთესად გაიზროს თავისი ლიმფური ჯირკვლების მოქმედება. ფუნქციონირებას ჯირკვლები თვრამეტი წლიდან იწყებენ ხოლმე“.

დიკმა ლმობიერად გაიცინა — უყვარდა ეიბი და დიდი ხანია ხელი ჩაიქნია მასზე.

„მედიცინისთვის ეს უცნობია და, საერთოდ — წავედით“. ეიბმა შეამჩნია, დიკი თითქოსდა მფარველობდა და დაუდევრად შენიშნა:

„გული მითქვამს, ჩემი ახალი პარტიტურა ბროდვეიზე ბევრად უფრო ადრე გავა, მანამდე, სანამ თქვენი მეცნიერული ტრაქტატი დაიწერება“.

„იმედი მაქვს“, ისევ ისე მშვიდად მიუგო დიკმა. „იმედი მაქვს. მე შეიძლება სულაც მივაგდო ეს რაღაც, როგორც თქვენ თქვით, „მეცნიერული ტრაქტატი““.

„ო, დიკ!“ გეგონება, თავზარი დაეცაო, ისეთი ხმით შესძახა მერიმ. როზმერის მანამდე არ ენახა ასეთი დიკი — სახეზე არც არაფერი ეხატა და გუმანით მიხვდა, ის, რაც ახლა თქვა, უბრალოდ არ თქვა და კინაღამ თვითონაც მერისთან ერთად წამოიძახა: „ო, დიკ!“

მაგრამ დიკმა ისევ გაიცინა.

„მივაგდებ და სხვას დავიწყებ“, დაუმატა და ადგა.

„მოიცა, დიკ, ცოტა ხანს გაჩერდით, მინდა გავიგო...“

„სხვა დროს გეტყვით. ღამე მშვიდობისა, ეიბ. ღამე მშვიდობის, მერა...“

„ღამე მშვიდობის, დიკ, ძვარფასო“.

მერი ისე იღიმებოდა, გეგონება, იმაზე ბედნიერება აღარაფერი ექნებოდა. რომ იმ ღამეს თითქმის ცარიელ კაფე-ნავზე მოუწევდა ფიზიკობა. სხვა რა გზა ჰქონდა. შეუპოვარი ქალი იყო, იმედს იოლად არ კარგავდა. მზად იყო ყველაფერში მიჰყოლოდა ქმარს და იმისი ცხოვრებით ეცხოვრა; სცადა, მაგრამ ერთხელაც ვერ გადაახვევინა გზიდან ეიბს, ეს გზა კი თავისი იყო და ზოგჯერ გულგატეხილი ფიქრობდა, რომ საიდუმლოს ეიბში ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული. მაინც ყოველთვის ავგაროხივით, იღბლიანი გეგონებოდათ...

XV

„რის მიგდებას აპირებთ?“ იკითხა როზმერიმ, ტაქსიში რომ ჩასხდნენ და სერიოზული სახით შეხედა დიკს.

„ისეთი არაფერია“.

„თქვენ მეცნიერი ხართ?“

„მე ექიმი ვარ“.

„რას ამბობთ!“ გაუხარდა და გაიცინა, „მამაჩემიც ექიმი იყო. მაგრამ, რატომ არ...“ ველარ დაამთავრა და გაჩუმდა.

„აქ ავბედითი საიდუმლო არა არის რა. ჩემი პროფესიისათვის არ მილაღატია და არც არავის განმოქტევივარ, კი არ ვიმალები რივიერაზე, ახლა, უბრალოდ, პრაქტიკა არა მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს კი შეიძლება ისევე მქონდეს“.

როზმერიმ ნელა მიუახლოვა სახე, რომ დიკს ეკოცნა. თითქოს ვერ მიხვდა დიკი, მხრებზე ოდნავ მოხვია ხელი და როზმერის სათუთ ლოყას ლოყით შეეხო. მერე შეხედა, დააკვირდა.

„მშვენიერი გოგონა“, ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

როზმერიმ გაუღიმა; ორივე ხელით უნებლიეთ ეხებოდა დიკის პიჯაკის კალთებს.

„შემიყვარდით, თქვენც და ნიკოლიც, ეს ჩემი საიდუმლოა — ვერავის ველაპარაკები თქვენზე, არ მინდა სხვამაც იცოდეს, რომ ასე კარგი ხართ. ნართლა, მართლა გეუბნებით, მიყვარხართ, თქვენც და ნიკოლიც“.

ვინ დათვლის, რამდენჯერ მოესმინა დიკს ასეთი რამ, სიტყვებიც კი იგივე იყო.

უცებ ისე ახლო აღმოჩნდა როზმერი, რომ მისი ჯერ კიდევ ბავშვური სახის ნაკვთები ზედ თვალებთან აერია დიკს და სუნთქვაშეკრულმა აკოცა. თითქოს როზმერი არც რამდენი წლისაც არ ყოფილიყო.

როზმერი მკლავზე მიეყრდნო და ამოიოხრა.

„გადავწყვიტე უარი ვთქვა თქვენზე“, თქვა მან.

დიკი შეკრთა — განა რაიმე საბაბი კი მისცა როზმერის, რად იფიქრა, რომ ოდნავი უფლება მაინც ჰქონდა დიკზე?

„ეს კი უმსგავსოაა“, განგებ მხიარულად თქვა. „სწორედ მაშინ, როცა რაღაც ინტერესი ვიგრძენი“.

„მე ისე შემიყვარდი... ასე მგონია, უკვე რამდენიმე წელია...“ ხმაში ტირილი გაერია. „ი-ი-სე შემიყვარდი“.

მერე, იმის მაგივრად, რომ ალბათ უნდა გაეცინა, დიკს თავისივე სიტყვები ჩაესმა:

„თქვენ მხოლოდ ლამაზი კი არა, ძალიან კარგი და თავისთავადიცა ხართ, და რასაც არ უნდა გამოხატავდეთ. ვითომ გიყვართ თუ ვითომ მორცხვი ხართ, — სულ ერთია, მაინც გიხდებით ყველაფერი“.

როზმერი ისევ ახლოს მიიწია, ტაქსიში გამოქვაბულივით ბნელოდა და ნიკოლის რჩევით შექნილი სუნამოს სუნი ტრიალებდა. დიკმა აკოცა. უღიმღამოდ. ხვდებოდა, რომ იწვოდა როზმერი, მაგრამ ვნება ოდნავადაც არ ეტყობოდა ტუჩებსა და გამოხედვაში. როზმერის სუნთქვას შამპანური დაჰკრავდა, კიდევ უფრო მაგრად, სასოწარკვეთით მიეკრა, მაგრამ დიკს ვრძნობას უნებლედ მისი ბავისა და თვალების უმანკოება, თვალებისა, იმწუთას ქვეყნიერებისა და ღამის უსასრულობაში რომ იცქირებოდნენ. როზმერიმ კიდევ არ იცოდა, რომ ნეტარება შიგნით, გულშია. ოდესმე მიხვდება, გაიგებს ამას, მოიცავს ვნება, მთელ სამყაროს რომ მოსდებია და მაშინ დიკი, არც დაფიქრდება, არც ინანებს, ისე მიიღებს.

ოტელში როზმერის ოთახი დაივერების ოთახის მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ გეზად, ლიფტთან ახლო იყო. კართან მისვლისას როზმერიმ უცებ თქვა:

„ვიცი, არ გიყვარვართ — ამის იმედი არცა მქონია, მაგრამ თქვენ მისაყვედურეთ, რომ ჩემი დაბადების დღეზე არაფერი გითხარით. ახლა ხომ იცით, უკვე გითხარით, და მინდა ამ დღისთვის საჩუქარი მივიღო თქვენგან — შემოდით ჩემთან ერთი წუთით, რაღაც მინდა გითხრათ. მხოლოდ ერთი წუთით“.

შევიდნენ, დიკმა კარი ჩაკეტა და როზმერისკენ შებრუნდა; სულ ახლოს იდგა, მაგრამ ერთმანეთს არ შეხებიან. ღამისაგან მთლად ფერმიხდილი როზმერი ახლა ფერმკრთალზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა, მეჯლისის მერე დავიწყებულ თეთრ მიხაკს ჰკავდა.

„როცა იღიმებოდა...“ ისევ ჩვეული, ხუმრობანარევი და მამობრივი ტონი დაიბრუნა, შესაძლოა, ნიკოლის უხილავი სიახლოვის წყალობით, „როცა იღიმებოდა, ყოველთვის მგონია, რომ ნაკბილარს დაგინახავთ პირში — მოცვლილი სარძევე კბილის ადგილას“.

მაგრამ უკვე გვიანი იყო რაიმეს თქმა — როზმერი უფრო ახლო მიიწია, მიეკრა და საწყალობლად, განწირულივით ჩაიჩურჩულა:

„ამიყვანეთ“.

„აგიყვანოთ? სად?“

დიკი გახევდა გაკვირვებისგან.

„გთხოვთ“, ჩურჩულებდა, „ისე მომეჭვცით, როგორც ხდება, თუნდაც უსიამოვნო იყოს, არ ვიცი, — ამაზე ფიქრიც კი მეჭავრებოდა ყოველთვის, მაგრამ ახლა არა, მინდა თქვენ იყოთ ჩემთან“.

თვითონვე გაუკვირდა თავისი თავის, ვერასოდეს იფიქრებდა, ასე ლაპარაკს თუ შეძლებდა. ეს გამოძახილი იყო ყველაფრისა, რაც ესმოდა და რასაც კითხულობდა, რაზეც ფიქრობდა და ოცნებობდა წლების მანძილზე, სამონასტროში. თანაც გუმანით ხვდებოდა, რომ თავისი ყველაზე დიდი როლიც იყო თითქოს და მთელი ძალით მისცემოდა ამ როლის თამაშს.

„სხვა რაღაც ვინდათ თქვით“. დიკმა სცადა გონზე მოეყვანა. „თქვენ მამ-  
ბანურის ბრალია? კარგი, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს“.

„აჰ, არა, ახლა, ახლა მინდა, რომ ჩემთან იყოთ, თქვენი ვერ, მინდა  
მთლად თქვენი ვიყო“.

„ჯერ ერთი, გიფიქრიათ იმაზე, რომ ნიკოლს ეს ტკივილს მიაყენებს?“

„ის ვერ გაიგებს, ეს სულაც არ ეხება მას“.

დიკმა აღერსით, ნაზად უთხრა:

„მერე კიდევ, გავიწყდებათ, რომ მე ნიკოლი მიყვარს“.

„მაგრამ, ხომ შეგიძლიათ კიდევ ვინმე გიყვარდეთ? მე ხომ მიყვარს დედა  
და მიყვარხართ თქვენც — უფრო მეტად, ახლა თქვენ უფრო მეტად“.

„...თანაც, თქვენ ახლა არ გიყვარვართ, მერე კი შეიძლება შეგიყვარდეთ  
და რა გამოვა, თავიდანვე აგერევათ მთელი ცხოვრება“.

„არა, სიტყვას გაძლევთ, აღარასოდეს შეეხვდებით მერე! დედას გამოვიძა-  
ხებ და ჩამოვა თუ არა, ამერიკაში წავალთ“.

დიკმა ეს ფიქრი მოიშორა. კარგად ახსოვდა, ძალიან კარგად, მისი ბავშ-  
ვური ტუჩები, და ტონი შეიცვალა.

„გაგივლით, ახლა ხართ ამ გუნებაზე, თორემ გაგივლით“.

„არა, თუ შეიძლება, არ მეშინია, თუნდაც ბავშვი გამიჩნდეს. მექ-  
სიკაში წავალ, სტუდიაში ერთი მსახიობი ასე მოიქცა. აღრე არ მიგრძვნია  
ასეთი რამ. ყოველთვის მძაგდა, როცა სერიოზულად მკოცნიდნენ“. დიკი ხე-  
დავდა, რომ მაინც სჯეროდა, ეს მოხდებოდა. „ზოგს ისე დიდი კბილები ჰქონ-  
და, მაგრამ თქვენ სულ სხვა ხართ, ლამაზი, კარგი, მინდა თქვენი ვავხდე“.

„მე მგონია, ფიქრობთ, რომ არსებობს რაღაც არაჩვეულებრივი კოცნა და  
ვინდათ მე ვაკოცოთ ისე“.

„დამცინით, ბავშვი აღარა ვარა ვიცი, არ გიყვარვართ. ამისი იმედი არცა  
მქონია“. უცებ გაჩუმდა, დაშოშმინდა. „თქვენ ალბათ არარაობად მთვლით“.

„სისულელეა. მაგრამ მე ჯერ ისევ ბავშვი მგონიხართ“. და თავისთვის,  
ფიქრში დაუმატა: „და ჯერ ბევრი რამე უნდა ისწავლოთ“.

როზმერი ხმას აღარ იღებდა, დაძაბული სუნთქავდა, ელოდა, ისევ დიკს  
ეთქვა რამე:

„და ბოლოს, ცხოვრებაში ისე არ ხდება, როგორც ვინდათ“.

როზმერიმ თავი ჩალუნა, წყენითა და გულის ტკივილით მოშორდა დიკს.  
ის იყო, დიკმა უნებურად დაიწყო:

„ჯობია, მე და თქვენ, უბრალოდ...“ მაგრამ სიტყვა გაუწყდა, დაინახა,  
როზმერი საწოლზე ჩამომჯდარიყო და ტიროდა. თვითონაც დაჯდა. უცებ თავ-  
გზა აებნა, იმიტომ კი არა, რომ დაეჭვდა თავის ზნეობაში — არა, სხვაგვარად  
ვერ მოიქცეოდა, ეს გამორიცხული იყო, — უბრალოდ თავგზა აებნა და მოქნი-  
ლობამ, ასე ძალიან რომ უხდებოდა, და დაურღვეველმა სულის სიმშვიდემ  
წუთით უმტყუნა.

„ვიცოდი, არ მოინდომებდით“, ქვითინებდა როზმერი. „რისი იმედი უნ-  
და მქონოდა“.

დიკი ადგა.

„ლამე მშვიდობის, ბავშვო. თავი დავანებოთ, სიგიჟეა ეს ლაპარაკი. ჩავ-  
თვალთ, ვითომ არც არაფერი არ ყოფილა“. რამდენიმე დამამშვიდებელი  
სიტყვა გარკვეული დოზით, ძილის წამალით მიჰგვარა დიკმა. „თქვენ ძალიან



ბევრს შეუყვარდებით, და როცა თვითონაც შეგიყვარდებათ, გაგიხარდებათ, რომ პირველ სიყვარულს უმანკო და ხელუხლებელი მიეგებებით სულითაც და სხეულითაც. ეს ცოტა ძველმოდური აზრია, არა? როზმერიმ თავი/ასწია და დაინახა, კარებისკენ მიდიოდა დიკი. უყურებდა და ოდნავად ცქერა ზეცებოდა, თუ რა ხდებოდა იმის გულში. ხედავდა, როგორ გადადგას ქილა ქილა ნაბიჯი, შემობრუნდა და გამოხედა, და იმწუთას როზმერის მოუნდა გამოკიდებოდა, მკლავებში ჩავარდნოდა, ეგრძნო იმისი ბაგე, ყურები, პიჯაკის საყულო, უნდაოდა შემოხვეოდა, გულში ჩაეკრა; მაგრამ დაცს უკვე კარის სახელურზე ედო ხელი, მორჩა, მეტი აღარაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. კარი რომ მიიხურა, საწოლიდან წამოდგა, სარკესთან მივიდა და სლუკუნ-სლუკუნით თმის ვარცხნას მოჰყვა, ას ორმოცდაათჯერ გადაისვამდა ხოლმე თმაზე ჯაგრისს ყოველ საღამოს, მერე კიდევ ას ორმოცდაათჯერ. როზმერი მანამ ივარცხნიდა თმას, სანამღე ხელი არ ეტკინა, მერე მეორე ხელით მოჰყვა ვარცხნას...

XVI

ლამემ დააცხრო როზმერი, გაღვიძებულს, სირცხვილი წვაედა. სარკეში თავისი მშვენიერი სახის დანახვამ სიმშვიდე არ მოჰგვარა, პირიქით, უფრო გაუმძაფრა გუშინდელი ტკივილი; არც დედისაგან გამოგზავნილმა იმ ბიჭის ბარათმა უშველა, შარშან იელის მეჯლისზე რომ წაეყვანა როზმერი, იტყობინებოდა, რომ პარიზში ჩამოდიოდა, — ახლა ეს უკვე წარსული იყო. თავისი ოთახიდან გამოვიდა, დაივერებთან შეხვედრას დღევით მოელოდა, დღეს ორმაგად მტანჯველი იქნებოდა იმათი ნახვა. მერე მკერავთან უნდა შეველოთ, არა, ვერაფერს შეამჩნევდნენ, ნიკოლივით ამასაც რაღაც შეუღწევადი გარსი ექნება შემოვლებული. მაინც ესიამოვნა, როცა ნიკოლმა ერთი დამთხვეული გამყიდველი ქალის გამო მართებულად შენიშნა: „რატომღაც ძალიან ამძაფრებენ ხოლმე სხვების აზრს თავიანთ თავზე, ეს ბევრს სჩვევია; გეგონება, იმათ მოწონებაზე ან ანტიპათიაზე ფიქრობდეს ყველა“. ასეთ შენიშვნაზე, ექსპანსიური როზმერი გუშინ გულში აღშფოთდებოდა, მაგრამ დღეს გაუხარდა — იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა დაეჯერა, რომ არც არაფერი მომხდარა, და იხიბლებოდა ნიკოლის ჰკუთით, სილამაზით, და თანაც პირველად თავის სიცოცხლეში — ეჭვიანობდა. გოსის ოტელიდან წამოსვლის სწორედ წინა დღეს იყო, დედამისმა ნიკოლზე რომ თქვა, მშვენიერი იყო, სხვათა შორის შენიშნა, მაგრამ როზმერიმ იცოდა, ეს შენიღბვა იყო. თავის მრავლისმეტყველ აზრს ამ ხმაზე, კაზუალური ტონით იტყოდა ხოლმე. ამჯერად — შენ ასეთი არა ხარო, აგებინებდა, მაგრამ ოდნავადაც არ სწყენია. თავიდანვე დიდად არ გაუნებებინებიათ თავისი გარეგნობის გამო, დიდი ხანი არ არის, რაც მის სილამაზეზე ალაპარაკდნენ და ესეც რაღაც მისდა საკეთილდღეოდ მოპოვებული და შეძენილი რამ ეგონა მხოლოდ, როგორც, ვთქვათ, თუნდაც ფრანგულის ცოდნა. ახლა კი, მიუხედავად ამისა, ნიკოლის გვერდით ტაქსიში მჯდომი, უნებლიეთ თავის თავს აღარებდა მას. ნიკოლი თითქოს რომანტიკული სიყვარულისთვის გაჩენელიყო. მისი აშოლტილი სხეული, იმისი ნაზი, ხან მოკუმული, ხან ოდნავ გაპობილი და მიმნდობი მოლოდინის გამომხატველი ბაგე. ნიკოლი პატარაობიდანვე ლამაზი იყო და ასეთიც დარჩებოდა მაშინაც, როცა ამოზიდულ ყვრიმალეებზე

გამხმარი პირის კანი შემოეჭიმებოდა. სახის ასეთი წყობა არ იცვლებოდა. წინათ საქსონელივით ვარდისფერსა და ქერა ნიკოლს, თმა გამუქებოდა და უფრო მიმზიდველი ჩანდა, ვიდრე იმხანად, როცა ქერა თმა შუბლს მთელი სიგრძელივით შემოვლებოდა და თმალამაზი მთლად ლამაზს სჯობდა.

Rue de Saint Pères-ზე უცებ ერთ სახლზე მიუთითა როზმერიმ:

„იქ ეცხოვრობდით“.

„საოცარია, როცა თორმეტი წლისა ვიყავი, დედამ, ჩემმა დამ ბებიმ და მე, ამ ქუჩაზე გაეტარეთ ზამთარი, აი იმ ოტელში“.

ნიკოლმა ის ოტელი დაანახვა. ორი გახუნებული შენობის ფასადი — ზავშვობის ორი ბუნდოვანი გამოძახილი აქეთ-იქიდან.

„მაშინ სახლს ვაშენებდით ლეიკ ფორისტში და მომჭირნეობით უნდა გვეცხოვრა“, განაკრძო ნიკოლმა. „უფრო სწორად, ვიჭირვებდით მე, ბებია და გუგერნანტი, დედა კი მოგზაურობდა“.

„ჩვენც მომჭირნეობით უნდა გვეცხოვრა“, თქვა როზმერიმ, რა თქმა უნდა, ხედებოდა, ამ სიტყვას მათთვის სხვადასხვა აზრი რომ ჰქონდა.

„ამაზე ლაპარაკისას დიდ სიფრთხილეს იჩენდა ხოლმე დედა, „იადფასიან ოტელს“ კი არა, როგორც იყო“, ნიკოლმა თავისი გადამდები, მიმზიდველი სიტყვებით ჩაიციხა. — „პატარა ოტელს“ იტყოდა ხოლმე. ჩვენი ყოყლოჩინა მეგობრებიდან თუ მისამართს გვეკითხავდა ვინმე, იმას კი არ ვეტყოდით, რომ „პაშების კვარტალში ეცხოვრობთ. სადაგელ, მინგრეულ-მონგრეულ ქოხმახში, სადაც, წყალი თუ იქნა, ესეც დიდი შეღავათია“, არა, ყოველთვის ვამბობდით, რომ „პატარა ოტელში“ ეცხოვრობდით. თითქოს ყველა დიდი ოტელი ჩვენთვის ზედმეტად ხმაურიანი და ვულგარული იყო. რაღა თქმა უნდა, მეგობრები ოღონდ ხედებოდნენ და საცა კი მოხვდებოდით, ამაზე ყველას უამბობდნენ. მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა, გვეუბნებოდა, ევროპაში ცხოვრების უნარი უნდა გქონდესო, მას ჰქონდა ეს უნარი, რა თქმა უნდა, ის ხომ გერმანიაში დაიბადა, მაგრამ დედა ჰყავდა ამერიკელი, თვითონ კიდევ, ჩიკაგოში გაიზარდა და ამერიკული უფრო მეტი ეცხო, ვიდრე ევროპული“.

ერთ-ორ წუთში სხვებსაც შეხვდებოდნენ და სანამ ლუქსემბურგის ბაღის პირდაპირ Rue Guinemer-ზე ტაქსი გაჩერდებოდა, როზმერიმ ერთხელაც მოასწრო ვარდასახვა. ნორთებთან უნდა ესაუბრათ, სხვენისძირა, უკვე მირღვეულ-მორღვეულ და ფოთოლხშირი ხეებით დაჩრდილულ იმათ ბინაში. როზმერის ეჩვენებოდა, რომ გუშინდელი და დღევანდელი დღე ცა და მიწასავით პგვანდნენ ერთმანეთს. მაგრამ, პირისპირ აღმოჩნდა თუ არა დიკთან და თვალღებში შეხედეს, თითქოს ჩიტებმა გაჰკრესო ცაში ფრთები, იმწამსვე, სიხარულით აივსო როზმერი. ყველაფერი კარგად იყო, მშვენიერი იყო. იგრძნო, უკვე თითქმის უყვარდა დიკს და გიჟივით გაუხარდა, თბილი ყრუანტელი მოერია სხეულს. რაღაც ფარული და მშვიდი ხმის მღერა მოესმოდა, ძლიერდებოდა, თანდათანობით ღრმავდებოდა ის ხმა, თითქმის არცკი უყურებდა დიკს, მაგრამ გრძნობდა, რა კარგად მიდიოდა ყველაფერი.

საუზმის მერე დაივერები, ნორთები და როზმერი „ფრანკო ამერიკენ ფილმზა“ ეწვივნენ. იქ მოვიდოდა კოლის კლეიცი, მისი ნიუტეივენელი მეგობარი, რომელსაც ტელეფონით შეუთანხმდა როზმერი. ეს ჭაბუკი, ვისაც ჩრდილოეთ შტატებში სწავლის მისაღებად წასული ყველა სამხრეთელივით

მეტისმეტი პირდაპირობა და ტრაფარეტულობაც კი ახასიათებდა. წარმოშობით ჯორჯიიდან იყო. შარშან ზამთარს, სანდომიანი, მონდენილი ყმაწვილიაო, ფიქრობდა როზმერი და როცა ერთხელ მანქანით ნიუ-ჯერსიდან ნიუ-იორკამდე ერთად იმგზავრეს, მთელ გზაზე ხელიხელჩაკიდებულნი იყვნენ. ახლა მისთვის იგი, უბრალოდ, აღარ არსებობდა.

დარბაზში როზმერი კოლის კლეისა და დიკს შუა იჭდა, აპარატს რაღაც მოეშალა და სანამ მექანიკოსი „მამიკოს გოგონაზე“ ჯახირობდა, ადმინისტრაციიდან ვილაცა ფრანგი თავს ევლებოდა როზმერის, თან სულ ახალი ამერიკული სლენგით ცდილობდა ელაპარაკა, უარგონითვე მიმართავდა მექანიკოსსაც: „გავაფრენ და ეგ არის, ბიჭო“. ბოლოს რაღაც ხმაური გაიშმა, გატყაცუნდა, კიდევ რაღაც ზუზუნი და, როგორც იქნა მარტო აღმოჩნდა დიკთან. სიბნელეში შეხედეს ერთმანეთს.

„როზმერი, ძვირფასო“, ჩაიჩურჩულა დიკმა. მათი მხრები ერთმანეთს შეეხია. იმ რიგის ბოლო სკამზე მჯდარი ნიკოლი შეიშმუშნა, ეიბი დიდხანს ახველებდა და ცხვირს იხოცავდა; მერე ყველა დაწყნარდა და ფილმი დაიწყო.

ესეც ის — შარშანდელი მოწაფე, ტანავრის სტატუტით უკან გადაწეული და ბუჭებზე ჩაშვებული თმით, ის — ასეთი ნორჩი და უმანკო, დედის ალერსიანი ზრუნვის ნაყოფი, მთელი რასის ხორცშესხმული ინტანტილიზმი, ვისი მეძავური გონის საამებლადაც ახალი თოჯინა გამოეჭრათ მუყაოსაგან. როზმერის სინორჩისა და სინედლის შეგრძნება გაახსენდა, მაშინდელი, ის ახალი და სრიალა აბრეშუმის კაბა რომ უცვა.

მამიკოს გოგონა. ასეთი პაწაწკინტელა, არადა, რაღა არ გადახდა საბრალოს! უღურტულა, შეუპოვარი პაწაწკინტულა. მისი ერთი ბეწო მუშტის წინაშე უკან იხევდა ავხორცობა და გარყვნილება, უფრო მეტიც, ბედიც კი სხვაგვარად ტრიალდებოდა, სილოგიზმი, დიალექტიკა, სალი აზრი — ყველა ძალას ჰკარგავდა. ქალებს ავიწყდებოდათ, გასარეცხი თეფშები რომ ეყარათ შინ და ქვითინებდნენ. თვითონ ფილმშიც ერთი ქალი იმდენს ქვითინებდა, კინადამ როზმერისაც აჯობა. ტიროდა დეკორაციებში, — გადაღებისას მთელი ნათი ავლადიდება; დანქენ ფაიფის სასადილო ოთახში, აეროპორტში, მდინარეზე, აფრიანი ხომალდების გასწრებისას, — აქედან ფილმში მხოლოდ ორი კადრი შევიდა; მეტროპოლიტენის ვაგონსა და ბოლოს — სააბაზანოში. მაგრამ გამარჯვება მაინც როზმერის დარჩა, წასიათის შეურყეველობამ, კეთილშობილებამ და გამბედაობამ უშველა გაეძლო ქვეყნად გამეფებული უხამსობისთვის, სახეზე ეწერა რაც გადახდა, ამის სახე ხომ ჯერაც ნიღბად არ ქცეულიყო. ისეთი უნებური და გულისშემძვრელი ჩანდა, რომ იმ რიგში ყველა, მონიბლული და გულაჩუყებულები, დროდადრო მისკენ იხედებოდნენ და უყურებდნენ. ფილმის ჩვენებისას ერთხელ იყო შესვენება და სინათლე აინთო თუ თუ არა, ყველამ თავისი ალტაცება გაუზიარა, ხმაური და ტაშისცემა რომ მიწელდა, დიკმა უბრალოდ და გულწრფელად უთხრა: „თქვენ გამოაცეთ, ეჭვიც არ მეპარება, ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი დადგებით მალე“.

მერე კი ისევ „მამიკოს გოგონა“ ეკრანზე. გათავდა წუხილი და დადგა უფრო ბედნიერი დღეები. როზმერიმ და მამამისმა ერთმანეთი იპოვეს და ევალაფერი დამთავრდა მათი შეხვედრის სცენით, სადაც ოიდიპოსური კომპლექსი ისე ცხადი და გულისამრევად სანტიმენტალური იყო, რომ დიკს თავისი თავისა და ყველა ფსიქიატრის გამოც ეუბერბულა. ფილმი დამთავრდა, სინათლე

აინთო და დადგა ის წუთი, რომელიც უნდა დამდგარიყო.

„მე ერთი სიურპრიზი მაქვს თქვენთვის“, ყველას გასაგონად გამოსცხა და როზმერიმ. „დიკისთვის სასინჯი გადაღების საქმე მოეაგვარე“.

„რაო?“

„სასინჯი კინოგადაღება, ახლა მიიწვევენ“.

ეროვნული  
ბიზნისთვის

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა; მერე ვიღაცამ — ნორთი იყო, მერი ან ეიბი, — სიცილი ვერ შეიკავა. როზმერის თვალი არ მოუშორებია დიკისთვის, ნეტყველ ირლანდიურ სახეზე ამჩნევდა, რომ თანდათან ხვდებოდა სიტყვების აზრს, მაგრამ მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ თავისი კოზირის გამო რაღაც შეცდომა დაუშვა, ოღონდ, ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რომ თვითონ ბანკო არ უვარგოდა.

„სასინჯ გადაღებაზე მე არ წავალ“, მტკიცედ თქვა დიკმა; მაგრამ მთელი სიტუაციის გააზრების მერე უფრო გულთაღი ტონით განაგრძო: „მიკვირს, როზმერი, რამ მოგაფიქრათ, კინო შესანიშნავი კარიერაა ქალისთვის, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჩემვან რა კინომსახიობი უნდა დადგეს. რა მზეჭაბუკი მე მნახეთ ნეტაე, ჩემი სახლისა და მეცნიერების იქით სხვა არაფერი არა ვიცი რა“.

ნიკოლი და მერი ირონიულად აქეზებდნენ, ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა; ცოტათი კიდევაც სწყინდათ, რომ თვითონ არ მიიწვიეს. მაგრამ დიკმა სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. მსახიობებზე გამოთქვა თავისი აზრი და საკმაოდ მკვეთრადაც.

„ყველაზე მაგრად იმ კარს კეტავენ, რომელსაც არსად არ შევყავართ“, თქვა მან. „ალბათ იმიტომ, რომ სიცარიელე უშნოა და რცხვენიათ“.

როზმერი დიკთან და კოლის კლეისთან ერთად ჩაჯდა მანქანაში — კოლისს მოეყვანდნენ თავის ოტელში და მერე დიკი როზმერის ერთ საღამოზე წაიყვანდა, ნიკოლმა და ნორთებმა უარი თქვეს იმ აუცილებელი და გადაუდებელი საქმეების გამო, ეიბმა ბოლოსთვის რომ მოიტოვა. ტაქსიში როზმერიმ უსაყვდურა დიკს.

„მე მგონა, თუ გადაღება წარმატებით ჩაივლიდა, ფირს თან, კალიფორნიაში წავიღებდი. ზე კი, თუკი მოეწონებოდათ, იქნებ მიეწვიეთ კიდევაც და ახალ ფილმში ჩემი პარტნიორი ვახდებოდით“.

დიკი გაშტერდა.

„ძალიან მიხარია, ასე რომ ფიქრობთ ჩემზე, როზმერი, მაგრამ ის უფრო მირჩევნია, კინოში თქვენ გიყუროთ. ამ სურათში მშვენიერი ხართ“.

„მაგარი ფილმია“, თქვა კოლის კლეიმ. „მეოთხეჯერ ქნახე. ერთ ბიჭს ვიცნობ, ნიუტეივენელია, ათჯერ მაინც ნახა, ერთხელ საგანგებოდაც კი წავიდა პარტფორდში, მაგრამ როზმერი რომ ნიუტეივენში ჩამოვიდა, ისე შერცხვა, შეხვედრაზე უარიც კი თქვა. როგორია? ეს პატარა გოგო ყველას ძირს აწვენს“.

დიკმა და როზმერიმ ერთმანეთს გადახედეს; ერთი სული ჰქონდა ორივეს, მარტო დარჩენილიყვნენ, მაგრამ კოლისს ახრადაც არ მოსდიოდა მათი დღეობა.

„ჯერ თქვენ მიგიყვანთ“, თქვა მან. „მე „ლუტეციაში“ ვცხოვრობ, აქვეა“.

„არა, ჩვენ მიგიყვანთ“, უთხრა დიკმა.

„არაფერია, მიგიყვანთ, ჩემთვის იოლია“.

„მე მგონია, ჯობია, რომ ჩვენ მიგიყვანოთ“.

„მაგრამ...“ თაიწყო კოლისმა და გაჩერდა, ბოლოს და ბოლოს მიხვდა

და როზმერის გაუბა ლაპარაკი, ისევ სად და როდის შევხვდეთო, ეკითხებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა წავიდა, დიდი არაფერი, მაგრამ მარცხ ზედმეტი იყო, ტვირთად აწვათ მესამე პირი. მანქანა გულდასაწყვეტად წილუ და მოულოდნელად გაჩერდა იმ სახლთან, სადაც მიდიოდნენ. დიკმა კურმავდუძისუნთქა.

„რა ვქნათ, შევიდეთ?“

ბიზლიფისუნთქა

„როგორც გინდათ, ჩემთვის სულ ერთია“, თქვა როზმერიმ. „როგორც თქვენ იტყვით“.

დიკი დაფიქრდა.

„არა, უნდა მივიდეთ — იმ ქალს რამდენიმე სურათის ყიდვა სურს ერთი ჩემი მეგობარი მხატვრისაგან, რომელსაც ძალიან სჭირდება ფული“.

როზმერიმ თმანე ოდნავ გადაისვა ხელი, იგრძნო, ცოტათი არეული ჰქონდა და გაისწორა.

„ხუთი წუთით და წამოვიდეთ“, თქვა ბოლოს დიკმა. „თქვენ ეს ხალხი არ მოგეწონებათ“.


ალბათ მოსაწყენი ხალხია, სტერეოტიპები, — გაიფიქრა როზმერიმ, — ან სმას გადაყოლილები და აბეზრები, ისეთები, ვისთან ურთიერთობასაც დაივერები ერიდებიანო. არ ეგონა, რომ სხვა სცენას ნახავდა და სხვა შთაბეჭდილება დარჩებოდა.

## XVII

სახლი Rue Monsieur-ზე იდგა. კარდინალ დე რეტის გადაკეცილებული სასახლე გახლდათ, მაგრამ სასახლისაგან კარკასილა დარჩენილიყო. შიგნითაც აღარაფერი მოგაგონებდათ წარსულს, არც აწმყოს, იმას, რაც როზმერიმაც იცოდა. უფრო იმასა ჰგავდა, რომ ძველებური აგურის კედლები მყოფადს მოიცავდა, ასე, რომ ვინც იმ სახლის ზღურბლს, — თუ ზღურბლი იყო, — გადააბიჯებდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს დენმა დაარტყაო, ან კიდევ საუზმედ შვრიის ფაფა ჰაშიშთან ერთად მოართვესო. გრძელი პოლი უნდა გაეგლო, მოლურჯო ფოლადს აქ ოქროცურვილი ვერცხლი ენაცვლებოდა და ეს ყველაფერი სარკეების მირიად უცნაურ წახნაგებში ირეკლებოდა. აქ სულ სხვა შთაბეჭდილება გრჩებოდათ, ისეთი არა, როგორც ვთქვათ, დეკორატიული ხელოვნების გამოფენაზე, სადაც ყველაფერს გარედან უყურებ და, აქ კი, თვითონ შიგნით ექცევი. როზმერის უცხო, ყალბი და ზედმეტად ჭრელი მოეჩვენა აქაურობა, ასე ეგონა, სცენაზე ვაიყვანესო და ხვდებოდა, რომ სხვებსაც იგივე გრძნობა ჰქონდათ.

ოცდაათამდე კაცი იყო, უმთავრესად ქალები და ყველა მათგანი, ლუიზა მ. ოლკოტისა თუ მაღამ დე სეგიურის თარგზე გამოჭრილი, შუშის წამახულ ნამსხვრევებს რომ წამოკრებს ხელი, იმ ხელივით ფრთხილად და გამოზომილად მიმოდიოდა ამ სცენაზე. აქ არ იგრძნობოდა გარემოსა თუ ნივთების მიმართ თავისუფლება, რაც ხელოვნების საგნების მფლობელ კაცს უჩნდება ხოლმე, თუნდაც მეტად თავისებური და ეზოტერული იყოს ის საგნები. რა ოთახი იყო, ვერ გაიგებდით, რასაც გინდათ დაარქმევდით, ოღონდ ოთახს კი არა. იქ ყოფნა ისევე ძნელი იყო, როგორც გაპრიალებულ მოძრავ კიბეზე ზევ-ზევით ასვლა, საამისოდ ისევ იმ შუშის ნამსხვრევების ფრთხილად ამკრები

ხელის წაშველება სჭიროდა კაცს და ეს სიფრთხილე თუ გამოზომვა იყო იქ მყოფთა ზნეც და ბუნებაც. — თითქმის ყველასი.



ორნაირ ხალხს მოეყარა თავი. ერთ ჯგუფში შედიოდნენ ამერიკელი ინგლისელები, მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის მანძილზე ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ და ისევ თავიანთ ნებაზე მიშვებულებს, ზოგჯერ თვითონაც არ ესმოდათ რა უნდოდათ და რას აკეთებდნენ. ერთ ხანს რომ მეტად წყნარად იყვნენ, მოღუწებულნი და ყველაფრისადმი გულგრილები, უცებ ჩხუბს წამოიწყებდნენ. ერთ ამბავს ატეხდნენ და ცთუნებასაც აპყვებოდნენ. მეორე ჯგუფი საქმოსნების, უფრო ფხიზელი და საღი გონების ხალხისაგან შედგებოდა. ამათ რალაცა მიზანი ჰქონდათ ცხოვრებაში და დროს ეგრე იოლად სიაულებლევზე არ დაჟარგავდნენ. ესენი უკეთ ეგუებოდნენ ამ გარემოს და ტონსაც აძლევდნენ იქაურობას. რამდენადაც ეს შეიძლებოდა ისეთ ადვილას, სადაც განათების უახლესი ხერხებით ეფექტის მიღწევა იყო მთავარი.

ამ ფრანკენშტაინმა შთანთქა დიკი და როზმერი, წამში ჩაყლაპა, შესვლაც ვერ მოასწრეს, რომ ორთავე ცალ-ცალკე აღმოჩნდა და გაოცებულმა როზმერიმ, თავისსავე თავს შეამჩნია, — პატარა ფარასვევლი იყო, განგებ ხმამაღლა მოლაპარაკე, და გულგალეული ელოდა რეჟისორის მოსვლას, რომ წარემართა მისი ცხოვრება. ერთი სიტყვით, აქ ყველას ფრთები ჰქონდა გამოსხმული, და ისე ატყლაშუნებდნენ ამ ფრთებს, რომ თვითონაც მოუნდა არ ჩამორჩენოდა სხვებს, გამოცდილება და წვრთნაც შეელოდა; რამდენჯერმე შეტრიალება, — გაიარა და გამოიარა და, უცებ აღმოაჩინა, რომ უკვე გაება საუბარი ერთ მეტად მოხდენილ, სანდომიან ქალიშვილთან, ლამაზ ბიჭს რომ უგაედა სახე; საუბარი კი გაება, მაგრამ ფაქტიურად ოთახის სხვა მხარეს, ოთხიოდე ნაბიჯის იქით საქვემეხო ლითონისაგან ჩამოსხმულ კიბესთან მდგომებისთვის მიეგდო ყური და ლამის სიტყვა-სიტყვითაც კი ისმენდა იმათ ლაპარაკს.

სამი ანაღგაზრდა ქალი ჩამომჯდარიყო ამ კიბის ქვედა საფეხურზე, სამი-ეგნი მალღები და მოხდენილები, ლამაზი პატარა თავებითა და მანეკენებივით თნადავარცხნილები. ლაპარაკისას თავებს გრძელყუნწიანი ყვავილებივითა თუ კობრებივით შეარხევდნენ ხოლმე თავიანთ მუქ, მამაკაცისნაირ კოსტიუმებზე.

„არა, უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგ საღამოებს მართავენ“, თქვა ერთმა დაბალი, მეღერი ხმით. „ფაქტიურად, ყველაზე კარგი საღამოები პარიზში მაგათია. არარაობა უნდა ეიყო, რომ ეს უარყო. ოღონდ, მაინც...“ ამოიოხრა, „მისი გაუთავებელი ფრაზები, წამდაუწუმ რომ იმეორებს — „აბორიგენები, ჭაები რომ ხრავენ“ ...კარგი, ერთხელ შეიძლება გაიცინო, მაგრამ...“

„მე უფრო ისეთ ხალხს ვანიჭებ უპირატესობას, ეინც მაგათსავეთ კარგად ვერ ააწყო თავისი ცხოვრება“, თქვა მეორემ, „ეს ქალი კი სულ არ მომწონს“.

მაინცდამაინც არასოდეს ადვფრთოვანებულვარ მაგ ხალხით, მაგათი კომპანიით ხომ... თუნდაც ის მისტერ ნორთი, მთლად წყალწაღებულია“.

„მაგაზე ზედმეტია ლაპარაკი, ეგ არც ითვლება“, თქვა ისევ პირველმა. „მაგრამ თვითონაც იცით, რომ ის, ვისაც ვგულისხმობთ, მომხიბვლელია, ძნელად შეხვდები მაგისთანა კაცს“.

ახლალა მიხვდა როზმერი, რომ დაივერებზე ლაპარაკობდნენ და აღშფოთებისგან ლამის გაშეშდა. ამასობაში ეს ქალიშვილი, როზმერისთან მოლაპარაკე, — ცისფერთვალეა, ვარდისფერლაწვებიანი, გახამებული ბლუზითა და

შესანიშნავი ნაცრისფერი კოსტაუმით სარეკლამო ტიპს რომ ჰგავდა. — გაცხოველებით მოჰყვა ლაპარაკს და ლამის იერიშზე გადავიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, იმის შიშით, რომ როზმერი კარგად ვერ შეხედავდა, ცდილობდა, ერთი ბეწოც აღარაფერი დარჩენილიყო იმათ შორის. იუმორისტული საფარისკი, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა, როზმერიმ კარგად დაინახა და ლამის შეზიზღდა. ისე არ მოეწონა.

„იქნებ ერთად გვესაუბმა ან გვესაძილა სადმე, ხვალ ან ზეგ?“ ის ქალიშვილი სთხოვდა როზმერის.

როზმერიმ მიიხედ-მოიხედა, თვალებით დიკს ეძებდა, დაინახა, დიასახლისთან ერთად იდგა; რაც აქ მოვიდნენ, სულ იმას ელაპარაკებოდა და ეტყობა, ჯერ ვერ შეთანხმებოდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, დიკმა ოდნავ დაუქნია თავი და ესეც კმაროდა, სამმა კობრამ იმწამსვე შეამჩნია როზმერი და მოხედეს, კისრები კიდევ უფრო დაუგრობელდათ. თავით ფეხებამდე შეათვალიერეს. როზმერიმ გამომწვევად შეხედა, აგრძნობინა, რომ გაიგონა, რაცა თქვეს. მერე საჩქაროდ, მაგრამ თავანჯიანად, ისე, როგორც დიკმა იცოდა, დაშორდა დიანამოსაუბრეს და დიკთან მივიდა. დიასახლისი, ესეც კიდევ ერთი მაღალი ქალიშვილი, ეროვნული კეთილდღეობის უზრუნველად მომკელი მდიდარი ამერიკელი, დიკის უგულისყურობას არ დაგიღვევდათ და ათას კითხვას აყრიდა. რაღას არ ეკითხებოდა გოსის ოტელზე, ეტყობა, მალე იქით გასწევდა. როზმერის დანახვისას გაახსენდა, დიასახლისის ვალი უნდა მოეხადა და მაშინვე ჰკითხა: „საინტერესო ხალხს ვაეცანიო? კარგად ისაუბრეთ? ნახეთ მისტერ...“ თვალებით დაუწყო ძებნა მამაკაცს, „შესაფერისს“, როზმერისათვის, მაგრამ დიკმა — ჩვენი წასვლის დროაო — და მაშინვე წავიდნენ, იმ სახლს, იმ მიჯნას გასცდნენ თუ არა. უცებვე ქვის ფასადის ჩრდილში, წარსულში ჩაინთქნენ.

„საშინელება იყო“, თქვა დიკმა.

„საშინელება“. მორჩილად მიუგო როზმერიმ.

„როზმერი!“

როზმერი გაირინდა, ხმა ჩაუვარდა.

„რა?“

„საშინლად მოვიქეცი“.

როზმერი ხმამაღლა, გულით ატირდა, მხრები უთრთოდა ქვითინისგან.

„ცხვირსახოცი მომეციო“, ენა ებმოდა, ისე სთხოვა დიკს.

მაგრამ ტირილისთვის ვის ეცალა, ან ამის დრო სად იყო. შეყვარებულება ხარბად ჩაეკვრნენ, რამდენიმე წუთს ასე იყვნენ, ტაქსის მინებში მწუხრს შერეული სიმწვანე ჩანდა, უკვე სიმრუმე ემატებოდა და უშფოთველი წვიმის ღარდაში ელექტრონივით — ლურჯ და ცეცხლისფრად, ხანაც მავისფერ-მწვანე კვამლივით ჩნდებოდა და ინთებოდა რეკლამები. საღამოს ექვსი ხდებოდა, ქუჩებში მოძრაობამ იმატა, ბისტროების სარკმლებიდან უკვე შუქი გამოდიოდა, როცა ვარდისფერსა და დიდებულ თანხმობის მოედანს ჩაუარეს და მანქანამ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი.

როგორც ეჭნა შეხედეს, სახელებს ჩუმად ამოთქვამდნენ, ავგაროზებად. თარი სახელი ერეოდა სათუთად ჰაერს, სხვა სიტყვებზე, სხვა სახელებზე, სხვა მუსიკაზე უფრო მეტად და ხანგრძლივად ჩაესმოდა გონებას.

„არ ვიცი, გუშინ რა დამემართა“, თქვა როზმერიმ, „ალბათ შამპანურის ზრალი იყო? ადრე ასე არ დამმართნია“.

„უბრალოდ, ისა თქვით, რომ მე გიყვარვართ“.

„მართლა მიყვარხართ — ამას აღარა ეშველება რა“. ახლა კი დადგა დრო, ეტირა და როზმერიც ატირდა, ცხვირსახოცს იფარებდა.

„გონია, მეც მიყვარხართ“, თქვა დიკმა, „და კარგი იქნებოდა თუკი მომხდარიყო...“

ისევ ორი სახელი, — მერე გადაეხვივნენ, ისე თითქოს ტაქსიმ მიაგდო ერთმანეთსო. მკერდით მიეკვრნენ, როზმერის ბაგე, სულ სხვა და თბილი, დიკის ბაგეს შეერთო და აღარაფერზე ფიქრობდნენ ახლა, ვედარაფერს ხედავდნენ და ამის გამო ლამის ტკივილნარევი შვებას განიცდიდნენ; ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ და ერთმანეთს ეძებდნენ. თითქოს ნამთვრალევი და დაჭანცულევი, ორთავე მოიცვა ამ ბინდისფერმა, წყნარმა დაჭანცვამ, როიალის სიმებივით დაჭიმული და წნული სკამივით მოჭრიალე ნერვები მოუდუნდათ. ასე მგრძნობი და გაშიშვლებული ნერვები უნდა შეხებოდა ერთიმეორეს, ბაგე ბაგეს და მკერდი მკერდს...

ჯერ ისევ სიყვარულის უბედნიერეს ეტაპზე იყვნენ, მშვენიერ, ყველაფერს გადაწვდენილ, ილუზიების მირაჟში ხედავდნენ ერთმანეთს, და მათი არსებათა შერთვა თითქოს რაღაც არაჩვეულებრივ სამყაროში ხდებოდა, სამყაროში, სადაც სხვა ურთიერთობები არა იყო რა და ორივემ თითქოს საკვირვლად უცოდველი გზით მოაღწიეს აქამდე, შემთხვევების ჯაჭვმა შეპყარა ერთურთს, იმდენმა შემთხვევამ, რომ ბოლოს, სხვა გზა არ იყო და დაიჯერეს — ერთმანეთისთვის გაჩნდნენ ამქვეყნად. სუფთა ხელებით გამოიარეს აქამდე ეს გზა, ასე ეგონათ. და არც ვინმე ცნობისმოყვარე და გულდახურული შემოხედომიათ ამ გზაზე მავალთ.

მაგრამ დიკისთვის დიდხანს როდი გაგრძელდა ეს გზა: ტაქსის ოტელთან გაჩერებამდე გამოლუხიზლდა.

„არ შეიძლება, არ გამოვა“, ლამის შიშით თქვა, „მიყვარხართ, მაგრამ წუხელ საღამოს რაც გითხარით, არ შეიცვლება“.

„ჩემთვის ახლა სულ ერთია, მე მხოლოდ ის მინდოდა, შეგყვარებოდით. რაკი გიყვარვართ, სხვა ყველაფერი სულ ერთია“.

„სამწუხაროდ, ასეა, მიყვარხართ. მაგრამ ნიკოლმა არ უნდა იცოდეს, იოტისოდენა ეჭვიც არ უნდა გაუჩნდეს. მე არ შემიძლია დაეშორდე ნიკოლს და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ არ მინდა — აქ უფრო სხვა რამეა“.

„ერთხელაც მაკოცეთ“.

დიკმა აკოცა, მაგრამ როზმერისთან აღარ იყო.

„ნიკოლი არ უნდა დაიტანჯოს — ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მინდა, გაიგოთ ეს“.

როზმერის ესმოდა — ეს ყოველთვის კარგად ესმოდა — ტკივილი არ უნდა მიაყენო სხვას. იცოდა, რომ დაივერებს უყვარდათ ერთმანეთი, თავიდანვე იცოდა, არ შეშლია. თღონდ, ეჩვენებოდა, რომ ეს უკვე ჩამქრალი გრძნობა იყო, უფრო ამ სიყვარულს წააგავდა, როგორც რომელიღაც როზმერის და დედამისს უყვარდათ ერთმანეთი. როცა ამდენ დროს იმეტებენ სხვებისათვის, — ვინც უნდა იყოს, განა ეს იმას არა ნიშნავს, რომ ერთმანეთისგან იმათ უკვე ბევრი აღარა სჭირდებათ რა?

„ეს ჰეშმარიტი სიყვარულია“, გეგონება, მიუხედავ როზმერის ფიქრებს.



„ნამდვილი — თანაც, აქ უფრო რთულად არის საქმე, ძნელია თქმა, იმიტომაც მოხდა ის იდიოტური დუელი“.

„საიდან იცით იმ დუელზე? მე მითხრეს, რომ ვერ გაიგებდით“.

„გგონიათ, ეიბს საიდუმლოს შენახვა შეუძლია?“ ხმაზე მკვეთრად ირონია გაერია დიკს. „თუ რაიმე საიდუმლო გაქვთ, შეგიძლიათ გადსხვიოთ ერთი ან ბულვარულ ფურცლებზე გამოაქვეყნოთ, მაგრამ არამც და არამც არ ანდოთ იმ კაცს, ვინც დღეში სამჯერ ანდა ოთხჯერ და მეტჯერაცა სვამს“.

როზმერი დაეთანხმა და გაიცინა, მაგრამ მიეკრა დიკს.

„ასე რომ, იცოდეთ, ნიკოლისა და ჩემი ურთიერთობა რთულია, გარეგნულად ჯანმრთელი კი ჩანს, მაგრამ ისე სუსტია ნიკოლი და საერთოდ, ბევრიც სხვა რამ არის“.

„ამაზე სხვა დროს. ახლა მაკოცეთ — ახლა გიყვარდეთ, ამის მერე კი მე ისე ჩუმად შეყვარებით, ნიკოლი სულაც ვერ გაიგებს“.

„რა საყვარელი ხართ“.

ოტელის ვეატიბიულში შევიდნენ, როზმერი ოდნავ ჩამორჩა, რათა შორიდან ეცქირა დიკისთვის, ალტაცებით შეეხვდა და თაყვანი ეცა. თითქოს ძნელი რიდაცის ახდენის მერე ბრუნდებოდა და ახლა უფრო ძნელ საქმესთან შესახვედრად მიიჩქაროდა, ისე მოქნილად მიდიოდა დიკი. ის იყო ყველა მზიარულების მოთავე, ბედნიერებისა და განარების ძვირფასი განძის მცველი; ხელში მძიმე ჯოხი ეჭირა, ხელთამათნები ყვითელი, შლაპა კი — შლაპა საუცხოო ეხურა. სადაც დიკია, ხალისია, კარგი საღამო გველისო, გაიფიქრა როზმერი.

მეხუთე სართულამდე ფეხით აუყვანენ კიბეს. პირველი კიბის თავში შეჩერდნენ და აკოცეს ერთმანეთს; მეორეზე როზმერის სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, მესამეზე — მით უფრო. მომდევნოზე — კიდევ ორი იყო — როზმერი გამოსათხოვარი წამიერი კოცნისთვის შეჩერდა. მერე ორთავე ერთი კიბით დაბლა დაეშვნენ — ასე სურდა დიკს — და ამის მერე კი უკვე შეუჩერებლივ აჭიდნენ ზეკით. კიბის ბოლოში დაემშვიდობნენ ერთმანეთს, დიდხანს ვერ უშვებდნენ მოაჯირზე გაწვდენილ ხელებს, ბოლოს გაუშვეს, როგორც იქნა, დიკი ისევ ქვევით ჩავიდა, რათა იმ საღამოს თადარიგი დაეჭირა, როზმერი კი, თავის ოთახში შესული, დედასთან წერილის საწერად დაჯდა; სინდისი ქენჯნიდა, რომ ბოლო ხანს არც მონატრებია.

## XVIII

დაივერებს აპათიაც კი გასჩენოდათ მაღალი წრის ცხოვრებისადმი, მაგრამ მაინც იოლად ვერა თმობდნენ და მიჰყვებოდნენ ამ წრის ცხოვრების რიტმს, მაჯისცემას — დიკის საღამოებზე ყველაფერი ამაღელვებელი იყო, არავინ მოიწყენდა, ხანდახან ღამით სუფთა ჰაერზე გავლის შანსი ხომ კიდევ უფრო ამწაფრებდა სიამოვნებას.

ის საღამო კომედიური ფარსის ტემპში ტრიალებდა. თორმეტნი იყვნენ, მერე თექვსმეტი, მერე ოთხ-ოთხად ჩასხდნენ ავტომობილებში, პარიზის მიდამოებში უცაბედი ოდისეისტვის. ყველაფერი უკვე წინასწარ მოეფიქრაო. თითქოს ჯადოსნურად, გზადაგზა, უკებ სულ ახალი ხალხი ჩნდებოდა; ერთხანს

ამათი თანხმლებნი ხლებოდნენ და მეგზურობით, საქმის ალლოთი მიჰყვებოდნენ. მერე და მერე კი უკვალოდ ჰრებოდნენ და ახლა სულ სხვა, ვინმე ახალი განმოჩნდებოდა იმათ მავიერად. ახლა ახლები მიჰყვებოდნენ კვერთხის ხელახალ ვადღეებამდე. როზმერისათვის ეს ყველაფერი, იქაური ფიქვებულეების მოუხედავად, ოდნავადაც არა ჰგავდა პოლიცუდში გამართულ კვლევის ყველაფერს. თობა იყო სპარსეთის შაჰის ავტომობილით გასეირნებაც. არავინ იცოდა საიდან, რა ვხით მოახერხა ამ ავტომობილია შოგნა დიკმა. როზმერიმ იგი მიიჩნია ერთ-ერთ იმ საოცრებათაგან, რაც ასე ხშირად ხდებოდა იმის ცხოვრებაში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე. ავტომობილი სპეციალური შეკვეთით გაეკეთებინებინათ ამერიკაში. ბოობლები ვერცხლისა ჰქონდა, რადიატორიც, ძარის შიგნით უთვალავი თუშა ბრჭყვიანებდა. ერთი კვირის მერე, მანქანა თეირანს რომ ჩავიდოდა, იუველირი ჰატოსანა თვლებით შეცვლიდა მათ. უკან მხოლოდ ერთი ადგილი იყო, შაჰთან დაჯდომას ვინ გაბედავდა, და რიგრიგობით ჯდებოდა ყველა იმ ადგილზე. სხვები კი ამ დროს ძირს დაგებულ კვერნის ტყავზე იკალათებდნენ.

მაგრამ მთავარი დიკი იყო. როზმერი დედას, ვისაც ფიქრით არ შორდებოდა, აჯერებდა, რომ თავის დღეში არ ენახა იმაზე კარგი, საყვარელი, მომხიბვლელი ვინმე. ვიდრე დიკი იყო იმ საღამოს. როზმერი მას იმ ორ ინგლისელს ადარებდა. ვისაც ეიბი ახორებულად „მაიორ ჰენჯისტსა და მისტერ ჰორსას“ ეძახდა, კიდევ — სკანდინავიის ერთი ქვეყნის ტანტის მემკვიდრეს, რუსეთიდან ახლახან დაბრუნებულ მწერალს. თავად ეიბს, ყოველთვის თავზებელალებულსა და მახვილგონიერს. კოლის კლეის, სადღაც გზად რომ შემოეყარათ, და გრძნობდა, დიკისთან არავინ იყო, დიკს ვერავის შეადარებდა. როზმერის სიბლავდა მისი მონღომება და ძალა. მისი ვულუბნობა და თავდაუზოგაობა, დიკის უნარი. გამოეცოცხლებინა სხვადასხვა ბუნებისა და გუნების ხალხი, რომლებიც თავიანთ წილ ყურადღებას ისე ელოდნენ, როგორც ინფანტერიის ჰატალიონის ჯარისკაცები თავიანთ ულუფას და, ამას მეტად იოლად, ძალდაუტანებლად აკეთებდა. ყველასათვის ჰყოფნიდა ძალა.

...მერე ახსენდებოდა ის ბედნიერი წუთები, ამ საღამოს რომ ერგო. ჯერ ის, როცა დიკთან ცეკვავდა და იმის სიახლოვეს თავისი თავი საკვირვლად ლამაზი ეჩვენებოდა, დიკი ხომ მაღალი, ძლიერი იყო — როგორც კარგ სიზმარში, ისე დადიოდნენ, დადიოდნენ კი არა, ლივლივებდნენ. დიკი ხან აქეთ, ხან იქით, ისე სათუთად შემოატრიალებდა ხოლმე, თითქოს ხელში ყვავილები თუ ავირთვასი ქსოვილი უჭირავს და ერთ ორმოცდაათ თვალს ანახებდნო. დროდადრო არც კი ცეკვავდნენ, უბრალოდ, ერთ ადგილას იდგნენ და ერთ-მანეთის სიახლოვეთ ნეტარებდნენ. ერთხელაც უკვე გათენებულზე, როგორღაც მარტო აღმოჩნდნენ და როზმერის ნორჩი და ნოტიო სხეული აბრეშუმით მიეკრა დიკს და ასე გაყუჩდა ვიღაცების შლაპებისა და წამოსასხამების გროვასთან...

მოგვიანებით კი, ყველაზე ბევრი იმაზე იცინა, რომ ექვსივენი, ამ თავმეყრის რჩეულნი, ხალხი საღამოისა, „რიტის“ ჩაბნელებულ ვესტიბიულში იდგნენ და ლამის კონსიერეს ძლივძლიევობით აგებინებდნენ, რომ გარეთ გენერალი პერშინგი იცდიდა და ხიზილალასა და შამპანურს ითხოვდა. „იმას ლოდონი და გადადება არ უყვარს. ხალხიც და იარაღიც მაგას ემორჩილება“. მაშინვე საიდანღაც გამოიშალნენ ოფიციანტები, თავგზაარეული მირბი-მორბოდ-

ხენ და მალე ვესტიბიულშივე გაიშალა სუფრა. კარებში გენერალი პერშინვი, ერი გამოცხადდა, ისინი კი ყველა გამწკრივდნენ და რაც კი საომარი სიმღერებიდან ადგილები ახსოვდათ, ჩააბუღებულეს. მერე მოეჩვენათ, რომ ოფიციალტებს ეწყინათ ეს გათამაშება და ისე მარდად აღარ ტრიალებდნენ უმხზე, ადგნენ და სასჯელად ოფიციალტსავერი ხაფანგის მოწყობის რეგისტრაციას კი ავეჯი იყო ვესტიბიულში, ერთად მიდგეს, აახუხულავეს და გოლდბერგის კარიკატურის მსგავსი რაღაც უცნაური და უზარმაზარი რამ აღმართეს. ამის შემყურე ეიბი საეჭვოდ აქნევდა თავს.

„ის უფრო კარგი არ იქნება, მუსიკოსებს ხერხი წავართვათ და...“

„კარგი, კარგი, საკმარისია“, შეაწყვეტინა მერიმ. „რაკი ხერხზე მიდგა საქმე, ეს უკვე იმას მოასწავებს, რომ შინ წასვლის დროა“.

როზმერის გაუზიარა თავისი შეშფოთება:

„ეიბი შინ უნდა წავიყვანო. ხვალ თერთმეტზე მიდის მაგის მატარებელი. გემზე თუ დაავიანდა, ყველაფერი ჩაიწლება. კული მიგრძნობს, რომ ეიბის ცხოვრება ახლა უკვე ამ წასვლაზეა. მაგრამ დაიჯერებთ თუ არა, მე ერთს ვიტყვი და ის უაუღმა იქცევა“.

„ვცდი, იქნებ მე დავიყოლიო“, შესთავაზა როზმერიმ.

„გგონიათ შეძლებთ?“ დაეჭვებით ჰკითხა მერი ნორთმა. „თუმცა, შეიძლება“.

მერე დიკი მივიდა როზმერისთან.

„მე და ნიკოლი მივდივართ, კარგი იქნება თქვენც თუ წამოხვალთ“.

ცისკარი ჯერ კიდევ არ ცისკრობდა, დაღლილობისაგან ფერმიხდილი ჩანდა როზმერი. დაწვებზე, სადაც დღისით სიწითლე გადაჰკრავდა, ახლა ორი მუქად მიმქრალი ნიშანი აჩნდა.

„არ შემიძლია“, მიუგო მან. „მერი ნორთს შევპირდი, დავრჩები-მეთქი. მარტო თავს ვერ გაართმევს, გაუჭირდება ეიბის წაყვანა. იქნებ თქვენ ილონოთ რამე?“

„უნდა იცოდეთ, რომ ასეთ საქმეში ვერავის და ჟერაფერს უშველით“, დარიგებასავით შენიშნა დიკმა. „ეიბი რომ კოლეჯელი ბიჭი იყოს, თავის სიკოცხლეში პირველად რომ დათერა, კიდევ ჰო, ახლა მაგასთან ვერაფერს გახდება“.

„სულ ერთია, მაინც დავრჩები. ეიბი ამბობს, მთავარ ბაზარში თუ გამყვებით, მერე წავალ და დავიძინებო“, ცოტა არ იყოს გამომწვევად მიუგო მან. დიკმა საჩქაროდ აკოცა იდაყვზე.

„როზმერის მარტო ნუ გამოუშვებთ“, თქვა ნიკოლმა, როცა მერის დაემშვიდობა, „დედამისის წინაშე ჩვენ ვაგებთ პასუხს“.

...ერთი საათის მერე როზმერი და ნორთები, ჭყვირილა თოჯინების ფაბრიკის ერთი ნიუარკელი მეპატრონე, კოლის კლევი — სადაც არ გაიხედავდი, ყველგან თვალში რომ გეჩხირებოდა, — და ნავთობის მაგნატი, საუცხოოდ ჩაცმული ვეება კაცი, წარმოშობის: ინდიელი, ჯორჯ ტ. მეცხენეს რომ ეძახდნენ — ყველანი სტაფილოთი დაზვიანული ბანრის ფურგონით მიდიოდნენ. სიბნელეში სტაფილოს წვერებზე შერჩენილი მიწის საამო და ტკბილი სურნელი ტრიალებდა. როზმერი სულ მალლა შემომგდარიყო, ქუჩაში ფარნებმხოლოდ აქა-იქ ენთო და ბინდში ძლივს არჩევდა თავისი თანამგზავრების სახეებს. იმათი ხმები შორიდან ისმოდა. გეგონება ცალკე და სხვა მხარეს.

შეიძინა მიდიოდნენ. გულით კი — გულით დიკთან იყო. ნანობდა, ნორთებს რომ წამოჰყვია, ნატრობდა, ნეტავი ახლა ოტელში ვიყო, ჩემს ოთახში, დერფენას იქითა მხარეს კი დიკი იქნება მძინარეო, ან კიდევ, უფრო კარგი იქნება აქვე ქვევით, თბილ ბანდთან იყოს. სიახლოვესო.

„ზევით ნუ ამოდინხარა!“ დაუყვირა კოლისს, „სტაფილო ჩამოიყრება“. ნერვ ერთი ცალი სტაფილო აიღო და ეიბს გადაუგდო, მზიდავის გვერდით რალაც ბებრულად იჯდა ეიბი.

ბოლოს, როგორც იქნა შინ მიიყვანეს, უკვე კარგად გათენებულზე, სენსიულპისს ზემოთ მტრედები გარიკრიკებულყვნენ. უცებ ყველას სიცილი აუტყდა — ქუჩაში ხალხს ჰგონია, ეს-ეს არის გათენდა, ჩვენ კი ვიცით, წუხანდელი ღამე გრძელდებაო.

„ესეც ასე, ცხოვრების ფერხულში ჩავები“, გაიფიქრა როზმერიმ. „მაგრამ დიკის გარეშე რა ხალისია“. გულმტკივნეულად მოიწყინა, მაგრამ იმწუთას რალაც დაინანა, ირხეოდა; უზარმაზარი, აყვავებული წაბლი იყო, ღვედით მიემაგრებინათ გრძელ სატვირთო პლატფორმაზე და ელისეს მინდვრებზე გადაჰქონდათ; იწვა და, თანაც, სიცილისგან იჭაჭებოდა და ჯაგჯაგებდა, ძალიან ღამაზე ვინმესავით, მისთვის შეუფერებელ სიტუაციაში რომ მოხვედრილა, მაგრამ სულ ერთია, მაინც სკოდნია, რომ ღამაზია; როზმერი კმაყოფილი უყურებდა, გაიფიქრა, რომ ეს წაბლი თვითონ იყო, ამაზე გაეცინა და მაშინვე ისევ კარგად ეჩვენა ყველაფერი.

XIX

მატარებელი სენ-ლაზარის ვაგზლიდან თერთმეტზე გადიოდა. ჰუჭყისაგან დაღუქილი მინის გუმბათქვეშ — სამოცდაათიანი წლების ბროლის სასახლის ებოქის ნაშთი იყო ეს გუმბათი, — ეიბი მარტო იდგა. ოცდაოთხ საათს სმისგან მოლურჯო-მიწისფერი გახდომოდა ხელები და პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო. რომ თითების კანკალი დაეფარა. შლაპა არ ეხურა და ეტყობოდა, თმაზე საჩქაროდ გადაესვა სავარცხელი, ზემოთა ჰქონდა მხოლოდ ოდნავ გადავარცხნილი; სადღა იყო ის მოცურავე გოსის პლაჟიდან.

ჯერ ადრე იყო: მარტო თვალებით იხედებოდა აქეთ-იქით; თავიც რომ მიეტრიალებინა, ან საერთოდ, განძრეულიყო, ნერვების დაძაბვა იყო საჭირო და ახლა ამისი ძალა არ ჰქონდა. გვერდით კეწკეწი ჩანთები გაატარეს; ვიღაც შავგვრემანი კატუნები, ალბათ ეიბის მომავალი თანამგზავრები ჩახლეჩილი; ყურთწამლები ხმით გაიძახოდნენ რალაცას.

ერთი კი გაიფიქრა, იქნებ მოვასწრო ბუფეტში შესვლა, რომ გადავკრაო, და ჯიბეში დაკმუჭნილი და ნოტიო ათასფრანკიანები მოსინჯა, რომ ამ დროს უბნის თავში ნიკოლა მოჰკრა თვალი. დააკვირდა — ნიკოლის სახე ახლა თითქოს ჩვეულებრივად გამოუთქმელსა და ფართულ რალაცას ამყლავნებდა. ასე ჩნებდად ეჩვენებათ მათ, ვინც მოფარებითა დგანან და თვითონ კი უკვე უყურებენ, ვისაც ელიან. ოდნავ წარბშეკმუხნილი ნიკოლი თავის შეილებზე დაქრობდა, იმდენად გულაჩვილებით არა, უფრო საქმიანად, კატასავით — როცა თათით მიითელის კნუტებს.

ეიბის დანახვაზე სახე შეეცვალა. იქაურობას დილაადრიანი, ნაღვლიანი შეუქი დაჰკრავდა და ეიბი უფრო გულდამძიმებული და საცოდავი ჩანდა. მზე-

დაკრულს, მაინც ეტყობოდა ჩაშავებული თვალის უბეები, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

„მთხოვეთ მოვსულიყავი და იმიტომ მოვედი“, თითქოს თავს იცავსო, ისე თქვა ნიკოლმა.

ეიბს აშკარად არ ახსოვდა, როდის ან რად უნდა ეთხოვა ასეთი რამ, და ნიკოლმაც ამვლელ-ჩამვლელ მგზავრებს დაუწყო თვალიერება.

„თქვენს გემზე პირველი ქალი ის იქნება, მამაკაცები რომ ემშვიდობებიან. ნახეთ, როგორ აცილებენ, ხომ იცით რისთვის იყიდა ასეთი კაბა?“ ნიკოლმა თანდათან უმატა ლაპარაკს. „მხოლოდ ტრანსოკეანური კრუიზის პირველ ქალს შეეძლო ასეთი კაბის ყიდვა და იცით რა? იცით? არა? გაიღვიძეთ ბოლოს და ბოლოს! ეს კაბა და თვითონ ქსოვილიც, ძვირფასია და მგზავრობისას, ვილაცა, ძალიან რომ მოიწყენს, მივა და ჰკითხავს რაიმეს, რადგან იმ კაბაზე ღირს ლაპარაკი“.

ბოლო სიტყვები ჩქარა წარმოთქვა, თითქოს ენაზე იკბინაო; ამდენ ლაპარაკს ჩვეული არ იყო და ისე გაირინდა, ეიბს თითქმის არა სჯეროდა, რაიმე თუ თქვა; ეიბმა თავს ძალა დაატანა, წელში გაიმართა, ასე მჯდომარე, გეგონებოდა ფეხზე დგასო.

„გახსოვთ ის უცნაური მეჯლისი, თქვენ რომ წამიყვანეთ — წმინდა ენევიევას დღეს, თუ არ ვცდები..“ დაიწყო მან.

„მახსოვს, ძალიან ვიმხიარულეთ, არა?“

„მე არა, საერთოდ, თქვენთან მხიარულების დრო გათავდა ჩემთვის, ორთავემ ძალიან დამღალეთ და თუ ეს აშკარად არა ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეც უფრო მეტად დაგღალეთ თქვენ — თვითონაც იცით. ენთუზიაზმი აღარა მაქვს, თორემ ახალ მეგობრებს გავიჩენდი“.

ნიკოლმა დარტყმა მოიგერია, კარგა მაგარი „ხაოიანი“ ჰქონდა ველვეტის ხელთათმანი:

„სისულელეა, ეიბ, არ გიხდებათ. მთლად ასეც არ ფიქრობთ, მე ვერ გავიგე, ყველაფერზე უცებ ხელი რად ჩაიქნიეთ?“

მაშინვე არ უპასუხა. ხველა და ცხვირის მოხოცვა უნდოდა, მაგრამ ძალიან ხმამაღლა არ მომივიდესო, ეშინოდა.

„ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი მოშებზრდა, თანაც, თავიდან ვერ დავიწყებ, მიბრუნებისას გრძელი გზის გავლა მომიხდება“.

მამაკაცი ქალის წინაშე ხშირად ახერხებს უმწეო ბავშვის როლის თამაშს, მაგრამ ამას ყველაზე ძნელად მაშინ აღწევს, როცა მართლა უმწეო ბავშვივით არის ხოლმე.

„მაგითი თავს ვერ გაიმართლებთ“, მკაცრად მიუგო ნიკოლმა.

ეიბი თანდათან უარესი ხდებოდა. ენაზე მხოლოდ მწარე სიტყვები ადგა. ნიკოლი ერთ ადგილს მიშტერებოდა, ხელები კალთაზე დაეწყო, ეტყობა ჩათვალა, რომ მისთვის უფრო შესაფერი ეს პოზა იყო ახლა. დროებით ყველანაირი ურთიერთობა შეწყდა მათ შორის. ორივე თავისთვის მიექნებოდა, თავისი წილი პაუზით უნდოდათ ესუნთქათ და თავისი წილი ცა დაენახათ, საყვარლები არ იყვნენ და წარსულიც ამაღ არა ჰქონდათ, და რაკი ცოლქმრული წყვილი არ იყო — არც მომავალი; არადა, ამ დღემდე ნიკოლს დიკის მერე ეიბი მოსწონდა ყველაზე მეტად, ეიბს კი წლების მანძილზე ძნელი და მძიმედ გადასატანი სიყვარულით უყვარდა ნიკოლი.

„დამალა ქალების სამყაროში ყოფნამ“, უცებ ხმამაღლა თქვა ეიბმა.

„მერე, რატომ არ იქმნით საკუთარ სამყაროს?“

„დავიღალე მეგობრებით. ყველას პირმოთნე სჭირდება“.



ნიკოლი უიქრით მიერეკებოდა ვაგზლის საათის წუთების

ვერ ასცდა შეკითხვას: „მეთანხმებით?“

საქართველოს  
ბიზნესი

„მე ქალი ვარ და ჩემი საქმე ყველაფრას შეკავშირებაა“.

„ჩემი კი — ყველაფრის დაშლა, განადგურება“.

„ამდენი სმით თქვენზე ათჯერ ანადგურებთ მხოლოდ, სხვას არაფერს“.

ცივად მიუვო ნიკოლმა, მაგრამ ხმაში შიში შეერია, ცოტა დაბნევაც. ვაგზალში ხალხი მატულობდა, მაგრამ იმათგან ერთსაც არავის არ იცნობდა. ბოლოს ეიბაც მალალ ქალიშვილს მოჰკრა თვალი, ჩალიაფერი თმა მუზარადივით დაე-ვარცხნა. ნიკოლმა შევბა იგრძნო. ის ქალიშვილი წერილს უშვებდა საფოსტო კრძალში.

„ერთ ვინმეს მინდა გამოველაპარაკო. ეიბ, ეიბ, გამოიღვიძეთ, სულ გამოშტერდით!“

ეიბმა გულგრილად გააყოლა თვალი. ნიკოლი რომ მიუახლოვდა, ქალიშვილმა რალაც შიშით მოხედა და ეიბს მოეჩვენა, რომ პარიზში საღვთო ენაბა იგი. ნიკოლის არყოფნით ისარგებლა და ცხვირი ხმამაღლა მოიხოცა, მერე დიდხანს მაგრად ახველა ცხვირსახოცში. დაცხა, საცვალე მთლად დაუსველდა ოფლისაგან. ხელები ისე უკანკალებდა, ასანთი ოთხჯერ გაჰკრა და მეოთხეჯერ ილივს მოუკიდა სიგარეტს; მეტი აღარ შეიძლებოდა, უნდა დაეღია, და ის იყო, ბუფეტისკენ წასვლა დააპირა, რომ ნიკოლიც დაბრუნდა.

„ფიასკო“, ცოტა ცივად, მაგრამ იუმორით აუწყა ეიბს. „რამდენჯერ, ლამის შეგმეხვეწა, ოღონდ მეწვიეთო, ახლა კი ძლივს შემომხედა“. რალაც ისე გაიცინა, სხვა ოქტავას რომ გადასწვდები ორი თითით და სხვა ხმას გაიღებს. ცოტა მღელვარედაც. „მოდი და ენდე ხალხს“.

ეიბს სასულეში გადასცდა სიგარეტის ბოლი, სული მოითქვა და შენიშნა:

„საქმე ის არის, რომ როცა ფხიზელი ხარ, არავის დანახვა არ გინდა, და მთერალი თუ ხარ, არავის უნდა შენი დანახვა“.

„ამას ჩემზე ამბობთ?“ ნიკოლმა ისევ გაიცინა; წელანდელმა შეხვედრამ რატომღაც კარგ გუნებაზე დააყენა.

„არა, ჩემზე“.

„თქვენთვის ლაპარაკობთ. მე კი მიყვარს ხალხი, ბევრი ხალხი, მიყვარს...“

უცებ როზმერი და მერი ნორთი დაინახა, ნელა მოდიოდნენ, ეიბს ეძებდნენ. ნიკოლმა თითქმის ხმამაღლადაც კი დაუძახა: „ჰეი! აქეთ!“ გაიცინა, ხელში შეხვეული ცხვირსახოცები ეჭირა ეიბისთვის და დაუქნია.

გაჩუმებულები უხერხულად იდგნენ, იმათ წინაშე ჩაძირული ხომალდის უზარმაზარი ჩონჩხივით ამართულიყო ეიბი და სამიჯეს თრგუნავდა. უმწეოსა და შესაბრალისს, გამოფიტულსა და გესლიანს — მაინც გავლენა ჰქონდა მათზე, მაინც გრძნობდნენ მის დიდ ღირსებას, ახსოვდათ მისი წარმატებები, თუნდაც არასრული და მერე მოშლილი, მაგრამ აშინებდათ მისი შეუწყლებელი, ადრე სიცოცხლის, ახლა კი სიკვდილისაკენ მიმსწრაფი ძალა.

მოვიდა დიკი, და ყველას სამყოფი სითბოც თან მოიტანა. სამივე ქალმა შევბა იგრძნო, ლამის მაიმუნებევით ბტოდნენ, დიკის საუცხოოდ ჩაკეცილ შლაპას ეტანებოდნენ, მხრებზე ეხებოდნენ, ხელჯოხის ოქროს ბუნიკს ჰკიდებდნენ

ხელს. ახლა წამით მაინც არად ჩააგდებდნენ ეიბის იმხელა გულგრილობას. მაშინვე მიხვდა დიკი. რა დღეშიც იყვნენ და რითაც უნდა ეშველა მათთვის. ყველა ადგილიდან დაძრა და ვაგზლის ორთქტრიალში გაიყვანა მომორებით ამერიკელები ხმაურით ეშვილობებოდნენ ერომანეთს. ძველ, ჩაფხუბულ აბანაში წყლის ბუცბუცივით მოისმოდა იმათი ხმები. ვაგზნადში ყხუნიას პარიზი სადღაც შორს ეგონათ და ეჩვენებოდათ, თითქოს იქვე, სულ ახლო იყო ოყვანე და უკვე თავის სასწაულს ახდენდა ზღვა, მოღვეკულებში ატომების ვადაადგილებით ცვლილება შეჰქონდა კაცთა მოდგმაში.

ვაგზალში მოსულ შეძლებულ ამერიკელებსაც სხვა იერი ედოთ. უფრო გულლია, გონიერი და თავაზიანები ჩანდნენ, ფიქრებიანი — თავისი და სხვისი აზრებით. ხანდახან თუ ინგლისელი გამოერეოდათ, მაშინვე გამოარჩევდით. პლატფორმაზე უკვე ბევრმა ამერიკელმა მოიყარა თავი, შთაბეჭდილება იმათ სიქველესა და ფულზე ცოტა შენეღდა და თანდათან იმ ეროვნულ საბურველად იქცა, თქალს რომ უხვევდა და აბრმავებდა თვითონ იმათაც და შორიდან იმათ მაცქერლებსაც.

უცებ ნიკოლი მკლავში სწვდა დიკს და დაიყვირა, „დიკ, შეხედე!“ დიკი სწრაფად მიტრიალდა, სწორედ რომ დროზე, რადგან წუთის მერე იმათგან ორი ვაგონის იქით, პულმანის შესასვლელთან მოხდა ის, რამაც მკვეთრად დაარღვია გაცილების ერთფეროვნება. ის ჩალისფერთმიანი ახალგაზრდა ქალი, ცოტა ხნის წინათ ნიკოლი რომ მიუახლოვდა, ვიღაც მამაკაცს ელაპარაკებოდა, უცებ რაღაც უცნაურად გაიწია, თითქოს გახვლებულმა სწრაფად წაიღო ჩანთისკენ ხელი და პერონზე რევოლვერის ორჯერ გასროლამ გააპო შეხუთული ჰაერი. თითქმის იმწუთას ყურთწამლები სტვენა გაისმა, მატარებელი ადგილიდან დაიძრა და წამსვე თითქოს ნაცარტუტად აქცია ეს ამბავი. ეიბს ხომ სულაც არ მიუქცევია ამისთვის ყურადღება, ფანჯარაში თავი გამოეყო და ნეგობრებს ხელს უქნევდა. მაგრამ, ვიდრე ხალხი შეჯგუფდებოდა, ამათ მოასწრეს დაენახათ, ის ტყვიანაკრავი კაცი მიწაზე მძიმედ რომ დაეშვა.

ერთი ასი წელი მაინც გავიდა, სანამ მატარებელი გაჩერდებოდა. ნიკოლი, მერი და როზმერი პლატფორმის ბოლოში იცდიდნენ, ხოლო დიკი გზას მიიკვლევდა. ხუთიოდე წუთის მერე როგორც იქნა დაბრუნდა, ამასობაში ხალხი ორად გაიყო, უკვე ჯალამბარზე დაეწვინათ ის კაცი და ზოგი იმას მიჰყვებოდა და ზოგი ქალიშვილს, რომელიც ორ ყანდარმს შუა მიაბიჯებდა. ყანდარმები დაბნეული ჩანდნენ, ეტყობა, გონს ჯერ ვერ მოდიოდნენ. ქალიშვილს ფერი აღარ ედო, მაგრამ მაგრად ეჭირა თავი.

„მარია უოლისი იყო“, აჩქარებით თქვა დიკმა. „ის კაცი კი ინგლისელია, ძალიან გაჭირდა ვინაობის დადგენა, რადგან ტყვიამ საბუთები გაუხვრიტა“. მატარებელს გასცდნენ, ხალხთან ერთად სწრაფად მიიწევდნენ გასასვლელისკენ. „უკვე გავიგე, პოლიციის რომელ უბანშიც მიჰყავთ, ახლავე წავალ...“

„მაგრამ, მარია უოლისის და ხომ პარიზში ცხოვრობს“, თქვა ნიკოლმა. „იმას უნდა დავურეკოთ, რატომ არავის გაგვახსენდა? ქმარი ფრანგი ჰყავს და ჩვენზე უფრო მეტს ის გააკეთებს“.

დიკი შეყოყმანდა, მერე თავი გადააქნია და წასვლა დააპირა.

„მოიცადე!“ დაუძახა ნიკოლმა, „სისულელეა, შენ იქ რას გახდები, თანაც შენი ფრანგულით“.

„რაც უნდა იყოს, მივხედავ, ვნახავ“.

„გაშველით, სულ ერთია მაინც არ გაუშვებენ“, აჯერებდა ნიკოლი, „ეს რა-  
ღა ბოლოს და ბოლოს, ჯობია ახლავე დაფურეკოთ ლორას, რაც ლორას შე-  
უიღია, ჩვენ იმას ვერ შევძლებთ“.



მაგრამ დიკს არ უნდოდა დაუთმო და თანაც ცოტათი როზმერის მხრივ  
აჩვენებდა.

„თქვენ აქ დამელოდეთ“, გადაკრით თქვა ნიკოლმა და ტელეფონის  
გიალრისკენ გაიქცა.

„რაკი ნიკოლმა თვითონ მოჰკიდა საქმეს ხელი, იქ აღარ უნდა ჩაერიო“,  
სტუმრობით შენიშნა დიკმა.

დღევანდელ დღეს პირველად ზედავდა როზმერის. სწრაფად შეხედეს ერ-  
თმანეთს, გუშინდელი დღის კვალის დანახვას და ამოკითხვას შეეცადა ორთავე  
და წამით თითქოსდა მოეჩვენათ, არც არაფერი ყოფილაო, მაგრამ ორივეს მა-  
ნებზე ისევ უხმოდ, თბილად მოედო სიყვარული.

„თქვენ გეუვართ, რომ ყველას უშველოთ, ხომ ასეა?“ თქვა როზმერიმ.

„უფრო თავს ვაჩვენებ“.

„დედასაც უყვარს ყველას შველა, მაგრამ, ცხადია, იმას ამდენი არ შეუძ-  
ლია“. როზმერიმ ამოიხიხრა. „ზოგჯერ ეფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ეგოისტი  
ვარ ქვეყანაზე“.

ახლა როზმერის დედის ხსენებამ წყენა უფრო მოჰგვარა დიკს, არ გაბა-  
რებია, სურდა გაეტანტა ბურუსი ბავშვობისა, რისთვისაც როზმერის თავი ვერ  
დაეღწია და დიკისა და თავის ურთიერთობასაც ჯერ ისევ იმ ბურუსში ზვევდა.  
მაგრამ იმასაც გრანობდა, რომ ამ იმბულსის გამოვლენა არ ეგებოდა — რა  
იღის, როგორ იქნებოდა ახლა როზმერი, ერთი წუთითაც რომ დაეშვა და აპ-  
ყოლოდა. ლამის შიშით, ცხადად შეიგრძნო, რომ ყველაფერი განელდა თითქ-  
მის, არადა, ურთიერთობა ერთ ადგილზე ვერ იარსებებს, უნდა გაგრძელდეს,  
ან თუ არადა თანდათან უკან უნდა იხევდეს; უცებ პირველად გაუგლვა, რომ  
როზმერის უფრო მაგრად ეპყრა საჭე, ვიდრე მას.

სანამ ბოლომდე მოიფიქრებდა რაღაცას, ნიკოლიც დაბრუნდა.

„ველაპარაკე ლორას, ჩემს დარეკვამდე არაფერი იცოდა. ტელეფონში  
რაღაც უცნაურად ისმოდა მისი ხმა, ხან იკარგებოდა, ხან ისევ ძლიერდებოდა,  
გეგონება, სადაცაა გული წაუყუა, მაგრამ თავს ძალას ატანს და მაგრდებაო.  
თქვა, ვგრძნობდი, დღეს რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო“.

„მარია პირდაპირ შედგამოჭრილი იქნებოდა დიაგნოზისთვის“, ამათ და-  
სამწვიდებლად ვაიხუმრა დიკმა. „რიტმის გრძნობაზე რომ არაფერი ეთქვათ,  
დრამატუზმით არის აღსავსე, რა ხდება ვერ ვაიგებ, ერთი მატარებელი არ გაუა  
ისე, რომ სროლა არ ატყდეს“.

ჩქარა ჩაუყვინენ ფოლადის კიბეს.

„შენანება ის საწყალი კაცი“, თქვა ნიკოლმა. „ახლა კი მესმის, რად მელა-  
საკოცებოდა მარია ისე უცნაურად, თურმე, ნუ იტყვი, საბრძოლველად ემ-  
ნადებოდა“.

ნიკოლმა გაიცინა, როზმერიმაც გაიცინა, მაგრამ მშვიდად ვერ იყვნენ,  
შემცხარაყვნენ, ძალიან სურდათ დიკს ეთქვა რამე, რომ თვითონ არ ემტვრიათ  
თავი ამ ამბავზე. თუმცა ბოლომდე ვერ შეეცნოთ ეს სურვილი, მით უფრო  
როზმერის, რომელიც მიბვეულიყო ასეთივე აფეთქებების ფრაგმენტულ ცვენას  
თავის ვარშემო. მაინც, ესეც შესფოთებულს ჩანდა. თავისი ახალი გრძნო-



ბით შეპყრობილი დიკი კი ველარ ახერხებდა გუნების შეცვლას, ის მგელი ძალა ერთმეოდა, ქალებიც მიმხვდარიყვნენ, რომ დიკი ისე ვერ იქცეოდა, რადაცა აქლდათ და შეწუხებულებს ველარა ეთქვათ რა.

მერე კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, დაივერები <sup>ერქვენული</sup> ~~ქვე მათი~~ ცხოვრები პარიზის ქუჩებს შეერივნენ.

მაინც ბევრი რამ მოხდა — ეიბის წასვლამ და იმავე შუადღით ზალცბურგში მერის მოახლოებულმა გამგზავრებამ ზღვარი დაუდო პარიზში გატარებულ დღეებს. ან, შესაძლოა იმ ორჯერ გასროლამ, რამაც, ღმერთმა იცის და რა ბნელ საქმეს მოუღო ბოლო, დაასრულა მათი პარიზული ცხოვრება. ამ ორ გასროლას კარგა ხანს ვერ დაივიწყებდნენ ცხოვრებაში: თითქოს ექოსავით აედევნაო, ვაგზლის გარეთ, ტაქსის მოლოდინში ქვაფენილზე რომ იდგნენ, ორი მებარგულის ხმა მოესმათ, მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

«Tu as vu le revolver? Il était très petit, vraie perle — un jouet:»

«Mais, assez puissant!» ბრძნულად შეუბრუნა მეორე მებარგულმა. «Tu as vu sa chemise?» Assez de sang pour se croire à la guerre»<sup>1</sup>.

(გაგრძელება იქნება).

<sup>1</sup> «დაინახე რევოლვერი? ისეთი პატარა, ფაქიზი — სათამაშოსავით». «მაგრამ მართლა ისერი». «პერანგი დაინახე? იმდენი სისხლი ეცხო, შეძლება გეფიქრა, რომ თმში ვიყავით» (ფრანგ.).



გერმანულიდან


თარგმნა იორამ ქავარტალიძემ

პოეტი იორამ ქავარტალიძე ორი ათეული წელია მუშაობს გოეთეს „ფაუსტის“ ახალ ქართულ თარგმანზე. ამ პერიოდში თარგმანის ნიმუშები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ჟურნალმა „ცისკარმა“. ამჟამად აღმანახი „საუნჯე“ იწვებს „ფაუსტის“ ამ ახალი თარგმანის პირველი ნაწილის ბეჭდვას, რომელიც წელს დამთავრდება. მთლიანად კი „ფაუსტის“ ორივე ნაწილს უახლოეს წლებში გამოსცემს საქ. სსრ მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია.

### მ ი ძ ლ ვ ნ ა

კვლავ მიბრუნდებით მინავლულ ხილვებო ყრმობის,  
სიზმარივით რომ მახსოვს თქვენი მიმჭრალი ლანდი;  
შეძლებს კი გული — ხმა შევუწყო იმ პირველყოფილ  
და იმ შორეულ სიჭაბუკის ფიქრსა და წადილს?!  
აღარ მასვენებთ... მაშ, კეთილი! სხვა გზა არაა, —  
შემომხვევიხართ ნისლების და ღრუბლების გროვად;  
კვლავ ჭაბუკურად შეატოკა; შეაქანავა  
გული მაგ თქვენმა ჯადოქრულმა ნისლების ქროლვამ.

კვლავ მიბრუნდებით იმ მხიარულ ღღეთა ფერხულით,  
ქველა აჩრდილი სანუკვარი ერთად მოგროვდა  
და მახსენდება, ვით ზღაპარი მივიწყებული,  
პირველი იგი სიყვარული თუ მეგობრობა.  
პირი ეხსნება ძველ იარებს და ცრემლით მალბობს  
ცოდვა და ბრალი ამ ცხოვრების თრომტრიალის —  
იმ საყვარელ და უძვირფასეს სახელთა გამო,  
თვალდახელშუა რომ მტაცებდა ბედი ტიალი.

ვისაც ხიბლავდა ჩემი ჩანვის ძველი ჰანგები,  
 ველარ მოისმენს ახალ ჰანგებს ამიერიდან:  
 შემომეფანტნენ მეგობრები ძალით განგების,  
 აჰა, იმ ჩანვის ექოც მიწყდა და მიიჩინდა.  ერქმენულნი  
 და მარტოსული უცხო ბრბოსთვის ვგოდებთ მხოლოდსა  
 და ტაში მათი ეკლებივით მბურძგლავს და მზარავს;  
 თუკი ვინ შემრჩა მეგობარი თითო-ოროლა, —  
 ვინ სად და ვინ სად — დაბნეული ედება შარას.

და ჰა, გაღვივდა ნავლი უკვე მიმქრალი ლტოლვის,  
 მეძახის მყუდრო და ნეტარი საუფლო სულთა;  
 და ჩემი ჩანვის ბუნდოვანი, ლულუნა ტონი  
 გაისმის, როგორც ეოლოსის სიმღერა სუფთა,  
 სულითხორცამდე შეძრული ვარ და დაპალუპით  
 ჩამომდის ცრემლი, მკერდიც ნაზად ადის და ჩადის  
 და რაც ხელთა მაჭვს, — ის გამქრალი მგონია უკვე,  
 და რაც გამქრალა, სინამდვილე მგონია ცხადი.

### პროლოგი თეატრში

დირექტორი, პოეტი, კომიკოსი

### დირექტორი:

გული შეგტკივით ამ თეატრისთვის,  
 პირში და ლხინში იმედი ვართ ერთიმეორის, —  
 გერმანიისდა კვალობაზე, დღეისდღეობით,  
 როგორ ავაწყოთ საქმე, რას იტყვიან?  
 უნდა მოვიგოთ ამ ბრბოს გული, მე მიმაჩნია, —  
 მაგათ გარეშე ჩვენ არც გზა გვაქვს და არც სახსარი;  
 სცენა მზადაა, დადგმულია დეკორაციაც  
 და ყველა ელის წარმოდგენას გულისფანცქალით;  
 დაუცქვეტიანთ სავარძლებში მარჯვედ ყურები,  
 ფარდის გახსნა და, მყისვე ტაშსაც გაახურებენ.  
 მე ვიცი მათი ხასიათი, როგორც არავინ,  
 და მაინც ვღელავ. და ჯერ ასე არც მიღელვია:  
 მათ უკეთესი არც უნაზავთ და არც მაღავენ,  
 მაგრამ წაკითხვით, წაკითხული ბევრზე ბევრი აქვთ.  
 როგორ მოვიქცეთ, რომ ეს დადგმა ჩვენი, ზიარი,  
 ახალიც იყოს, თან აზრიანიც.  
 არ მირჩევნია არაფერი იმის ყურებას,  
 თავპირს რომ იმტვრევს ხალხი თეატრში;  
 ვიწრო შესასვლელს რომ აწყდება დაუსრულებლად,

ვით სასუფეველის აღსავლის ქარს, ჯგლეთა-გნიასით.  
 განა ერთხელ და განა ორჯერ, — მინახავს ხშირად  
 წყვეტა და რიგი საღაროსთან ასეულების, —  
 რომ გადადიან ერთმანეთის კისრებზე ყირას,  
 ვით სათონეს წინ დამშეულები.  
 რამე ისეთი, გულსა და სულს რომ შემოენთოს,  
 მხოლოდ და მხოლოდ პოეტს ძალუძს. აბა, პოეტო!



**პოეტი:**


ო, მაგ ჭრელ ბრბოზე, თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს მეტყვი!  
 მისი შემყურე თავს ვერ ვუყრი აზრსა და რითმებს.  
 ვისა აქვს თავი უთავბოლო ამ გნიას-ჯგლეთის, —  
 გინდა არ გინდა, — თავის მღვრიე მორევში გითრევს.  
 არა! მშვიდ, ციურ სავანეში აღმიტქვი ყოფნა,  
 სადაც წმინდაა სიხარული, როგორც ემბაზი;  
 სად ტრფობა მართლაც რომ ტრფობაა, და ძმობა — ძმობა, —  
 ღვთით კურთხეული ლოლიავში და ფერებაში.

ვაი, რომ რასაც გვეუბნება ასეთ დროს გული,  
 და რასაც თრთოლვით ლულლულებენ ბაგენი ჩვენი, —  
 იმ წუთას კიდევ რომ აგვიხდეს, ნუ იტყვის ნურვინ,  
 გააქრობს ხვალ-ზეგ დავიწყების მსახვრალი ხელი.  
 იგივე გულისთქმა, მინავლული გულში ფიქრებად,  
 მერე ღვივდება სრული სახით, ხანი რომ გადის...  
 რაიც ბრჭყვიალებს, დღეს არი და ხვალ არ იქნება,  
 და რაც ნაღდია, იგი ხვალაც იქნება ნაღდი!

**პოეტიპოსი:**

აი მაგ ხვალის გაგონებაც არ მინდა ხოლმე!  
 მეც რომ ხვალისთვის დამეხარჯა ძალა და ღონე,  
 ვინ შეიქცევდა დღეს ხალხს? რაა ამაში ცუდი? —  
 სადაც ხარ, — თავზეც იქაური დაიდე ქუდი!  
 ვისაც აქვს ამის მარიფათი და შნო პაწია,  
 გინდ ასე თქვი და გინდ ისე თქვი, დღეს ის კაცია.  
 თუკი სუყველგან ტაშს ვიკრავენ და მიგელიან, —  
 ამ ერთი მუჭა ბრბოს მოხიბვლა რა სათქმელია!  
 ეს ბრბო კი არა, რომ შეჰყარო ხალხი მიღეთის,  
 ასეთ კაცს, თუ აქვს, მაშინა აქვს თავის იმედი.  
 მაშ ასე! ცოტა მარიფათი! მიდექ-მოდექით,  
 მოიშველიეთ ფანტაზია მცირეოდენი —  
 გრძნობა იქნება თუ გონება, განცდა თუ ჰკუა  
 და თავის მოსულელებაზეც ნუ იტყვით უარს.

**დ ი რ ე მ ტ ო რ ი:**

რაც შეიძლება — მოქმედება! ხალხი თეატრში  
 მარტოდენ თვალის საამებლად დადის, ნუ ტყუილად  
 მოძრაობათა ქაოსში და რია-რიაში    
 გაოგნებისგან სახტად უნდა დარჩეს სუყველა.  
 ტაში თუ გინდათ, აი მაშინ გექნებათ ტაში  
 და აგიყვანენ ქებითა და დიდებით ცაში.  
 ხალხი მასაა, და ეს მასა თხოულობს მასას,  
 რომ, ვისაც რა სურს, აირჩიოს ყველამ საკუთრად;  
 თუ იგულუხვებ, მაშინ მშრალზეც არავის დასვამ  
 და კმაყოფილი წავა ყველა, რაღა თქმა უნდა.  
 მთელს მთლად ნუ გასცემთ, — დაუყავით როგორც სადილი,  
 დიდი ექნება მოწონება ასეთ შეჭამანდს,  
 თან, ასე ფიქრიც ადვილია და თქმაც ადვილი...  
 ან რა აზრი აქვს მთლად გაცემას, როცა ერთ წამას  
 დაინაწილებს ამ მთელს ეს ბრბო კაი მწვადივით.

**პ ო ე მ ტ ი:**

ნუთუ ვერა გრძნობთ, — არ შეჰფერის ეს ნაღდ ხელოვანს, —  
 რის მაქნისია ხელოვნური ასეთი სცენა!  
 მე ისე ვატყობ, ვერ სცილდება თქვენი გონება  
 მჯღაბნელებს ვიღაც-ვიღაცეებს — გაკრეფილთ ენად.

**დ ი რ ე მ ტ ო რ ი:**

მაგ საყვედურით ტყუილად სტეხ დაფს და დაირას!  
 საქმეს რომ იწყებ, ისიც უნდა აწონ-დაწონო —  
 ამ საქმეს როგორ მოეველება-და რანაირად...  
 ღია კარი გაქვს შესამტვრევი, ჩემო ბატონო!  
 ვისთვის წერ? აბა გადაავლე თვალი მარაქას!  
 დროს მოსაკლავად გამოსულა ზოგი სახლიდან,  
 ზოგმა კი აი ეს წუთია, რაც მიაღაგა  
 ნაირნაირი საჭმელებით სავსე მაგიდა;  
 ზოგ-ზოგიც მოდის სალაყბოდ და სალაპარაკოდ, —  
 გაბრუებული გაზეთებით და სისულელით...  
 ცნობისმოყვარე ფაციფუცით, ვით მასკარადზე,  
 მოიჩქარიან ფრთაშესხმულები.  
 აი ქალებიც! — რათა კაბა-სამკაულების  
 წარმოადგინონ კულისებში უფასო დადგმა.  
 რას აიჩემე, სულ ზეცისკენ რომ იყურები!  
 ან ამათ სხვაფრივ რით მოგხიბლეს, რას ელი მათგან?  
 შეხედე ერთი, გადახედე მაგ უენს მწყალობლებს, —  
 ცივი, უხეში სახეები აქვთ ამ საქმოსნებს...

ერთი სული აქვთ, სკამებიდან როდის წამოდგნენ. —  
 'შეაგვიანდა ვის მეძავთან და ვის ბანქოზე.  
 პოდა, მუზებსაც რად ვაწუხებთ, ღირს კი ამათთვის  
 აუტკივარ თავს ვიტკივებდეთ ძალისძალათი?!  
 მხოლოდ კუნტრუში, ფაციფუცი, ხან ეს და ხან ის,  
 ერთი და ორი, ათი, ოცი... გააძრეთ ქანცი,  
 რომ დააბნოთ, დაუბნელოთ ტვინიც და თვალიც.  
 მოხიბვლას მათსას — სულ ტყუილად ეცდება კაცი...  
 აბა, რას იტყვიან? თქვენსაზე ხართ თუ ჩემსას მაცლიან?



**კოეტი:**

წადი და ვინმე სხვა მონახე ყმა — ყურმოჭრილი!  
 დიად უფლებას — უზენაეს, მპყრობელს ყოველთა;  
 ღვთიურ ნიჭს და მადლს შეაგინოს უნდა პოეტმა  
 შენს დაკრულზე რომ დააქნიოს თავი მორჩილად!  
 რითი, რით ნიბლავს გულსა და სულს ათასებისას,  
 რით აჯადოებს ასე ყველას მგოსნის სიმღერა, —  
 თუ არ იმ პანგით — მკერდიდან რომ მოსჩქეფს ნებისად  
 და სამყაროთი მონუსხული მკერდშივ იღვრება!  
 ჯი მრთველივით თითისტარზე დედაბუნება  
 ძაფს ცხოვრებისას გულგრილად რომ ართავს და ართავს,  
 და უთაებლო ღრიანცელით, დაუსრულებლად  
 ბრბო რომ ირევა სიკვდილის და სიცოცხლის კართან, —  
 წესრიგის პოვნის ამ ქაოსში ვისა აქვს ღონე?  
 ვის შეუძლია — მწყობრი სახე მისცეს ამ წესრიგს?  
 ვის ძალუქს — თავი მოუყაროს ცალკეულს ყოველს  
 ერთ საერთოში, ერთ შეწყობილ პანგში და ფერში?  
 ვინ მისცა ფერებს ქარიშხალთა სუნთქვა და ღონე?  
 ყაში ცისკრისა ვინ გვაუწყა მთელი სიცხადით?  
 ვინ, გახადხულის ყვავილებით ვინა რთავს ხოლმე  
 სატრფოს გზასა და ნაფეხურებს ციდან მიწამდი?  
 ვინა წნავს გვირგვინს სულ უბრალო მწვანე რტოებით  
 ამ ქვეყანაზე ყოველგვარი გმირობის ჯილდოდ?  
 ვინა პყრობს ოლიმპს? ან ამ ღმერთებს განმარტოებულთ? —  
 ძალა მოდგმათა — დაგროვილი პოეტში თვითონ!

**კოამიკოსი:**

მაშ რას უდგებართ! — თუკი ღონეც შეგწევთ და ძალაც,  
 რა გახდა ერთი პოეტური პატარა დრამა!  
 არ უნდა დიდი ამბავი და ავან-ჩაევანი:  
 გადაეყრება აგერ სადღაც მავანს მავანი,  
 გაეცნობიან, გაივლიან, გამოივლიან —  
 სულ სხვაა უკვე მწვანე მიწა და ცა ლივლიყა!—



ბედნიერება, სინანული, იჭვი მიმავლის...  
 მოიხედავენ და ჰა! — ესეც შენი რომანი!  
 აი ასეთი უნდა შექმნათ პიესა თქვენაც,  
 თან — ცხოვრებიდან უნდა იყოს ყოველი სცენა, მანუა  
 კი ვცხოვრობთ, მაგრამ როდი ვიცით ცხოვრება ყველამ,  
 მოგვცათ ლხენა, — აქეთ ჰქონდეთ ყური და სმენა!  
 ჰრელ-ჰრელ აქეთურ-იქითურში — სინათლე ცოტა,  
 ბევრი სიყალბე — შიგ სიმართლეს ბეჭუტავდეს ოდნავ...  
 ასე ამგვარად, შესანიშნავს მიიღებთ სასმელს,  
 სიამოვნებით მიართყამენ თასებზე თასებს.  
 ასეთნაირი თამაში და გულახდილობა  
 ახალგაზრდებსაც მიიზიდავს აუცილებლად:  
 დააცხრებიან ჩვენს ამ დადგმას უცებ ქორივით,  
 რომ გამოსწოვონ გრძნობით სარჩო მელანქოლიის;  
 ზოგს ეს უნდა და ზოგს ის უნდა, — ასეც იქნება —  
 ცხადლივ იხილავს, ვისაც რა აქვს გულში ფიქრებად.  
 მათ შეუძლიათ სიხარულიც, ოხვრა-ქვითინიც,  
 იდეალურიც იტაცებთ და ზიზილ-პიპილოც.  
 რით გააკვირვებთ, ვინც მოჭამა თავისი დღენი,  
 ვინც მოზარდია, მადლიერიც ისაა შენი.

**კოეტი:**

მაშ დამიბრუნე მეც ის დღეები,  
 როს თვით ვიყავი ბიჭი თავნება;  
 როს ამ გულიდან გაუნელებლივ  
 სჩქედდა სიმღერა და ნეტარება.  
 ბურუსად მედგა როს წინ სოფელი,  
 და კვირტის გაშლაც რომ მაოცებდა:  
 ალაღანებულ ველზე მოფენილ  
 ყვავილს ვკრეფდი და ვდგამდი ბორცვებად...  
 თავი მომქონდა, კმაყოფილის მქონდა იერი  
 ჭეშმარიტების ძიებით და ილუზიებით.  
 ჰა, დამიბრუნე გაუხუნარი  
 ბედნიერება, სულს რომ აწრთობდა —  
 მიჯნურის ძალა, ზიზლის უნარი,  
 ჩემი ტკბილმწარე ყმაწვილკაცობა.

**კოზიკოსი:**

ყმაწვილკაცობა, ღმერთმა მოგცეს, იყოს მისწრება,  
 თუ დაჰკრა ჟამმა მტერთან შებმის, მკლავის ხმარების;  
 თუ ფუქსავატურ თავდავიწყებით  
 თავს გაბეზრებენ ლამაზმანები;  
 ანდა, — გაქაფულ მარათონში, — ვინც ვის მიასწრებს,

დაუნის გვირგვინი — გამარჯვების — რომ ელოდება;  
 თუ დააღამე ცეკვა-ტრიალში  
 და ღამეც გინდა გაათენო სმაში ლოთებთან,  
 მაგრამ ჩამოკვრა ნაცნობ ლარებზე,  
 ანე რომ გვატკობს და გვაგულისებს —  
 და ვატაცებით და ნეტარებით  
 სწრაფვა მიზნისკენ დასახულისკენ —  
 მხცოვანო, ეს კი ვალა თქვენი...  
 ამიტომაც გვწამს თქვენი თეთრი თმისა და წვერის.  
 სულ ტყუილია, ბავშვდებაო მოხუცი ბოლოს,  
 ჩვენ სიბერეშიც ბავშვები ვართ, — ესაა მხოლოდ!



**დ ი რ ე მ ბ ო რ ი:**

კმარა! რა ღობე-ყორეს ვედებით,  
 საქმეს შეუდგეთ ახლა, შეეშვიტით!..  
 ისე, ეგ თქვენი კომპლიმენტები  
 გამოგვადგება რაღაცეებში.  
 ეს აღმაფრენა რომ აიჩემეთ, —  
 მერე ამდენ ხანს რამ გაგაჩერათ!  
 ელოდეთ, ვიდრე გამოგიწერენ,  
 თვით უნდა გქონდეთ ეს აღმაფრენა!  
 თქვენ კარგად იცით, საქმეს რა შველის, —  
 კაი მაგარი გვინდა სასმელი.  
 შოდა, ადექით, მიდევ-მოდექით  
 და შეუდექით საქმეს ხალისით,  
 დრო არ დაჰკარგოთ მცირეოდენიც,  
 დღეის საქმეებს ნუ სდებთ ხვალისთვის.  
 მხოლოდ გაბედვა! მერე თქვენ იცით! —  
 ხელში მოგყვებათ სუყველაფერი!  
 კარგი იქნება ჩვენი სცენისთვის  
 მცირე რამესაც თუ მივაგენით.

მოგეხსენებათ, გერმანულ სცენას  
 უყვარს ცდები და გაწამაწია.  
 ნუ დაიშურებთ ნურაფერს თქვენაც;  
 ნურა მანქანა-დეკორაციას,  
 მიუშვიტო შეჭი მზის და მთიების  
 და ვარსკვლავების სხივი ციური,  
 წყალი და ცეცხლი. ტყე — უსიერი,  
 ფრინველ-მინველი, ტყიურ-მიური....  
 პატარა სცენამ უნდა დატიოს  
 მთელი სამყაროს მზეც და სვე-ბედიც,  
 რომ ერთი დაკვრით გადავაკვლიოთ  
 ცა, დედამიწა და ჯოჯოხეთი.



პროლოგი ზეცაში



უფალი, ძალნი ციურნი, შემდეგ მეფისტოფელი, გამოდის სამი მთავარანგელოზი.

**რ ა ზ ა ე ლ ი:**

მოძმე სფეროებს ეხმაურება,—  
 ჟღერს ძველი ჟღერით მზეც მადლიანი;  
 ოდითგან დათქმულ გზის გასრულებას  
 ქვეყანას ამცნობს გრგვინვა-გრილით.  
 მისი ხილვით ვართ მხნეც და მედგარიც,  
 ვის ძალუძს, ჩასწვდეს მის არსს ჭეშმარიტს!  
 მიუწვდომელი ზე ქმნილებანი  
 გვხიბლავენ შექმნის პირველ დღესავით.

**ზ ა ზ რ ი ე ლ ი:**

და დედამიწაც თავაწყვეტილი  
 ბრუნავს და მიჰქრის გრუხუნ-გუგუნით;  
 ელავს სამოთხე — ჯოჯოხეთივით  
 დღე — ნათელი და ღამე — უკუნი;  
 ზღვა კლდეს ასკდება ელეთ-მელეთით,  
 ხევებს ტალღები ლოკავს გნიასით;  
 ერთად ჩართულა ზღვაც და ხმელეთიც  
 სფეროთა მუდმივ რბოლა-ტრიალში.

**მ ი ჭ ე ლ ი:**

და გრიგალები, და გრიგალები,  
 ზღვით თუ ხმელეთით, რაც კი არსებობს, —  
 ერთად ამტყდარან და მძვინვარებით  
 ჯაჭვად შეკრულან ქვეყნის გარშემო.  
 იელვა — ნიშნად წვის და დანგრევის,  
 დგას მეხთატეხა გაუგონარი;  
 ღმერთო, გვითნიე და მოგვაგევი  
 დღეთა მაგ შენთა მშვიდი ჭროლანი.

**ს ა მ ი ზ ი:**

შენით ვივსებით ძალით ნეტარით,  
 ვის ძალუძს, ჩასწვდეს შენს არსს ჭეშმარიტს;  
 ყოველი შენი ზე ქმნილებანი  
 გვხიბლავენ შექმნის პირველ დღესავით.

**მეფისტოფელი:**

რადგან, უფალო, გაისარჯე და კვლავ ინებე,  
 გამოგვეცხადო, განიკითხო ქვეყნის საქმენი —  
 მაინცდამაინც, ვიცი, თვალში არ გეჩხირები,  
 და მეც გავბედე, გეახლო და გითხრა სათქმელი.  
 მალაღმარდოვან სიტყვებისა არა ვიცი რა,  
 გინდაც დანძრახონ ჩემებურად ვიტყვი უბრალოდ;  
 პათოსი ჩემი არ გეყოფა თანაც სიცილად,  
 გადაჩვეული რომ არ იყო სიცილს, უფალო!  
 არც სამყაროსი ვიცი რამე, არც მზის, რას იზამ...  
 შე მხოლოდ ვხედავ მარადიულ ტანჯვას კაცისას.  
 ეს დედამიწის უცნაური პატარა ღმერთი  
 რაც კი გაჩენის დღიდან იყო, ის არის დღემდის.  
 ცოტათი მაინც ააცდენდი დარდთა და ტკივილთ,  
 რომ არ მიგეცა მისთვის ღველფი ციური სხივის.  
 ის გონს უწოდებს ამ ნაბობვარს და ეს გონია, —  
 რომ მხეცობაში მასთან მხეციც მონაგონია.  
 თუ არ გაწყრები, ვიტყვი, რაღა დასამალია, —  
 შე ის მაგონებს გრძელკანკება მინდვრის კალიას, —  
 ბალახებში რომ სკუბი-სკუბით და ფრენა-ფრენით  
 სულ ერთთავად რომ გაბმულ ჰანგზე მღერის და მღერის.  
 ვინ მამაძაღლი, ბალახში რომ იჯდეს თავისთვის  
 და ცხვირს არ ჰყოფდეს წუმბეებში ნაირ-ნაირში!



**უფალი:**

სხვას ხომ არაფერს მეტყობდი რასმე?  
 სულ რომ ვიღაცას ლანძღავ და ასმენ,  
 არა არის რა მიწაზე კარგი?

**მეფისტოფელი:**

არა, უფალო, გარდა ტანჯვის, წვისა და დაგვის!  
 კაცს სატანჯველი ისე ტანჯავს დაუსრულებლად,  
 რომ ზოგჯერ მეც არ შემიძლია ამის ყურება.

**უფალი:**

ფაუსტს თუ იცნობ?

**მეფისტოფელი:**

დოქტორს?

**უფალი:**

რაო?! მსახურს უფლისას!

**მეფისტოფელი:**

დიახაც! მაგრამ სამსახურს კი გიწევს უღირსად!  
მიწიერ საზრდოს არ სჯერდება, — ცას დაუჭირებს  
ბოროტისაგან მიისწრაფვის მთელი არსებით,  
თუმც ამ სიბრძნევს სანახევროდ ხვდება კიდევაც;  
ზეცისგან უნდა — ვარსკვლავები მოკაშკაშენი,  
მიწისგან კიდევ — მიწიერი შვება-დიდება,  
მაგრამ ვერც ერთით, ვერც მეორით — ამ თავაშვებით —  
გული იმისი ვერ ძლება და ვერ მოშმინდება.

**უფალი:**

ერთგული ხოა! თუ იქცევა დღეს დაბნეულად,  
გზასაც ვუჩვენებ! აქ საშიში არა არის რა...  
ნერგი თუ ერთი გაიკვირტა, გამომხეურდა, —  
იცის მებადემ, რომ ხვალ თუ ზეგ კიდევ დაისხამს.

**მეფისტოფელი:**

მოდო ნიძლევი, რომ გიღალატებს!  
ნება მომეცი, ავისრულო ოღონდ წადილი,  
ავიყოლიო და სულ კუდში მდიოს ლანდივით.

**უფალი:**

ვიდრე მიწაზე ცხოვრობს, მანამდე  
უარს ვერ ვეტყვი, რა გაეწყობა...  
სწრაფვას კაცისას ახლავს შეცდომაც.

**მეფისტოფელი:**

გმაღლობთ უფალო! ურთიერთობას  
ვერ ვეწყობოდი მკვდრებთან ვერაფრით;  
მე სულ დაეღაჟა ლოყებს შევნატრი...  
რა მესაქმება ან კი გვამებთან, —  
კატა-თავვივით ვართ ერთმანეთთან!

**უფალი:**

კეთილი! ჩემგან ნება გაქვს სრული —  
მშობლიურ ძუძუს მოსწყვიტო სული!  
აიყოლიე, როგორც ხელს გაძლევს  
და შენს კეჭაზე ატარე მარჯვედ.  
ოღონდ კი შეგრცხვეს, როცა მიხვდები,

რომ ლტოლვის წყვილია ლაბირინთებით  
სწორ გზას იპოვის მართალი კაცი.



**მ ე ზ ი ს ტ ო ზ ე ლ ი:**

კარგი და, ვნახოთ, ცოტას თუ მაცლი!  
ჩემსას რომ ვიზამ — ნიძლევად არც ღირს —  
მხოლოდ ერთსა გთხოვ — არ ვარ მკვეხარა —  
რომ ზარ-ზეიმით შევძრა ქვეყანა!  
მტვერს, მტვერს დაუწყებს ლოკვას ლაშებით,  
ვითარცა გველი — დეიდაჩემი!

**უ ზ ა ლ ი:**

როცა კი გინდა, მოდი, მარქვი ჭორი და სწორი,  
არ ვუყურებდი ცუდი თვალით მე შენთანებს!  
ყველა სულელებში — მგმობელთა და მაწყევართ შორის —  
ყველაზე ნაკლებ მაღიზიანებ.  
ადამიანი და ნაღვაწი მისი გონების  
თვლებით და ძილით დაილია და დაჩიავდა,  
ამიტომ — დიდი სიამოვნებით —  
ეშმაკს მივუჩენ, რომ ფხიზელი იყოს ნიადაგ.

თქვენ კი, ღვთის შვილნო, ალაპყარით ლოცვად ხელები  
და გახარებდეთ ხილვა დიად მშვენიერების!  
დაე, გფარავდეთ სიყვარული ყოვლის მწყალობლის —  
მუდამ მოქმედის, მარადიულ სამყაროს სულის;  
დაე, განმტკიცდეს გონებაში თანდითანობით  
თუ რამ ჭოქმანობთ და რაშეზე გერჩევათ გული!

**მ ე ზ ი ს ტ ო ზ ე ლ ი:**

(მარტო)

რამდენიც შევხვდი მე ამ მოხუცს, სულ თავს ვატყობდი, —  
ჭინჭყლიც არ მინდა ჩამოვაგდო მასთან პატარა.  
ნუ გაგეხარდეს! — ქვეყნის დიდი ბატონ-პატრონი  
კაციშვილურად ლაპარაკობს თვით ეშმაკთანაც.

**ფ ა უ ს ტ ი:**

ღრმად შევისწავლე ფილოსოფია,  
თუ სამართალი, თუ მედიცინა;  
და, სამწუხაროდ, თეოლოგიაც...  
თუმცა, ძალიან კი გამიჭირდა,  
მაგრამ ის ბრიყვი კვლავ დავრჩი ბრიყვად,



დღესაც ისა ვარ, რაც აღრე ვიყავ, —  
 მქვია მაგისტრი, დოქტორი მქვია,  
 ათი წელია მაქვს რია-რია  
 და მოწაფეებს უაზროდ, უქმად  
 დავარბენინებ წინა და უკან....  
 რა გინდა! თურმე არაფერი არ ვიცი მანც,  
 ახლავ მივხვდი, რისგანა მჭირს უიც და ვაიც.  
 თუმც გაცილებით მეტი ვიცი და გამეგება,  
 ვიდრე ამ დოქტორ-მაგისტრებმა და სხვა რეგენებმა —  
 აღარ ვუჩივი იქვს ორჭოფულს — ზევად მოხეთქილს,  
 აღარ მაწინებს თვით ეშმაკი და ჯოჯოხეთი,  
 სამაგიეროდ სიხარული გაქრა ლანდივით,  
 ჩამქრალა ეინი ქეშმარიტის ცნობის წადილის;  
 სხვას რომ ვასწავლო, იმის ძალაც არ გამაჩნია,  
 მორჩა დამოძღვრა-დარიგება, გაწამაწია!  
 შემომეფანტა წლები ზრუნვით ყოველდღიურით,  
 რისი დიდება, რის სახელი ამქვეყნიური!  
 ვერ აიტანდა ამდენს ძალღიკ! და ამიტომაც  
 გულმა მაგია მოითხოვა და მოინდომა,  
 იქნებ გრძნეული ძალით მოვრჩე ტანჯვა-წვალებას  
 და გავარკვიო ამ ცხოვრების იდუმალება,  
 აღარ დამჭირდეს ამას იქით მანც ეგება —  
 იმის მტკიცება, რაიც თვითონ არ გამეგება.  
 ეგება ჩავწვდე ქვეყნიერების  
 მოძრავ ძალათა იდუმალ კავშირს, —  
 რომ უიმედოდ და გახელებით  
 სულ წიგნის ქექვის არ ვიყო ცდაში.

ო, ბადრო მთვარევ, ერთხელაც ბარემ  
 შემოიჭვრეტდე და კვლავ მნახავდე!  
 რამდენი ღამე მე ასე მწარედ  
 გამითევია თეთრად აქამდევც.  
 გამინათებდი შენ უფრო მეტად  
 ვიდრე ეს ჩემი წიგნებ-მიგნები...  
 ეხ! ემაგ მთებზე შენს შუქზე ნეტავ  
 მამორიალა თავდავიწყებით;  
 შემომაქროლა მდელი და კორდი  
 და გრძნეულ სულთა კლდენი და ღრენი, —  
 რომ დავთმო ტანჯვა ყოველისცოდნის  
 და განვიბანო ცვარითა შენით.

ისევ აქა ვარ, ამ ყრუ დილეგში!  
 ისევ აქ ვზივარ თუ მომელანდა?  
 სადაც გათხუნულ, მტვრიან მინებში



თვით ზეციური შუქიც ვერ ატანს!  
 ისევ ეს სორო, კედლები, ჭერი,  
 ქალაქის გროვა, წიგნების რიგი —  
 გატენილები მატლით და მტვერით  
 რომ ახორხლილან საზარლად ირგვლივ.  
 დაჩურთულები ათასგვარ რამით, —  
 კვლავ ეს სკივრები და ეს ქილები —  
 ნაქონი მამის თუ მამის მამის...  
 აი ქვეყანა შენი, ინებე!

და ამის შემდეგ გიკვირდეს კიდევ  
 გული რას ოხრავს და რაზე კვნესის,  
 თუ რა იღუმალ ტკივილებს ითმენ,  
 თუ რამ დასუთა სიცოცხლე შენში.  
 ესე ცხოველი ბუნების წესი,  
 ღვთით ბოძებული ზრუნვა-ალერსი —  
 შენ, შენ გაცვალე ჩონჩხში და მტვერში,  
 ხარა-ხურაში და ძველმანებში.

მაშ, ადგე, გასწი, მორჩა, გათავდა,  
 შორს, უცხო მხარეს გიწევს გუმიანი,  
 გზა გაგინათოს თვით ნოსტრადამმა  
 წიგნით ბრძნულითა და იღუმალით.  
 მნათობთა სრბოლას მისწვდება თვალი,  
 თუ ბუნებაშაც მოგცა რაიმე —  
 აღვსილ იქნები იღუმალ ძალით,  
 როს სული სულთან იმუსაიფებს.  
 ამაო არის ციურ ნიშნების  
 ახსნა-გაგება ცივი გონებით...  
 მოდით სულეზო, წამოიშალეთ!  
 მარქვით, რა იცით, გამაგონევით!  
 (გადაშლის წიგნს და დაინახავს მიკროკოსმოსის ნიშნებს).  
 ახ, ეს რა ნახეს, რა იხილეს ჩემმა თვალებმა,  
 რომ უცებ შემძრა ნეტარებამ და სიხარულმა!  
 ვგრძნობ სიხალისეს და ღვთაებრივ აღფრთოვანებას,  
 ახალგაზრდულად სჩქედს ძარღვებში სისხლი ძალუმად;  
 ნუთუ ღვთის ზელით აღბეჭდილა აქ ეს ნიშნები, —  
 ბობოქარ სულის ჩასაბრუნებლად,  
 ბეჩავი გულის სასალბუნებლად,  
 იღუმალეებით მოცულ ბუნებას  
 ფარდას რომ ხდიან გარეშემო და აშიშვლებენ?..  
 თუ მე ვარ ღმერთი? და ყველაფერი  
 ნათელი გახდა ამ ნიშნების იღუმალ ენით!  
 მოძრავ ბუნებას ვხედავ აგერ — სულში განფენილს...  
 ახლა კი მივხვდი და გავიგე, რას ამბობს ბრძენი;



„ვერ ხედავ, თორემ აგერ ა, გვერდით  
სულეთი მუდამ ღიაა შენთვის.  
აბა, შეგირდო, ახსენე ღმერთი  
და ცისკრის ალით განბანე მკერდი“.  
(ათვალისწინებებს ნიშნებს)

როგორ ერთ მთელში მოძრაობს ყველა,  
ერთში მეორე ფუსფუსებს ლაღად!  
ააქვთ და ჩააქვთ ძალათა ზენართ  
ოქროს საწყავეი აღმა და დაღმა!  
ნეტარი ფრენით დაჰქრიან ასე  
ციდან მიწაზე, მიწიდან ცაზე  
და ჰარმონიით არიან სავსე...

რა სურათია! და რა ფუჭი არის ცდუნება!  
სად, როგორ მივწვდე, უსასრულო დედაბუნება,  
შენს ცხოველ ძუძუს — ყოველივე სიცოცხლის წყაროს?  
რითაც საზრდოობს ცა და მიწა, ტკბება და ხარობს  
და რომლისკენაც მივისწრაფვი წვითა და გზნებით...  
ის აგერ მოსჩქედს, მე კი მისი სურვილით ვკვდები.  
(უკმაყოფილოდ გადაშლას წიგნს და დაინახავს მიწის სულის ნიშანს)  
ო, ეს ნიშანი სულ სხვაგვარად მალეღვებს, თანაც  
საერთოს უფრო, მიწის სულო, მე ვხედავ შენში;  
ვგრძნობ, მემატება ნელნელა ძალა,  
თითქოს შუშხუნა მაჭარი შევსვი, —  
ისე ავენთე. მზად ვარ ქვეყნის ორომტრიალში  
გადავერიო, ვზიდო მისი ჭირი და ლხინი,  
ვერ შემაშინებს ქარიშხალთა სტვენა-გნიასი,  
არ შემეცვლება არც დაღუპვის შიშისგან ნირი.  
ჩამოიქუფრა გარეშემო,  
დაბნელდა მთვარე,  
ჩაქრა სინათლე;  
აღრჩოლდა კვამლი და ჩემს თავს ზემოთ  
იელვა სხივმა მეწამულმა — იალ-კიალით  
ეშვება დაბლა აჩრდილი!  
აგერ! — მეხება კიდევ!  
ნანატრო სულო! შენ ტრიალებ ეს ჩემს გარშემო!  
მეჩვენე!  
ოი, რაღაც ჩასწყდა გულს უსაშველოდ...  
მთელი გონება, მთელი არსება  
სულ სხვა გრძნობებით იმსჯვალე და ითასმება...  
ვგრძნობ, რომ ეს გული შენ გეკუთვნის, შენია სულ მთლად!  
გამომეცხადე! დამენახე და მოვკვდე თუნდაც!  
(იღებს წიგნს და იღუმალი ხმით წარმოთქვამს სულის ნიშნის სახელს. ავარდება  
წითელი ალი და ალში გამოჩნდება სული).

(გავრძელება იქნება)

# პოლუბანბ კოეკენი

## სიკვდილი რთმში



### რომანი

გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხაშიშვილმა

სასტუმროს მეკარე იუდეიანს მიესალმა, ხელთათმანიანი ხელი ქუდთან მიიტანა, მიესალმა იუდეიანს, რომელიც აქ ბატონი იყო და ბრძანებლობდა, თუმცა სხვისი სახელით. კედლებზე აკრული ატლასი ბრწყინაედა, ოთახი საროსკიპოს ნომერს წააგავდა, პატარა გოტლიბს ამაზე უკეთესი ოცნებითაც არ შეეძლო წარმოედგინა. რატომ იმ გოგონას არ მოსდო ჩანგალი? რატომ არ წამოიყვანა? უნდა ეხმარა და მერე ბურთივით გამოესროლა. მის გულს მიესალბუნებოდა, ის გოგო რომ ჯერ ეხმარა და მერე ბურთივით გამოესროლა. ლოვინის სახეებიან საფარზე ქეციანი კატა ბენიტო იწვა. წამოიყაყვა, გაიზმორა და თვალები მოჭუტა. იუდეიანმა ხელი ქეციან ზურგზე გადაუსვა. ცხოველი ყარდა. მთელი ოთახი ყარდა. კატა დამცინავად შესცქეროდა იუდეიანს, თითქოს ეუბნებოდა, შენ უკვე მოჭამე შენი დრო, უძლური ხარო. ნეტავ თუ შეეძლო იუდეიანს მეკარისათვის ებრძანებინა, გოგო მომიყვანეო? დრო იყო, შეეძლო. შეეძლო ასე გოგოც მოეყვანინებინა. შეეძლო მათ მოხვეოდა და მერე სიკვდილი მიესაჯა. იქნებ ევას დაურეკოს? კარგა გვარიათ კი დაფრთხებიან ბიურგერულ სასტუმროში. ღამდამობით იქ ეშინიათ. ეშინიათ სიკვდილისა. რატომაც არ უნდა შეეშინებინა იუდეიანს ის ბიურგერული სასტუმრო? იქნებ საჭირო იყო, ამ ღამით ევას დალაპარაკებოდა? ყველაფერს გულახდილად აუხსნიდა. ტელეფონით ჯობდა ლაპარაკი. იმქვეყნად გამგზავრების ბრძანებას რადიოთი ან ტელეგრაფით გადასცემენ. ამისათვის პირადად არ ცხადდებიან. ევა გერმანელი ქალია, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი, მან უნდა გაუგოს იუდეიანს, მან უნდა გაიგოს, რომ ქმარი ჯერ არ მომკვდარა, რომ სიკვდილ-სიციოცხლის ზღვარზე დააბიჯებს. ევა ისეთივე გერმანელი ქალი იყო, როგორც ისინი, შადრევანთან რომ მღეროდნენ მშვენიერ გერმანულ სიმღერას, მაგრამ არა, ევა უფრო მეტი იყო, ვიდრე ის ქალები, ევა იყო ქალი -- ფურერი, ის მისი ცოლი იყო, ის მას გაუგებდა. იუდეიანის მხრივ სისულელე იყო, ევასთან შეხვედრისა რომ ეშინოდა. ნეტავ იმ ლილისფერი ბარის მოღარე იტალიელი გოგო რატომ იზიდავს, ვინ იცის, იქნებ ებრაელიცაა? რა მისი საფერი იყო ეს გოგო. ის არ იყო გერმანელი. მაგრამ მის

დასაბრუნო. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 6, 1985 წ.



არსებაში იყო რაღაც ისეთი, რის გამოც სურდა მისი დაუფლება/ გეგვი არაა—  
 კახპაა. იქნებ ებრაელია? გამხმარი ავხორცი ებრაელი კახპა მასთან/ დაკავში-  
 რება რასობრივი დანაშაულია. მას არ უნდა შინებოდა ამ გოგოსი! შეეძლო  
 იგი შეეძულებინა. საქმე ის იყო, რომ მას სჭირდებოდა <sup>ქალი, რომელიც</sup> იგი შე-  
 ეძულებინა; თავისი ხელებისათვის, თავისი სხეულისათვის მას სხვა სხეული  
 სჭირდებოდა, სხვა სიცოცხლე, რომელიც შეიძლებოდა შეეძულებინა და გა-  
 ენადგურებინა კიდევ, რადგან, როცა კლავ, მხოლოდ მაშინ ცოცხლობ. —  
 პოდა, მაშ ვიღას შეეძლება შეეძლო იუდეიანს, თუ არა იმ ბარში მომუშავე  
 გოგოსი? ძალაუფლება იუდეიანს აღარ ჰქონდა. ის უმწეო იყო...

ევას ეძინა, ეძინა გაჭიმულს, ეძინა სასტუმროს პატარა ნომრის ვიწრო  
 საწოლზე, ეძინა დაძაბულად, ეს იყო მხოლოდ — თმა გაეშალა, ჩაყვითლებუ-  
 ლი, მინდორზე დარჩენილი ხორბალი, საბძელში დაუბინავებელი ბზე, გახუ-  
 ნებული და ფერდაკარგული, მაგრამ ეძინა მაგრად, უსიზმროდ, პირი სულელუ-  
 რად გაეღო, ოდნავ ფშვინავდა, სხეულზე ახლად წამოდულებული რძის სუნი  
 ასდიოდა — ღამის უღარდებლობის ამ მიძინებულ მძვინვარე ნორნას...<sup>53</sup>

ღამის უღარდებლობას მინდობილი, იმავე სასტუმროში გაცილებით რბილ  
 საწოლზე ხვრინავდა დიტრიხ პფაფრატი. მშობლებთან და მათი წრისა  
 და შეხედულებების მქონე სხვა გერმანელებთან ერთად რესტორანში  
 შესმულ ღვინოს იგი არ მოეთენთა; საწოლთან თავახდილი ჩემოდანი ედო,  
 რადგან დიტრიხი გულმოდგინე და ბეჯითი გახლდათ და იტალიაში თვით წარ-  
 მტაცი საოჯახო მოგზაურობის დროსაც კი იურისპრუდენციაში სახელმწიფო  
 გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა; დარწმუნებული იყო, ამ გამოც-  
 დებს ჩააბარებდა კიდევ, მაგრამ მაინც კითხულობდა სპეციალურ ლიტერატუ-  
 რას, რომელიც ჩემოდნით თან წამოეღო. ამ მგზავრობისას სტუდენტური  
 კორპორაციის ფორმის ქუდიც წამოეღო დიტრიხს იმ იმედით, იქნებ სადმე  
 ამავე კორპორაციის რომელიმე წევრს გადავეყარო და რიგიანად წავუქეიფო.  
 ეს ფეხად ბაბთიანი ქუდი კანონთა კოდექსების გვერდით იდო — დიტრიხი  
 დარწმუნებული იყო, სტუდენტური კორპორაცია და კანონი ცხოვრებაში  
 უთუოდ დაეხმარებოდა. თავლია ჩემოდანში ეწყო გზების რუკები, დიტრიხი  
 სიამოვნებით მართავდა თავისი ხანდაზმული მამის, ობერბურგომისტრის ავ-  
 ტომაქქანას და ამ რუკებზე ჯვრების დასმით გულმოდგინედ აღნიშნავდა იმ  
 ადგილებს, რომლებიც უნდა მოენახულებინათ, ამ ადგილების სახელწოდებებს  
 ყურადღებით იწერდა საგანგებო ფურცელზე და მონდომებით ადგენდა იქ არ-  
 სებული ღირსშესანიშნაობების სიას, ხოლო წითელი ფანქრით აღნიშნავდა  
 ბრძოლების ადგილებს, რომლებიც უნდა ენახათ, და ბრძოლების თარიღებს.  
 ჩემოდნის გვერდით ეგდო ეურნალი, რომელიც დიტრიხმა სინათლის ჩაქრო-  
 ბის დროს გადაისროლა ლოგინიდან, მაგრამ ცუდად დაუმიზნა და შიგ ვერ  
 ჩააგდო; ათასფრად აჭრელებულ ეურნალის ყდაზე, რომელიც დიტრიხმა კი-  
 ოსკში მაშინ იყიდა, როცა ეგონა, თვალს არავინ მადევნებსო, — რომში ხომ  
 არც თვითონ იცნობდა არავის და არც სხვა იცნობდა მას, — გამოსახული  
 იყო ფეხებგალაჯული გოგონა, ჭრელ-ჭრულა, ფერ-ხორციანი, კოფთა ჭიპამდე,  
 ჩახსნოდა, ხოლო მკვრივ ვასიმსიმეებულ თეძოებს მსხვილ-მსხვილი თვლებით  
 ნაქსოვი მაღალყელიანი წინდები უფარავდა — ამ საღამოს ლუდმა კი არა,  
 აი ამ თეძოებმა დაჰქანცა და მოადუნა დიტრიხი. ამ გოგონას ნდომა ძალ-  
 ღონეს აცლიდა, მაგრამ დიტრიხს უდიდესი ძალით იზიდავდნენ ამა ქვეყნის

ძლიერნი, ეისავეისაც სამსახური მიზნად დაესახა, რათა ძლევამოსილების სახლში მოეკალათა, ძლევამოსილებაში წილი დაედო და თვითონაც ძლევამოსილი გამხდარიყო...

კმაყოფილი თვლემდა ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი, რომელმაც კმაყოფილი მოგზაურობის დროს, თავის მეუღლე ანასთან ერთად იწვა, თუმცა არა სულს გადახვეული. შინ ისინი ცალ-ცალკე იწვნენ. ან კი რად უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო? საკუთარი ცხოვრება უმწიკვლოდ მიაჩნდა, ხოლო ცხოვრება უმწიკვლოთა მიმართ უმადური არ არის. გერმანიაში გრძნობაც კვლავ გერმანულა გახდა და აზროვნებაც, თუმცა ქვეყანა ერთიერთმანეთისაგან გამოცალკეებულ ნახევრებად იყო გაყოფილი, და ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი კვლავ გახდა თავისი ქალაქის თავი იმის გამო, რომ მოქალაქეებმა მოიწონეს, სიმპატია გამოუცხადეს, ერთგულება დაუდასტურეს დემოკრატიული არჩევნების სისტემას, თანაც ყველაფერმა წუნდაუდებლად, ყოველგვარი მაქინაციისა და არჩევნების გაყალბების გარეშე ჩაიარა, ადგილი არ ჰქონია მოსყიდვას და საოკუპაციო ხელისუფლების ხელშეწყობას, მოქალაქეებმა იგი ნებაყოფლობით ამოირჩიეს და ისიც კმაყოფილი იყო, რომ ქალაქის ობერბურგომისტრი გახდა, თუმცა ადრე ობერპრეზიდენტი და პარტიის დიდძალი ქონების განმკარგულებელი გახლდათ. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი კმაყოფილი და უმწიკვლო იყო, მაგრამ საშინელი ზმანება დაუმსახურებლად და უსამართლოდ უწამლავდა ძილს ამ უმწიკვლო ადამიანს: მისმა წავ მუნდირში გამოწყობილმა ქვისლმა იუდეიანმა ზედ პფაფრატის ლოგინთან მიაგდო აფრთხვინებული ცხენი, გუნდი მღეროდა სიმღერას — „ეს არის ლუტცოვის თავხეხელაღებული ნადირობა“. ქვისლმა იუდეიანმა პფაფრატი უცბად თავის აფრთხვინებულ ცხენზე შემოისვა და ზეცისკენ გასწიეს, აქ იუდეიანმა დიდ მოელვარე სვასტიკიანი დროშა გაშალა, ხოლო პფაფრატი გადმოაგდო, ძირს გადმოუშვა და პფაფრატის ძირს ეშვებოდა, ეშვებოდა, ეშვებოდა — ძლევამოსილი ობერბურგომისტრი ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი იყო უმწიკვო, უმწიკვო...

უმწიკვო ვარ მე, პირს ვიბან პირს ვიბან წყალგაყვანილობის ცივი წყლით და ვფიქრობ იმაზე, რომ ეს წყალი მოედინება ძველი რომაული წყალგაყვანილობით, სევდისმომგვრელი ლურჯი მთებიდან ჩემკენ, მოედინება კედლებდანგრეული ძველი აკვედუკის გამოვლით, როგორც ეს პირანეზიმ დახატა, ბაკანში — სასიამოვნოა პირის ამ წყლით დაბანვა. ფეხშიშველი მივდივარ ოთახის ცივ ქვის იატაკზე, ფეხქვეშ ვგრძნობ მაგარ და ცივ ქვას. საამოა ცივი ქვის შეგრძნება. ფართო საწოლზე ტიტველი ვწვები. კარგია ფართო ლოგინზე ტატველი წოლა, არაფერს ვიფარებ. კარგია მარტო წოლა, თითქოს ვილაკას ვთავაზობ ჩემს სიშიშვლეს. შიშველი შევცქერი შიშველ ნათურას, ბუზები ბუზიან. შიშველი, დედიშობილა. მარმარილოს ფილაზე დევს ნოტების თეთრი ქაღალდი. იქნებ თეთრიც აღარ არის; ქაღალდი ბუზებმა დასვარეს. არავითარი მუსიკის ხმა არ მესმის. არც ერთი ტონი არ ხმიანობს ჩემში. არაფერი მაჩვს ისეთი, რაც გადამასალისებს. არაფერს შეუძლია ჩემი მწყურვალე სულის გახალისება. არსად ჩანს რაიმე წყარო. ავგუსტინე უდაბნოში წაეიდა. მაგრამ მაშინ უდაბნოში იყო წყარო, რომს სძინავს, მესმის დიდი ბრძოლების მათწყებელი ხმაური. შორსაა, მაგრამ საშინელ გრიალად მოისმის, ბრძოლა ჯერ შორს ხდება. შორს ხდება, მაგრამ საშინელია. შორსაა, მაგრამ აბლოვდება. მალე გათენდება. ქუჩაში გავიგონებ მუშების ფეხისხმას.

ბრძოლა თანდათან აქეთ გადმოინაცვლებს და მუშებიც საბრძოლველად გაე-  
შურებიან. მათ არ ეცოდინებათ, საბრძოლველად ისე წავლენ, ვინც რომ  
ჰკითხოს, უპასუხებენ: „ჩვენ არ გვსურს საბრძოლველად წავალა“, მაგრამ  
მაინც წავლენ. მუშები მუდამ რიგში დგებიან, როცა ბრძოლა იწყება. ის პა-  
ტარა კომუნისტი გოგონაც მათთან იქნება. ყველა, ვინც წავლენ, საბრ-  
ძოლველად მიდის. მე არ ვარ ქედმაღალი, იქნებ ვარ კიდევ, მაგრამ ამგვარი  
არა. მე შიშველი ვარ, დედისშობილა და უძლური. უბოვარი, შიშველი, უძ-  
ლური.

II

რომის პაპი ლოცულობდა. ლოცულობდა ვატიკანში, თავისი ბინის სამ-  
ლოცულოში, დაეჩოქა საკურთხევის წითელ ხალიჩადაფენილ საფეხურზე.  
ჯვარცმა დასცქეროდა ზემოდან, ღვთისმშობელი ჩამოჰყურებდა, ღრუბლები-  
დან წმინდა პეტრე უთვალთვალებდა. პაპი ლოცულობდა ქრისტიანთათვის და  
ქრისტიანთა მტრებისათვის, ლოცულობდა ქალაქ რომისათვის და მთელი  
მსოფლიოსათვის, ლოცულობდა მთელი მსოფლიოს ღვთისმსახურთათვის და  
მთელი მსოფლიოს ღვთისმგმობელთათვის, შეათხოვდა ღმერთს — შენს ნე-  
ბას აზიარე სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებო, იმასაც სთხოვდა ღმერთს —  
განუღე კარი შენი სახლმწიფოთა ქვეგამხედვარე მეთაურებსო; დედას ღვთი-  
სას ავედრებდა ბანკირებს, პატიმრებს, ჯალათებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს,  
ავედრებდა ატომის მკვლევარებსა და ავადმყოფებს, ბიროსიმელ დასახიჩრე-  
ბულთ, მუშებსა და ვაჭრებს, ველოსიპედით მრბოლელებსა და ფეხბურთე-  
ლებს; ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა ხალხებსა და ერებს, და ჯვარცმა გულის-  
ტკივილით ჩამოსცქეროდა ზემოდან, დედა ღვთისა ღიმილით შეჰყურებდა,  
მაგრამ სახეზე სევდაც არ შორდებოდა, წმინდა პეტრე კი თუმცაღა ღრუბ-  
ლებში ამალღებულყო, მაინც საეჭვო იყო, მიაღწია თუ არა ზეცამდე, რად-  
გან ვხა ზეცისაკენ სწორედ ღრუბლებიდან იწყება და თუ ღრუბლებში დაქა-  
ნაობ, მაშ არც არაფრისთვის მიგიღწევია, ის კი არადა, ჯერ მგზავრობაც არ  
დაგიწყია. და წმინდა მამაც ღმერთს ავედრებდა მიცვალებულებს, ავედრებდა  
წამებულებს, კატაკომბებში ჩამარბულთ, ყველას, ვინც ბრძოლაში დაეცა,  
ვინც; დილეგებში დალია სული, ავედრებდა თავის მრჩეველებს, თავის მახ-  
ვილგონიერ კანონმცოდნეებს, თავის ფულის საკითხებში გაწაფულ ფინანსის-  
ტებს, თავის გამოცდილ დიპლომატებს; გაკვრით გაიხსენა თავისი ქალაქის  
მიცვალებული გლადიატორები, მიცვალებული ცეზარები, მიცვალებული პა-  
პები, მიცვალებული კონდოტიერები, მიცვალებული მხატვრები, მიცვალებული  
კურტიზანები; გაიხსენა Ostia antica-ს<sup>54</sup> ღმერთები, ძველი ღმერთების სუ-  
ლები, რომლებიც რომის ნანგრევებს დაჰფარფატებენ, გაიხსენა ძეგლები,  
დაქცეული გალავნები, ქრისტიანულ ტაძრებად გადაქცეული წარმართული ტაძ-  
რები, ძველი წარმართების გაძარცული საკულტო ადგილები და ხედავდა სულში  
აეროდრომებს, ხედავდა, რომის მდიდრულ ვაგზალს, ხედავდა, თუ როგორ  
მოედინებოდნენ უწყვეტ ნაკადად ახალ წარმართთა რაზმები და ერეოდნენ  
უკვე ამ ქალაქში მცხოვრებ წარმართებს, რომლებიც უფრო უღვთონა და  
ღვთისგან დაშორებულნი იყვნენ, ვიდრე ის ძველი წარმართები, რომელთა  
ღმერთებიც აჩრდილებად ქცეულიყვნენ. იქნებ თვით რომის პაპიც აჩრდილად  
იქცა? იქნებ აჩრდილად ქცევას აპირებს? პაპი ვიწრო, უსასრულოდ ღბილ,

უსასრულოდ გულისამაჩუყებელ ჩრდილს ფენდა თავისი სამლოცველს წითელ იატაკზე. პაპის ჩრდილი ხალიჩის სიწითლეს სისხლის ფერს აძლევდა. ამოვიდა მზე. რომი გადაანათა. ნეტავ ვინ იმეგვიდრებს *Sacrum imperium*<sup>55</sup>-ს, როცა წმინდა მამა მიიცივალება? ვინ იქნებიან ამ წმინდა იმპერიის შემსრულებნი? ნეტავ რომელ კატაკომბებში ლოცულობენ, რომელ დიდიხეობებში სტატიკებიან, რომელ კუხძზე ადებინებენ თავს მოსაპრელად? არავინ იცის. მზე განაგრძობდა ბრწყინვას. მისი სხივები ათბობდნენ, თუმცაღა მაინც ცივად ანათებდნენ. მზეც ღმერთი იყო, იგი შესწრებია მრავალი ღვთაების დაცემას; იგი ათბობდა, სხივებს არ იშურებდა, მაგრამ მაინც გულცივად შესცქეროდა ღმერთთა დაცემას. მზისათვის სულ ერთი იყო, ვისთვის ანათებდა, ხოლო რომაელი წარმართები და მთელი მსოფლიოს წარმართები ამტკიცებდნენ, მზის სინათლე ასტროფიზიკური მოვლენააო და ანგარიშობდნენ, რამდენი ჰქონდა მზეს ენერგია, იკვლევდნენ მზის სპექტრს და მზის სითბოს გრადუსებით განსაზღვრავდნენ. მზისთვის ესეც სულ ერთი იყო. მისთვის სულ ერთი იყო, რას ფიქრობდნენ მის შესახებ წარმართები. მისთვის ესეც ისევე სულ ერთი იყო, როგორც ღვთისმსახურთა ლოცვა და ფიქრი. მზე დაჰნათოდა რომს. დაჰკამკამებდა.

მიყვარს დილა, რომის დილა. ადრინად ვდგები; ცოტა მძინავს. მიყვარს მაღალი სახლების ჩრდილში განაბული ვიწრო შუკების სიგრილე დილით. მიყვარს ქარი, როცა იგი ძველი ქუჩაბანდების დაგრეხილი სახურავებიდან ჩამომიხტება, — იგი შვიდივე ბორცვის დილის სალამია და ქალაქში ღმერთების დაცინვა მოაქვს. მზე დასთამაშებს კოშკებსა და გუმბათებს, დასთამაშებს წმინდა პეტრეს მძლავრ გუმბათს, ელამუნება ჩაყამებულ გალავანს, ეფერება წყალსაწრეტ ღარებში ფეხმოკიდებულ ხავსს. პალატინუსის<sup>56</sup> თავგებს, კაპიტოლიუმის ტყვე ძუ მგელს, კოლინეუმში ბუდედადებულ ფრინველებს, პანთეონის კატებს. ეკლესიაში ღვთისმსახურება მიმდინარეობს. წირვა-ლოცვის მოსასმენად შორს არ მჭირდება წასვლა. ფონტანა დი ტრევის გვერდით ერთი ეკლესიაა, მეორეც ვია დელ ლავატორეს კუთხეშია, ახლო-მახლო კიდევ ბუთითუ ექვსი ღვთის სახლია, მაგრამ მათი სახელები არ ვიცი. ეკლესიაში სიამოვნებით დავდივარ. ვისუნთქავ ღვთიურ სურნელებას საკმევლისას, გამდნარი სანთლისას, მტვრისას, ოლიფისას, ძველი სამოსისას, ბებერი ქალებისას და ძველი შიშისას, სურნელებას დიდსულოვნებისას და უგულობისას. ვისმენ ლიტანიას — *ab omni peccato libera*<sup>57</sup>, მონოტონურ დუდუნს *a Subitaneae et improvisa morte*, სამუდამოდ დადგენილ და სამუდამოდ დამტკიცებულ დალოცვს მღვდელსა და მოხუც ქალებს შორის, რომლებსაც სახე პირბადით დაუფარავთ და ქედ იმდაბლებენ, რათა ამაღლდნენ, ეკლესიის იატაკზე იჩოქებენ, *le regum us audi nos*; მესმის მკაფიო წკარუნი ზანზალაკისა, რომელიც მედავითნეს უჭირავს ხელში. კართან ვდგავარ, ყველასთვის უცხო, თითქმის მათხოვარი; ვდგავარ მრევლისგან განგებ განზე დამდგარი, ვუმზერ წმინდანების წინაშე ანთებულ სანთლებს, ერთხელ მეც ვიყიდე და მოუხატველ ნიშაში დავანთე, რომელიც ჯერ არც ერთ წმინდანს არ ეკუთვნოდა. მე ეს სანთელი უცნობ წმინდანს მივუძღვენი ისევე, როგორც რომაელებმა ტადარი მიუძღვნეს უცნობ ღმერთს, რადგან უფრო სარწმუნო ის არის, რომ წმინდანი ვერ შევამჩნიოთ, ვიდრე ის, რომ ღმერთი დარჩეს უცნობი. ვინ იცის, იქნებ

უცნობი წმინდანი ჩვენს შორისაც არის, იქნებ გვერდითაც გაეუვლით ხოლმე, იქნებ იგი გაზეთის გამყიდველია პასაჟზე და ხალხს უგირდით ამცნობს დიდი ძარცვა-გლეჯის ცალკეულ ეპიზოდებს, ომის საშიშროების პროგნოზს, ეგებ ეს წმინდანი ის პოლიციელია, რომელიც ვია დელ კარეტოზე დგას, ანდა ის სამუდამო კატორღამისჯილია, რომელსაც რომის ქუჩებში ყოველად აღარ უწერია, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ დირექტორი იტალიის კომერციული ბანკისა, რომელიც კორსოზე ამაყად აღმართულა, წმინდანი იყოს და თანაც უცნობი, თუმცა მორწმუნენი ამტკიცებენ — ღვთისთვის შეუძლებელი არაფერიაო; ვთქვათ, ბანკირი მართლაც არის წმინდანი, ასეა თუ ისე, არც ერთ მათგანთან წმინდა მამა არ გამოცხადდება და ფეხებს არ დაბანს, რადგან წმინდა მამას აზრადაც არ მოსვლია მათი წმინდანობა, ვინც მის ახლომახლო ცხოვრობს და ვერც ეკლესია გაიგებს იმათ სახელებს ვერასოდეს, არასოდეს არ ეცოდინება, რომ ისინი არსებობდნენ და წმინდანები იყვნენ. ისიც შესაძლებელია, წმინდანები საერთოდ აღარც არსებობდნენ ისევე, როგორც უკვე ღმერთები არ არსებობენ. არ ვიცი, ასეა თუ არა. იქნებ პაპმა იცის ეს. მაგრამ თუ მან იცის, მე მაინც არ მეტყვის, არ მეტყვის და არც მე ვკითხავ.

რა კარგია დილის სიხალისე. ფეხსაცმლის ნწმენდავს წაღები გავაპრიალე-ბინე და ისე დაიწყეს ლაპლაპი, მზეს ირეკლავდნენ. დალაქთან პირი გავიპარსე, მან სახის მასაჟიც გამიკეთა. პასაჟზე გავიარე. ჩემი ნაბიჯების ხმა ირგვლივ მხიარულად გაისმოდა. გაზეთი ვიყიდე. ჯერაც ისევ სტამბის სუნი აღდიოდა; გაზეთი ამცნობდა მსოფლიოს სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა უახლოეს კურსს. შემდეგ გავემართე პასაჟის ბარ „ესპრესოში“, დახლთან დავჯექი, კაცებს შორის, საგულდაგულოდ დაბანული საგულდაგულოდ გაბარსულ, საგულდაგულოდ დაგარცხნილ, გაწმენდილ, გახამებულ ქათქათა პერანგჩაცმულ, ზომიერად სუნამონაპკურებ კაცებს შორის, და მათსავეთ სმას შევუდექი, ვსვამდი მანქანით შემზადებულ ქაფქაფა მაგარ ყავას, ვსვამდი a la cappuccino — შაქრითა და ნალებით შეზავებულს, მსიამოვნებდა აქ დგომა, მიხაროდა აქ ყოფნა, გაზეთის მეექვსე გვერდზე კი ჩემს სურათსა და სახელს წავაწყდი და გამეზარდა, რომ ავტორი სიმფონიისა, რომელიც ამ საღამოს უნდა შეესრულებინათ, იტალიურ გაზეთში დაბეჭდეს, თუმცა ისიც ვიცოდი, რამდენიმე კომპოზიტორის გარდა, არავინ დახედავდა ამ სურათს, ისინიც იმიტომ, რომ ჩემს სახეზე უგუნურების, ხელმოცარულობის, უნიჭობის ან შეშლილობის ნიშნები აღმოეჩინათ, მერე კი ჩემი სურათი მაკულატურად იქცეოდა, შესახვევ ქალაქდად ან სხვა რამისთვის გამოიყენებდნენ და სწორადაც მიმაჩნდა, კარგიც იყო, ასეც იყო საჭირო, რადგან არ მსურს ისეთი დავრჩე, დღეს რომ ვარ, მსურს ვიცვლებოდე, მარადიულ ცვალებადობას განვიცდიდე, რადგან არყოფნის მეშინია.

ამრივად, ბოლო რეპეტიციაზე გავემართე, გავემართე მუსიკის მეფარველ წმინდან სანტა ცეცილიასაკენ. ნეტავ თუ გადამაფარებს იგი წყალობის კალთას? მისთვის სანთელი არ ამინთია, მე წარვუდგენ მას სიმფონიას, რომელიც შესაძლოა არ მოეწონოს. გავემართე კიურენბერგისკენ, ამ ბრძენი ჯადოქრისაკენ, ასი მუსიკოსისაკენ, რომლებიც ჩემს ნაწარმოებს ასრულებენ და მათ წინაშე მოკრძალებას ვგრძნობ; ალბათ შეეხვდები იღზე კიურენბერგს, რომელსაც გულს არაფერი უთრთოლებს, მისთვის სიკვდილი და სიცოცხლე ისეთივე ჩვეულებრივი რამაა, როგორც მზის ამოსვლა და წვიმა. ის არ არის

ნიფარველი ანგელოსი, ამას ვგრძნობ, მაგრამ რქნებ მუსიკის ქალღმერთს ან პოლიპიმნიას შემცველელი მაინც იყოს, თავისარიდების, გამაგრებისა და გულგრილობის ნიღაბქვეშ შეფარებული დღევანდელი დღის მუხა. ვია დელა მუ-რეტეზე მოწიწებით ვჩერდები მდიდრული დამკრძალავი ბიუროს წინ, ვხედავ დიდი კაცს თავისკენ იხიდავს, მაგრამ რა სასაცილოა ის რეკვიზიტი, რომელსაც ადამიანი იძენს იმ მიზნით, რომ სამარეში ღირსეულად ჩავიდეს. ბიუროს უფროსი, მოხდენილი სქელი ბატონი, — მას ხვეული თმა შავად შეუღებავს და ლაქივით უპრიალებს, — რომლის პროფესიული მოვალეობა თითქოს ყოველგვარი წარმავლობის უარყოფა იყოს, ადებს ბიუროს კარს და მისი კატა, რომელიც ხან კუბოებზე წევს და სიზმრებს ზედავს, ხანაც ბრინჯაოს გვირგვინებსა და ლითონისაგან ჩამოსხმულ იმორტელებზე, — ცვეთას, ლპობას, ბილწ მიწადქცევას რომ უძლებს, — მისი კატა მზიარულად მიიწვევს მისკენ, ბატონი კი თავაზიანად ესაღმება — „გამარჯობა, საყვარელო ციცუნიავ“. ეტყობა, ამ ბატონს თავვებისა ეშინია, შიშობს, ვაითუ საგვებმა ღამით სიკვდილის პრწყინვალე აქსესუარები დამიღრღნან, ქალაღლის სუდარას წირვა გამოუყვანონ და ხელოვნურ ყვავილებს ფურცლები შემოაცალონო.

იგი რომში ჩამოსული მღვდლების სასტუმროს სასადილოში მაგიდის ბოლოს იჯდა, ირგვლივ მოყავისფრო ჭუჭყიახი მქრქალი სინათლე იდგა, რადგან იმის ვარდა, რომ სასადილოს ერთადერთი სარკველი ვიწრო ეზოსკენ იყო მიქცეული, ზედ ფარდებიც ეფარა, ამრიგად ოთახში ბინდბუნდი გამეფებულიყო, რომელსაც ორიოდ სუსტი ნათურა უღონოდ ებრძოდა და დღის სინათლეს მოყავისფრო-მქრქალ ელფერს აძლევდა. მაგიდასთან მსხდომნი ვადაქანცულნი გამოიყურებოდნენ, თითქოს ღამის უსიამოვნო მგზავრობა გადაუტანიათ. სინამდვილეში კი მათ ამ სახლში ეძინათ, თუ არ ეძინათ, ყოველ შემთხვევაში, ლოგინში იწვნენ და ძილში თუ ცხადლივ ამაყობდნენ იმით, რომ რომში, ქრისტიანობის ამ დედაქალაქში იყვნენ. რამდენიმე მათგანი ცისკრის ლოცვაზეც გავიდა და ახლა სასაუზნოდ დაბრუნებულიყო, რომლის საფასურიც ღამისგასათევთან ერთად იყო ნაგულისხმევი. ეს საუზმეც ისეთივე უგემური იყო, როგორც ყველა საუზმე სემინარიებში, საავადმყოფოებში, ინტერნატებში — ყავა წარუცხს ჰგავდა, ხილფაფას არც ფერი ედო, ვერც იმას გაუგებდი, რომელი ხილისაგან დაემზადებინათ, პური ფაშარი იყო და იფშენებოდა: ყოველი ლუკმის ჩაყლაპვა ღამის ანრჩობდათ, მაგრამ გულმოდგინედ სწავლობდნენ ჭიბის გზის მაჩვენებლებს და აჩუსტებდნენ მისამართებს, სადაც უნდა მისულიყვნენ.

სასტუმროს პატრონმა, მღვდელმა, აღოლფს ჰკითხა, ქალაქის დათვალიერებაში ხომ არ მიიღებთ მონაწილეობასო, განზრახულია საკულტო ნაგებობების, წამებულთა საფლავების, გამოცხადების ადგილების მონახულება, თვით წმინდა მამას სურს ექსკურსიის მონაწილეთა მიღებაო, მაგრამ აღოლფმა მადლობა გადაუხადა. მარტო მსურს დაერჩეო: ისინი უკვე მღვდლები იყვნენ, კურთხევა უკვე მიეღოთ, ეპისკოპოსი ხმამაღლა იძახდა მათ სახელებს, ისინიც ადგილზე იყვნენ. Adsum<sup>58</sup>, იძახდა ამოკითხული. ეპისკოპოსმა ჰკითხა არქიდაკონს: „მივაჩნია თუ არა ისინი ღირსად?“ არქიდაკონსმაც უპასუხა: „რამდენადაც ადამიანური არასრულყოფილება ნებას მაძლევს, ვიცი და ვთავაზობ, რომ ისინი ღირსნი არიან ზიდონ დავისრებული ტვირთი“ Deo gratias<sup>59</sup>,

ბრძანა ეპისკოპოსმა და ისინაც მღვდლები გაბდნენ, მირონი სცხეს, ეპისკოპოსსა და მის მემკვიდრეებს მორჩილება აღუთქვეს და სხვათა ხარების უფლება მიიღეს:

«Accipe Spiritum Sanctum, quorum remiseris peccata remittentur eis, et retinueris, retenta sunt»<sup>60</sup>

ის ჯერ არ არის მღვდელი, დიაკონია. მათზე ერთი საფეხურით დაბლა დგას, ისინი მისი უფროსები არიან. ადოლფი შესცქეროდა, როგორ ჭამდნენ ისინი პურს, როგორ ადგენდნენ გეგმებს, რომ ეს დღე რომში უფრო სასარგებლოდ გამოეყენებინათ, და თავის თავს ჩაეკითხა, ნუთუ ღმერთმა აირჩია ისინი, ნუთუ ღმერთმა მოავლინა ეს პატრიარქოვარე ყვავები, ეს ბოსტნის მხდალი საფრთხობელებით, და დაეჭვდა, რადგან თუ მართლა ასე იყო, მაშ უფრო მეტს რად არ იქმს ღმერთი, მაშ მისი მსახურნი უფრო გადამწყვეტად რად არ ებრძვიან ამ სამყაროს ტრაგიკულ მოვლენებს? ადოლფი დიდმა უბედურებამ მიიყვანა მათთან და ახლა ჰგონია, მღვდელი, რომ ყოფილიყო, მსოფლიოს ახალ უბედურებას ხელს მაინც ვერ შეუშლიდა, იმაშიც არ იყო დარწმუნებული, შეძლებდა კი თანამონაწილე მაინც არ გამხდარიყო ამ უბედურებისა. ფარისეველთა საეჭვო ალალმართლობას შეფარებული, და თავის თავს ჰკითხა, ნუთუ მეც ღვთის რჩეული ვარ, თუკი ასეთებიც რჩეულები არიანო? ამაზე პასუხი ვერ მიიღო, ვერც იმაზე მიიღო, მოეძებნა თუ არა დედა და წარსდგომოდა თუ არა მამას. იქნებ მშობლები უყვარდა კიდევ, იქნებ მოვალე იყო, ჰყვარებოდა, რაიც მღვდლისთვის ალბათ განსაკუთრებული მოვალეობაა, თუმცა შეიძლება არცაა განსაკუთრებული, რადგან მღვდელს ყოველი ადამიანი თანაბრად უნდა უყვარდეს: მშობლებმა მოავლინეს ამქვეყნად, მაგრამ სული ღმერთმა შთაბერა, მშობლებმა იგი ღვთისათვის არ მოავლინეს, არც იმიტომ, რომ ღმერთს ემსახუროს და ღვთის მცნება ასრულოს. მშობლებმა იგი ამქვეყნად იმიტომ მოავლინეს, რომ თვით დამტკბარიყვნენ, რადგან მგრძნობიარენი იყვნენ, იქნებ იმიტომაც, რომ გაუფრთხილებლები აღმოჩნდნენ ანდა იმიტომ, რომ ბავშვი სურდათ, ან იმიტომ, რომ მესამე რაიხში ასეთი მოდა იყო, და თვით ფიურერს უყვარდა ბავშვები: იქნებ ყველა ამ მიზეზის გამოც გაჩნდა — ტკბობის, გაუფრთხილებლობის, შთამომავლობის ყოლის სურვილის ანდა ფიურერის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, და ყოველივე ამის უკან მაინც ღმერთი იდგა იღუმლად და უბილავად. რადგან სიცოცხლის ყოველი ჩასახვა სასწაულია, და თვით ის მთვრალა, რომელიც გზის პირას, ბუჩქებში ახალგაზრდა მსახურ გოგონას აცდენს, სათავეს უდებს სიცოცხლეს გონებით მიუწვდომელი ღვთის განგებით. აჲ ადოლფმა, დიაკონმა, იკითხა: „რატომ, რატომ, რატომ?“ მაგრამ ამ თავშესაფრის ბინდბუნდში, სულელური, უაზრო მჭმუნვარებისა და გონიერულობის საწინააღმდეგო მომყავო ღვთისმოსაობის ბინდბუნდში, ადოლფს ღმერთი არ გამოსცხადებია, ამიტომ არც შეეძლო მისთვის წმინდა მოციქულ პეტრესავით ეკითხა: „საით ჰხვალ, მეუფეო?“

ყველაფერი, რაც სადილობისათვის საჭირო იყო, პფაფრატებმა, მანჯანაში ჩაალაგეს: პური, შემწვარი ხორცი, ხობის ნაჭერი, ხილი და ღვინო. კასინოში სურდათ წასვლა, მონასტერში კი არა, საბრძოლო ადგილების მონახულება ეწადათ. სხვა გერმანელებს შეუთანხმდნენ, ბრძოლების მონაწილეებს,

რომლებსაც ყველაფრის განმარტება შეეძლოთ, მაგრამ თვითონ დაიკვირ-  
ნენ, რადგან ჯერ იუდეიანი უნდა მოენახათ — ისიც ხომ უნდა წაეყვანათ/  
ალბათ მასაც აინტერესებდა ყოფილი ბრძოლის ადგილი და ასე დაახლოვდებო-  
და ყველა ერთმანეთთან, გული ერთი საერთო იდეალით აერთიანებოდათ, გზა  
ნარჩევებულია შეურყეველი სიანაყით აეცებოდით, მიუხედავად წაგებული  
ბრძოლისა, მაგრამ ევამ, რომელიც ამჯერად მთავარ როლს ასრულებდა, მთე-  
ლი გეგმა ჩაშალა, ყველაფერზე უარი თქვა, უარი თქვა ექსკურსიაზე, უარი  
თქვა ქმართან შეხვედრასზე, თავის ნომერში სურდა დარჩენა, ვიწრო სენაკში,  
რომელიც სამხარეულოსკენ იყო მიქცეული და მისი სუნით და ხმაურით იც-  
ნებოდა, უფრო კი შინ ერჩია გამგზავრება, გერმანიაში, რომ იქაც ასეთივე  
ვიწრო სენაკში ამოეყო თავი. პფაფრატები ვაცოფდნენ და ევას ხვეწნა და-  
უწყეს:

— რატომ არ გინდა იუდეიანის ნახვა, რას იფიქრებს?

ევას არ შეეძლო რამე ეთქვა მათთვის, მათთვის, ვინც ისევ ტკბებოდა  
დღეის დღით, ვინც ყველაფერს შეეგუა, შეეგუა მთელი იმედების დამსხვრევას,  
გამცემლობას, მაროდობას, ევას არ შეეძლო მათთვის განმარტა, მისი და  
იუდეიანის კოლ-ქმრული კავშირი იმდენად მჭიდროდ იყო მესამე რაიხთან  
დაკავშირებული, რომ მხოლოდ ამ რწმენით იყო განპირობებული, მხოლოდ  
ამ წყაროთი იკვებებოდა და რომ ეს კავშირი ამჟამად გაწყვეტილი იყო, თა-  
ვისთავად გაუქმებული პიტლერის სიკვდილის შემდეგ, როცა რაიხი დაინგრა  
და გერმანულ მიწაზე უცხოელი ჯარისკაცები აბუჩად იგდებდნენ ფიურერის  
ბედისწერასა და მომავლის განჭვრეტას. ვისაც არ ესმის, ვისთვისაც გაუგე-  
ზარია, რომ სხვაგვარად ფიქრიც კი არ შეიძლება, მას ვერც რას გააგებინებ  
და ჯობს სულ გაჩუმდეს და საკუთარი მწუხარება არ შეალანძღვინო; არც  
თვითონ იყო დამნაშავე და არც იუდეიანი, არც ერთს არ ედებოდა ბრალი  
იმაში, რაც მოხდა და რის გამოსწორებაც აღარ შეიძლებოდა, მაგრამ კატასტ-  
როფის შემდეგ ძალაუფლებურად ყველა ცოცხლად დარჩენილი ინაწილებს დანა-  
შაულს. მართალია ევა თავის თავს ადანაშაულებდა, მაგრამ ადანაშაულებდა  
იმაში კი არა, რომ დამარცხებისკენ მიმავალ გზას თვითონაც ჰკვალავდა, არა-  
მედ იმაში, რომ ცოცხალი გადარჩა. ეს არ სცილდებოდა გონებიდან და ფიქ-  
რობდა, რომ იუდეიანიც იმავეს გრძნობდა და იძულებული იყო იგივე დანა-  
შაული ეტარებინა — ხოლო ევას სწორედ ეს არ სურდა, ის ხომ ამ დანაშა-  
ულით დაუმძიმებელ იუდეიანს იცნობდა, იცნობდა როგორც ვალჰალის  
გმირს: მაგრამ დანაშაულის ნაწილი ყოველ ცოცხლად გადარჩენილს ედება და  
იუდეიანის წერილმა, რითაც მან ცოლს აცნობა, ცოცხალი ვარო, ევა კი არ გა-  
ახარა, არამედ უფრო შეაშინა. მერედა ვისთვის გაეზიარებინა, ვისთვის ეთქვა  
თავისი თავხარდაცემა? საკუთარი ვაჟიშვილი დედის მტერი გახდა. ის იყო  
დედის უბოროტესი მტერი, თუკი სიტყვა „უბოროტესი“ სიბოროტის გაგე-  
მას შეიცავს, და ევა რომ ღვთისმორწმუნე ყოფილიყო, ვაჟიშვილს — ღვთის-  
მორწმუნე ვაჟს, — შეაჩვენებდა, მაგრამ ევა კერპთაყვანისმცემელი იყო და  
შეჩაენება არ შეეძლო, ღარიბი იყო, მას არა სწამდა რა არც შეჩვენებისა, არც  
ლოცვა-კურთხევასა, სწამდა მხოლოდ გერმანელი ხალხის ერთიანობისა და  
ამის შემბლაღავი მხოლოდ სიკვდილს იმსახურებდა. მაგრამ შვილის მოკვლა  
ხომ არ შეუძლია, ეს უფლება აღარ გააჩნია. შეეძლო მხოლოდ მისი გული-  
დან ამოგდება, გულიდან ამოგდებას კი დრო სჭირდებოდა და ის იყო თით-



ქოს დაივიწყა კიდევ ვაჟიშვილი, რომ იუდეიანი გამოჩნდა და მისმა გამოჩენამ ყველაფერი დაიწყებულ იხევ თავიდან ამოატივტავა, გაანსუნა ყველაფერი, რაც დაღუპული იყო, დაკარგული, უარყოფილი, ამიტომ არ სურდა ევას იუდეიანის ნახვა. ამიტომ დარჩა იგი სასტუმროში და დაელოდა, მათ-რახს მიიტყამენო.

პფაფრატები ავტომანქანაში ისხდნენ. — საჭეს დიტრიხი უჯდა, — იუდეიანთან მიემართებოდნენ და ფიქრობდნენ: არ შეიძლება პირდაპირ ვუთხრათ, საჭიროა მოიარებით გავაგებინოთ, რომ მისი ცოლი გონზე აღარ არის; იმ ამბების შემდეგ, რაც მან გადაიტანა, გასაოცარიც აღარ არის გონი რომ დაეკარგა, მაგრამ ჩვენ ვეველაფერი ვიღონეთ, რაც კი ჩვენს ხელთ იყო და ველარაფერს ვუსაყვედურებთ თავს, ვერც ვერავინ გვისაყვედურებს რამეს, ევას მხარში ვუდევით, ეხმარებოდით, ეს თვით იუდეიანმაც უნდა აღიაროს. აქ ჩამოვიყვანეთ, ახლა კი ქმარმა იცის, რასაც იზამს. დიტრიხს ეს აზრები უტრიალებდა თავში: ბიძახები გაცილებით მდიდრულ სასტუმროში ცხოვრობს, ვიდრე ჩვენ, ეტყობა, ფული ბლომად აქვს. ორდენსბურგში მე მშურდა ადოლფისა, რადგან მამამისი უფრო დიდი კაცი იყო, ვიდრე მამაჩემი. მინდა ვიცოდე, ამჟამადაც თუ ასეა, კიდევ თუ დიდია მამაჩემზე, როგორ დაუძვრა მტერს, როგორ დააღწია თავი; ნეტავ თუ ისევ ისეთია, როგორიც იყო, ისევ თუ იგდებს ხელთ ძალაუფლებას, კვლავ თუ იბრძოლებს, შეიძლება თუ არა მის მხარეზე გადასვლა, თუ ეს ჭერჯერობით სარისკოა?

ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატმა ეს თქვა:

— ვინ იცის, იქნებ ჭერ ძალზე ადრეა მის დაბრუნებაზე ფიქრი, იქნებ ჯობდა ერთ-ორ წელიწადს კიდევ დაეცადა, სანამ მდგომარეობა უფრო ნათელი გახდებოდა. სუვერენიტეტს, რასაკვირველია, მოგვცემენ, ახალი არმიაც გვეყოლება, არ შეიძლება, არ ვაღიაროთ, რომ ბონის მთავრობამ გვარიანად იმუშავა, მაგრამ ჭერჯერობით ლავირება მაინც გვჭირდება. მაშინ კი, როცა არმია შეიქმნება, ალბათ, დადგება იმის დრო, რომ ჭეშმარიტად ეროვნულმა ძალებმა ძალაუფლება ხელში აიღონ და მოლაღატეებს გაუსწორდნენ.

— გაუსწორდებიან, — ჩაურთო დიტრიხმა, სახეზე გაბოროტებამ გადაუარა და საჭეს გაშმაგებით ჩააფრინდა. კინალამ გასრისა ვილაც ბატონი, რომელსაც ქოლგა დიპლომატივით გაეშალა, პორტა პინჩანაზე გადადიოდა და ისე ამკარად ერწმუნა გონიერების გამარჯვება, რომ ლამის მანქანის ქვეშ შევარდა.

იუდეიანი მათ დილის ხალათში შეხვდა, სახე ფრანგული სპირტით დაეზილა და შევერცხლილ წვერზე სურნელოვანი წყალი ებკურებინა. გამარჯვებით გალაღებულ ძველ მოკრივეს ჰგავდა, რომელიც კარგი გასამრჯელოს გამო კვლავ რინგზე ადიოდა. მისი ლუქის ფუფუნებამ პფაფრატები შეაცბუნა. დარბი ნათესავის როლში იგრძნეს თავი და ისე იდგნენ, თითქოს რადიკის სათხოვნელად მოსულიყვნენ; ასე იდგნენ მის წინაშე ყოველთვის. იუდეიანმა ეს შენიშნა და მედიდურობით აღივსო, ყველაფერი გაანგარიშებული იყო: მათ დაინახეს აბრეშუმით აკრული კედლები, ფეხქვეშ სქელი ხალიჩა იგრძნეს, მისმა ჩემოდნებმა მოაჯადოვეს, ხოლო ლოგინზე — თითქოს მთელი ამ სიმდიდრის გვირგვინი და დამოუკიდებლობისა და ბატონობის მაუწყებელი-აო — დაინახეს დიდი ქეციანი კატა.

— ეს ბენიტოა, — წარუდგინა კატა იუდეიანმა, რომელსაც მათი გაო-

ცემა და იდუმალი შიში გულში უხაროდა. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატს ტანში ზარავდა ამ ქეციანი კატის შეხედვა, მაგრამ არ ამჩნევდა; ასე ეგონა სიზმრად ნახული ლუტცოვის თავზეხელაღებული საღირობის შავრა ცხენი ამ ქეციან კატად გადაიქცაო. იუდეიანს ევაზე არაფერი უკითხავს. პფაფრატის ისე ხედავდა, თითქოს ხელისგულზე ელაგნენ. თვალის მოჭყუტა, ისინი ღორის ცბიერ, ბოროტ თვალებს დაემსგავსა, თავიც ტახვიით დადრიკა, დაე მოწინააღმდეგე რინგზე ძველ მოკრივეს მოერიდოს. ახლა ევა იქცა პფაფრატებისათვის ღარიბ ნათესავად, თვით პფაფრატები კი მისი კეთილისმსურველები არიან. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. იუდეიანმა გადაწყვიტა, ევაზე ეზრუნა. ის იშოვის ფულს, ჯობს ევამ თავისთვის სახლი იყიდოს, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს. როგორც კი პფაფრატებმა ევაზე ლაპარაკი წამოიწყეს, იუდეიანმა ხელის გაჭნევით შეაწყვეტინა — ყველაფერზე მე ვიზრუნებო, განაცხადა ზვიადი, დიქტატორული ჟესტით. თვით ევას ნახვის სურვილი მას არ გამოუთქვამს. კარგად ესმოდა მისი მდგომარეობა, გაიგო, რატომ არ მოვიდა ევა მის სანახავად და მოუწონა კიდევ საქციელი. მათ არ შეუძლიათ ურთიერთის ნახვა, ერთმანეთის თვალეში შეხედვა, არ შეუძლიათ ერთმანეთი პფაფრატების თანდასწრებით იხილონ, ამ ფილისტერების თანდასწრებით, რომლებსაც ვერაფერი გაუგიათ, ვერაფერს მიმხვდარან; იქნებ იუდეიანს ევა ჩუმად ენახა, როგორც იდუმალი მწუხარე სატრფო, რომლის ნახვაც ასე აშინებს.

მაგრამ აი მოკრივემ შეცდომა დაუშვა, საფარი აიხადა — ადოლფი იკითხა და დიტრიხმა მაშინვე მიუგო, ადოლფი მღვდლად ეკურთხაო. დარტყმა პირდაპირ საძილე არტერიაზე მოხვდა, იუდეიანი შეტორტმანდა, სახე დაეღმიჭა, ჯერ ფერი წაუვიდა, შემდეგ მთლად გაწითლდა, შუბლი და ლოყები ნაღვერდალივით გაუზდა, ძარღვები დაებერა, თითქოს სადაცაა დამბლა დაეცემაო, ყელზე ისე წაივლო ხელი, თითქოს იბრჩობაო, მერე კი ბაგეთავან ამოხეთქა სალანძღავი სიტყვების ნიაღვარმა, უსასრულო სიბილწემ, რამაც პფაფრატებს ზედ გადაუარა და ქვეშ მოიყოლა. იუდეიანი აღრიალდა, თქვენ, პფაფრატები მლიქვნელები, შემგუებლები, საშოვარზე თვალედაჭყეტილები ხართ, ახლა ცახცახებთ და განძრევასაც ვერ ბედავთ, როგორც შინაური ღორი გარეული ტახის წინაშე, მაგრამ თქვენ ხართ დამნაშავენი, პასუხს თქვენ აგებთ ლალატისათვის, დამარცხებისათვის, ფიცის გატეხვისათვის, დეზერტირობისა და კაპიტულაციისათვის, მტრის წინაშე ლაქიობისათვის, შარვლები ჩასვრილები გაქვთ, ნატერფალის მლოკველები, კოლაბორაციონისტები, ქეციანი ძაღლები ხართ, უკანალის მლოკველები, და ახლა ჯოჯობეთის კართან შიშით ზღუქუნებთ და მღვდლების წინაშე კუდს იქნევთ, რომში ალბათ იმიტომ ჩამოხვედით, პას ფეხები დაუკოცნოთ, რომ ცოდვები შეგინდოთ, მაგრამ ისტორია გაგასამართლებთ, გერმანია შეგაჩვენებთ, სამშობლო მოგკვეთავთ, დალუპვის ღირსი ხართ, ეს ფიურერმაც გაიგო; ფიურერი ლაჩარ ხალხს გამოეცხადა, დამპალ მოდგმას, და მისი ტრაგედიაც ეს იყო. პფაფრატები იდგნენ და უსმენდნენ, ოპერბურგომისტრი უსმენდა, ფრაუ ანა, დიტრიხი იჭერდნენ მის ყოველ სიტყვას, ხმაჩაწყვეტილები ცახცახებდნენ, მაგრამ ყოველ სიტყვას ყურადღებით იჭერდნენ ისევე, როგორც ძველად იცოდნენ — დიდი იუდეიანი ლაპარაკობდა, დიდი ბატონი ბობოჭოობდა, თვითონ კი ემორ-

ჩილებოდნენ, რალაც სიამოვნებასაც კი განიცდიდნენ, რალაც საამო ტკივილს  
 უვლიდათ გულმუცელში. ისინი მას თაყვანსაც სცემდნენ.

იუდეიანი დადუმდა. ჭანცი გასწყვეტოდა. წინათ ასეთი /აფეთქება არ  
 ჰქანცავდა, პირიქით, უფრო ამაგრებდა. ჯაგარივით ეტყობოდა, რომ  
 ნეთზე მიეწება, ხალათქვეშ აბრეშუმის პიჯამაც ხედავდა: სა  
 ჯერაც ისევ ინდაურის ბიბილოსავით ჰქონდა გაწითლებული. მაგრამ მისი  
 წაქცევა ადვილი არ იყო, მაგრად იდგა, ნალე ისევ თავს დაეუფლა, ხელები  
 ბარძაყებზე დაირტყა და გაიცინა — თი რა კარგი ოინი მომივიდა, რა დიდე  
 ბული ოინი, კიდევ მეტი მღვდელი უნდა გამესტუმრებინა ზეცისკენ, რაც  
 ეკლესიას მეც ერთი შევეძინეო. იუდეიანმა ოთახში გაიარ-გამოიარა, კონიაკი  
 დაისხა და უცებ გადაჰკრა, მათაც შესთავაზა, მაგრამ მხოლოდ ფრიდრიხ  
 პფაფრატმა დალია ერთი ჭიქა, დიტრიხმა ბოდიში მოიხადა, მანქანის საჭეს  
 ვუზივარო, ასეთმა თავშეკაფებამ იუდეიანის დამცინავი ღიმილი გამოიწვია.

— ეს რა შვილები გვყავს! — შესძახა მან, როგორც ეტყობოდა, რალაც  
 გაახსენდა, რალაც თავშესაქცევი, საწოლთან მივიდა და ბენიტოს ბრჭყალებს  
 იტალიური გაზეთი წაგლიჯა, რომელიც საუზმესთან ერთად შეჰქონდათ მას-  
 თან. იუდეიანი გაზეთის ფურცელს შეუდგა, თუმცა გაგება არ შეეძლო შიგ  
 რა ეწერა, სურათებს ათვალეობდა და ჰქვეშ წარწერებს კითხულობდა, ასე  
 აღმოაჩინა თავისი ქვისლის შვილი ზიგფრიდი, რომელიც ძლიერ ახსოვდა  
 მაგრამ ალბათ მისი ქვისლის შვილი იყო, ზიგფრიდ პფაფრატი, ამიტომ გა-  
 ზეთი ფრიდრიხ ვილჰელმს გაუწოდა, გაუწოდა აღშფოთებითა და გამჭირდავად  
 რაკი სურათის წარწერის აზრი ვერ გაიგო, იფიქრა, ქვისლის შვილი მევიოლინე  
 გამხდარაო, რაც, რასაკვირველია, არც ისე საძრახისი იყო, როგორც მღვდლო-  
 ბა, მაგრამ მაინც საკმაოდ საძრახისი. ეს იყო დაცემა, ეს ოჯახურ ტრადი-  
 ციების წარმოშობასა და სამხედრო სკოლაში მიღებულ აღზრდას ეწინააღმდე-  
 გებოდა. ამგვარად, იუდეიანმა, ცოტათი მაინც იყარა ჯავრი. პფაფრატმა გა-  
 ზეთი გამოართვა და ასეთი მოულოდნელი შემოტევით დაბნეულმა მიუგო.  
 ზიგფრიდი მევიოლინე კი არა, კომპოზიტორიაო, და მაშინვე თავის თავზე გაბ-  
 რაზდა, ეს რაღა ვთქვიო, იუდეიანისათვის სულ ერთი იყო, ზიგფრიდი ყავა-  
 ხანაში აწრიპინებდა ვიოლინოს თუ კონცერტებს წერდა, კაცის საქმე არც  
 ერთი იყო, ორივე უღირსად ითვლებოდა.

პფაფრატს ესმოდა იუდეიანისა, მაგრამ ვაჟის პორტრეტის რომის გა-  
 ზეთში ნახვამ მის გულში სხვა გრძნობა აღძრა, შეიძლება თავისი წიგნების  
 კარადა გაახსენდა, სადაც გოეთეს ტომები და ვაგნერის ბიოგრაფია ელაგა,  
 ზიგფრიდის გამო სიამაყე იგრძნო, ამაყობდა, რომ მამა იყო მისი და გაზეთი  
 ანას გაუწოდა. ანა იმ კრუხივით აკრიაზდა, რომელიც ხედავს, როგორ გადახ-  
 ტა თავისი გამოჩეკილი ჭუჭული ტბორში, წყალში გაცურდა და გაუყვა თა-  
 ვის სამყაროს. დიტრიხიც დედის ხელისკენ დაიხარა, ძმის სურათს დახედა და  
 ჩაიდუღუნა:

— ერთი ამას უყურე, — რაც, ალბათ ერთდროულად გაოცებასაც გამო-  
 ხატავდა, აღტაცებასაც და აღშფოთებასაც. ასე დარჩა იუდეიანი თავისი  
 ღვთისმოსავი შთამომავლით შერცხვენილი, ხოლო პფაფრატებმა საპატიოდაც  
 კი მიიჩნიეს, რომ მათი ვაჟი ვიოლინის აწრიპინებდა თუ მუსიკას თხზავდა,  
 თუმცა ზიგფრიდის არც შეხედულებები იყო მათთვის ცნობილი და არც მისი

ცოდნები: ვინ იცის, იქნებ ბილწ ცხოვრებას ეწეოდა უგვან ხალხთან ან გზრო-  
ელებთან, იქნებ ამ პუბლიკაციისათვისაც ქრთამი დასჭირდა.

დილის ხალათში გახვეული იუდეიანი ოთახში ისე გაცხარებული მიმო-  
დიოდა, როგორც რინგზე მსაჯების უსამართლობით აღელვებულმა მოქრევემ  
იცის. გაგულისებულმა უარი თქვა მათთან ერთად კასინოში გამგზავრებაზე.  
რაში მჭირდება ყოფილი ბრძოლის ადგილები, სადაც ახლა სიმშვიდეს და უძ-  
რაობას დაუსადგურებია, სადაც მიწას სისხლი უკვე შეუწოვია, სადაც დახო-  
ცილები დაუსაფლავებიათ და კვლავ ყვავილები იზრდება, სადაც ვირები ბა-  
ლახობენ და მათ შორის სასაცილოდ დალოლავენ ტურისტებიო, — გულღვარ-  
ძლიანად მიუგო იუდეიანმა. ან კასინოსთან ბრძოლა ბერლინის ბრძოლასთან  
რა მოსატანია! ბერლინში ისეთი ბრძოლა მოხდა, რომელიც არც ახლა დამ-  
თავრებულა და არც მომავალში დასრულდება, რომელიც მუდამ გაგრძელდე-  
ბა, გაგრძელდება უხილავად, — სურდა დაემატებინა: ჰაერში გაგრძელდე-  
ბაო, მაგრამ იუდეიანს დააეიწყდა ლეგენდა კატალაუნის ბრძოლის შესახებ,  
რომელსაც პატარა გოტლიბს სკოლაში ასწავლიდნენ, ის კი ახსოვდა, რომ  
ვილაყები ჰაერში იბრძოდნენ, მაგრამ არ უფიქრია, თითქოს სულელები იბრძოდ-  
ნენ, — სულელები არ არიან, — არც მიცვალებულებზე უფიქრია, — ისინი თუმ-  
ცა არიან, მაგრამ აღარ იბრძვიან, მკვდრები არიან; ეს ალბათ მფრინავები იყ-  
ვნენ და ბუნებრივია, ისინი ჰაერში იბრძოლებდნენ, ალბათ კვლავაც იბრძო-  
ლებენ ჰაერში, იბრძოლებენ ახალი იარაღით — ატომის ძალით, რადგან ბერ-  
ლინი ვერ დაიკვებს.

— გჯერა, რომ ახალი ომი იქნება? — ჰკითხა პფაფრატმა იუდეიანს და  
იუდეიანმა მიუგო — ომისა ყოველთვის მჯერა, მაშ სხვა რისა უნდა მჯერო-  
დესო. პფაფრატსაც სჯეროდა ახალი ომისა, ის უნდა დაიწყოს, ამას ითხოვს  
სამართლიანობა. მაგრამ პფაფრატს მიაჩნია, საამისოდ დრო ჯერ არ მომწი-  
ფებულაო. მისი აზრით ომს ჯერ არ შეეძლო გერმანიისათვის სარგებლობა  
მოეტანა, მისი გამოანგარიშებით წარმატების შანსები ჯერ კიდევ არასაიმედო  
გახლდათ, მაგრამ ეს იუდეიანისათვის არ გაუმელავნებია, რადგან შიშობდა, ვა-  
ითუ ქვისლმა ლაჩრად ჩამთვალოსო.

— მაშინ დაბრუნდები? — ჩაჰკითხა იუდეიანს და მანაც არ დააყოვნა:  
— მე მუდამ ომში ვარ და მუდამ გერმანიისათვის ვიბრძვიო.

შემდგომ ამისა იუდეიანმა თავი იმდენად დაიმცირა, რომ პფაფრატების  
წინაშე წარმოდგენა გაითამაშა: ტელეფონით დარეკა წარმომადგენლობაში  
იმ ქვეყნისა, რომელიც ძას ფულს უხდიდა, და ფრანგულ, ინგლისურ, არა-  
ბულ ენებზე შედგენილი ფრაზების ნარევიტ როგორც იქნა გააგებინა, საელ-  
ჩოს ავტომანქანა გამომიგზავნეთო, თან თავი ისე ეჭირა, თითქოს დიქტატორი  
მბრძანებლობდა და ომისა და მშვიდობის საქმეს თვითონ წყვეტდა — ჯერ-  
ჯერობით ახლო აღმოსავლეთში. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი და მისი ცოლი  
ანა ვერ ამჩნევდნენ პატარა გოტლიბის თაღლითობას და კვლავ გაოცებულ-  
ნი იყვნენ თავიანთი ნათესავის სიდიადით, დიტრიხ პფაფრატმა კი პირი მო-  
კუმა, თუმცა ვერც მან გაიგო ენების ნარევის აზრი, მაგრამ როგორღაც ერთ-  
ბაშად იგრძნო, რომ ბიძამისის დრო სამუდამოდ ჩაბარებოდა ისტორიას და  
რომ იუდეიანი ამჟამად იმ ავანტიურისტად ქცეულიყო, რომელსაც ფებქვეშ  
არც მტკიცე საყრდენი აქვს და ფულიც საეჭვო წყაროებიდან მოსდის.  
„ფრთხილად იყავი“, აფრთხილებდა დიტრიხს შინაგანი ხმა, „შეიძლება იუდე-

იანმა შენს კარიერას ავნოს“. ამის მიუხედავად ღიტრიხი სიამოვნებით გაპყვებოდა იუდეიანს, თუკი ბიძამისი დროშას გაშლიდა და ეროვნული გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, გაპყვებოდა, თუკი პერსპექტიულმა მანქანის თანამდებობა გამოჩნდებოდა მისთვის. ჯერჯერობით ფედერაციულ გერმანიაში სარფიანი თანამდებობები მოიძევება და ღიტრიხიც გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ რომელიმეს მოიპოვებს. თუკი ღიტრიხი უმუშევარი დარჩება, თუ დროს სატარებლად ავტომანქანა არ ექნება, თუ ინტელექტუალურ პროლეტარად იქცევა და ეკონომიკური კრიზისი დაიწყება, მაშინ ღიტრიხი ყოველნაირ ყალბ დროშას გაპყვება, ერთსაც არ დაფიქრდება, ისე გაპყვება რომელიც გნებავთ უგუნური ომის გზას.

რეპეტიციაზე ზიგფრიდი გვიან მივიდა, განგებ დაავიანა. ეშინოდა საკუთარი მუსიკისა, ეშინოდა კიურენბერგისა; ჯერ ფეხით გაემართა, შემდეგ სულ სხვა მხარეს მიმავალ ავტობუსზე დაჯდა, მერე კი ისევ ფეხით გაუყვა გზას, ჩაფიქრებული ვიღაც ბიჭს მისდევდა, ხოლო როცა საკონცერტო დარბაზს მიუახლოვდა, ფეხები დაუძიმდა, თითქოს ფეხსაცმელებიც ტყვიისა ეცვა; ახლა კი საგონებელში ჩაეარდნილი იდგა საგარდერობოს წინ ფოიეში, სევდის მომგვრელ კავებზე რამდენიმე საწვიმარი ქანაობდა ჩამომხჩვალივით. რამდენიმე ქოლგა მთვრალივით მიყრდნობოდა კედელს, დამლაგებელი ლორის ბუტერბროტს მიირთმევდა, სითბოსგან გამდნარ ლორს გულისამრევად ჩამოსდიოდა ქონის წვეთები, გულის ამრევი იყო ქალის ძუძუები უბიუსტპალტეროდ ჩაყრილი ფართოდ ჩახსნილ გაოფლილ კოფთაში და ზიგფრიდს თვალწინ დაუდგა ამ ქალის წიაღი, მისი შვილები და გული აერია მისი თბილი და ნოტიო წიაღის, მისი თბილი და ნოტიო შვილების, თბილი და ნოტიო ცხოვრების წარმოდგენაზე, ავბედიტად და გულის ამრევად წარმოუდგა სიცოცხლისაკენ ხარბი სწრაფვა, რაიც ესოდენ დაუნანებლად გვაქვს მოსჯილი, შთამომავლობის გაგრძელების განუსჯელი წყურვილი, რომელიც ყველაზე ღარიბებს უფრო იტაცებს, ეს მარადიულობის მოჩვენებითობა, რასაც მარადიული არაფერი აქვს, ეს გაჭირვებით, შიშითა და ომებით სავსე პანდორას ყუთი. უცბად შემოესმა ტრომბონების ხმა, თავისი ტრომბონებისა, ისინი მას ემუქრებოდნენ; შემოესმა არფების ხმა, თავისი არფებისა, და მოეჩვენა, რომ ისინი ცახცახებდნენ; შემოესმა ვიოლინოების ხმა, თავისი ვიოლინოებისა, და მოეჩვენა, თითქოს ისინი გაპკიოდნენ, საკუთარი მუსიკა მისთვის უცხო იყო, უცხო, უცხო. ამას გარდა, იგი შიშის აღმძვრელიც იყო. ზიგფრიდი ტალანში ბოლთის ცემას მოპყვა. სარკეები მის სხეულს ირეკლავდნენ და ზიგფრიდს თავისი თავი მახინჯად მოეჩვენა, „ჩამდეილ მოჩვენებას ვგავარ, სულს ვგავარ, — გაიფიქრა მან, — მაგრამ არა მუსიკის სულს“. იმასაც არ ცდილა, ჩუმად ევლო. ტალანში დაგებულ ლიხოლუუმზე ფეხებს ისე დააბაკუნებდა, გეგონება, რეპეტიციას სურს ხელი შეუშალოსო, გეგონება, დარბაზში უნდა შევარდეს და ოყვიროსო: „შეწყვიტეთ დაკვრა! შეწყვიტეთ!“

ამ დროს მასთან იღზე კიურენბერგი მივიდა. დიდილოსფერი კოსტიუმი ეცვა და ისევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მკვრივი აღნაგობისა გახლდათ, გასუქების ნიშანწყალი არ ეტყობოდა და ზიგფრიდის არსებაში სიმპათიას იმით აღძრავდა, რომ შვილები არ ჰყავდა. ვაჟი ფიქრობდა: მას ბავშვი არ გაუჩენია, არ გაუჩენია იმაზე მეტი, რაც რომის ბალებში დადგმულ ქან-

დაკვებებს გაუჩენიათ და ვინ იცის, იქნებ მუსიკის ქალღმერთიცაა, ალბათ ბრ-  
ლიპიმნია, გაბრძნილი და ქალწულებრივი. მაგრამ არა, ზიგფრიდი შეცდა.  
ილზე კიურენბერგი დღეს ფხიანობის უსახელო ქალღმერთი უფრო იყო, ვიდრე  
გან თან მოჰყვა ვიღაც ბატონი, ხაფანგით შეპყრობილი და მელანქოლიკური  
ფრინველის მსგავსი. ქალმა იგი ზიგფრიდს წარუდგინა, როგორც ერთ-ერთი  
დიდი რადიოკომპანიის მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელი, შესაძ-  
ლოა ილზემ ზიგფრიდი წარუდგინა იმ ფრინველს, ვისაც ესოდენ მნიშვნე-  
ლოვანი თანამდებობა ეჭირა. ილზე კიურენბერგი და ეს ფრინველი ფრანგუ-  
ლად ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ თავისუფლად, სწრაფად, საამოდ, ალ-  
ბათ ფრინველი ფრანგი იყო, ილზეს კი ეს ენა ისწავლა, ალბათ მოხუც აუფ-  
პოიზერს ქალიშვილისთვის ფრანგი აღმზრდელი ქალი ჰყავდა დაქირავებუ-  
ლი, შეიძლება ილზე კიურენბერგმა ფრანგული ემიგრაციაში ისწავლა, იქნებ  
ერთიც იყო და მეორეც, მაგრამ ზიგფრიდმა თავის გაუნათლებლობის გამო  
კვლავ სირცხვილი აგრძნო, ორდენსბურგში ასეთ რამეზე არ ზრუნავდნენ,  
მამამისს არ უზრუნია იმისათვის, რომ შეიღწეოს ფრანგული ესწავლა, ფრიდრიხ  
ვილჰელმ პფაფრატს საფრანგეთი არაფრად მიაჩნდა, არც ფრანგული ენის  
კეთილხმოვანებას აგდებდა რამედ, შესაძლოა, ცოტათი ფრანგ ქალებს  
აფასებდა, მათაც მხოლოდ როგორც სამხედრო ნადავლს, ახლა კი ზიგფრიდს  
ენა ებმოდა, სიტყვებს ეძებდა და არ ესმოდა, რა სურდა მისგან ამ ფრინველს,  
რადაც კი აუცილებლად სურდა, რადგან ილზე კიურენბერგმა მას თავი დაუქ-  
ნია, ზიგფრიდს თანხმობა გამოსთხოვა და ზიგფრიდიც დათანხმდა, თუმც არ  
იცოდა, რაზე. ერჩია მათ გასცლოდა, ერჩია ეს მუსიკის ქალღმერთიცა და  
რომელიღაც მუსიკალური განყოფილების გამგეც იქვე მიეტოვებინა — დაე  
ერთმანეთი დატანონ, თუ უნდათ ერთად იძინონ კიდევ. მაგრამ ამ დროს ზიგ-  
ფრიდმა თავისი სიმფონიის დასკვნით აკორდს მოკრა ყური, მან გაახშიანა, რო-  
გორც მთელი იმედების დაღუპვამ. როგორც იმ ტალღამ, ფსკერისკენ წასულ  
გემს რომ თავზე გადაუვლის, ხოლო ზედაპირზე რამდენიმე ფიცარი დარჩება  
და წყლის ხანმოკლე ჩქაფუნი გახშიანდება.

ტალღანში კიურენბერგი გამოვიდა. გაოფლილიყო და შუბლს იწმენდდა.  
საოცარი იყო, ოფლს დიდი წითელი ცხვირსახოციც იწმენდდა, ღირიყორს კი  
არ ჰგავდა, არამედ გლეხკაცს, დამაშვრალი რომ ბრუნდება მინდვრიდან. რამ-  
დენიმე კაცი მიაცილებდა, ბლოკნოტებით აღჭურვილი ჟურნალისტები, კრი-  
ტიკოსები, ფოტოგრაფი, რომელმაც იგი და მთელი ჯგუფი მაგნიუმის შუქში  
გახვია. კიურენბერგმა შეამჩნია, რომ ზიგფრიდი ხასიათწამხდარი იყო, ხელი  
ჩამოართვა და შეუძახა:

— მხნედ იყავ, მხნედ, მხნედ!

„მხნედ ვიყო? — ფიქრობდა ზიგფრიდი, — მე სიმხნევე არ დამიკარგავს,  
მაგრამ სიმხნევე არაღ მჭირდება. უფრო რწმენა მინდა. თუმცა რწმენაც მაქვს,  
მაგრამ რწმენა იმისა, რომ ყოველივე უაზრობაა, შეიძლება ყველაფერი არც  
არის უაზრობა, მაგრამ ის კი, რომ მე აქ ვარ, უაზრობაა, უაზრობაა ისიც, ამ  
ხალხთან რომ ელაპარაკობ, ისიც, აქ რომ სურათს ვიღებთ, ეს მაგნიუმის შუქიც  
უაზრობაა. ჩემი მუსიკაც უაზრობაა, შეიძლება ჩემი მუსიკა არ ყოფილიყო  
უაზრობა, ცოტაოდენი რწმენა რომ მქონოდა. მაგრამ რის რწმენა უნდა მქო-  
ნოდა? საკუთარი თავისა? რასაკვირველია, გონივრული იქნებოდა, საკუთარი  
თავის რწმენა რომ მქონოდა, მაგრამ არ შემიძლია, თუმცა ხანდახან ვცდილობ

ხოლმე, მერე კი ამისიც მერცხვინება, ისე კი აუცილებლად საჭიროა, გჯეროდეს საკუთარი თავისა, მაგრამ ეს ისე უნდა მოახერხო, არ გერცხვინებოდეს. კიურენბერგს თუ აქვს თავის თავის რწმენა; არ ვიცი, მგონი, თავისი საქმისა კი სჯერა და ამის უფლება აქვს, მაგრამ თუ მისი შრომა მხოლოდ ჩემს მუსიკას ეძღვნება, რისაც მე თვითონ არ მჯერა, შეიძლება მას სჯეროდეს თავისი საქმის? ძალზე საამოა მინდვრიდან შინ მობრუნებულ გლებკაცს რომ ჰგავდა. მაგრამ ვის მინდორზე იშრომა? ვის სახნავში? ანდა მოსავალს ვინ მოიმიკის?

კიურენბერგმა იქ მყოფებს ზიგფრიდი არ წარუდგინა, კრიტიკოსები წაესიენ. სხვადასხვა ენაზე დაუწყეს ლაპარაკი. ზიგფრიდს არ ესმოდა მათი. არ ესმოდა მათი ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე. თითქოს მათთან იყო და არც იყო მათთან. ის უკვე მათგან შორს იმყოფებოდა.

ადოლფი წმინდა პეტრეს ტაძრისკენ მიემართება, უკვე ახლოსაც მისულა, ყურადღებით შესცქერის მის გუმბათს, რომელიც აქედან პატარა მოჩანს და მნახველს გულს უტეხს; აღტაცებული უმზერს პომპეზურ ფასადებს, მკვიდრო სვეტების წყებას, თეატრალურ კულისებს რომ წააგავს, დიდებული ტაძრისაკენ მიმავალი ქუჩის — ვია დელა კონჩილიაციონეს უსასრულო პილონებს: ქუჩის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებული სახლები წააგვანან მდიდარი სადაზღვევო საზოგადოებების ბრწყინვალე სასახლეებს, მსხვილი სააქციო საზოგადოებებისა ან აყვავების ხანაში მყოფ ტრესტების კანტორებს; მათი ამოდ ნაგები გრილი ფასადები, რომლებსაც გაჩახჩახებულ მზეში დღის ამ დროს ერთი გოჯი ჩრდილი არა აქვთ და ისე მოსაწყენად გამოიყურებიან, თითქოს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშებიან, მნახველს ბინის ძვირჭირას და იმასაც ახსენებს, რომ ჩვენმა მხსნელმა იესო ქრისტემ მოვაჭრენი ტაძრიდან განდევნა; ამ სახელგანთქმული, დიადი და უაღრესად წმინდა, — ან კი სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა, — და თანაც ძალზე საერო სანახაობის მზერით გატაცებული ადოლფი, მხალველი ამ საკრალური, ძველთაგანვე პატივდებული სცენისა, რომელზეც პილიგრიმები თრთოლვითა და მოწიწებით ადგამენ ფეხს და რომელსაც ყოველი მოგზაური აუცილებლად გულმოდგინედ ეცნობა, — ყოველივე ამის მხალველი ადოლფი ძლიერ შიშს მოეცვა. ღირსია თუ არა იგი ფეხი შედგას ამ სალოცავში, გაუძლებს თუ არა გამოცდას, განუმტკიცებს თუ არა ეს რწმენას? ავტობუსმა ის და სხვა მნახველები აქ გადმოყარა ისე, როგორც საბალახოზე კალათიდან შინაურ ფრინველს ჰყრიან. აი მათ უკვე თავი მოიყარეს და ეშვადებიან აკენკონ ხედები და დაუვიწყარი წთაბეჭდილებები, თაყვანისცემის აღმძვრელი არც ერთი მარცვალი არ უნდა გამორჩეთ, უკვე აჩხაკუნდნენ კიდევ მათი ფოტოაპარატები, აშრიალდა შესახვევი ქალაღი, გახსნეს თან მოტანილი ბუტერბროტები შიმშილის მოსაკლავად, რომელიც ბელეკერმა<sup>1</sup> აღუძრათ, სხვები სუვენირებისა და ღია ბარათების ფარდულებში შეცვივდნენ მკვირცხლად, — ესეც შემოსავლის ერთი წყაროა, და სამშობლოს გალიიდან გამოფრენილებმა, ყოველდღიურობის სიბინძურიდან თავდაღწეულებმა წმინდა პეტრეს ტაძრიდან ისე აფრინეს შინ საღამო, რომ შიგ ჯერ არც კი შესულიყვნენ. ყოველივე ამის გამო ადოლფს ნალველი მოეძალა, ხალხის ნაკადში დაკარგული ნაფოტივით დაბორილებდა, ზოგი მუჯლუგუნს ჰკრავდა ამ უმნიშვნელო მღვდელს, სხვები, ვისაც კომპეტენტუ-

რად მიეჩნია, უაზროდ სთხოვდნენ უაზრო ვანმარტებებს. ამ ქუჩის პილო-  
ნების სულელური ანალოგიით გაახსენდა სხვა ქუჩა და მისი პილონები, მაგ-  
რამ ასეთი კი არაა, საქარხნო წესით დამზადებული იაფფასიანი ფანრებით დაგ-  
ვირგვინებული, არამედ ბუტაფორული სვეტები, რომელთაც თავზე <sup>საქარხნო</sup> ~~საქარხნო~~  
ენები ელამუნებოდა და კვამლი ასდიოდა, გაახსენდა მოგიზგიზე <sup>საქარხნო</sup> ~~საქარხნო~~  
რიალებულ ჩირაღდნებიანი ქუჩა, რომელზეც მან ავტომანქანით ამაყად გაია-  
რა, როგორც პრივილეგირებული ოჯახის შვილმა, როგორც თავისი მამის  
შვილმა, ნიურნბერგი გაახსენა მას ვია დელა კონჩილიაციონემ. მაგრამ სამწუ-  
ხაროდ ნაციისტთა ყრილობების, დემონსტრაციების ადგილი ნიურნბერგში  
ბიჭს მაშინ გაცილებით უფრო წარმტაცი ეჩვენებოდა, ვიდრე ეს გზა, მიმა-  
ვლი ტაძართა შორის პირველი ტაძრისაკენ, რომლისგანაც იგი დიდ მშვე-  
ნიერებას არ მოელოდა, არც სურდა, მაგრამ ტაძარი მშვენიერებაზე მაინც პრე-  
ტენზიას აცხადებდა, ეჯიბრებოდა ნიურნბერგის საყოველთაოდ უარყოფილ  
და შეძულებულ მშვენიერებას და მარცხდებოდა ამ შეჯიბრებაში, თუმცა  
ნიურნბერგის მშვენიერებამ პილონებზე გაჩაღებული კოცონების შემდეგ იქამ-  
დე მიგვიყვანა, რომ გადაბუგეს სახლები, ქალაქები და მთელი სახელმწიფოები.  
აქ, ამ ქუჩაზე, რასაკვირველია, ქობმახების მოლოდინი არ უნდა გქონოდა, —  
ასეთია სამყარო; გაშიშვლებულ სილატაკეს ამ მოედანზე ვერაეინ მოითმენდა, —  
ასეთია სამყარო; თუნუქის ჯამბუგაწვდილი მათხოვარი ბერები კი, რომლებიც  
ნამა ღმერთის სახელით ლუკმა პურს თხოულობდნენ, ალბათ უკვე ამოიხოც-  
ნენ. — ასეთია სამყარო. მაგრამ განა ეს ახალმშენებლობანი, ეს სახლები,  
რომლებიც მიწია გონივრულ გამოყენებასა და მარჯვე სპეკულაციას მოწმო-  
ბენ. განა ესენი არ გახლდათ ამ სამყაროს ტრიუმფის აშკარა დადასტურება და  
ნაგვიანვეი გამარჯვების ძეგლი სიმონ მისხისა, რომელიც ამ ქალაქში პეტრე  
მოციქულს შეებრძოლა?

ტაძრის წინ მოედანს ელიფასისა თუ ოვალის ფორმა აქვს და ადოლფმა  
გაიფიქრა, იქნებ აქ ნერონის ცირკი იყო, შეიძლება მოედნის შუაში ობელის-  
კის ირგვლივ ოთხცხენიანი ეტლები დაჰქროდნენ, რომლებსაც დღესაც სია-  
მოვნებით უჩვენებენ კინოფილმებში ვნებათაღელვის ასაგზნებად, შესაძლოა  
აქ ჯვარი იდგა, რომელზეც პეტრე მოციქული თავდაყირა ეკიდა, მან ხომ ტრა-  
გიკულად გაიმარჯვა ნერონსა და ნერონის ბარბითზე, მის ყველა მგალობელსა  
და ყველა იმპერატორზე, რომლებიც მის შემდგომ მართავდნენ სახელმწიფოს.  
კოლონადების თავანიდან, თითქოს ალელგებული მაყურებლები არიანო, მო-  
ედნის ოვალისაკენ ხელს იშვერენ ბერნიინის<sup>6</sup> წმინდანები, მაგრამ საქვეყნოდ  
დღეს უკვე აღარავის აკრავენ ჯვარზე, აღარ უსევვენ დამშეულ მხეცებს, გლა-  
დიატორი აღარ კლავს გლადიატორს, აღარავინ დააგელვებს ეტლს არენაზე,  
მხოლოდ კონკურენციის უღმობელ ბრძოლაში ჩაბმული ტურისტული ბიუ-  
როებია ავტობუსები ეჯიბრებიან ერთიმეორეს გასწრებაში, რომსა და ვატი-  
ცანს, წმინდა მამას და მოციქულის აკლდამას მცირე რამ საზღაურად გთავაზო-  
ბენ სულ მოკლე დროში, ზედაც სართად უმატებენ კაპრის ლურჯ მღვიმეს,  
ტიბერიუსის საახლეს, ბოტიჩელის „გაზაფხულს“ ფლორენციაში, გონდოლე-  
ბით გასეირნებას ვენეციაში და პიზას დახრილ კოშკს. ზოგნი აქ ფეხით მოსუ-  
ლან და მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად დადიან. ესენი არიან პანსიონატის გოგო-  
ნები, ცისფერ სასკოლო კოფთებში პატარა, განუვითარებელი მკერდი რომ  
უთრთით; პატარ-პატარა აღმებით აღჭურვილი, მოკლე შარვლებსა, ფართო,



ფარფლებიან შლაპებსა და კოვბოურ ყელსაბვევებში გამოწყობილ ბოისკაუ-ტები, მთელი ბიჭური ვნებიანობაც რომ თან მოუტანიათ: კონგრეგაციის ჩაშა-ვებული, მხცოვანი წვერები; ქორტილასა და ჭანარს შორეს უფლებადქარიელა-პიპა გაიღვებს, რომელიც თავის კარიერაზე ფიქრს გაუტყდის მსტორების გაერთიანება მოსულა თავისი მწყემსის მეთვალყურეობით, რომელსაც გადა-უწყვეტია ერთხელ მაინც მიეტოვებინა თავისი სოფლის საზღვრები; ინგლი-სელ ქალთა კავშირები; ამერიკელ ქალთა კლუბები, რომლებსაც სადილის შემდეგ ბრიჯის თამაში ყელში ამოსვლიათ, გერმანელი ტურისტები, რომლებ-საც ექსკურსიამძღოლი მიერეკება — ჩქარა, ჩქარა, ჯერ კიდევ ბევრი რამაა სანახავი, კასინოში კი სადილია შეკვეთილი; მაგრამ ბავშვები არ ჩქარობენ, ისი-ნი ყოვნდებიან შადრევნებთან და მოლოდინით აღსავსენი აჩქარებულპულსიან ხელებს ცივი წყლის ნაკადს უშვერენ, ხოლო დედებს ათრთოლებულ ხელებში თეთრი მაქმანებით მორთული ახალი ნაყოფი უჭირავთ და მათ მოსანათლად ეკლესიის კიბეებზე აჩქარებით აღიან.

„იბალახეთ, ჩემო ბატკნებო, იბალახეთ ჩემო ცხვრებო“, მაშასადამე ქრისტეს ისინი უგუნურებად, უსუსურებად და მოწყვლადად მიაჩნდა. იესოს სურდა უმწეონი დაეცვა, ხოლო მოციქული პეტრე ჯვარზე თავდაყირა გააკრეს ცირკში და ვატიკანად წოდებულ ბორცვის ფერდობზე დაასაფლავეს. ნუთუ აუ-ცილებლად უნდა ქცეულიყო კეფასი<sup>83</sup> იმ კლდედ, იმ შეურყეველ საძირკველად, რომელსაც „ჯოჯობეთის კარიბჭენიც ვერ დასძლევდნენ?“ მოციქული პეტრე ვატიკანის ბორცვზე დაასაფლავეს, მაგრამ მგელს უყვარს თავის გასაღება მე-ცხვარედ, ყაჩაღი სიამოვნებით ეხევეა მწყემსის ქურქში; მეფეები, ტირანები, დიქტატორები, პრეზიდენტები ამოგებენ თავიანთ ბატკნებს, თავიანთ ცხვრებს, პირადი სარგებლობის მიზნით ფლეტენ მთელ ფარებს და როცა გამოჩნდნენ გონიერების მქადაგებელნი და აუწყეს ხალხს: თქვენ არ ხართ ბატკნები, თავისუფლები ხართ, თქვენ არ ხართ ცხვრები, ხალხი ხართ, გაეცალეთ მაგ ფა-რას, მიატოვეთ ეგ მწყემსებიო, რა შიშში ჩააგდეს, რა უდაბნოში შერეკეს ფარა, რომელსაც საკუთარი ფარების სუნის გამო წუხილი იპყრობს და, ვინ იცის, იქნებ სასაკლაოს სისხლიანი ოხშივარიც მონატრებია.

ადოლფი ტაძარში შევიდა. აღზრდაც თან შეჰყვა. მისი აღზრდა დასრუ-ლებული არ იყო, უცებ შეწყვიტეს, ამასთანავე ასეთ აღზრდას ის უარყოფდა. ახლა ისევ მის გვერდითაა და თან დასდევს. სანამ მარტო იყო, სამ თავისსავე მსგავს დიაკონებს. სასულიერო სემინარიის განათლებულ მასწავლებლებს, თავის სულიერ მამას ესაუბრებოდა, წარსულისაგან, ორდენსბურგის რეჟიმისაგან თავისუფალი იყო, თავისუფალი იყო ნაციტური ლოზუნგებისაგან, მაგრამ როცა ბრბოში გარეული დადიოდა, როცა გარს ხალხი ერტყა, აბნეოდნენ და ამწარებდნენ, მაშინ კვლავ ახსენდებოდა ნაციონალ-სოციალისტ აღმზრდელ-თა მთელი ვერაგობა — მოძღვრება მასების გამოყენების, მათ მიმართ სიძულ-ვილისა და მათი მართვის უნარის თაობაზე; ნაცისტი ბონხებიც აბალახებდნენ თავიანთ ცხვარს, თანაც ძალზე მოხერხებულად — ბატკნები თვითონ მიის-წრაფოდნენ მათკენ თავგადაკლულნი. ადოლფს გულით სწადდა მიევიწყე-ბინა სამყაროს შუღლი, ისტორიის მძვინვარე თვითნებობა, მაგრამ მის მეხ-სიერებაში მუდამ რჩებოდა მთელი კასრი სისხლი, დახოცილთა თბილი, გუ-ლისამრევი სისხლი და მუდამ, როცა სამყარო და ისტორია მასთან სულ ახლოს

მიდიოდა, მის ფიქრებში იჭრებოდა, — ეჭვი მოიცავდა ხოლმე, მღვდლის ანაფორა რომ ჩავიციე, ნუთუ მართლა გავემიჯნე ყოველგვარ მკვლელთან. თუ ღვთისმოსაობის მიუხედავად ისეთ ორგანიზაციას ვეკუთვნი, რომელიც ძალაუზნებურად, მაგრამ გარდაუვალი გროტესკულობითა და ტრაგედიულობით მთელ ამ მკვლელთა ბანდასთან აღმოჩნდა დაკავშირებულიო. ნუთუ მისთვის ლოდ ხელის ჩაქნევაში, გაქცევაში და მარტოობაშია, ნუთუ განდევნილობაა ერთადერთი გზა მისი იმედების განხორციელებისა? მაგრამ მარტოსული კაცი ადოლფს მეტისმეტად უსუსურად მიაჩნდა იმის გამო, რომ თვით მას საყრდენი ესაჭიროებოდა, რადგან საკუთარი თავისა ეშინოდა; მას ესაჭიროებოდა საზოგადოება, მაგრამ მისი ღირებულება აეჭვებდა. ბრწყინვალე სვეტები, სვეტები, სვეტები, ბრამანტი<sup>64</sup>, რაფაელი, მიქელანჯელო — ვინ არ იგონებდა მათ აქ. მაგრამ მათი ქმნილების სვეტები ბრწყინვალე იყო და ცივი, იატაკის ორნამენტი განსაცვიფრებელი და ცივი; კედელთა მოხატულობა ბრწყინვალე და ცივი; აი კარლოს დიდი ცხენს მიაგელვებს, მხედარიც ცივია, ცხენიც. ადოლფმა ტაძრის შუაგულისაკენ წაიწია, აქ მოთავსებულია პორფირის პოსტამენტი, რომელზეც იმპერატორთა კურთხევა ხდებოდა, იგი კვარცის, მინდვრის შპატისა და ქარსის კრისტალებისაგან შედგება, ისიც ცივია, აქ იღებდნენ იმპერატორები მირონცხებას და ამ ნირონცხებას სააზატო სიგელად მიიჩნევდნენ, რომელიც თავისუფლად მოქმედების უფლებად მიაჩნდათ. და მიემართებოდნენ სალაშქროდ, რათა განევრცოთ საკუთარი ძალაუფლება. გაემარჯვათ საზარელ ბრძოლებში; ტაბტს ნაძარცვი ოქროთი ინარჩუნებდნენ და ცივი იყო მათი ტახტი, ხოლო ბრძოლების შემდეგ გაქვლილი ბალანი და ველზე მიმოფანტული აჩეხილი და უძრავად გაყინული მეომრები რჩებოდნენ. რად ჰკრავდა პირს ეკლესია იმპერატორებთან და გენერლებთან, რატომ ვერ ამჩნევდნენ, ვინ იყო გამოწყობილი წითელ წამოსასხამებსა და ფრაკებში, ოქრომკედით შემკულ მუნდირებსა და დიქტატორის უბრალო ქურთუკში, რატომ ვერ ცნობდნენ მათ, ვინც ბანძური გარიგებების, გაუმადრობის, ავტორცობის გულისათვის, ოქროს, მიწის, ბილწი ბატონობის გულისათვის ღმერთთან პირს ჰკრავდა და ჯვრის გამოყენება მკრებელურად სურდა? ყოველ მხარეს ეგვეტერები ჩანდა, საკურთხევლებთან საქმიანად ფუსფუსებდნენ მღვდლები, წირავდნენ, ლოცვებს კითხულობდნენ, ეს ღვთისნიერი, წესიერი ყოფა-ცხოვრების მიმდევარი მოძღვრები ღვთის მიმართ მოწიწებით იყვნენ აღვსილნი. მაგრამ ამავე დროს ისინი იყვნენ მოსამსახურეები, ჩინოვნიკები, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობასა და მინდობილ საქმეს ასრულებდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანს ისეთი აზრი დაეზადებოდა, რაიც ყოველივე მომხიბვლელს ლაფში ამოსერის, მაშინ საკურთხევლები ვრცელი მაღაზიის დახლებად იქცეოდა. მარცხნივ და მარჯვნივ დგანან სააღმსარებლონი, თითქოს მაგარმერქნიანი ხისაგან ნაგები სიმაგრეაო, სულიერი მამები დიდი ბანკის მოლარეებივით ჩამსხდარან ამ ნაკურთხ ბუდრუგანებში. მორწმუნეს ყოველ ენაზე შეუძლია აღსარების თქმა, ცოდვებს ყოველ ენაზე შეუძლია აღოლფს მოეჩვენა, რომ ამ სააღმსარებლოებიდანაც ცივი ჰაერი მოდიოდა; ისინიც ისე ცივი მოეჩვენა, ვით ზარათრანის მარმარილოს ფილები.

ადოლფი თავს მარტო გრძნობდა ამ ვრცელ, ბრწყინვალე სიდიადეში, რომელიც სიდიადედ კი არა, უფრო ამპარტავნობად ეჩვენებოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს ღმერთსაც მიეტოვებინოს და ღვთისადმი რწმენასაც,

გულს ეჭვი უღრღნიდა, იქნებ ეშმაკიც არ იყო, რადგან ღვთის სახელში რა უნდოდა, ეშმაკი მოციქულ პეტრეს ციხესიმაგრეში, ამ მრავალგზის ჩაკურობ ადგილას აბა როგორ შეაღწევდა! მხოლოდ მოციქულის სარკოფაგზე მოციმციმე კანდელები აძლეოდნენ ტაძრის ცივ სივრცეს ოდნურ სიბნელის მაგრამ მლოცველის კოლოსალურმა ქანდაკებამ კვლავ დახრდილ მტკიცე კბილი, ფიქრების აღმძვრელი შუქი და კაცს ეგონებოდა, ქანდაკება რომელიღაც კომერციული მრჩველის საფლაგზე დადგმულ ძეგლსა ჰგავათ. მხოლოდ სახელგანთქმული pieta-ს შეხედვისას დაუბრუნდა ადოლფს რწმენა და სიმშვიდე, იგი წარმოადგენდა ფიქრთა მორევეში ჩავარდნილის, წამებისა და თავნარდაცემის გამოუვალ ჩიხში შექცეულის კადარჩენასა და ადოლფმა იგი შეიცნო, როგორც გულმოწყალება, როგორც ძალუმი, ყველაფრის მშთანთქავი სიყვარული, მას დაეუფლა სიყვარულის მოთხოვნილება, სურდა სიყვარულით აღესოდა გული, საამისოდ საკუთარი თავის იძულებაც რომ დასჭირებოდა, სურდა ალერსითა და სიყვარულით მოპყრობოდა ყოველ ხორციელს, თვით თავის მშობლებსაც, სურდა ალერსითა და სიყვარულით შეხვედროდა თვით თავის მამასაც კი, რომლის სიყვარული ესოდენ საძნელო იყო. აქ, სახელგანთქმული pieta-ს წინაშე ადოლფმა ლოცვა დაიწყო, ყოველად ძლიერს სიყვარულის ძილას შესთხოვდა, სხვა არაფერი უთბოვია აქ, ქრისტიანობის უპირველეს ტაძარში, მერე ამ აწოწილმა, ჩამოფხავებულმა და გასაცოდავებულმა, დბნეულმა. მეტისმეტი სიღიადით დათრგუნვილმა დიაკონმა წმინდა პეტრეს ტაძარი მიატოვა, რადგან აღარც მისი ჰაერის ატანა შეეძლო და აღარც მისი ცქერა.

აღარ მახსოვდა, რომელ საათზე შევუთანხმდა ადოლფს, გნახავ-მეთქი. შუადღე დავთქვით თუ ნაშუადღევი? აღარ მახსოვდა. დამავიწყდა. იქნებ არც მსურდა გამხსენებოდა. არ მინდოდა ადოლფის ნახვა, მაგრამ დათქმული ადგილისაკენ მაინც ვაგემართე, გამოჭერილი ვიყავი. მებრაზებდა ის ამბავი, რომ ხაფანგში აღმოვჩნდი. ადოლფი ხელს მიწლიდა თავისუფლებაში, ხელს მიწლიდა ცხოვრების უშუალო, ჩემეულ აღქმაში, ხელს უშლიდა ჩემს უსასრულო გაოცებას. იგი მახსენებდა ჩემი ბავშვობის ყველა გაჭირვებას, თვალწინ მიყენებდა წარსულს, ოჯახს, სპორტით გატაცებას და ნაციისტურ სამხედრო სკოლაში სწავლის ხანას და, თუმცა ჩემი არ იყოს, ადოლფმაც ზურგი აქცია იმ დღეებსაც და იმ ლოხუნგებსაც, თუმცა ოჯახსაც გაექცა და სასულიერო სემინარიაში თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, — ოჯახი მაინც ისე იყო მასზე მწებებული, როგორც მარადიული, გამძლე რამ სუნი, რომელსაც ვერაფრით მოიცილებ, თუნდაც ანაფთოა ჩაიცვა; მარადიული ოფლი, რომლის ჩამორეცხვა არაფრით შეიძლება და რომელიც მეც არ მშორდება — ეს გახლდათ იუდეი ნაფაფრატ-კლინგშპორების სუნი, — დები კლინგშპორები ჩვენი დედები იყვნენ. — რაიც ნიშნავდა საუკუნოვან ეროვნულ უგუნურებას, ჯარისკაცულ წვრთნას, გერმანულ ბიურგერულ გონებაშეზღუდულობას, რომელიც, სამწუხაროდ ბოლოს და ბოლოს თავის მეტისმეტად ვიწრო საწოლიდან გადმოხტა და განდიდების სენით შეპყრობილი, გაცოფებად აქცია. ჩემი სისუსტე მაიძულებდა მასთან შეხვედრას, გულს მიჩვილებდა მღვდელის სამოსში გამოწყობილი ადოლფის დანახვა, ასე მეგონა, შიშის გამო ჩაიცვა-მეთქი ეს ანაფთოა. ასე ის იცვამს, ვისაც გაქცევა სურს და არ უნდა, რომ იცნოს.

ადოლფი სად გარბოდა? ნუთუ მასაც ჩემსავით მხოლოდ გაქცევა ანიჭებდა კმაყოფილებას, ნუთუ ისიც შეურიგდებოდა იმას, რომ მუდამ ასე ეხეტიალა მუდამ გზაში ყოფილიყო, რომ მხოლოდ ის სცოდნოდა, თუ საიდან მოდიოდა, ის კი აღარ — საით მიემართებოდა? ასეთი გზა მე მაკმაყოფილებდა, შევიძლება ასე მეგონა მხოლოდ, მაგრამ ადოლფი ნიჩვეული არ იყო ახალგაზრდაობის რებას, არ შეეძლო განთავისუფლებულიყო ოჯახისგან, განთავისუფლებულიყო იმ ტრადიციებისაგან, რომელიც მას მონის მდგომარეობაში ამყოფებდა, ასე ვფიქრობდი მე. წინააღმდეგი გახლდით ეგოიზმისა, რომელსაც საკუთარ თავს ვუჭადაგებდი, თუმცა ზოგჯერ თავგერძობა მიმაჩნდა არსებობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად, მაგრამ ამასთანავე ისიც გასარკვევი იყო, არსებობის შენარჩუნება თუ ღირდა, და თავის გადარჩენის ყოველგვარი ინსტიქტის მიუხედავად, ვცდილობდი ადოლფს მხარში ამოვდგომოდი, დავხმარებოდი. მაგრამ შემეძლო კი ეს? შევიძლებდი კი თავისუფლად მეცხოვრა? ასეთმა ფიქრმაც გამიელვა: თუ ადოლფსა და მე არ შეგვიძლია თავისუფალი ცხოვრება, მაშინ ჩვენ უნდა შევერთდეთ და იმათ დავუპირისპირდეთ, ვისაც სინდისი გაუყიდა, ვინც თავიანთი გონებაშეზღუდულობისდა მიხედვით ბატონობისაკენ ისწრაფვის, უნდა შევერთდეთ ნამდვილი პტაფრატების, ნამდვილი იუდეიანებისა, ნამდვილი კლინგშპორების წინააღმდეგ, იქნებ ამრიგად შეგვეცვალა გერმანია? მაგრამ სანამ ამაზე ვფიქრობდი, მომეჩვენა, რომ გერმანია შეცვლა აღარ შეიძლებოდა, შეიძლებოდა მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლა, რაც თითოეულმა ჩვენგანმა თვითონ უნდა მოახერხოს, სხვის დაუხმარებლად. ამიტომ ეწმაკმა წაიღოს ადოლფის თავი-მეთქი, ვთქვი ჩემს გულში. ანგელოსის ხიდზე გადავიარე და ანგელოსის ციხესიმაგრისაკენ გავემართე. კვარცხლბეკზე შემდგარი მარმარილოსფრთებიანი ანგელოსები დამძიმებულ თოლიებს ჰგავდნენ, რომლებსაც სხეულში ტყვია ჩასხმიათ ან ფიქრები დამძიმებიათ ტყვიასავით და ცაში აფრენა აღარ უწერიათ. არ შემეძლო წარმომედგინა, როგორ აფრინდებოდნენ ეს ანგელოსები ზეცაში. მათ არ ეწერათ რომის თავზე ლიელივი, ისინი არასოდეს შემოპილებდნენ სარკმელს, არასოდეს მოადგებოდნენ ჩემს საწოლს, არასოდეს გამაბედნიერებდნენ თავიანთი ფრთების შეხებით, არასოდეს გამიხსნიდნენ სამოთხის კარს. ჩემს ფეხქვეშ მღვრიედ მიედინებოდა ტიბრი, ძველისძველი ქვის თალების ქვეშ მიაქანებდა სასმელად გამოუსადეგარ ჩამავეებულ წყალს ოსტიასაკენ, ზღვისკენ; მრავლის უმრავლესი მოკლული წაუღია თან, ცველი მდინარეა, ბევრი რამ გადახდენია თავს; მე არ მიზიდავდა მის ტალღებში ბანაობა, ნიმფომანიით დაავადებული ძველა კახპის აქოთებულ ნაბან წყალს რომ ჰგავდა, მაგრამ მაინც მიზიდავდა — ხომ შეიძლებოდა ერთხელ ვინმეს მეც მოვეკალი!

ადოლფი ანგელოსის ციხესიმაგრესთან არ დამხედრია. გამეხარდა. ძალზე ადრე მოვედი. ახლა გამახსენდა, რომ მთელი საათით ადრე მოვედი და მიხაროდა, ადრე რომ მოვედი. ციხესიმაგრის ალაჟათის კართან უსაქმოდ ვიდექი, ეს ერთი საათი ნაჩუქარი ღრო იყო და თავისუფლებას ნიშნავდა.

ვიღაც გიდი მზის გულზე გამოსულიყო და მერხზე იჯდა, „ავანტის“<sup>65</sup> კითხულობდა. ვინ იცის, იქნებ სამართლიანად მოწყობილ სამყაროზე ოცნებობდა. ფორმის წინაფრიანი ქუდი კეფაზე მოეგდო. მოსუქებულ სახეზე ქედმაღლობა და უგუნურობა აღბეჭდოდა. ფეხსაცმელი მოძველებოდა, მაგრამ კარგად

გაეწმინდა და პრიალი გაუდიოდა. დროდადრო ამ გაპრიალებულ ფეხსაცმელებში აპურჭყებდა.

იქვე ეტლი იცდიდა. ვერ გაიგებდი, დაკავებული იყო თავესუფალი, თუ იმიტომ იცდიდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. უკან მტვრეაქრებულს ვარძელზე შეეტლეს მისძინებოდა. დაღებულ პირი ცისკენ ბრუნდებოდა. მწერი პირს გარშემო დაზუზუნებდა, მისთვის ალბათ შეეტლეს დაღებულ პირი ჯოჯოხეთის კარი იყო. შეეტლის პირი მისთვის მუქარასაც წარმოადგენდა და საცდუნებელსაც. ცხენის შუბლი და ყურები ბუნებისგან ბადით იყო დაცული. ცხენი ქვაფენილს ბებერი მორალისტ-თეოლოგის გამოციალებული, სააოწარკვეთილების გამომხატველი თვალებით დასცქეროდა. გიღის ყოველ გაპურჭყებაზე უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

ანგელოსის ციხესიმაგრის წინ შავი ავტომანქანაც იდგა. ნამდვილი ჯოჯოხეთში სამოგზაურო ეტლი იყო. ვინ იცის, იქნებ ეშმაკს პაპის ძველ ბინაზე კიდევ ჰქონდა რაღაც მოსაგვარებელი. ავტომანქანა თითქოს ნაცნობი ჩანდა, სადღაც მენახა, მაგრამ ეშმაკის ეტლი ვის არ უნახავს? ჯარისკაცულ ლივრეაში გამოწყობილი სამხედრო ჯაიდაზე გაჭიმული შოფერი მანქანის გვერდით იდგა. კრაჭუნა ტყავის წვივსაკრავები შემოეკრა, ფართო ბრიჯი და წელში გამოყვანილი ქურთუკი ეცვა. მზემოკიდებული სასი დაპკუთხოდა. გამოციებული თვალები უნდობლად გამოიყურებოდნენ. ეს იყო ჯარისკაცისა და მცველის თვალები. შოფრის შეხედვამ რაღაც ავბედითად შემადრწუნა. მისი ცქერა აუტანელი იყო.

ტიბრის ნაპირს მიკადექი. მოაჯირს გადავეყუდე და დაბლა თვალის საცთუნებლად ალაპლაპებულ მდინარეზე საბანაო კარჭაპი დავინახე, მდორე წყალზე კარჭაპი ოდნავ ტორტმანებდა და კაცს ნოეს კიდობანს აგონებდა, ლამაზ და ჭუჭყიან ნოეს კიდობანს. გემბანზე ყოველგვარი ცხოველი — მოყიყინე იხვები და ბატები, სხვადასხვა ჯიშისა და ნაჯვარი კნუტები თუ ლეკვები უწყინრად გორავდნენ ერთად. ციცაბო კიბე ქვემოთ ეშვებოდა, გამხმარი ბაღებით, განავლითა და მოლაპლაპე თუნუქის ნაკუწებით გავსებულ ნაპირზე ერთ ბიჭს ორი ახალგაზრდა გაეკიდა და უხეშად დასცა ძირს. ბიჭსაც და ახალგაზრდებსაც მყვო ალა ფერის ვიწრო სამკუთხა საბანაო ტრუსები ეცვათ. ბიჭი ლამაზი იყო. ახალგაზრდებს კი დაზღმურდული ავადმყოფური კანი და უხეში და ბოროტი სახის ნაკვთები ჰქონდათ. მათი მოდგმა ჩემთვის ნაცნობი გახლდათ. ასეთი ტიპები ჩემში უკიდურეს ზიზლს იწვევდნენ. გარყვნილები და გამოძალგვლები, არც კაცის ავლაზე ამბობდნენ უარს, თუმცა უნამუსო ლაჩრები იყვნენ. მაგრამ მე მარტო ვიყ. კი. მარტოდ მსურდა ყოფნა, თუმცა ზოგჯერ მენატრებოდა ნახირისა და ბოსლის სუნი, სისხლით ნათესავეები. მენატრებოდა ვინმე მყოლოდა ახლოს, ვინმესთან მქონოდა ურთიერთობა, ვინც დავკარგე, ვისზედაც ხელი მე თვითონ ავიღე, რადგან ისინი მიმაჩნდა მარწუხებად და მეგონა გავთავისუფლდებოდი; მენატრებოდა ორდენსპურგის სიჭაბუკე-დიდი საწოლი ოთახების სუნი, დილასისხამზე გათოშულ მიწაზე ტყისპირებში ჩემს ტიტველ ამხანაგებთან ერთად რბენა, რასაც სპარტანული აღზრდა ითვალისწინებდა; მენატრებოდა ჩემი თანატოლები, ეროვნული მოძრაობის თავშესაფრები, ბანაკები და საერთო საცხოვრებლები, ჯარისკაცული ძმაცაცობა. სუყველაფერს ხურგი ვაქციე, ყველას გავერიყე, ასეც მსურდა ყოფნა და კიურენბერგი მიქებდა ასეთ შემოქმედებით განმარტობას.

ადოლფი მიწისქვეშეთში ეშვებოდა ხერხელით, რომელიც სულ ქვევით და ქვევით პაპის ციხის სიღრმისაკენ მიიწევდა დახვეული, ლამპის მკრთალი ჭრით ოდნავ განათებული, შემდეგ გამოჩნდა დაბალი თაღები, ჰაერში სამართის სუნი ტრიალებდა, აქ წალუნული თუ გაივლიდა კაცი, დახურულ ყაჭყაჭებში იჭრით უფრო ჩაბნელებული ხვრელები ჩანდა, უძირო უფსკრულებში მსახურეობაში შიშის ზარს სცემდა, აქ იყო კაცის საკლავად გათხრილი ორმოები, სიკვდილის ტეხი: კედლებიდან ჩაჭვები ეშვებოდნენ, ჰერში ვკიდა ფეხზე დასაღები ბორკილები და რგოლები, ხელბორკილები, მუცელზე შემოსაკრავი მჩხვლეტავი სარტყელები, ათასგვარი საწამებელი იარაღი — გასაქიმი მოწყობილობა, ეკლების სამსხვრევი, მარწუხები; იქვე იდგა ჭვის საწოლები, რომლებშიც ხელფეხშეკრული ტუსაღები იხრწნებოდნენ და მაგარ, უგრძნობ გრანიტზე რჩებოდა სიკვდილმიმსჯილისა თუ მივიწყებული ადამიანის გახრწნილი ხორცისა და ჩონჩხის მოხაზულობა: ზემოთ კი მდიდრული პალატები, მყუდრო ოთახები, მორთულ-მოკაზმული სამლოცველოებია. ზემოთ იციან ხელოვნების ტემპარიტი ფასი, ზემოთ არის წარმტაცი და ღვთისმოსავი სურათები, მოჩუქურთმებული მერხები მლოცველთათვის, ჩელინის ნაკეთები ვერცხლის შანდლები, ბიბლიოთეკაში წიგნებით ტკბებიან, სიბრძნეს იძენენ, განცხრომას ეძლევიან, ალბათ მუსიკასაც უსმენენ, ისუნთქავენ დაისის სიოს, უფრო ზემოთ კი — ციხეს თავს დასტრიალებს ანგელოსი, მთავარანგელოსი მზეს შესცქერის, უმზერს ვარსკვლავთა დიდებულ ბრწყინვალეებას, ჩამოჰყურებს მარადიული ქალაქის სახელგანთქმულ პანორამას და ცეცხლისმფრქვეველი ხმალი ქარქაშში აქვს ჩაგებული. ადოლფმა ყველაზე ღრმად მოთავსებულ დილეგს მიაღწია. ძველისძველ კლდეში ამფთორის მსგავსი ორმო ამოუკვეთიათ. აქ, ეტყობა, პატიმარს ჩააყენებდნენ, ფეხზე იდგა, თავი იატაკის სიმაღლეზე ჰქონდა, მაგრამ პატიმრის მთელი უწმინდურობა თანდათან ზემოთ იწევდა, ყოველ მხრიდან მკრეხელის სხეულს ეკვროდა და ბოლოს ყელამდე აღწევდა. ვინც ამ დროს მოგიზგიზე ჩირაღდნის შუქზე ამ კაცის თავს დაინახავდა, მხოლოდ თავს, რომელიც სხეულისაგან კლოაკით იყო მოცილებული, უთუოდ აღმოხდებოდა: „Ecce Homo — შეხე, აი ეს კაცია!“ და მედილეგე ალბათ მის წინაშე ჩაიჩოქებდა და შეიცნობდა საკვირველებას ქრისტედ გადაქცევისა, რაიც ყველაზე ღრმა დილეგში განიცადა შეჩვენებულმა. ადოლფმა ორმოს წინ დაიჩოქა და ლოცვას შეუდგა. უფრო გატაცებით ლოცულობდა, ვიდრე წმინდა პეტრეს ტაძარში; ლოცულობდა უცნობი პატიმრის სულის საცხონებლად. ანაფორა მტვრით ესვრებოდა, ქვები მუხლებს სტკენდა. მან ირწმუნა: ამ სამყაროს ხსნა სჭირდებოდა. მან ირწმუნა, ადამიანს კვლავ სჭირდება ხსნა. მერე წამოდგა და ძალ-ღონის უჩვეულო მოზღვავება იგრძნო. მალლა ასვლა და დღის სინათლის დანახვა მოუხდა, — მთელი სიცხადით ხომ სიბნელიდან გასვლის შემდეგ ხედავ მას. უცბად ფეხის ხმა შემოესმა, მტკიცე ფეხის ხმა იმ კაცისა, ვისაც არ ვშინი. გულს არაფერი უღონებს და მხნედ დააბიჯებს თავის სახლში, ხოლო ეს სახლი საპრობილეა და იმით შემკრთალი ადოლფი, ასეთ ადგილას არა მნახონო, შეეცადა სადმე გაუჩინარებულიყო, მაგრამ გზა მოჭრილი აღმოჩნდა და იქვე, ნიშაში შეიყუება, ნიშის გარღვეული კედლიდან შეეძლო დაენახა, თუ ვინ იყო ესოდენ მტკიცე ნაბიჯით მომავალი დამთვალეირებელი ყველაზე ღრმა დილეგისა.

ისინი კასინოს მონასტერს მოადგნენ და ბრძოლის ველზე მხარულ პუ-  
რობას შეუდგნენ. ღვინო თავში შეუჭდათ და ქალებს ეშინოდათ, არ დათვ-  
რნენო, მაგრამ მამაკაცები აიშელებდნენ — მაშინ, ბრძოლის შემდეგ, გაცი-  
ლებით მეტი ღვინო დაეღიეთ, მონასტრის სარდაფიდან საუფროსო ღვინის  
კასრები გამოვაგორეთო. ერთ-ერთ იქ მყოფთაგანს ყველაფერი ჯერაც კარ-  
გად ახსოვდა, იგი პოლკის ადიუტანტი ყოფილიყო, გარემოსა და მდგომარე-  
ობას არკვევდა და ამოწმებდა, ახლაც კარგად გაარკვია — აგერ იქით სააბა-  
ტოა, იქ ჩვენ ვიყავით განლაგებული, აქეთ კი მტერი, თავიდან ბოლომდე პა-  
ტიოსნური ომი იყო. ომში დაანგრია ძველი მონასტერი, მაგრამ იგი პატიოს-  
ნურ ომში დაინგრა. ყველამ პატიოსნად იბრძოლა, თვით მტერმაც კი, და მებ-  
რძოლებიც პატიოსნურად დაიხოცნენ. დიტრიხ პფაფრატი მთხრობელს დაი-  
ბული შესცქეროდა პირში. მთაზე ბრწყინავდა მონასტრის ახალი თეთრი კედ-  
ლები. ომის მათწყებელი ხანგრძობები სადღაა? ხარაჩოები მნახველს აუწყებდა,  
აქ მშენებლობა მიმდინარეობსო, და წარმტაცი და ამამალღებელი იყო ასეთ  
იდილიურ ბუნებაში პატიოსნური ომის ამბავის მოსმენა განსაკუთრებით მას  
შემდეგ, რაც მარსი ასე შებღალეს. ამ საუბრით აღფრთოვანებულმა ფრიდ-  
რიხ ვილჰელმ პფაფრატმა შემდეგ ვერდენი გაიხსენა, მოჰყვა სანგრებში წარ-  
მოებულ ხელჩართულ ბრძოლებზე, რომლებიც პატიოსნური გახლდათ ალბათ  
იმის გამო, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ასე სპორტული სულისკვეთებით  
გამსჭვალულები, მაგრამ ომი მაინც ღირსეულად წარმოებდა, ღირსეულად და  
წესების დაცვით. ღირსეულად და წესების დაცვით სძულდათ მტერი, ღირ-  
სეულად და წესების დაცვით ახლიდნენ ტყვიას. თუ კაცი ახლა იმ ამბებს  
გაიხსენებ „აღმოჩნდება, რომ იქ მართო სიკვდილი კი არ იყო, შეიძლებოდა  
ამ დიდი ხოცვა-ყლეტიდან თავშესაქცევი ეპიზოდები და მხიარული ანეკდოტე-  
ბიც მოგეგონებინა. ავტომანქანიდან კვლავ მოჩიდეს საქმელები და ღვინით  
სავსე ბოთლები. პურობდნენ თეთრი სუფრის გარშემო შემომსხდარნი, რომ-  
ელიც წინდახედულ დიასახლისს ფრაუ ანას თან წამოეღო. ძველი და ახალ-  
გაზრდა მებრძოლები მხიარულად უქახუნებდნენ ერთმანეთს ჭიქებს, ქალებიც  
სვამდნენ, მიდამოს მზე ხალისიანად ჰფენდა სხივებს, შორიანლო დამდგარი  
ერი კუდით იგერიებდა ბუზებს და ყროყინებდა — „ი-ა, ი-ა, მართალია, თქვენ  
გაიმარჯვეთ!“ სუფრასთან ზვიადი სახით მიმჯდარი დიტრიხი მხრებში გაიშა-  
ლა და მტკიცედ გადაწვიტა, მიჰყოლოდა სამშობლოს ყოველ მოწოდებას,  
რასაც რასაცვირველია, ყველა პატიოსანი ადამიანი უნდა სჩადიოდეს; თუმცა  
შესაძლოა, დიტრიხი მაშინ საშსახურში შეუცვლელი იყოს და დაჯავშნონ;  
არა, ის ლაჩარი არ იყო, მაგრამ პატივმოყვარე კი გახლდათ და თავისი კარი-  
ერა აფიქრებდა.

გარღვეული კედლიდან ადოლფმა დაინახა იუდეიანი, რომელიც ყველა-  
ზე ღრმა დილეგში შევიდა. მან იცნო იგი. იცნო საკუთარი მამა. შეეშინდა,  
უნდოდა, მივარდნოდა, მაგრამ უცბად მოეშვა, ადგილს მიეყინა და თვალ-  
თვალი ყურადღებით განავრძო.

იუდეიანმა ანგელოსის ციხესიმაგრე გაიარა, იარაღი, აბჯარ-აბგარი და  
სამხედრო აღჭურვილობა დაათვალიერა და პატარა გოტლიბმა აშკარად შეიც-  
ნო ისტორიის საშინელება, მაგრამ ამ დარბაზებში სიარულისას იუდეიანი  
მოწყენილობამ მოიცვა — წარსულში, ვერაფერ სიახლეს ვერ ნახავდა კაცი,

გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი იყო. აქაურობამ თ. ვისი ხელობის რწმენა განუმტკიცა და ახლა თავდაჯერებულა და დაღვრემილი ჩადიოდა წისქვეშა საპყრობილეში მსგავსად იმ კაცისა, რომელიც დიდი ხნის შემდეგ თავის ძველ სახლს ათვალიერებს. ყველაზე ღრმა დილეგში იგი მშვენიერად ადგა კლდეში ჩათხრილ ორმოს, ცოცხლად დასამარხავ სამარეს. ომებში დასამარხავ ყრობილე, ტყვეობა და სიკვდილი ყოველთვის არსებობდა, წმინდა პეტრე სწამებულ ჯვარზე მიიცივალა და მისმა შემცვლელებმა თავიანთი მტრები დახოცეს წაჩებით: ასე იყო და იქნება კიდევ და ეს კარგია, ადამიანური. არაადამიანურებაზე ვინ ლაპარაკობს? იუდეიანმა იქაურობას ყური მიუგდო და რაკ ირგვლივ დუმილი სუფევდა, ფეხის ხმა არსაიდან არ ისმოდა, ყველაზე უბედური პატიძრის ორმოს შიადგა და თავისი ნდობა დაიკმაყოფილა.

ადოლფმა დაინახა თავის მამის სიშიშველე, როგორც ქამმა მამამის ნოესი, მაგრამ სემივიტა და იაფეტივით სახეზე ხელები აიფარა.

სახეზე ხელები გვამაც აიფარა, ადოლფის დედამ, არ უნდოდა ლურჯი ცა, რომის ხალისიანი მზე დაენახა. იდგა იგი, ეს შავადმოსილი ქალი, ეს ჩრდილოეთიდან, ნისლიანი მხარიდან რომში მოხვედრილი მოჩვენება, გულში სამაგიეროს მიზღვის უსაშინელეს განზრახვაჩადებული ქალი, მეოცე საუკუნის მითოსის ეს ჰემმარტი მცველი, ფიურერზე გულდამწვარი, მარად მორწმუნე მესამე რაიხისა და მისი მკვდრეთით აღდგომისა, — იდგა სარკმელთან და გასცქეროდა გერმანელთა საყვარელი სასტუმროს ეზოსა და ცარიელი ბოთლების მთას. კასინოს პიკნიკზე სასწრაფოდ გამგზავრებულ პფაფრატებს და ავიწყდათ ევასათვას ეთქვათ, იუდეიანი ენახეთო. ევა მარტოდმარტო იყო. სამზარეულოში მომსახურე ბიჭები და გოგონები ზანგურ სიმღერას მღეროდნენ. ევას არ ესმოდა მათი და სიმღერების რიტმი აღიზიანებდა. ტალანში ევას ოთახის კარის წინ დამლაგებელმა გოგონამ ბუფეტის ოფიციანტს უთხრა: „ეს ბებერი დედაკაცი არსად გადის, ნეტავ რომში რაღად ჩამოვიდა?“ არც ოფიციანტმა იცოდა, რად ჩამოსულიყო ბებერი დედაკაცი რომში, და გოგონას უწმაწურად უპასუხა. გოგონამ დაიკივლა და თეთრებში გამოწყობილი ოფიციანტის ზურგს აღტაცებული მზერა გააყოლა. შემდეგ ევას ოთახის კარზე დააკაკუნა, შიგ შევიდა და უხალისოდ შეუდგა იატაკის გვას, ევამ არ იცოდა, სად გასკლოდა ცოცხსა და ნაგავს. გოგონამ სარკმელი გამოაღო და ზანგური სიმღერა უფრო ხმამაღლა გაისმა, მერე უფრო გახელებულ რიტმს აჰყვა, შვიკრა ოთახში, მიეჭრა იმ კუთხეს, სადაც ევა იდგა მტკიცედ.

ადოლფი ტიროდა.

მოლამულ კიბეს მდინარიდან მაღლა ავლყევი, მიხაროდა, წყლიდან რომ ამოვედი, ბებერი, მეგობრული, დინჯი და მღვრიელ მდინარი ტიბრიდან; ნაპირზე დროის დინება შეჩერებულიყო. მეეტლეს ეძინა, პირი ისევ ღია ჰქონდა, რომელიღაც მწერი კვლავ ჯოჯოხეთის კართან დაბზუოდა, ცხენი დაეინებით და ღრმააზროვნად დაჰყურებდა დედამიწას, ექსკურსიამძლოლი „ავანტის“ კითხვას განაგრძობდა და ისევ ვაკრიალეებულ ფეხსაცმელებზე იპურჭყებოდა. ის დიდი შავი არაბულნომრიანი ავტომანქანა კი იქ აღარ ჩანდა. მაშასადამე, ჯარისკაცის მსგავსი შოფრის დანახვას ავცდი, აღარც მის ცივ და დადარაჯებულ თვალთა არეში მოვხვდებოდი. ეტყობოდა, ეშმაკს პაპის ციხეში თავისი



საჭმე მოეგვარებინა. ანგელოსების ხიდზე შემდგარ ანგელოსებს ატრენა ჯერაც არ შეეძლოთ, საგრამ უკვე აღარ მეჩვენებოდნენ დამძიმებულნი და შეურაცებულნი, შემსუბუქებულნი იყვნენ და თითქოს პაერში დალივლივებდნენ. ღმერთებთან დამეკობრებული მდინარის მღვრიე წყალმა, რომელიც ეს-ეს იყო განვიბანე, მათიური ელემენტის სველი მკლავების სამიშმა შემოხვევამ ისე გამამხნევა. თითქოს ნარკოტიკი მიმეღოს.

იგი ციხის ალაყაფიდან გამოვიდა და ეტყობა, თვალი მზემ მოსჭრა, რადგან მე ვერ დამინახა. ფერი დაჰკარგოდა და წამით გავიფიქრე, ჩემსავით ფერგამკრთალია-მეთქი. მე არა მგავდა, შეიძლება მგავდა კიდევ, მაგრამ ეს მრუდე სარკის ანარეკლი იყო, რომელიც თითქოს სხვაც არის და თითქოს შენცა გგავს. როგორც კი დამინახა, მაშინვე გამოეშურა. ისე გახელებული მოაბიჯებდა, გეგონებოდა, საცაა ანაფორა შემოგზავაო. უკან მტვერი და ანაფორას ბოლო მოსდევდა, ხილო ფეხსაცმელები, უხეში, გლეხური და ფეხსაცმელები. უცნოდ და უბადრუკად მოჩანდა რომის ქვაფენილზე. მან დამიყვირა: „მე ის ვნახე“! შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ამ მღვდელს თვით ავი სული გამოეცნადაო. მერე ალაყაფის კარისკენ გაიშვირა ხელი და შესძახა: „აქ იყო იგი!“ მე მივსვდი, რომ მან ნახა იუდეიანი, თავისი თავზარდამცემი მამა. ნეტავ თუ ელსპარაკა კიდევ? ვკითხე. ადოლფს სახე აენტო. შერცხვა. ეტყობა, არ დალაპარაკებია, დამალულა და მე გავიფიქრე: მას ეშინია მამისა, ემალება; ვინმე ფსიქოანალიტიკოსი იტყოდა — ემალება მამაღმერთის სახეს, ძველებრივად მამა-შურისმგებელსო, არა, ადოლფი ვერ გათავისუფლებულა. ადოლფის ავ-კარგი ჩემთვის სულ ერთი იყო, მასთან ურთიერთობა უსიამოვნებას მგვრიდა, ის ჩემთვის წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს იმ ოჯახთან, რომლის შესახებ გაგონებითაც არაფერი მსურდა გამეგონა, მაგრამ მისი შემფოთება გულს მიჩუყებდა; იგი ცდილობდა გზა ეპოვა, მაგრამ ამ გზას თავისუფლებისაკენ არ მიჰყავდა. სიამოვნებით დავეხმარებოდი, სიამოვნებით წავიყვანდი თავისუფლებისაკენ. მაგრამ სურდა კია თავისუფალი ყოფილიყო? ადოლფი ხიდისკენ წავიყვანე. იგი გულდამძიმებული იყო, მინდოდა ამ მდგომარეობიდან ერთბაშად გამომეყვანა და შეეძახე:

— განა რომი შეგანიშნავი არ არის? — და ხელი ისე გავიწვდინე მდინარისა და მისი ნაპირისაკენ, თითქოს მე მეკუთვნოდა.

— შეხედე ტიბრა, განა ლამაზი არ არის ეს ძველი მდინარე? მე ვიბანავე ტიბრში, ნახე ჩემი თმა, ახლაც სველია ტიბრის კეთილი წყლით — თმა კულულებად შეყარა. ადოლფმა ახლად შენხედა თმაზე. — აბა ამ ანგელოსებს შეხედე, — განვაგრძე მე, — წარმოიდგინე ვითომ აფრინდნენ, მარმარილოს მძიმე ფრთები გაშალეს, კაპიტოლიუმისკენ გაფრინდნენ და ძველ ღმერთებთან ფერხული ჩააბეს. ნუთუ არ გესმის, პანი საქსოფონს უკრავს, ორდეესი კი ბანჯოს აკომპანემენტზე ჯუნგლების სიმღერებს დამღერს.

მართლაც და უცბად ეს მოუხეშავი ანგელოსები მომხიბვლელად მომეჩვენენ. ნამდვილად დაგინახე, როგორ აფრინდნენ და ბუგი-ვუგი გააჩაღეს. მათ მივესალმე, ანგელოსები ჩემი მეგობრები იყვნენ, გული სიხარულით მჭონდა ადვსილი, თავისუფალი ეიყავი, ცა კრიალებდა, მთელი მისი ლურჯი გუმბათი. ეს ჩემი დამსახურება იყო, ცა რომ ანგელოსებითა და ღმერთებით დავასახლე; ცაში მეგობრულად ცხოვრობდნენ, ანგელოსები და ღმერთები, რადგან მე მსურდა ასე, რადგან მე უსიამოვნებდა, რადგან ასეთი იყო ჩემი წარმოსახვა:

მე ვაიძულე ზეციური ჯაზ-ბანდი, რომ კაპიტალიუმის ბორცვზე მუსიკის დაკრებას შესდგომოდა, ჩემს წარმოსახვაში უკრავდა მუსიკა, ჩემს წარმოსახვაში ვავლენენ; დაე მფრინავებმა ამტკიცონ, ცა შავი არისო, როგორც მაღლა ასულელებს ეჩვენებათ, მაგრამ ცა მხოლოდ ყინულოვანი არაფრის წინ ფერებს წაშლინოდგენს, რაიც ჩვენს შეშლილ დედამიწას გარს შემოხვევია, — მე მაინც მიხვაროდა ჩემი ოცნება, რადგან თავისუფალი ვიყავი, შემედლო თავისუფლად მეოცნება, უფლება მქონდა მეოცნება; მე თვითონ მივეცი საკუთარ თავს ამის უფლება. სიამოვნებით გადავისვრიდი ადოლფს ტიბრში, მსურდა მისთვის სიხარული დამენათლა, მაგრამ რაკი იგი არაფერს მპასუხობდა, დადუმებული მომყვებოდა გვერდით, ხილის ფილაქანს ჩაქუჩივით ურტყამდა თავის უხეშ დიაკვნურ ფეხსაცმელებს, მხოლოდ დროდადრო შემავლებდა უცნაურად მტკიცე შეკითხვა ჩამდგარ, მბურღავ, მკაცრ თვალს, და რაკი მსურდა მისთვის რაღაც ნესიამოვნებინა, — იგი ნაყინზე მივიპატიე.

ის მხოლოდ რძეს სვამდა, ჩვილი ბავშვებისათვის სტერილიზებულს. ზუსტად ახალმოწველილი რძის ტემპერატურამდე გამთბარს. ბავშვთა საავადმყოფოს მომვლელი ქალი უვლიდა, ბორბლებიან სავარძელში ბალიშებს უსწორებდა, რძეს დაეჭვებული უსინჯავდა გემოს და თავის თეთრ-ცისფრად დაზოლილ სამედიცინო ხალათში თვითონაც რძის, სტერილიზებული სახვევებისა და ჰიგიენური პუდრის სუნი ასდიოდა. პერგამენტისფერი ხელებით კაცი ფრთხილად იღებდა ჭიქას, პერგამენტისავე ფერის სახესთან მიჰქონდა და დანის პირივით თხელ ბაგეებს გემრიელი ნაღებით ნელა ისველებდა. გარეთ მზე ანათებდა, მაგრამ ოთახი ჩაბნელებული იყო და მძლავრი ელექტროლუმები თითქმის აუტანელ სიციხეს აფრქვევდნენ ირგვლივ, რომელიც რძის მოტკბო სუნთან შეერთებული ყოველ მნახველს გულს ურევდა. იგი თავის თავს აუსტერლიცს უწოდებდა, იქნებ მართლაც აუსტერლიცი ერქვა, მაგრამ ძნელი იყო დაჯერება, საერთოდ თუ ჰქონდა ხამდვილი სახელი; არავინ იცოდა, რა ქარხნები ჰქონდა ანდა რომელი სააქციო კაპიტალის ან რომელი დაწესებულების წარმომადგენელი იყო, შესაძლოა ყველა იარაღის ქარხანას ის ფლობდა, მთელ ან თითქმის მთელ კაპიტალს. საწყობები სად ჰქონდა, მხოლოდ მან იცოდა. ტვირთის გადაზიდვაც მისი საქმე იყო, ეს კი ცხადი იყო, რომ შაშხანები და ქვემეხები დანიშნულებისამებრ და ზუსტად დათქმულ დროს მიდიოდა. აუსტერლიცი კორექტული და სანდო კაცი იყო, ხოლო მისი ურთიერთობა ყოველ მთავრობასთან, მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულ ყოველ ჯგუფთან ისეთივე ლეგენდარული, როგორც მისი კრედიტი. იუდეიანის მსგავსად აუსტერლიცსაც ლურჯი სათვალე ეკეთა, ისე, რომ ორივეს სულელური იდუმალებით უელავდათ სათვალეები, თითქოს ლურჯი მოჩვენებები იყო. პირქუშ პომუნკულუსებს<sup>66</sup> წააგავდნენ. მომვლელმა იუდეიანს ურიკა მიუგორა, რომელზეც ალკოპოლიანი სასმელები, ყინული და კოქტეილის ჭიქები ეწყო. თუმცა სიციხითა და რძის ონწივრით იყო გაწამებული, იუდეიანი მაინც ხალისით ისმენდა, თუ რა იარაღი რჩებოდათ ამა ქვეყნის ძლიერთაგან სუსტებს. ზოგიერთი კარგად შენახული სიკვდილის ინსტრუმენტის შეძენა გასაოცრად ხელსაყრელ ფასებში შეიძლებოდა, როგორც ჩანდა, კიდევ იყვნენ იდუმალი მეცენატები, კაცობრიობის ჩუმი კეთილისმყოფები ან სიკვდილის უჩინარი მეგობრები, რომლებიც ფულს არ ზოგავდნენ, რომ იარაღით მოემარაგებინათ

მცირერიცხოვანი მამაცი ხალხები, მცირე შესაძლებლობების ქვეყნები, რათა განზემდგომ ქვეყნებშიც თმის საშიშროება არ ჩამქრადყო ქვეყნიერება თმის ზღურბლზე უნდა პყოლოდათ. იქნებ სადმე ნაპერწყალი გაჩენილიყო და მსოფლიოს ისევ ალი მოსდებოდა. ასეთ საქმეში ფულს რა მნიშვნელობა ღირდა, სიკვდილი საიმედო მევალე იყო. იუდეიანი წინდახედულად და საქმის ცოდნით არჩევდა იმას, რაც უდაბნოში გამოდგებოდა. მისი უფლებამოსილებანი აღიარეს, იუდეიანს, შეხურებულს ვისკით, რომელსაც სიცხისა და რძის ოხშიერის დასათრგუნავედ სვამდა, სიბრაზე მოყრია, რადგან მხოლოდ უდაბნოს ციხე-სიმაგრეში გაწვრთნილი სემიტი და ზანგი ჳელებებისათვის უნდა შეესყიდა იარაღი. იგი ნაღველმა მოიცვა, მოენატრა საშობლო, გერმანული ტყე. მოუნდა ნაცნობობის უფრო ფართო ქსელი გაეხა და დიდი საქმეები ეკეთებინა, რაიც იმის უფლებას მისცემდა, რომ აუსტერლიცისათვის უფრო დიდი შეკვეთები მიეცა. აუსტერლიცა, რომელსაც პერგამენტისფერ საულვაშეზე რძის პატარა ულვაშები დასტყობოდა, რასაკვირველია, კარგად იყო ჩახედული გერმანული ბანკის მდგომარეობაში. ხომ არ ეჩვენებინა იუდეიანისათვის, როგორი იყო ბირჟის კურსი? იუდეიანი ძველი კლიენტი გახლდათ. მაგრამ აუსტერლიცს შეეძლო მოეცადა. მდგომარეობა თანდათან მწიფდებოდა და რაკი იგი იუდეიანს მეორე ეშელონის მეზრძოლად თვლიდა, რომელიც თავის სვლას ჳერ ვერ გააკეთებდა და არც ის იყო ცნობილი, თუ სად და როდის დადგებოდა მისი სვლის ჳერი და დრო, აუსტერლიცმა მას ყველაფერი არ გაანდო, რაც თვითონ იცოდა. მაგრამ გენერალ ფონ ტოიფელსჳამერის გვარი მაინც ახსენა, რომელსაც აჳამდე შემორჩენოდა ფიურერის ერთგულება და ისევ საქმეს შესდგომოდა, ახსენა პატარა დოქტორიც, რომელიც ადრევე ყოფილა დიდი დოქტორის მოენე, ახლა კი იდეალისტის ნიღბით სურს ეროვნული პოლიტიკის მკურნალის როლი შეასრულოს. იუდეიანი იცნობდა მათ, თვალწინ წარმოუდგა ეს გენერალი, რომელსაც გიმნაზიის პირველი მოსწავლის ბლაგვი სახე და გამოშვერილი ყურები ჳქონდა, მრგვალი სათვალე ეკეთა და პატარა პირი ისე დაედო, თითქოს სადაცაა ყეფა უნდა ატეხოსო. იუდეიანს ისიც ენახა, როგორ ცეკავდა იგი ფიურერის წინაშე, ცხრად მოკეცილი: მუდამ სანიმუშო მოსწავლე გახლდათ და მუდამ მზად იყო ფრონტის ხაზი უკანასკნელ, ყველაზე მოხუც ფოლკსშტურმისტამდე დაეცვა, მეორესაც იცნობდა, იმ პატარა დოქტორს, რომელიც ასევე მზად იყო, ფრონტის ხაზი უკანასკნელ, ყველაზე ახალგაზრდა პიტლერიუგენდელამდე დაეცვა, თავისი კაბინეტიდან ახსოვდა იგი, ზანდაზან დიდი დოქტორისაგან დავალებით მიდიოდა ხოლმე იუდეიანთან, იმ ენაჳარტალა, ნეხვის გუდისგან, პირი რომ ვირთხისა აჳვს. გაცილებული ვირთხისა, იუდეიანი ვერ იტანდა, იმიტომ კი არა, რომ ვირთხას წააგავდა, იმიტომ რომ განსწავლული ბრძანდებოდა და პატივმოყვარე ინტელიგენტად თვლიდა. პოდა, ახლა საკითხავი იყო, ერთმანეთთან პირი შეკრეს, თუ სხვების დასანახავედ იქცეოდნენ ასე, ან მისთვის რაიხს თუ ამზადებდნენ, საკითხავი აი ეს იყო. ალბათ დიდხანს იყო მკვდარი, ახლა იქით უნდა გაემგზავროს, გერმანიაში გამოჩნდეს, გერმანულ თამაშში ჩაებას, საქიროა ხელის გულზე ჳყავდეს ეს სკოლის ბიჳუკელები და გამგონი ყმაწვილები, ეს იმას ნიშნავს, რომ პფაფრატების სამართალს მაინც უნდა წარუდგეს, რათა მიაღწიოს განაჩენის ფორმალურ ან ფარულ გაუჳმებას; იმ შეფიცულ მოკავშირეებს იუდეიანისა აღარ უნდა ეშინოდეთ, დათანხმდებიან, რადგან საკუთარი მომა-

ვალი აფიქრებთ. მაგრამ იუდეიანს გულს უღრღნიდა ის ფიქრი, რომ ჯერ-  
ჯერობით პეტრატს უნდა დაჰყრდნობოდა და მასთან მეგობრული ურთიერ-  
თობა შეენარჩუნებინა. მან მუშტი დასცხო მაგიდას, ისეთი სმა გაისმა, თითქოს  
რეტორტები ნაფშხვენებად იქცა, სადაც ეს პომუნკულუსები წარმოიშენე-  
ნო. შეშინებულმა მომვლელმა მოირბინა, მაგრამ აუსტერლიცმა, ანუ მანუალო  
ფერიაო, და უკან გააბრუნა. შემდეგ ნატის პატარა ბუდიდან უხმო პისტო-  
ლეტის ახალი მოდელი ამოიღო და იუდეიანს უჩვენა. იუდეიანს, — ჯერ კიდევ  
პატარა გოტლიბი ხშირად იდგა ხოლმე იარაღის მაღაზიის ვიტრინების წინ და  
ხარბად შესცქეროდა იქ გამოფენილ ნიმუშებს, — იუდეიანს მაშინვე შეუყ-  
ვარდა ეს მოხერხებული სიკვდილის მთესველი და აღარ შეეძლო ხელიდან  
გაეშვა. აუსტერლიცმა იცოდა იტალიაში მოქმედი კანონები და იუდეიანი  
გააფრთხილა, ამ ქვეყანაში ცეცხლისმსროლელი იარაღის გაყიდვა, ყიდვა და  
ტარება აკრძალულიაო, მაგრამ პისტოლეტი მაინც დაუტოვა, როგორც ნიმუში.  
ვინცობაა უდაბნოსთვის დიდი პარტიის შესაკვეთად დაგჭირდესო.

— ან კი სად არ არის უდაბნო და ჯუნგლები? — ბავშვურად გაღიმე-  
ბულმა წყნარი ხმით ჰკითხა აუსტერლიცმა და ფინჯნიდან უგემური რძე მოხ-  
ვრიბა. ეს კი არ ჰკითხა: სადღა არ არის სიკვდილიო.

სანაყინედან მაგიდები და სკამები შიგნითა ეზოში გამოელაგებინათ, ქუ-  
ჩის ხმაურს მოშორებულ დაჩრდილულ ეზოში ჯდომა უფრო სასიამოვნო იყო.  
ზიგფრიდი და ადოლფი ძველრომაულ ყაიდაზე შემკულ ლოჯიაში ისე ისხდ-  
ნენ, თითქოს ორი მეგობარი ერთმანეთს შეხვედრია და ერთმანეთთან საუ-  
ბარი მონატრებიანო. მათ გარს ერტყათ სუროშემოხვეული სვეტები, კეთი-  
ლი ლარების დაკაწრული ნიღბები: მხიარულად ჩხრიალებდა პატარა მადრე-  
ვანი, პალმა მეგობრულად აქნედა ფოთლებს. ხოლო ღმერთების, პოეტების,  
ფილოსოფოსების საბაშირის თავები, სატირების, სახელმწიფო მოღვაწეების,  
კეისრების ალაგ-ალაგ ამომტვრეული სახეები, ცხვირმომტვრეული, ყურებ-  
მოცლილი საამოსახიანი ჰომოსექსუალისტები და ნიმფები ბრმა თვალებით  
შეჰყურებდნენ, თუ როგორ ჩიჩქნიდნენ ისინი სიცილიური გრანიტივით მა-  
გარ ნაყინს. ადოლფს, ამ გულდამძიმებულ დიაკონს, რომელიც ზიგფრიდს ჯერ  
უხალისოდ გაჰყვა, ნაყინმა მტანჯველი სირცხვილის ხანძარი ჩაუქრო: მან ნა-  
ყინს გემო გაუგო და ხარბად შეექცა ზამთრის არომატულ ნაყოფს, ენაზე  
რომ აღნებოდა, ხოლო ზიგფრიდი ჩაფიქრებულყო, ფინჯანში ნაყინს ფხენიდა.  
ურევდა და გამდნარი ნაყინი რძისფერ მოწითალო სოუსად იქცეოდა. ამ ფან-  
ჩატურქვეშ შეფარებულმა ადოლფმა პირი რომ ჩაიტკბარუნა, ყველაფერი  
უფრო ბუნებრივად, უწყინრად და ადვილად მიიჩნია და ზიგფრიდს ჰკითხა,  
რატომ არ შეიძლება, მშობლები ენახოთო. მერე შესთავაზა, მოდი, მათ-  
თან მივიდეთ, წარვუდგეთ და ვუთხრათ — აი გვახელით, შეიძლება ისეთები  
არ უართ, როგორც თქვენ, მშობლებს გსურთ. მაგრამ შეიძლება გამართლება  
იმ ცხოვრებასაც მოეძებნოს, ჩვენ რომ ვეწევიით.

— ნამდვილად სულელი ხარ! — შეჰყვირა ზიგფრიდმა. — სულაც არ  
ვაპირებ ჩემი ცხოვრების გამართლებას! ნეტავ რად მჭირდება, მშობლებთან  
თავი გავიმართლო? ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია!

ამის პასუხად ადოლფმა განაცხადა, თავის გამართლება მუდამ საჭიროა,

თვით ცხოვრების გამოა საქირო, საქიროა ღვთისა და ადამიანის წინაშეც და მშობლების წინაშე რატომ აღარ უნდა იყოს საქირო.

— მამაშენს რად სთვლი — ღმერთად თუ ადამიანად? — ზიგფრიდი

ფრიდმა აღოლფს.

— ცარიელი ფრაზებია, — აღელდა აღოლფი. — შენც ისეთივე მიდრეკილება გაქვს ფრაზებისადმი, როგორც სხვებს, ვისზედაც, გგონია, მალლა ვდგავარო. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ფრაზებს ნეგატიურ, ცინიკურ, განომწვევ მნიშვნელობას ანიჭებ, რაც მე უაზროდ მიმაჩნია და იმას მიჩვენებს, თუ რაოდენ სასოწარკვეთილი ხარ.

— შენ რა, სემინარიაში გასწავლეს, ადამიანები თავის სასოწარკვეთილებაში დაარწმუნო, რომ ამით ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად ფსიქოლოგიურად შეამზადო? — ზიგფრიდი.

აღოლფი:

— მე სემინარიაზე კი არა შენზე ვლაპარაკობ.

ზიგფრიდი:

— დამეხსენ, ისე ეცხოვრობ, როგორც მეპრიალება, არავინ არ მჭირდება.

აღოლფი:

— კარგი, შენ გინდა შენთვის იცხოვრო, გგონია, საკუთარი გზა იპოვე და ეს შენთვის საკმარისია. მაშ რაღა ხარ ასეთი შეურიგებელი? მაგავე უფლებით ჩვენს მშობლებსაც შეუძლიათ თქვან — ჩვენც ისე ვიცხოვრეთ, როგორც გვეპრიალებოდა, ჩვენი გზით ვიარეთ, ჩვენ ასე გვესიამოვნებოდაო.

ზიგფრიდი:

— დიას, სწორედ ასეც იტყვიან.

აღოლფი:

— მერედა შენ რომ მათი ცხოვრების გზა არ მოგწონს?

ზიგფრიდი:

— არა, არ მომწონს, რადგან მათ თავიანთი შეხედულებებით სხვები აწამეს, თავს მოახვიეს ეს შეხედულებები, რადგან მათ ძალით მიმცეს სამხედრო სასწავლებელში, რადგან თმი გააჩაღეს, რადგან ტანჯვა-წვალება თესეს, რადგან უსასრულო ნგრევა გამოიწვიეს, რადგან ჩვენი სამშობლო იმ ქვეყნად აქციეს, სადაც შეუწყნარებლობა, უგუნურება, განდიდების სენი სუფევს, აქციეს საპყრობილეების, სალდაფონებისა და სახრჩობელების ქვეყნად; რადგან ისინი ხოცავდნენ ადამიანებს, ანდა შინ მშვიდად ისხდნენ მაშინ, როცა იცოდნენ, რომ ადამიანებს ხოცავდნენ.

აღოლფი:

— გგონია, ეს აღარ შეიძლება განმეორდეს?

ზიგფრიდი:

— გგონიაო! დღითა და ღამით მეზმანება, როგორ დააბიჯებენ ქუჩაში უავისფერი ჯარისკაცები და მათთან ერთად ერივნული უგუნურება. ამიტომაც მსურს, ისე ვიცხოვრო, როგორც მეპრიალება, სანამ ნაციისტთა ღვთაება ჩერ კიდევ ძალაგამოცლილია და არ შეუძლია, ხელი შემეშალოს. ესაა ჩემი ერთადერთი შანსი.

აღოლფი:

— მერედა რატომ არ ებრძვი იმას, რაც შენი აზრით ესოდენ საბედისწე-  
როდ ვითარდება?

ზიგფრიდი:

— რით ებრძობი?

ადოლფი:

— შეეცადე ადამიანი შეცვალო.

ზიგფრიდი:

— მათი შეცვლა არ შეიძლება.

ადოლფი:

— უნდა სცადო.

ზიგფრიდი:

— შენ თვითონ სცადე. შენი ეკლესია ორი ათასი წელიწადია ამასა  
ცდილობა.

ადოლფი ამას არ იღებდა. იქნებ არ იცოდა, რა ეპასუხა? იქნებ დაინახა,  
რომ არავითარი იმედი არ იყო? მაგრამ პერე დაიწყო:

— შენი მუსიკა? განა შენი მუსიკით სამყაროს შეცვლას არ ცდილობ?

ზიგფრიდმა მიუგო:

— არა. შენ ფანტაზიორი ხარ.

მაგრამ ადოლფი უკან არ იხევდა და დაეინებოდა ჩაპკითხა:

— მუსიკას რად უწერ? რად ჰქმნი სამფონიებს?

ზიგფრიდი:

— მე თვითონ არ ვიცი.

მართლა არ ვიცი? ადოლფი მართალი იყო: შიშის, სასოწარკვეთის, ავ-  
ბედითი ზმანებების საშინელი სიზმრების გამო ვწერდი მუსიკას, ჭკლას ვა-  
ტანდი ძალას, ესვამდი კითხვებს, მაგრამ ვასუხვ ვერ ვიღებდი, არც მე შემეძ-  
ლო მეპასუხა, პასუხი არ მქონდა, პასუხი საერთოდ არც არსებობდა. მუსიკა  
იყო იდუმალი რამ შენობა, რომელსაც შეასვლელი არ ჰქონდა ანდა მხოლოდ  
ვიწრო კარი ჰქონდა და მცირეოდენ ხალხს თუ ატარებდა შიგნით. ვინც ამ  
შენობაში იწდა, აო შეეცალო ვარეთ დარჩენილთათვის გასაგები ყოფილიყო,  
მაგრამ ამ მაგიური ფორმულის მიხედვით აგებულ იდუმალ და უჩინარ შენო-  
ბას ვარეთ დარჩენილთათვის მაინც მნიშვნელობა ჰქონდა. მუსიკა იმიტომ არ  
არსებობს, რომ ადამიანები შეცვალოს, მაგრამ იგი დაკავშირებულია დროის  
ასევე იდუმალებით აღსავსე ძალასთან და ამის წყალობით შეუძლია თდესმე,  
მომავალში დიდ ცვლილებებს შეუწყოს ხელი; მაგრამ ეამთან რას წარმოად-  
გენა საუკუნე ან ათასწლეული? დროს ჩვენი სწრაფმავალი ცხოვრების სა-  
სიზმროდ ვხომავთ, მაგრამ ის მაინც არ ვიცი, რა არის დრო. ვინ იცის, იქნებ  
იგი უფრო მეგობარული, უფრო კეთილია, ვიდრე ჩვენ გვგონია, იქნებ გორ-  
გონაცაა, რომლის შემწარაგი სახე ჯერაც ბოლომდე ვერ ამოგვიცნია. დრო და  
მუსიკა იქით იყოს და ადოლფი მე მალეღებდა, რადგან განა მეც იმას არ  
ვფიქრობდი, ჩვენ, ვაჟიშვილებმა, სხვაგვარი ცხოვრება რომ გვწყურია, იმ  
სხვაგვარი ცხოვრებისათვის უნდა ებრძოლოთ, თუნდაც ეს ბრძოლა უბერს-  
პექტივოდ მიგვაჩნდეს-მეთქი? მინდოდა ადოლფისათვის ხელი ჩამომერთმია.  
მაგრამ ზიგფრიდმა თქვა:

— ჩვენ არ შეგვიძლია დიტრიხს ვძლიოთ. ჩემი ძმა დიტრიხი ყოველ-  
თვის დაგვამარცხებს. შენც დაგამარცხებს, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი

ხარ, შენც დამარცხდები და შემდეგ ღიტიხს, როგორც წესრიგის სახელმწიფოსა და მტკიცე ჩელისუფლების წარმომადგენელს, მხარა მისცემ რათა ბოლოს მაინც წასდეს. თუ თავიდანვე არ წახლო. ახლათა შორის, შენი არაფერია არ მჯერა! არ მჯერა, რომ შენი ღოგმისა შენ თვითონ რაიმე მწიფე კარც ის მჯერა, თითქოს შენ ადამიანის რწმენა გჭონდეს. შენ იმიტომ გაიქვეცი ღმერთთან, მის მხარეზე იმიტომ გადახვედი, რომ ბატონი გჭირდება და შენ გახდები ერთ-ერთი იმ გულგატეხილი და გაბოროტებული მღვდელთაგანი, რომელსაც ღმერთი არა სწამს. გარეგნულად უმწიკვლო მღვდელი იქნები, მაგრამ შინაგან ტანჯვას ვერ გაექცევი.

ადოლფმა მიუგო:

— ეს მე არ ვიცი.

საშინელი ვიყავი, საშინელი, როგორც კალიბანი. ვაი, რომ იქ არ იყო სარკე, მაგიურა სარკე, თორემ ის მიჩვენებდა კალიბანის სახეს, „მოლად გველებით გარშემორტყმულს“. მე ვხედავდი ადოლფის გახეხილ, ზოგან სულ გაწყალეებულ ანაფორას. მაგიდის ქვეშ ვხედავდი მის უხეშ გლეხურ წალებს, თუმცა არ ვუყურობდი. რად ვაწამებდი? რად ვართმევდი სულის სიმხნევეს? იმიტომ ხომ არა, რომ თვით მქონდა სიმხნევე დაკარგული ანდა იმიტომ, რომ სიმხნევის დაკარგვამ ცხოვრებასაგან განზე გამდგარის პოზიციაზე დამაყენა, დამამსგავსა პანის სალამურს. ჭაობთან რომ უკრავა პანი? ნამდვილად სამშობლოს დავეყებ თუ კაცობრიობას იმიტომ ვუხმობ, რომ მასში ისე ჩავიკარგო, ვით ნისლში? რომი იმიტომ მიყვარს, რომ აქ უცხოელი ვარ, ალბათ ვისურვებდი მუდამ უცხოელად დავრჩე კიდევ, გულაჩქროლებულ მაყურებლად. სხევებს კი თავისი მამული სჭირდებათ და თუ სადმე იქნება ისეთი ქვეყანა, სადაც არ იქნება ყიფინა, არ იქნება ალმების ფრიალი და ლაშქრობები, წინ წამოწეული არ იქნება სახელმწიფოებრივი ძალმომრეობა, სადაც თავისუფალი ადამიანები მეგობრულად იქნებიან ერთმანეთთან, მათ გონიერი მმართველები ეყოლებათ, არ იქნება იძულება, არ იქნება უცხოთა თუ აბლობელთა მიმართ ამპარტავნული დამოკიდებულება, განა ასეთი ქვეყანა ჩემი სამშობლოც არ იქნება? მაგრამ ასეთ ქვეყანას სად ვიპოვი? არც მჯერა, სადმე იყოს.

ადოლფს კონცერტზე დასასწრებლად ჩემი ბილეთი მივეცი. ვუთხარი, მღვდლის სამოსით შეგიშვებენ-მეთქი. მე კი არ შემეძლო დავსწრებოდი, ფრანკი არ მქონდა.

ზე ვუთხარი:

— მაგრამ ალბათ წასვლას არ ისურვებ, არა?

მან მითხრა:

— რატომაც არა!

მან მითხრა:

— წაველ.

ლაურა მომჩიბღლელი ღიმილით გამოცხადდა სამუშაოზე, და რაკი ანგარიში არ შეეძლო, ამჯერადაც დრო სწორად ვერ ივარაუდა. ბარი ჯერაც ისევ დაკეტილი იყო; ბატონი არ მოსულიყო, გასაღები ჯერაც არ შეეყარა საკეტში, არც ლამაზ-ლამაზი თფიცაანტები მოსულიყვნენ, არ ჩაეცვათ თავთავიანთი ლილისფერი ფრაკები, ყოველი მათგანი საკუთარ ოჯახში იყო. საშინაო საქმეში ხელს ახმარდა მეუღლეს, ეთამაშებოდა შვილებს და უხალისოდ და აუჩქარებ-

ლად ეშხადებოდა სამსახურში, კომოსექსუალისტებთან წასასვლელად. ვისკა-  
 ნაც ედგათ პირში სული. ლაურა დაკეტული კარის წინ იდგა და აქედან  
 ხედებოდა; ჯერ ვინ ვენეტოს გაუღიმა, შემდეგ დიდ, შავ ავტომანქანას,  
 მელიც ტროტუართან ისე მოსრიდა, თითქოს მარბილი უხილავე ~~ქუჩაში~~  
 გაეცურდაო. მანქანის კარი უცბად გაიღო, იქიდან გამოწევილმა, თქვენს ~~ქუჩაში~~  
 დე გაკრიალეებულმა მოფერმა ისკუბა, სარკესავეთ მბრწყინავი ფეხსაცმელები  
 ერთმანეთს მარტყა და გაიჭიმა. ლაურამ ჯერ მოფერს შეჰლიმა, შემდეგ ღი-  
 მილი იუდეიანს მიუღწეხა, ლაურამ იცნო ეს ლურჯსათვალისანი მამაკაცი, რო-  
 ნელიც, მარათალია, კომოსექსუალისტი არ იყო. მაგრამ ამ ბარა მცირე ხნით  
 მობრძანებით ერთხელ უკვე სცა პატრვი ისე, რომ აქაურობის ამბავი არ იცო-  
 და, იუდეიანს კიდევ სურდა ლაურა ენახა და რაკი ახლა ასე მოულოდნელად  
 დაკეტული ბარის წინ ქუჩაში დაინახა, მაშინვე მიხვდა, ქალს დრო ვერ ევარა-  
 უდნა. იუდეიანმა ააუბარი ინგლისურად წამოიწყო, ეტყობა, ჯერ აღრვა, ბარა  
 იყვ დაკეტულია, ჭიქა ვისკის დასაღვეად გამოვიარეთ, და თავი ისე დაიჭირა,  
 თითქოს ძალზე სწყინდა, დაკეტულ რომ დაბედა: ლაურას ღიმილმა სხივებად  
 შეაღწია ლურჯ სათვალეებში, გაუთბო სული და გული აუჩქროლა იუდეიანს:  
 მისი ღიმილი დიდ ავტომანქანაზე გარშემოფრტყა, რადგან მისთვისაც, რო-  
 გორც ყველა ქალიათვის, ავტომანქანის ძრავის ძალას, ავთასავით შემპარავ  
 სრიალს რაღაც სექსუალური სამბოლოს მნიშვნელობა ჰქონდა, რაც აგრერიგად  
 სამოვინებს მანქანის პატრონს, უნაც ქალურად ემორჩილებიან იმიტომ კი არა,  
 რომ პატრონი, როგორც ჩანს მდიდარი ჯგუფი ან კარგი საქმროა, არამედ  
 ნორჩილების მონღოი ინსტიქტის გამო, რადგან იგი ძლიერი პიროვნებაა, მე-  
 უფვა ცხენის ძაღვებისა, ძალუმად რომ ძგერს და მისი ცხოვრების ავტომანქა-  
 ნას წინ მოაქანება, მათ კი ამას გარდა საკუთარი მოფერიც ჰყავდა, რომელიც  
 ხოთი ბრწყინვალეების წინაშე გაშეშებული იდგა. რა უნდა ექნა? იუდეიანს  
 სურდა შეეთავაზებინა, მეხოტბლად მდებარე საკონდიტროში შევიდეთ, მომწიფ-  
 და აუტატერლიცის გულის ამრევი რაის შემდეგ ნალები მომინდაო. მან წარ-  
 მოიდგინა ლაურას გაფართოებული თვალები, წარმოიდგინა, მისი ოცნებამო-  
 რეული ავხარცული ღიმილი, როცა იგი თვალს გადაავლებდა კომპოტებსა და  
 ტორტებს. იუდეიანმა გაიფიქრა, მთელ ამ საქრის ატმოსფეროს კონიაკით  
 შეგვამაზავო, მაგრამ ნიბატიყებიაას ინგლისური პიტყვები ერთმანეთში აერია,  
 ეხა დაემა, — პატრონა გოტლიბი გაკვეთილებს არ სწავლობდა, — და რაკი შეამ-  
 ჩნია, რომ ქალა ავტომანქანას შესცქეროდა, ღიმილით შესთავაზა, მანქანით  
 გაეისტირნოთო. მას თავპატიყი არ გამოუღია, როცა გაჭიმულად მდგომმა მო-  
 ფერმა კარი გამოუღო, ავტომანქანაში ჩაჯდა და — ასეთი არიან ქალები —  
 ღიმილი ბადეში მოჰყვა.

ისინი ხელა გასრიალდნენ, თითქოს უხილავი კავები უხილავ ყინულზე  
 მიცურავდნენ, მათ ქვეშ კი, ჯოჯოხეთში, ფერებს დაღანი გაუდოდა, ბობოქ-  
 რობდნენ გნომები, ერთმანეთში ირეოდნენ კობოლდები, კბილებს აკრატუ-  
 ნებდნენ ჯოჯოხეთის ქალიათები, ყველა რაღაც მოლოდინს შეეპყრო, აღვიცებ-  
 დნენ უხილავ ცეცხლს, აღში ეხვეოდნენ; ავტომანქანა გასცდა პორტა პინჩანას.  
 ვილა ბორვეზეს პარკთან გავიდა, ბადეში მოყოლილი ღიმილი თბილსავარძლიან  
 სალონში იხარჯებოდა; სასიამოვნოდ მისრიალებდა მანქანა მწვანე ბეივანში,  
 ლაურა სახურგეს გადააწოლოდა, გვერდით მჯდომი ლურჯსათვალისანი კაცი შე-  
 იძლება მისი მეფე ფარუკი იყოს, ნავთობის მაგნატი, მას დიდი ხელები



პკონდა, ის არ იყო ჰომოსექსუალისტი. იუდეიანი შესცქეროდა ქალის წელს. მის ყელს, იმას, რისთვისაც შეეძლო ხელი შეეცლო, მას სძულდა ეს ცხოვრება, სძულდა ამ ჯილაგის ქალები, მხოლოდ ომის აღმდგენი მხარე მინდოდა ანდა საროსკიპოში, იქ ფულს იხდიდა, შიშვლდებოდა ანდა მხოლოდ მისი შიშვლდებოდა, მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, ხარბად ისუნთქავდა ქალის სუნამოპოპკურებული სხეულის სუნს, მაგრამ ამასთან ერთად ნათლად გრძობდა მთელი პროცესის ხორციელობას, მეტე საპნიანი ხსნარიც გაჩნდებოდა ანდა — საფრთხილისათვის — სანიტარული ნაწილის ეფრეიტორი პროფილაქტიკური საშუალებებით: ეს კი, აგერ რომ ზის, თავისუფალი კურტიზანია, თავისი ღიმილით იგი ადასტურებდა ქალის თანასწორუფლებიანობასა და ადამიანის უფლებებს, ფუი ეშმაკს, — ადამიანის უფლებებით, ვიცით ასეთები: იუდეიანმა მარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი. ასეთს შეუძლია მთლად დავიმორჩილოს, კაცო უბადრუკ ჩვრად გაქციოს, ასე ხდება სამხედრო საიდუმლოებათა გაცემა, ასე გეცემა სახელმწიფოები, — პატარა ვოტლიბისათვის ეს კარგად იყო ცნობილი, იუდეიანმა ჯიბეში იელი წაატანა რბილ-მქისე, ნაზ-მაგარ საგანს, თავივით ჩაუცურდა ხელში — ეს იყო აუსტერლიცის ნაჩუქარი უბმო პისტოლეტის ბუდე.

მათ ჩაუქროლეს ტბას და მის პირას აღმართულ რომელიღაც ტაძარს მიადგნენ. ნეტავ აქ ხომ არ ცხოვრობდა სიყვარულის ქალღმერთი? იქნებ ამ პარკში ბინადრობს? ცამ ღრუბლები გადაიკრა, ხეები სიკვდილის ველის სილურჯეში გაებვიჯნენ, ამ ფერმა ჯერ კიდევ მაშინ შეაშინა იუდეიანი, როცა რომისკენ მოფრინავდა: ნამდვილად ასეთი იყო გერმანული ტყე; ამ ავტომანქანასავით წყნარად, რბილად მიაბიჯებდა ჩექმიანი ფეხი ხავსითა და წიწვებით მოფენილ მიწაზე, მეგობარი წინ მიდიოდა ბუჩქნარში, სადაც შავი რაიხსვერო თავის მსხვერპლთ ხვრეტდა. მოლალატე, მოლალატე, მოლალატე — ჩხაოდნენ ყვავები, იუდეიანმა პისტოლეტი ჩაბლუჯა, მეგობარი მიწაზე დაეცა: მოლალატე, მოლალატე, მოლალატე — ჩხაოდნენ გაბარჯდული მუხების კენწეროებზე შემსხდარი ყვავები; ველზე ყვავილი აყვავებულა, ჩემი გოგონა გადარეულა: სევდა, სევდა მამულისა: არა, ეს იტალიელი გოგონა მის გვერდით რომ ზის, შავგვრემანი არ არის, შავია აბანოზის ჩესავით, ალბათ ებრაელია, ალბათ კი არა, ნამდვილად ებრაელია. გამცემი შერეული სისხლის ნაშიერი, ზის მის გვერდით და იცინის, სისხლივით წითელი ბაგეები გაუღია, ალბათ მას დასცინის, სახეც სისხლივით წითელი აქვს, თოვლივით თეთრია, არა, მთლად თოვლივით თეთრი კი არა, თითქმის თოვლივით, აი ისეთი თოვლივით, მის სამშობლოში, გერმანიის ტყეში რომ იცოდა, იქ გვამებიც თეთრი იყო თოვლივით, ეს პარკი კი ლურჯია, და ეს სილურჯე იტალიური პარკისა, სილურჯე იტალიური ბუჩქნარისა, რომის ხეების ეს უხვი, გულისმომკვლელი სევდით სავსე სილურჯე, მასთვის აუტანელი გამზდარიყო. ცხენის ძალები მათ ჯოჯონეთის უფსკრულისაკენ მიაგელვებდათ. ჯარისკაცურად გაჭიმულ, გაუნძრევლად მჯდარ მძლოლს უხეშად უბრძანა, ვია ვენეტოსკენ შემობრუნებულიყო, საიდასაც წამოვიდნენ, სადაც არიული სათავეები იყო, იქნებ ევასთანაც მისულიყო. ბარის კარი უკვე გაეღოთ, ლილისფერ ფრაკებში გამოწყობილი ლამაზ-ლამაზი ოფიციანტები დაობლებული საღაროს ირგვლივ მიმოდიოდნენ, იუდეიანს უნდოდა ლაურა ავტომანქანიდან გადმოეგდო, მოფერმა კარი აჩქარებით გამოაღო, სანიშნოდ გაიჭიმა, მაგრამ ლაურა ისევ ყოყმანობდა: იღიმებოდა, წელი

ვიწრო ჰქონდა, ყელი მაღალი, იღიმებოდა აბანოზის ხესავით შავი, სისხლი-  
ვით წითელი, თოვლივით თეთრი, იღიმებოდა თავისი მომხიბვლელი ღიმილით  
და აშკარად რალაცას ელოდა და იუდეიანმა მას პაემანი სალამოს დაუხიბა.  
ლაურა სალაროსკენ გაემართა და იქ მისვლამდე დააცხრო ბარმენის გაცხა-  
რება, საბრალო ბავშვს ანგარიში არ შეეძლო. ამ ახალი მეგობრის უცნაური  
ბუნება მას ბევრ რამეს აღუთქვამდა.

სარკმელში ჩახჩახა მზე შემოდინდა, შავებჩაცმულნი, თითქოს აჩრდილ-  
თა თეატრის სილუეტები არიანო, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ გაფითრებუ-  
ლები, კაცს მღვდლის შავი სამოსი ეცვა, ქალს შავი სამგლოვიარო კაბა. ადოლ-  
ფი გაფითრებული იყო იმის გამო, რომ დედის ოთახში შესვლა აშინებდა,  
ხოლო ევა იმის გამო, რომ შვილის გარეგნობამ შეაძრწუნა. ევას სტანჯავდა  
ადოლფის დანახვა ფორმაში იმ ხელისუფლებისა, რომელიც მისი რწმენით ებ-  
რაელ ნაძირალებთან, ოკეანის გადაღმელ პლუტოკრატებთან და ბოლშევიკ  
ურჩხულებთან სამარცხვინო კავშირით ხელს უწყობდა რაიხისზე, არიელთა  
მიერ მთელი მსოფლიოს გაბედნიერებასა და გერმანელთა ბატონობაზე ამაღ-  
ლებული ოცნების განადგურებას, და ვინ იცის — სამუდამოდაც ევა უკვე  
მიეჩვია, რომ გამცემლობა თავბედურად წარუდგებოდა ხოლმე და თავსაც არ  
ხრიდა. გერმანელი ქალები ურცხვად მიმოდინოდნენ ზანგებთან ხელკავგამო-  
დებულნი, ქვეყნის გამყიდველები მინისტრები გაჩნდნენ. ასეთ რამეს ევა უკვე  
მიეჩვია. იგი მიეჩვია თვით ნაციონალისტურად განწყობილი გერმანელები-  
საგან სისუსტისა და ეგოიზმის გამომხატველი სიტყვების მოსმენას, ისინი ყვე-  
ლაფერს ეგუებოდნენ, ალბათ ჩუმჩუმად იფურთხებოდნენ კიდევ, მაგრამ  
მდგომარეობის შეცვლითაც სარგებელს ნახულობდნენ. მისი ვაჟიშვილი კი?  
მისი ვაჟი და მოღალატეთა ბანაკში, რაიხისადმი მტრულად განწყობილი რო-  
ნელი ხუცეების დედაკაცურ კაბაში?! ნუთუ იგი კავშირშია იმ საერთა-  
შორისო ხროვასთან, რომელიც ებრაელებივით საშობლოდაკარგულებისაგან  
შედგება! ეს არ იყო მხოლოდ ჭრილობა, რომელიც ევას მწარედ სტკიოდა, ეს  
არ იყო მხოლოდ ცეცხლი. გულს რომ ეკიდა, ეს იყო დანაშაული და საყვე-  
დური, რომელსაც იგი საკუთარ თავს აძლევდა. საიდან გაჩნდა ეს უვარგისი  
თესლი? მისი საგვარტომო ნუსხა გულმოდგინედ იყო გამოკვლეული და არი-  
ულ წარმომოხაში ექვის შეტანაც არ შეიძლებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა,  
ასეთ დაცემას ადოლფი მაინც ვერ გადაარჩინა. აღსაზრდელად ნაცისტთა სასწა-  
ვლებელში მისცა, მაგრამ ასეთ დაცემას მაინც ვერ გადაარჩინა. სკოლა დაინგ-  
რა, ადოლფმა უღალატათ, განსაცდელის ეამს მშობლების საქმის მოღალატე  
აღმოჩნდა. მოღალატეებს ასამართლებენ. მათ ხეზე ან ელექტრონის ბოძზე  
ჰკიდებენ, მკერდზე კი სამარცხვინო წარწერას ადებენ. ნუთუ ევა მოვალე  
არ არის ადოლფი აქედან მიაბრძანოს? მათ შორის არავითარი საერთო აღარ  
არსებობს, მაგრამ მაინც მისი ვაჟიშვილია, მისი სისხლი და ხორცი და უცბოდ  
ახლა ამ პირფერულ ანაფორაში ეჩვენება. ადოლფმა თვითონ შეიბორკა თავი  
ჯვრით, თვითონ მიეჩაჭვა იუდეველთა ქვეყნიდან გავრცელებულ მოძღვრებას.  
ჯვარი ეკიდა სამოსზე, ეკიდა ჯაჭვით, რომელმაც იგი შებორკა, მტრის ბანაკში  
ამოაყოფინა თავი და არ იყო ისეთი ყლორტი, დედას რომ სურდა, ის არ იყო  
არც მამა-პაპათა საქმის განმგებლობი, მათი ჯავრის ამომყრელი, მაგრამ მისი  
შვილი იყო: დედამ იმიტომ გაუშვა ადრე შინიდან, რომ ვაჟკაცად ჩამოყა-

ლიბებულიყო, ის კი ქალაჩუნად ქცეულიყო: ქალს ხისუსტე მოეძალა, გამტენს კარი არ უჩვენა, მხოლოდ გულს გარეთ ჰკითხა:

— რისთვის მოხვედი?

ადოლფს გული ყელში მოეპჯინა. მღელვარება ხმის დასრულებით ნებას არ აძლევდა, იღოვა წაიღულღულდა:

— შენს სანახავად. — თითქოს საკმარისი იყო სკამის აღება, ზედ ჩამოგდომა, მცირეოდენი გაბაასება და ორივე მათგანი ერთმანეთის გავლილ ვზაასა და ნამოქმედარს აღიარებდა, მაგრამ დედა არ ფიქრობდა ვაჟისათვის სკამის შეთავაზებას, მისთვის თუნდაც ერთი საათით დედური სიბოძის განიარებას, კვლავ ფანჯრისკენ შებრუნდა, კვლავ ვაუნძრევლად დააშტერდა ეზოში დაღმბულ ცარიელი ბოთლების მთას, რომელიც ამჟამად მზეზე ლაპლაპებდა, თითქოს ზემოთ მთვრალ საღამოს გზავნიას, და კვლავ შემოესმა სამხარეულოდან უცხო და მომამბეზრებელი ხანგური სიმღერა.

— მამა რომშია, — თქვა ადოლფმა.

— შეეცადე, არსად შეხვედე, — ჩაიღუდუნა დედამ, — მღვდლები არ უყვარდა.

— უკვე ვნახე, — თქვა ადოლფმა და უსერხულად დაუმატა, — ციხეში, ეს იყო სიტყვა, რომელმაც ევა გახვევებიდან გამოიყვანა. ეს იყო ხსნა, გამართლება, როგორც იქნა აღსრულდა მისი ნატერა, ეს სიტყვა გახლდათ გმირობისა და ჰეროიკული მაგალითის მაუწყებელი. მაშ იუდეიანი ციხეშია, მაშ დაუტყერიათ, დიდი ხნის წინანდელი სამარცხვინო განაჩენი ძალაში ყოფილა. მას აღასრულებენ, იუდეიანი ვალჰალაში მოხედება და მათი ცოლქმრული კავშირი კვლავ გამართლებული იქნება.

— სად არის იგი? — შესძახა ევამ. მაგრამ როცა ადოლფმა უთხრა, არ იცით, ევამ შეიღეს საძულველ ანაფორაში ჩაავლო ხელი: — მითხარი, ჩქარა მითხარი!

ადოლფსაც რაღა ძალა ჰქონდა, მოუყვა, როგორ ნახა მიწისქვეშეთში, ის კი აღარ უთქვამს, როგორ მიაშარდა ყველაზე მკაცრად დასასჯელის ორბოს, ევამ ჯერ ვერ გაიგო, რა საპყრობილეზე იყო ლაპარაკი, რა ციხესიმაგრეზე, რა წყაში იყო პაპია ციხე, პაპმა შეიპყრო იუდეიანი თუ სადღაც მიწისქვეშეთში იყო იმიტომ, რომ იქიდან თავიანუფალ კაცად, კობწია ბატონად ამოსტლიყო საპყრობილის ეს თავგადაუპარსავი სტუმარი. როგორც კი ქალი მიხვდა, დაახლოებით მიხვდა, რაც იმ მიწისქვეშეთში მოხდა, გაიფიქრა, მასუღლელებნო, სუ კი ამ ოთახში გამოვეკეტეღვარ და გმირზე ვგოდებო, და ბარხარა მოჰყვა ეს ზრდილოელი ერიანია, მერე ორივე გამოლანძღა, მამაც და შვილიც, ლაჩრები უწოდა, საპყრობილეების სანახავად მოსიარულენი, რომლებიც ერთმანეთს ციხეში დამალობანას ეთამაშებიან: ციხეებს არ ათვალთვრებენ, ციხეებს უსჯიან, ციხეში ან შენ ჰკლავ ან შენ გალავენ, ჯერ იმის დრო არ დამდგარა, ამ ქალაქში ციხეები დაათვალთვრო, თითქოს დირსშესანიშნაობანი იყოს, ქალაქისა, რომელიც იუდეიანს შეეძლო მიწია პირიდან აღეგავა.

— მაგ შენა პაპსაც ჩამოჰკიდებდა და მის ციხესაც ჰაერში ააფრენდა, — ეცვიროდა იგი ეავს, რომელიც მია წინაშე იდგა და ცაბცაბებდა, — დიახ, მაგ შენა პაპსაც ჩამოჰკიდებდა, მაგრამ, ეტყობა, ამდენი ჰკუა არ ეყო, ანდამეტის-ნეტად ლაჩარი აღმოჩნდა, ვინ იცის, იქნებ ისიც უკვე მაშინ ადგა დალატის გზას და ფიურერმა კი ამის შეაახებ არაფერი იცოდა, ფიურერს ყველა ატყუ-

ეხდა და უმაღლედ, რომ პაპის ჩამოხრჩობაც საჭირო იყო.

ევა ნამდვილი ფურია იყო. ხომ არ დაჩოქილიყო ადოლფი და ან ელიცა? ელოცა დედის გამო, რომ მისთვის ეს საშინელი სიტყვები შეესდო/დნერთა? ადოლფმა ესლა თქვა:



ერჩენული  
ქმეჩენული

— დამშვიდდი რა, დედა, — და მაშინვე იგრძნო, რა უადგილო სიტყვები აბლა, როცა გაცხარებულმა დედამ საყვედურები მიაყარა. ჯერ იფიქრა, რაღაც ავსულმა თუ დარია ხელი დედაჩემსო, მაგრამ არც ისე ძლიერ ჰქონდა რწმენა გამჭდარი, რომ ავაულის არ ებოძა ერწმუნებინა, ავაული, რასაკვირველია, არ არსებობა, ეუბნებოდა იგი თავის თავს, და დედაჩემს. მან კი არ დარია ხელი, არამედ ავსულმა იდეამ. მაგრამ რა ჯაღო სიტყვით განვდევნო იდეა, დედაჩემია ანუთ გახელებას რომ შევებრძოლოო. — თავს იმტვრევდა ადოლფი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, მან არ იცოდა, უღონო იყო. „ზიგფრიდი მართალია, ჩვენ და ჩვენი მშობლები ერთმანეთს ვერ გავუგებთ,“ ფიქრობდა ადოლფი. წაავლა აურდა, წასვლის დრო იყო, მაგრამ დედა ებრაელებოდა, გრანობდა, დედა იტანჯებოდა. გრძნობდა, დედამისი თავისივე იდეებია აღში იწვოდა და სულში ჯოჯოხეთი უტრიალებდა. ავსული რაღა საჭირო იყო, საკუთარი თავისთვის თვითონვე გამხდარიყო ავსული და თვითონვე იტანჯავდა სულსაც და ხორცსაც. ადოლფს სურდა დედის მაგივრად ელოცა, თუმცა ამ წუთს ჰეშმარითი რწმენა გულში არ ჰქონდა.

იუდეიანი მოვიდა. მთელი ოთახი აავსო. ხარივით ჩაფაცვნილმა და დაბარღვულმა მთელი ოთახი გამოავსო. ისედაც პატარა ოთახი ათულ დაპატარავდა. თითქოს ათულ შეიკუმშა, თითქოს კედლებმა ერთმანეთი აკენ მიიწიეს, ჰერმა კი იატაკისაკენ დაიწია. იუდეიანი ევასთახ მივიდა, მოეხვია და უთხრა:

— ჰმუნვას შეუპყრიხარ, ჰკლოვობ?

— ჰო, ეგლოვობ, — მიუგო ევამ და გაიფიქრა: აი ის მოვიდა, მოვიდა. მაგრამ ვალჰალადან არ მოსულა.

იუდეიანმა თქვა:

— ვიცი, — და ევა საწოლისაკენ წაიყვანა, ლოგინზე დასვა და გვერდით მიუჯდა. მერე ოთახს მოავლო თვალი, პატარა ოთახს, რომლის ფანჯარაც ეზოში ვადიოდა, სამზარეულოდან ზანგების სიმღერა შემოესმა, ფიბრის ჩემოდანი შეათვალიერა, მაგარი და იაფი, და იატაკის ზანდუკები გაახსენდა. წათ რომ ჰქონდათ. — ებრაელები არიან დამნაშავენი, — თქვა იუდეიანმა.

— ებრაელები, — მიუგო ევამ.

იუდეიანმა ანაფორასი გამოწყობილ ვაჟიშვილს შეხედა, მზეზე იდგა ჩამავებული, მტვრიანი, გასაცოდავებული. ჯვრის ძეწკვი ხელზე დაეხვია და ჯვარი მათკენ მიექცია, სახეზე ცვილისფერი დასდებოდა, ეტყობოდა „ლოცულობდა“.

— ლალატი იყო, — თქვა იუდეიანმა.

— ჰო, ლალატი, — გაიმეორა ევამ.

— ებრაელები, — თქვა იუდეიანმა, — უსახლკარო ებრაელები.

— ჰო, ებრაელები, — გაიმეორა, ევამ, — უსახლკარო ებრაელები.

ადოლფი შესცქეროდა ლოგინზე ჩამომსხდარ მშობლებს და გაახსენდა ლაოკოონი და მისი ვაჟიშვილები საბერძნეთის სანაპიროზე: ბოროტებისა და

მხანისმფრქვეველ უხარმანარ გვეღეცა მისა მშობლები გადაყვალათ მთლიანად. ადოლფი ლოცულობდა, „მამაო ჩვენოს“ ამბობდა.

— ბროლოას განაგრძობ? — ჰკითხა ევამ იუდეიანს.

— მე მათ ვუჩვენებ სეირს. ყველას ვუჩვენებ სეირს. იუდეიანმა.



ქალი ქმარს შეაცქერდა და მისმა დაბინდულმა ცისფერმა თვალებმა უფრო მეტი რამ დაინახეს, ვიდრე შეეძლოთ; მისმა თვალებმა ბინდი გადაიყარეს და თითქოს ყოფიერებია ბურუსში შეაღწიეს. იუდეიანის არც ერთი პიტყვა არა სჯეროდა — ის ვალჰალადან არ მოსულა. მაგრამ ევამ იხილა სიკვდილი, რომელიც იუდეიანს ზურგსუკან ჩასაფრებოდა. სიკვდილის ხილვას ევა არ შეუკრთია. სიკვდილი ყოველივეა გააწორებდა. იგი გმირს ვალჰალასკენ გააცილებდა. იუდეიანი შეჰყურებდა ევას მოღრუბლულ სახეს და ფიქრობდა: „ძალიან დაბერებულა, ასეც ვფიქრობდი“. მერე გაიფიქრა: „ის ჩემი მეგობარია, ის მაინც ჩემ ერთადერთ მეგობრად დარჩა“. ვრძნობდა, როგორ თბებოდა მის ხელში ჩადებული ქალის ხელი.

— მე დავბრუნდები გერმანიაში. პფაფრატა მოველაპარაკები. მოლატენებს ვუჩვენებ სეირს. მე იაეე უწინდელი იუდეიანი ვარ! — თქვა მან.

იაეე უწინდელი, ჯერაც ისევ დიდი იუდეიანი იყო. ია მართლაც დიდი იყო ამ პატარა ოთახში. ის ისეთივე დიდი იყო, როგორც პატარა გოტლიბის წიდილი. და მან ძველებურად გააცა ბრძანება. უბრძანა ევას, ახლავე აქედან შინ გაემგზავრეო. დიდი საფულედან საძილე ვაგონისათვის საკმარისი ფული ამოიღო და ევას გადასცა. სახლის საყიდლად ფულს მერე გამოგიგზავნიო. მერე საფულედან ომის შემდგომი დიდციფრიანი, წვირიანი იტალიური ბანკნოტები ამოიღო და ადოლფს ლოცვად შეერთებულ ხელებში ჩასჩარა.

— იყიდე რაიმე საჭმელი, გინდა გემოზე გამოთვერი, გინდა გოგო დაითოე, თუ კიდევ კაცობა შეგერჩა. — უთხრა იუდეიანმა. ამან ცოტა გაამხიარულა.

ფული ადოლფს ხელებს სწვავდა, მაგრამ დაბრუნება ვერ გაუბედა, ბანკნოტები ჯვართან ერთად ჩაებლუჯა. იუდეიანმა ცოლის მცირეოდენი ნივთები შეაგროვა და უშნო იაფფასიან ჩემოდანში ჩაყარა. ქალი ადგილიდან არ იმარეოდა. ქმრის ფაციფუსს შესცქეროდა. უხაროდა, იუდეიანი რომ მბრძანებლობდა, ფაციფუსობდა, მაგრამ მის თვალებს არ სწამდათ იუდეიანისა, ისინი ეაცის ზურგს უკან ჩასაფრებულ სიკვდილს უმზერდნენ, ხედავდნენ, რომ უკვე დიდი ხანია იგი ვალჰალასკენ მიმავალ გზას ადგა, გმირთა კრებულის გზას. სულ ერთი იყო, რა აკეთებდა იგი აქ ან რა მბრძანებლობდა; ქალი გულგრილად ემორჩილებოდა, ქმარს ხელკავი გაუკეთა და გასცილდა ზანგურ სიმღერას, გასცილდა ეაფს, უცხო და მტრადქცეულ არსებას. ებრაელები, ლალატი, პაპი, იუდეიანმა მიიჩნია, რაკი ვაჟიშვილს ომისშემდგომი დიდციფრიანი წვირიანი სასკაატები მიაცა, მოვალეობაც მოიხადა, და როცა დედა ოთახიდან გამოჰყავდა, ადოლფისათვის ზედაც აღარ შეუხედავა.

იერმანელთა ააყვარულ ააატუმროს დარბაზში იანნი პფაფრატება გადაეყარნენ. ვაჟიაფრად თამწვარი ექსკურსანტებ- გამხიარულელებული მობრუნებულებიყვნენ ძველი ბროლოების ადგილების ნახვის შემდეგ, გამხნევებულნი და ვახალისებულნი სმამალლა ლაპარაკობდნენ. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფ-

ოატმა ევას გვერდით იუდეიანი რომ დაინახა სასტუმროში, გაოცება და შეშფოთება დაეტყო.

— ცოლს სადგურში გავაცილებ, მისი ოთახი არ მომეწონა. ჩვენ შემდეგ კიდევ მოვილაპარაკებთ. — თქვა ქვისლის შეკრთომით გახარებულმა ჩხტნქლმ ახმა ქვისლის სახემ ხუმრობის ხასიათზე დააყენა და მიაძახა: — **საკონცერტო** ზე არ მიდიხართ? დღეს ხომ თქვენი შვილის მუსიკას ააჟღერიალებენ!

მაგრამ თითქოს დაცინვაზე სამაგიერო მიეზლო, იუდეიანს დარბაზში შავი ჩრდილივით ადოლფი გამოჰყვა. იგი ნაღველისა და მწუხარების ჩამომხმარ აჩრდილს მოგაგონებდათ. რა შეეძლოთ მისთვის ეთქვათ? პფაფრატებმა უხერხულად აარიდეს თვალი. იგი ამ დღის განწყობილებას აფუჭებდა. ეს ჩამაცებული ფიგურა ბალთაზარის დარბაზში გამოცხადებულ მენეტეკელს<sup>68</sup> ჰგავდა. მაგრამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დიტრიხი მისკენ გაეშურა, მიუახლოვდა და უთხრა:

— გამარჯობა, ადოლფ. ალბათ ოდესმე კარდინალი გახდები. არ ღირს შენთან ურთიერთობის წახდენა.

ფიგურა არ მქონდა, თუმცა შემეძლო მეყიდა, ანდა მექირავა, რომში ხომ ბევრი ფრაკების გაქირავებით ცხოვრობდნენ, მაგრამ არც ყიდვა მსურდა და არც ქირაობა; მუსიკის მოსასმენად ფრაკის ჩაცმა აუცილებლად არ მიმაჩნდა.

თეთრი პერანგი ჩავიცვი. ტრევის მოედანზე შადრევანი ჩხრიალებდა. არ დამიბანია. მსურდა თეთრ პერანგქვეშ ტიბრის ცოტაოდენი სურნელება შემომენახა. ტრევის შადრევანი ჩხრიალებდა. შავი კოსტიუმი ჩავიცვი. ეს რომაული კოსტიუმი არ იყო მოხდენილად იტალიურ ყაიდაზე გამოჭრილ-შეკერილი. ტრევის შადრევანი ჩხრიალებდა. ჩემი კოსტიუმი გერმანული იყო. მეც გერმანელი კომპოზიტორი გახლდით. მე ვიყავი გერმანელი კომპოზიტორი რომში. მოედანზე შადრევანი ჩხრიალებდა. წყალი აუზში ეშვებოდა. აუზში ფულიც ცვიოდა. ღმერთები და მითიური ქმნილებანი მადლობას არაფრით გამოხატავდნენ. უცხოელი ტურისტები შადრევანს ღირსშესანიშნაობათა თაყიანთი სიიდან შლიდნენ. შადრევანი დაათვალიერეს, წყალი და ღმერთები სურათზე აღბეჭდეს, მოსავეალი მისგან მთლიანად აიღეს, შადრევანი მებსიერებაში ჩაიბეჭდეს და მოგზაურობის ერთ მოგონებად აქციეს. ჩემთვის იგი პიზმარი იყო. ბიჭები იღებდნენ ფულა, რომელსაც ტურისტები წყალში ყრიდნენ. ლამაზი ბიჭები იყვნენ; მოკლე შარვლები მოხდენილ კანკებზე აეკარწახებინათ. თეთრ პერანგსა და შავ კოსტიუმში გამოწყობილი სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი შადრევანის კიდეზე. სიამოვნებით ვუმზერდი ამ ბიჭებს, სიამოვნებით ვაკვირდებოდი ამ ლამაზ-ლამაზ, ფულზე დახარბებულ რომაელ ბიჭებს.

საკონცერტო დარბაზისკენ დიდძალი ავტომანქანა მოისწრაფოდა. წარამარა გაისმოდა პოლიციელის სასტვენის ხმა. მისი ხელთათმანები მოხდენილ თეთრ ფრინველებს წააგავდნენ. მოდიოდნენ შაქმანიანი ახალგაზრდა დედოფლები, პირბადეჩამოფარებული ხანდაზმული ქალები, ვარცხნილობები ბრილიანტებით შეემკოთ, მოდიოდნენ რეკლამის გრაფები და საგარეო საქმეთა სამინისტროს გრაფები, ცნობილი თალღითი სასიძოვები, უსიამოვნო უსტარების გადაცემა-გადმოცემაში გაჭაღარავებული დესპანები, მოდიოდა ფიფქიას დედა. ყველას წინ უაწრებდნენ თხუპნია გოგოს დები, ისინი სილამაზის დე-

დოფლებად ევლინებოდნენ იქაურობას და ფოტოგრაფებიც მაგნიტის შუქით ანათებდნენ: აცეკვებული მემოდელეები თავმომწონე მანქანების დახმარებით ცდილობდნენ თავიანთი საქმიანი ოცნებებისათვის მიეპყროთ საზოგადოების ყურადღება, ეკრაზის ცნობილი ვარსკვლავები ლამის მარჯვენა ხელთქნაობდნენ ნორჩ მდიდარ გოგონებს და ყველა მათგანი საგანგებოდ პატრივს მიავებდა მუსიკას, ესენი წარმოადგენდნენ უმაღლეს საზოგადოებას, შეუძლებელი იყო მათი ურთიერთისაგან განსხვავება, მათ ერთი სახე ჰქონდათ, კრიტიკოსებს მათთვის ჩვეული ნიღაბი აეფარებინათ, გამომცემლებს კეთილმოსურნეობით სახე მთვარესავით გაბადროდათ, მენაჯერებს ყველას დასანახად გაშოეფინათ თავიანთი მგრძობიარე ავადმყოფი გულები. წითელდროშებიანმა სატვირთო მანქანამ გვერდით ჩაიგრიალა. პროკლამაციები პოლიციელის თეთრი ხელთათმანების ზემოთ შურიანი რუხი ბელურების გუნდივით აფართხალდა. დაცემულა ჯუნგლების ციხესიმაგრე. მაგრამ ვის ჰქონდა ამის დარდი? ბირთვა ზუსტად რეაგირებდა. ალა-ხანი არ გამოჩენილა. ზღვისპირას თავის ვილაში უცდიდა პოკუსაის „ტალღას“. მაგრამ სააქციო საზოგადოებათა სამეთვალყურეო საბჭოს სულ ცოტა ათი წევრი მაინც მოვიდა, ისინი იცნობდნენ ერთიმეორეს და სალამ-ქალამი გააჩაღეს. ქალები სულ ქალღმერთებს ეჯიბრებოდნენ. ქუდი არ მეხურა, თორემ მოვუხდიდი აქ თავშეყრილთ — ისინი იყვნენ ჩემი მფარველები და მარჩენალები, თვით მრეწველობაც კი იყო აქ წარმოდგენილი, რომლის მესვეურებმაც ცნობილ ფილოსოფოს-პესნიმისტებთან კონ-ულტაციის შემდეგ მუსიკალური პრემია დააწესეს, ხოლო მრეწველობის პრემიას პროფკავშირების პრემია უნდა მოჰყვეს, ფორდის სახელობის პრემიას — მარქსის სახელობისა, მეცენატობა თანდათან ანონიმური ხდება, მოცარტი ბრწყინვალე ბატონების კამერდინერი გახლდათ, ვიღაც კამერდინერი ვიყავი მე, ვისაც თავისუფლება მსურდა, და სად არიან ავგუსტინეს დიდი აღამიანები, რომლებიც შრომის შემდეგ სულის აღსადგენად მუსიკას ეძლევიან? მე სულს ვერსად ვხედავდი. ეტყობა, ძვირფასი სამოსი ფარავდა.

იქნება იმიტომ ვიყავ გამწარებული, რომ ფრაკი არ ვიყიდე. ვინ უნდა ესია მოვინებინა ჩემს მუსიკას? საერთოდ კი უნდა ახარებდეს ვინმეს? მან უნდა შეაშფოთოს მსმენელი. მაგრამ აქ იგი ვერავის შეაშფოთებს.

ქანდარის შესასვლელთან ფოტოგრაფები არ იდგნენ. იქ შედიოდნენ ყმაწვილკაცები, გოგონები და, საოცარი იყო, მაგრამ მთლად მოხუცებიც. ხელოვანს სურს ირწმუნოს, ახალგაზრდობა მის მხარეზეა, და როცა ქანდარა ტაშს უკრავს, იგი ფიქრობს — მომავალი ჩემიაო. ნეტავ ესენი თუ დაუკრავენ ტაშს? ნუთუ ამ ამაყი ღარიბი გოგონებისათვის დავწერე მუსიკა? ისინი ზედაც არ მიყურებდნენ. ეს ღარიბი ყმაწვილკაცები? ესენი, ალბათ, სტუდენტები არიან, მომავალი ატომური ჯადოქრები, რომლებიც მუდამ იმ საშიშროებაში იმყოფებიან, რომ მოატაცებენ ან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაგლეჯავენ, შესაძლოა მხოლოდ მომავალი ფინაგენტები ან კბილის ექიმები არიან, მე კი ავგუსტინეს განსაკუთრებული მსმენელები მენატრებოდნენ. შემოვიდა რამდენიმე მღვდელი და რამდენიმე ახალგაზრდა მუშა. ნეტავ თუ აადელვებთ მათ ჩემი მუსიკა? რა ძალიან მსურდა ამ ახალგაზრდებში, ახალგაზრდა მკვლევარებში, სტუდენტებში, მუშებში, მღვდლებში, გოგონებში ჩემი კაშერადები შემეცნო: მაგრამ სიტყვა „კამერადი“ ახალგაზრდობაშივე თავს მომახვიეს და შემაზიზღეს.<sup>69</sup> როცა მე ისინი, სტუდენტები და მუშები დავი-

ნახე, ესეც გავიფიქრე: „პროლეტარებო და ანტელიგენტებო, შეეკრებიან მაგრამ მათი გაერთიანებისა არ მჯეროდა, არ მჯეროდა, რომ ასეთი გაერთიანებისაგან ახალი სამყარო წარმოიშობოდა, ჰიტლერმა, იუდეიანმა, ჩემმა თანამედროვემ და არმიაში სამსახურმა წაძარტვა ყოველგვარი გაერთიანების რწმენისა და მივესალმე იმ მცირერიცხოვან მოხუცებს, რომლებიც ახალგაზრდებში გარეულები ოლიმპზე აღიოდნენ; ისინი მარტონი იყვნენ და ალბათ ჩემი მუსიკაც მარტონელებისათვის იყო ჩაფიქრებული.

სადირიქოროში კიურენბერგი მე შელოდა. მის გარეგნობაში ნამდვილად რაღაც ანტიკური იყო. ფრაკი ისე ადგა, თითქოს მარმარილოს ბიუსტისთვის ჩაუცმევიათო, ხოლო პერანგის გულისპირის, საყელოსა და ბაბთის სითეთრეს ბრწყინვალედ აგვირგვინებდა იმპერატორის თავი. ის ბრძენი იყო, ხალხის დასათვალისწინებლად სულელურად არ დამდგარიყო გარეთ. საკუთარ უპირატესობას თვითონვე სჭერეტდა. რა საქმე ჰქონდა ხალხის პატივმოყვარეობასა და ილუზიებთან? მისთვის საზოგადოებას მხოლოდ ერთი ფუნქცია ჰქონდა — კარიტიდების მსგავსად მხრებით უნდა შესდგომოდა მუსიკის ზღაპრულ სასახლეს, ბგერების მაგიურ ტაძარს, ხოლო იმას სრულიად არ ჰქონდა მნიშვნელობა. ამაა რა მოსაზრებით სჩადიოდა. ილზე კიურენბერგს უბრალო შავი კაბა ეცვა. მისაც კაბა ისე ადგა, თითქოს მარმარილოს ქანდაკებაზე გადაუცმევიათო. ტყე ისე შემოტმასნოდა, თითქოს მარმარილოს კარგად შენახული ბიუსტის ნაწი შავი კანიაო. კიურენბერგს სურდა ლოჯაში გავეგზავნე. დაინახა, რომ უფრავოდ გამოეცხადდი და ამან ალბათ გააბრაზა. იგი ყოველგვარ პირობითობაზე მალლა იდგა და ახლა ფიქრობდა, რაკი იგი ფრაკს არაფრად აგდებს და საყოველთაოდ მიღებულ ჩვევებს არ ემორჩილება, მაშასადამე, სამოსსა და პირობითობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეკუთვნითო. მართალიც იყო. საკუთარ თავზე გაცოფებული ვიყავი. საჭიროა კაცმა ოამაჟის წესები დაიცვას და სიძნლევებსა და შეჯახებებს თავი აარილოს. საგარდირობოში ზარის ხმა გაისმა და ორკესტრის ესტრადისკენ გაემართა. ასი სახელგანთქმული მუსიკოსი შეუდგა თავისი ინსტრუმენტის აწყობას და ხან აქეთ, ხან იქით გაისმოდა ჩემი სიმფონიის ცალკეული ნაწყვეტები. ისინი მაგონებდნენ უცხო ტყეში დაბნეული ფრინველების გადაძახილს. იძულებული გავხდი ილზე კიურენბერგი ლოჯამდე მიმეცილებინა და გზაში ვუთხარი, ჩემი ბილეთი ერთ მღვდელს მივეცი-მეთქი. არ მითქვამს, რომ ის მღვდელი ჩემი დეიდაშვილი იყო და ახლავა გამახსენდა, ადოლფ იუდეიანი აქ, რომში, ჩვენს ქალაქში დაბადებულ ილზე აუფჰოიზერთან ერთად უნდა მჯდარიყო ლოჯაში, ილზეს მამა მოკლეს, მანამდე კი მალაზია გადაუწვეს. ადოლფის მამას ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვოდა. იმაშიც წილი ედო, რომ მალაზია დაუწვეს და იმაშიც, რომ მოხუცი აუფჰოიზერი მოკლეს. მამაჩემს შეეძლო თავი მოეკატუნებინა და ეფიქრა, მე არც მოკვლაში მედო ბრალი და არც დაწვაშიო. ის მხოლოდ შორიდან უყურებდა. მამაჩემი გახლდათ, მაშინ ლოჯაში რომ იჯდა. თავისი ლოჯიდან შემსრულებლებს უკრავდა ტაშს. მაგრამ იმის ფიქრს, რომ ადოლფ იუდეიანი და ილზე კიურენბერგი ერთ სკამზე ისხდებოდნენ, მე არ აღუშფოთებივარ. რატომაც არ უნდა მსხდარიყვნენ ისინი ერთმანეთის გვერდით? რაკი ტრაგედია აღსრულდა, მას ხომ ფასი უნდა მოჰყოლოდა!

იუდეიანმა ევა გერმანიაში გაგზავნა, პირველი კლასის ვაგონში ჩასვა, სასტუმროს ოთახი ვიწრო გალიას ჰგავდა, კუპე უფრო ვიწრო, ბორბლებზე



შემდგარი ვალია იყო, აქ პატიმარებით გამოკეტილიყო ევა, ეს ჩრდილოელი  
 ერინია, ჩაშავბნებულიყო თმაგადათეთრებული, ამადლებული წიხლით სავ-  
 სე, მაგრამ იმაში მტკიცედ დარწმუნებული, რომ მეუღლე მალე ვალპალასაკენ  
 მიძაველ გზას დაადგებოდა. რომის დიდ ვაგზალზე, ბაქანზე, სადგურ თერმი-  
 ნისა, რომელსაც ეს სახელი დიოკლეტიანეს თერმების სიგელზე იქვე გამო  
 სეონის შუქმა ერთი წუთით გაარღვია ნისლი, გაშუქდა ევას ჩაბინდული სახე,  
 სახე ნათელმჭვრეტელისა, გამოჩნდა ვერვოლფის<sup>70</sup> თვალები, რომლებიც იუდე-  
 იანს უკვე მკვდრად ხედავდა და ქალმა დაინახა იგი ვაგონიდან, რომელიც ალ-  
 პებისკენ მიდიოდა, ჩრდილოეთით, შინისკენ, გერმანიისკენ, დაინახა და იცნო  
 იუდეიანი, ნეონის კაშკაშა შუქზე დაინახა ისეთი, როგორც ნამდვილად იყო —  
 ასხმული, თმაშევერცხლილი, თვალებზე ლურჯსათვალეთარებული, და მო-  
 უთმენლად შესძახა:

— მოიხსენი ბოლოს და ბოლოს ეგ საშინელი სათვალეები, ჩაჯექი, ჩა-  
 ჯექი მატარებელში და ერთად წავიდეთ!

კაცმა კი საწყალობლად მიუგო, ჩემი პასპორტი გერმანიაში არ გამოდ-  
 ვება, ჩემ ყალბ სახელსაც ფარდა აეხდებო, ევამ გაცხარებით მიუგო:

— არ გჭირდება არც ყალბი სახელი, არც ეგ სათვალეები, არც პასპორ-  
 ტია საჭირო. მესაზღვრეები იტყვიან: „ბატონი გენერალი დაგვიბრუნდა! გვი-  
 ხარია, ბატონო გენერალო, კვლავ რომ აქ გხედავთ“, მხედრულად გაგვეჭიმე-  
 ბიან და მგზავრობაში ხელს არ შეგვიშლიან, გაგატარებენ საითაც მოისურვებ  
 და იამაყებენ იმით, რომ დაგელაპარაკენ, ხოლო შინ ქვემეხების ზალპით შეგ-  
 ხვდებიან და ხელშეუხებელი იქნები.

ევა ხედავდა კიდევ, როგორ ბრუნდებოდა მისი მეუღლე შინ. ქალი  
 გრძნობდა, ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა იუდეიანის დასაბრუნებლად,  
 და იუდეიანმაც გაუგო ცოლს, მიხვდა, რომ ის მართალი იყო, ასე უნდა დაბ-  
 რუნებულიყო შინ, გერმანიაში: „ბატონი გენერალი დაბრუნდა! გვიხარია,  
 ბატონო გენერალო, აქ რომ გხედავთ!“, აი ასე უნდა შეხვედროდნენ, მესაზღვ-  
 რეები ასეც შესძახებდნენ, მაგრამ იუდეიანი მერყეობდა, რალაც აჩერებდა  
 რომში, მღვდელ-იმპოტენტების ამ ქალაქში, — ლაურა იყო თუ შიში, არა,  
 შიში არ იყო, იუდეიანმა ხომ არ იცოდა, რა იყო შიში, მაგრამ, რასაკვირ-  
 ველია, არც ლაურა იყო იმის მიზეზი, რაც მას აქ აბრკოლებდა, ეს სხვა რამ  
 იყო, ალბათ უდაბნო, უდაბნოს პირად გაშენებული ყაზარმები, იქ შეეძლო  
 მას მბრძანებლობა, გერმანიაში კი ქვემეხების ზალპითაც რომ შეხვდნენ, ზალ-  
 პები გადაიქუხებენ, მერე კი ჩვეულებრივი სადაგი დღეები დაიწყება და  
 თვითონაც რალა იქნება, რა იქნება იუდეიანი ხელისუფლების გარეშე, — ბე-  
 ბერი გოტლიბი გუშინდელი დღით უკმაყოფილოთა ფედერალურ გაერთიანე-  
 ბაში. იუდეიანს რომ აშინებდა, აშინებდა თავისი ასაკი, გამარჯვებას აღარ  
 ელოდა, ამიტომაც უთხრა ევას, პფაფრატი მომიშაღებს ნიადაგსო, და ევას  
 ნათელმხილველ მზერასაც კვლავ ბინდი გადაეკრა, სახეც დაებინდა, ქალს  
 ესმოდა, რომ იუდეიანს აღარ სჯეროდა, აღარ სჯეროდა მესაზღვრეებისა,  
 აღარც ქვემეხებისა, არ სჯეროდა არც გერმანიისა, და ევას ისევ მეორე გუნე-  
 ბამ გადასძალა, ნათელმჭვრეტის ბუნებამ — უბადრუკი სიკვდილი გმირს და-  
 ფეხვილი ჯაგლაგით მიათრევდა ვალპალასაკენ, ამ დროს კი მატარებელს ევა  
 ჩრდილოეთით მიჰყავდა, ალპებისაკენ.

გამომშვიდობების შემდეგ, რომელიც იუდეიანს მტკივნეულ ვაუჯი-  
 რობად მოეჩვენა, იგი გერმანელთა საყვარელ სასტუმროსკენ ქვისლთან გა-  
 შურა იმ მიზნით, რომ პფაფრატს გერმანიაში დაბრუნებაზე მოლაპარაკებო-  
 და. მაგრამ იქ უთხრეს, ბატონები კონცერტზე წავიდნენო. მართლაც, გაბრუნებულ  
 ძმის სურათის ნახვის შემდეგ ცნობისმოყვარეობითა და უხერხულობის, ეჭვი-  
 სა და სიამაყის ბუნდოვანი გრძობით ატანილი დიტრიხის დაყენებით, რომელიც  
 ადელფეზული იყო და ძმის მდგომარეობის გარკვევა სურდა, მშობ-  
 ლებმა პორტიეს დაავალეს უკანა ადგილების ბილეთების შოვნა, რაც მან აღ-  
 ვილად მოახერხა. იუდეიანმა, რომელმაც პფაფრატი ვერ ნახა და თავის მდიდ-  
 რულ სასტუმროში ხელმოცარული ბრუნდებოდა, გზადაგზა მოიფიქრა, რაკი  
 ვერ ლაურასთან დათქმული შეხვედრა ადრეა, მოდი გასართობად ქვისლის  
 შვილს ვნახავ, ვიოლინოს როგორ აწრიპინებსო. ამ უკადრის და საძრახის სა-  
 ნახაობას შეეძლო მისთვის პაემანზე დარჩენილი მოსაწყენი დრო შეემოკლე-  
 ბინა და ამას გარდა, თუ პფაფრატების ოჯახის გადაგვარებას საკუთარი თვა-  
 ლით ნახავდა, ეს ქვისლის წინააღმდეგ პოზიციებს განუმტკიცებდა. ამგვარად,  
 თავისი პორტიეს საშუალებით მანაც შეუქვეთა ბილეთი კონცერტზე, რაკი  
 ტელეფონით წარჩინებულთა სასტუმროდან დარეკეს ადგილი პირველ რიგ-  
 ში მისცეს. მაგრამ იუდეიანს ფრაკი არ ეცვა და შეკვეთილი ადგილის დაკავე-  
 ბის უფლებას არ აძლევდნენ. მან ვერ გაიგო კონტროლიორის იტალიური ლა-  
 პარაკი, იმას კი მიხვდა, რომ მისი გაშვება არ სურდა. იმის გამო, რომ იუდე-  
 იანმა ბილეთში ამდენი ფული გადაიხადა, ადგილი თავისად მიიჩნია, დალუულ  
 კონტროლიორს ერთი ლაზათიანად მიაწვა და გვერდით მიაგდო. ნეტავ რას  
 გადაეკიდა, რა უნდა მისგან ამ გასაცოდავებულ ლაქიას? იუდეიანმა მას ფული  
 გადაუგდო, დარბაზში შევიდა და თავის სავარძელში გაფხორილი ჩაჯდა. აქ-  
 და შეამჩნია, რომ იმ ხალხს შორის იჯდა, ვინც მაღალ საზოგადოებაში მიღე-  
 ბული სამოსით გამოწყობილიყო და ერთი ხანობა იფიქრა, მუსიკოსთა  
 შორის ხომ არ მოვხვდიო, ამ მასხარებთან რომელთაც უნდა გაერთოთ  
 იგი და რომელთა პროფესიული სამოსი ფრაკი იყო. მაგრამ ორკესტრი ესტრა-  
 დაზე განლაგებულიყო და ინსტრუმენტებს აწკობდა. იუდეიანი მიხვდა, რომ  
 მუსიკოსთა შორის არ იჯდა და ირგვლივ გამეფებულმა ბრწყინვალეებამ გააო-  
 ცა. პატარა გოტლიბზე ამან შთაბეჭდილება მოახდინა და თითქოს შეკრთა.  
 მაგრამ იუდეიანის შეკრთობა ეგრე ადვილი არ იყო, სავარძელში კიდევ უფრო  
 გაიფხორა და დარბაზს თვალი გამომწვევად მოავლო. აქაც ისევ, როგორც  
 მაშინ ვია ვენეტოზე, თავი ცბიერ ებრაელებსა და უგვარტომო სპეკულიანტებს,  
 შორის იგრძნო. ფიქრობდა: ვიგინდარები და კოხტაპრუწები არიანო. აქ შეკ-  
 რებილები ახალ საზოგადოებად შეიცნო, გამცემ იტალიელთა ახალ საზოგადო-  
 ებად, რომელმაც სამარკვიანოდ ულალატა მუსოლინის და ძალაუფლება ჩაიგ-  
 დო ხელში. და აი ზიგფრიდ პფაფრატს ვიოლინო სწორედ ამ ხალხის წინაშე  
 უნდა ეწრიპინებინა, ვინც ციხეში უნდა ყრილიყო, ვისაც საკონცენტრაციო ბა-  
 ნაკებში და გაზის კამერებში უნდა ამოხდენოდათ სული! ესტრადაზე ქვისლის  
 შვილს დაუწყო თვალით ძებნა, მაგრამ ვერ მიაკვლია. ზიგფრიდი ალბათ მოგ-  
 ვიანებით გამოვა, პირველი მევიოლინე ყოველთვის გვიან გამოდიოდა. მთელი  
 ორკესტრი უტიფართა ბრბოა, ვაჟკაცები კი არა — დედაკაცები არიან, დის-  
 ციპლინის ხომ ნატამალი არ გააჩნიათ. იუდეიანმა ეს მაშინვე შეატყო. კაცმა რომ  
 თქვას, სამხედრო მუსიკის გარდა სხვა მუსიკა ან კი რა მოსასმენია! არ ჯობია

ჩაღხა ამ წრიპინ-წრიპინით არ აურიონ გული და რაიმე მხიარული, მხნე მუსიკა დაუკრან? იუდეიანმა თვალი ირგვლივ მიმოატარა და ეოდადერთ ლოჟაში თავისი ვაყიშვილი ადოლფი აღმოაჩინა, მის გვერდით ველაძე ქალი იჯდა, რომელმაც იუდეიანზე შთაბეჭდილება მოახდინა. ნუთუ ამ ქალს ადულტერა ის ფული მისცა, მან რომ ლოცვად დაკრეფილ ხელებში ჩაუღო? ნეტავ, მისი შეყვარებული ხომ არ იყო? იქნებ ამ ქალის ხარჯზე ცხოვრობს? არ ეგონა, თუ ეს ბერი საყვარლის როლს შეასრულებდა. იუდეიანი დაბნეული ჩანდა.

დიტრიხიც დაიბნა, როცა ლოჟაში ადოლფს მოჰკრა თვალი. ნეტავ ამ ადგილას როგორ მოხვდა? ეკლესიამ ხომ არ გამოუყო? იქნებ თავისი გვარის გამომდევს ასე სააშკარაოზე, როგორც მოწინააღმდეგის მხარეზე გადასული და კათოლიკურ რწმენაზე მოქცეული მნიშვნელოვანი პერსონა? იქნებ განსაკუთრებული რამ მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული! ბოლოს და ბოლოს ადოლფი ჰკვიანია და შეიძლება მართლაც გახდეს ეპისკოპოსი, ოდესმე დიდი ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. როგორ წარსდგომოდა მერე? ეს ქალი ვინა იყო, მის გვერდით ლოჟაში? თავისი ადგილიდან დიტრიხს მთლად მკაფიოდ არ შეეძლო მათი დანახვა. ვერც მშობლები ხედავდნენ გარკვევით. ნეტავ, ამ ქალს ადოლფთან რა კავშირი აქვს? ან ეს ზიგფრიდი სადღაა? იქნებ მან იცის რაიმე ამის შესახებ? ბევრი კითხვა იყო გასარკვევი.

გასარკვევი კითხვები. დაჯდა თუ არა ილზე კიურენბერგი ლოჟაში, მღვდელმსახურს თავაზიანად დაუკრა თავი და მისმა სახემ მაშინვე შეაშფოთა, ქალს თვითონაც ვერ გაეცნობიერებინა რად, მაგრამ ასეთი სახე კომპარულ თილში, საშინელ სიზმრებში ნახულს თუ ჰგავდა. ილზე ფიქრობდა, იგი თვითმკვემელთა სექტის წევრსა ჰგავს, ფლაგელანტს. წარმოიდგინა კიდევ, როგორ რტლაშუნებდა ტანზე მათრახს. ალბათ სხვებსაც ამათრახებს, ამათრახებს ერეტიკოსებს, — ფიქრობდა ილზე. მაგრამ ეს ალბათ არ შეიძლება, მღვდელი ალბათ ებრაელსაც კი არ გაროზგავს. მერე გაიფიქრა: იქნებ მისტიკოსია? და შემდეგ: კათოლიკე მღვდელია, მაგრამ ჯანყისთავ ლუთერს უფრო ჰგავსო.

მაგრამ როგორც კი მუსიკის ხმა გაისმა, ილზე მიხვდა, რომ ეს მღვდელი მართლაც მისტიკოსი იყო, გერმანელი მღვდელი და გერმანელი მისტიკოსი, ოადგან მთელი მოდერნიზმის მიუხედავად ზიგფრიდის სიმფონიასაც მისტიკური აღტყინება დაჰკრავდა, მისტიკური მსოფლშეგრძნება, თუმცა კიურენბერგი მას ლათინურ ყაიდაზე ათვინიერებდა. ილზე კიურენბერგისათვის ახლა ნათელი იყო, მკაფიო შესრულების მიუხედავად ეს მუსიკა რატომ იყო უსიამოვნო. ამ ბგერებში მეტისმეტად ბევრი იყო სიკვდილი, სიკვდილი ზალისიანი სასიკვდილო ფერხულის გარეშე, როგორც ეს ანტიკურ სარკოფაგებზეა გამოსახული. დროდადრო კომპოზიტორი ცდილობდა გამოეხატა გრძნობების სიხარული, რასაც ძველ საფლავის ქვებზე ვსედავდით, მაგრამ ამას ყალბი ნოტები მოსდევდა, ნოტები სცოდავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კიურენბერგი მშვიდად დიროჟორობდა, მუსიკაში თავს იჩენდა რალაც ზომიერად და ყურისწამლები, როგორღაც კონვეულსიური ხდებოდა, წიოდა, გოდებდა; ეს იყო სიკვდილის შიში, მიცვალებულთან ჩრდილოური ფერხული, უამით შეპყრობილთა პროცესია; ბოლოს და ბოლოს პასაჟები გაფერმკრთალდა და ბურუსის ფარდად იქცა. მუსიკალური თვალსაზრისით სიმფონია ცუდი არ იყო, მისი ავტორი თავისებურად ნიჭიერი ჩანდა. ილზე კიურენბერგს ფაქიზი სმენა ჰქონდა, ნუსიკამ აღაგზნო, მაგრამ მასში იყო ის საზარელი რამ, რასაც ბურუსი და სიკვდილისადმი არაბუნებრივი სწრაფვა ბადებს, სწორედ ეს განაწყობდა მას

მუსიკისადმი მტრულად, ეს აშინებდა და ეს ზარაცდა

მაინც რა მოსაწყენი იყო ასეთი მუსიკა! მართლაც სიმფონიას უკრავდ-  
ნენ თუ ღირიყორი, ხელმძღვანელობით ორკესტრი ჯერაც ისევე ინსტრუმენტ-  
აწყობდა? იქნებ ეს ის სიმფონია არ იყო? ზიგფრიდი არ გამოსუფრდა. იქნებ ეს  
უარი თქვა? იუდეიანი გულგატეხილი იყო. თავშესაქცევი ვერაფერი ნახა.  
შემშლილთ კუჭი ეწვოდა. წყურვილისაგან ენა გაუშრა, მაგრამ პატარა გოტ-  
ლიბს ადგომა და წამოსვლა ვერ გაებედა, საძრაობის უნარი წართმეოდა. ორ-  
კესტრის ღრიალმა დაძვლა დასცა. ასეთ ხმაურში ფიქრის თავი აღარ ჰქონდა  
და ვერ მოესაზრებინა, ვინ იქნებოდა, ადოლფის გვერდით რომ ქალი იჯდა,  
ვერ გაერკვა, ლაურასთან სურდა დაეძინა თუ ლოფაში მჯდომ იმ ქალთან.

პფაფრატები აღშფოთებულნი იყვნენ. გულგატეხილობას მოეცვათ, იგი  
სცილდებოდა ყოველგვარ წარმოდგენას, რაც მათ მუსიკის შესახებ ჰქონდათ.  
იგი სცილდებოდა იმ წარმოდგენასაც, რაც პფაფრატებს თავიანთი ვაჟიშვი-  
ლის მუსიკის შესახებ ჰქონდათ. მაგრამ საერთოდ კი ჰქონდათ რაიმე წარ-  
მოდგენა თავიანთი ვაჟიშვილის მუსიკაზე? და თუ ჰქონდათ, რას ელოდნენ?  
ბეთჰოვენის სიკვდილის შემდგომ ნილაბს, რომელიც ოთახის მუსიკალურ  
კუთხეში თორმეტნათურიანი რადიოშიმღებია თავზე ეკიდა და მტვერს ხშირად  
წმენდდნენ, თუ სახელგანთქმულ ბერეტოსანს — ვაგნერს, რომელიც აშკა-  
რად გენის ნებიერი გახლდათ: ცოლ-ქმარ პფაფრატების აზრით მათი ვაჟი-  
შვილის მუსიკას აკლდა კეთილხმოვანება, ამალღებული ელერადობა და გულ-  
ში ჩამწვდომი ჰარმონია, ისინი ამ მუსიკაში უძებნდნენ მელოდიის საამო მდი-  
ნარებას, ამოდ ცდილობდნენ დაეჭირათ, როგორც თვითონ ფიქრობდნენ,  
უმაღლესი რეგიონებიდან მოდენილი თავიანთვის გასაგების სფეროების გალო-  
ბა, სფეროებისა, სადაც მათ თუმცა ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ და არც  
თუ მაინცდამაინც დაფუძნება სურდათ, მაგრამ რაღაც ოპტიმისტურ ზეცად,  
რუხი დედამიწის თავზე გადაჭიმულ ვარდისფერ თალად წარმოედგინათ, ქვე-  
მოთ კი, იძულებულნი იყვნენ დედამიწაზე ფრთხილად, გონივრულად ეცხოვ-  
რათ, ზოგჯერ კი მკაცრად, და უნდა გაეთვალისწინებინათ ყოველგვარი ადამი-  
ანური და არაადამიანური უგვანობანი, სწორედ ამიტომ უფრო ამალღებუ-  
ლად უნდა ელივლივა ამ ვარდისფერ ზედნაშენს ყოველგვარი ადამიანურის,  
მეტისმეტად ადამიანურის ზემოთ. პფაფრატებს სწამდათ ტკბილი მასიდან გა-  
მოძვრწილი და იდეალურად ალეგორიული ფორმის მქონე ხელოვნების სა-  
კონდიტრო ტაძარი, ეს იყო მათთვის, — ასე ფიქრობდნენ და ჯერ კიდევ ასე  
არწმუნებდნენ თავს ფარისევლურად, — მოთხოვნილება, რასაც ისინი „ყო-  
ველგვარი ლამაზით აღტაცებას“ არქმევდნენ სიამოვნებით, ხოლო მუსიკა მათ  
თი განვითარებული სილამაზის გრძნობის მოწოდება გახლდათ და საამო  
რულს ჰგვრიდათ; ზიგფრიდის მუსიკამ კი ისინი გაყინა, უსიამოვნო გრძნობა  
აღუძრა, თითქოს ყინულოვანმა სიომ დაჰბერა, მერე მათი გენერალ-ბიურგე-  
რული ჩვევების დაცინვად გაისმა, თითქოს ჯანური რიტმებიც შეერიო, პფაფ-  
რატებს თვალწინ წარმოუდგათ უღრანი ტყე, ვნებააშლილი შიშველი ხალხით  
ავსებული ზანგების სოფელი, შემდგომ ეს უმსგავსი, ქაოტური ღმუილი შეც-  
ვალა მარტივმა, მოსაწყენმა ადგილებმა, ნამდვილად დისჰარმონიული ბგე-  
რების ერთფეროვანმა წყებამ. განა ასეთი ქაოსი მოსაწყენია? ნუთუ ეს მოიო-  
მინება? თავგებივით შეძრწუნებულეებმა აქეთ-იქით მიმოიხედეს ეშინოდათ  
სკანდალისა, ეშინოდათ საკუთარი ოჯახისა და უდავოდ პატივსაცემი სახელის

შებლავისა. მაგრამ მათ ახლომახლო ყველა ჯერ კიდევ ზრდილობიანად იჭდა. იმ ხალხის ჩვეულებრივი საკონცერტო საბით იჭდა, დაჯერებით რომ ისმენს და ტკბება მუსიკით, ზოგიერთი კი თავს ისე აწვევებდა, თითქოს მუსიკის სამყაროში ჩაძირულიყო კიდევ დიტრიხს ეგონა. მის მუსიკაში რაღაც ანგარიშსწორება, ერთგვარი ფოკუსი ანდა რაღაც მათემატიკური განტოლება აღმოვაჩინე, მაგრამ მის საიდუმლოებას ვეღარ ჩავწვდიოვინ მუსიკა არ იყო კომპოზიტორის შთაგონებით შექმნილი, მსგავსად ბეთჰოვენისა და ვაგნერის შთაგონებით შექმნილი, წარმტაცი და ამაღლებული მუსიკისა, ეს მუსიკა გაკეთებული იყო, ეს იყო დახვეწილი თაღლითობა, ეს იყო დისონანსებით მსჯელობა და ეს აღელვებდა დიტრიხს — შეიძლება დიტრიხი სულელი სულაც არ არის, იქნებ უფრო საშიშია და დიდი ასპარეზის კართან დგას? და დიტრიხმა მშობლებს გადაუჩურჩულა:

— ზიგფრიდი ნოვატორია — ეს დაცინვით იყო ნათქვამი, მაგრამ შეიძლებოდა მსმენელს მიეჩნია, დიტრიხი ამ საქმეში ჩახედულია, საქმიანად და ობიექტურად მსჯელობსო. მაგრამ ვიღაც მაზინჯი უცხოელისათვის, რომელსაც გასაოცრად ვიწრო სმოკინგი ეცვა და ნიკაპქვეშ გამომწვევი თხისებრი წვერი ჰქონდა, ეს შენიშვნა იმის მიზეზად იქცა, რომ მკაცრად წაესისინა: „ს-ს-ს!“

დედაშვილის მუსიკა ადოლფს მოეწონა. მან გული დაუმიძიმა, მისმა მოსმენამ გასტანჯა, მაგრამ მაინც ცდილობდა, როგორმე ამოეცნო. ცდილობდა ზიგფრიდისა გაეგო. ნეტავ რის თქმა სურდა ზიგფრიდს ამ სიმფონიით? რას გამოხატავდა? ადოლფის აზრით — ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს: კეთილისყოფელ ტკივილს, მზიარულ სასოწარკვეთილებას, მწუხარე ხუმრობას, ავადყოფურ სიყვარულს და ქოთნიანი ყვავილებით უხვად მოფენილ უდაბნოს, ირონიის მორთულ-მოკაზმულ სილიან ველს. ხომ არ იყო მუსიკა ღვთის წინააღმდეგ მიმართული? ალბათ არა. მისი ბგერები გვახსენებდა იმ დროს, როცა არ არსებობდა დანაშაული, გვახსენებდა მშვიდობიან და წარმტაც სამოთხეს, გვახსენებდა იმ წუხილს, რასაც ამქვეყნად სიკვდილი იწვევს. კომპოზიტორი მთელი გატაცებით ისწრაფვოდა მეგობრისაკენ, თუმცა მუსიკა არ იყო სიხარულის საგალობელი, არ იყო პანეგირიკი, მაგრამ იგრძნობოდა სწრაფვა სიხარულისაკენ და შემოქმედების ქებათა ქება. ადოლფს ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ამ სიმფონიაში საკუთარ თავს ცნობდა. ეგონა, თითქოს გატეხილ სარკეში მისი ბავშვობა ირეკლებოდა. მუსიკაში იყო ორდენსბურგიც, სპორტული მოედანიც, ტყეც, მზის ამოსვლა და ჩასვლა და საძილე ყაზარმებში ხახული სიზმრებიც. შემდგომ ისევ ცინიზმი, ურწმუნოება, სასოწარკვეთილება, — რომლითაც კომპოზიტორი თითქოს კოპწიაობდა და თავს იწონებდა, — და ანარქიული გატაცებანი ადოლფს კვლავ უარყოფითად განაწყობდა. ეკლესია ასეთ მუსიკას ვერ მოიწონებდა, ტრიდენტის ტაძარში მას სანიმუშოდ ვერ შეიძინებდნენ. ჰქონდა თუ არა ადოლფს, დიაკონს, იმის უფლება, თავისი დედაშვილის მუსიკა მოსწონებოდა? არა, იგი მას არ მოსწონდა, ხომ არ შეაჩვენოს? არა, არც შეაჩვენებს. ის, ვინც აქ მუსიკით მეტყველებდა, არ იყო ღმერთი, ის იყო ჭიდილის მოყვარული ადამიანი, მაგრამ შეიძლება ბოლოს და ბოლოს ღმერთიც ყოფილიყო, ჩაფლული თავას ერთ-ერთ გონებით მიუწვდომელ საუბარში, რომელიც ქრისტეს ტაძარს ასე აღელვებს.

ისინი უსტვენდნენ. მესმოდა, როგორ უსტვენდნენ ისინი. ქანდარის კა-

რისავენ გავიპარე, სულ უკან გავჩერდი, თითქოს ვკლესიის კართან ატუხული მათხოვარი ვიყავი, მათხოვარი საკუთარი მუსიკისა. ისინი უსტვენდნენ ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი, ისინი უსტვენდნენ, ვისაც როგორ შეეძლო თითები ისე ჩაეყო პირში, თითქოს ქუჩის ბიჭები ყოფილიყვნენ, უსტვენდნენ ჩემი სტუდენტები, ჩემი მუშები, ჩემი ახალგაზრდა მეატომეებები, ლარიბი გოგონები, და მე ველოდი ამას. ახალგაზრდა მღვდლები არ უსტვენდნენ, მაგრამ მეგონა, მათაც უნდა ესტვინათ. წმინდა შემოქმედებაზე ვოცნებობდი, მაგრამ მიწიურ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებამ წამიტყუა. არ ვიცი, შეიძლება თუ არა არსებობდეს წმინდა შემოქმედება, წმინდა არარაობისაგან შეუბილწველი მუცლად ღება, მაგრამ ამაზე ვოცნებობდი, იქნებ ეს ქედმაღლობა და უგუნურობაა, შესაძლოა ეს იკაროსის თავდაჯერებაა და ჩემი ფრთებიც გაფრენამდე დაიმსხვრა. მაგრამ იკაროსი გამბედავი უნდა იყოს. ფიზიკოსებიც გამბედავები არიან თავთავიანთ ლაბორატორიებში, მათი ფანტაზიამოკლებული გონივრულობა ანგრევს ბუნების მთლიანობას, ხოლო კიურენბერგსაც სურს მიბიძგოს, ყველაფერი ავაფეთქო, რადგან მისი გონება აღფრთოვანებულია წარმტაცი ფორმულებით, რადგან იგი სწვდება იმ დიად კახონებას, რომელთა მიხედვითაც წარმოებს ნგრევა. მე ვერც ამ ფორმულებს ვკითხულობ. როგორც ჩანს, სულელი ვარ. როგორ შემიძლია რაიმე გავიანგარიშო, ან კი ვის უნდა წარვუდგინო ეს გაანგარიშება? კვლავაც მჯერა, გაანგარიშების გარეშე ვიპოვო ჯამი, ვიპოვო რაღაც გაუგებარი გზით, რომელიც ალბათ კიურენბერგისათვის მოსაწონი არ იქნება და უპატიოსნოდ და უგუნურად ჩათვლია. ისინი უსტვენდნენ, მაგრამ ქვემოთ, დარბაზში ტაში დასცხება, მე მიწვევდნენ: ხოლო ქანდარის ყურასწამლები სტვენა თითქოს პარტერს აიძულებდა, უფრო მეტი თავგამოდებით დაეკრათ ტაში. ახლა დადგა ის წუთი, როცა მსმენელს ფრაკში ჩაცმული უნდა წარვდგომოდი. საჭირო იყო წარვდგომოდი. ჩაფიქრებული კიურენბერგი წარამარა ხელს უწვდიდა პირველ მევიოლინეს, ორკესტრისკენ უთითებდა, კულისებისკენ ანიშნებდა, საიდანაც მე არა და არ გამოვდიოდი და საერთოდ ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა აპლოდისმენტები თვითონ აერიდებინა, როგორმე ჩაეცხრო. მაგრამ ვერ ახერხებდა, და ფართო ჟესტებით გამოხატავდა წუხილს იმის გამო, რომ რაღაც მიზეზის გამო მუსიკის ავტორი არ ჩანდა. ჩემს გვერდით მდგომმა ვილაც ქედმაღალმა ლარიბმა გოგონამ განაცხადა.

— რომ მაჩვენა, ერთი სიფათში მივაფურთხებდი.

ამით ის თქვა, რომ მზად იყო, ჩემთვის კომპოზიტორისათვის სახეში შემოეფურთხებინა. მე მას გავუგე: ის ინგლისურად ლაპარაკობდა. იმათ კი, ქვემოთ რომ იყვნენ, ნეტავ რის ქმნა ეწადათ, ის ფრაკიანი ბატონები, ძვირფას კაბებში გამოწყობილი ქალბატონები, კრიტიკოსები, გამომცემლები, მენაჯერები, ნეტავ ისინი რას მიპირებდნენ? ჩემი გვირგვინით შემოსვა სწადათ თუ მათაც სურდათ შემოეფურთხებინათ?

ყველაზე ხმამაღლა ტაშს უკრავდა იუდეიანი, რომელიც საგონებელში იყო ჩავარდნილი. მისი მძიმე ხელები ორთქლის უროსავით მუშაობდნენ. უფრო დიდი სიამოვნებით ატეხდა ღრიალს, ლანძღვა-გინებას და ყველას, დარბაზში თუ ესტრადაზე მყოფს, სმენაზე გაჭიმავდა ან დააპატიმრებდა, ზიგფრიდს პალესტრინას ბიუსტის კვარცხლბეკთან მიაყენებდა: ზიგფრიდსა და

დირიჟორს სიამოვნებით მიუსჯიდა ოცდაათჯერ ჩაცუცქებას, მაგრამ ასეთ რამეს პატარა გოტლიბი ვერ გაბედავდა, ამდენი ფრაკიანების საზოგადოებაში მართოდ მყოფი იუდეიანი ვერ ბედავდა დაღრიალებას, ლანდლენკინებას, ვერც მათ სმენაზე გაჭიმვისა და დაპატიმრების ბრძანებას ბუფეტის მხრიდან. ქანდარამ სტვენა ატეხა, ეს პარტერში მსხდომი ბატონების, მდიდართა, სინათლენი მსხდომთა წინააღმდეგ მიმართულ გაუგონარ საქციელად მიიჩნია, ესენი თვითონ იუდეიანსაც სძულდა. თავიდანვე შურდა მათი მდგომარეობა, მაგრამ ახლა მათ აღმაშფოთებელ შეხედულებას ხელოვნებაზე და მათ მსოფლმხედველობას ისეთი ხმამაღალი ტაშისკვრით უჭერდა მხარს, თითქოს გრდემლზე უროს ურტყამენო.

სწორედ ამ დროს შეაელო თვალი ადოლფმა. მან მამა ლოყიდან დაინახა. რომელიც გახელვებით უკრავდა ტაშს, თვითონ კი არ იცოდა, მოწონება გამოეხატა, რასაც მაინცდამაინც გული არ ეუბნებოდა, თუ სულიერი მამის სამოსში გამოწყობილს საერთოდ არ ეგებოდა ესოდენ უცნაური და საეჭვო მუსიკისათვის ტაში დაეკრა. ადოლფის გვერდით მჯდომ ქალს ხელები მშვიდად ჩაეკრიფა კალთაში. შეიძლება ამ ქალბატონმა თავხედობად ჩაუთვალოს, გვერდით მჯდომმა ძღვეღმა რომ კლაკიორების მხარე დაიჭიროს. მაგრამ ზიგფრიდი რომ ესტრადაზე გამოსულიყო, ადოლფი შეუერთდებოდა მათ, ვინც თავიანთ მადლობას ასე ხმაურით გამოხატავდა, ზიგფრიდი ამას იმსახურებდა, რადგან მან დეთის შეშფოთება გამოხატა; ისიც ზიგფრიდის სასარგებლოდ მეტყველებდა, რომ რამპის შუქზე არ გამოდიოდა, რათა თავის წარმატების შედეგი მოემკო. მაგრამ როგორ მოხდა, რომ იუდეიანი კონცერტს დაესწრო, როგორ მოხდა, რომ ეს მუსიკა მოიწონა? ნუთუ იუდეიანმა ამ ბგერების ენა გაიგო? ნუთუ მუსიკამ მისი გული აათრთოლა, გაახარა, ნუთუ მუსიკის სამყაროში ზიგფრიდი და იუდეიანი ერთმანეთს უგებდნენ? ადოლფს ვერ წარმოედგინა, რომ მამამისში პატარა გოტლიბი იჯდა, ამიტომ არ შეეძლო იუდეიანის საქციელის ახსნა, შეეძლო მხოლოდ მისი არასწორად გაგება. პფაფრატებს არ შეეძლოთ გაეგოთ ეს წარმატება, მათ მხოლოდ ქანდარაზე ატეხილი სტვენა ესმოდათ, რომელსაც დარბაზის აბლოდისმენტები კიდევ უფრო ახელებდა, მათ ყურამდე აღწევდა უცხოელთა ყვირილი, რომელნიც მათ გვარს უცნაურად, თანხმოვნებმოჭარბებით წარმოთქვამდნენ. ალბათ სრულიად გადაგვარებული, საშინლად წამხდარი და უფსკრულში ბრმად დაქანებულია ეს საზოგადოება, რომელიც ჩვენი შვილის მუსიკით ასე აღტაცებულია, ფიქრობდნენ ისინი. მაგრამ პფაფრატებს რომის მაღალი საზოგადოების უფსკრულში დაქანება კი არ აწუხებდათ, არამედ პირიქით, ეს აძლიერებდა მათ გულზვიადობას, რადგან საკუთარი თავი ჭეშმარიტ გერმანელებად მიაჩნდათ, რომლებიც შთამომავლობით ჯანმრთელები იყვნენ. მათ ვერც ზანგური ყაიდის მუსიკა დააკლებდა ვერაფერს, ფიქრობდნენ ევროპის ლბობისგან რაიმე სარგებელი მიეღოთ საკუთარი ერისათვის, რომელიც ალბათ მალე კვლავ ჰეგემონი გახდებოდა; და ეროვნული უგუნურებით თვალებახვეულებმა და სულელურად დამშვიდებულებმა იმით, რომ მტანჯველი მუსიკა დასრულდა და პატივსაცემი ოჯახის თავისმოჭრელი სკანდალი ჯერჯერობით საშიში არ იყო, თავიანთი ვაჟიშვილისა და მის პატივსაცემად პფაფრატებმაც თავშეკავებით დაუკრეს ტაში. დიტრიხს ვერ გაეგო, რატომ არ გამოდიოდა ზიგფრიდი, რომელსაც მსმენელი სცენაზე იწვევდა. ისევე როგორც ყველაფერმა, რასაც ვერ იგებდა, ამანაც შეაშ-

ფოთა ნეტავ რატომ იმალებოდა? შიშის გამო თუ ამპარტავნობისა? დიტრიხს სურდა მიზეზი გაეგო და თავისიანებს უთხრა, ზიგფრიდი მსახიობთა ოთახში მოვძებნოთ.

ქანდარიდან ჩამომავალი კიბეები ნელა ჩამოვიარე. ვიცოდი, რომ ქუჩის ბერგი გამიბრაზდებოდა. გამიბრაზდებოდა, რადგან არად მივიჩნიე ნელოვების სფეროში დამკვიდრებული ტრადიცია და მსმენელებს თავი არ დაეუკარი. საჭირო იყო ესტრადაზე მაინც გავსულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ფრაკი არ მეცვა. მაგრამ არ მსურდა მათ წინაშე წარვმდგარიყავი. აპლოდისმენტები მომწონდა. დარბაზის განწყობილებას ყურადღებას არ ვაქცევდი. გული უფრო იმ ოლიმპიკენ მიმიწევდა, სტვენით რომ შემხვდა, თუმცა იქ მსხდომნი ღმერთები არ იყვნენ.

ქანცაწყვეტილი კიურენბერგი წითელი პლუშის სავარძელში ჩაეშვა. მის ირგვლივ ელავდნენ ფოტოგრაფების აპარატები. ჩემთვის არაფერი უსაყვედურებია. მომილოცა. მადლობა გადავუხადე, თვითონ მას მივულოცე და ვუთხარი, ეს თქვენი წარმატებაა-მეთქი, ეს მართლაც მისი წარმატება იყო, მაგრამ ჩემი მილოცვა უარყო: აქ რაღაც ამბავი იყო, რაკი წარმატებას ერთმანეთს ვუთმობდით და, მიუხედავად ამისა, ეს მაინც გამარჯვება იყო. ჩემი მუსიკა მან გააბრწყინა, მაგრამ მას ესმოდა, რომ ეს გახლდათ ბგერათა განსაზღვრული რიცხვის ახალი შეჯუფებებით ჩატარებული ექსპერიმენტი, მან მოახდინა მილიარდი შესაძლებლობებიდან მხოლოდ ერთნაირი შეჯუფება და გვიჩვენა, რომ მუსიკა შეუჩერებლად ვითარდება და იმ ძალას წარმოადგენს, რომელიც ჩვენს შორის განაგრძობს ცხოვრებას, რომ უნდა გავბედოთ ახალი ექსპერიმენტის ჩატარება, ბგერათა ახლებური შეჯუფება. ის მართალი იყო, რატომ არ ვფიქრობდი ახალ კომპოზიციაზე? ხომ არ ვადავიწვი? არ ვიცოცხვდა მომერი. სიამოვნებით წავიდოდი ჩემს შადრევანთან, დი ტრევის შადრევანთან; სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი მის კიდეზე და გაფაციცებულ სულელ ტურიატებსა და ფულს დახარბებულ ლამაზ ბიჭუნებს დავუწყებდი ცქერას.

მოვიდა იღზე კიურენბერგი და ხელის ჩამორთმევით მომილოცა. ხელი ცივი ჰქონდა. იღზე კიურენბერგში კვლავ დავინახე ჩვენი დღეების მუსიკის ფზიზელი და სკეპტიკური მუზა, მაგრამ ამ მუზის აღიარება მე ვერ დავიმსახურე. მინდოდა მისთვის მადლობა მეთქვა იმის გამო, რომ მისი აღიარება ვერ დავიმსახურე, მაგრამ არ ვიცოდი, საამისოდ რა სიტყვები შემერჩია, რათა ისე გაეგო, როგორც ვფიქრობდი. მაგრამ სანამ ჩემი გრძნობის გამოსახატავად შეაფერის სიტყვება ვეძებდი, მის სახეზე ისეთი სიძულვილი ამოვიკითხე, რომ შემეშინდა. შემდეგ გავიგე, რომ ამ სიძულვილით იგი მე კი არ შემომცქეროდა, არამედ ჩემს იქით იყურებოდა, და მისი შეშფოთების მიზეზის გასაგებად რომ შემოვბრუნდი, დავინახე ჩემი მშობლები, რომლებიც ჩემკენ მოდიოდნენ, დავინახე ძმა დიტრიხი, რომელიც ჩემკენ მოდიოდა, ხოლო მათ უკან იღვა და მადამბლავებდა ჩემი ბავშვობის საფრთხობელა, მკვდრეთით აღმდგარი ძია იუდეიანი, რომელიც მიდიმოდა, თითქოს ამით მეუბნებოდა, აი კვლავ აღვდექი და მოვიწევს შემეგუო, ძველი ხელისუფლება დაბრუნდაო. კართან დაბნეული ადოლფი აყუდებულებო. ეს იყო პფაფრატ-იუდეიანთა ოჯახური თავყრილობა და მე მომეჩვენა, თითქოს გორგონას ვხედავდი. შემრცხვა. შემრცხვა ჩემი ოჯახისა და შემრცხვა იმია გამოც, ჩემი ოჯახისა რომ მრცხუნდა, და თავი იმ ძალად წარმომიდგა, რომელსაც გარს ბადეებით



აღჭურვილი ტყავისმხდელები შემოსდგომიან. ჩემს თავისუფლებას საშიშროება ემუქრებოდა. დედამ და მამამ მომილოცეს, ისინიც ემუქრებოდნენ ჩემს თავისუფლებას. ისინი მელაპარაკებოდნენ, მაგრამ არ მესძოდა, რას მეუბნებოდნენ; მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ ჩემს თავისუფლებას საშიშროება ემუქრებოდა. მამამ მთხრა, ყოჩაღ, და სახე დაემანჭა. ისიც ემუქრებოდა ჩემს თავისუფლებას. შემდეგ დავინახე, მამაჩემი ძველი კარგი ნაცნობივით მიესალმა კიურენბერგს და საუბარი გაუბა. ჩვენი ქალაქის თეატრი გაახსენდა, სიტყვა იქაურ ორკესტრსა და სააბონემენტო კონცერტებზე ჩამოავდო, შემდეგ კი ათას ცხრაას ოცდაცამეტის კარგი დღეებიც გაიხსენა.

იღზე კიურენბერგი მათ არ იცნობდა, მაგრამ მაინც იცნობდა; მას მოეჩვენა, თითქოს ის კედლები გარღვეულიყო, რომელთა შორის მოჩვენებები იყვნენ გამომწყვდეულნი და აი კვლავ აქ არიან, კედლიდან გამოძვრნენ ცეცხმოკიდებული სახლის სულები, მოხუცი მამის მკვლელთა ლემურები, იგი ხვდებოდა, რომ ეს ხალხი ზიგფრიდის ოჯახის წევრები იყვნენ, მკვიდრნი იმ ქალაქსა, რომლის დავიწყებაც მას სურდა, რომ ესენი იყვნენ მისი მშობლიური ადგილებიდან მოსული ნაციისტები, რომელთა გახსენება არა და არ სურდა. იმასაც ხვდებოდა, თუ ვინ იყო იუდეიანი, ის კაცი, უკან რომ იდგა, რომ ის იყო მისი ბედ-იღბლის გადამწყვეტი, ახლა რომ ისე უყურებდა, თითქოს მისი გაშიშვლება სურსო. იღზემ გაიფიქრა: „არ მსურს ასეთი სიზმარი“. მან გაიფიქრა: „ეს იმ სიმცონიის ბრალია, რომელიც არ მომწონდა, აი იმ მღვდლის ბრალია, კართან რომ აყუდებულა, ამ გერმანელი მისტიკოსისა, ვინ იცის, იქნებ წმინდანიცაა, მაგრამ ვაი მე, თუ წმინდანი არ არის, ვაი მე, თუ მოღალატეა“. და გაიფიქრა: „კიურენბერგს რომ ელაპარაკება, ეს ზიგფრიდის მამაა, ჩვენი ქალაქის ობერბურგომისტრი, ის იყო პროვინციის ობერპრეზიდენტი, როცა ჩვენ შეწყალება ვთხოვეთ და მან გვითხრა, ობერპრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედისო“. მან გაიფიქრა: „იგი პერანგებს, ალბათ, მამაჩემის მალაზიაში ყიდულობდა, თავისი შვილებისათვის პირველი სათამაშოებიც ალბათ მამაჩემთან იყიდა, ხოლო როცა მამაჩემის მალაზია დაიწვა და პერანგები და სათამაშოები ქუჩაში შეყრილმა ხალხმა დაიტაცა, მან ეს მოიწონა, როცა მამაჩემიც მოკლეს, მან ამაზე აქტი შეადგინა და ესეც მოიწონა“. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი კი, რომელიც იღზე კიურენბერგს მათი მალაზიის დაწვისა და მამის მკვლელთა თანამზრახველად მიაჩნდა, მოხარული იყო იმის გამო, რომ შეეძლო თავისი თემის თაობაზე ელაპარაკა კიურენბერგთან, რომელიც მას თავაზიანად და საქმიანად პასუხობდა, და ღირიყორს შესთავაზა, ჩვენს ძველ თეატრში საგასტროლოდ გვესტუმრეთ, რომელიც თუმცა ჯერ დანგრეულია, მაგრამ მალე აღვადგენთო. ხოლო როცა აუფჰოიზერის ქალმა კიურენბერგს უთხრა, შინ წავიდეთო, პფაფრატმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გაიფიქრა, ასე იციან მათ, ან წუწუნებენ ან ცხვირს სწევენ მაღლა. ღირიყორმა აქეთ-იქით მიმოიხედა, ზიგფრიდს ეძებდა, მსუბუქ ვახშამზე სურდა მიეწვია, მაგრამ ზიგფრიდი ოთახიდან გამქრალიყო.

ისინი ქალაქებში მიალაგებდნენ; ქალაქით მოფენილიყო პოპოლოს მოედანი, ქალაქი გაშლილიყო სანტა მარია დეი მირაკოლის, სანტა მარია დელ პოპოლოსა და სანტა მარია დი მონტესანტოს ეკლესიების წინ, სამი მარია იცავდა მოედანს, ქალაქი ეყარა ეგვიპტური ობელისკის ირგვლივაც.

რომელიც ავგუსტუსმა მზეს, ხოლო სიქსტ მეხუთემ ზეციურ მებრძოლებს მიუძღვნა, ეს ზეციური მებრძოლებიც მოედანს იცავდნენ, ქალაქი ეფინა იმ კარიბჭის წინ, რომლითაც გოეთე რომში შევიდა, გოეთეც ამ მოედანს წაიხრდა რელიქვია იყო. ქალაქი ისე ეფინა რკალისებრი ფარების ფუჭზე, როგორც თოვლი მთვარას სხივებზე. პოპოლოს მოედანზე დემონსტრაცია მოუწყვიათ და ის ფურცლები, რომლითაც ხალხს ახალი გაზაფხული აღუთქვეს, რომელსაც ჯერ უნახავი ზაფხული და ეს ნანატრი ოქროს ხანა უნდა მოჰყვეს, ის ფურცლები შემოდგომის ფოთლებივით მოფენილიყო მიწაზე და მომავალი ბედნიერების მაუწყებელი გაბედული ლოზუნგები ტალახად, ჭუჭყიან თოვლად, სამთრის რუბ-თეთრ სამოსად ქცეულიყო.

მისი ანაფორით ამდგარი ჰაერის ნაკადი ქალაქს აშრიანებდა და მე ვუთხარი ადოლფს, აღთქმების მანდორზე შევაბიჯებთ-მეთქი. მე ვუთხარი, ესქატოლოგიის თეორიები თივის იმ შეკვრად მიმაჩნია, რომელიც ლატანზე ნიამაგრეს და სახედარს ცხვირწინ დაუკიდეს, რათა მან ორთვალა გასწიოს-მეთქი.

— მაგრამ კაცობრიობისათვის საჭიროა, რაღაც შორეულისა და მაღლისაკენ ისწრაფოდეს, — თქვა ადოლფმა, — გაიხსენე, შუა საუკუნეებში ადამიანს როგორ იზიდავდა და ძალას მატებდა ზეცა.

— ჰო, — დავეთანხმე მე, — სახედარი მიათრევდა ორთვალას, ეგონა, ცაზე ნიმაქვსო; მალე სამოთხეში შევალ, იქ აღარც ჩემი ჩვეულებრივი ტვირთი მექნება სათრევი, საძოვარიც ყოველთვის მწვანე იქნება და მტაცებელი ცხოველებიც სიყვარულით დამიწყებენ თამაშსო. მაგრამ სახედარმა თანდათან შეატყო, რომ ცა არ ახლოვდებოდა, დაიღალა და რელიგიის თივა აღარ იზიდავდა, აღარ უნდოდა ისევ ბეჯითად ევლო წინ. ორთვალა რომ არ გაჩერებულყო, სახედრის შიმშილს იმედად ახლა მიწიური სამოთხე ამოუყენეს, რაღაც საზოგადოებრივი პარკი, სადაც ყველა სახედარს თანაბარი უფლება ექნებოდა, მათრახს მოსპობდნენ, ტვირთი შეუმსუბუქდებოდა, საკვები უკეთესი ექნებოდა, მაგრამ ამ ედემის ბალამდეც გრძელი გზაა, მიზანი არ ახლოვდებოდა და სახედარმა კვლავ ჯიუტობა დაიწყო. საბედნიეროდ მას მუდამ თვალსაფარს უკეთებენ, ამიტომ ვერ ამჩნევს, რომ წინ კი არ მიდის, მუდამ წრეს უვლის, რომ ორთვალა კი არ მიაქვს, არამედ კარუსელს ატრიალებს, იქნებ ჩვენც გასართობს წარმოვადგენთ ღმერთების დღესასწაულზე, ვინ იცის, ღმერთებს დღესასწაულის შემდეგ დაავიწყდათ, რომ კარუსელი აეღოთ და სახედარი ისევ და ისევ ატრიალებს მას, ხოლო ღმერთებს ჩვენ აღარც კი ვახსოვართ.

მან თქვა:

— თუ ასეა, მაშ სრულიად უაზრო სამყაროში გიცხოვრია.

მე ვუთხარი:

— ჰო, მაგრამ განა აუცილებელია, რომ ყველაფერს აზრი ჰქონდეს.

მან თქვა:

— მეც რომ შენსავით ვფიქრობდე, თავს მოვიკლავდი.

— რატომ? მე ისედაც ადრე მოვკვდები, თანაც დარწმუნებული იყავი, ცხოვრების განვითარებაზე დიდი წარმოდგენისა არა ვარ. მაგრამ სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარი არარაობა საშინლად მზარავს. მაშ რაღად მოვიკლა თავი? მეც რომ შენსავით ვფიქრობდე, თავის მოკვლა, ცოდვის ჩადენაა-მეთქი, მაშინ

ჩემთვისაც იქნებოდა „შემდეგ“. ზემოთ მიზნს ამქვეყნიური ცხოვრები-  
 დან გაქცევისა იმქვეყნიურის რწმენა წარმოადგენს. ხოლო თუ მე არც ზეცა  
 მწამს და არც ჯოჯოხეთი, მაშინ უნდა შევეცადო, ამქვეყნად ვიპოვო ცოტა-  
 ოდენა ბედნიერება, ცოტაოდენი სიხარული, აქ უნდა ვიქცევი უკომპრომიზო და  
 სიტკბოებად. ჩემთვის არ არსებობს სხვა ადგილი დასაყრდენად და დღეს  
 თუ მაქვს ამის შესაძლებლობა, და თავის მოკვლის ფიქრი მხოლოდ ხაფანგია,  
 რომელიც მე დამიგებს. მაგრამ ვინ-დამიგო? თუკი ხაფანგი დაიგეს, აქ სად-  
 ლაც ახლოს დამგებიც იქნება. აი დაეჭვებაც აქედან იწყება. თავის ურწმუნო-  
 ებაში ურწმუნოს დაეჭვება, სულ ცოტა, ისეთივე საშინელი რამ არის, როგო-  
 რიცაა მორწმუნის დაეჭვება. ჩვენ კი ყველანი დაეჭვებულნი ვართ. არ თქვა,  
 მე არ ვარ დაეჭვებულიო. ეს სიცრუე იქნება. ჩვენი გრძნობებისათვის, მისაყ-  
 ვდომი სამი განზომილების გაღიაში მხოლოდ დაეჭვებას შეუძლია არსებობა.  
 ვინღა არ გრძნობს, რომ არსებობს რაღაც კედელი — მე ამ „რაღაცას“ ან  
 ამ „არაფერს“ კედელს ვუწოდებ, ეს არის შესაფერისი გამოთქმა იმ „რაღა-  
 ცისათვის“, რაიც ჩვენ გვაშორებს ჩვენთვის მიუწვდომელი სფეროსაგან, რომ-  
 ელიც შეიძლება სულ ახლოსაა, ჩვენს გვერდითაა, იქნებ თვით ჩვენშიც  
 არის, და თუ ამ სფეროში მოსახვედრ კარს, ამ კედელში რაღაც ხვრელს ვი-  
 პოვით, მაშინ ჩვენს თავსა და ჩვენს ცხოვრებას სხვაგვარად დავინახავთ.  
 იქნებ ეს შემზარავიც იყოს, იქნებ ვერც აგვეტანა. ამბობენ, კაცმა რომ სიმართ-  
 ლი იხილოს, ქვად იქცევაო. მე ვისურვებდი მეხილა ეს სიმართლე საბურ-  
 ელჩამოცილებული. თუნდ ბოძადაც რომ გადავქცეულიყავი. მაგრამ ალბათ  
 ეს არ იქნებოდა ის სიმართლე, რომელმაც ქვად მაქცია, ალბათ სიმართლის  
 ამ სურათის იქით აღმოჩნდებოდა სხვა სურათები და სხვა საბურველები, კი-  
 დევ უფრო გაუგებარი, კიდევ უფრო მიუწვდომელი, იქნებ კიდევ უფრო  
 საშინელიც, მე კი ქვად ვიქცეოდი და არაფერიც არ შექნებოდა დანახული.  
 სამყაროს გვერდით, სიცოცხლის გვერდით არსებობს კიდევ სხვა რაღაც, რაც  
 ჩვენთვის უხილავია, მაგრამ რა არის ეს?

— ღმერთს შენ თავის სამყაროში კი არ ეძებ, არამედ ჩიხებში, — თქვა  
 ადოლფმა.

— ის თუ არსებობს, ჩიხებშიც იქნება, — მივუგე მე.

ჩვენ მივდიოდით ვიღაც დეღ მურო ტორტოზე, ქალაქის ძველი კედლის  
 გაყოფებით. პინჩოზე ქარი უბერავდა და მედიჩების ვილას ბაღიდან ტკბილი  
 სურნელება მოჰქონდა. ძალაუფლებამ გააშენა ეს ბაღი, ძალაუფლებამ აღ-  
 მართა ვილები, სასახლეები, ძალაუფლებამ ააშენა ეს ქალაქი, ეს გალავანი,  
 ძალაუფლებამ მოიტანა აქ ეს საგანძური, ძალაუფლებამ მისცა ბიძგი ხე-  
 ლოვნებას, ეს ქალაქი შშვენიერი იყო, მე — ბედნიერი იმით, რომ მის  
 ძველ გალავანს მივუყვებოდი. ძალაუფლება თანამედროვეთათვის მუდამ იყო  
 დამაშინებელი რამ, ის იყო ბოროტმოქმედება, ძალმომრეობა, ჩაგვრა, იყო  
 რამი, ცეცხლის წაქიღება და მიპარვით ქვლა. რომი დახოცილთა გვამებზეა  
 აშენებული, თვით ეკლესიებიც სისხლით გაპოსილ მიწაზე დგანან, არც ერთი  
 ეკლესია, არც ერთი ბაზილიკა, არც ერთი ტაძარი, არ აგებულა დანთხეული  
 სისხლის გარეშე. მაგრამ რომი მაინც დიდებული ქალაქია, ტაძრებიც დიდ-  
 ბულია: ალტაცებულნი ვარსა ძალაუფლების დანატოვარით, გვიყვარს იგი,  
 როცა მბრძანებლები უკვე აღარ არიან ცოცხალთა შორის.

ასე არ შეიძლებოდა. თვალს უცვებ მოეფარა. მათ არც კი გამოშვებობებია. ისე წავიდა, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისინი კი მის მისაღებად მივიდნენ, თუმცა მისი მუსიკა უგვან აზრებს ამქლავებდა და აუტანლად ეჩვენათ. მაგრამ მაინც მიულოცეს, მიულოცეს, რომში რომ მსმენელი ჰყოფილიყო, თუმცა ეს სერიოზული მსმენელი კი არ იყო, არამედ ქარისაგან მსოფლიოში მოფანტული ნაყარწყარო, უსამშობლო მოდისმიმყოლები, რომლებსთვისაც არც ერთი კულტურა მშობლიური არ არის, მაგრამ მაინც მიულოცეს და მზად იყვნენ შეენდოთ, ისიც შეენდოთ, რომ ინგლისში ტყვეობის შემდეგ მათ განუდგა, რომ ოჯახთან კავშირი გაწყვიტა და როგორც ჩანდა, მტერთან ცხოვრობდა. სწორედ არ მოიქცა, ნათესაობას რომ გაექცა, ადოლფიც მას მიჰყვა, უძლები შვილები კვლავ მიიმალნენ. კიურენბერგიც ცივად გამოემშვიდობა და თავის ურია ცოლთან, აუფჰოიზერის ქალიშვილთან ერთად წავიდა, მერე ქურნალისტებიც წავიდ-წამოვიდნენ, მათ ფოტოგრაფებიც მიჰყვნენ თავთაქიანთი ბლიცებით, მთელი ეს ბრბო, უცნაურად ჩაცმული და საეჭვოდ აზივებული ჯოდლომოდლო ხალხი, როგორც ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი ანტიემიტურ უარგონზე მოიხსენია, ერთბაშად გაიკრიფა: უცბად ისინი მარტონი აღმოჩნდნენ რომის ფილარმონიის მსახიობთა საპირფარეშოში, პფაფრატი თავის ცოლთან, გულმოდგინე ვაჟიშვილ დიტრიხთან და ქვისლ იუდეიანთან ერთად წითელ პლუშგადაკრულ სავარძლებს შორის იდგა; კედელზე ეკიდა გახუნებულბაბოებიანი ოქროს გვირგვინები, მაღწყებელი ჩამქრალი იტალიური დიდებისა, და უცნაურად დაგრეხილულვაშებიანი აწ გარდაცვლილი კომპოზიტორების სურათები; ერთ-ერთ კედელს ამკობდა მოთეთრო ფერებით დახატული გაფუებული ქალის ფრესკა, ჰარმონიის გამოსახულება, რომელიც გამძვინვარებულ ქარებს ათვინიერებს. იდგნენ უცნაურად გაცბუნებული პფაფრატი ამ ოთახში, რომელიც თითქოს ელანდებათო ან იქნებ თავად ჰგვანდნენ ლანდებს. ნუთუ ცხოვრებამ მათ ზურგი აქცია, რაკი ახალგაზრდობა შემოეცალათ და მხოლოდ გესლიანად დამცინავი დიტრიხილა შემორჩათ, რომელიც ჯერაც სტუდენტური კორპორაციის წევრია. მაგრამ უკვე განზრახული აქვს სახელმწიფო მოღვაწე გახდეს და სახელმწიფოს კი არ ემსახუროს, არამედ მას დაეუფლოს.

იუდეიანი დაყინებით და ურცხვად ათვალეერებდა ილზე კიურენბერგს. ქალს, რომელიც ლოჟაში მისი ვაჟიშვილის გვერდით იჯდა და ესოდენი ცნობისმოყვარეობა აღუძრა. წარმოიდგინა ის სექსუალური ურთიერთობა, რაც ამ ქალს მის ვაჟთან ჰქონდა, თუმცა მღვდლის ანათორიანს გარყვნილი ცხოვრება არ შეჰფეროდა. ახლა, როცა ილზე იქ აღარ იყო, მან ჰკითხა პფაფრატს, მაგ ქალს თუ იცნობო. გაიგო თუ არა, რომ იგი შვილი იყო მოხუცი აუფჰოიზერის, მალაზიის მფლობელი ებრაელისა, თავის დროზე რომ სიცოცხლე მოუშთეს, იუდეიანმა ძალიან ინანა, ეგ როგორღა გადაშირჩათ. ეს მაშინ დაუძვრა იუდეიანის ხელს, მის ჩექმებს, მის პისტოლეტს, მაშინ საზღვარი ძალზე გვიან ჩაკეტეს, მაშინაც, როგორც ჩვეულებრივ, დიდსულოვნები აღმოჩნდნენ და ამ ბაცილებს საშუალება მისცეს, მთელ ევროპაში გავრცელებულიყვნენ და გერმანული ევროპაც ამ ბაცილებით დაიღუპა, ახლა კი ებრაელი ადოლფსაც უჯდა გვერდით, გერმანულ ებრაელს ეძინა მისი ვაჟიშვილის გვერდით, რომელიც რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი გახლდათ. ეს ამბავი იუდეიანს ისე აღშფოთებდა, როგორც მკითხველს აღშფოთებს სასა-

მართლოს გაზეთში სისხლის აღრევის<sup>72</sup> პროცესის აღწერა: იუდეიანი იმას კი არ ნანობდა, რომ ხოცავდა, — ძალზე ცოტას ხოცავდა, იგი ეს იყო მისი დანაშაული, მაგრამ შემდგომში ატეხილი აურზაური რაღაც ორიოდე კაცის მოკვლის გამო მას ართობდა, ეამებოდა და აბრაზებდა. უკვე უგოროც ეამება და აბრაზებსაც სამოცხვინო დიდება, და ეს იუდეიანს იბღუხად აცუ- შირებდა თავის მსხვერპლთან, რომ ბოლომდე გადაუწყვეტელი ებრაული სა- კითხი, მისი ბრძანებით მოწყობილი მასობრივი დახვრეტები, სამარის პირას ნდგარი შიშველი ქალების ფოტოსურათების მოგონება ამეამად მხოლოდ გა- ლკულმართებულ წარმოდგენებს უღვიძებდნენ — ეს გახლდათ ებრაელ ქალთან სქესობრივი კავშირით ჩადენილი ცოდვა: პატარა გოტლებს წაკითხული ჰქონ- და სისხლის წინაშე არტურ დინტერის მიერ ჩადენილი ცოდვის შესახებ; ამ ცოდვის შესახებ ფიქრი უღვიძებდა მამაკაცურ ნდობას, მაგრამ ასეთი კავში- რა აკრძალული იყო. ეს ყველაფერი მას წარმოედგინა, როგორც ზმანება მე- წამულ ნისლში, რომელიც თვალთა წინაშე ამოუტივტივდა, ეს იყო სიზმარი ცხადში და არა ფხიზელი ფიქრი; საკუთარი თესლის შეწირვის შემდეგ, ყრუ ტკივილის დამაყუჩებელი ვნება-სიძულვილის კრუნჩხვების შემდეგ საჭირო იყო წინადაცვეთილისაგან შექმნილი არსების ბაკნის, გონებით მიუწვდომელი ცდუნებისა და იდუმალი მაგიის უწმინდური ჭურჭლის დამსხვრევა, რომელ- შაც არიელს ცბიერებით გამოსტყუა თავისი ძვირფასი გენები.

იუდეიანს ახლა ლაურა გაახსენდა. ისიც, ალბათ, ებრაელი იყო, თუმცა ეს დანამდვილებით არ იცოდა; ეს ღამე ლაურასთან უნდა გაეტარებინა, მაგ- რამ ერჩია იღზე კიურენბერგ-აუფჰოიზერს შეხვედროდა, წარმოიდგინა, რო- გორ ნახავდა ქალს დაცარიელებულ ქუჩაში, სავსე მთვარით განათებული და- ნით, ნანგრევებს შორის, რომელიმე ჩაშავებული საფლავის პირად და შუბლ- ზე ოფლმა გამოეონა. პფაფრატები წითელ პლუმგადაკრულ სავარძლებში ისხ- დნენ. ისინი დაქანცა კასინოში ბრძოლის ველის სანახავად მგზავრობამ. ამ ამბულვებელმა განცდამ, და ზიგფრიდის კონცერტმა — ამ დამამცირებელმა და თავლაფდამსხმელმა მოეღენამ. ძველმოდურ სავარძელში ჯდომა საამო იყო. იუდეიანიც ერთ-ერთ სავარძელში გაითხლაშა, ისხდნენ ასე ჰარმონიისა და მისი ქარების, მიცვალებული იტალიელი მუსიკოსების, დიდების მაუწყე- ბელი გამოხუნებული ბაფთებისა და ოქროცურვილი გვირგვინების წინაშე, თითქოს საკუთარი მშობლების სალონში იყვნენ, თითქოს პასტორის საშობაოდ გაწყობილ ოთახში ან თავიანთ მყუდრო ბინაში ისხდნენ, საიდანაც იმიტომ წა- ვიდნენ, რომ სანგრებში, საველე თუ ტყის ბანაკებში, საკომანდო პუნქტებსა და მგლის ორმოებში, უზარმაზარ საწერ მაგიდებთან თუ პომპეზურ ბან- კეტებზე ძალაუფლება მოეპოვებინათ, ძალაუფლება განეხორციელებინათ, და ძალაუფლების წარმომადგენლებად წარმომდგარიყვნენ.

იუდეიანმა ლაპარაკი წამოიწყო, რომ ფიქრობს სამშობლოში დაბრუნე- ბას, გერმანიაში დაბრუნებას, ისინიც ყურადღებით უსმენდნენ და თან ძალ- ლონის დაძაბვით წამოპარულ ძილს ებრძოდნენ. იუდეიანმა თქვა, გერმანია- ში ამ ქვეყნის სუვერენიტეტის აღიარების შემდგომ დავბრუნდებით და პფაფ- რატმაც თავი დაუქნია, მაშინ აღარაფერი საშიშროება აღარ იარსებებს, აღარც ერთი გერმანელი მოხელე ნიურნბერგის განაჩენის აღსრულებას არ მოიწადი- ნებს და არც ერთი გერმანული სასამართლო იუდეიანს არ შეაჩვენებს. იუდე- იანმა ილაპარაკა ახალ ბრძოლებსა და ახალ მოძრაობაზე, საჭიროა ერთგულთა

ჯგუფების შემოკრებას და პფაფრატმაც, ამ კორექტულმა ადამიანმა, გაიხსენს, რომ იუდეიანს სახელმწიფოს წინაშე თავისი დამსახურების გამო, როგორც გენერალს. შეუიღია პენაია მოითხოვოს, ეს უფლება უნდა მოიპოვოს, ეს შესაძლო პროცესი უნდა მოიგოს, რადგან საქმე ეხება ერთგულებას და რწმენას. სამშობლოსადმი საგანგებო ანგარიშის წარდგენასა და გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლას, ამაში კი დათმობა არ შეიძლება.

ასეთი მშვენიერი პერსპექტივებით გახალისებულმა იუდეიანმა თავისიანებს სთხოვა, ცოტა რამ დაელოთ. პფაფრატები დალილები იყვნენ. ერჩიათ ამ ძველებურ სავარძლებში წაეთვლიათ, რომლებიც ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატს თავიანთი მყუდრო სასტუმროს სავარძლებს აგონებდა, ასე ეგონა, პასტორი მამამისიც იქვე იყო, და როგორც სჩვეოდა, გრაფლოტის, ბასმარკის, მოხუცი კაიზერისა და ვერსალში, — ამ ღირსსამახსოვრო და მზაკვრულ ადგილას, — რაიხის შექმნის ამბებს ჰყვებოდა. მაგრამ განა შეიძლებოდა, რომ უარი ეთქვათ იუდეიანისათვის, რომელიც კვლავ მნიშვნელოვანი პიროვნების როლს თამაშობდა? ისინი გაჰყვნენ იუდეიანს, რომელიც ფილარმონის წინ გაიჩაჩხა და ყურისწამლებად დაუსტვინა. ღამის სიბნელეში დაირხა სიგნალი — უდაბნოს ჰიმნის ერთი ტაქტი. უჩუმრად მოსრიალდა შავი ავტომანქანა, გადმოხტა მხედრულად გამართული და მუდამ დაუღლელი მოფერი და ავტომობილის კარი გამოაღო. მაგრამ პფაფრატებს ხომ საკუთარი ავტომანქანა ჰქონდათ, ობერ-ბურგომისტრის ავტომანქანა, რომელიც იქვე იყო გაჩერებული და გადაწყვიტეს იუდეიანს კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ. ასე და ამგვარად იუდეიანი კვლავ მისრიალებდა ღამეული რომის ქუჩებში, როგორც მაშინ დიდების ზენიტზე რომ იყო, თუმცა სირენები არ ღმუოდნენ, თუმცა არც მცველების ავტომანქანა მიუძღოდა წინ, ესკორტი აკლდა, მაგრამ უკან მაინც მოსდევდა გამცილებელი. მან გააცოცხლა აჩრდილი, ეროვნული დიდების აჩრდილი, რეგანშიზმის აჩრდილი და მან ისინი კვლავ მოაჯადოვა. საით მიდიოდნენ? რომელ მხარეს? ღამეში. საცდუნებლისაკენ და, როგორც ყოველი მგზავრობისას, რომელიდაც დასასრულისაკენ. იუდეიანმა გადაწყვიტა, მძღოლს ვეტყვი, ავტომანქანა ვია ვენეტოზე გაიყვანოსო. რატომ არ უნდა გაუმასპინდლდეს ნათესაებს იმ ბარში, სადაც კელნერები ლილისფერ ფრაკებში არიან გამოწყობილნი? ქარბი შუქი და სარკეთა სიჭარბე მათზე სათანადო შთაბეჭდილებას ნოახდენდა, პატარა გოტლიბმა ეს კარგად იცოდა, თან იუდეიანს შეეძლო ღამაში მომღიმარი მოლარის მზერით, მისი წვრილი წელის, ხელებში რომ იოლად მოიქცეოდა, და ნატიფი ყელის შეხედვითაც დამტკბარიყო, რომელსაც მალე მოეხვეოდა.

მას შემდეგ, რაც ღამით ქალაქში დიდხანს იხეტიალეს, ბალებსა და ქვის გალავნებს აუარ-ჩაუარეს, უმიზეზოდ და უაზროდ ისაუბრეს მრავალ საკითხზე, ამოდ დაშვრნენ, რათა უხილავს მიახლოვებოდნენ, და ვარსკვლავთა შეღანქოლია სულში ჩაეღვარათ, — ზიგფრიდმა ადოლფი ბარში შეიყვანა. მას არ უყვარდა ეს რესტორნები, მაგრამ ართობდა მალალ სკამებზე შესკუბული კომპოქსუალისტები, მათი ქალური მანქვა-გრეხა, ყალბი ელურტული, ფარშევანგის მაგვარი კოკობზიკობა, მათი ცბიერება, ეჭვიანობის თამაში, მათი დაუსრულებელი, აბურდულ-ჩაბურდული სიყვარულის საქმეები.

ზიგფრიდს მოზრდილი მამაკაცები არ იზიდავდნენ, უყვარდა ბიჭების მწკლარ-  
 ტე სილამაზე, მის აღტაცებას ტურტლიანი, თავზეხელაღებული, მაჩხუბარი,  
 სახენაიარევი ქუჩის ბიჭები იწვევდნენ. ისინი მიუღწევად უღივნიდნენ იყვ-  
 ნენ, ამიტომ გულისგატეხვასაც არ იწვევდნენ. ისინი უფრო უფრო სურდა  
 მხოლოდ თავის წარმოდგენაში უყვარდა, სულიერ-ესთეტიკურად იზიდავდა მა-  
 თი სილამაზე, ისინი იწვევდნენ სიბარულისა და მწუხარების ამაღელვებელ  
 გრძნობას: დროდადრო ზიგფრიდი გოგონებსაც უახლოვდებოდა, რომლებაც  
 ასეთ ბიჭებს წააგავდნენ, ამაში თანამედროვე გემოვნება ხელს უწყობდა,  
 შრავალი მომხიბვლელი უმკერდო გოგონა, რომელსაც აბრეშუმისა ან ტილოს  
 შარვალი ამოეცვა და თმა ბიჭივით აბურძგნოდა, მთელ ქვეყანაზე დაეხეტე-  
 ბოდა. მაგრამ მათ გრძელ შარვლებში დაფარული იყო დედობის ორგანო, შე-  
 უწყვეტლად მოქმედებდა ბიოლოგიური ალქიმია, ზიგფრიდს კი თავისი გვა-  
 რის გაგრძელება არ სურდა. იმის გაფიქრება, რომ სიცოცხლე მიეცა ახალი  
 არსებისათვის, რომელსაც გაუთვალისწინებელი შეხედრები, შემთხვევები,  
 მოქმედებანი თუ წინააღმდეგობანი მოელოდა და რომელიც თავის მხრივ საქ-  
 ლით, ფიქრით ან შემდგომი გამრავლებით შორეულ მომავალზეც კი მოახდენ-  
 და ზეგავლენას, იმის წარმოდგენა, რომ ბავშვის მამა გამხდარიყო, — რაიც  
 სამყაროს გამოწვევად მიაჩნდა, — საშინლად ზარავდა და ქალებთან ურთი-  
 ვრთობას უფუჭებდა მაშინაც კი, როცა ისინი დაორსულების საწინააღმდეგო  
 საშუალებას ხმარობდნენ. ფიზიკური დაბადება ზიგფრიდს დანაშაულად მიაჩნ-  
 და, თუმცა სხვები ასე არ ფიქრობდნენ. სხვები შეიძლებოდა ქარაფშუტო-  
 ბითა და განუსჯელობით გაემართლებინათ, მაგრამ ზიგფრიდის აზრით ეს და-  
 ნაშაული იყო. თესლი რყვნიდა სილამაზეს, ხოლო დაბადება მეტისმეტად ჰგავ-  
 და სიკვდილს.

ადოლფი ცოტა არ იყოს შეაშინა რესტორნის ელევანტურობამ, რომლის  
 ნამდვილი სახეც შეუცნობელი დარჩა ნისტვის. იგი შეაშფოთა სანთლისმაგვარმა  
 სანათებმა, მოვლვარე სარკეებმა, ლამაზმან მიმტანთა ლილისფერმა ფრაკებ-  
 მა; ადოლფის აზრით, ალბათ, არ შეიძლებოდა სასულიერო პირის სამოსში  
 გამოწყობილი მაღალ სკამზე დახლს მისჯდომოდა, ალბათ, ბარის წინ ქუჩაში  
 ლამაზფრად შედებულ სკამზე დაჯდომაც უხერხული იყო მისთვის. ამიტომ  
 საღაროს გვერდით ერთ მაგიდას მიუსხდნენ, და ადოლფ იუდეიანმა გალი-  
 ჰებული ლაურა დაინახა.

ისინი არ მიყვარს, მაგრამ კვლავ მართობდა მათი, ამ ქანდარაზე ჩამომსხ-  
 დარი თუთიყუშების, ჩემი ვითომდა ძმების დანახვა. ვუმზერდი მათ ისტე-  
 რიულ მხიარულებას, მათ თანდაყოლილ სიყვებს, იდუმალ სევდას, ვუმზერდი  
 მათ დამწვარ თმას, კოკიტებისებრ კაბებს, მათ მოწკრიალე სამაჯურებს;  
 ამ დროს ჩემთან მოვიდა ~~სხვირწვეტიან ფეხსაცმელებსა და ვიწრო შარვალში~~  
 გამოწყვებილი ამერიკელი პოეტი, შუბლზე დირექტორისდროინდელი ვარცხ-  
 ნილობის კულულები ჩამოშლოდა. იგი რომის სტიპენდიის იღებდა და მთელ  
 წელიწადს ერთი სონეტის დახვეწას უნდებოდა, რომელიც შემდეგ ერთი პა-  
 ტარა უნივერსიტეტის ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყო. პოეტმა სიტყვა ჩამო-  
 მიგდო კონკრეტზე, რომელიც მოესმინა, გამოთქვა გონივრული არაბანალუ-  
 რი მოსაზრებანი და მითხრა, თქვენი მუსიკით ქეშმარიტად მოხიბლული და-  
 ვრჩიო. შევამჩნიე, რომ მან რამდენჯერმე ადოლფს გადახედა, ეტყობოდა,  
 აინტერესებდა, თუ რატომ მოვედი ამ მღვდლის თანხლებით. მაგრამ პოეტს

მაგიდასთან დაჯდომა არ შევთავაზე, ფეხზე ამდგარი ვესაუბრებოდი, პოლოს შეთანხმდით, ერთმანეთს დახლთან შევხვდეთ და იქ დავლიოთო. შევამჩნიე, როგორ უღიმოდა მშვენიერი მოლარე ადოლფს, ხოლო იგი ისეთი დაჯინებული შეჰყურებდა გოგონასა და მის გაღიმებულ სახეს, თითქოს რაღაც უსაფიქროსა და უსაზღვროს. მოლარე მეც მომეწონა, მისი ღიმილი როგორღაც უსაფიქრო იყო. თითქოს ამ ღიმილს იღუპალებით აღსავსე წყარო ასხვებდა: გოგონა წარმტაცი იყო, ლაურას ეძახდნენ, შორიდან ვიცნობდი. დავლაპარაკებოდივარ კიდევ, მაგრამ საიმიხლო არ ვიყავი, ჰომოსექსუალისტად აღვივდი, ის კი იმის გამო, რომ ყოველ საღამოს ჰომოსექსუალისტებთან ატარებდა, მათ ძმებრით მიეჩვია და აღარ აღელვებდნენ, არ მინდოდა ადოლფს საცდუნებელს წამოგებოდა, იგი მამაკაცთა ბარში შევიყვანე, ლაურა აღარც გამხსენებია, ახლა კი ვფიქრობდი, გამეცნო თუ არა მისთვის მოლარე გოგონა. ადოლფი ჰაბუკი იყო. იმაზე არც მიფიქრია, უქორწინობის აღთქმა ექნება-მეთქი მიცემული, ასეც რომ ყოფილიყო, არა მგონია, ძალიან შეეწუხებინა ამას, ხოლო თუ ფიცს ასრულებდა და უბიწოდ ცხოვრობდა, ეს უკეთესიც იყო, მერჩია მეფიქრა, იგი ამ ფიცს ასრულებს-მეთქი, მაგრამ არც იმას ვაძლევდი მნიშვნელობას, თუ ფიცს ასრულებს-მეთქი, მაგრამ არც ლაურა კი ძალზე ლამაზი იყო, ალბათ მასთან ძლიერ საამო იქნებოდა და ეს სიამე ადოლფისთვის არ მშურდა, ალბათ არც ღმერთს ექნებოდა რაიმე ამის საწინააღმდეგო, ეკლესიას ამის ცოდნა არ სჭირდებოდა, რომ გავგო კიდევ, ალბათ შეუნდობდა. შეიძლება ადოლფს სინდისი ქენჯნიდა, მაშინ არ ღირდა, მით უფრო, ისიც საკითხავი იყო, დათანხმდებოდა კი ლაურა, ან ჰქონდა თუ არა საიმიხლო დრო, რომ ადოლფს წაჰყოლოდა; მაგრამ ადოლფი ისე ჰაბუკებით შეჰყურებდა ლაურას, ვიფიქრე, საჭიროა დავეხმარო-მეთქი. ჩემი სიმფონიის პირველი შესრულება, ჯერ არ მედღესასწაულა და მსურდა რაღაც საამო საქმე გამეკეთებინა.

ლაურამ დაინახა, რესტორანში მღვდელი შემოვიდა და რაკი იგი ღვთისმოსავი კათოლიკე გახლდათ, გული ეტკინა იმის გამო, რომ მღვდლებიც ჰომოსექსუალისტები გამხდარიყვნენ. ლაურა ფიქრობდა, შეიძლება ჰომოსექსუალისტები მღვდლებიც იყვნენ, მაგრამ რაღაც ჩვენს რესტორანში შემოვიდა, ჰან ხომ ამით თავი გასცა და უმართებულოდ მოიქცაო, თუმცა რესტორანში საათგო არაფერი ხდებოდა, მერე შევამჩნიე, როგორ დაჯდა ადოლფი, როგორ დაჯინებით შეაქქერდა მას და ლაურა მიხვდა, — მას საამისოდ გაწაფული მზერა ჰქონდა, — ადოლფი ჰომოსექსუალისტი არ იყო, იმასაც მიხვდა, ვაჟი უბიწო იყო, უბიწოდ შემოვიდა ბარში, უბიწოდ იჯდა მის წინ და დაეინებით შესცქეროდა, და იყო მის სახეში რაღაც ისეთი, რაც ლაურას სხვა სახეს აგონებდა, ასევე არაჰომოსექსუალისტი კაცის სახეს, მაგრამ ეს კაცი ვინ იყო, არ ახსოვდა, თუმცა ის იცოდა, რომ იგი უბიწო არ იყო, და ლაურა იღიმებოდა, იღიმებოდა თავის უმშვენიერესი ღიმილით და ფიქრობდა: ჰო, ჰო, მას დაეთანხმდები, თუმცა ეს ცოდვის ჩადენაა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ცოდვისა, დაეთანხმდები და მერე ცოდვას მოვიწინაებ. და ლაურამ იგრძნო, რომ შეეძლო მღვდლისათვის რაღაც ეჩუქებინა, ეჩუქებინა რაღაც ძლიერ მშვენიერი რამ და ლაურამ იცოდა, რომ ეს საჩუქარი დიდად სასიხარულო იქნებოდა.

ადოლფი მომიყვა იმ ფულის ამბავს, მამამ რომ მისცა. ამის შესახებ პარკ-



„იი მომიყვა და გზაზე იმ ფულის გადაყრა მოინდომა, რადგან იმედოვნებდა, ფულს ვინმე გაჭირვებული იპოვისო. ფულის გადაყრა არ დავინებე და ვუთხარი, ფულს ვინმე მდიდარი, ძუნწი ან მევახშე უფრო იმედოვნებდა, ადოლფმა მერე მითხრა, მამამ ფული ამიტომ მომცა, რომ ამიტომ უნდა მომეცა. ეს გამახსენდა და ახლა ვუთხარი:

— მაგ ფულით ამ მოლარეს ვერ იყიდი, ვილაც იაფ გოგოს თუ იშოვი, ვია ვენეტოზე კი მაგ ფასად არაფერ გამოგყვება.

მან მიპასუხა, უხამსი ხარო, მე ვუთხარი, არა, არა ვარ-მეთქი უხამსი, ის გაწითლდა და მერე მკითხა, ნუთუ სიყვარულს მხოლოდ გარყვნილებად იცნობო?

— არა, — ვუთხარი მე, — არ ვიცი, რა არის გარყვნილება.

მან ვერ გამიგო და სემინარაში ნასწავლი სიყვარულის სხვადასხვა გაგების აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვები დამისახელა. ეს ბერძნული სიტყვები მეც ვიცოდა, მეც მეგონა ფედრეს ვეძებდი. დაე ადოლფს ესინჯა, გაეგო ტკბილ-მწარე სასმელის გამო. ლაურასთან მივედი, ბარის ჩეკი გამოვართვი და თან ვკითხე, შინ გაცილების ნებას ხომ არ მოგვცემთ-მეთქი, მან ისე გაიღიმა, თითქოს ანგელოსი გამოსცხადებოდა.

ლაურას ანგარიში არ შეეძლო. ეშლებოდა რიცხვები, დრო, მოვალეობანი, ვერ ერკვეოდა ცხოვრების მკაცრ, ხშირად სასტიკ მოთხოვნებში იუდეიანმა პათარატები ქუჩაში დადგმულ სკამებზე დასხა. ამრიგად მას შეეძლო რესტორანში შეუმჩნეველად შესულიყო და გაეგო, დღევანდელ შეთანხმებას რა პირო უჩანდა. ლაურამ იგი შენიშნა, შენიშნა ეს ლურჯსათვლიანი კაცი, კვლავ მნიშვნელოვან პიროვნებად მოეჩვენა, მასთან ნაცნობობა ბევრისაღმტყმელად ჩათვალა, მაგრამ დღეს სურდა საკუთარი თავი ახალგაზრდა მღვდლისათვის მიეძღვნა, დღეს ღამით სურდა რაღაც სიკეთე ექმნა, სურდა თავი ახალგაზრდა მღვდლისათვის შეეწირა, რომელიც ასეთი უბიწო და სევდიანი იყო, დილით კი თავის სულიერ მამას მოუყვებოდა, რომ თავი ვილაც ახალგაზრდა უცხოელ მღვდელს მიუძღვნა: და როცა იუდეიანმა კითხვის თვალით შეხედა, უარის ნიშნად ლაურამ თავი გააქნია. მაშინ იუდეიანი სალაროსთან მივიდა და ქალს დაუინებით დააშტერდა. რა მოხდა? როგორ ბედავს ეს ნათრევი ძუენა იუდეიანის გასულილებას? სამწუხაროდ იუდეიანს სიტყვები არ ჰყოფნიდა, მას არც ერთ ენაზე არ ჰყოფნიდა სიტყვები, ლაურა კი იღიმებოდა, მას ეტყობოდა, სიამოვნებდა, რომ ლურჯსათვლიანი კაცი გაცოფებული იყო, ისიც უნდა ითქვას, ლაურას მამაკაცებთან დღისით ერჩია ძილი, ვიდრე ღამით, როცა რიცხვებისაგან დაღლილი იყო და მართლაც ეძინებოდა. ამიტომ იუდეიანს უთხრა, თუ გასურს, დილით შეგხვდებითო და ჩეკით ქალაღმდეგ დაუწერა პემანის ადგილი და საათი — ათ საათზე ტრანსპორტის სააგენტოს კანტორის წინ დაგელოდებითო. კაცმა ვერ გაიგო, ეს ახირება რას ნიშნავდა, ალბათ ვილაც მდიდარმა ებრაელმა ჩემზე მეტი შესთავაზაო. იუდეიანი სიამოვნებით დაუღრიალებდა, მაგრამ პატარა გოტილიბმა ვერ გაბედა ამ რესტორანში აღრიცხვება, ამიტომ ლაურას გამოწვდილი ბარათი ჯიბეში ჩაიღო და ერთი ჭიქა კონიაკი „ნაპოლეონის“ ჩეკი გამოართვა. გარეთ ღვიწხოს სვამდნენ, მაგრამ ბარში ერთი გვარიანი ჭიქა „ნაპოლეონის“ გადაკვრა მოინდომა.

იუდეიანი მალალ სკამებზე შესკუბებულთა შორის გაძვრა და მეც მხარი

გამქრა. ამ დროს მე დაბლთან ვიჯექი და ამერიკელ პოეტს ვესაუბრებოდი. საუბარი კვლავ კონცერტზე ჩამოვარდა, — ჩემი მუსიკა მასზე კვლავ განსჯობდა მოქმედებას და კვლავ აღელვებდა. საუბრისას შეეხო პომეროსსა და ვერგილიუსს და მითხრა, იმ სონეტში, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, მათგან პომეროსისა და ვერგილიუსის ციტირებას, თქვენი სიმფონიის მომსახურებას დეც პომეროსი და ვერგილიუსი მიმაჩნია ნიმუშად ჩემი საკუთარი მარტობისა, რომელსაც მუდამ ვაჯურობივარ. ამას კი თავს ბარის მაღალ სკამზე ჯდომით და ირგვლივ მყოფებთან უსაგნო ლაპარაკით ვაღწევო: ამ დროს მე შემოვბრუნდი და დავინახე იუდეიანი. რომელიც მაღალ სკამებს შორის გზას იკვლევდა. საბტად დავრჩი, ისიც გაოცებული ჩანდა, ერთმანეთს დაჟინებით შევაცქერდით, და ის იყო უნდა შემოვბრუნებულიყავი, მაგრამ სასაცილოდ მეჩვენა იუდეიანის პიროვნების უაღრესი ბარში, ჩემნაირ ცოდვილთა გარემოში დანახვა, მისი გაღიზიანება მომინდა ძლიერ და მივმართე:

— შენც პომოსესუალისტი გახდი, ძია იუდეიან?

მას სახე დაემანჭა და ირგვლივ მიმოიხედა. ეტყობოდა, ახლავა მიხვდა, რომ ეს პომოსესუალისტთა რესტორანი იყო და წაისისინა:

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ასეთი პირუტყვი იყავი!

ფიქრობდა? იმას თუ ფიქრობდა, რად გავხდი ასეთი? ახსოვდა მას ორდენსბურგის ნაციონალური სკოლა, ის ბიჭები, რომლებსაც ძალით ჩააცვეს ჯარისკაცის ქურთუკები? იანნი ლამაზები იყვნენ, როცა სამოსს იხდიდნენ, პატარა ჩინოვნიკებიდან კვლავ ყმაწვილებად ვადაიქცეოდნენ ხოლმე, რომლებსაც ენატრებოდად სიყვარული და სინაზე, რომელთა ჭაბუკური სხეული ვნებას აღევსო. იუდეიანის წასისინებას ჩემთვის გული არ უტკენია. ნეტავ რად ვუთხარი ეს? რატომ მოვიქეცი ასე? მძულდა და იმიტომ? არა, სიძულვილიც კი აღარ მქონდა მის მიმართ. ეს იყო წარსული და მისი გახსენება აღარ მსურდა. ბავშვობაში იუდეიანი ჩემთვის საშინელებაა წარმოადგენდა. როგორც ნაციონალური პარტიის წევრი, ჩემში შიშს იწვევდა. როგორც გენერალი, შიშს აღმიძრავდა, ახლა ჩიტების საფრთხობელად მიმაჩნდა. ახლა რად აღვხირდი? მე ხომ უკვე თავისუფალი ვიყავი! მაგრამ იუდეიანი იყო ის, ვინც მე „ჯარისკაცად“ მაქცია; მეც ვიწავლე ჯარისკაცულ ენაზე ლაპარაკი და ერთი სული მქონდა, მისთვის მეთქვა, ნასუქი ღორი ხარ-მეთქი, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი, ჩვენმა ოჯახმა გამაბრაზა, გაბრაზებული ვიყავი ისე, როგორც აფაფრატებს აჩვევიათ, მძულდა საკუთარი თავი, მაგრამ მაინც ძლიერ უღირობად მოვიქეცი და ესდა ვუთხარი:

— აღოლფიც აქ არი!

მან იქით გაიხედა, პაითაც მე თავი შევაბრუნე და დავინახეთ მაგიდასთან ეფულად მიმჯდარი აღოლფი. ანატორიანი აღოლფი მკაფიოდ გამოიჩინოდა ირგვლივ მოხუსხუსე და აკრიახებულ პომოსესუალისტთა შორის, დავინახეთ, როგორც შესცქეროდა იგი ლაურას, და იუდეიანს. ვუთხარი:

— ეგ იმ ფულსა ხარჯავს, შენ რომ მიეცი გოგოს საყიდლად.

დავინახე, იუდეიანს ლურჯ-წითლად შეეფოთლა სახე, როგორც დამბლის დაცემის წინ ემართება ადამიანს და გავიფიქრე — დამბლა ხომ არ ეცემს-მეთქი? და გავიფიქრე: ოღონდ ამ საქმეს აქ ნუ იზამ-მეთქი, და კვლავ გავიფიქრე: სასაცილო იქნებოდა, იუდეიანს რომ ლილისფერ ბარში დამბლა დაეცემს-მეთქი. ვზეიმობდი? არა, არ ვზეიმობდი, თავს გამოფიტულად ვგრძობ-

დი. ჩემთვის სულ ერთი იყო, იუდეიანს დაბლა დაეცემოდა, თუ არ დაეცე-  
მოდა. მან ბარძენს ჩუკი გაუწოდა. იუდეიანს ხელი უკანკალვებდა და მე ვავი-  
ფოქრე: ბებერი ჩერხეთია-მეთქი. და ვიგრძენი: ის მოჩვენება-მეთქი; თით-  
ქოა მისდამი თანაგრძობამ ვამიყვება გულში. საოცარო იყო. მანტიმენტა-  
ლობა თუ იყო ეს.

იუდეიანმა კონიაჟი გალაპარაკა. გულ-მუცელში ცეცხლი დაუტოვებდა და  
ბერე პატარ-პატარა ნაკადულებად მოედო მთელ სხეულს, გაცოფებას, გაცო-  
ფებას, გაცოფებას და ტკივილს მოეცვა მთელი მისი არსება და მხოლოდ ბა-  
ტარა ვოტლები და ყოველივე მდიდრული მიმართ — — ხველაზე სამიხედო  
გარყვანილების აქოაგებულო სასახლეც რომ ყოფილიყო იგი — — ღრმა მოწი-  
წება უშლიდა ხელს მის გაცოფებას ამონთსუდიყო. ისიც საკმარისი იყო.  
ჩიგფრიდი ავე თავხედურად რომ ელაპარაკებოდა. იუდეიანს ჯერ კიდევ იმ-  
დენი უნარი ჰქონდა, ამ ჩვირსათვის, რომელსაც თავისი ეროვნული  
ზანუ დაეკარგა, ღაზათიანად ელენა ცხვირპირში. მაგრამ თავი წამოეყო. ახალ  
მტერს, მტერს, რომელიც უჩუმრად მიჰპარვოდა, რომლის მიანლოებაც, სანამ  
იალაუფლება ხელთ ეპყრა, არ გაუგია, სანამ უდაბნოს ყაზარქებში იყო, არც  
უგრძენია, რადგან ძალაუფლება იქაც ხელთ ჰქონდა. თუმცა პატარა მასშტა-  
ბის ოლქში, მაგრამ იქაც მბრძანებლობდა. განკარგულებებს იძლეოდა. კონ-  
სტანტინოპოლის არაჟინ უწევდა: მაგრამ ახლა მტერი უცებ აქ აღმოჩნდა, თავისი  
სახე გამოაჩინა, წამოეწია ააჟი! იუდეიანი არ აღშფოთებულა იმის გამო,  
რომ მისი ვაჟიშვილი ჰომოსექსუალიტა შორის იჯდა. არც თავწესაქცევად  
ჩაუთვლია ის ამბავი, რომ მის ვაჟს, დიაკონს ჰომოსექსუალისტები ეხვეწენ  
გარს, ის მხოლოდ ერთ რამეს ხედავდა — — რომ საკუთარმა ვაჟმა, თვალთმაქც-  
მა, ძუქნა წაართვა, და მარტო ის კი არ ამწარებდა, რომ ლოგინის სიამოუ-  
ნება მოაქლეს, გაოცებული, გაცბუნებული და გაოგნებული იყო იმის გამო,  
რომ უკან გადააყენეს და უპირატესობა მიანიჭეს, ამ დედაკაცისმაგვარ უსუ-  
სურ ბიბუქალას, გამოწყობადა მღვდლის ანაფორაში, რომელიც იუდეიანს იმ-  
დენად ურევდა გულს, სიძულვილია ღირსადაც არ მიანდა, მხოლოდ რცხვე-  
ნოდა. თითქოს ეს იყო ამბახინჯე, რაღაც კომიკური კუზი, რომელიც ადამიანს  
საააცილოს ხდია. იუდეიანი წამდაუწუმ დაჟინებით შესტყეროდა იმ უცნაუ-  
რად განმარტოებულ მაგიდას, რომელსაც ლაურას წარმტაც ღიმილში მთელი  
არსებით ჩაძირული ადოლფი მისჯდომოდა. იუდეიანს ეჩვენებოდა, თითქოს  
რაღაც ავიამაუწყებელ და საშიშ ფატა-მორგანა ხედავდა, უდაბნოს მოჩვენ-  
ებებს, მიუწვდომელს, მოუხელთებელს, საზარელს, გროტესკულს და მომაკვ-  
დინებელს; იქ კი წამდვილად მტერთაგან უფრო მტერი იჯდა, მოჩვენება და  
არც მოჩვენება, თაღლითები, უატაბაში, რომელმაც მამია მოსალოცებლად  
მღვდლურად გადაიკვა. ახალგაზრდობა აღადგა იუდეიანის წინააღმდეგ. გონ-  
სგადასულმა ახალგაზრდობამ უღალატა მას. იმისდროინდელი ახალგაზრდობა  
ბრძოლაში დაეცა, იგი იუდეიანმა თმში ჩაყლაპა, ის ახალგაზრდობა წესრიგ-  
ში იყო, მას არ მოულოცებია იუდეიანი, მათ აღარც მოლოცება შეეძლო და  
აღარც ღალატი, — — საფლაფში იწვა, მაგრამ უღევანდელი ახალგაზრდობა და-  
ლატობდა მას და კვლავ ღალატს განაგრძობდა, ახლა კი ძარცვასაც მიჰყო  
ხელი, ართმევს გამარჯვების შანსებს, სტაცებს ქალს, რომელიც ყოველ დროს  
დამპყრობელის, გამარჯვებულისა ლუკმა ხლებოდა, ვი ახლში ჩაგდებაც გა-  
მარჯვებულის ავხორცული სიმბოლო, მტრის დამონებისა და ძლიერების ტკბი-

ლი შეგრძნება იყო. ნუთუ იუდეიანი ია ბებერი ხარბრემი იყო, რომელსაც ჯურბრემს ახალგაზრდა ართმევდა ბრძოლით, თვითონ კი ბუჩქებში უნდა შეე-  
 ღრადიყო და სიცოცხლეს გამოსთხოვებოდა? საქმე ჯერ ამაზე არ იყო მომზად-  
 ეა აიყოლე იყო. ბუცყაის ცბიერება. იუდეიანი ჯერ კიდევ შორს იყო ია ბე-  
 ტერი ხარბრემიაგან, ვიაც რქები აფრება და ბუჩქებში იმალება. **სიკვდილი რომში**  
 ეაეკაცია: ამას მიაი საქმენი მოწმობენ; მაგრამ ლაურაა როგორ გააგვიიიოთ  
 თავის საქმეთა, გამარჯვებათა, მტრის გამანადგურებელ კონბანიათა ჩატარე-  
 ლის ამბებრი? მთელმა მსოფლიომ იცოდა იუდეიანია მეუფება, მაგრამ რო-  
 გორც ჩანდა, არავის სურდა მისი გახსენება. ნუთუ ახლა ენაწატლეკილებმა,  
 აყვია ღანრებმა გამარჯვეს, ხოლო მამაციის საქმენი უკვე მიივიწყეს, წარ-  
 ხტლია რომში მიჩტრთეს და მიაჩუმათეს, ადაც სიახლის ნაადულები გუ-  
 ლეებალ იდგა და თვით შრწოლა იბრწუნებოდა? რა შეეძლო იუდეიანა? შეეი-  
 ლო ებთიანებინა, რესტორანი დაცალეთო, ეს აიუღლე იყო. მათ არ შეეი-  
 ლო რესტორანი დაცალეინებინა. იაიც არ შეეძლო, სალაროსთან მიუღლიყო  
 და ასალი ჭიქა კონიაკია ჩეკი აელო. თავბრუ დაეხვა, შეეშინდა ასაცილო არ  
 გამხდარიყო, მღვდელ შვილთან შეხვედრის ასაცილო აცენა არ გაეთამაშა.  
 იუდეიანმა მაგრად ჩააჭიდა ხელი ბარის თითბრის სახელურს, თითქოს აუ-  
 ცილებელი იყო მისი ხაბლუჯია, რესტორანში რომ არ დაცემულიყო, რომ  
 არ მომკვდარიყო ანდა ბრმად არ დაეწყო მუშტებია ქნევა აეთ გამოუვალ  
 მდგომარეობაში ჩავარდნილს — ია ხომ მტრებით იყო გარემოცული!

ესედავდი, როგორი გამმაგებით ეჭიდებოდა იგი თითბრის სახელურს,  
 ესედავდი, რა საშინლად სწყუროდა მეორე ჭიქა კონიაკი, მაგრამ ეშინოდა  
 სახელური გაეშეა და ბარმენა ვუთხარი, იუდეიანს კონიაკი დაუახით-მეთქი.  
 ბარმენმა კონიაკი დაუახა, რადგან მე ჰომოაექსუალისტად მიმიჩნია და მენდო,  
 რომ ჩეკა მერე მიუტანდი, იუდეიანმა ჭიქა აიღო. ნეტავ თუ იცოდა, რომ  
 ჩემგან იყო? ჭიქა გადახუხა და უკანალი ისე გააქნია, თითქოს სახელურზე  
 ჩაჭიდებულს ბუქნი უნდა გაეკეთებინა. ერთი წამით თვალები თითქოს შუ-  
 შიასა გაუხდა, მერე ისევ დაუვიწროვდა და ჩვეულებრივ ვერაგი ღორული  
 თვალები გაუხდა. ამ ვერაგმა თვალებმა მე შემომხედეს, შემდეგ რესტორანში  
 მიმოიხედეს, ადოლფსა შეხედეს და ლაურაზე შეჩერდნენ. გაოცებული ვიყა-  
 ვი, რად იყო ასე აღელვებული. ასე საშინლად რატომ განიცადა ადოლფის აწ-  
 ნახვა? ნუთუ ის ისეთი მამა იყო, ვინც შეილებზე ზრუნავს? არა მჯეროდა.  
 იუდეიანი არავისზე არა ზრუნავდა. და რაკი თავისი ვაჟის მღვდლური სამოსი  
 აძულდა, სალარობოდ უნდა მოსჩვენებოდა, ესოდენ საძულველი სამოსი ესო-  
 დენ საეჭვო გარემოში რომ ნახა, დახლს მოშორდა და დარბაზში გაიარა,  
 გვერდულად გაუარა ადოლფსა და სალაროა. ყურადღებით შევეყურებდი, ადო-  
 ლფს თუ წაეკიდებოდა, მივშველებოდი. იუდეიანმა ადოლფს ისე გაუარა, ხედავ  
 არ შეუხედავს. ეტყობა, არც ადოლფს დაუნახავს იგი, მან ხომ ჩემი წამოსვ-  
 ლაც ვეო შეამჩნია, იჯდა ლაურას ღიმილით გაცისკროვნებული, თითქოს დი-  
 დი მზით იყო გაახივთანებული.

პფაფრატები გარეთ ისხდნენ ბარის წინ, ღამე კი თავისთვის მივდინებო-  
 და. კაფეენი, რესტორნები, საატუმროებისა და ძვირადღირებული დანაინ-  
 გების სკამები წინ მთელი მშვენიებით კობწიაობდა ვია ვენეტო, ელეგანტუ-  
 რი რომი, მდიდარი რომი, დიდმფლობელთა რომი და ბაქია უცხოელთა რომი,  
 ყველგან სინათლე ელვარებდა, წაბლები ჰყვაოდნენ და შარიშტრობდნენ და  
 გარსკვლავები დააციმციმებდნენ ამ უზარმაზარ მსოფლიო ქალაქა. პფაფრა-

ტები პირველად ყველაფრით აღტაცებულნი იყვნენ, მიმტანთა ღრუკებითაც, მერე კი სკამებს შორის ვილატებმა საეჭვოდ დაიწყეს ხუხუღის, თისმა ტიტინი, სამაჯურების წკრილი, ირგვლივ მოედანა სურნელება დახვეული თმისა და ქალურად ნალოლიავეები ხელებია, რომლებიც ახვანთა მთელი თქმობაზე დაფათურობდნენ. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი აღმფრთხილებული იყო, რასაც ვეჭვად გრძნობდა, იმას თაობაზე ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა, იუდეიანმა კი ფრაუ ანას აქ მოყვანა როგორ გაბედა! დიტრიხიც ღელავდა, მაგრამ მეორე მხრივ გარყვნილებია და ზნედაცემულობია გამო ღელვასა და აღმფრთვებას სიამია გრძნობა ენაცვლებოდა, დიტრიხი წელში ლაღად სწორდებოდა და თავა ამაყად აწევდა მაღლა, თითქო ამ უცხოელ პიბარტთა შორის თვით წესიერება ზის, და გოთები უთუოდ გაიმარჯვებნო. ცნობისმოყვარეობა და ავზორცული გულისწადილი აწამებდა დიტრიხს. ცნობისმოყვარეობა აინტერესებდა, რაღა მაინცდამაინც ეს რესტორანი ამოირჩია იუდეიანმა; ჰომოსექსუალიატი ის არ იყო. მაგრამ ალბათ აქ ხვდებოდა თავის იდუმალ მეკავშირეება, შენიღბულ მოენეება, რადგან ჯამუშება და ამბის მიმტანებს ხშირად ნაძირალთა წრიდან ქირაობდნენ. მათ იყენებდნენ და როცა თვითონ ძალუფლებაა ხელთ იგდებდნენ, აქვე გამოყვინებულ საბუღელ შემწეებს აპატიობდნენ. ავზორცულ გულისწადილს კი გაბავლილი გოგონები სურდა. ამ მიზნით, რომ თვათ-ბარიაყი უფრო მკაფიოდ გამოასენოდათ, გოგონები მოწუაბულ ქვედაბოლოებში გამოწვეპილიყვნენ, მაღალ ქუსლებზე შემდგარიყვნენ და იყ დარონინებდნენ, მოვლილები და გაწვრთნილები იყვნენ ცირკის ცხენებივით, ძვირფასი საჯდომი ცხენებივით, რომლებიც თავისი საქმის მრავლისაღმტქმელი ოსტატები არიან. დიტრიხს ეს მკაფიოდ ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ანგარიში შეეძლო და იცოდა, ასეთ გოგონას მისი გიბეგერ გასწვდებოდა, ამიტომ სძულდა ეს გოგონები, მისი აზრით ისინი ურცხვად აღაგზნებდნენ მამაკაცება, ხოლო ღამია ქუჩებში მათი სეირნობა სკანდალუზი იყო და გამწარებულსა და ავზორცული გულის თქმით ატანილა გაახსენდა ხემოდანში შენახული ილუსტრირებული ჟურნალი, სადაც შიშველი გოგონების სურათები იყო დაბეჭდილი, რომლია ცქერაც მას ამშვიდებდა და ნაამებს აძინებდა. ბოლოს იუდეიანი გამოვიდა ამ უცნაური ვოლიერიდან. ვტყობა, იქ გააბრაზება, მძიმედ სუნთქავდა, შებლასა და ხელზე ხარღვები დაბერვოდა და როცა დარჩენილ ღვინოა დასასხმელად წაეტანა, ხელი უკანკალებდა. იუდეიანი პფაფრატებია ლანძღვას მოჰყვა იმის გამო, რომ გერმანიას ჯერ კიდევ არ გამოჰღვიძებოდა, ახალგაზრდობას მარშებით არ წვრთნიდნენ, და უღის-ციპლინობის გამო იღუპებოდნენ. თავი როგორ ემართლებინათ? იუდეიანის წინაშე თავის მართლება ადრეც არ შეეილოთ. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი სამარცხვინოდ უსუსური ხდებოდა, როცა ვინმე გამკივანი ხმით სიტყვა „ეროვნულს“ ხაზგასმით ახსენებდა, რადგან „ეროვნული“ — ეს იყო კერპი, მოლოზი, რასაც უნდა შესწირვოდა გონება. ცხოვრება და ბოლოს თვით საკუთრებაც. რომის წაბლის ხეები შრიალებდნენ საღამოს თბილ ჰაერში. ნუთუ კვლავ არ აშრიალდება დროშები? ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი ეს ძალზე სურდა, — დროშა ხომ ამალღებული სიმბოლო იყო და საღაშქროდ გამოსვლას ნიშნავდა. მაგრამ ახლა, როცა იგი იუდეიანს უამენდა, რომელიც მას და მის გრს ლანძღავდა, იუდეიანის დროშების წარმოდგენაზე, რომლებიც კვლავ უნდა აშრიალღებულიყო, უცბად რაღაც ამოუცნობი შეშფოთება დაეუფლა — ეს, ალბათ სიბერის ბრალი იყო და მოეჩვენა, თითქოს რომის თვინიერმა წაბლის

ხეებმა მოხუცი ქალებივით ჩაიხითხითეს. გაახსენდა დედა, პატორის ცოლი, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმით აღტაცებული არ იყო. ვინ იცის, იქნებ დედა ახლა ვარსკვლავებით მოფენილ ზეციდან ჩამოჰყურებს. დედის მტკიცედ სწამდა, რომ სიკვდილის შემდეგ ციდან დაიწყებდა მზერას, პფაფრატს უკვე გორც გონიერ არაებას, ეს შეუთლებლად მიაჩნდა. მაგრამ, ვთქვამთ — დასაწყისად მართლაც ზეციდან იმზირებოდა, ვთქვათ და მიაგნო კიდევ და ახლა მას უყურებდა. ნეტავ თანაუგრძნობდა კიდევ? იუდეიანი პფაფრატს ლაჩრობასა და ლალატში ადებდა ბრალს. ლამის ამ მომაჯადოებელ წუთებში დაღლილი, არაქათგამოცლილი, ამალლებული და უჩვეულო შთაბეჭდილებებით აღსავსე პფაფრატი ამ საყვედურს იღებდა. ლაჩარიც იყო და მოლალატეც, მაგრამ ეს ის ლალატი არ იყო, რასაც მის წინააღმდეგ ამხედრებული ქვისლი გულისხმობდა. ამჯერად პფაფრატს ეჩვენებოდა, რომ ახალგაზრდობაში გზიდან გადაუხვია. რომ მისთვისაც და გერმანიისათვისაც არსებობდა სხვა სავალი ვიდრე ომის გზა, რომლითაც იწყო სვლა პფაფრატმა. ეს სხვა გზა რომლისაც მას არასოდეს არ სჯეროდა, ახლა მის წინაშე გაშლილიყო, თითქოს მოგონების ჯადოქრობით განათებული ახალგაზრდული პეიზაჟი; აი, სწორედ ამ სხვა გზას უღალატა მან და ის სხვა გერმანია სამუდამოდ დაკარგული იყო. წაბლის ხეები ერთმანეთს უყვებოდნენ მისი ლაჩრობის, ლალატის, განდგომის ამბავს. უფრო ხმამაღლა აყვებოდნენ ამის შესახებ შინ ბებერი ცაცხვის ხეები, მაგრამ ადამიანისათვის ლამის ბრალმდებელი ხმა ხეთა ლამეულ თრთოლასთან ერთად წყდება და გამამხნეველები ძილის შემდეგ პფაფრატი თავს ისევ უმწიკვლოდ, პატორისა და გერმანელად და ობერბურგომისტრად მიიჩნევს, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დანაშაულისაგან, დანაშაულისაგან წინაპართა წინაშე, დანაშაულისაგან შეილების წინაშე, დანაშაულისაგან საკუთარი სულის წინაშე. ახლა კი ამ ლამეული სახეცვლილების უამს, იგი საკუთარ თავს კვლავ და კვლავ ეკითხებოდა, — იქნებ ზიგფრიდი თავის მუსიკით უფრო უკეთეს სამშობლოს ეძებდა, იქნებ ყურისათვის ესოდენ დისჰარმონიული ტონები საუბარი იყო ზიგფრიდასა და მის ქაბუკურ სულს შორის?

ღრმა ჩაფიქრებიდან გამოვაფხიზლე, ლაურას ღიმილით განცდილი ნეტარება განვუქარვე. ადოლფი კვლავ გულს მიჩვილებდა. ხელი მხარზე დავადე შევ სამოსზე, მაგრამ მან მხარი უკან გასწია და თქვა:

— შენ არ გეამის, რა არის ეს.

მე ვუთხარი:

— შეამია. შენ ახალი ტკივილი გაიჩინე.

მან მკითხა:

— მართლა თუ იცი, რა არის ეს?

— მე ვუპასუხე:

— ვიცი.

მისთვის ჭიქა ვერმეტი შევუკვითე, მაგრამ მან არ დალია. ღვინის ფული გადავიხადე და მან მკითხა:

— შეგვიძლია ახლა წავიდეთ?

მე ვუთხარი:

— მას ჰქვია ლაურა. ჩვენც მასთან ერთად წავალთ.

მან თვალი შემაკლო, ტუჩები როგორღაც აატოკა და მითხრა:

— ჩემი არ გესმის.

მე ვუთხარი:

— როგორ არა, მეამბი. — გულში კი ვფიქრობდი, მას ჰქონია, მხოლოდ მზერა დააკრავოფილებს, მართალიცაა, მზერა ბედნიერებაა და თუ თავა შეიძგრება და ლაურას ლოგინში არ შეუწვება, ბრძოლაში გაიჭრება და დარჩება. ესეც გავიფიქრე: ბრძოლაში კი გაიმარჯვებს, მაგრამ ლაურას ყველაფერი დაეკარგეო. გავიფიქრე: ნეტავ ადოლფი რა დადგებოდა, ნაცისტები და მათი სკოლები რომ არ გაცამტვერებულიყო? გავიფიქრე: მაშინ შეიძლება აუღივს ვერ ენახა ლაურა, გავიფიქრე: მან ძნელი გზა აირჩია. არ ვიცოდი, კვლავ განაგრძობდა თუ არა ამ გზაზე სიარულს. თუ განაგრძობდა, საით? ვნებას ბრავალი გზა და ბოლიკი აქვს, დახლართული გზაჯვარედინები.

იუდეიანი ავტომანქანის სალონიდან უთვალთვალედა. ისინი ბარიდან გამოვიდნენ. ვია ვენეტოს დაუყვანენ, მიდიოდნენ აშრილებულ ხეებქვეშ, ქუჩაში სინათლეები თანდათან ქრებოდა. ვოგონა მათ შუა იდგა. იუდეიანის ავტომანქანა უკან მისდევდა მათ, შავი ჩრდილი ხან წელს მისრიალებდა, ხან წამოეწვოდა. მერე კი ისევ უკან რჩებოდა. უზარმაზარ სასტუმროს გაუარეს, სადაც იუდეიანი იყო ჩამომხდარი, და ამერიკელთა საელჩოს იქით მარცხნივ შეუხვიდა, ვია ვენეტი სეტემბრეზე. იუდეიანმა მათ დევნას თავი ანება. სურდა დარწმუნებულიყო და დარწმუნდა — კახპა გომბიო ვაფიშვილმა წაგლიჯა ხელიდან. მის ვაფიშვილს რომის ებრაელ კახპასთან ეძინა. სასაცილოა მისი აღშფოთება, ეს თვითონ იგრძნო. გავიფიქრა: ჯანდაბამდე გზა ჰქონიათო. კარგია, რომ ადოლფს ვოგონასთან სინავს, იქნებ კაცად იქცესო. მაგრამ ია დაამარცხეს, ის დიდი იუდეიანი ჩრდილში მიაგდეს, მის ბრძანებას აღარაფერი ძალა აღარ აქვს. მთელი სამყარო აჯახყებულა. იუდეიანის ბაგეებმა უაზრო ლანძღვა-გინება გადმოათრქვია. ის ამბავი, რომ მის მღვდელ ვაქს ვოგონასთან ეძინა, სულაც არ აწუნებდა. ყოველი ხუცესი თვალთმაქც და ხარბ თხად მიაჩნდა. ყველა მათგანს სამაგიეროს მიუზღავს. სამაგიეროს მიუზღავს ხუცესებსაც და კახპებსაც. შოფერს უბრძანა, სასტუმროში მიმიყვანეო. თავის მდიდრულად გაწყობილ ოთახში ავიდა, პატარა გოტლებს შეეძლო ამ ოთახით კმაყოფილი ყოფილიყო. კატა ბენიტო ქყავილით შეეგება. ბენიტოს შიოდა. იუდეიანი გაცოფდა იმის გამო, რომ კატისათვის არაფერი ექმნათ. კატას ალერსი დაუწყო. ქეციან ბეწვზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— საცოდავი ბენიტო!

ოფიციალტი გამოიძახა, კარგად გამოლანძლა, კატისათვის უმი დაკეპილი ღორცი შეუკვეთა, თავისთვის შამპანური. მხოლოდ შამპანური. პატარა გოტლები კაზინოში ყოველთვის შამპანურს სვამდა. პატარა გოტლები შამპანურს სვამდა როგორც გამარჯვებული. შამპანურს სვამდა პარიზსა, რომსა და ვარშავაში. მოსკოვში ვერ დალია შამპანური.

ისინი ჩუმად მიდიოდნენ ღამის სიბნელეში. ერთმანეთისათვის ხელიც არ ეხლიათ. მაღალი სახლები მღუმარედ აყუდებულიყვნენ და მეგობრულად იმზირებოდნენ დაბლა. მოკირწყლული ქუჩა გულკეთილად გაფენილიყო მათ ფეხქვეშ. მოისმა სან ბერნარდოს ზარების რეკვა; სანტა მარია დელა ვიტორიამა და სანტა სუსანამაც მკაფიო რეკვით ამცნეს დრო. მაგრამ ღამის სიბნელეში მიმავალნი დროს არ ითვლიდნენ. დელა ესედრას მოედანზე მათ გაიარეს თალეებქვეშ. რომლებიც ნახევარწრეს ქმნიდნენ. ვიტრინებზე ცხაურები იყო

ერული. ვაჭრები უნდობი ხალხია, ეშინიათ ღამისა და მძარცველებისა. ვიტ-  
რინებში გამოფენილი საქონელი კი მაინც გაენათებინათ. გამოფენათ თავიან-  
თი საგანძური. ლაურას თვალს არ სტაცებდა ეს საგანძური; მას არ იტაცებდა  
ღვირუთის ნივთები, რომლებიც გადაკეტილ ცხაურებს იქით ელაგა. ~~ფიქრობდა~~  
ზისი ღიმილი კეთილ ნათებას წარმოადგენდა. ეს ღიმილი ავსებდა მთელი მთა  
შეა, ავსებდა რომა. ლაურა უღიშოდა ამ ქალაქს, უღიშოდა მთელ სამყაროს,  
urbi et orbi<sup>73</sup>. და რომიც, ეს ღამეც და მთელი სამყაროც გასხივოსნებუ-  
ლი იყო. მოედანზე გადაიარეს და ლაურამ თითები დელე ნაიადის პატარა შად-  
რევანში დაიხველა, და რაკი ღვთისმოსში კათოლიკე იყო, ნაიადის წვეთები  
თავისი ჩუმი დიაკონის თავს აბკურა, თითქოს ნაკურთხი წყალი ყოფილიყო.  
შემდეგ ძველი კედლის ჩრდილს შეეფარნენ, სადაც ალბათ ღამის ფრთოსნები  
ბინარობდნენ: დიოკლეთიანეს თერმების სიახლოვეს, სანტა მარია დელი ან-  
გელის ტაძრის წინ გაუჩინდნენ. ზიგფრიდმა ყური მიუგდო, იქნებ ჭოტის კივი-  
ლი გავიგონოთ. ეგონა, სადაცაა ჭოტის მოძახილს გავიგონებო. როგორც კომ-  
პოზიტორა მიაჩნდა, აქ ავისმაუწყებელი ფრინველის ჭოტ-ჭოტ უნდა გაის-  
მოდესო, მაგრამ მხოლოდ რკინიგზის უახლოესი სადგურიდან მოისმოდა ორ-  
თქლმავლების კივილი, რომელიც შორი მანძილების შიშითა და გულისწუხილითა  
იყო აღვილი. რა შორს იყვნენ ერთიმეორისაგან ეს სამნი, რომლებიც ერთად  
იდგნენ ღამის სიბნელებაში. ზიგფრიდი ადოლფსა და ლაურას შეჰყურებდა. მაგ-  
რამ ხედავდა თუ არა მათ? ნუთუ მათ სხეულებზე საკუთარი აზრების პროე-  
ცირებას ახდენდა? შესაძლოა ეს მხოლოდ თავისი აზრები იყო მათ შესახებ  
და ახარებდა ეს აზრები, ეს კეთილი აზრები იყო. თვითონ ისინი თუ ხედავდ-  
ნენ თავიანთ თავს? ძველი თერმების გალავნის კუთხეში ბნელოდა, მაგრამ  
სანტა მარია დელი ანგელის ტაძრის წინ მარადიული შუქი ციალებდა და ისინი  
ცდილობდნენ ამ სინათლეზე საკუთარი სული შეეცნოთ.

ადოლფსა და ლაურას თავი მივანებე, რა მინდოდა მათთან? ისინი ერთმა-  
ნეთს შევახვედრე და რალა საქმე მქონდა? რკინიგზის სადგურისაკენ გავემარ-  
თე. ნეონით განათებულ დარბაზში შევედი. დაე ადოლფი სანტა მარია დელი ან-  
გელის წინაშე დაჩოქილიყო და ელა „Ut mentes nostras ad coelestia  
desideria erigas.“

— აღამალლე ჩვენი გულები ზეციურ სურვილამდე“. ნუთუ მე მივიყ-  
ვანე ადოლფი ცთუნებამდე? არა, მე არ მიმიყვანია. არავითარი ცთუნება არ  
არსებობს. თერმებში, ეროვნულ მუზეუმში, ინახება ძველი ღმერთების გამო-  
სახულებანი. მათ კარგად იცავენ. მივანიჭე თუ არა ადოლფს სიხარული? მე არ  
შემეძლო სიხარულის მინიჭება. არსებობს მხოლოდ ილუზიები, წამის ცთომი-  
ლი სხივი. სადგურია ბაქანზე გავედი. ერთ-ერთი მატარებელი გასასვლელად  
ემზადებოდა. მესამე კლასის ვაგონები გაჭედნილიყო. პირველი კლასის ვაგო-  
ნში ერთი გამხდარი კაცი იჯდა. იქნებ მე თვითონ ვზივარ პირველი კლასის ვა-  
გონში? შესაძლოა, ის ცუდი ადამიანია. იქნებ მე თვითონ ვარ ცუდი ადამიანი?  
არ მსურდა ხალხით გაჭედნილი ვაგონით შემგზავრა. ფლორენცია-ბრენერი-მი-  
უნხენი. ეს გზა მიზიდავდა? არა, არ მიზიდავდა. გავემართე Albergo di giorno-  
სკენ<sup>74</sup>. რომელიც ნეონის შუქით განათებულ მღვიმეს წააგავს და ვაგზლის  
წვეშ მდებარეობს. მღვიმის ნიშნები მამაკაცებს მანიკიურებს უკეთებენ. მიყ-  
ვარს რომის საპარაკმახეროები, მიყვარს რომაელები. ყოველ წუთს იმას ცდი-  
ლობენ, ღამაზად იყვნენ, აქ მამაკაცებს თმას უხვევენ, პარსავენ, უკეთებენ  
ნარცხნილობას, მანიკიურს, მასაჟს, უსვაშენ სხვადასხვა საღებუნებს, აბკურე-



ბენ სურნელოვან წყალს; სერიოზული სახით სხედან თავზე ბადეებწაკრულნი, სხედან ალაპლაპებული თმის საშრობების ქვეშ, ელექტროდენი ატანს მათ თმაში, მე არაფერი არ მჭირდებოდა და მოწყენილობის გამო მხოლოდ კომპარეის გაკეთება ვითხოვე. სახეზე აოხშივრებული ცხელე პირსახოცი დამაფარეს და ჩემი წარმოსახვაც თითქოს ცხარე გახდა. ვითუქმელეთ პეტრონიუსი ვიყავი და საერთო აბანოში ვესაუბრებოდი ბრძენ კაცებსა და ბავშვებს, ვი-  
 აომ მარმარილოს საფეხურზე ვიწექით და სულის უკვდავებაზე ვსაუბრობ-  
 დით, იატაკზე დიდი ხელოვნებით დაეგოთ ფერადი მოზაიკა, ყველგან მოჩანდა ზევსის გამოსახულება: ზევსი-არწივი, ზევსი-გელი, ზევსი-ხარი, ზევსი-ოქროს წვიმა, მაგრამ მოზაიკა მონის გაკეთებული იყო. სახეზე ყინულიან წყალში დას-  
 ველებული პირსახოცი დამაფარეს, მე ვიყავი პოეტი პეტრონიუსი, ვტკბებოდი კაცებთან საუბრითა და ბიჭების სილამაზით და ვიცოდი, რომ უკვდავება არ არსებობს, ხოლო სილამაზე ტკნება, და ვიცოდი, რომ ნერონს უყვარდა ფიქრი და ვიცოდი, რა ადგილზე უნდა გაიხსნას ვენა, — მარმარილოს ბოლო საფე-  
 ხური ცივი იყო. გამოქვაბულიდან გამოვედი, სილამაზე არ მომმატებია, რომელიღაც მოსაცდელ დარბაზში შევედი და გრაპა დავლიე, რადგან ამ სასმელს პეძინგუევი გვირჩევს, გრაპამ კვლავ გამახსენა ინფლაციის დროინდელი გერ-  
 ნანული რახი. გაზეთების დიდ კიოსკში გაზეთი ვიყიდე. ციხესიმაგრე ჯუნგ-  
 ლებში დაცემულიყო. შენევის თათბირის მონაწილენი მოგზაურობდნენ. ჩემი წითელ ყელსახვევიანი კომუნისტი გოგონა ამაყად მიაბიჯებდა რომის ქუჩებში. ის არსად მიემგზავრებოდა. ან კი რატომ უნდა გამგზავრებულიყო სადმე? ის ხომ თავის მშობლიურ ქალაქში იყო. გაზეთზე მოჩანდა სათაური: „შემდეგ რა იქნება?“

კიურენბერგმა ბევრს დაურეკა, ტელეფონით ელაპარაკა კრიტიკოსებსა და ზოგიერთ თანამდებობის პირს, ელაპარაკა მენაჯერებსა და კონგრესის ორგანიზატორებს, პრემიების დამწესებლებსა და პრემიების მიმნიჭებლებს, ამ თამაშში საჭირო იყო ბევრი პოლიტიკა და დიპლომატია და ყოველი ხელმძღ-  
 ვანელი ზვიადობისა და იღუმალეების ფარდას ეფარებოდა, მაგრამ კიურენ-  
 ბერგმა თავისას მიაღწია და ზიგფრიდმა მუსიკალური პრემია მიიღო, თუმცა სრულად არა — ნახევარი: დიპლომატიური მოსაზრების გამო საჭირო იყო მისი გაყოფა. კიურენბერგმა უთხრა ილზეს, რომელიც აბაზანას წყლით ავსებდა, ზიგფრიდს პრემია მისცესო, მაგრამ ქალისათვის სულ ერთი იყო, მიიღებდა თუ არა ზიგფრიდი პრემიას, ეს ამბავი მას არცსწყენია, არც გახარებია. მან გაი-  
 ფიქრა — ნუთუ მეც დავვაავადდი, დავვაავადდი უგვანობით, დავვაავადდი კარხა-  
 კეტილი დაჯგუფების პრიმიტიული აზროვნებით, დავვაავადდი ამგვარივე მტრო-  
 ბით. ურთიერთთავდებობის პირუტყვული უგუნურებით<sup>75</sup>, როგორც ისინი უწო-  
 დებენ, და ზიგფრიდისა და მისი მუსიკის წინააღმდეგ იმიტომ ვარ, რომ იგი იმ ოჯახს ეკუთვნის? მაოთან ის თავს ბედნიერად არ გრძნობს. ვიცი, რომ მათ გაე-  
 მიჯნა. მაგრამ რად ხდება, რომ როცა მას ვხედავ, მისი ოჯახის წევრები მიდგებიან თვალწინ? ილზე ფიქრობად: „არ მსურს შურისძიება, არც არასოდეს მსურვებია, შურისძიებაში არის რაღაც ბინძური რამ, მაგრამ მე არ მსურს რომ წარსულს მაგონებდნენ, ვერ ვიტან, როცა წარსულს მაგონებენ, ზიგფრიდი კი, თუმცა ამაში იგი დამნაშავე არ არის, — მაგონებს წარსულს, მაგონებს და მე ვხედავ მკვლელებს. „აბაზანა აივსო, მაგრამ წყალი ძალზე ცხელი აღმოჩნდა. ილზე კიურ-  
 ბერგმა სააბაზანოში შუქი გამოართო. ფანჯარა გამოაღო. ქალი ტიტველი

იყო ტიტველს უყვარდა ოთახში სიარული. ფანჯარასთან ტიტველი იდგა, ქარი მიელამუნა. ქარი თითქოს ყალიბივით შემოადგა მის მკვრივ, კარგად შენახულ სხეულს. მკვრივი სხეული მყარად იდგა მყარ იატაკზე. მან გაუძლო. გაუძლო ქარიშხალს. ქარი ვერ წაიღებს. მაგრამ მის არსებაში რაღაცაა, რაღაცაა, რომ წაელა.

შამპანური მთლად გამოსცალა, არ დამთვრალა, გამარჯვებებს ბოლო მოეღო. იუდეიანის არსებაში რაღაც ურუდ დულდა. ყურებში დაწყებული გაურკვეველი გუგუნის მთელ სხეულში უვლიდა: ექვსი არ იყო, სისხლის წნევას აეწია. სარკმელთან მიდგა და რომს გადახედა. დრო იყო, რომი თითქმის დაპყრობილი ჰქონდა, ის კაციც კი დაპყრობილი ჰყავდა, ვინც აქ ბატონობდა. მუსოლინის ეშინოდა იუდეიანისა. ახლა რომმა იუდეიანი ქეციანი კატა მიუძღვნა. ვიღაც ძუკნა ხელიდან დაუვივრა და ისიც არ შეეძლო, ებრძანებინა — დახვრიტეთო. ის ძუკნა საკუთარ ვაეიშვილთან ერთად დაუძვრა, რომელიც რომის ეკლესიის მღვდელი იყო. იუდეიანს აღარც მღვდლების დახვრეტის ბრძანების გაცემა შეეძლო. ძალაუფლება ხელიდან გამოსცლოდა. ნეტავ თუ ისევ დაიწყებს ბრძოლას, რომ კვლავ ხელში იგდოს ძალაუფლება? გზა გრძელი იქნება. ძალაუფლების ხელახლა მოსაპოვებლად გზა მეტად გრძელი იქნება. ამაში ახლა გამოუტყდა საკუთარ თავს. იუდეიანი ვეღარ ხედავდა მიზანს. მიზანი როგორღაც თვალსა და ხელშუა ეკარგებოდა. მეწამული ფარდა ჰფარავდა. მართალია, ვიღაც ძუკნა ხელიდან დაუძვრა, მაგრამ თვალწინ შიშველი ებრაელი ქალი ედგა, ებრაელი ქალის ადგილი დახვრეტილთა სამარეშია, მაგრამ ქალი ვერ ისევ ზეიმობს და იუდეიანს დასცინის: შიშველი სხეულით ამალდა ზეცაში. იუდეიანი მას ღრუბლებში ხედავდა.

ისინი დიდხანს იდგნენ ერთად უძველეს კედელთან მიყუყულნი. უკვე მერამდენედ დარეკა სანტა მარია დელი ანგელის ტაძარმა, გაჰკიოდნენ ორთქლმავლები, ალბათ ჭოტმაც იკივლა, მაგრამ მათ არაფერი აღარ ესმოდათ. ადოლფის ყურებში ერთბაშად ამიანდა ზიგფრიდის მუსიკა და იგი შეეხო ლაურას სახეს, თითქოს აურდა, როგორმე შეეპყრო ქალის ღიმილი, შეეცნო ამალღებული გრძნობა, ადამიანურობა, ტყბილი ნეტარება. მერე შეშინდა და თავი მისცა ღამეს, რომელიც ახლა აღარ იღიმებოდა და, ეტყობოდა, კიდევ კარგა ხანს აპირებდა მიწაზე ყოფნას.

ანგელოსები არ მოსულან. ანგელოსთა ხიდის ანგელოსებმა არ მიიღეს ძველი ღმერთების მიპატიება. კაპიტოლიუმის ბორცვზე ძველ ღმერთებთან არ ჩაუბამთ ფერხული. ძალზე მსურდა აქ, დაბზარული სვეტების ნაშთთან, შავ როიალთან მიმჯდარი სტრავენსკი მენახა. კარგი იყო, რომ ამ როიალზე, ხიდის ანგელოსების ცოტა არ იყოს ჭუჭყმოდებულ თეთრ მარმარილოს ფრთებს შორის, ჰაერად და სინათლეღქცეული ღმერთების მიერ აყენებულ ნიაფზე, დაეკრა თავისი „პასსაკალია“. მაგრამ ანგელოსები არ გამოჩენილან, ღმერთები მიიმალნენ, ზეციდან ღრუბლებმა შემოთვალეს მუქარა და სტრავენსკიმ ესლა თქვა: „Je salue le monde confraternel“<sup>16</sup>. მუსიკალური კონგრესი კაპიტოლიუმში მიმდინარეობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩვენს კოსტიუმებში გამოწყობილნი კომიკურად გამოვიყურებოდით, ხოლო ნანგრევებში მიმალული

ღვეთები. ბუჩქებში ჩაკუნჭული ფავნები და ტანაყრილ სარევეებში კატრუ-  
 ნული ნიძვები გულისანად იკონოდნენ. ისინი კი არა, ჩვენ ვერცხვით გველი მო-  
 დისა, სულელებაც ვეჯავო, და ძველი დროისაბოც, ჩვენს შორის მყოფი ახალ-  
 გაზრდილები კი ახლადღები და ძველი დროისანი იყვნენ. ჩვენს შორის  
 სამკურსა, ალბათ უნდოდა, ეთქვა: „ამ ამბავს მთლად სჯობს ჩემს მძინარეობას, თვალი  
 მაგრამ საკმაოდ სერიოზულად კი უნდა მიიღოს. რგი იმ აზრისა გახლდათ, რომ  
 მანაჯერებს მოქმედების საშუალები უნდა მისცე, რათა ზოგჯერ მუსიკის  
 ნუზასთან ერთად ძვირფასიან რესტორანში სარული შეგედლოს. რომა ბურ-  
 გომისტრმა არემიები გაანაწილა, რგი მამაჩემს კოლეგა იყო და მე ნახევარი  
 პრემია მომცა. მან ჩემი სიმფონია გამო მიბოძა ნახევარი პრემია, გარცებული  
 ვიყავი, რომ ნახევარი მაინც მომცა და გავიფიქრე, ეს კორენბერგის მიღწევა-  
 მეთქი და კორენბერგის ნამართ მადლიერებით აღმევსო გული და გავიფიქ-  
 რე. მამაჩემი მთელ დღეს ჩემით იამაყებს, რადგან თვით ბურგომისტრმა გად-  
 მომცა ეს ნახევარი პრემია. მაგრამ მამაჩემი ვერაოდეს გაიგებდა, თუ ბურ-  
 გომისტრმა რატომ გამომარჩია ახვებს შორის. პრემიის ფული ჩემთვის ძალზე  
 საჭირო იყო აფრიკაში მათრდა წავილა. აფრიკაში ახალ სიმფონია, დავწერ-  
 მომავალ წელს მას ალბათ ახველოსებიათვის დავუკრავ რომში. შავი კონტო-  
 ნენტის შავ სიმფონიას დავუკრავ რომის თეთრი ანგელოებიანთვია ძველი  
 ღმერთების ბორცვზე. ვიცი, ევროპა უფრო შავია. მაგრამ აფრიკაში მსურს  
 გამგზავრება, მათრ უდაბნო ვიხილო მამაჩემი ვერ მიხვდება, რომ შეიძლება  
 აფრიკაში ვაემგზავრო უდაბნოს სანადავად თუ უდაბნოსათვის მუსიკის წასართ-  
 მევად. მამაჩემს აზრადაც არ მოსდის, რომ მე, როგორც კომპოზიტორი, რომაუ-  
 ლი ანველოსებია ერთგული ვარ, ეკლესიამ მოიწონა მალეატრიხა, მუსიკა, კონ-  
 გრესა ჩემი მუსიკა აღიარა.

დილია ნაღობამ კი არ გააღვიძა, კატის ჩხაეილმა დაატრთხო. იუდეიანის  
 თავა გუგუნი გაქონდა, უდაბნოს ფორტი შორს იყო, აფრიკა შორს იყო,  
 გერმანია კიდევ უფრო შორს. რომში გაღვიძია, თავი უსკდებოდა, ახეული მო-  
 უუნებოდა. გაცეცხლებულ იყო, რომ გაიღვიძა, გუშინდელი შამპანური და  
 დავარგული გამარჯვების გამო პირში პარფიუმერის გემოს გრძობდა. მას  
 ერეოდა რალაც მთავე და შველარტე ხრწნადი უჭრედების გემო, გონე-  
 ბაში სიერცის სურათი ტორტმანებდა და ფეხი და ბარძაყი უთრთო-  
 და, უცახცახებდა, დაუკმაყოფილებელი ნდომისგან ავზნებული იყო და ცეცხლი  
 ცვიდა. აბაზანა მიიღო, ტანი დააბილა და ეახარბია ეარგონით უთბრა საკუთარ  
 თავს, კარგა უქნებოდა ერთი ჩემს გემოზე მთელი აღჭურვილობით ველი გადა-  
 ნეჭირითაო. მაგრამ შხაპის შემდეგ ოფლი მოუჯადა და ტანი ველარ შეიმშრა-  
 ლა. ოფლი აღიოდა უხვად, მთელ სხეულზე წვეთ-წვეთად ასხამდა. იუდეიანს  
 აუთია, ერთხელ რომ დაღევ, ისევ უნდა განაგრძო, დილით ისევ იმ სასმელის  
 დაღვეას ურჩევენ, რაც ეაცმა წინა საღამოს ინება და რაც ისევ ახეულშია გამ-  
 რდარი. იუდეიანმა ნახევარი ბოთლი შამპანური შეუკრეთა, შამპანური გამარ-  
 ჯვებულთა ღვინოა. რაც შემიღება გაცივებული შამპანური, ყინულია საჭრება  
 ჭიქაში ყრიდა. ჭიქის კიდევ მოხვედრისას ყინული წკრიალებდა. იუდეიანს  
 ხელი უცახცახებდა. ჭიქა ერთბაშად გამოსცალა: ახლა უკვე ყველაფერს მკა-  
 ფიოდ ზედავდა. ბურუსი გაქარდა, ლაურასთან შეხვედრა შეთანხმებული იყო.

ეს იყო მთავარი. დაე თუნდა ადოლფთან სძინებოდა. მან სჭირდებოდა იუდე-  
ებრაელი თუ არაებრაელი. სჭირდებოდა იგი, რათა მტანჯველი ხილვები გაე-  
გათავა ეფულებულიყო. აელჩოს შავი ავტომობილი გამოიძახა. მაგრაამ მან  
ნიმე წუთში მოფერმა დაუჩუქა და მკათიოდ აცნობა. ავტომანქანა შეეჩუქებოდა  
სჭირდება და ალამოს იქნება მზადო. ეს იყო სიკვდილის ხმა. მაგრამ იუდეიან-  
მა ვერ იცნო იგი. გიხება დაიწყო.

სანტა მარია დელი ანგელის ძველ ტაძარში, თერმების კედლის ძირში შე-  
ფარებულ ღვთის სახლში, აღსარების თქმა მრავალ ენაზე შეიძლებოდა, ადოლფ  
იუდეიანიც სააღმსარებლოში გერმანულად მოლაპარაკე წმინდა მამის წინაშე  
დაეშვა მუხლებზე და გერმანულია მცოდნე წმინდა მამას მოუთხრო, რაც ამ  
ტაძარს კარის წინ წუხელ მასა და ლაურას შორის მოხდა, მაგრამ რაკი ისეთი  
სიადვირი მომხდარიყო, რაც ეკლესიას დიაკონის წინააღმდეგ ამხედრებდა,  
ადოლფი მხოლოდ გააფრთხილეს, რომ შემდგომში ცდუნებას აღარ აპყროლოდა  
და შენდობა მიიღო. სააღმსარებლოს ცხაურში იგი ხედავდა თავისი სულიერი  
მამის სახეს. ეს სახე დაღლილი გამოიყურებოდა. ადოლფს ძალიან სურდა ეთქ-  
ვა: „მე უბედური ვარ, მამაო“. მაგრამ მღვდლის სახე დაღლილი და გულგრი-  
ლი იყო. იგი ხომ მრავალ აღსარებას ისმენდა. ვინ იცავს, რამდენი მოგზაური  
ჩამოდისოდა და აღსარებით რომში ამბობდა იმას, რასაც თავის სამშობლოში ვერ  
ანდობდა სულიერ მამას. მათ რცხვენოდათ იმ სულიერი მამებისა, ვისაც იც-  
ნობდნენ. რომში ისინი უცხონი იყვნენ და არა რცხვენოდათ, ამიტომ გამოი-  
ყურებოდა ასე დაღლილი. ადოლფმა გაიფიქრა: „ნეტავ თუ ერთ ღროს მეც  
ასე დაღლილი ვიქნები და სახეც ასე გულგრილი მექნება?“ მან გაიფიქრა:  
„ნეტავ ჩემი სააღმსარებლო სადღა იქნება? სოფელში? ხეებქვეშ შეყუქუღ სოფ-  
ლის ძველ ეკლესიაში? თუ საამისოდ არ ვარ მოწოდებული, უარყოფილი ვარ,  
უარყოფილი თავიდანვე?“ ადოლფს სურდა იუდეიანის მიერ მოცემული ფული  
ღვთიათვის შესაწირ კოლოფში ჩაეგდო, მაგრამ სანამ ქრილში ჩაავდებდა, გა-  
დაიფიქრა რასაც იგი ახლა აპირებს, არ შეეფერება სასულიერო პირს. და-  
რჩიბებზე ზრუნვაში იგი არ ენდობა ეკლესიას. ეკლესიის ზრუნვას დარჩიბებზე  
რალაც მეავე გემო ჰქონდა ისევე, როგორც დარჩიბებზე ყოველგვარ ზრუნვას  
აქვს და მათხოვრებისათვის მომზადებული წვნიანის სუნი დაჰკრავდა; მათხოვ-  
რის წვნიანში ფული იხსნებოდა, ითქვიფებოდა. ადოლფს სურდა, ამ ფულით  
ვინმესთვის ნამდვილი სახარული მიენიჭებინა. მამის მოცემული წვირიანი ფული  
ეკლესიის კარწინ მოწყალების მთხოვნელ ვიღაც ქალს დანაოჭებულ მუჭაში  
ჩაუდო.

იუდეიანი იცდიდა. იცდიდა ვაგზალში ცნობათა ბიუროს წინ, მაგრამ ლაუ-  
რა არ მოსულა. ნუთუ ამ დილასაც სხვა ირჩია? იქნებ ისევე ადოლფთან აგ-  
რძელებდა გულისამრევ ხვეენა-კოცნას? გაბრაზება მაწყინარია. იუდეიანი გე-  
რაც ძლივს სუნთქავდა. დროდადრო თვალზეც ბურუსი ჩამოეფარებოდა ხოლ-  
მე. გაზის მეწამული მხამიანი ბურუსი. ალბათ მომავალ დიდ ომში ასეთი ბუ-  
რუსი დაფარავს მთელ დედამიწას. იუდეიანი ერთ-ერთ მოძრავ ბუფეტთან  
ნივიდა და კონიაკი მოითხოვა. ბუფეტის წინ ისე იდგა, როგორც ბრილის  
ველზე იდგა ზოლმე სურსათის ფორანთან. კონიაკი ერთბაშად გადაჰკრა. მეწა-  
მული ბურუსი გაიფანტა. იუდეიანმა ცნობათა ბიუროსკენ გაიხედა, მაგრამ

ლაურა კვლავ არ ჩანდა. იუდეიანმა ვახუთების კითხვას გვერდზე გაუარა. კოსკის სტენდზე ილუსტრირებულ „ოგას“ შეკვლას თვალს „...“ ტიტულზე მუსოლინი იყო გამოსახული. აველი მეგობარი გატანჯული ჩანდა და იუდეიანმაც გაიფიქრა: „დღეს მეც გატანჯული ვჩანვარო. მუსოლინიც კან კოლაც კაცო იდგა, რომელსაც თავზე ესესელთა ქუდი ეხურა. ისე იდგა, როგორც ჩაშუში ვოფილიყოს, ქუდზე მკაფიოდ მოუჩანდა თავის ქალას ემბლემა. ნეტავ ვინ იყო? იუდეიანმა გაიფიქრა: ალბათ რომელიმე ჩემი ოფიცერთაგანიაო. სურათზე ესესელი თვალეზდახრილი იყო გამოსახული და იუდეიანმა ვერ იცნო. ალბათ ეს კაცი მკვდარია. მისი ბიჭების უმრავლესობა ცოცხალთა შორის აღარ წერია. მუსოლინიც მკვდარი იყო. საშინელი იყო მისი სიკვდილი, ოღესღაც იუდეიანმაც ისეთივე სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ იუდეიანი ცოცხალია, დაუფარა მათ ხელიდან. ცოცხალი იყო და დროც მის სასარგებლოდ დიდდა. ლაურაც გამოჩნდა, აი ის უკვე იღიმებოდა, და ერთი ხანობა იუდეიანმა გაიფიქრა, წავიდეს, არ შევაჩერებო, მაგრამ მერე ისევ გაიფიქრა, ეგ ხომ ებრაელიაო და ამან ისევ ალაგზნო. ლაურა უმზერდა ბევრის აღმთქმელ უცხოელს და ფიქრობდა — ნეტავ რას მაჩუქებსო. ახლა იგი ვიტრინებში გამოწყობილ საგნებს შეჰყურებდა. გოგონას საჩუქრები აჭირდება, გოგონას ვაბები აჭირდება მაშინაც კი, ანგარიშიც რომ არ იცის. სჭირდება თხელი წინდები და ისიც მიხვდილი იყო, ასეთ დროს რაღაც საჩუქარი მიეღო: დროდადრო პატარ-პატარა თავგადასავლებსაც აწყობდა, სრულიად უწყინარს, და უმეტესად სადილობამდე, მუდმივი მეგობარი არ ჰყავდა და ჰომოსექსუალისტებთან გატარებული საღამოსა შემდეგ კარგი იყო სადილობამდე ვინმე ნამდვილ მამაკაცთან წოლა, ეს საჭირო იყო ჯანმრთელობისათვის, მერე კი მიამიტად ამბობდა აღსარებას მღვდელთან, მოხუცებსაც არა უშავდათ რა, ისინი მოხდენილები აღარ იყვნენ, მაგრამ მაინც არა უშავდათ რა, დილიათვის აკმაჩისი იყო, რაც შეეძლოთ და, ამას გარდა, ისინი ახალგაზრდებზე უფრო ააჩუქრებდნენ, ახალგაზრდებს რკითონ სურთ რაიმეს მიღება, ადოლფმა მოლოდინი გაუცრუა, ამ ახალგაზრდა უცხოელმა მღვდელმა გაუცრუა მოლოდინი, რა ძალიან სურდა მასთან ღამის გატარება, მღვდელი კი გაიქცა. შეცოდებისა შეეშინდა, ლაურამ ცრემლები ღვარა და გადაწყვიტა, ამიერიდან საქმე მოხუცებთან დაეჭირა: მოხუცებს ცოდვებისა არ ეშინიათ და არც გარბიან. იუდეიანთან ლაპარაკი ძნელი იყო, მაგრამ მაინც გააგებინა, ვაგზლის ახლო მდებარე სასტუმროში წავიდეთო.

კიურენბერგმა ნავონის მოედანზე მდებარე ნიშენიერ რესტორანში მიმო-  
 ბატონა. სურდა ჩემთვის პრემიის მიღება მოელოცა, მეუღლის გამო ბოდიში  
 მოიხადა, ჩვენთან ერთად ვერ ისაუბმებსო, და მე მივხვდი, ილზე კიურენბერგს  
 არ სურდა ჩემთვის პრემია მოელოცა და მე გავუგე მას, ამ საათებში რესტო-  
 რანი ჯერ კიდევ ცარიელი იყო. კიურენბერგმა ზღვის ყოველგვარი ბინადარი  
 შეუკვეთა, ეს პატარა ურჩხულები ახლა ჩვენს თეფშებზე ელაგა, ვჭამდით ამ  
 ურჩხულებსა და ზედ მშრალ შაბლის ვაყოლებდით, ეს იყო ჩვენი გამომშვი-  
 ლობება. კიურენბერგი ავსტრალიაში უნდა გაფრენილიყო. ამ სეზონზე ავსტ-  
 რალიაში „ბექდის“ დირიჟორობა მოელოდა. იჭდა ახლა ჩემს წინ, ტახდა ზღვის  
 ცხოველთა ვარდისფერ ნიყარებს და წუწნიდა გემრიელ ხორცს, ბვალ კი  
 მეუღლესთან ერთად ჰაერში იჭნება და საპაერო სადილი ეჭნება, ზეგ ავსტ-  
 რალიაში ისადილებს და წყნარი ოკეანის იშვიათ ბინადრებს გაუხსინჯავს გემოს.

სამყარო პატარაა. კიურონბერგი ჩემი მეგობარი იყო, ის იყო ჩემი ერთადერთი ნამდვილი მეგობარი. მაგრამ იმდენად დიდ პატივს ვცემდი, რომ აღარ შემიძლო მასთან ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა მქონოდა, ამიტომ მისი მათან ვაყავო, უმეტესად ვღუგნი და იქნებ ამის გამო თვითონ მას უმალურად სიანად მივაჩნდი. ვაფუხიარე ჩემი პურელი, რომ პრემიის თანხით გამგზავრებას ვაპირებდი. ჩათა იცოდა სიკვდილი და მეწერა. კიურონბერგმა ჩემი აზრი მოიწონა, მიჩნია, მოგადორში გამგზავრეთო. სახელი მოგადორი კარგად უღერდა. საკმაოდ შავდაც. მოგადორი ძველი მავრიტანული ციხესიმაგრე იყო. მაგრამ რაკი მავრებმა უწინდელი ძალა დაკარგეს, შემეძლო ამ სიმაგრეში ჩემს ყაიდაზე მეცხოვრა.

ლაურამ ვერც კი მოაპწრო გაეფიქრა, მოიხსნის თუ არა ლოგინში თავის ლურჯ სათვალესო, რომ მან უკვე მოიხსნა ქალს ჯერ სასაცილოდ მოეჩვენა იუდეიანი, შემდეგ კი მისი თვალეზისა შეეშინდა, ამ თვალეზში სისხლი იყო რაქცუული და მისი ხარბი, ვერაგული გამონედვით აცახცახებულმა ლაურამ უკან დაიხია, იუდეიანმა ხარის შევბლი დაბლა დახარა და ლაურასკენ გაიწია.

— გეშინია? — ჰკითხა იუდეიანმა.

ლაურამ ვერ გაუგო და გაიღინა, მაგრამ ეს აღარ იყო ძველებური გულღია სიტყვა. კაცმა იგი ლოგინზე დააგდო. ანეთ ვნებიანობას ლაურა მისგან არ მოელოდა. ის მამაკაცები, ვითანაც იგი საჩუქრებისათვის წვებოდა, რომელიც ვოგონას აუცილებლად სჭირდებოდა, ასეთი აგზნებულები არ იყვნენ ხოლმე მშვიდები იყვნენ და ლოგინში ყველაფერს წყნარად აკეთებდნენ, ეს კი მხეცივით უცა, ზედ გადაეხარხა. ხორცი დააგლიჯა და საერთოდ მეტისმეტად უხეშად მოეჭვა. თუმცა ის ასე კენარი და ნაზი იყო, კაცი კი მძიმე. მთელი სიმამით ზედ აწვა მია სხეულს. რომლიც მოხვევს სულ იოლი და საამო იყო. და ლაურა გაახსენდა ჰომოსექსუალიზატები, ბარის ჰომოსექსუალიზატები, გაახსენდა მათი ნატიფი ურბტები, მათი სურნელებანაკურები კულულები, ტრელ-ტრელი პერანგები და მოწკარუნე სამაჯურები, და გაიფიქრა, ვგებ ჯობს კიდევ ისეთი ყოფილიყო, ეს კი ასეთი ბილწი და საზიზღარია, ოფლის სუნად ჯარს. თხის სუნი ააღია, თითქოს მურდალი, წვირიანი ბოსლის თხა იყოს. ბავშვობისას ლაურა ყოფილა სოფელში, იქ შიშმა მოიცვა და რომი მოენატრა, მოენატრა თავიანი დიდებული ქალაქი. აოფლია სახლიც აქოთებული იყო. ლაურა იძულებული იყო ეყურებინა, როგორ მიყავდათ ნეზვები ბოტებთან, ხის კიბეზე უილაც ბიჭი იღვა. მან ტანზე გაიხადა და ლაურას აიძულებდა ხელი მოეკიდა. ლაურას სძულდა სოფელი და დროდადრო სიზმრად ხედავდა თხას და იმ ბიჭს. ბიჭს რქები ესხა და ირქინებოდა, მერე რქები სძვრებოდა, თითქოს ჩამპალი კბილები ყოფილიყოს. „მტკიცა“, წამოიკივლა უცებ ლაურამ, მაგრამ იუდეიანმა ვერ გაიგო, რადგან იტალიური არ იცოდა: მერე სულ ერთი გახდა, იუდეიანი გაიგებდა თუ ვერა, რადგან ქალს სტყიოდა სხეული, მაგრამ საამოდ სტყიოდა. ახლა ქალი ნებაზე მიჰყვებოდა, მრავლისაღმთქმელ მოხუცს მოულოდნელი უნარი აღმოაჩნდა, იგი მას აკმაყოფილებდა და ახლა ქალიც მიეკრო ზედ, რითაც კიდევ უფრო ადაგზნო კაცი, თხის ოფლი ქალს ტანზე დასდიოდა, ძუძუებმა ნაკადულად მოედინებოდა, თავს იყრიდა მისი მუცლის პატარა ღრმულში, ცოტათი წვაუდა, მაგრამ უამურად არ წვაუდა: უცებ კაცი გაცხარდა და წაისისინა: „შენ ხომ ებრაელი ხარ, ებრაელი ხარ“ ქალმა ვერ გაიგო, მაგრამ ქვეშეცნეუ-

ლად მიუხვდა; როცა გერმანელი ჯარისკაცები რომში იყვნენ, ამ სიტყვას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და ლათრამ ჰკითხა: „*ubra*“ და იუდე-იანმა წაისისინა: „ებრაელი“ და ხელები ყელზე შემოუჭირა, ქალმა დაიკვი-ლა: „*noe poi no, cattolico*“<sup>18</sup>. სიტყვა *cattolico*-მ უმჯობესესი გააცო-ფა და აღაგზნო იუდეიანი და ბოლოს სულ ერთი იყო გაცოფებაც და გზნებაც, ქალი ლივლივებდა, კაცს ქანცო გაუწყდა, სულ ძლივსღა ითქვამდა და ძალ-ღონე დაწრეტილი საიკვდილოდ დაჭრილი გვერდზე გადავარდა. ქალი ფიქ-რობდა: თავის ბრალია, ასე თავდაუზოგავად რატომ იქცეოდა. მოხუცები ხომ ასე თავდაუზოგავად არ იქცევიან? ლათრამ გაიღიმა და ბალნით შემოსილ გაო-ფლიანებულ მკერდზე ხელი გადაუსვ-გადმოუსვა—კაცი არაქათგამოცლილი იყო. ხადღიერებით იყო ლათრა მის მიმართ აღვილი იმია გამო, რომ ასე არაქათ-გამოცლილი იყო. რომ ესოდენი სიამოვნება მიანიჭა. ცოტა ხანს კიდევ უსვა მკერდზე ხელი, გრინობდა მია გულიაცემას: ეა იყო მამაცი გული, რადგან თავი არ დაზოგა, რომ გოგონასათვის სიამოვნება მიენიჭებინა. ლათრა აღგა და პირსაბანთან მივიდა. იუდეიანს წყლის ჩხრიალი შემოესმა და წამოდგა. თვა-ლებზე კვლავ მეწამული ნისლი აეფარა. უმზერდა მეწამულ ნისლში გახვეულ ტანშიშველ ლათრას და პირაბნის შავი ბაკანი შავ თხრილად ეჩვენებოდა, სა-დაც დახვრეტილები ცვიოდნენ. საჭირო იყო ებრაელთა განადგურება. ფიუ-რერს უღალატეს. საკმაოდ არ ანადგურებდნენ. სამოსს იცვამდა და ტორტმა-ნებდა.

— შენ არ გინდა დაიბანო? — ჰკითხა ლათრამ.

იუდეიანი მას არ უსმენდა. ვერც გაუგებდა. ჯიბეში აუსტერლიცის უხმო პისტოლეტი ედო. პისტოლეტი იტყვიან გადამწყვეტ სიტყვას. ახლავე ყველა-ფერი გაიწმინდება. პისტოლეტი კვლავ წესრიგს აღადგენს. ოღონდ რიგიანად ამოისუნთქოს: მთელი ტანით კანკალებდა და სულ ძლივს ითქვამდა. სარკმელ-თან მიბანცალდა, მძაფრი მოძრაობით გამოალო და ქუჩაში გადაეკიდა, რომე-ლიც შედედებულ მეწამული ნისლით ავსებულ იყო. ქუჩა ვიწრო იყო და მის ჩირზე ავტომანქანები მიმოდრიოდნენ, რახრახებდნენ, ყურთაწამლებად ხრტიალე-ბდნენ, ჯოჯოხეთურ ხმაურს ტებდნენ და მეწამული ნისლიდან მომცოცავ ურჩხულებს წაავადნენ. აი სწორედ მის წინ სულისშემხუთველ ნისლში ვა-მოჩნდა სინათლე, ნისლი გაიბრტყა და პირდაპირ მდებარე დიდ პორტელში ია-ტაკამდე დასულ გაღებულ ფრანგულ ფანჯარაში თვალი შეასწრო ილზე კიუ-რენბერგს, აუფჰოიზერების ქალიშვილს, ებრაელ გოგოს, რომელიც სასჯელს დაუბერა, ქალს რომელიც ადოლფის ლოჟაში იჯდა და რომელიც ღამით რომის ღრუბლებში შიშველი ნაბა; ილზე კიურენბერგს დილის თხელი თეთრი ხალათი გადაეცვა და ფანჯარასთან იდგა, მაგრამ იუდეიანი მას ისევ ტანშიშველს ხე-დავდა, როგორც იმ ღამით, როგორც სამარესთან მიყენებულ ქალებს, და იუდე-იანმა მას პისტოლეტის მთელი მჭიდვე მიახარჯა, ასეთი ბათქით ხვრეტდნენ სა-მარეებთან მიყენებულებს, ამჯერად საკუთარი ხელით დახვრიტა, ბრძანება არ გაუცია, ახლა ბრძანების დრო არ არის, საკუთარი ხელით უნდა ხვრიტო, და ილზე კიურენბერგი ბოლო გასროლით დაეცა, ფიურერის ბრძანება აღსრუ-ლებული იყო.

ლათრამ იკივლა, მხოლოდ ერთხელ წამოიკივლა, შემდეგ მის ბაგეთ მოსწყ-და იტალიური სიტყვების ნაკადი და წყლის ჩხრიალით ჩახშული მეწამულ ნისლ-ში განქარდა. იუდეიანი კარში გავიდა, ლათრა ისევ ლოგინში ჩაწვა, თავი

ჯერაც თბილ ოფლიან ბალიშში ჩარგო და აქვითინდა. ვერ, გაეგო რა მარტა, მაგრამ, ეტყობა, რაღაც საშინელი რამ მოხდა. კაცმა პისტოლეტით ისროლა. ღია ფანჯარაში ისროლა, ხოლო შინათვის არაფერიც არ უჩუქნია. წყვეტილი იყო და ბალიშში თაეზე დაიფარა, რადგან სახე აღარ უნახავს. ტირილით ჩაბშობა უნდოდა. მირეულ-მორეულ ლოგინში მისი მშვენიერი ხეული ისე მოჩანდა, თქოა უთავო ანადომენელი აფროდიტე ყოფილიყოს.

ადოლფს არ უნახავს შიშველი ლაურა, ამიტომ ამ შიშველ ქანდაკებას ადოლფიანთვის მიაი სხეული არ გაუხსენებია, იგი მხოლოდ ლაურას ღიმილზე ფიქრობდა, როცა დიოკლეტიანეს თერმების მუზეუმში უთავო ანადომენელი აფროდიტეა წინაშე იდგა. უთავო აფროდიტეს აწეული ხელებით ეპყრა ორი ნაწნავი, თითქოს საკუთარი თავი ამ ნაწნავებით უნდა შეგკავებინა. ადოლფი ფიქრობდა, ნეტავ, როგორი სახე ჰქონდა აფროდიტეს ან თუ ლაურასავე იღიმებოდა. ქანდაკება ადოლფს აშფოთებდა. მარმარილოში ნაქანდაკები ცივი სხეულებით აშფოთებდა. აქ ზიგფრიდის სამყარო სუფევდა. მშვენიერი სხეულების სამყარო. აი კირენელი ვენერა. იგი წუნდაუდებელი იყო. ყველა ხედავდა, რომ წუნდაუდებელი იყო. მკვრივი, კარგად შენახული სხეული ჰქონდა. მაგონებ ცივი იყო, ცივი, ცივი, მერე ეს ფანები, ჰერმადროდიტეები თავიანთი განსაკუთრებული აღნაგობით. იანნი ხომ არ გახრწნილან. მიწად არ ქცეულან. მათ არც ჯოჯოხეთი ემუქრებოდა. თვით მიინარ ევმენიდეს სახესაც არაფერი ეტყობოდა შიშისა, იგი მხოლოდ ძილზე მიანიშნებდა. სილამაზესა და ძილზე მიანიშნებდა. თურმე ქვესკნელიც მეგობრულად ყოფილა ამ ქანდაკებათა მიმართ განწყობილი, თურმე თვით ჯოჯოხეთიც სხვაგვარად ეპყრობოდა. მათ ვერ შეიცნეს იგი. ნუთუ აუცილებელია ადამიანს ათასგვარი საშინელებით დავემუქროთ, რათა მისი სული გადავარჩინოთ, ნუთუ სული წარიწყმიდება, თუკი კაცი სილამაზეს შეიცნობს? ადოლფი ზალში ჩამოჯდა, ძველი სამყაროს ქვის მოწმეთა შორის. იგი მოკვეთილი იყო ამ სამყაროდან, საკუთარმა აღთქმამ მოკვეთა იგი, საკუთარმა რწმენამ, სამუდამოდ. იგი ტიროდა, ძველი ქანდაკებები ამომშრალი თვლებით შეჰყურებდნენ მას.

ტორტმან-ტორტმანით მიდიოდა მოედანზე. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ი-ეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უძირო უფსკრულში ვარდებოდა, საღვლაც მიცურავდა, მიცურავდა სამუდამოდ და ჰაერს ებოტიინებოდა, რომ თავი წვემაგრებინა. იცოდა, რაც მოხდა და არც იცოდა. მან გაისროლა ფიურერის ბრძანება შეასრულა. ეს კარგი იყო. ახლა კი უნდა მიიმალოს, რადგან საბოლოო გამარჯვება ჯერ არ არის მოპოვებული. ისევ უნდა დაიმალოს, უდაბნოში, გაემგზავროს, მაგრამ ეს მეწამული ნისლი უშლის ხელს. ძნელია ასეთ ნისლში სანალაფის ნახვა, თუმცა აქ ძველი კედლებიც არის და ნანგრევებიც. ბერლინში სწორედ ნანგრევებს შეეყუთა. რომში შესასვლელი საფასური უნდა გადაიხადო, თუ ნანგრევებში გინდა შეძრომა. იუდეიანმა გადაიხადი თერმების მუზეუმში შესასვლელი. დერეფნები გაიარა და კიბეზე ავიდა. მეწამულ ნისლში მხოლოდ შიშველი სხეულები ჩანდა. აქ ალბათ საროსკიბო იყო. ან იქნებ გაზის კამერა? თუ ასეა, მაშ ეს მეწამული ნისლიც იქნება. რაძასადამე, იგი დიდ გაზის კამერაშია გაშიშვლებულ ადამიანებთან ერთად,



რომლებიც უნდა ამოახრჩონ. მაგრამ ის უნდა გაეცალოს, მას ხომ არ ამოახრჩობენ, ის ხომ არც შიშველია. ის მეთაურია. ამ არამზადებმა გაზრ მეთის-მეტად აღრე გამოუშვეს. ეს ხომ გაუგებარი ღორობაა. ვადა მწველი ზომებს მიიღებს. საჭიროა დისციპლინის დაცვა. ყოველი ღონე მწველი უნდა ეცადოს დისციპლინის დამყარებას. საჭიროა სახრჩობელები აღმართოს. იუდეიანი ერთ-ერთ ოთახში შევიდა. ეტყობოდა, ეს საკომანდო პუნქტი იყო. ნისლი გაიფანტა. ირგვლივ ძველებური სარკეები გაიფანტდნენ ხოლმე. სარკეები თვალბდათხრილი იყო. ერთ დაბრმავებულ სარკეში ჩაიხედა. ნუთუ ეს თვითონაა? საკუთარი თავი ვეღარ იცნო. იქიდან ვილაცის ლურჯ-წითელი სახე იმზირებოდა. დასიებულიყო. უწყალოდ ნაცემ მოკრივეს ჰგავდა. ლურჯი სათვალე დაჰკარგოდა. ლურჯი სათვალე აღარც სჭირდებოდა. მაგრამ აი იგი მკაფიო სარკის წინ დადგა. ახლა კი იცნო თავის თავი, ეს ნამდვილად თვითონ იყო, იგი იდგა ათლეტის მოზაიკური გამოსახულების წინ, ეს სახე მისია, მისი კისერია, მისი მხრებია, ეს იმდროინდელი გამოსახულებაა, როცა ყველაზე კარგად იყო, გამოსახულება შუა არენაზე გაჩერებულიყო, მოკლე ხმლით იბრძოდა, მრავალი გამოესალმებინა წუთისოფლისათვის. აი ბენიტოც — იუდეიანი შეჰყურებდა კატას, რომელსაც ჩიტი დაეჭირა. ბენიტომაც მრავალი გადაჰამა. სამყარო არც ისე ცუდი რამ იყო. მრავალი გამოასალმეს წუთისოფელს, მრავალი გადაჰამეს. შეიძლებოდა კაცი კმაყოფილი ყოფილიყო. იუდეიანი ბაღში გაბანცალდა. ბუჩქნარში მიმალულიყვნენ შიშველი ქალები, შიშველი ებრაელი ქალები. მაგრამ მათ ვერაფერი უშველიდა. ბუჩქებში მიმალულებსაც გაეუყავს. აი დააპირა კიდევ... და იუდეიანი მიწაზე გაიშხლართა.

ადოლფმა შეამჩნია, რომ იგი მისკენ მიდიოდა, შეამჩნია შიშითა და სასოწარკვეთით, მერე ისიც დაინახა, როგორ დაეცა, როგორ მოცელილივით გაიშხლართა, და მისკენ გაიქცა, მაგრამ მამის მძიმე სხეულს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, ნუთუ მოკვდა? სახე ლურჯ-წითლად აფორეჯებოდა. გამოჩნდა მუზეუმის მცველი, რომელმაც ამხანაგს საშველად უხმო. იუდეიანის გვაში სამივემ ფარდულში გადაიტანა, სადაც რესტავრატორები ანტიკური ქანდაკებების შეკეთებას აწარმოებდნენ. იგი რელიეფიანი სარკოფაგის წინ დაასვენეს. რელიეფი გამოხატავდა ტრიუმფულ სვლას — ქედმაღალ რომაელებს დამცირებული გერმანელი მებრძოლები ცხენებზე მიებათ. რესტავრატორები იუდეიანს გარს მოეხვივნენ. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

— მკვდარია.

მეორემ თქვა:

— არა, მკვდარი არ არის. ჩემი სიმამრიც არ მომკვდარა ერთბაშად.

დარაჯი გავიდა, რომ ვაგზალში დაერეკა და ექიმი სანიტარი გამოეძახებინა. მამა ჯერ არ იყო მკვდარი და ადოლფს გაახსენდა ყველაზე მთავარი რამ, რომ იყო ჯოჯოხეთი, იყო ჯოჯოხეთი, იყო ჯოჯოხეთი. ერთი წამიც არ უნდა დაკარგულიყო, ადოლფი წამსვე გამოვიდა ბაღში, გავარდა ალაყაფის კარში და სანტა მარია დელი ანგელის ეკლესიისაკენ მოკურცხლა. გერმანულად მოლაპარაკე მღვდელი იქ იყო. ხელში ფსალმუნი ეჭირა. სააღმსარებლოებში მუხლზე არავინ იდგა. ადოლფმა ჩაიბურღდუნა, მამა კვდება და ზიარება სჭირდებაო. მღვდელმა გაიგო, აჩქარდა, წმინდა ზეთი აიღო და ადოლფი დამს-

წრე დიაკონად წარიმძღვარა. ორივე აჩქარებით გაეშურა, რამდენადაც სამღვ-  
დლო პირებს შეეფერებოდათ. კონტროლიორებმა ისინი გაატარეს, გუშა-  
გებმა ქუდები მოიხადეს, ხოლო რესტავრატორები მოკრძალებით გადგნენ  
განზე. იუდეიანი უსიცოცხლოდ ესვენა, მაგრამ ჭერ მკვდარი არ იყო. ოფელი და  
შარდ-განავალი იქ მყოფთ აგრძნობინებდა, რომ სიკვდილი შორს გადგნენ  
ესაქმა, განიწმინდა. სალხინებელი ხომ განმწმენდელი ცეცხლია. ნუთუ იქამდე  
მიადრია? იუდეიანი უგონოდ იყო. არავინ იცოდა, რა ხდებოდა მის ორგანიზმ-  
ში. ვალპალასაკენ მიაგელვებდა ცხენს, ეშმაკები მიათრევდნენ ჯოჯობეთში,  
თუ მისი სული ზეიმობდა, რადგან ხსნა ახლოს იყო. მოძღვარმა დაიჩოქა. იგი  
შეუდგა მომაკვდავის ზეთით კურთხევას და ცოდვების სრულ შენდობას,  
რაც უგონო მდგომარეობაში მყოფი მომაკვდავისათვის იყო დადგენილი.  
მღვდელმა იუდეიანს ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი ზეთი წაუსვა თვალებზე,  
ყურებზე, ცხვირზე, პირსა და ხელისგულებზე. თან ლოცულობდა: „ამ წმინ-  
და ზეთით, კეთილი გულმონწყალებით შეგინდობს უფალი თვალთ, სმენით,  
უნოსკით, გემოთი, შეხებით ჩადენილ ცოდვებს“. იუდეიანი არ ინძრეოდა.  
ნუთუ ამ სიტყვებმა მასზე არ იმოქმედა? ის აღარ ინძრეოდა. იწვა მიწაზე  
და აღარ ინძრეოდა. კათოლიკე მოძღვარი კი მას ღვთის წყალობის ამარად  
სტოვებდა, ხოლო კათოლიკურ ანაფორაში გამოწყობილი ვაყიშვილი მისთ-  
ვის ლოცულობდა, — ესენი იყვნენ მტრის — კათოლიკური ეკლესიის — ორი  
მოციქული.

სანიტრები მოვიდნენ. ექიმმა მას თვალები დაუხუჭა. სანიტრებს ხაკის-  
ფერი სამოსი ეცვათ და კაცს ეგონებოდა, იუდეიანი ბრძოლის ველიდან გა-  
მოპყავთო.

იმავე საღამოს გაზეთებმა იუდეიანის გარდაცვალების ცნობა გამოაქვეყ-  
ნეს, განსაზღვრულ გარემოებათა გამო ეს ამბავი მსოფლიოს მოეფინა, მაგრამ  
არავინ შეძრწუნებულა.

შ ე ნ ი შ მ ნ ი ბ ი :

- 52. დეკალოგი — მოსეს ათი მცნება.
- 53. ნორმები — ძველგერმანული მითოლოგიით: ადამიანის ბედისწერის სამი ქალღმერთი.
- 54. Ostia Antica — ძველი ოსტია (იხ. ოსტია).
- 55. Sacrum imperium — წმინდა იმპერია (ლათ.).
- 56. კალატინუსი — რომის ერთ-ერთი ბორცვი შეიღთაგან, ქალაქის შეაგული; აქ არის ძველი  
საკულტო ადგილები, ავგუსტის დროინდელი სასახლეები.
- 57. Ab omni peccato libera — განვიწმინდე ყოველთა ცოდვათაგან (ლათ.).
- 58. Adsum — ვარ. (ლათ.).
- 59. Deo gratias — მადლობა უფალს (ლათ.).
- 60. Accipe Spiritum Sanctum, quorum remiseras peccata, remittuntur eis, et quorum  
retinueris, retenta sunt  
მიიღე სული წმინდა, ვისაც შეუნდობ ცოდვას, მას შეუნდობილი ექნება, ვისაც დაუტოვებ,  
მას დარჩება (ლათ.).
- 61. ბილმამარი — ბედგეერის ვზამკვლევი იგულისხმება.
- 62. ბურანი ჯომანი ლორმენო (1598—1680) — იტალიელი სკულპტორი და ხუროთმოძღვა-  
რი. რომელმაც რომის არქიტექტურული ძეგლებს შესამკობად მრავალი სკულპტურა  
შექმნა.
- 63. ამზასი — არამეულ ენაზე: კლდე.

64. ზრამანტო დონატო (1444—1514) — აღორძინების ხანის იტალიელი მხატვარი, წმინდა პეტრეს ტაძრის ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი და მშენებელი.
65. „პვანტი“ — იტალიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალური გაზეთი.
66. კომუნალუსი — შუასაუკუნეთა ალქიმისტების ფანტასტიკური წარმოდგენით: ადამიანის მსგავსი არსება, რომელიც თითქოს შეიძლება ხელოვნურად მივიღოთ.
67. მღვნი ფარუპი — ფარუქ I ეგვიპტის მეფე იყო, 1926 წლის ივლისამდე.
68. მინიმალური — ბიბლიური გადმოცემით მოსალოდნელი საშიშროების წინასწარ შეტყობინება, ავბედითი ნიშანი. ბალთაზარი — ბაბილონის უკანასკნელი მეფე, რომელსაც დარბაზში ასეთი ნიშანი გამოეცხადა. შემდეგ იგი სპარსთა მეფე კიროსმა დაამარცხა.
69. სიტყვა „კამერადი“ ახალგაზრდობაშივე ..... შემაზიჯებს — სიტყვა „კამერადი“ (გერმანულად: ამხანაგი, მეგობარი, კოლეგა, ძმაცაცი) იხმარებოდა ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში, ამ სიტყვით მიმართავდნენ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრები ერთმანეთს.
70. ვერვოლფი — სახელწოდება ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფებისა, რომლებიც ფაშისტური გერმანიის დაცემის შემდეგ მოქმედებდნენ.
71. ბეთჰოვენის ნილაბი — დიდი გერმანელი კომპოზიტორის ბეთჰოვენის სიკვდილის შემდგომი ნილაბი, რომელიც დიდი რაოდენობით, სერიულად იყო გამოშვებული, შემღებულ ბიურგერთა ოჯახების ინტერიერის ნაწილს წარმოადგენდა და მათი მფლობელების მემჩანურ გემოვნებას აღასტურებდა.
72. სისხლის აღრიგა — ჰიტლერულ გერმანიაში იმ არიელებს, რომლებიც არაარიული ერის წარმომადგენელს შეუუღლდებოდნენ, ასამართლებდნენ სისხლის აღრევით თავისი ერის „შებიღვის“ გამო.
73. Urbi et orbi — მთელი სამყარო (ლათ.).
74. Albergo digiorno — აქ: სასტუმრო.
75. ურთიერთთავდაცობა — ჰიტლერულ გერმანიაში ურთიერთთავდაცობას ეწოდებდნენ ოჯახის წევრთა სასამართლო პასუხისმგებლობას იმ დანაშაულებრივი მოქმედების გამო, რომელსაც მისი ერთ-ერთი წევრი ჩაიდენდა.
76. Je salue le monde confraternel — ძმურად ვესალმები მთელ სამყაროს (ფრ.).
77. „ბიჭდის“ დირიჟორობა: — ლაპარაკია ვაგნერის ოპერების სერიაზე „ნიბელუნგების ბეჭელი“.
78. No e poi no, cattolico — არა, არავითარ შემთხვევაში, კათოლიკე ვარ (იტ.).



თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ

### წითელი თავთავი

ვალადა

დიდი ბრძოლებით შელახულმა, დაღლილმა სულით,  
ტანდაჩეხილმა კრილობებით აურაცხელით,  
ბლივს მოაღწია თავის სოფელს, მოუკვდა გული:  
ნასაზღარებზე ქვაც არ ეგდო დაუნაცრელი —

მტერს დაენგრია უმოწყალოდ სოფელი დიდი,  
ქაბუკ შეომრის კარმიდამო ეჭვია ფერფლად,  
სიკვდილი, წარღვნა დაეწერა მტერს ხალხის სისხლით,  
არარაობა შემზარავი დაატყდათ მეხად. .

გალეულიყო ჩვილთ ხოცვაში მტრის ხმალთა სისქე,  
მზია ზედაპირიც თითქოს ხალხის მოერწყო სისხლსა  
და მზე სიცოცხლის ქცეულიყო ფერწასულ „მკვდრის მზედ“.  
რადგან ცოცხლები აღარ იყვნენ, ათბობდა ვისაც...

დანგრეულ სოფლის დასასრულთან ჩამოაგდა იგი,  
ჩამოედრებლნენ მოწმენდილი ზეცანი თვალთა,  
კრემლნი მდულარნი წყაროებად მიმოსკდნენ ირგვლივ,  
ტაროდა მშობლებს დახოცილებს, დათა და ძმათა...

რაოდენ დიდი სიხარულით, იმედით, რწმენით  
ას მოელტვოდა მშობლიური სოფლისა ხილვად,  
არად აგდებდა ტკივილს, ურიცხვ კრილობის მთმენი,  
სჯეროდა: მალე შეიცვლიდა სიმწარეს ტკბილად.

მაგრამ ქაბუკურ იმედების ტაძარი დიდი  
ვერ აღუშენა, დაუნგრია მერე კი ბედმა,  
სიცოცხლის დილა შეუცვალა სიკვდილის ბინდით,  
გმირს საწუთროის წუთნათლობა დაუმზებნელდა.

მწუხარებისგან წინ ნაბიჯიც ვერ წარსდგა გმირმა,  
წაბარბაცდა და ჩაიკეცა, მერე კი მიწვა,

მეომრის ტანში გაიღვიძა დაღლილმა ძილმა,  
ჩაიძინა და ჩაახუტა გატანჯულ მიწას.



ეროვნული  
ცენტრალიზაცია

ელვის უსწრაფეს შეიცვალა სიზმრებით ცხველები  
ვაჟკაცი თელავს მიწას დიდი ბრძოლით ამტვერილს,  
დაჰქრის მერანით უსწრაფესით, ქარივით მარდი,  
უბოროტესი მტერთა მკერდებს აპობს სატვერით.

გვამთა მთებიდან გადმომქუხარ სისხლის მდინარეს  
აპობს გმირი და მძლავრ ხანძრების თეთრდება ფერფლით,  
და გამარჯვების მძლე ყიჟინამ მოიცვა არე,  
ცოცხლდება მიწა, გათელილი სიკვდილის ტერფით.

ამ ტკბილ სიზმარში, ჩამქრალ თვალთა გახელის მერე  
მწარ სინამდვილით ჯოჯობეთად ექცა გმირს გული,  
დანგრეულ სოფელს და სანგრებით ცეცხლჩამქრალ კერებს  
შაეთა ყორანთა ურდოები გარშემო უვლის.

ცხელი ცრემლების შეუწყვეტელ ნაკადთა დენამ  
საზარ ღარებად ჩააღრმავა ლოყები გმირის,  
სიკვდილის რისხვად გადაექცა მეომრის მზერა,  
ტყვიის მონობას გადაურჩა, ემონა ტირილს.

ღირქვე დაემხო ნაწამები, ტიროდა დიდხანს,  
მერე ვაჟკაცის დამშვიდება გაჰბედა ძილმა,  
ხარობს სოფელი, ბალ-ყანებით ზეიმობს მიწა,  
ეს სინამდვილე კვლავ შეცვალეს სიზმრებმა ტკბილმა.

უცებ თითქოსდა ზესკნელის და ქვესკნელის ძალთა  
მეომრის ყურებს მიახარეს ხმა საოცარი...  
ამ ხმით თვალები აღინთო და გულ-სისხლიც დათბა,  
მამის ხმა ესმა, — ხმა საშინელ ტანჯვებით მკვდარი:

— „მისმინე, შვილო! — ამეტყველდნენ ბაგენი მამის, —  
კმარა ტირილი, მძიმე ლოდი ნუ მივაქვს გულთან!  
თუმცა დამარცხდი, გაიმარჯვე კიდევაც ამით,  
ეს გამარჯვება მიიყვანო ბოლომდე უნდა!

დაღვრილ სისხლს სტირი, არად ავდებ ცრემლების დაღვრას,  
ცოცხალი კაცი საცოდავ არს მკვდარ კაცზე მეტად!  
ადექ, ებრძოლე უსასტიკეს ბრძოლებით დაღლას,  
მალამო მოსცხე შენი ყოფნით სამშობლო — დედას!

ჩემი სიკვდილი ნუ გადარდება, ეგ ღარდი დაჰგმე!  
შენ უმამობას გაგრძნობინებს მამული განა?

შოჰხანი მიწა, ხე სიცოცხლის ხელახლა დარგე  
და ჩვენი სისხლის სინოყვირით ახარე ყანა!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მკვდრეთით აღსდგება მაშინ შენი გამზრდელი დედაც,  
გაცოცხლდებიან დაღუპული და-ძმანი შენი,  
მოძმეთა შენთა ამოუხვალ შენ ცხოველ მზეთა,  
შენს ქებას ხალხი ილაღადებს უკვდავის ენით!

ტირილი კმარა! ცრემლი შენი მიწაში ჩადის  
და ხრწნას უჩქარებს დაჩეხილი დედის ჭრილობებს,  
ორთა ბრძოლაში გაიწვიე ბოროტი დარდი,  
მოჰკალი იგი და მიენდე ახალ პირობებს.

გახსოვდეს მარად შენი მიწის და ზეცის ვალი,  
ცრემლთღვრაზე მეტად შენ ოფლისღვრა გჭირდება ახლა.  
ადექ, სახნისად გადაადნე ნაბრძოლი ხშალი  
და ცრემლი ოფლად დააწვიმე ორთქლიან ნახნავს!“

ხმა ზეციური უცებ შეწყდა, ჭაბუკი ხედავს:  
მის წინ მიწიდან ამოხეთქა თავთავმა პურის,  
წითელი, როგორც შეერთება ზღვა სისხლის ფერთა  
და უხვი, როგორც დამაშვრალი გლეხკაცის გული.

— „მარქვი: ვინა ხარ! შენ მე სახეს მაგონებ მამის!  
თქვა ჭაბუკმა და დააშტერდა სისხლისფერ თავთავს.  
— „დიახ, ეს მე ვარ, შვილო ჩემო, შენი ხორც-ძვალი:  
პურად ვიქეცი, იცოცხლო და იხარო რათა!“

მე ქვესკნელამდე ჩაღწეულმა მოძმეთა სისხლმა  
პურის თავთავად ამომგზავნა მიწიდან ზემოთ,  
რომ გაგამხნევო, მოგველინო სინათლედ მზისა  
და ღამედქმნილი სიჭაბუკის დღე გაგიტენო!“

— „ოჰ, მამაფ ჩემო, მაგრამ მაინც თავთავო პურის,  
ბითხარ: მცენარედ გადაქცეულს ვინ მოგცა ენა?  
რამ გაგიცოცხლა საუკუნოდ მოკლული გული?  
რამ აგიჩქარა გაყინული ეგ სისხლისღენა?“

ჰკადრა თავთავმა: — „ლაპარაკობს ყოველი ქვეყნად,  
ოღონდ სულდიდი უნდა იყოს მსმენელი მისი!

მე შენმა ცოცხლად გადარჩენამ თავთავად შემქმნა  
და დაბრუნებამ გადმიქცია მარცვლებად სისხლი“

ეროვნული

სამხატვრო

— „წითელი რად ხარ, მამაჩემო, ამიხსენ ესეც!“ —  
— „მე ხომ მოძმეთა სისხლით გამთბარ მიწაზე ვხარობ,  
მათი ძვალბორცი მიწადქმნილი, მიკვებავს ფესვებს,  
მე მათ სისხლს ფერი წავართვი და ვაქციე წყაროდ!

გახსოვდეს მარად: სიცოცხლეა სიკვდილზე ძნელი,  
ოდეს მოკვდები, სამშობლოსთვის იქცევი მიწად  
და შენი სისხლის მიეცემა თავთავებს ფერი,  
წითელი ფერი მეფე-ფერი, და ფერი მზისა!“

— „ოჰ, მამაჩემო, თქვი: რადა ხარ შენ დიდი ასე?  
პირველად ვხედავ, გეფიცები, თავთავს შენოდენს!“

— „მე ფესვი მიდგას დიდ სამშობლოს დიად მიწაზე,  
დიდი სული მაქვს და სიდიდე უნდა მშვენოდეს!

მომიახლოვდი, შვილო ჩემო: მამა ვარ შენი,  
სისხლი ვარ შენი და შავ მიწად ქცეული ხორცი!  
მოიწი ახლოს, დამიჩოქე, მომხვიე ხელი,  
ყველა ჭრილობას მოგიშუშებ თავთავი კოცნით!“

— „მამავ!“ — აღმოხდა ეს ხმა ჭაბუკს, წინ წარსდგა ფეხი,  
უნდოდა მამას მოჰხვეოდა ფერობით ტკბილით,  
მაგრამ რას ხედავს? იპყრობს თრთოლვა ნამეხარ ვერხვის,  
გაჰქრა თავთავი, ვით სიზმარი, ვით ნისლი დილის...

ძილის სამყარო მიატოვა ჭაბუკმა უცებ,  
თვალეების ზეცას ქუთუთოთა აჰხადა ფარდა,  
გადაუარა სინანულის მდინარემ გულზე  
და სინამდვილე გადაექცა სევდად და დარდად.

— „სიცოცხლედ, ცხადად ქცეულიყავ, სიზმარო, ნეტავ!  
ძვირფასო მამავ, დამრჩენოდი თავთავად თუნდაც,  
მე ბედნიერი ვიქნებოდი ყოველთვის შენთან,  
შენი სიცოცხლის ვიქნებოდი მფარველი მუდამ!“

— „მე ცოცხალი ვარ! მე აქა ვარ! ნუთუ ვერ მხედავ?  
შენთან ვარ, შვილო!“ — ნამძინარევ მეომარს ესმის, —  
„შენი და-ძმანი, ნათესავნი და შენი დედა  
ტკბილი საზრდოა მადლიანი ამ ჩემი ფესვის!“

მიმოიხედა ვაეკაცმა და თვალეები მისი  
ვეება თავთავს შეეფეთნენ, გაოცდა კაცი:

შვილმა შეიციო მამის ხორცი და მამის სისხლი  
 ღეროშიც, ფერშიც, სიმაღლეშიც, სიმსხოშიც მარცვლის.



იღვა თავთავი თავდახრილი, არხევდა ქარი  
 და წიფობისთვე მოსდგომოდა მაღლიანს კარზედ,  
 ენთო თავთავი მარცვლებუხვი, ვითარცა კვარი,  
 როგორც სიცოცხლის შინაარსი და სილამაზე.

თითქოს თავთავმა უხმო, უცებ მიწიდან ერთად  
 ამოიყარნენ, ამოზღვავდნენ ყანები პურის,  
 მზეს შეაჯიბრეს ბრწყინვალემა წითელთა ფერთა,  
 ზღვას — ცერისსიმსხო მარცვლით სავსე ოქროსფერგული.

მეომრის თვალებს აღტაცების გაჰკვესა ელვამ,  
 სხეულს მოედო ნეტარების ტალღები სრული,  
 გაჰხედა ზღვას და ააღელვა თავთავთა ღელვამ  
 და დაკარგული იმედებით აევსო გული.

აღფრთოვანებულ, აღზევებულ ნაომარ ვაჟკაცს  
 დანგრეულ სოფლის აღშენების მოედო ცეცხლი,  
 გარშემო ყოველს საზეიმო აღმოხდა „ვაშა“,  
 მზემც გადაღელა ღრუბლიანი გულმკერდი ზეცის.

გრძელმა ბილიკმა გაიელვა თავთავთა ზღვაში;  
 მიდის ჭაბუკი, მიიმღერის, ბანს აძლევს მთები,  
 და უკვდავებად შემოდიან მეომრის ტანში  
 სიცოცხლის დღენი დაღუპული მამის და დედის.

ალიგო კვალად იმედების ტაძარი დიდი,  
 აწ რომ ვერასდროს ველარაფრით დაამსხვრევს ბედი  
 სოფლად სიცოცხლის განახლებას... ჭაბუკი მიდის,  
 გულის სინათლით არემარეს აშუქებს მკერდით.

— „იცოცხლე, შვილო!“ — მოსძახიან დედა და მამა.  
 — „კვლავ აღმაშენე!“ — დანგრეული მოუხმობს სახლი...  
 — „მოდო და მომკე!“ — ზღვადქცეული ეძახის ყანა  
 და მზეს ედრება ბრწყინვალემა ჭაბუკის სახის.

მიწიერ ყოფნის ასეთია კანონი მარად:  
 ადამიანმა იცოცხლა და თავთავად იქცა,  
 ამ მიწის ზურგზე წლებადქმნილი გზა გაიარა,  
 დაბრუნდა უკან და თვითონვე გარდიქცა მიწად.

ბედის ტრიალმა ხელმეორედ დაჰბადა იგი,  
 ბრძოლად და შრომად მოუწოდა, ჩაუდგა სული,  
 ჩწამს: ადამიანს მარადიცოცხალ სამყაროს გვირგვინს,  
 აქვს შინაარსი საიდუმლო, უსაზღვროდ ბრძნული...





მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ფილია

სანატორიუმში რომ ჩავიდა, პირველი ექვსი კვირა ეშენდენმა ლოგინში გაატარა. მომვლელების, საჭმლის მომტანი მსახური ქალისა და მკურნალთა ექიმის გარდა, რომელიც დილა-საღამოს მოინახულებდა ხოლმე, ვერაქის ხედავდა. ეშენდენს ფილტვების ტუბერკულოზი სჭირდა და, რადგან ზოგიერთი მიზეზის გამო შვეიცარიაში ვერ გაემგზავრა, ჩრდილო შოტლანდიის სანატორიუმში ჩავიდა ლონდონელი ექიმის რჩევით. ბოლოს დაუდგა ნანატრი დღე და ექიმმა ლოგინიდან წამოდგომის ნება დართო. ნაშუადღევს მომვლელმა ქალმა ტანზე ჩააცვა, ვერანდაზე ჩაიყვანა, შეზღონგზე დასვა, პლედებში გაახვია და ზურგს უკან ბალიში ამოუდო. ეს მოწმენდილი იყო და ვერანდას უხვად ეფრქვეოდა მზის საამური სხივები. შუა ზამთარი იდგა. სანატორიუმი გორაკის თავზე იყო აშენებული და იქიდან ხელისგულივით მოჩანდა დათოვლილი არემარე. მთელი ვერანდა შეზღონგებზე წამოწოლილ ავადმყოფებს ეკავათ. ზოგი მეზობელს ესაუბრებოდა, ზოგი — კითხულობდა. დროდადრო ვინმეს ხველება აუტყდებოდა და როცა გადაუვლიდა, შეშფოთებული დააქქერდებოდა ცხვირსახოცს. მომვლელი წასვლისას ეშენდენის გვერდით მწოლიარე ავადმყოფთან შეჩერდა და მომვლელთათვის ჩვეული გულისხმიერებით უთხრა, მინდა მისტერ ეშენდენი გააცნოთო, მერე კი ეშენდენს მიუბრუნდა:

— ეს მისტერ მაკლაუდია. ესა და მისტერ კემბლი ყველაზე დიდი ხანია, რაც აქა ცხოვრობენ.

ეშენდენის მეორე მხარეს ლამაზი, წითურთმიანი, ცისფერთვალება ქალიშვილი იწვა. სახეზე არაფერი ესვა, მაგრამ ღაწვები წითლად უღვიოდა და საოცრად წითელი ტუჩები ჰქონდა, რაც უფრო თვალში საცემს ხდიდა მისი კანის უჩვეულო სითეთრეს. საუცხოო, ნაზი კანი ჰქონდა, თუმცა ადამიანი მიხვდებოდა, რომ ეს სითეთრე და სინაზე საშინელი ავადმყოფობის კვალი იყო. ქალიშვილს ბეწვის ქურჭი ეცვა და პლედებით შეფუთულს მხოლოდ სახე უჩანდა, მეტისმეტად გამხდარი სახე, ისე გამხდარი, რომ ცხვირი, თუმცა დიდი ცხვირი სულაც არ ჰქონდა, მაინც მოზრდილი მოგეჩვენებოდათ. ქალიშვილმა ეშენდენს მეგობრულად გადახედა, თქმით კი არაფერი

უთქვამს. ეშენდენიც ამ უცხო ხალხში უხერხულად გრძნობდა თავს და ელოდა, რომ ვინმე გამოელაპარაკებოდა.

— მგონი, დღეს პირველად წამოგაყენეს, არა? — ჰკითხა მანქანის მძღველი.

— დიახ.

— რომელია თქვენი ოთახი?

ეშენდენმა უთხრა, ესა და ეს ოთახიაო.

— მომცროა. აქ ყველა ოთახი ვიცი. ჩვიდმეტი წელიწადია აქა ვარ. ჩემი ოთახი ყველას სჯობია და ეს ასეც უნდა იყოს. კემბლს უნდა ოთახი დამაცლევინოს და თვითონ შებრძანდეს, მაგრამ არ დავუთმობ. მაქვს კიდევ ამის უფლება, აქ მასზე ექვსი თვით ადრე ვარ მოსული.

შეზლონგზე წამოწოლილი მაკლაუდი მეტისმეტად მაღალი გეგონებოდათ. კანი ძვლებზე ჰქონდა მიკრული, ლოყები და საფეთქლები ჩასცვენოდა და თვალში გეცემოდათ მისი გაძვალტყავებული სახე, რომელზედაც კიდევ უფრო დიდად მოჩანდა ცხვირი და თვალები.

— ჩვიდმეტი წელიწადი დიდი დროა, — თქვა ეშენდენმა, რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

— დრო სწრაფად გადის. აქ კი ჩინებულად ვგრძნობ თავს. თავდაპირველად, ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ ზაფხულობით მივდიოდი ხოლმე აქედან, ახლა კი არსად მივდივარ. ახლა ეს არის ჩემი სახლი. ერთი ძმა და ორი და მყავს, მაგრამ ისინი ოჯახს მოეკიდნენ და არც ერთს აღარ ვუნდივარ. ერთ-ორ წელიწადს აქ რომ გაატარებთ, ძალიანაც რომ მოისურვოთ, ძველებურ ცხოვრებას ველარ დაუბრუნდებით. დაინახავთ, რომ ამხანაგ-მეგობრები თავიანთ გზას დასდგომიან და თქვენ აღარაფერი გაქვთ მათთან საერთო. საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველანი სადღაც იჩქარიან. არის ერთი ფაციფუცი და გაწამაწია. სულს ვერ მოითქვამთ ვერსად. არა, აქაურობას რა შეედრება. მკვდარს თუ გამიტანენ, თორემ ცოცხალი აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

ლონდონელმა ექიმმა უთხრა ეშენდენს, თუ ერთხანს თავს მიხედავთ, ნორჩებითო. ახლა ეშენდენმა ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი მაკლაუდს და ჰკითხა:

— დროს როგორა კლავთ?

— რაო? ჭლეჩიანს საქმეს რა გამოუღევეს, ჩემო კარგო. სიცხეს ვიზომავ, ვიწონები, აუჩქარებლად ვიცვამ. ვსაუზმობ, გაზეთებს ვკითხულობ და სასეირნოდ მივდივარ. მერე ვისვენებ. მერე საუზმის შემდეგ ბრიჯს ვთამაშობ, ისევ ვისვენებ და მერე ვსადილობ. კვლავ ბრიჯს წავითამაშებ და ბოლოს ვიძინებ. აქ მშვენიერი ბიბლიოთეკაა და ყოველ ახალ გამოსულ წიგნს იშოვი. მაგრამ საკითხავად სადა მცალია — მუსაიფით ვიქცევ თავს. მაინც რა ჯურის კაცს არ შეხვდებით აქ! სულ ნაირნაირი ხალხი მიდი-მოდის. ზოგს ჰგონია, მოვრჩიო, და იმიტომ მიდის, მაგრამ უმეტესობა უკან ბრუნდება, ზოგი კი საიქიოს მიემგზავრება. ეინ იცის, რამდენი გამიცილებია და კიდევ რამდენს გავიძლოლებ წინ.

უცრად ეშენდენის გვერდით მჯდომარე ქალიშვილი ჩაერია საუბარში:

— უნდა გითხრათ, რომ იშვიათია ადამიანი, რომელსაც მისტერ მაკლაუდით სიამოვნებდეს გასვენების ყურება.

მაკლაუდმა ჩაიხითხითა.

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. განა ბუნებრივი არ არის, რომ კაცმა ამ დროს გულში გაივლოს, უპ, კიდევ კარგი, რომ მე კი არა, სხვას მრასვენებენო.

უეცრად მაკლაუდს მოაგონდა, რომ ეშენდენი ქალიშვილისთვის არ გაუცვნია.

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომ მისტერ ეშენდენს არ იცნობთ. მისს ბიშოპი ინგლისელია, მაგრამ კარგი გოგონაა.

— თქვენ დიდი ხანია, რაც აქა ხართ? — შეეკითხა ეშენდენი.

— სულ ორი წელია. ამ ზამთარსლა ვიქნები აქ და მორჩა. ექიმი ლენოქსი მეუბნება, რამდენიმე თვეში განიკურნებით და მერე შეგიძლიათ შინ წახვიდეთო.

— სისულელეს თავი დაანებეთ, — უთხრა მაკლაუდმა. — სადაც კარგადა ხარ, იქიდან ფეხი არ უნდა მოიცივალო.

ამ დროს ვერანდაზე ვილაც კაცი გამოჩნდა. იგი ხელჯოხს ეყრდნობოდა და ნელა მოლასლასებდა.

— შეხედეთ, მაიორი ტემპლტონიც მოდის, — თქვა მისს ბიშოპმა და ცისფერ თვალებში ღიმილი გაუკრთა. მერე კი, როცა ავადმყოფი მის შეზღონგს გაუსწორდა, უთხრა:

— მიხარია, რომ ისევ ფეხზე გხედავთ.

— ოპ, სულ უბრალო რამე იყო. ცოტათი გავცივდი. ახლა მშვენივრად კარ.

ეს სიტყვები ჯერ არ დაესრულებინა, რომ ხველა აუტყდა. იგი მთელი ტანით დაეყრდნო ხელჯოხს და როცა შეტევამ გაუარა, მხიარულად გაიღიმა.

— ველარ ვიცილებ ამ წყვეულ ხველას. ძალიან ბევრს ვეწევო. ექიმი ლენოქსი მეუბნება, თამბაქოს წევას თავი უნდა დაანებოთო, მაგრამ არ შემიძლია და რა ვქნა.

მაიორი ტემპლტონი მაღალი, ლამაზი კაცი იყო, შავგვრემანი, სნეული სახე, შავი თვალ-წარბი და კოხტა შავი უღვაშები ჰქონდა. კრაველის საყულოიანი ძვირფასი ქურქი ეცვა. საერთოდ, პეწენიკი ვინმე ჩანდა და, ცოტა არ იყოს, თვალში საცემად იყო გამოწყობილი. მისს ბიშოპმა იგი ეშენდენს გააცნო. მაიორმა ტემპლტონმა ეშენდენს გულითადი კილოთი უთხრა ორიოდე თავაზიანი სიტყვა და მერე ქალიშვილს სთხოვა, სასეირნოდ წავიდეთო. მაიორი ტემპლტონი, ექიმის რჩევით, ყოველდღე სეირნობდა ტყეში, სანატორიუმის უკან, დანიშნულ ადგილამდე მივიდოდა და ისევ დაბრუნდებოდა. მაკლაუდმა თვალი გააყოლა მათ.

— ნეტა მაგათ შორის თუ არის რამე, — თქვა მან. — ტემპლონზე ამბობენ, სანამ დაავადდებოდა, დიდი არშიყი ვინმე იყოო.

— ახლა კი მისი შემხედვარე კაცი ვერ იფიქრებს ამას, — მიუგო ეშენდენმა.

— მაგას ნუ იტყვით. ჩემს აქ ყოფნაში იმდენ რამეს შევსწრებივარ, რომ შემიძლია დაუსრულებლად ვიამბოთ ათასნაირი ამბები.

— მიამბეთ მერე, ხელს რაღა გიშლით.

მაკლაუდმა ჩაიციხა.

— კარგით, ერთ ამბავს ვიამბობთ. ამ სამი-ოთხი წლის წინათ აქ ერთი ვნებიანი ქალი ცხოვრობდა. ორ კვირაში ერთხელ, შაბათ-კვირას ქმარი ჩა-

მოსდიოდა — გაგიყვებით უყვარდა ცოლი, თვითმფრინავს დაყვებოდა ლონ-  
დონიდან. ექიმი ლენოქსი კი დარწმუნებული იყო, რომ ქალს აქ ვიღაცას-  
თან ჰქონდა რომანი გაბმული, მაგრამ ვისთან ვერ გაეგო. პოდა, ერთ ღა-  
მეს, როცა ყველანი დაწვნენ, ქალის კარებთან საღებავი წაასმევინა, მეორე  
დღეს კი ყველას ფოსტლები გაგვისინჯა. მარჯვედ მოუფიქრებია, არა? საღებავს  
ბავიანი ფოსტლების პატრონი უმალ მიაბრძანეს აქედან. ცხადია, ექიმ ლე-  
ნოქსს ყველაფერზე ფხიზლად უჭირავს თვალი. არ უნდა, სანატორიუმს სახე-  
ლი გაუტყდეს.

— რამდენი ხანია, რაც ტემპლტონი აქ ცხოვრობს?

— სამი თუ ოთხი თვეა. რაც აქ არის, თითქმის სულ წევს. წასულია მაგი-  
სი საქმე. აივი ბიშოპი ჩერჩეტი იქნება, ეგ თუ შეიყვარა. თვითონ შეიძლება  
მორჩეს და იმიტომ. აქ იმდენი ადამიანი მინახავს, ისე გამიმახვილდა თვალი,  
რომ ერთი შეხედვით ვატყობ კაცს, მორჩება თუ არა და თუ არ მორჩება.  
რამდენ ხანს იცოცხლებს. იშვიათად თუ შევცდები. ტემპლტონისათვის ჩემ-  
დათავად ორი წლის სიცოცხლე მიმიცია.

მაკლაუდმა გამომცდელად შეხედა ეშენდენს. ეშენდენი მიხვდა, რას  
მოასწავებდა ეს შემოხედვა და შეეცადა არად ჩაეგდო, მაგრამ ამ მზერამ  
მაინც შეაშფოთა. მაკლაუდის თვალებში ეშმაკური ღიმილი გამოკრთა. მან  
შესანიშნავად იცოდა, რას ფიქრობდა გულში ეშენდენი.

— თქვენ კი განიკურნებით. სიტყვასაც არ დაუძრავდი, დარწმუნებული  
რომ არ ვიყო. ისიც არ მინდა, რომ ექიმმა ლენოქსმა სანატორიუმიდან მი-  
მაბრძანოს, აქაოდა ჩემს ავადმყოფებს აშინებსო.

ეშენდენს მომვლელმა მოაკითხა, რათა დასაწოლად წაეყვანა. მართა-  
ლია, ვერანდაზე ეშენდენი სულ ერთ საათს იჯდა, მაინც დაიღალა და ეამა  
ლოგინში ჩაწოლა. საღამო ხანს ექიმმა ლენოქსმა ინახულა. მან სიცხის ფურ-  
ცელს დახედა.

— არც ისე ცუდია, — თქვა მან.

ექიმი ლენოქსი, ეს მომცრო ტანის ცოცხალი, გულისხმიერი კაცი —  
კარგი ექიმი, ჩინებული საქმოსანი და თავგამოდებული მეთევზე გახლდათ.  
თევზაობის დრო დადგებოდა თუ არა, ავადმყოფებს თავისი თანაშემწეების  
ანაბარა მიატოვებდა ხოლმე. ავადმყოფები ცოტათი ბუზლუნებდნენ, მაგ-  
რამ ხალისიანად შეექცეოდნენ მის მოტანილ ორაგულს, რომელიც ამრავალ-  
ფეროვნებდა სანატორიუმის ერთფეროვან კერძებს. ექიმს ლაპარაკი უყვარ-  
და. ახლაც ფერხთით დაუდგა ეშენდენს და თავისი მკვეთრი შოტლანდიური  
კილოთი ჰკითხა, დღეს რომელიმე პაციენტს ხომ არ გაესაუბრეთო. ეშენ-  
დენმა მიუგო, მომვლელმა მაკლაუდი გამაცნოო. ექიმ ლენოქსს სიცილი აუტ-  
ყდა.

— ჩვენი ძველი ბინადარია. სანატორიუმსა და ავადმყოფებს ჩემზე კარ-  
გად იცნობს. ვერ გამოგია საიდან გებულობს ამდენ რამეს. ეს კია, რომ ვერა-  
ფერს გამოაპარებ, რაც აქაურ ბინადართა პირად ცხოვრებას შეეხება. სანა-  
ტორიუმში ვერც ერთი შინაბერა ვერ აჯობებს ამ საქმეში. ყნოსვით იგებს.  
ყველაფერს. კემბლზე არ გიამბოთ რამე?

— მიხსენა ასეთი გვარი.

— ეგ და კემბლი ვერ იტანენ ერთმანეთს. სასაცილოა მაგათი საქმე. ჩვი-  
დმეტი წელიწადია, რაც აქა ცხოვრობენ. ორივეს ერთად ცალი ფილტვიც

კი არ უვარგა. დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს. აღარ შემიძლია მაგათ გა-  
 უთავებელ საჩივრებს ვუსმინო. კემბლის ოთახი მაკლაუდის ოთახის ქვევითაა.  
 კემბლი ვიოლინოს უკრავს. მაკლაუდი ლამის გაგიჟდეს, არის უბრალო წელი-  
 წადია, რაც ერთი და იმავე მელოდებით მიჰქედავს ყურსმის. კემბლი კი გა-  
 იანის, მაკლაუდი ერთ მელოდიას მეორისგან ვერ არჩევსო. მაკლაუდს უნ-  
 და, კემბლს დაკვრა ავუკრძალო, მე კი ამას ვერ დავუშლი, ეგ თავისი ნებაა.  
 ოლონდ „მკვდარ საათზე“ არ უნდა დაუკრას. მაკლაუდს შევთავაზე სხვა  
 ოთახში გადადიო-მეთქი, მაგრამ არა ქნა. ამბობს, კემბლი განგებ სჩადის ამას,  
 ოთახიდან უნდა გამომაძევეს, მაგრამ თავისას არ გავატანინებო. განა საოცა-  
 რი არ არის, ამ ხნის ადამიანები მარტო იმას ფიქრობენ, როგორ მოუწამლონ  
 ერთმანეთს სიცოცხლე? ერთმანეთსაც რომ არა სცილდებიან?! ერთ მაგიდა-  
 ზე საუზმობენ, ბრიჯსაც ერთად თამაშობენ, მაგრამ ერთ დღეს არ გაუშვებენ  
 უჩხუბრად. ზოგჯერ დავემუქრები, აქედან გაგაძევებთ, თუ ჰკუთით არ იქნე-  
 ბით-მეთქი. ასეთი მუქარა ერთხანს აშოშმინებთ ხოლმე. აქედან წასვლა აღარ  
 უნდათ. იმდენი ხანია, რაც აქ არიან, რომ არც გულშემატკივარი შემორჩათ  
 ვინმე და არც სანატორიუმის გარეთ გაეძლებათ. რამდენიმე წლის წინ კემ-  
 ბლი ერთი-ორი თვით გაემგზავრა, მაგრამ ერთ კვირაში უკან დაბრუნდა. ასე  
 თქვა, ხმაური ვეღარ ავიტანე და ქუჩაში ამდენი ხალხის დანახვამ თავზარი  
 დამცაო.

უცნაურ სამყაროში აღმოჩნდა ეშენდენი, როცა მომჯობინდა და სხვა  
 ავადმყოფებში გაერია. ერთ დღიას, ექიმმა ლენოქსმა უთხრა, ამიერიდან ნე-  
 ზა გეძლევათ, სასადილოში ისაუზმოთო. სასადილო დიდი, დაბალქერიანი, ვეე-  
 ბერთელა ფანჯრებიანი ოთახი იყო. ფანჯრები მუდამ ყურთამდე ღია ჰქონ-  
 დათ და კარგ ამინდში მზე შემოდისო. სასადილო საცხე იყო ავადმყოფებით.  
 ეშენდენს კარგა ხანი დასჭირდა, რომ გაეგო, ვინ რას წარმოადგენდა. აქ  
 სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს მოეყარათ თავი — ახალგაზრდებს, ხანშე-  
 სულებს, მოხუცებს, ზოგს, კემბლისა და მაკლაუდის მსგავსად, მრავალი წე-  
 დენიმე თვის ჩამოსული იყო. ერთი შუახნის შინაბერა, ვინმე მისს ეტკინი  
 ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა გამოსაზამთრებლად, ზაფხულში კი მეგობარ-  
 ნათესავეებს უბრუნდებოდა. სამკურნალო თითქმის აღარაფერი სჭირდა და  
 შეეძლო, სულაც არ ჩამოსულიყო, მაგრამ სანატორიუმში ცხოვრება მოსწონ-  
 და. წლების განმავლობაში თვალსაჩინო მდგომარეობა მოიხვეჭა, საპატიო  
 ბიბლიოთეკარი შეიქნა და სანატორიუმის დიასახლისსაც დაუმეგობრდა. კო-  
 რაობა უყვარდა და სულ მსმენელის ძებნაში იყო, მაგრამ ახალმოსულს  
 დროზე აფრთხილებდნენ, რომ მისი ყოველი სიტყვა ექიმ ლენოქსის ყურამ-  
 დე მივიდოდა. ექიმისთვისაც კარგი იყო სცოდნოდა, როგორ ეგუებოდნენ  
 ავადმყოფები ერთმანეთს, კმაყოფილი იყვნენ თუ არა, უგუნურად ხომ არ  
 იქცეოდნენ და ასრულებდნენ თუ არა მის მითითებებს. მისს ეტკინის მახ-  
 ვილ თვალს არაფერი გამოეპარებოდა და ყოველივეს ატყობინებდა დიასახ-  
 ლისს, იმას კი ექიმ ლენოქსთან მიჰქონდა ენა. რაკი მისს ეტკინი უკვე ამდენ-  
 ი წლის განმავლობაში ყოველ ზამთარს ჩამოდიოდა სანატორიუმში, ისიც  
 კემბლისა და მაკლაუდის მაგიდას უჯდა. მეოთხე — ერთი მოხუცი გენერა-  
 ლი იყო. ამ უკანასკნელს ეს პატივი თავისი ჩინის გამო რეგებოდა. მათი მა-  
 გიდა დანარჩენებისაგან სულაც არ გამოირჩეოდა და არც უკეთეს ადგილას

იდგა. მაგრამ რაკი ძველი ბინადრები უსხდნენ, ამ მაგიდასთან ჯდომა საპატიოდ ითვლებოდა და რამდენიმე მანდილოსანი საშინლად განაწყენებულიც კი იყო იმის გამო, რომ მისს ეტკინი, რომელიც ყოველ ზაფხულს მიემგზავრებოდა ოთხი-ხუთი თვით, ამ მაგიდასთან უნდა მჯდარიყო, მაშინ, როცა თვითონ მთელ წელიწადს ატარებდნენ სანატორიუმში და მაინც სხვა მაგიდადებს უსხდნენ. სანატორიუმში იმყოფებოდა ინდოეთში ნამსახურები ერთი მოხუცი მოხელეც. ისიც ძველი ავადმყოფი იყო — იმაზე ადრე მხოლოდ კემბლი და მაკლაუდი იყვნენ მოსული. თავის დროზე ეს კაცი თურმე მთელ პროვინციას განაგებდა და ახლა მოუთმენლად ელოდა კემბლისა ან მაკლაუდის გარდაცვალებას, რათა საპატიო მაგიდას მისჯდომოდა. ეშენდენმა კემბლიც გაიცნო. იგი მელოტი, აყლაყუდა, ძვალმსხვილი კაცი იყო, მაგრამ ისეთი გამხდარი, იფიქრებდით — ნეტა რაში უდგას სულიო. როცა სავარძელში ჩაჯდებოდა, ისე მოიკრუნჩხებოდა, რომ საოცრად ემსგავსებოდა თოჯინების თეატრში ნანახ ქონდრის კაცს. იგი უკმეხი, ფიცხი და ღვარძლიანი ადამიანი იყო. ეშენდენს გაცნობისთანავე ჰკითხა, მუსიკა თუ გიყვართო.

— მიყვარს, — მიუგო ეშენდენმა.

— აქ მუსიკის არაფერი არაფერი გაეგება. მე ვიოლინოს ვუკრავ. თუკი ინებებთ, ოდესმე მეწვიეთ და დაგიკრავთ.

— ფეხი არ მოგიცდეთ, — უეცრად ჩაერია მაკლაუდი, რომელმაც ყური მოჰკრა მათ საუბარს. — იცოდეთ, წამებაა.

— რა უკმეხი ხართ! — წამოიძახა მისს ეტკინმა. — მისტერ კემბლი საუცხოოდ უკრავს.

— ამ გადაკარგულში კაცი არ მოიძებნება, რომ ერთი ბგერა გაარჩიოს მეორისაგან, — თქვა მაკლაუდმა.

მაკლაუდი გამკილავი სიცილით გაეცალა იქაურობას. მისს ეტკინი შეეცადა, უხერხულობა გაეფანტა.

— გულთან ნუ მიიტანთ მაკლაუდის ნათქვამს.

— არც მიმაქვს. მალე ამოვალ მაგის ობტში.

იმ დღეს, სანამ მოსაღამოვდებოდა კემბლი გაუთავებლად უკრავდა ერთსა და იმავე მელოდიას. მაკლაუდი იატაკზე აბრაზუნებდა, მაგრამ კემბლი დაკვრას არა წყვეტდა. მაკლაუდმა მოახლეს დააბარა, თავი მტკივა და იქნებ დაკვრას თავი დაანებოთო. კემბლმა შეუთვალა, დაკვრას ვერაფერს დამიშლის და სხვა გზა არა გაქვთ, გნებავთ თუ არა, ამას უნდა შეურიგდეთო. მეორე დღეს ამის გამო შელაპარაკება მოუვიდათ.

ეშენდენი ლამაზი მისს ბიშოპის, ტემპლტონისა და ლონდონელი ბუღალტრის, ჰენრი ჩესტერის მაგიდასთან დასვეს. ჰენრი ჩესტერი ჩასკვნილი, ძარღვიანი და ისეთი მხარბეჭიანი კაცი იყო, რომ სულ არა ჰგავდა ჭლეჩიანს. ავადმყოფობა უეცრად და მოულოდნელად დაატყდა თავს. ეს ყოველად ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, ასე ოცდაათი-ორმოცი წლისა, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობდა. ყოველ დილით სიტიში ჩადიოდა და დილის გაზეთს კითხულობდა, სიტიდან დაბრუნდებოდა და საღამოს გაზეთს ჩაუჯდებოდა. სამსახურისა და თავისი ოჯახის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა. უყვარდა თავისი საქმე. შემოსავალი საცხოვრებლადაც ყოფნიდა და ყოველწლიურად ცოტაოდენ ფულსაც ინახავდა. შაბათ-კვირას გოლფს თამაშობდა, ყოველ აგვისტოს სამი კვირით დასასვენებლად

დადიოდა აღმოსავლეთ სანაპიროს ერთსა და იმავე კურორტზე. ალბათ, წვილები რომ წამოეზრდებოდა და დააქორწინებდა, საქმეს ვატიშვილს გადააბარებდა, თვითონ კი მეუღლესთან ერთად ქალაქგარეთ ერთ პატარა სახლში გადავიდოდა საცხოვრებლად და დარჩენილ დღეებს იქ მშვიდად გაატარებდა, სანამ ღრმა მოხუცებულობაში სიკვდილი არ მოაკითხავდა. ათასობით მის მსგავსს გაუვლია ცხოვრების ასეთი გზა და ისიც ამის შეტყობას არას ითხოვდა ამ წუთისოფლისგან. ერთი საშუალო შეძლების ინგლისელი იყო, მერე კი ეს ამბავი შეეძინა. გოლფის თამაშისას გაცივდა, გული ჰქონდა დაჭერილი და ხველა ვერაფრით ვერ მოიცილა. მუდამ ჯანდონით სავსემ, არ იცოდა ექიმი რა იყო, მაგრამ ბოლოს ცოლმა დაიყოლია და ექიმს ეჩვენა. ელდა ეცა — საშინელი ელდა, როცა შეიტყო, რომ ორივე ფილტვში კავერნები ჰქონდა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ერთადერთი გზა დარჩენოდა — სასწრაფოდ სანატორიუმში წასულიყო. ექიმმა, რომელსაც მაშინ ეჩვენა, უთხრა, სამუშაოს ერთ-ორ წელიწადზე ადრე ვერ დაუბრუნდებითო, მაგრამ ორი წელიწადიც გავიდა და ექიმმა ლენოქსმა ურჩია, მუშაობაზე ფიქრს ერთი წლით მაინც უნდა მოეშვათო. მან ნახველში ბაცილები დაანახა და რენტგენის სურათზე აქტიური კერები უჩვენა. ჩესტერს გული გაუტყდა. ეს ბედის მუხანათობად მიიჩნია. ყოველივე გასაგები იქნებოდა, აღვირახსნილად რომ ეცხოვრა, ელოთა, ქალებისთვის ედევნა ან ღამეები ეტეხა. მაშინ ახი იქნებოდა მასზე, მაგრამ ამგვარი ხომ არაფერი ჩაუდენია?! არა, ბედი ძალზე უსამართლოდ მოექცა! ყოველგვარ ინტერესს მოკლებულს, წიგნებზე გულაყრილს, თავისი ჯანმრთელობის გარდა სხვა არა ჰქონდა რა საფიქრალი. დარდმა მთლად დაიმონა. გაფაციცებით ადევნებდა თვალს ავადმყოფობის ნიშნებს. სიცხეს დღეში ათჯერ იზომავდა და ამიტომ თერმომეტრი წაართვეს. აიკვირებოდა, ექიმები გულგრილად შექცევდნენ და რა ხრიკებს არ მიმართავდა, რომ თერმომეტრს ისეთი მაღალი ტემპერატურა ეჩვენებინა, ყველანი შემფოთებულნი იყვნენ, ხოლო თინზე თუ წაასწრებდნენ, ჯერ იჩხუბებდა, მერე კი მოიღუშებოდა და დამუნჯდებოდა. ბუნებით ხალისიანი, გულგრილი ადამიანი გახლდათ და როცა თავისი დარდი დაავიწყდებოდა, მხიარულად საუბრობდა და იცინოდა, მაგრამ მერე უეცრად მოაგონდებოდა, რომ სწეული კაცი იყო და თვალეში სიკვდილის შიში ჩაუდგებოდა.

ყოველი თვის ბოლოს მეუღლე მოაკითხავდა და ერთი-ორი დღით მახლობელ სასტუმროში რჩებოდა ხოლმე. ექიმ ლენოქსს სულაც არ ეკაშნიკებოდა, მნახველები რომ აკითხავდნენ ავადმყოფებს — ეს ალელვებდა და აფორიაქებდა მათ. უნდა გენახათ, რა ამბით მოელოდა ჰენრი ჩესტერი ცოლის ჩამოსვლას, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ როცა მეუღლე მოაკითხავდა, რატომღაც დიდი სიხარული არ ეტყობოდა. მისის ჩესტერი საამო, ხალისიანი, პატარა ტანის ქალი გახლდათ, ღამაში არ ეთქმოდა, მაგრამ არც მოხდენილობა აკლდა, თავისი ქმარით უბრალო იყო და ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ კარგი ცოლი, დედა, მომჭირნე დიასახლისი და სათნო, უწყინარი არსება უნდა ყოფილიყო, რომ თავის მოვალეობას უთქმელად ასრულებდა და მის ზედმეტ სიტყვას ვერავინ გაიგონებდა. ქალი თავს ბედნიერად თვლიდა თავისი მოსაწყენი ოჯახური ცხოვრებით. მისი ერთადერთი გასართობი — კინოში სიარული იყო, ყველაზე უფრო კი სეზონის ბოლოს ჩამოფასებული საქონლის შეძენა უყვარდა ლონდონის უნივერსიტეტ-

ში. აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი ცხოვრება ერთფეროვანი იყო. სხვაგვარ ცხოვრებას არც შენატროდა. ეშენდენს მოეწონა მისის ჩესტერი. ლისყურით უსმენდა მის გაუთავებელ ლაპარაკს შვილებსა და პატარა კარმიდამოზე, ლონდონის გარეუბანში რომ ჰქონდა, მეზობლებსა და დღიურ წვრილმან საზრუნავზე. ეშენდენი ერთხელ გზაზე შეხვდა ჩესტერი რაღაც სამკურნალო პროცედურის გამო სანატორიუმში დარჩენილიყო და მისის ჩესტერი მარტო სეირნობდა. ეშენდენმა შესთავაზა, ერთად გავისეირნოთ. ერთხანს აქეთურ-იქითურზე ილაპარაკეს, მერე მისის ჩესტერმა უეცრად ჰკითხა ეშენდენს, თქვენი აზრით, ჩემი ქმარი როგორ არისო.

— მე მგონი, მალე განიკურნება.

— რომ იცოდეთ, როგორ ვლელავ!

— ნუ დაივიწყებთ, რომ ტუბერკულოზი მძიმე, ხანგრძლივი სნეულეზაა. მოთმინება უნდა მოიკრიბოთ.

ცოტა მანძილი გაიარეს და ეშენდენმა შეამჩნია, რომ ქალი ტიროდა.

— გულს ნუ გაიტეხთ, — უთხრა ეშენდენმა ნაზად.

— ვერ წარმოიდგენთ, რისი გადატანა მიხდება აქ ჩამოსვლისას. ვიცი, რომ ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მაინც გეტყვი. ხომ შეიძლება გენდოთ?

— რა თქმა უნდა.

— მე მიყვარს იგი. თავს მირჩევნია. მისთვის არაფერს დავიშურებ. არასოდეს გვიჩხუბია, წალაპარაკებაც კი არ მოგვსვლია ოდესმე. ამ ბოლო ხანებში კი ამითვალწუნა და ეს არის, რომ გულს მიკლავს.

— მაგას ვერ დაგიჯერებთ. აქ რომ არა ხართ, სულ თქვენზე ლაპარაკობს. რომ იცოდეთ როგორ უყვარხართ! თქვენი ფასი არავინა ჰყავს.

— ეგ მაშინ, როცა აქ არა ვარ. მაგრამ როცა აქა ვარ და ჯანმრთელსა და ჯანლონით სავსეს მხედავს, სულ გამოიცვლება ხოლმე. საშინლად ბრაზობს, რომ თვითონ ავადაა, მე კი ჯანმრთელი ვარ. შიშობს, რომ თვითონ მოკვდება, მე კი ცოცხალი დავრჩები და ველარ მიტანს. ჰენრისთან სულ დაძაბული ვარ ხოლმე. რაზედაც არ უნდა ვილაპარაკო — ბავშვებზე იქნება ეს თუ მომავალზე — ღიზიანდება და სულ ცდილობს რამე გულსატეხი მითხრას. ოჯახის საქმეებზე ლაპარაკს ველარ იტანს, სულ უბრალო რამეს მოთმინებიდან გამოყავს. რომ ვუთხრა, მაგალითად, მსახური გამოვიცვალემეტქი, საშინლად გაბრაზდება და მერე მისაყვედურებს, ისე მექცევი, აშკარად აღარად მაგდებო. ადრე რა მეგობრულად ვცხოვრობდით, ახლა კი ჩვენს შორის მტრობის კედელი აღიმართა. ვიცი, რომ არ უნდა დავძრახო. ვიცი, რომ ავადმყოფობის ბრალია, იგი ხომ საყვარელი, სათუთი ადამიანია — სიკეთის განსახიერება. სანამ ავად ვახდებოდა, მაგაზე უწყინარი კაცი არ მეგულებოდა, ახლა კი მასთან ჩამოსვლა მაფრთხობს და აქედან წასვლა შვებას მგვრის. ჭლეჭი რომ დამემართოს, საშინლად ეწყინება, მაგრამ გულის სიღრმეში შვებას იგრძნობს. ჩემზეც მოიბრუნებს გულს და ხვედრსაც შეურიგდება, რაკი ეცოდინება, რომ მეც სიკვდილი მელის. ზოგჯერ ჩამაცივდება, მე რომ მოვკვდები, რას იზამო, ხოლო როცა სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანს და ამბობს, ნუ, ნუ ამბობ-მეთქი ამას, მეტყვის ხოლმე, ჩემთვის პატარა სიამოვნებაც კი არ გემეტება, შენ ხომ დიდხანს იცოცხლებ



და არხეინად იცხოვრებო. შემზარავია იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ამდენი ხნის სიყვარული ასე გულსაკლავად უნდა დასრულდეს.

მისის ჩესტერი გზისპირას ქვაზე ჩამოჯდა და ქვითინი აუვარდა. ეშენდენი სიბრაღულით უცქერდა, მაგრამ სანუგეშო სიტყვები ვერ უძღვებო. ქალი ნაამბობი მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

— სიგარეტი მომეცით, — სთხოვა ეშენდენს ბოლოს. — არ მინდა, თვალები დამიწითლდეს და დამისივდეს, თორემ ჰენრი მიხვდება, რომ ნამტირალევი ვარ და ეგონება, ჩემზე რაიმე ცუდი გაიგოო. ნეტა ასეთი საშინელია სიკვდილი? ნუთუ ყველას ასე ეშინია?

— ვერაფერს გეტყვით, — თქვა ეშენდენმა.

— დედაჩემი რომ კვდებოდა, თითქოს არაფერზე არ წყდებოდა გული იცოდა, რომ აღსასრული დაუდგა და სიკვდილზე ხუმრობდა კიდევ. თუმცა იგი უკვე მოხუცი იყო.

მისის ჩესტერმა ტირილი შეიკავა და გზა განაგრძეს. ერთხანს ორივე დუმდა.

— ჩემი ნაამბობი ჰენრიზე წარმოდგენას ხომ არ გაგიფუჭებთ? — ჰკითხა ბოლოს ქალმა.

— რა თქმა უნდა, არა.

— მუდამ კარგი მეუღლე და მამა იყო. ჩემს სიცოცხლეში მაგაზე უკეთესი ადამიანი არც კი მინახავს. ავადმყოფობამდე, არა მგონია, რაიმე უღირსი ან ბოროტი ფიქრი გაეელოს გულში.

ამ საუბარმა ეშენდენი ჩააფიქრა. მას ხშირად საყვედურობდნენ, ადამიანის ზნეობაზე მეტისმეტად ცუდი წარმოდგენის ხარო. ალბათ იმიტომ, რომ მოძმეთა საქციელს საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებით არა სჯიდა. ბევრი რამე, რაც სხვების აღშფოთებას იწვევდა, მას ღიმილს ან ცრემლსა ჰგვრიდა, ანდა მხოლოდ მხრებს იჩეჩდა. მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ ჰენრი ჩესტერი — ეს კეთილი, ყოვლად ჩვეულებრივი კაცი ასეთ ბოროტ და უღირს აზრებს ფარავდა. მაგრამ აბა ვინ გაიგებს, სანამდე შეიძლება დაეცეს ან ამალდეს ადამიანი? მთელი მისი უბედურება — სულიერი უბადრუკობის ბრალია. ჰენრი ჩესტერი მშვიდი და უშფოთველი ცხოვრებისთვის იყო დაბადებული, ამიტომ პატარ-პატარა ცხოვრებისეულ გაჭირვებებს ადვილად გაუძლო, მაგრამ, როცა მოულოდნელად უბედურება დაატყდა თავს, უსუსური აღმოჩნდა. იგი დიდ ქარხანაში დამზადებულ აგურს ჰგავდა, რომელმაც ადგილი უნდა დაიკავოს მილიონობით ასეთივე აგურს შორის, მაგრამ გაბზარული აღმოჩნდა და აღარ ივარგა. გონება რომ ჰქონოდა, აგურსაც აკი შეეძლო დაეყვირა, რა დავაშავე საიმისო, რომ ამდენ აგურში მარტომე ამომარჩიეს და ღორღში გადასაგდებად გამიმეტესო? რა ჰენრი ჩესტერის ბრალი იყო, რომ მხნეობა არ ეყო, უღრტვინველად აეტანა უბედურება. ყველანი ხომ ვერ ჰპოვებენ ნუგეშს ხელოვნებასა და ფილოსოფიაში! ჩვენი დროის ტრაგედია ისაა, რომ ამ უმწეო სულებმა დაკარგეს ღვთის რწმენა, ხსნის იმედი, დაკარგეს იმქვეყნიური ცხოვრებისა და ამქვეყნიური ჭირვარამის სანაცვლოდ საიქიოში აღთქმული ბედნიერების რწმენა, მისი სამაგიერო კი ვერაფერი ჰპოვეს.

ამბობენ, ტანჯვა აკეთილშობილებსო ადამიანს. მაგრამ ეს არ არის ასე. ტანჯვა ადამიანს, ჩვეულებრივ, წვრილმანს, ღვარძლიანსა და მეთავისეს

ხდის. თუმცა აქ, სანატორიუმში, არც ისე იტანჯებოდნენ. გარკვეულ სტი-  
ლიაზე ტუბერკულოზით დაავადებულს წამოახურებს ხოლმე, რაც ადამიანს  
სასოწარკვეთილებას კი არა ჰგვრის, არამედ აღაგზნებს. ავადმყოფებს უკმა-  
ყოფილებს. სიცოცხლის იმედი ეძლევა და მომავალს შეჰპირებს. სიკვდილი  
ქვეცნობიერად სიკვდილის შიში არა სცილდება. თითქოსდა ავბედითი ლეიტ-  
მოტივი გასდევდეს ლალ ოპერეტას. დროდადრო მხიარული, საამო არიები  
და საცეკვაო რიტმები რაღაც უცნაურად გადაიზრდებიან შემზარავ ხმებში  
და მუქარით ათრთოლებენ ნერვებს. ყოველდღიური უღიმღამო ინტერესე-  
ბი, უგვანი მეშურნეობა და წვრილმანი საზრუნავი დავიწყებას ეძლევა.  
ცრწოლა და სინანული გულს უწურავთ და სულში სიკვდილის შიში დაისად-  
გურებს, ისე როგორც ქარიშხლის წინ სიჩუმე დაისადგურებს ხოლმე ჯუნ-  
გლებში. ეშენდენი ახალმოსული იყო, როცა სანატორიუმში ოცი წლის ბი-  
ჭი ჩავიდა. იგი მეზღვაური იყო, წყალქვეშა ნავზე უმცროს ლეიტენანტად  
ნამსახურები და, როგორც ამას რომანებში ეძახიან, „ჩქარი ქლექი“ სჭირდა.  
მაღალი, ლამაზი, ცისფერთვალეა ბიჭი იყო, ხვეული, წაბლისფერი თმა და  
მიმზიდველი ღიმილი ჰქონდა. ეშენდენმა იგი სულ ორჯერ თუ სამჯერ ნახა  
ვერანდაზე და ცოტა ისაუბრეს კიდევ. ხალისიანი ყმაწვილი იყო. სულ მუ-  
სიკალურ რევიუსა და კინოვარსკვლავებზე ლაპარაკობდა და გაზეთში კრი-  
ვისა და ფეხბურთის ამბებს წაუკითხავს არ უშვებდა. ბოლოს კი ლოგინში  
ჩააწვინეს და ნათესავებსაც აცნობეს მისი ამბავი. ეშენდენს ამის მერე აღარ  
უნახავს იგი. ორი თვის მერე სული დალია. ისე მიიცვალა, ერთხელაც არ  
დაუჩივლია. ვერც კი ხვდებოდა, რომ სიკვდილი მოელოდა. სანატორიუმში  
ერთი-ორი დღე ისეთი აუტანელი განწყობილება სუფევდა, როგორც ციხეში  
იციხის. როცა რომელიმე პატიმარს სიკვდილით დასჯიან. მერე კი თავდაცვის  
ინსტიტუტმაც თავისი ქნა და, თითქოს პირი შეკრესო, ბიჭის ხსოვნა დავიწყ-  
ებას მისცეს. ცხოვრება წინანდებურად წარიმართა: დღეში სამჯერ ჭამდნენ.  
მინიმოდანზე გოლფს თამაშობდნენ, განსაზღვრულ საათებში ისვენებდ-  
ნენ, ჩხუბობდნენ, ჭორაობდნენ და ერთმანეთს ებუზღუნებოდნენ. კემბლი  
მაკლაუდის გასახელებლად ვიოლინოზე უკრავდა იმდროინდელ მოდურ სიმ-  
ღერასა და „ენი ლორის“ გულში ჩამწვდომ მელოდიას. მაკლაუდი იკვებნი-  
და, ბრიჯში ჩემი მომგები არავინ არისო და სხვების ზნეობასა და ჯანმრთე-  
ლობაზე ჭორაობდა. მისს ეტკინი ავადმყოფებს ზურგსუკან ძრახავდა. ჰენ-  
რი ჩესტერი ექიმებს უჩიოდა, ყურადღებას არ მაქცევენო და ბედს ემდუ-  
როდა, რა უმწიკვლოდ ვცხოვრობდი და რა ვერაგულად მომექცაო. ეშენდენი  
კითხულობდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბედის თანაზიართა ახი-  
რებებს.

იგი მაიორ ტემპლტონს დაუახლოვდა. ტემპლტონი ორმოცს გადაცილე-  
ბული მამაკაცი იქნებოდა, მეფის გვარდიაში ემსახურა, ომის მერე კი სამ-  
ხედრო სამსახურიდან გადამდგარიყო. მდიდარი კაცი იყო და დროსტარებას  
არ იკლებდა. დოღის დროს დოღს არ აცდენდა, კაკობისას — კაკბებს ხო-  
ცავდა, მელითობისას — მელიებზე ნადირობდა. როცა ამგვარი გასართობი შე-  
მოაკლდებოდა, მონტე-კარლოში მიემგზავრებოდა. ეშენდენს უამბობდა, რამ-  
დენი ფული მოუგია თუ წაუგია ბაქარას თამაშში. ქალების მოტრფიალე  
იყო და თუ მის ნაამბობს დაეჯერება, არც ქალები ექცეოდნენ გულგრილად.  
კარგი ჭამა-სმა უყვარდა. ლონდონის საუკეთესო რესტორნების ყველა მეტ-

რდოტელის სახელი იცოდა. რამდენიმე კლუბის წევრი გახლდათ. აი, ასე ფუჭად, ეგოისტურად და უმიზნოდ გაატარა თავისი ცხოვრება. ესეთი ცხოვრება ახვას ყელში ამოუვიდოდა. მაიორ ტემპლტონს კი სიამოვნება ჰქვოდა. ერთხელ, როცა ეშენდენი შეეკითხა, ხელახლა რომ დაიწყოს ცხოვრება, რას იზამდითო, ტემპლტონმა მიუგო, ისევ წინანდებურად ვიცხოვრებო. იგი შეასანიშნავი მოუბარი გახლდათ, ხალისიანი, უბოროტო ხუმარი. ყველაფერზე შეეძლო ელაპარაკა, მართალია, ხერუღედ, მაგრამ ლაღად, თავისუფლად და თავდაჯერებულად. ყოველთვის მოეძებნებოდა ქათინაური ულაზათო შინაბერებისათვის და არც ფიცხი, ჭარმაგი ჯენტლმენებისათვის გამოელეოდა ხუმრობა, რადგან მასში ერთმანეთს ერწყმოდა თავაზიანობა და თანდაყოლილი სიკეთე. მდიდარი ფუქსავატების წრეში, რომელთაც იმდენი ფული ჰქონდათ, რომ არ იცოდნენ რაში დაეხარჯათ, თავს ისევე ლაღად გრძობდა, როგორც მეიფეარის მდიდრულ კოტეჯებში. მეგობართან განგებ წააგებდა სანაძლეოს, ოღონდ მისთვის ხელი მოემართა და არც ათვირვანქიანს დაიშურებდა მათხოვრისათვის. თუ დიდი სიკეთე არ დაუთესია, არც დაუშავებია რაიმე. მთელი ცხოვრება უქმად გაეტარებინა, მაგრამ მასთან მასლაათი უფრო საამო იყო, ვიდრე სპეტაკ და დარბაისელ ადამიანთან ბაასი. ახლა მძიმედ იყო დაავადებული. იცოდა, ვეღარ გადარჩებოდა, მაგრამ ამასაც ისე უშფოთველად, ღიმნარევი უდარდელობით ეკიდებოდა, როგორც ყოველივე სხვას ამქვეყნად. მთელი თავისი ცხოვრება დრო ეტარებინა და აღარაფერს ნანობდა. მართალია, ბოლოს ამ ოხერი ჭლეჩით დაავადდა, მაგრამ ჯანდაბას, სიკვდილი ვის აცდენია, ხომ შეიძლება სულაც ომში მოეკლათ ან ჯირითობისას ცხენიდან გადმოვარდნილიყო და კისერი მოეტეხა. წესად ჰქონდა, თუ სანემლეო წააგე, წაგებული გადაიხადე და ეს ამბავი დაივიწყეო. ფული კარგად მოეხმარა, აწი კი არაფერზე წყდებოდა გული. სანამ დასცალდა, აკი გემოზე ატარა დრო, ყოველ დროსტარებას კი დასასრული აქვა და მეორე დღეს ვინდა დაეძებს, მთელი ღამე გაათიეთ, თუ შუა ღამიდან წამოხვედით.

სანატორიუმის მობინადრეებში, შესაძლოა, ტემპლტონი ზნეობრივად ყველაზე დაბლა იდგა, მაგრამ იგი ერთადერთი იყო, ვინც უშფოთველად ხვდებოდა გარდუვალობას. იგი სიკვდილს დასცინოდა და სულ არ დაგიდევდათ ხალხი ამას თავქარიანობად ჩაუთვლიდა თუ ვაჟაკობად.

როცა სანატორიუმში ჩამოვიდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ აქ ისეთი სიყვარული ელოდა, როგორც მანამდე არ განეცადა. სიახლოვე ბევრ ქალთან ჰქონია, მაგრამ ნამდვილი სიყვარულით ჯერ არავინ ჰყვარებია. იგი სჯერდებოდა გუნდის მომღერალი ქალების ანგარებიან სიყვარულსა და ხანმოკლე სიახლოვეს ამ იოლად დამყოლ ქალებთან, რომელთაც ოჯახურ წვეულებებში გაიცნობდა ხოლმე. მუდამ ერიდებოდა ყოველგვარ გატაცებას, რომელიც საფრთხეს უქადდა მის თავისუფლებას. ცხოვრებაში ერთადერთი მიზანი ისა ჰქონდა, სიამე არ დაეკლო და თუკი სადმე ქალს გადაეყრებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა. ქალები მართლაც უყვარდა. მოხუც ქალებთან საუბრის დროსაც კი თვალეში სითბო ემატებოდა და ხმაში სინაზე. მათ საამებლად არაფერს არ იშურებდა. ისინიც ხვდებოდნენ ამას, დიდად სიამოვნებდათ და სავსებით ენდობოდნენ მას. ერთხელ ტემპლტონს ისეთი რამე წამოსცდა, რომ ეშენდენი გაოცდა. რა გამჭრიახი კაცი ყოფილაო.

— ყოველ მამაკაცს, თუკი ძალიან ეცდება, შეუძლია ქალის გული მოი-

ნადიროს, ეგ ძნელი საქმე არ არის, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მამაკაცს შეუძლია ისე მიატოვოს იგი, რომ არ დაამციროს. ეს რომ შეგეძლოს, ქალის ჯვარი უნდა იცოდეს.

აივი ბიშოპსაც ჩვეულების გამო გაუმიჯნურდა. იგი და ახალგაზრდა გოგო იყო სანატორიუმში. სინამდვილეში, აივი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ახალგაზრდა, ეშენდენს რომ ეგონა პირველად. თურმე ოცდაცხრა წლისა ყოფილა, მაგრამ რვა წლის განმავლობაში შვეიცარიის, ინგლისისა და შოტლანდიის სანატორიუმიდან სანატორიუმში სიარულმა და ავადმყოფის მყუდრო ცხოვრებამ ახალგაზრდული იერი შეუნარჩუნა. ცხოვრების აე-კარგს სანატორიუმებში ნანახით გაეცნო. ამიტომ მასში უცნაურად თავსდებოდა საოცარი მიაშიტობა და გამჭრიახობა. სიყვარულში მთლად გამოუცდელი არ იყო. იგი ბევრ სხვადასხვა ეროვნების მამაკაცს შეყვარებია. მათ არშიყობას კდემამოსილი ხუმრობით პასუხობდა და დიდ სიმტკიცეს იჩენდა, როცა ვინმე ზღვარის გადალახვას მოისურვებდა. საოცარი სულიერი მხნეობა ჰქონდა, წარმოუდგენელი ესოდენ ნაზი არსებისათვის და თუ საჭიროება მოითხოვდა, სათქმელს ცივად, აშკარად და დამაჯერებლად იტყოდა. აივი მიხვდა, რომ ტემპლტონი თავს იქცევდა და თვითონაც აუბა მხარი, ლაღად და თამამად ექცეოდა და ამით ყველას აგრძნობინებდა, მეც თავის გასართობად ვეკეკლუცობო. ეშენდენივით ტემპლტონიც ყოველ საღამოს ექვს საათზე იძინებდა და თავის ოთახში სადილობდა, ასე რომ, აივის მხოლოდ დღისით ხედავდა. ისინი ახლო-მახლო თუ გაისეირნებდნენ ერთად, თორემ ისე მარტო ყოფნა არ უხდებოდათ. საუზმობისას ოთხივეს — აივის, ტემპლტონს, ჰენრი ჩესტერსა და ეშენდენს შორის საერთო საუბარი იმართებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ტემპლტონი ესოდენი თავგამოდებით ამ ორი მამაკაცის გასართობად არ ირჩებოდა. ეშენდენს ეჩვენებოდა, რომ ტემპლტონი უკვე მხოლოდ დროის მოსაკლავად კი არ ეარშიყებოდა აივის, არამედ ხუმრობა დიდ და გულწრფელ გრძნობად გადაზრდოდა, ოღონდ ის კი ვერ გაეგო, ხვდებოდა თუ არა ამას აივი, ან თუ ხვდებოდა, მიჰქონდა თუ არა გულთან. როცა ტემპლტონი ცოტათი თამამ ხუმრობას შებედავდა, აივი მოსწრებულად მოუჭრიდა სიტყვას და საერთო სიცილს იწვევდა. იცინოდა ტემპლტონიც, მაგრამ უხალისოდ. მას ახლა აღარ უნდოდა, აივის მისი ნათქვამი ჭარაფშუტობად ჩაეთვალა. რაც უფრო უკეთ გაიცნო ეშენდენმა აივი ბიშოპი, მით უფრო მოსწონდა იგი. იყო რაღაც ამაღელვებელი მის ავადმყოფურ სილამაზეში — გამჭვირვალე კანსა, დიდრონ თვალებსა და გამხდარ სახეში; ამაღელვებელი იყო მისი ხვედრიც — ისიც ხომ სანატორიუმის სხვა ბინადრებივით გარიყა ცხოვრებამ. დედამისს წარჩინებულ საზოგადოებაში ტრიალი უყვარდა, დები კი გათხოვილი ჰყავდა. მათ მხოლოდ ყასიდად აინტერესებდათ ახალგაზრდა ქალის ბედი, რომელთანაც ახლა მთელი რვა წელიწადი ამორებდათ. წერილებს უგზავნიდნენ ხოლმე, ხანდახან სანახავადაც ჩამოდიოდნენ, მაგრამ ცოტა რამ შემორჩათ საერთო. ყოველივე ამას აივი უმფოთველად იტანდა. ყველას გულთბილად ექცეოდა და მუდამ თანაგრძნობით ისმენდა დიდისა თუ პატარის ჩივილსა და გულისტკივილს, ჰენრი ჩესტერსაც ძალიან სათუთად ექცეოდა და ძალღონეს არ ზოგავდა მის გასამხნევებლად.

— აი, მისტერ ჩესტერ, — უთხრა მან ერთხელ საუზმობისას, — თვე

იწურება და, ალბათ, ხვალ მეუღლე ჩამოგივით. მართლაც, რომ დიდი სიხარული მოგელით.

— არა, ამ თქეში არ ჩამოვა, — წყნარად მიუგო ჩესტერმა, — ასე, რომ თეფშისთვის თვალი არ მოუცილებია.

— აფსუს! მაინც რატომ? ბავშვები ხომ კარგად არიან?

— ეჭიმი ლენოქსი ფიქრობს, ასე სჯობია შენთვისო.

დუმილი ჩამოწვა. აივი სიბრაღულით მისჩერებოდა ჩესტერს.

— ძალიან საწყენია, ჩემო ძვირფასო, — მისთვის ჩვეული გულითაღობით შენიშნა ტემპლტონმა. — კი მაგრამ ლენოქსს ვინა ჰკითხავს, ენა ვერ ჩააგდებინე მუცელში?

— თვითონ უკეთ იცის, ჩემს ჯანმრთელობას რა მოუხდება, — თქვა ჩესტერმა.

აივიმ ისევ შეხედა მას და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

მოგვიანებით ეშენდენმა იგრძნო, რომ აივი მაშინვე მიხვდა სიმართლეს.

მეორე დღეს ეშენდენსა და ჩესტერს ერთად მოუხდათ გასეირნება.

— როგორ მწყინს, რომ თქვენი მეუღლე ვერ ჩამოვა, — უთხრა მან. — ალბათ ძალიან გენატრებათ.

— ძალიან.

მან ეშენდენს ალმაცერად შეხედა. ეშენდენი მიხვდა, რომ მას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყოყმანობდა, ბოლოს ჩესტერმა გულმოსულად აიჩეჩა მხრები.

— ჩემი ბრალია, რომ არ ჩამოდის. მე მივაწერიე ლენოქსს, რომ არ ჩამოვიდეს. არ შემიძლია მეტის ატანა. მთელ თვეს ველოდები, მაგრამ როცა ჩამოვა, მისი დანახვა აღარ მინდა. იცით, როგორ ვიტანჯები ამ წყვეული ავადმყოფობის გამო?! ის ხომ ჯანმრთელია, ძალღონითა და ხალისით აღსავსე. სიბრაღულით რომ შემომხედავს ხოლმე, გონება მიბნელებდა. ვის რაში ენადვლება ჩემი ავადმყოფობა? ვიღას შესტკივა ჩემზე გული? თავი ისე უჭირავთ, თითქოს გული შესტკიოდეთ, გუნებაში კი უხარიათ, რომ თვითონ არ არიან ავად. ალბათ გულში ამბობთ, რა ღორი ყოფილაო, არა?

ეშენდენს მოაგონდა, როგორ ჩამოჯდა ერთხელ მისის ჩესტერი გზის პირას ქვაზე და როგორ აქვითინდა.

— განა გული არ მოუკვდება, აქ მოსვლა რომ აუკრძალებთ?

— როგორმე უნდა შეეგუოს ამას. მე ჩემი დარდიც მეყოფა.

ეშენდენმა სათქმელი ვერ მოიფიქრა და ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. უეცრად ჩესტერმა თავი ველარ შეიკავა:

— თქვენთვის იოლია დიდსულოვანი და უანგარო იყოთ, თქვენ ხომ სიკვდილი არ გემუქრებათ. მე კი მოვკვდები და, ღმერთმა დასწყევლოს, არ მიხდა მოვკვდე. რად უნდა მოვკვდე? სად არის სამართალი!

გამოხდა ხანი. სანატორიუმის მოცლილ ბინადრებს არაფერი გამოეპარებოდათ და მალე ყველა ალაპარაკდა, ჯორჯ ტემპლტონს აივი ბიშოპი უყვარსო. ის კი ველარ გაიგეს, ქალსაც უყვარდა თუ არა. ყველა ხვდებოდა, რომ ქალს მოსწონდა მაიორ ტემპლტონთან ყოფნა, მაგრამ არა თუ ესწრაფვოდა ამას, არამედ მასთან მარტო დარჩენას გაურბოდა კიდევ. დროდადრო აივის ზოგიერთი შუახნის ქალი შეუჩნდებოდა ხოლმე, იქნება რაიმე ვათქმეზინოთო და თუმცა აივი უეშმაკო გოგო იყო, მაინც ვერაფერი წამოაცდენი-

ნეს. ნართაულს ყურადღებას არ აქცევდა, უბოდიშო შეკითხვას კი საცოლოთ არიდებდა თავს. ბოლოს მისმა საქციელმა ქალები გაახელა.

— ისე უჭკუო არ არის, ვერა ხვდებოდეს, ჯორჯი რომ

გაქცეულა მისი-  
ბიზლიწყისკა

— ასე როგორ ათამაშებს ჯორჯს!

— მე მგონი, მაგასაც ძალიან უყვარს ჯორჯი.

— ლენოქსმა ეს ამბავი უსათუოდ დედამისს უნდა აცნობოს, მაკლაუდის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

— სასაცილო ამბავია. ბოლოს და ბოლოს რას ფიქრობენ, არ ვიცი. ტემპლტონს ხომ სულ დაცხრილული აქვს ფილტვები, არც მისს ბიშოპის საქმეა უკეთესად.

კემბლმა კი, პირიქით, დამცინავად და გესლიანად თქვა:

— სანაძლეოს ვლებ, რომ მაგათი საქმე სულ სხვანაირად არის, ყველა კი ვერ მიხვდება. მე რომ მკითხვით, კარგსაც შერებიან. დროსტარების მეტი რა შერჩებათ!

— დიდი ხეპრე ვინმე ხარ, — გახელდა მაკლაუდი.

— კარგი ერთი, რაიმე სახეირო რომ არ იყოს, ტემპლტონი იმის ჩიტი არ არის, ქალიშვილს შორიახლოდან ელაციცოს, და, დამიჯერეთ, არც ეგ ქალბატონია ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი.

ეშენდენმა, რომელსაც უფრო ხშირად უხდებოდა ტემპლტონთან და მისს ბიშოპთან ყოფნა, სხვებზე ბევრად მეტი იცოდა. ტემპლტონმა ბოლოს, ხომ გული გადაუშალა. იგი თვითონვე დასცინოდა თავის თავს.

— სად გაგონილა, ჩემი ხნის კაცს პატიოსანი ქალი შეჰყვარებოდეს. ჩემი თავისა მიკვირს, მაგრამ რა ვქნა, თავდავიწყებით მიყვარს. ჯანმრთელი რომ ვიყო, სვალვე ვთხოვდი ხელს, რას ვიფიქრებდი, ასეთი ქალი თუ სადმე იქნებოდა. გოგოები—პატიოსან გოგოებზე გეუბნებით—ყოველთვის მოსაწყენი მეგონა, ეს კი მოსაწყენი კი არადა ცარიელი ჭკუაა. თანაც ლამაზია. ო, ღმერთო, რა კანი აქვს! ახლა თმას აღარ იტყვიო?! მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამან გამაბა მახეში. არ იკითხავთ, რამ მომხიბლა? ლამის სიცილი წამსკდეს, რომ მომაგონდება. თანაც ჩემისთანა გათახსირებული, სათნოებამ! ამას რომ გავიფიქრებ, სიცილს ვერ ვიკავებ, როდის იყო ქალის სათნოებას დავეძებდი? მაგრამ ახლა ასეა და რას იზამ. ისეთი უმანკოა, ჩემი თავი არარაობა მგონია. ალბათ, გაგაოცეთ, არა?

— სულაც არა, — მიუგო ეშენდენმა. — ხშირად სწორედ თქვენისთანა გაფუჭებულ ხალხს იმონებს უმანკოება. ხანში რომ შევლენ, აცუნცრუქებიან ხოლმე.

— ო, რა მოწამლული ენა გაქვთ! — სიცილით უთხრა ტემპლტონმა.

— ის რაღას გეუბნებათ?

— ღმერთო ჩემო, ხომ არ გგონიათ, რაიმე ვუთხარი. ხალხში რომ ვეუბნები, იმაზე მეტს ვერც მარტო ვუბედავ. იქნებ ექვს თვეში ვხვდები. ეგეც არ იყოს, რა უნდა მოეწონოს ჩემი.

ეშენდენს უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აივისაც თავდავიწყებით უყვარდა ჯორჯი. არც ის გამოპარვია, როგორ აუწითლდებოდა ხოლმე აივის ლოყები, როცა ტემპლტონი სასადილოში შემოდიოდა. იმასაც ამჩნევდა, რომ დროდადრო აივი ნახად შეავლებდა თავს ჯორჯს, როცა იგი ქალიშვილს

არ უცქერდა. ჯორჯი თავისი წარსულიდან რაიმე ამბავს რომ მოიგონებდა, ქალიშვილს სახეზე ნაზი ღიმილი აუთამაშდებოდა ხოლმე. ეშენდენს ეჩვენებოდა, რომ აივი ნეტარებით ეხვეოდა სიყვარულის სხივებს. ალბათ, ასეთივე ნეტარებას განიცდიდნენ ვერანდაზე გამოსული ავადმყოფებიც, როცა ამ თოვლიან არემარეში მზე გამოანათებდა. თავის მცხუნვარე სხივებს დააფრქვევდა მათ. მაგრამ, შეიძლება, ქალიშვილს მეტი არც არა უნდოდა რა და ეშენდენმა იფიქრა, მე რად უნდა ვუთხრა ჯორჯის, რასაც თვითონ აივი არ უმხელსო.

მერე ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომ სანატორიუმის ერთფეროვანი ცხოვრება დაირღვა. თუმცა კემბლი და მაკლაუდი მუდამ ჩხუბობდნენ, ბრიჯს მაინც ერთად თამაშობდნენ, რადგან ტემპლტონის ჩამოსვლამდე ისინი ყველაზე კარგ მოთამაშეებად ითვლებოდნენ. ისინი გაუთავებლად კინკლაობდნენ თამაშის დროსაც და ყოველი ხელის დამთავრების შემდეგაც. მაგრამ ამდენი წლის მანძილზე ერთიმეორის თამაშს ზედმიწევნით გაეცნენ და ამიტომ მოგება უზომო სიხარულს ანიჭებდათ. ტემპლტონი ჩვეულებრივ მათთან არ თამაშობდა. მართალია, ჩინებული მოთამაშე იყო, მაგრამ აივისთან თამაში ურჩია. კემბლი და მაკლაუდი კი თვლიდნენ, რომ აივისთან თამაში არ ღირდა. იგი გულგრილი მოთამაშე გახლდათ, გამოუსწორებელ შეცდომას რომ დაუშვებდა, გაიცინებდა და იტყოდა, დიდი ამბავი, თუ ერთი აყვანა დაჯარგეთო. მაგრამ ერთხელ, რაკი აივის თავი სტკიოდა და ოთახიდან არ გამოსულა, ტემპლტონი დათანხმდა კემბლთან და მაკლაუდთან ერთად. მეოთხე მოთამაშედ მათ ეშენდენი მიუჯდა.

თუმცა მარტი იწურებოდა, რამდენიმე დღე განუწყვეტლივ თოვდა, კივი ქარიც ქროდა და ამიტომ ოთხივეს ქურქები ეცვათ, ქუდები ეხურათ, ხელთათმანები ეკეთათ და ისე თამაშობდნენ სამივე მხრიდან ღია ვერანდაზე. საიმიხოდ, რომ ტემპლტონისნაირ მოთამაშეს გულისყური დაეძაბა, ფსონი ძალიან პატარა იყო. ამიტომ იგი ზოგჯერ მეტისმეტად თამამად თამაშობდა, მაგრამ სამივეს იმდენად სჯობნიდა, რომ თუ მთლად არა, არც იმაზე ნევრით ნაკლებს იყვანდა, რაც წინასწარ ჰქონდა დათქმული. ფსონი ჯერ გაორმაგდა, მერე გაოთხმაგდა. ბედი ხან ერთს სწყალობდა, ხან მეორეს და ხშირად ისმობდა, მცირე სლემს\* ვაცხადებო. ცხარე თამაში გაიმართა, კემბლი და მაკლაუდი განუწყვეტლივ უღრენდნენ ერთმანეთს. ექვსის ნახევარზე ბოლო ხელი დაიწყეს, რადგან ექვს საათზე, ზარი დარეკავდა და ყველანი დასაწოლად უნდა წასულიყვნენ. დაუნდობელი თამაში გაჩაღდა, არც ერთი მხარე ჯარიმას არ ერიდებოდა, რადგან კემბლი და მაკლაუდი მოწინააღმდეგენი იყვნენ და ერთმანეთს გასაქანს არ აძლევდნენ. ექვსს რომ ათი წუთი უკლდა, ბოლო ჩამორიგებალა დარჩა. ტემპლტონი და მაკლაუდი ერთად თამაშობდნენ კემბლისა და ეშენდენის წინააღმდეგ. მაკლაუდმა თამაშის დაწყების წინ „ორი ჯვარი“ გამოაცხადა. ახლა ეშენდენის ჯერი იყო, მაგრამ პასი თქვა. ტემპლტონის პასუხმა მაკლაუდს ზურგი გაუმაგრა და მან „დიდი სლემი“ გამოაცხადა, კემბლმა ფსონი გააორმაგა, მაკლაუდმა კი გააოთხმაგა. ამის გაგონებაზე სხვა მაგიდებიდან მოთამაშეები წამოცვივდნენ, მაკლაუდთან მოიყარეს თავი და ეს მცირე ჯგუფი გარინდებული ელოდა თამაშის დამ-

\* სლემი (ანუ შლემი) — ბრიჯის თამაშში ისეთი პირობის დათქმა, როცა მეტოქეს არც ერთხელ არ უნდა ააყვანინო კარტი (დიდი სლემი), ან მხოლოდ ერთი აყვანა შეიძლება დათქვას (მცირე სლემი).

თავრებას: მაკლაუდი მღელვარებისგან გაფითრდა, შუბლზე ოფლმა დაასხა და ხელები აუკანკალდა. კემბლი საშინელ გუნებაზე იყო. მაკლაუდი რრი ქარტი ჩებოდა გასაქრელი და ორივე გაჭრა. დასასრულ, მოწინააღმდეგეებს ქარტი დააყრევინა და ბოლო, მეცამეტე ალებაც აიყვანა. მაყურებლებმა ქარტიში დასცხეს, მაკლაუდი მედიდურად წამოიჭრა ზეზე და კემბლს მძვინვარება ღერა.

— ახლა რამდენიც გინდა აწრიპინე ეგ შენი ვიოლინო! დიდი სლენი და გაოთხმაგებული ფსონი! მთელი სიცოცხლე ამას ველოდი და მოვიგე კიდევ. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

უეცრად მაკლაუდს სუნთქვა შეეკრა, წაბარბაცდა და მაგიდას დაემხო. მერე სისხლი წასვდა პირიდან. ექიმს დაუძახეს, მომვლელებმაც მოირბინეს, მაგრამ მაკლაუდი უცვვე მკვდარი იყო.

იგი ორი დღის მერე, განთიადისას დამარხეს, რადგან გასვენების ნახვა ავადმყოფებს ააფორიაქებდა. დასაფლავებაზე გლაზგოდან ერთი შავებში ჩაცმული ნათესავი ჩამოვიდა. მაკლაუდი არავის უყვარდა და არც არავის დასწყვეტია გული. კვირის ბოლოს, მგონი, ყველამ მიივიწყა. მისი ადგილი საპატრიო მაგიდასთან ინდოეთში ნამსახურებმა მოხელემ დაიკავა, ხოლო კემბლი ამდენი ხნის ნანატროთახში გადავიდა.

— ახლა კი მოვიხვენებთ, — უთხრა ექიმმა ლენოქსმა ეშენდენს. — ნეტა ამდენ ხანს როგორ გავუძელი მაგათ ჩხუბსა და ჩივილს... მერწმუნეთ, სანატორიუმის მოვლუპატრონობას არაადამიანური მოთმინება უნდა. ან სიცოცხლეში რა დღე დამაყენა, ან რანაირად მოკვდა, — თავხარი არ დასცა ავადმყოფებს?!

— მართლაც, რომ შემხარავად იმოქმედა ყველაზე, — მიუგო ეშენდენმა.

— დიდი უმაქნისი ყაცო იყო, მაგრამ ზოგიერთ ქალს მაინც დასწყვიტა გული. საბრალო მისს ბიშოპმა რამდენი ტრემლი დაღვარა.

— მე მგონი, მისს ბიშოპი, მართლაც, ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც იგი დაიტირა და არა თავისი თავი.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მაკლაუდი ერთ ვინმესაც არ დავიწყებოდა. კემბლი უპატრონო ძაღლივით დაბორილობდა. ბრიჯის თამაშიც მიატოვა და საუბარიც. ეჭვი არ იყო, ძალიან დააღონა მაკლაუდის სიკვდილმა. რამდენიმე დღე გარეთ არიგამოსულა და საკმელი ოთახში მიჰქონდათ. მერე კი ექიმ ლენოქსთან მივიდა და უთხრა, ამ ოთახს წინანდელი მირჩენია და ისევ იქ გადავალო. ექიმმა ლენოქსი მოთმინებიდან გამოვიდა, რაც იშვიათად ხდებოდა, და უთხრა, მაგ ოთახისთვის რამდენიმე წელიწადი გული გამოწყალე და ახლა ან მაგ ოთახში დარჩი ან სანატორიუმიდან წადიო. კემბლი ოთახში დაბრუნდა და მწარე ჭიქრებში ჩაეფლო.

— ვიოლინოს რატომ აღარ უკრავთ? — ველარ მოითმინა და ჰკითხა სანატორიუმის დიასახლისმა. — ორი კვირა თქვენი დაკვრა აღარ გამიგონია.

— არ მინდა.

— მაინც რატომ?

— აღარ მსიამოვნებს. ადრე თუ ვუკრავდი, ჰკუიდან ვშლიდი მაკლაუდს, ახლა კი, გინდ დამიკრავს და გინდ არა. ამიერიდან არასოდეს აღარ დავუკრავ.

მართლაც, ეშენდენის სანატორიუმში ყოფნისას, კემბლს ერთხელაც აღარ დაუკრავს. უცნაური ის გახლდათ, რომ ახლა, როცა მაკლაუდი მკვდარი იყო, კემბლმა სულ დაკარგა ცხოვრების ხალისი. აღარავინ ჰყავდა საჩხუ-



ბარი, აღარავინ ეგულებოდა გასახელებელი. მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა და ცოტა ხანში, ალბათ, ისიც მიჰყვებოდა თავის მტერს უკან.

ტემპლტონზე კი მაკლაუდის სიკვდილმა სულ სხვაგვარად იმოქმედა და მალე სულ ახლებურად წარმართა მისი ბედი. მაკლაუდის სიკვდილზე ეშენდენს მან, როგორც სჩვეოდა ხოლმე, უდარდელად უთხრა:

— განა დიდებული არ არის, როცა კაცი გამარჯვებული ეგებება სიკვდილს?! ვერ გამოვიცა, ესენი რაღამ დაადარდიანა. მაკლაუდმა ხომ აქ დიდხანს აცხოვრა?

— მგონი, თვრამეტ წელიწადს.

— ნეტა, რა ფასი აქვს ასეთ ცხოვრებას? ნუთუ არა სჯობია, ადამიანმა დროსტარება არ დაიკლოს და მერე რაც მოუვა, მოუვიდეს.

— გააჩნია, ვის რად უღირს თავისი ცხოვრება.

— განა ამას ცხოვრება ჰქვია?

ეშენდენმა ველარაფერი უპასუხა, თვითონ იმედი ჰქონდა, რამდენიმე თვეში განიკურნებოდა, ტემპლტონს კი, აშკარა იყო, დიდი დღე არ ეწერა. მის სახეს უკვე აჩნდა სიკვდილის დაღი.

— არ იკითხავთ, რა ვქენი? — შეეკითხა ტემპლტონი. — აივის ხელი ვთხოვე.

ეშენდენი გაოგნდა.

— მერედა იმან რა ვითხრათ?

— რომ იცოდეთ, რა კეთილი გული აქვს. მითხრა, ასეთი სასაცილო რამე ჩემს დღეში არ მომისმენია, ეგ რამ გაფიქრებინათ, ეტყობა, ჰკუდიან შეიშალებთო.

— მართალიც უთქვამს.

— რა თქმა უნდა, ოღონდ ცოლად მაინც მომყვება.

— ეგ სიგიჟეა.

— შეიძლება, მაგრამ, ასეა თუ ისე, ლენოქსი უნდა ვნახოთ და ვკითხოთ, რას გვირჩევს.

ზამთრის სუსხი, როგორც იქნა, მოტყდა. მთებში ჯერაც თოვლი იდო, მაგრამ დაბლობზე უკვე გამდნარიყო, ფერდობებზე კი არყის ხეები ისე გაკვირტულიყო, რომ მალე ფოთლებსაც გამოიტანდა. ჰაერში გაზაფხულის სურნელება დადგა. მწეს მცხუნვარება მოემატა. ავადმყოფები გამოცოცხლდნენ, ზოგი კი გამხიარულდა კიდევ. გამოსაზამთრებლად ჩასული ძველი ავადმყოფები სამხრეთში აპირებდნენ წასვლას. აივი და ტემპლტონი ექიმ ლენოქსთან მივიდნენ და გულისნადები გადაუშალეს. მან ორივე გასინჯა, რენტგენის სურათები გადაუღო და ანალიზები აუღო. ექიმმა დღე დაუნიშნა, ანალიზების პასუხს გეტყვით და თქვენს განზრახვაზე მაშინ მოვითათბიროთო. ეშენდენმა ისინი ამ თათბირის წინ ნახა. ორივენი ღელავდნენ, მაგრამ ცდილობდნენ არაფერი შემჩნეოდათ. ექიმმა ლენოქსმა მათ გამორკვევის შედეგები გააცნო და თითოეულს გასაგებად აუხსნა მდგომარეობა.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა ტემპლტონმა, — მაგრამ ჩვენ იმის გაგება გვინდა, შეიძლება თუ არა დავქორწინდეთ.

— დიდი უგუნურება იქნება.

— ეგ ვიცით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის?

— და დანაშაულიც, თუ ბავშვი გეყოლათ.

— ბავშვი არ გვინდა, — თქვა აივიმ.

— პო. მაშინ ერთი-ორი სიტყვით ავიხსნით როგორაა თქვენი საქმე, მერე კი თვითონ გადაწყვიტეთ.

ტემპლტონმა აივის გაუღიმა და ხელი მოჰკიდა ხელზე. ექიმმა განაგრძო.

— არა მგონია, მისს ბიშოპმა ისე მოიკეთოს, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეს, მაგრამ თუ ისევ ისე იცხოვრებს, როგორც მისს ბიშოპმა შეიძლება შელიწადს...

— სანატორიუმებში?

— დიახ. მაშინ, არ ვიცი, რატომ არ უნდა მიაღწიოს ღრმა სიბერეს თუ არა, იმ ასაკა მაინც, რომელსაც ყოველი გონიერი ადამიანი უნდა დასჯერდეს. ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ უუარესდება. მაგრამ, თუ გათხოვდება და ჩვეულებრივ ცხოვრებას მოისურვებს, მაშინ შეიძლება ჩამცხრალი კერძი გაუაქტიურდეს და ვინ იცის ამას რა მოყვება. თქვენი მდგომარეობა კი, ტემპლტონ, შემიძლია უფრო მოკლედ დავახასიათო. აკი თქვენი თვალთ ნახეთ რენტგენის სურათები. ფილტვები სულ დაცხრილული გაქვით. თუ ცოლს შეირთავთ, ექვს თვეში მოკვდებით.

— ცოლს თუ არ შევირთავ, რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

ექიმი შეყოყმანდა.

— წუთმერიდებით, სიმართლე მითხარით.

— ორ-სამ წელიწადს.

— გზადლობთ, ჩვენც ეს გვინდოდა გაგვეგო.

დიახ, როგორც მოვიდნენ, ისევ ისე, ხელიხელჩაკიდებულნი წავიდნენ. აივი ჩუმად ტიროდა. ვინ იცის, რა უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ სასადილო-ში რომ შევიდნენ, ორივეს სახე გასხივოსნებოდა. მათ ჩესტერსა და ეშენდენს უთხრეს, ქორწინების ნებართვას მივიღებთ თუ არა, მაშინვე დაექორწინდებითო. მერე აივი ჩესტერს მიუბრუნდა.

— ძალიან მინდა, თქვენი მეუღლე ჩვენს ქორწილს დაესწროს. როგორ გგონიათ, არ ჩამოვა?

— წუთუ აქ იქორწინებთ?

— დიახ. არა გვგონია ნათესავეებმა ეს მოგვიწონონ, ამიტომ გადავწყვიტეთ. საჩამ ქორწილს არ გადავიხდით, მათ არაფერი გავუმხილოთ. ექიმ ლენოქსს მინდა ვთხოვო, მამის მაგიერობა გამიწიოს ჯვრისწერისას.

აივიმ ნაზად შეხედა ჩესტერს და რაკი მან არაფერი მიუგო, პასუხს დაელოდა. ჯორჯიც და ეშენდენიც ჩესტერს უყურებდნენ, როცა ჩესტერმა დაილაპარაკა, ცოტათი ხმა უთრთოდა.

— დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ცოლი დაპატიეთ. წერილს მივწერ, რომ ჩამოვიდეს.

ახალი ამბავი ავადმყოფებმაც გაიგეს. ყველანი ულოცავდნენ, ზურგს-უკან კი ბევრი ამტყუნებდა — ეს ხომ ნამდვილი უგუნურებააო. მაგრამ როცა გაიგეს — სანატორიუმში კი დიდხანს არაფერი დაიფარებოდა, — რომ ექიმ ლენოქსს ტემპლტონი გაუფრთხილებია, თუ ცოლი შეირთე, ექვს თვეში მოკვდებითო, ყველას ენა ჩაუვარდა და კრძალვით განიმსჭვალა მის-დამი. ყველაზე გულცივებიც კი შესძრა იმის გაფიქრებამ, რომ ეს ქალი და ვაცი უყოყმანოდ ეწირებოდა სიყვარულს. სიკეთემ და სათნოებამ დაი-სადგურა სანატორიუმში. დამდურებულები ერთმანეთს შეურვიდნენ, სხვებს ღრობებით მიავიწყდათ თავიანთი დარდი და ჩალველი თითქოსდა ყველანი იზიარებდნენ ამ ბედნიერი წყვილის სიხარულს. მარტო გაზაფხულმა კი არ

ჩაუსახა სწულს გულში უხ-ლავი იმედს ადამიანებს, არამედ ამ დიდმა სიჭკვარულმა, ქალიშვილსა და მამაკაცს რომ დაუფლებოდა და გარშემო ყოველივეს აცისკროვნებდა. აივი მდუმარე ნეტარებას მიეცა, მღელვარება უხდებოდა და უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ჩანდა. ტემპლტონის სწვდებოდა სიხარულით. იგი ისე უღარდელად იცინოდა და ხუმრობდა, თითქოს ამქვეყნად სადარდებელი არა ჰქონდა. გეგონებოდათ წინ მრავალი წლის ნეტარება ელოდებოთ. მაგრამ ერთ დღეს ეშენდენს გაენდო:

— ეს ურიგო ადგილი არ არის, ხომ იცით, — თქვა მან. — აივი უკვე დავითანხმე, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, ისევე აქ დაბრუნდება. აქ ყველას იცნობს და მარტოობას ვერ იგრძნობს.

— ექიმები ხშირად ცდებიან, — უპასუხა ეშენდენმა. — თუ გონივრულად მოიქცევით, იქნებ დიდხანსაც იცოცხლოთ.

— ნეტა სამი თვე მაცოცხლა. თუნდაც სამი თვე მაცოცხლა და მეტს არ დავეძებ.

მისის ჩესტერი ქორწილამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა. ქმარი რამდენიმე თვე იყო არ ენახა და ერთმანეთის ერიდებოდათ. უეჭველია, როცა მარტონი იყვნენ, თავს უხერხულად და შებოჭილად გრძნობდნენ, მაგრამ ჩესტერი ყოველ ღონეს ხმარობდა უკვე ჩვეულებად გადაქცეული ქმუნვარება გაეფანტა და სუფრაზე ისეთივე ხალისიანი და გულთა კაცი ჩანდა, როგორც ალბათ ავადმყოფობამდე იქნებოდა. ჯვრისწერის წინა დამეს ყველანი საგანგებოდ გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. ტემპლტონი და ეშენდენი სხვებზე ადრე არ ამდგარან სუფრიდან, შამპანურს სვამდნენ და ათ საათამდე ხუმრობა, სიცილი და მხიარულება არ შეუწყვეტიათ. მეორე დღით ტემპლტონმა და მის ბიშოპმა შოტლანდიურ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. ეშენდენი ნეჯვარე იყო. ჯვრისწერას ყველა დაესწრო, ვისაც კი ფეხზე დგომის თავი ჰქონდა. ახალდაქორწინებულები ნასაუზმევს მანქანით უნდა წასულიყვნენ. ავადმყოფებმა, ექიმებმა და მოძველებმა თავი მოიყარეს გასაცილებლად. როცა ტემპლტონი და მისი მეუღლე სანატორიუმის კარიდან გამოვიდნენ, თავზე ბრინჯი გადააბნიეს, მანქანის საბარგულზე კი ვიღაცას ძველი ფეხსაცმელი სიყვარულისა და სიკვდილის შესაგებებლად. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ჩესტერი და მისი მეუღლე მდუმარედ მიდიოდნენ მხარდამხარ. ცოტა რომ გაიარეს, ჩესტერმა გაუბედავად მოჰკიდა ხელზე ხელი. ქალს სუნთქვა შეეკრა, მალულად გახედა ქმარს და მისი ცრემლებით სავსე თვალები შენიშნა.

— მომიტევე, ძვარფასო, — ამოიღულულულა მან, — საშინლად გეჭკუოდნი...

— ვიცი, არ გინდოდა ჩემი წყენინება, — ბორძიკით მიუგო ცოლმა.

— არა, მინდოდა. მინდოდა დამეტანჯე, რადგან თვითონაც ვიტანჯებოდი. მაგრამ ამიერიდან ამას ბოლო მოეღება. ტემპლტონისა და აივი ბიშოპის ამბავმა... არ ვიცი, როგორ გამოვთქვა... ყველაფერი სხვაგვარად დამანახა. აღარ დავეძებ, თუ მოვკვდები. თუ სიყვარულის ძალა შესწევს, სიკვდილი რაღას დააკლებს ადამიანს. მინდა შენ იცოცხლო და ბედნიერი იყო. არცა მშურს შენი და არც ჩემს ხვედრს ვუჩივი. ახლა ის მახარებს, რომ შენ კი არა, მე უნდა მოვეკვდე. ამ ქვეყანაზე შენთვის არაფერი არ მენანება. მიყვარხარ!



თარგმნა ნუზარ კობერიძემ

### სამანი

მარცხნივ ყანაა,  
მარჯვნივაც ყანა,  
სამანია მათ შორის მწვანე.  
სიო ატოკებს ღვთის ცრემლას და  
ჭალარა ღეროს.  
დგას მამაჩემი ცელით ხელში  
თავჩაჭინდრული.

რა ხანია ასე დგას იგი.  
დაყანგებულა მისი ცელი,  
გაშავებულა ცელის ტარი

და გათიბულზე  
ლორთქო ღუცი ამოწვერილა.

არ ესმის, არა, —  
როგორ ტორავს ფლოქვებით მიწას  
და ჩალისფერი ცხენი იკლებს  
ეზოს ჭიბვინით.  
ვერ ხედავს, ვერა, —  
როგორ ბრწყინავს ცაზე ერთად  
ორი მთვარე,  
წარმავალი და მომავალი.

### ელვა

ტაძრად შესულმა, როცა კარი  
შემოვიხურე,  
დანდობილად მივმართე ზეცას.  
გაკვესი ელვამ უეცარმა  
და ტაძარი შუა გააპო.

მისი ერთი ნაწილისაგან  
ხალხმა ააგო სამლოცველო  
განთიადისა,  
განთიადისას მოსულმა ხალხმა.  
შებინდებისას მოსულეებმა,  
შებინდების ტაძარი დადგეს.

მოდით ჩვენთან,  
მიხმობენ ერთნი.

ეს არის შენი სალოცავი,  
სადაც მარადის  
შეგიძლია გაენდო ზეცას.  
სხვები თავისკენ მეწევიან  
და მარწმუნებენ,  
რომ ტაძარი მათი — ჩემია  
და იქ შევძლებ ზეცას ვუსმინო.

მე კი ვდგავარ იმავ ადგილზე,  
გაოგნებული,  
შეძრული და  
ნათლით მოსილი.  
დამუნჯებულს, —  
გულში ელვა დამვანებია.

### იოანის უვილეაი

ჩემი ძმები ხშირად ერთად  
იკრიბებიან,  
დღესასწაულზე,

სათათბიროდ,  
იმ საქმეთა მოსაგვარებლად,  
ერთნაირად რომ გვეხება ყველას.

მე კი ფრთხილად ვარ,  
უხვერავე მიდამოს,  
მე ვერიდები ასეთ შეხვედრებს.  
ვიცი, როცა ესწრება ყველა,  
კარგია,  
ვინმე,  
თუნდაც ერთი, არ ესწრებოდეს,

მე ღარაჯი ვარ,  
ბედის ღარაჯი  
და არ ძალმიძს მას ვენდობოდე.  
მახსოვს იობის ეჭვდობილი.  
დაიღუპნენ, ბიზლიჩიძე  
როცა შეკრბენ ერთად ყველანი.



### ნათლიის საჩუქარი

ეს სარკეა, საჩუქარი ჩემი ნათლიის.  
მე ვცდილობ მასში  
საკუთარი თავის დანახვას.  
მაგრამ ამაოდ.  
ბუნდოვანია ზედაპირი და ნაოჭები,  
ამოუცნობ ბელისგულივით.

ხანდახან სარკე მჭვირვალი ხდება,  
ნაოჭები ქრება სრულიად  
და მე ვხედავ  
ცაზე ლაღად მიმქროლავ ჩიტებს,  
სილუეტებს ადამიანთა,  
გაურკვეველ საგნის კონტურებს.

შიგ ღმერთი სახლობს — ამბობს  
ნათლია.  
იქნებ ოდესმე შენ ის იხილო.

მე ვიბნევი და ვიკარგები,  
ნუთუ სწორედ ეს არის ღმერთი,  
მე კი არ ვიცი —  
არის თუ არა.

### ფირნიშები

რას გვაუწყებენ ფირნიშები,  
ხეებზე რომ დაუკიდიათ:  
ასაკს, საბელს,  
სიგრძე-სიგანეს.

ხეებს, რომლებიც ყვებიან ამბებს,  
საოჯარ ამბებს,  
მრავლისმომსწრენი.  
არავის ესმის ნაუბარი,  
ხაღლი წარწერებს მათ სხეულზე.  
ბეთა უცნობ დამწერლობას,  
ვინ ამოიცნობს.

კითხულობს ხალხი ფირნიშებს და  
ეკრ ამჩნევს ხეებს.

### წრეში

ჩამცილებია ეს სამყარო და მეკითხება:  
საით მივდივარ,  
მაგრამ მე განა ვიცი კია,  
უკანასკნელი მიზანი ჩემი.  
ვასრულებ იმას, რისი ნიჭიც მაქვს,  
რის გამოძალვაც შეუძლია ცხოვრებას  
ჩემგან.

ჭანცგაწყვეტილი ვისვენებ და  
წინ მივისწრაფი.  
წინ მივისწრაფი და საკუთარ ნაკვალევს  
მოვდეგ.

მოწყურებული — ვიკლავ წყურვილს,  
მშიერი — შიმშილს.

წრეში ვტრიალებ,  
სადაც სიტყვა დაეძებს სიტყვას,  
ადამიანი ადამიანს  
დაეძებს მიწყევ.



რო მიზანს ვრთმხებითს  
გამომრიცხავე,  
თანხმდება ჩემში;  
ერთი — მიღწევის მიზანი მწველი,  
ხოლო მეორე — დაკარგვისა და  
უარყოფისა.

რაც დღეს წაეართვი — ღამემ წაიღო,  
გზაჯვარედინი მიბრუნებს უკან,  
გნისგასაყარს რაც გავატანე,  
და მე არ მყოფნის დღე, ყველგან  
ვიყო.  
არ მყოფნის ღამე, ყველაფრისგან  
დავბრუნდე უკან.

მეცოტავება სიცოცხლისთვის ყველა  
ეროვნულში  
ბიზ — მიწისთვის  
რომ არ ვცოცხლო,  
არა მყოფნის თავად სიკვდილი.

მაქვს ყველაფერი და იმავე დროს  
არაფერი მაქვს.  
ღამით ვარსკვლავი მაკვირვებს და  
ჩრდილები დღისით  
შორეულ სოფელს მამლები ხმოვენ  
ჩარიგებულან კვლიავები და აბზინდები,  
ჩემ სავალ გზაზე ჩარიგებულან.  
სამყაროს გული ფეთქავს ჩემში,  
ო, როგორ ფეთქავს.

ამ მიწაზე

აღმოსავლეთის გზას მეკითხება ერთი,  
მეორე — დასავლეთისას.

გზაჯვარედინი ვიყო თითქოს,  
ეტყვენებ ყველას  
საით წავიდნენ.  
თავად კი ვდგავარ ერთ ადგილზე  
ამ მიწაზე,  
ამ მაღალ ცის ქვეშ.

სიმაღლისათვის — ზედმეტად მძიმე.  
სიღრმისათვის — მეტად მსუბუქი.  
და ზედმეტად მიზანსწრაფული  
იმისთვის, რომ გავემართო ახლა  
საითმე.

აი ჩემი მარჯვენა ხელი,  
აი მარცხენა,  
თესლსა ვთესავ და ხე ამოდის,  
რომლის ერთ ტოტზე  
მთვარე ასხია,  
მზე — მეორეზე.  
სხვადასხვა ხმაზე ელურტულეებენ  
ჩიტუნები,  
მღერიან და ბუდეს ღამბავენ.

აქ არის ჩემი აღმოსავლეთი  
და დასავლეთიც აქ არის ჩემი.

დაგვიპროვლავი

მიაბიჯებენ უცხო მიწაზე  
და ყოველ ფეხის გადადგმაზე  
თვალით უხილავ საზღვარს არღვევენ,  
რაც აქამომდე, მათ სახელებს  
და მათ ცხოვრებას,  
საკუთარ იერს უნარჩუნებდა.

ტოვებენ სხეულს,  
ტყავს უკულმა იტრიალებენ.

აკრძალვათა ძველისძველ საფარს,  
მათ ნამოქმედარს  
ცა დაპყურებს ფართე ლინზებით  
და მათთან ერთად  
ადგილს იცვლის ცენტრი მიწისა.

ამ გზაზე იწვის ყველაფერი,  
ისინი უკან ვერასოდეს დაბრუნდებიან.



თარგმნა ზურაბ კუსიანიძე

თავისუფლება ყველას

უკვდავ გრიგალით, მღელვარე სულით  
თავისუფლების ცლიან მათარებს  
და ხალხი, გედის ფრთებგამოსხმული,  
შრომის შრილა დროშას ატარებს.

თავისუფლების მზერა მწველია,  
მასთან ცივია ცეცხლიც ლადლადა.  
თუმც ქვეყანაზე სახე ბევრია,  
აწი შიმშილი ახლებს დახატავს...

ერთად დავიძრათ მწველი ჰანგებით,  
წინ, სადაც დროშა ღელავს მაღალი!  
თუ დავეცემით — მკვდრებით  
  აღვდგებით!  
ყველას სიცოცხლე ელის ახალი.

როცა მომხიბვლელ გზას გავუდგებით,  
ვუსმინოთ მტკიცე ნაბიჯთა წყებას,  
ღმერთებს თუ აღევს მძიმე ხუნდები,  
ღმერთებსაც მივცეთ თავისუფლება...

1918



როცა ცხენები კვდებიან — ხვწეშიან,  
როცა ბალახნი კვდებიან — ჭკნებიან,  
როცა მზეები კვდებიან — ქრებიან,  
ადამიანნი კვდებიან — მღერიან.

1913

ერთიანი წიგნი



მე ვნახე, საღმრთო შაგმა ვედებმა,  
 ყურანმა, წმინდა სახარებამ  
 და აბრეშუმის  
 სქელ გარეკანში გახვეულმა მონგოლთ წიგნებმა,  
 თვითვე სტებების ფერფლისაგან  
 და სურნელოვან წივისაგან,  
 ვით ყოველ დილით აკეთებენ კალმიკთ ქალები, —  
 დადგეს კოცონი  
 და ამ კოცონზე თვითონვე დაწვინენ.  
 თეთრი ქვრივები ღრუბლის კვამლში იმალებოდნენ,  
 იმ ერთიანი წიგნის  
 მოსვლის დასაჩქარებლად,  
 რომლის გვერდები დიდი ზღვებია,  
 მოცახცახენი ლურჯი პეპლის ფარფატი ფრთებით,  
 და აბრეშუმის ნაზი ძაფი — წიგნის სანიშნი,  
 სადაც შეჩერდა მკითხველის მზერა.  
 ლურჯ ნაკადებით სავსე დიდი მდინარეები:  
 ვოლგა, სად რაზინს უმღეროიან ყოველ ღამითა,  
 ყვითლად მედინი ნილოსი, სად მზეს უგალობენ,  
 იანდიძიანი, სადაც ხალხის ღურდო ირევა,  
 და მისისიპი, სადაც შარვლებით  
 ვარსკვლავიან ცას იანკები დაატარებენ,  
 ვარსკვლავიან ცით ფეხები რომ შეუხვევიათ,  
 და ვანგიც, სადაც ბნელი ხალხია,  
 დუნაიც, სადაც თეთრი ხალხი თეთრ პერანგებში  
 მის ცისფერ ზვირთებს გადაჰყურებენ.  
 ზამბეზიც, სადაც ცხოვრობს ხალხი კუპრივით შავი,  
 და ბობოქარი ობი, სადაც ღმერთს წკებლავენ და  
 სახით კედლისკენ აყენებენ, როცა ჭამის დროს  
 ლამაზი იყო გაელვება ჭეჭა-ქუხილის,  
 როგორც თვალები მოკლულ პოეტის.  
 და ბედისწერის სარკით სიკვდილის  
 სამება ღმერთის შუქმა ზეცაში  
 ლენსკი, პუშკინი და მისი ძმა გამოაბრწყინა.  
 უმღერდა რკინას და მოკვდა რკინით.  
 მისნური სულის დაჭკნენ ყვავილნი.  
 და ლულის კვამლმა მამაოსავით  
 ზიარება ჩაიღიღინა.  
 ცამ კი ღრუბლების თალხი ჩაიცვა  
 და მკვდარ მომღერალს პატივისცემა ამით მიაგო.  
 და დღემდე, როცა ქარიშხალი ამოვარდება,  
 მთიელი ამბობს:  
 „თვალებია ლერმონტოვისა“.  
 მოიხ უვა ცა და კვნესით სამხედრო



პატივისცემა მიაგო პოეტს,  
 ცაში აენტო გაბრწყინებული  
 მისი დიდრონი, ლეგა თვალები.  
 აქამდე ღრუბელთ შორის ცოცხლობენ,  
 აქამდე მათზე ლოცულობენ მარდი ირმები,  
 მათზე — რუსეთის მწერლის ნისლით სავსე თვალებზე.  
 და როცა მთაში ფრთებს მოიქნევს ლაღი არწივი,  
 ციცაბო კლდეზე მიახატავს მის გაშლილ წარბებს.  
 მას შემდეგ ის ცოცხროსფერია,  
 როგორც პოეტის თალხი თვალები.



ველიმირ ხლავნიკოვი

1921

ერთმანეთს სპილოები ეშვებით შებმოდნენ ისე,  
 რომ თეთრ ქვას ჰგავდნენ,  
 ნაქანდაკარს ოსტატის ხელით.  
 ირმები რქებით ერთმანეთს გადაბლანდოდნენ ისე,  
 თითქოსდა ძველებური ქორწინება მათ აერთებდათ  
 ორმხრივ ლალატით და ორმხრივი გატაცებებით.  
 ზღვას მდინარენი ერთვოდნენ ისე,  
 თითქოსდა ერთი ხელს უჭერდა ყელში მეორეს.

1911

თავისუფლება მოდის შიშველი,  
 გვესვრის ყვავილებს, არ ვართ უბრები...  
 მივდივართ ნაბიჯშეწყობილები,  
 ზეცას შენობით ვესაუბრებით.  
 ვართ მეომრები და პირქუშ ფარებს  
 დავკრავთ, მარჯვენას რა დაგვიქანცავს:  
 დე ხალხი იყოს ხელმწიფე ბარემ,  
 ყოველთვის, მუდამ, აქ და იქაცა.  
 ქალიშვილებმა წყნარ ფანჯარასთან  
 ყელი ლამაზად დე მოიღერონ  
 და მზის ქვეშევრდომ, მარად ხალას და  
 ერთგულ, თვითმპრობელ ხალხზე  
 იმღერონ.

12 აპრილი, 1917





სომხურიდან

თარგმნა მანუაელა გურაძე-სააკიანმა

### ურემი

თვითმფრინავის აეროპორტში დაშვებამდე დერენიკს ეგონა, სოფელი, სადაც უნდა გაეტარებინა თავისი არდადეგები, აეროპორტის მახლობლადაა, თუმცა იცოდა, ორი-სამი საათის გზაც უნდა გაეფლო, სანამ თავის ამორჩეულ დასასვენებელ ადგილამდე მივიდოდა.

თვითმფრინავმა დააგვიანა და სოფლის აქტობუსმა მას აღარ მოუცადა. ამიტომაც დერენიკს უნდა გადაეწყვიტა, ფეხით წასულიყო სოფლამდე თუ ღამე აქ, რაიონული ცენტრის უბადრუკ სასტუმროში გაეტარებინა. მისდა საბედნიეროდ, ერთმა მგზავრთაგანმა გამოაცხადა, სადაცაა გზას გაუდგება ნერსისის ურემი, რომელიც ზუსტად იმ სოფელში მიდის, სადაც წასვლა უნდა უცნობ ახალგაზრდასო.

სულ მალე ურემი გზაჯვარედინზე მოვიდა და დერენიკის გვერდით გაჩერდა.

მეურმე დათანხმდა, რომ თუკი ახალგაზრდა თვითმფრინავის შემდეგ მოისურვებს ურემზე დაჯდომას და თუ არ ეშინია ცარიელი კუბოსი, რომელიც აგერ, ურემზე დევს, სოფელში წაიყვანდა. ბიჭების ერთი ჯგუფი შემოეხვია ურემს. დერენიკი ვერ მიხვდა, რატომ გარეკა ისინი მეურმემ. მერე კი მიხვდა, რომ ბიჭები ცხენის ძუას თხოვდნენ მეურმეს.

მეურმემ კუბოს ბალახი გადააფარა, იდაყვებგაცვეთილი პიჯაკი გაიხადა, დაბერტყა, ქვეშ დაიფინა, მუჭებით მოისრისა პიჯაკის მტვრით ავსებული წვრილი თვალეები, რომლებიც შესაბრალისად დაპატარავებულიყვნენ სქელ წარბებს ქვეშ, შეათვალიერა დერენიკის გამხდარი ფეხები, ტანი და მერე ისეთნაირად თქვა, კაცი ვერ მიხვდებოდა, ეს სიტყვები სიბრალოდით იყო ნათქვამი თუ დაცინვით:

— ერთი გრამი ხორცი არ გაკვრია, ოჯახაშენებულო, ძვლები დაგემტვრევა.

ბიჭები ურემს გასცლოდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ მეურმე მათ რამდენიმე ძუას მაინც მისცემდა. ერთ მათგანს მაკრატელიც კი ეჭირა ხელში.

— ბალახი კუბოს რომ დააფარე, ჩემთვის დაგეფინა ქვეშ, რბილი იქნებოდა, — მორიდებით უთხრა დერენიკმა. შემდეგ პერანგის აქტილი სახელოები ჩამოუშვა, ფრთხილად გაასწორა ნაკეცები, მზისგან ალანძული კანი რომ არ სტკენოდა, და შურით შეაქქერდა ცხენის ძუძუს მსხვერპლ ბავშვების თიხისფერ მკლავებს, ფეხებს: „ესენი თუგინდ ღუმელში ჩააგდე, — გაიფიქრა დერენიკმა, — არაფერი დაუშავდენ“.

— მომწყდით თავიდან, — გაუბრაზდა მეურმე ბავშვებს, — ყოველ თქვენგანს რომ თითო ძუა მივცე, ცხენი უკუდოდ დამრჩება.

მათრახმა ჰაერში გაიტლაშუნა. იმედგაცრუებულმა ბიჭებმა დაუსტვინეს, დერენიკმა კი თვალეზი დახუჭა, რომ არ დაენახა ცხენების ცემა.

როცა თვალი გაახილა, მეურმე ეშმაკურად იცინოდა და კარგა მოზრდილ ცხვირში ღიღინებდა. დერენიკმა თვალით მოძებნა ცხენების ზურგზე შოლტის ნაკვალევი, მაგრამ ვერა ნახა, ამიტომ გაიფიქრა, მეურმეს არ დაურტყამს ცხენებისთვისო.

მან გაიხადა ფეხსაცმელი, აამოძრავა ფეხის თითები და გაოცებულმა შენიშნა, რომ ფეხის თითებიც ისევე მოძრაობდნენ, როგორც ხელისა. შემდეგ წინდებიც გაიძრო, ფეხსაცმელში ჩადო და ოფლიანი, თეთრი ფეხები სიმწიფეში შესულ ყანას მიაშვირა.

„ღმერთო ჩემო, — სიამოვნებისაგან მთლად მოეშვა დერენიკი, — ნუთუ ასეთი დიდი ყაყაჩოებიც არსებობს?“ მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ყაყაჩოების სიწითლემ კი არა, მათმა სიდიდემ გააოცა. ისიც კი გაიფიქრა, ყაყაჩოები იმდენად დიდები არ არიან, როგორც შორიდან ჩანან, ალბათ სიწითლის გამო ეჩვენება ასე ღიდრონი ადამიანის თვალსო.

— ბიძაჩემო, ძალიანა გთხოვ, ნუ სცემ ცხენებს, — შეეხვეწა დერენიკი, — თუნდ გაბრაზებული იყო, თუნდაც ნაწყენი, სულ ერთია ნუ სცემ...

— ოჰ-ჰო-ჰო! ერთი ამას დამიხედეთ, — დასცინა მეურმემ. — არ გამომიჩნდა იესო ქრისტე! ჰო, რაღა, ისა ხარ. ეს როდის მოხვედი, ღვთის ძეო? ასე რატომ დაიგვიანე? ქვეყანა გადაგვარდა. ცოდვებმა გადაჭამა ქვეყანა. ერთი დღით ადრე მაინც მოხვიდოდი, საწყალ ენოქს სიკვდილისგან იხსნიდი.

დერენიკმა ცხვირი მოისრისა, რათა შეუმჩნეველი დაეტოვებინა თავისი სულელური ღიმილი, და გაიფიქრა: „ამ კაცთან ლაპარაკი შეუძლებელია“.

იგი მეურმის დაცინვამ კი არ ააღელვა, იმან უფრო გააღიზიანა, რომ მეურმემ სწორედ იმ დროს დაუწყო დაცინვა როცა შიშველი ფეხებით გრძნობდა სიმწიფეში შესული ყანის ღელვას, სიამოვნებდა ყაყაჩოების სიწითლემ. მკერდქვეშ უკლივდებოდა ისეთი სასიამოვნო და იშვიათი გრძნობა, რომლის გამოვლინება მეტისმეტად დიდი საიდუმლოს ამოხსნად უნდა ქცეულიყო. ახლა კი მან დაკარგა ფიქრის ძაფი და გული ეტკინა, რადგან არ იცოდა, როგორი იყო მისი დანაკარგი.

„ყოველ ჩვენგანს აქვს გენიის მოძალების წამი, — გულისტკივნით დაასკვნა დერენიკმა, — და აი, ვილაც მეურმე ერთი შოლტის ტლაშუნით გიკლავს ამ წუთს“.

— რომ მოხვედი, რა უნდა გააკეთო, ღვთის ძეო? — განაგრძო მეურმემ, — ჯერ კიდევ ვერ ისწავლე ჰკუთა, ოჯახაშენებულო? გულთმისნის სახელი კი გაქვს მოხვეჭილი. განა ვერ გაიგე, რაც შენა გსურს, განუხორციელებელი სიზმარია. მეუბნები, ცხენს მათრახი არ დაარტყაო. ცხენს რომ არ

დაარტყა, წავა კია? საკუთარ კისერს უფრო ადვილად დაინახავ, ვიდრე ცხენის წასვლას უშოლტოდ. ერთ რამეს გეტყვი და არ გეწყინოს, ღვთის ძეო. შენ დიდი ზიანი მოგვაყენე. არ იკითხავ, რატომ? შენ გვეუბნები, ცხენს ნუ არტყამთო, ჩვენც არ ვართყამთ და ჩვენი ურემი ადგილიდან არ იძვრის. შენ გვეუბნები, ნუ კლავთო, და ჩვენც არ ვკლავთ. აი, სწორედ ისინი ვისაც ჩვენ არა ვკლავთ, ჩვენა გვკლავენ. მაშ ეგ საქმეა? შენი მეცნიერება უსაქმო, ზანტი კაცის მეცნიერებაა, მკვდარი კაცის მეცნიერებაა, ენოქის, — ღმერთმა მისი სული გაანათლოს, — მეცნიერებაა. მაშ, ამხანაგო ქრისტეე, ასეთი ამბებია ქვეყანაზე. თუმცა შენ რა ქრისტე ხარ. ქრისტე რომ ყოფილიყავი, არ იტყოდი, კუბო ღია დატოვე, მზის ქვეშ გახუნდეს, ოღონდ მე რბილ ბალახზე დავჯდეო. ხვალ ენოქი უნდა დამარხონ, ხალხმა რომ გახუნებული კუბო დაინახოს, რას იტყვის? არ იტყვიან, — ნერსეს, შე ძაღლის ძუძუთი გაზრდილო, ოცდაათი კილომეტრი წახვედი, ოცდაათი უკან წამოხვედი აი ამ გახუნებული კუბოს მოსატანად? რომელ ერთს გავაგებინო, რომ მეკუბოვე სახელმწიფო თუ საკუთარ გეგმას ასრულებს, საღებავსა ზოგავს. მე მას ვუთხარი, კაცი არა ხარ, კუბოს მაინც ნუ პარავ კაპიკებს. საღებავი ადამიანურად, წესიერად წაუსვი-მეთქი. „კუბო? — იცინის ის, — რომელ კუბოზე ლაპარაკობ. ეს შენთვისაა კუბო. ჩემთვის ის სკამია ან ყუთი“. შეჩვეულია და იმიტომ. ცოლმა რომ სახლშიც არ შეუშვას, სახელოსნოში, კუბოში დაიძინებს. შენ შეგიძლია კუბოში დაიძინო?

— როცა დრო მოვა, დავიძინებ, — დერენიკი დაღალა ლაპარაკმა.

— როცა დრო მოვა... როცა დრო მოვა, შენ არც დაგეკითხებიან. თუ კაცი ხარ, ახლა დაიძინე.

დერენიკი მოიბუზა. მან წარმოიდგინა, თითქოს მეურმემ ძალით ჩააწვინა კუბოში და ქვით დაულურსმა სახურავი.

— ფერფური გეცვალა, — ახითხითდა მეურმე, — დიდად განათლებული კაცი ხარ, განა არ იცი, რომ ეგენი სულ ტყუილი რამეებია.

— ეგ რაა სულ ტყუილი? — თავისივე ხმის გასაგონად იკითხა მხოლოდ დერენიკმა. შეუკავებელი სურვილი იგრძნო მიბრუნებულიყო და ენახა, ადგილზეა თუ არა კუბო. რაღაც ეშმაკეული ხმები არწმუნებდნენ, კუბოსთან დაკავშირებით რაღაც გაურკვეველი რამე ხდებოდა.

— სული მკვდრეთით აღმდგარი მოჩვენება, საიქიო, ეშმაკი, მე რა ვიცი, კიდევ რა ჯანდაბები... შენ რისა შეგეშინდა?

— შენი შემეშინდა, — სიმართლე აღიარა დერენიკმა, — მომეჩვენა, თითქოს კუბოში ჩამაწვინე და ქვით დაულურსმე სახურავი. და აი, ის ენოქი, ცალთვალა ენოქი...

— სწორია, ცალთვალა იყო ენოქი. ხის მოჭრის დროს ნაფოტი თვალში მოხვედრიყო და გაეფუჭებინა.

— ჰოდა, ეგ ცალთვალა ენოქი მე მიყვიროდა, მომეცი ჩემი კუბოო...

— დამაცადე სათქმელი, — იყვირა მეურმემ, — შენ ვინ გითხრა, რომ ენოქი ცალთვალაა? მე არ მითქვამს. შენ ჩვენი სოფლელი არა ხარ... შენ ჩვენი სოფლელი არა ხარ... შენ ვინ გითხრა?..

დერენიკმა მხრები აიჩეჩა. უკვე ვეღარ დაიოკა სურვილი, მიბრუნდა და ურმის რწევისაგან მიმოფანტული ბალახი და გამოჩენილი კუბოს წვეტიანი კუთხეები დაინახა. დერენიკი შეაკრთო საკუთარი ფეხების სიშიშველემ, სას-

წრაფოდ ჩაიცვა წინდები, გუნებაში კი იმას ფიქრობდა, რომ ურმოდან ჩამოსულიყო და ფეხით განეგრძო გზა.

მეურმის ყვირილზე ცხენები შეჩერდნენ, კისერი მოიღერეს, ვერ მიხვდნენ პატრონის გაბრაზების მიზეზს და ფლოქვები დასცხეს. მტვერმა გაუღიზიანათ და გაუფართოვათ ნესტოები.

დერენიკმა აღარ დაუცადა, ვინემ შეშინებული მეურმე გააგდებდა, თვითონვე ჩამოვიდა, შევიდა ყანაში და, როცა თავთავები წელზე შეეხო, ასე ეგონა, თითქოს ზღვაში იძირებოდა.

„ამაზე მეტი უაზრობა არ მინახავს, რომ ყანის გვერდით კუბო ჩაატარო, — გაიფიქრა დერენიკმა, — და საერთოდ რატომ ადამიანებიც სპილოებს არ ემსგავსებიან და სიკვდილის მოახლოებისას არ მიდიან თვალთავან მოშორებულ ადგილას სასიკვდილოდ?“

გუნებაში გაეცინა მეურმის ყვირილზე, და ამ უხმო სიცილმა სახე აუწითლა. რაღაც უჩვეულო გამოფხიზლება იგრძნო დერენიკმა, აუთრთოლდა მკვდარი თუ მიძინებული კუნთები. ამ გამოფხიზლებამ წამით შეაშინა კიდეც. თუმცა არა, ეს ის შიში არ იყო, სწრაფად რომ ქრება ხოლმე, უჩვეულო ხომ მხოლოდ პირველ წუთებშია უჩვეულო.

დერენიკმა დაინახა თავისი ნაფეხურები, თავთავები რომ ჩაელუნათ: მოუნდა დახრილიყო და შეემოწმებინა, დაიმტვრა თავთავები თუ მხოლოდ მოიხარა. მაგრამ აი, თავთავები ზანტად გაიმართნენ წელში. ერთ მათგანზე ფერადფრთებიანი პეპელა დაინახა, რომელიც, გასაფრენად მომზადებული, მთელი ტანით კანკალებდა.

— გაფრინდი, აბა, — შეაგულიანა დერენიკმა, — ერთი, ორი და გაფრინდი...

პეპელამ პაერში ჭრელად გაიელვა, დერენიკს თმაზე შეეხო და ფერადი ფქვილის ფანტვით შეშინებული გაფრინდა. დერენიკმა ენა გამოყო, თავი ზემოთ გადასწია და, როცა პირონის გემოს მქონე ფქვილის მსგავსი მტვერი ენაზე შეიგრძნო, ესიამოვნა.

— მორჩი რაღა თამაშს, — დაუძახა მეურმემ, — მკვდრის პატრონები მელოდებიან.

— შენ წადი, — გამოერკვა დერენიკი, — მე ფეხით წამოვალ.

— გაგიჟდა თუ რა მოუვიდა! თუ ფეხით წასვლა გინდოდა, რაღას დაჯექი ჩემს ურემში? მოდი, გადარეულო, მოდი, ცხენებს აღარ ვცემ. გზა ახლა დაღმართზე ჩადის, ცხენები თავისით წავლენ.

დერენიკი ყანიდან გამოვიდა, ყანის ამალღებულ მიჯნაზე ჩამოჯდა, პირში ერთი დერო ჩაიდო, მოხარშული ხორბლის გემოს მქონე ნექტარი გამოწოვა და დაინანა, რომ სიბრაზემ უკვე გაუარა.

— ბიჭებს რატომ არ მიეცი ცხენის ძუა? — საკუთარი თავის გაბრაზება სცადა დერენიკმა, — ის ბავშვები ახლა ალბათ მეზობლების ფანჯრის მიწებს ამსხვრევენ. იმ ბავშვებს ახლა ალბათ სცემენ. ხვალ ეგ ბავშვები ცხენის მთელ კუდს მოგპარავენ.

— მზის, ქარის, წვიმის ქვეშ სასუქსა ვზიდავ, ბალახს ვეზიდები, კუბო რაა, ორი ფიცარი, ამ ორი ფიცრისთვის ოცდაათ კილომეტრს ვავდივარ, ოცდაათს უკან ვბრუნდები, შენ კი გუშინდელი ღლაპი, თავზე კარაბადინს მიკითხავ, — სწრაფ-სათქმელივით მიაყარა მეურმემ.

— მე ღლაპი არა ვარ, — სცადა საყვედურის კილო მიეცა თავისი ხმისათვის დერენიკმა, — მე დერენიკ ტერტერიანი ვარ.

— მეც ხომ მივხვდი, რომ ტერტერების მოდგმას ეკუთვნი, — გაუხარდა და მეურმეს, — ამ პატარა ქვეყანაში სამი სომხიდან ორი ტერტერის შვილია.

მან თავისი კოფოდან პიჯაკი აიღო, ურმიდან ჩამოვიდა და ზუსტად გზის შუაგულში გაფინა ჯიბიდან ამოღებული გაცვეთილი და ნაკეცებიანი რუკა.

დერენიკი მოვიდა და მეურმეს თავზე დაადგა. შეამჩნია, რომ ერთმა ცნობისმოყვარე ჭიანჭველამ მიატოვა თავი ტვირთი, რუკაზე აცოცდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაიარა რამდენიმე მთა, დაუსვენებლად გადაცურა სევანის ტბა, ყურადღებაც არ მიაქცია სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელ წითელ ხაზს და მეზობელ სახელმწიფოში გადავიდა. მეზობელ სახელმწიფოს ცენტრს არ იყო მიღწეული, სულის მოსათქმელად შეჩერდა, ერთმანეთს წაუხსვა წინა ფეხები და სწორედ ამ დროს მეურმის თითმა გასრისა იგი.

— აი, აქ ჩვენი სოფელი იყო, ბესი. სოფელი ძველი არ იყო, ძველი რომ ყოფილიყო, ერთი ეკლესია მაინც გვექნებოდა. ურფიდან მოგვყავდა ტერტერა ჯვრისწერისა და მკვდრის დასამარხად. ჩვენც უკვე ფულს ვაგროვებდით, რომ ეკლესია აგვეშენებინა, როცა ხმა დაირხა, სომხებს ელეტავენო. ჩვენ გავიქეციით მთებში, ბოზიმ ჰამადისტან. მან კი გვითხრა: სამი ძმა ხართ, სამივენი ჩემი ვაჟები. შენ სარქისი კი არა, ხდრი გქვია, შენ კარაპეტი კი არა, ისანი ხარ, ხოლო შენ ნერსესი კი არა, უისონი ბრძანდები, წადით ახლა და ცხვარი აძოვეთ. თქვენ სადაური გიაურები ხართ? — თქვა ბოზიმ ჰამადიმ, — თქვენს იეზიდები ხართ. გიაური ხელოსანი კაცია.

რამდენიმე თვე ასე გასუსულებმა ვიცხოვრეთ და კიდევ ვიცხოვრებდით, რომ ჩვენი კარაპეტი, ისანად წოდებული, ურფას მიმავალ გზაზე არ გადაყროდა სომეხი ლტოლვილების ქარავანს. ისანმა ქარავნიდან თორმეტი სული ლტოლვილი მოიტაცა და მთებში ამოგვიყვანა. მშიერ-მწყურვალი, საწყალი სომხები იყვნენ. მოღლილ-მოქანცულები დაეყარნენ თუთის ხის ქვეშ და დაიძინეს.

ბოზიმ ჰამადს ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ასაფი. დიდი ღრძო გულის მქონე და ოქროს მოყვარული ძალღი იყო. ნაზა რა თუთის ხის გვერდით ლტოლვილ სომეხთა ჯგუფი, იფიქრა, ესენი სახლ-კარ მიტოვებული სომხებია, თან არაფერი წამოუღიათ, მაგრამ ოქროს მაინც წამოიღებდნენო. მიუახლოვდა მათ და უთხრა: ქალებო, თუ ოქრო გაქვთ, მომეცით, თქვენთვის საჭმელ-სასმელი რომ ვიყიდო და მოგიტანოთ. ერთ მოხუც ქალს ხალათის სარჩულზე ოქროები ჰქონოდა მიკერებული, მოწყვიტა ერთი ოქრო და ამ ძალს მისცა.

ასაფი ისანს საყელოში მისწვდა და უთხრა: „გიაურ, ესენი რატომ მოიყვანე?“

„ცოდონი არიან, არა?“ — უპასუხა ისანმა.

„ჩვენ რა, ცოდონი არა ვართ. თქვენ ძლივს გინახავთ. თქვენი გულისათვის ხვალ ან ზეგ შეიძლება ჩვენც დაგვხოცონ“.

მთებში ერთი არაბი ცხოვრობდა. ლაპარაკი არ უყვარდა, ჩუმი კაცი იყო. დედასთან ერთად ცხოვრობდა. ასაფმა, ისანთან რომ ვერაფერს გახდა,

ეს არაბი გააქეზა, მოვკლათ ვიყურები, ბევრი ოქროს აქვთო. მართლაც იმდამითვე მიახრჩო ამ არაბმა და ჭაში ჩაყარა ის თორმეტივე სომეხი ღრტოლვილი.

სამი დღის შემდეგ, დილით არაბის დედის წივილმა გამაღვიძა. დამის პერანგის ამარა გარეთ იდგა და ყვიროდა: — მიშველეთ, ბიჭო, გამაღვიძა! თურმე ამ უკანასკნელს დედის დახრჩობა მოუნდომებია და ოქროს ღრტოლვილებს მისგან.

კარი გარედან ჩაკეტეს, რომ ვერ გამოსულიყო, საღამომდე მოკვდა.

ვერავენ ვერ მიეკარა ცხარს. მძორის სუნით მთელი სოფელი ამყრალდა.

— შემდეგ? — ჰკითხა დერენიკმა.

— შემდეგ ჩვენ გავიქეციით მთებიდან. რას გაშტერებულხარ, დაჯექი, წავიდეთ.

მეურმემ ფრთხილად დაკეცა რუკა, ჩაიდო უბის ჯიბეში, შემდეგ დააპირა პიჯაკი დაეფინა ქვეშ, მაგრამ რატომღაც აზრი შეიცვალა, ჩაიცვა და თვითონაც ხმელ ფიცარზე დაჯდა.

ცხენები დგომას დაეღალა და გაქცევა სცადეს, მაგრამ მეურმემ შეაკავა. გზა მართლაც ქვემოთ ეშვებოდა. უკვე იგრძნობოდა ხევის სინესტე. დერენიკს ეგონა, რომ ურმის თვლების ჭრიალთან ერთად მის სმენას წყლის შხუილის ხმა წვდებოდა.

— შენ ქრისტეს დასცინი, — ალაპარაკდა დერენიკი, — ნახე, რა დაემართა არაბს?

— ასაფს არა? — მყისვე მიატანა მეურმემ, თითქოს დერენიკის ალაპარაკებას ელოდა და ეს მთელი ისტორიაც იმიტომ მოყვა, რომ დერენიკი ხაფანგში გამოემწყვდია, — სხვებს კი? ყოველი მკვლელობისათვის რამდენსა სჯის ღმერთი? თუ ყველა მკვლელობისათვის ღმერთი სასჯელსა გზავნის ქვეყანაზე. მაშინ კეთილი იყოს შენი მობრძანება, ღვთის ძეო. და თუ მასე არაა, ტყუილად მოხვედი, ჩვენ სხვა ღმერთი გვჭირდება, სხვა ღმერთის ძეა ჩვენთვის საჭირო.

ცხენებს სწყუროდათ და წყლის შხუილი აგიჟებდათ. მეურმეს კი, ფიქრებში გართულს, მოგონებათა დომხალში დავიწყებოდა ლაგამი დაეჭიმა და ხეობისაკენ გაქენებული ცხენები შეეკავებინა. და აი, ამ გადარეულ სრბოლაში დერენიკი ფიქრობდა, რომ აი, უკვე რამდენი საუკუნეა, თვითონ თავისი ჭეშმარიტებით, მეურმე თავისი ჭეშმარიტებით სხედან აი, ამ მოჭრიალე ურემში, მიგორავენ უსასრულოდ და არც იღუპებიან და ვერც აღწევენ მთის მწვერვალს...

### ბროწეულიები

პაპაჩემი ნეტარებდა. თავისი პენსია თვალის დახამხამებაში დაეხარჯა ბაზარში. ერთი კილო თამბაქო ეყიდა, ერთი ხელი საცვალი, ყველი, პური, არაყი დაელია და ახლა სწორედ ის არაყი არწევდა ასე. ჭრაჭუნა ტახტზე იჯდა და ზანტად იხსნიდა შარვლის ღილებს, ფეხსაცმლის შესაკრავებს და თავისთვის ღილინებდა ერთ სიმღერას, რომელიც არც მხიარული იყო, არც ნაღვლიანი. იყო დიდი მზრუნველობით შემონახული თან მხიარული და თან ნაღვლიანიც, თბილისის კინტოების სიმღერა, სადაც პაპაჩემს თავისი ახალგაზრ-

დობა გაეტარებინა ზუსტად ისე, როგორც ახლა პენსია დაეხარჯა ჩვენს ნახევრად ქალაქად წოდებულ დაბის ბაზარში.

- ნუ მღერი, პაპი, — ვიყვირე მე.
- რატომ, შე ძაღლის ძუძუთ გაზრდილო?
- ნუ მღერი, — უთხარი, — მეტირება.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

იმიტომ კი არ მეტირება, რომ სიმღერაა ნაღვლიანი, არა. სიმღერა არც ნაღვლიანია, არც მხიარული, ნაღვლიანიც და მხიარულიცაა ერთად. ჩვეულებრივი სიმღერაა, რომელსაც თბილისელი კინტოები მღეროდნენ ვაშლის გაყიდვისას, „დული იაბლოკი, დული იაბლოკი..“.

მეტირებოდა იმიტომ, რომ პაპაჩემმა, მამაჩემის მამამ, რომლის ერთადერთი შვილიშვილი მე ვიყავ, რომლის სიტყვითაც ჩვენი ოჯახის ერთადერთ იმედს მე წარმოვადგენდი, დახარჯა თავისი მთელი პენსია და მე არც გავხსენებოვარ. მარტო იმ ფულით, არაყში რომ მისცა და დალია, შეეძლო შინ მოეტანა ხუთი-ექვსი ცალი დიდი ბროწეული, ეს კი საკმარისი იქნებოდა, ახლა ტირილი არ დამეწყო.

თქვენ არ იცით, რომ მე ზღაპრებსა ვთხზავ? არა, კი არ ვთხზავ, ვყვები. არა, ვყვები კი არა, ვხედავ ჩემს შეთხზულ ზღაპრებს. იმ ზღაპრებში მუდამ არის ხოლმე ბროწეულები. ბროწეული მხოლოდ ხილი როდია. ბროწეული ზღაპარია. ბროწეულის მრავალ რიგად ჩამწკრივებული მარცვლები, ეს მოვლვარე წითელი მარცვლები ბრილიანტები და იაგუნდებია, ასეთი ძვირფასი ქვები კი სადა გვხვდება? რასაკვირველია, ზღაპრებში.

უკვე მერამდენე დღეა, რაც ყოველდღე შევდივარ ხილის მაღაზიაში და შევეყურებ ბროწეულების გორას. გუნებაში ვფცქვნი თითოეულს და მარცვლებისაგან ყელსაბამსა და სამაჯურებს ვაკეთებ...

დღეს გამყიდველს, ალბათ მადის გასაღვივებლად, ერთი დიდი ბროწეული გაეჭრა და მისი წვენი, სისხლივით წითელი წვენი, დახლზე დაწვეთებულიყო. ეს წითელი წვეთები ისეთნაირად ელავდნენ, ისეთნაირად მიზიდავდნენ, ვეღარ გავუძელი და უჩუმრად მივიტანე თითი, რომ შემდეგ გამელოკა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, წვეთები გაყინულიყო, წვეთები ყინულად ქცეულიყო.

— თუ გეტირება, იტირე, — მითხრა პაპაჩემმა, — როცა ადამიანს ეტირება, უნდა იტიროს. თუ შშიერია და ჭამა უნდა, უნდა ჭამოს, თუ სწყურია და დაღევა უნდა, უნდა დალიოს...

ახლა უკვე ტიტლიკანა იყო პაპაჩემი და ახალ საცვლებს იცვამდა, თუ-თუნთან, ყველთან, პურთან ერთად ბაზრიდან რომ მოეტანა. შეშინებულმა ვიფიქრე, ეს საცვლები ალბათ სხვისია, ვინც ახლა აღარ არის, ვინც უკვე გარდაცვლილია. თორემ ბაზარში რატომ უნდა გაეყიდათ საცვლები. ვიფიქრე, რომ ის მკვდარი ამდამ ან ხვალ პაპაჩემს გამოეცხადება და თავის თეთრეულს მოსთხოვს. რა უნდა უპასუხოს პაპაჩემმა? და მე მეტირებოდა, რადგან უცებ გამახსენდა ჩემი ცხოვრების ყველა ნაღვლიანი შემთხვევა. გავიხსენე დედაჩემი, რომელიც მოულოდნელად გაქრა. გავიხსენე მისი დაკარგვის საღამო, როცა სახლში მარტო მე და მამაჩემი ვიყავით. ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, ერთმანეთს არც კი ვუყურებდით. მე შაქარი ჩავაგდე ჩაიში და პატარა კოვზით ვურევდი, დიდხანს, დიდხანს ვურევდი, კოვზი ეჩხაკუნებოდა ჭიქის კედლებს. მამაჩემი მელოდებოდა, ვინემ თამაშს მოვრჩებოდი, მასაც სჭირდებოდა კოვზი ჩაის მოსარევად. შაქარი უკვე დამდნარიყო, არეულიყო



წყალში, მაგრამ მე მაინც ვურევდი, მაინც ვაჩხაკუნებდი **ჭაქს**. სიმღერას ვისმენდი.



მამაჩემი უკვე იძულებული იყო ეთქვა ჩემთვის:

— კოვზს არ მომცემ?

— არა.

— კარგი, — თქვა მამაჩემმა და ჩაი მოურევლად დალია.

შევხედე სახეზე, არ მახსოვს, რა შევამჩნიე, მაგრამ მახსოვს, რომ აეტირდი.

— აღამიანმა ჩიტვიით უნდა იცხოვროს, — თქვა მამაჩემმა. — ჭამა გინდა, ჭამე, დალევა გინდა, დალიე. სიმღერა გინდა, იმღერე...

უეცრად კარი გაიღო და მკლავებაკაპიწებულნი ქვრივი ვართენი, ჩვენი მეზობელი შემოვიდა. ორთქლი და საპნის სუნი ასდიოდა, და მეც მივხვდი, რომ უნდა მებანავა.

— აბა ჩქარა, სწრაფად, — თქვა ვართენმა, — წყალი ცივდება, წელიწადის ბოლო დღეა. ჭუჭყიანი ხომ არ შეხვდები ახალ წელს, შვილო. მთელ წელს ჭუჭყში გაატარებ მერე, შვილო. აბა სწრაფად, ჩქარა.

ვართენმა თვითონვე გამხადა ტანსაცმელი, ამიყვანა და წამიყვანა, ვარცლში ჩამსვა. ზეშეში თითებით მისრესდა მკლავებს, ზურგს, კისერს. ასე მეგონა, ჯანს მაცლიდა და თავზე ადუღებულ წყალს მასხამდა, და მე თითქოს ტკივილისაგან, თითქოს ცხელი წყლის გამო ვტიროდი.

— თვალები დაუდგეს დედაშენს, შვილო, — იწყევლებოდა ვართენი და კანს მაძრობდა, — ფეხები მოტყდეს დედაშენს, შვილო, — იწყევლებოდა ვართენი და თავს მიფუფქვავდა ცხელი წყლით.

მაშინ, როცა გამშრალებული, ჩაცმული, სუფთა, თბილად ვიჯექი სახლში, ღუმლის გვერდით, როცა კარგა ნამტირალევი და დაწყნარებული შევყურებდი ღუმლის კარიდან ძაღლის ენასავით გადმოგდებულ ალს, ვნახე ერთი ზღაპარი, რომელიც არასოდეს არ მენახა.

მატარებელი ჩვენს სადგურში გაჩერდა. იმ მწვანე მატარებლიდან ჩამოვიდა თოვლის ბაბუა. მას ხელში არც ტომარა ეჭირა, არც ტომსიკა. ასე ცარიელი ხელით მომიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. ჯიბიდან ერთი ბროწეული ამოიღო, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე, შემდეგ სადგურის ზარი დარეკეს, თოვლის ბაბუამ ხელახლა გადამისვა თავზე ხელი და გაიქცა დაძრული მატარებლის დასაწევად.

ისე ნათლად დავინახე ეს ზღაპარი, გამიკვირდა კიდევ, როცა ბროწეულები გაქრნენ. შვიდჯერ ვნახე იგივე სიზმარი და ალბათ ხელახლა ვნახავდი, რომ მამაჩემი არ მოსულიყო. მამაჩემს ხელში არც ტომარა ეჭირა, არც ტომსიკა. ასე ცარიელი ხელებით მომიახლოვდა და მომიაღერსა თმაზე. სულშეგუბებული ველოდი გავრძელებას, ზღაპრის გავრძელებას. მაგრამ მამაჩემმა ჯიბეებიდან არაფერიც არ ამოიღო, არც ბროწეული, არც ვაშლი, არც კანფეტი, სულ არაფერი.

და მე ვიფიქრე, რომ ამქვეყნად არავის არ უნდა ზღაპარი სინამდვილედ აქციოს. ვითომ რა ძნელი იყო, ჯიბიდან ოთხი ცალი ბროწეული ამოეღო?

— სადგურში მივდივარ, — ვთქვი და პალტო ჩავიცვი.

— ამ გვიან ღამით? — მკითხა მამაჩემმა.

— ჰო, ამ გვიან ღამით.

— კარგი, — თქვა მამაჩემმა, — წადი.

კვლავ გამახსენდა კოვზის ამბავი. არა, რატომ არ მიბრაზდება ეს ახალი მისი? რატომ არ მიყვირის? რატომ არ მიკრძალავს? თუ დამტუქსავდა, თუ დამიყვირებდა, თუ ამიკრძალავდა, მე ვეტყვოდი: მივდივარ, გშორდებით, რადგან... რადგან ერთი ბროწეული რაა, რომ ამ ახალი წლის დამიტუქსავს? მაგრამ ის არა მტუქსავს, არ მიყვირის, არ მიკრძალავს, ის შეუბნება „კარგი“, და მე უფრო მეტად ვლონდები.

მამაჩემიც გამოვიდა გარეთ. ერთმა შეციებულმა ძაღლმა დაიყმუვლა, მაგრამ ჩვენ მას ყურადღება არ მივაქციეთ. თოვლის ფანტელები გვეყრება, მაგრამ არც ამას ვაქცევთ ყურადღებას. ჩვენ მივდივართ სადგურში, სადაც უკვე მალე ჩამოდგება ღამის მატარებელი. გუნებაში შევლასა ვთხოვ ჩემს ცხადლივ წარმოდგენილ, ზღაპრებში არსებულ ჯადოქრებს: ერთხელ, გემუდარებით, ამ ერთხელ მაინც სინამდვილედ მიქციეთ ზღაპარი. მე თქვენგან არც ნაძვის ხე მინდა, არც ციგა, არც დარბაზები, არც ცხენი, მე თქვენა გთხოვთ, რომ დღეს, აი, ამ ღამის მატარებლიდან ჩამოვიდეს თოვლის ბაბუა და მაჩუქოს ოთხი ბროწეული. ოთხი ბროწეული. ოთხი ბროწეული.

ჩავუარე თხილის მალაზიას და მე ვერ შევძელი არ გამეხედა მისკენ. ბროწეულების გორა ნახევრამდე ჩასულიყო. მკლავით გავწმინდე მალაზიის მინა, რომ კარგად დამენახა, მაგრამ მინა შიგნიდან შეორთქლილი იყო.

— ბროწეული მყავია, არა, მამი? — ვკითხე მე.

— მყავია.

— კბილები შეკვეთება ბროწეულის ჭამისას, — ვთქვი და გუნებაში კვლავ შევევედრე ჯადოქრებს: ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მაინც ზღაპარი სინამდვილედ აქციეთ-მეთქი.

ბაჭანზე წითელი ქუდით სადგურის უფროსი და რამდენიმე რკინიგზელი იდგნენ. სადგურის უფროსის ხელის ფარნის შუქი ჰაერში გაყინულიყო და ამ შუქქვეშ თოვლის ფანტელები უფრო მეტი ჩანდა, უფრო დიდები და უფრო გამჭვირვალენი. შემდეგ ფარნის შუქი შესუსტდა, რადგან მატარებელი თავისი გველშაპის მსგავსი თვალებით მოგვიახლოვდა.

ჩაგვიარა ვაგონის ფანჯრებს მიკრულმა სანთლისფერმა სახეებმა, ჩაგვიარა ღამის ნათურებმა, ფარდებმა, მოგვეფქვრა ქვანახშირის, მაზუთის, ზეთის სუნი და მატარებელიც გაჩერდა.

მატარებლიდან ერთი ჩამოვიდა, მაგრამ ის თოვლის ბაბუა არ იყო. რამდენადაც მივხვდი, ის ჩამოსული თითს უქნევდა სადგურის უფროსს.

მივუახლოვდით. ის კაცი ყვიროდა:

— გაწმინდეთ, ახლავე გაწმინდეთ.

— დიახ, დიახ, — თავს უქნევდა სადგურის უფროსი.


— მორიგეობა დანიშნეთ, ეს რა ბარბარისობაა?..

— დიახ, დიახ, — თავს უქნევდა სადგურის უფროსი მატარებელს. მე სახლში მარტო დავბრუნდი, რადგან მამაჩემმა თოვლის გადახვეტა იკისრა და თანაც დილაამდე, ვინემ თოვლი მოდიოდა.

— შრომას ფულად აგინაზღაურებთ, — შეჰპირდა სადგურის უფროსი.

შინ რომ მივედი, პაპაჩემს ახალი წლის დადგომისათვის არ მოეცადა და დაეძინა. მეც ჩავწექი ლოგინში და გადავწყვიტე, აღარასოდეს, აღარასოდეს ზღაპრები აღარ მომეგონებინა, აღარ მენახა. და ალბათ პირველი შემთხვევა იყო, რომ ზღაპრის უნახავად დავიძინე.

დილით კი ჩემს ბალიშქვეშ ოთხი ცალი ბროწეული ვიპოვე,  
 დილით კი პაპაჩემი ლუმელზე აგურს ათბობდა, რომ ორ სუბანში გახ-  
 ვეულ აკანკალებულ მამაჩემისთვის ფეხებქვეშ დაედო.  
 და მე ვიფიქრე, რომ ამქვეყნად ყველაზე ძნელი —  
 დვილედ ქცევაა...



ჩვენი პაპები

ჩვენს უბანში თოთხმეტი ბებია და მხოლოდ ორი ბაბუა ცხოვრობდა. ალ-  
 ბათ ამ უთანაბრობის გამოსასწორებლად ყველა ახალი პატარძალი პირველად  
 ვაჟს აჩენდა. ლევონ ბაბუა მამაჩემის მამა იყო, თბილისელი, წიგნით მო-  
 ვაჭრე. მისი დიდი ხნოვანება და სიცოცხლე არავის აკვირვებდა. ისე კი, თუ  
 რაიმე საკვირველზე ლაპარაკობდნენ, მაშინვე ხნუსელ ვართან ბაბუას ამბით  
 იწყებდნენ ხოლმე, რომელიც წარსულში ჯამბაზი იყო და როგორ მოიყარა ამ  
 ხანამდე, მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცოდა. ისინი საერთოდ არ ესაუბრებოდ-  
 ნენ თოთხმეტ ბებიას. მხოლოდ შორიდან, თავიანთი ადგილებიდან თავს და-  
 უქნევდნენ და ძლივს ჩურჩულით უბასუხებდნენ: „ღმერთმა გაგიმარჯოთ!“  
 ღლიდან სადამომდე ხმელი კუნძებივით ისდნენ ჩვენი სახლის კედლის ძი-  
 რას და, თუ ზაფხული იყო, თუთის ხის ჩრდილთან ერთად იცვლიდნენ ად-  
 ვილს. ამის მიხედვით იგებდნენ სოფლებში, თუ რომელი საათი იყო: ნამ-  
 დვილი მზის საათი.

ბაბუაჩემ ლევონს ვართან ბაბუასთვის ერთი გაცვეთილი, ოცდაოთხად და-  
 კეცილი რუკა ეჩუქებინა. ეგ ერთადერთი რამ იყო, რომელიც წარსული დღე-  
 ებიდან შემორჩენოდათ. მსგავსი რუკები ახლა არ არსებობს. ახლა სხვანაირ  
 რუკებსა ხაზავენ. და აი, ამ გაცვეთილ, ოცდაოთხად ნაკეც რუკაზე ვართან  
 ბუბუამ იცოდა მხოლოდ ხნუსის ადგილი. ერთხელ წითელი ფანქრით, შემდეგ  
 შავით და ლურჯით ფანქრითაც წრეები შემოეზაზა ხნუსის აღმნიშვნელ პატარა  
 წერტილისათვის, და ფერთა ნაკლებობისაგან მოსაწყენი, უღიმღამო ცისარტყე-  
 ლა გამოეყვანა.

ვართან ბაბუა ამბობდა:

— ლევონ, ერთი ჯამბაზის გრძელი მავთული რომ მქონოდა, კარგი იქ-  
 ნებოდა. ერთ წვერს შევაბამდი ალაგიაზ მთას, მეორეს — მასისს და ზედ თვა-  
 ლებდახუჭული გავიდ-გამოვიდოდი, გავიდ-გამოვიდოდი.

შემდეგ ხუჭავდა თვალებს, ხელები კი, თითქოს წონასწორობის დასაცა-  
 ვი ხე ეჭირა, ირწეოდნენ და ისევ ეშვებოდნენ პაერში.

— ვართან, — ეუბნებოდა ბაბუაჩემი ლევონი, რომელსაც უბანში ყვე-  
 ლაზე ნაკითხი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, — ათას ცხრაას, აღარ მახ-  
 სოვს რომელ წელს, ჩემი მაღაზიის წინ ერთი კაცი ფოკუსებს უჩვენებდა და  
 ამბობდა: „ხალხო, ახლა შეხედეთ, თქვენ თვალწინ ვაზმა უნდა იხაროს“.  
 ჩვენც ვუყურებდით პირველად ვაზის ხმელი კალმები ჩნდებოდა, შემდეგ  
 მწვანდებოდნენ და სულ მაღლა მაღლდებოდნენ, შემდეგ მტევნები ეკიდებო-  
 და, დიდრონი და მძიმე მტევნები. შემდეგ ეგ ოინბაზი ამბობდა, ამოიღეთ  
 თქვენი დანები და ხელი წაავლეთ მტევნებს ძირში, მაგრამ მანამ არ გიბრძა-  
 ნოთ, არ მოჭრათო. ჩვენც ვიღებდით ჩვენს დანებს, ვიჭერდით მტევნებს და  
 ველოდებოდით. ეგ ოინბაზი კი, ეგ ტუტუცო და მასხარა, ბრძანებას არ იძ-

ლეოდა მოსაჭრელად. და უცებ ქრებოდა ყველაფერი, რაც იქ იყო, და მაშინ-  
 და ვხვდებოდით, თურმე საკუთარ ცხვირებზე გვჭონდა წავლებული ხელები.

ვართან ბაბუა თვალების პაჭუნით, ისე რომ თითს არ აცილებდა ხნუსის  
 წერტილს, ეკითხებოდა:

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

- რატომ მოყევი ეგ ამბავი, ლევონ?
- ისე, სხვათა შორის, — ეტყოდა ნაკითხი ბაბუაჩემი, — უცებ მომა-  
 გონდა და მოგიყევი.

საკვირველი რამ იყო, როცა უბნის ყველა ქათამი და ბატი თავიანთი წი-  
 წილებით გადაწიწქნიდნენ წიწმატის კვლებს, გაქექავდნენ ტალახიან არხებს  
 და, გაძლომის შემდეგ, უჩუმრად დასხდებოდნენ მოხუცების ფეხებთან. აქვე  
 ტოვებდნენ ისინი თავიანთ ნაჭამს და მონელებულს. დილაადრიანად კი დედა-  
 ჩემი ფხიკავდა მიწანარევ თეთრ, შავხალეებიან სკინტლს, გვიდა და ყრიდა  
 არხში. თან წყველის მიყოლებაც არ ავიწყდებოდა, მაგრამ უმისამართოდ. აბა  
 ვინ უნდა დაეწყევლა! ბაბუაჩემი ლევონი და ვართან ბაბუა კი, მეც არ ვიცი,  
 რატომ იღებდნენ იმ წყველას თავიანთ თავზე და დაახლოებით ერთი-ორი  
 საათი გუნებაწამხდარნი იყვნენ.

— სხვაგან სად დავსხდეთ? — ხმადაბლა, მაგრამ თითქოს ყვირილით  
 ამბობდა ვართან ბაბუა და მისი უფერული ტუჩები რეზინიფით იწელებოდა.  
 იგი მუხლებზე იფენდა ბაბუაჩემ ლევონის ნაჩუქარ რუკას და, დაჰყურებ-  
 და რა ყავისფერ მთებსა და მთაგრეხილებს, ლურჯ ტბებს, მდინარეებს და  
 ზღვებს, მწვანე მინდვრებსა და საძოვრებს, იმეორებდა:

- სხვაგან სად დავსხდეთ?
- ბაბუაჩემი ლევონი არაფერს ამბობდა.

დღისით მათი ჩრდილები ჩვენი სახლის კედელს ეცემოდა. ეს ჩრდილები  
 ბუნებრივი ზომის, რასაკვირველია, უცხვირპირო და უყურებო იყო და იმდე-  
 ნად უძრავი, რომ მათი ცარციტ დახატვას ვასწრებდი. თაქდაპირველად დედა-  
 ჩემს არ მოსწონდა ჩემი ეს ვართობა და სველი ტილოთი შლიდა იმ ჩრდილე-  
 ბის ნახატებს, ჩემთვის კი სახატავ რვეულს ყიდულობდა. როცა უკვე ათი-  
 თხუთმეტი სახატავი რვეული შეგროვდა, გამოირკვა, რომ მხატვრობის არა-  
 ვითარი ნიჭი არ გამაჩნდა. დედაჩემი დაალონა ამ ამბავმა, შემდეგ მობეზრდა  
 კიდევ და აღარ შლიდა ჩემ მიერ დახატულ ლევონ ბაბუასა და ვართან ბაბუას  
 ჩრდილებს. ეს ნახატები შერჩა ჩვენს გალესილ კედელს იმ დღემდე, ვიდრე  
 უბანმა არ გაიგო, ვართან ბაბუა ჭკუაზე შეშლილაო. მე თვითონ წავშალე  
 ჩემი დახატული, რადგან საშინელ რამეებს ყვებოდნენ: ვართან ბაბუა დილით  
 საოცარი მოძრაობების შესრულების დროს უნახავთო, ვითომ ჯერ ორ ფეხზე,  
 შემდეგ კი ცალ ფეხზე ხტუნაობდა. შემდეგ ჯდებოდა-დგებოდაო.

ჩვენი უბანი ერთი პატარა სომხეთი იყო. ერთი ყარსული ოჯახი იყო,  
 ორი ოჯახი ვანიდან, ორი ოჯახი მეღრიდან, ლორელები, ხნუსელები.. ყოველ  
 მათგანს თავისი კუთხური კილო ჰქონდა, რომელსაც არ ივიწყებდნენ, არ  
 სცვლიდნენ და აღამაზებდნენ. და აი, ყველა ამ კილოზე ლაპარაკობდა ვართან  
 ბაბუას შეშლის ამბავს. ნამდვილს ემატებოდა შეთხზულიც, ვითომ ლამდამო-  
 ბით ვართან ბაბუა სახურავზე ადის და იქ ტელეფონის მავთულებზე დადის.  
 უბნის თოთხმეტი ბებია რიგრიგობით არიგებდა ვართან ბაბუას გულგახეთქილ  
 რძალს: დაბნელებისთანავე სახლის კარწინ სველი ტილო დაფინე, რომ ფეხის  
 დადგმისთანავე გამოფხიზლდეს. თუ გედვიძოს და დაინახო, მამამთილი გარეთ

გადისო, არ დაუყვირო, თორემ, ღმერთმა აშოროს ყველას, გული გაუსკდება და მოკვდებაო.

სინამდვილეში კი საქმე იმაში იყო, რომ ვართან ბაბუას გადაეწყვიტა გრძელი, ძალიან გრძელი მავთული ეშოვნა, ერთი წვერი მისთვის მთისათვის მოება, მეორე — მაისისისათვის და თვალდახუჭულს ამ ლარზე გაევიღა-მოევიღა, გაევიღა-გამოევიღა. სწორედ საამისოდ ემზადებოდა.

ბაბუაჩემ ლევონს ეთქვა:

— ვართან, ათას ცხრაას არ მახსოვს რომელ წელს, ერთმა ოინბაზმა ჩემი მაღაზიის წინ ცოტა გაწყდა არ მოგვაჭრევინა საკუთარი ცხვირები ჩვენზე ხელებით.

ვართან ბაბუას ეთქვა:

— ეგ რატომ თქვი, ლევან?

— სხვათა შორის, — ეპასუხნა ნაკითხ ბაბუაჩემს, — უცებ გამახსენდა და ვთქვი.

— როგორ თუ სხვათა შორის? — ამჯერად უკვე ველარ მოეთმინა ვართან ბაბუას, — თუ გუნებაში რამე გაქვს, თქვი. თქვი რაღა, შე ოხერო.

მაშინ კი, ბაბუა ლევონის ღრმამაზროვანი, გამაღიზიანებელი სიჩუმით გაბრაზებულს, ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა თავის მეგობარზე. ეთქვა მტრულად, უკბილო პირიდან ღორბლის ფრქვევით, ისე როგორც, ამბობენ ალბათ სიკვდილით დასჯის წინ ნახევრად ვაჟაკობა დაკარგული და ნახევრად-შენარჩუნებული მისჯილები: შენ ას ათ წელს იცოცხლებ. შენ ცივი სისხლი გაქვს, ას ორმოცდაათ წელს იცოცხლებ. შენ კბილები არ გექნება — პური დაღეჭო, ხელ-ფეხი არ დაგემორჩილება — საპირფარეშოში წახვიდე, მხედველობა არ გექნება — წიგნი წაიკითხო, მაგრამ სულ ერთია მაინც ორას წელს იცოცხლებ.

ღამით ვართან ბაბუას გადაევიღა კარებწინ დაფენილი სველი ტილო, სარდაფიდან გამოეტანა დაახლოებით ოციოდ მეტრის მავთული, რომელიც ბაზარში ეშოვნა, ერთი წვერი ჩვენი თუთისთვის მოება, მეორე თავიანთი ატმის ხისათვის. სარეცხი თოკის ქვეშ შედგმული ჯოხი გამოეცალა, გადაექცია წონასწორობის ჯოხად და ასულიყო ლარზე გასასვლელად.

დილით იგი მკვდარი იპოვეს. გატეხილი ჯოხი მაგრად ეჭირა თითებში.

იმავე შემოდგომას ბაბუაჩემიც გარდაიცვალა. წყნარად, მშვიდი სიკვდილით. დასაძინებლად დაწოლილიყო და აღარ გაღვიძებოდა.

ჩვენს უბანში ახლა ბაბუები აღარ არიან. მხოლოდ ბებიები არიან, რომლებიც დღე-დღეზე პატარავდებიან, დაბლდებიან და ძნელი სათქმელია, თუ კიდევ რამდენად დაპატარავდებიან. თოთხმეტი დაბალი ბებია და არც ერთი ბაბუა. ალბათ ამ საშინელი უთანაბრობის გამოსასწორებლად, რომ ყველა ახალი პატარძალი პირველად კვლავ ვაჟს აჩენს.



თარგმნა გივი ძნელაძე

### მოთქმა-დაბირება

ჩემი მცველი და  
ჩემი ნუგეში,  
მოსიარულე ციხე-სიმაგრე, —  
ჩემი ვაჟკაცი  
ჩამოინგრა და ჩამოიქცა,  
ცაი დაბნელდა,  
დამემხო თავზე —  
ცრემლების წვიმა  
ჩემს ფეხებთან  
ტბასავით დადგა...

ო, ვოი, — ჩემს დღეს  
და ჩემს მოსწრებას!

ქალიშვილებო,  
მეზობლებო,  
ძმებო და დებო —  
ო, მოწკრიალე სიმღერებო,  
სალამურებო,  
თქვენ — ბრძენკაცებო,  
მოღუღუნე, ჰოი, ფანდურო, —  
აგაი, ცაზე ვარსკვლავი მოსწყდა,  
ჩემი მცველი და  
ჩემი ნუგეში,  
მოსიარულე ციხე-სიმაგრე  
ჩამოინგრა და ჩამოიქცა, —  
მზე დამიბნელდა, —  
ღრუბლიან დღეში მზე იყო და  
ჟმთვარო ღამით მთვარე იყო.  
ჩემი ვაჟკაცი!..

ო, ვოი, — ჩემს დღეს  
და ჩემს მოსწრებას!

იქნებ გწყუროდა,  
ჩემო ბიჭო,  
და წყალის ნაცვლად  
შენივე სისხლი  
დალიე იქნებ.  
შენი ლოგინი  
ცივია და  
ქვეშაგებელის გამომცვლელი  
არავინ არ გყავს.  
ალარასოდეს  
გამზეურდება  
შენი ლეიბი,  
შენი საბანი...  
ო, რა ცოდვა ხართ ყველანი,  
შვილო,  
მტერთან ბრძოლაში  
გამარჯვებით უკვდავოფილნი!...  
უხვად დაღვრილი  
თქვენი სისხლი —  
სულ წითელ-წითელ  
ყარდ-ყვავილად  
ამოფიცქინდა!..

ო, ვოი, — ჩემს დღეს  
და ჩემს მოსწრებას!..

შენი შვილები,  
ჩემო ბიჭო,  
აწიოკებულ წიწილებივით  
ზღრიალეებენ და  
სხვათა ხელის შემყურენია, —  
მზის პერანგით და  
მიწის ფახსაცმლით

დატანტალებენ  
საცოდავები...  
სიკვდილო, ალბათ,  
შენ არ გყავს შვილი,  
შენ საკუთარი რომ გყავდეს =  
სხვის შვილს  
ასე იოლად  
სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებ!..

ო, ვოი, — ჩემს დღეს  
და ჩემს მოსწრებას!..

ჩემო იმედო,  
ჩემო ნუგეშო,  
მოსიარულე ციხე-სიმაგრევე, —

შენ არ ხარ მკვდარი,  
შენ არ ხარ მკვდარი,  
შენ ქვეყანაზე ~~გაქცევილი~~  
სიკეთე თესვ ~~გაქცევილი~~  
დღიდან  
ღამეში  
გადახვედი...  
შენ მზედ ამოხვალ  
და გაანათებ  
შენს ფესვებზე  
ამოყრილ ყლორტებს!

შენ არ ხარ მკვდარი,  
შენ არ ხარ მკვდარი, —  
შენ სამოთხეში შეხვედი, შვილო!..





ესპანურიდან

თარგმნა ლია ჭავჭავაძე

### პატარა პარსკვლავი

მკერდზე დამეცა  
პაწაწინა ვარსკვლავი ერთი,  
მკერდზე დამეცა,  
შემცივებული გამითბო მკერდი,  
ნაზო ვარსკვლავო,  
შენ სასწაულს უფრორე ჰგავხარ,  
ველარ ვისვენებ  
და მგონია, რომ ჩემი არ ხარ,  
მარტოს მეძინა,  
გამეღვიძა მე მასთან ერთად,  
ბრწყინავდა იგი,  
გაშლილ თმებზე კაშკაშად მენტო,  
აელვარებდა  
პატარა სახლს ნათება მისი,  
გმადლობ, უფალო,  
სასწაულის გამხადე ღირსი;  
გავძახე ჩემს დებს,  
ავსებულმა ნათლით და ლხენით,  
შემომეხვივნენ,  
სიხარულის დაიწყო დღენი,  
— ხედავთ, ძვირფასო,  
სავანეში ნათელი გაჩნდა,  
თრთის და ციმციმებს,  
ის, რაც ჩემს სულს მარადის აჩნდა...  
არ დამიჯერეს,  
გაკვირვებით მომაპყრეს მზერა,  
ეზოში გაველ,  
გადავძახე მეზობელს ყველას;  
— მოდიტ, შეხედეთ,  
ხელი ახლეთ, რომ მიწვავს კალთას,  
ვარსკვლავი არის,  
წინველა კი არ არის მართლა.  
მაშინ მოაწყდნენ

პატარა სახლს ბებიაქალნი,  
აკანკალებულთ  
ფართოდა აქვთ გახსნილი თვალნი,  
ზოგნი შეკრთომით  
მეხებიან, მთრთოლვარე ხელით,  
სხვანი მკოცნიან,  
მილოცავენ დათაფლულ ენით;  
დღესასწაული,  
ხმიანობდა იმ აკვნის ირგვლივ,  
სადაც ანთია  
ის ვარსკვლავი, ო იგი! იგი!...  
დღენი კეთილნი  
გამიგრძელდნენ, ამავეს შვებით,  
რა მშვენიერი  
წელი დადგა ზეციურ ნებით,  
არ დასცემია  
ხილთა ბალებს რთვილი და ყინვა,  
გაათბო ჩვენი არემარე  
ვარსკვლავის ბრწყინვამ,  
არ დაცემულა  
საქონელი, მზე იდგა ბანზე,  
და დარი უდგათ  
მშვენიერი,  
ფუტკრებს და ვაზებს.  
და ყველა მლოცავს,  
სიხარულით, ღიმილის ჩენით  
და მათ მხურვალე  
სიყვარული პასუხობს ჩემი:  
„...ნუ ახმაურებთ  
ახლა ბავას და საქსოვ დაზგას,  
კათილო ხალხო,  
ეს ყიყინა ნეტავი, რას ჰგავს.  
ცოტა გვაცალეთ,



ეს ყიყინა შეწყვიტეთ, რას ჰგავს,  
რომ ჩაეძინოს  
ჩემს პაწია ნინველა-ვარსკვლავს...“  
და ძერწავს სხივი  
მის შშვენიერ, ქათქათა სხეულს,  
და ძერწავს სხივი

მის ნაზ გუგებს, მის თვალებს  
რჩეულთ...  
და თრთოლვით ვუმზერ  
პაწაწინას და ჩუქნად ვტრიალ  
ო, ეს ვარსკვლავი  
ჩემი შვილი,  
შვილია, შვილი!..

ერთი ქალი

იქ, სადაც სახლი მოჩანდა მისი,  
თითქოს მისი ხმა ისევე ისმის,  
თითქოს მისი გზა აქ კი არ მოჩანს,  
გრძელდება წმინდა დღეების იქით,  
კვალი ნათლისა მიწაზე მოჩანს,  
არც დაფერფლილა თითქოსდა იგი.  
ეზოში ისევ სიო ბალახობს  
არცა ყვავილებს სწვევიათ ბოლო,  
ენა, რომელზეც ის ლაპარაკობს,  
ეს — მისი სულის ენაა მხოლოდ,  
ვერ გაუგებენ გულცივნი კაცნი,  
ვერ გაუგებენ უბირნი სულით,  
ვერ გაუგებენ ამ თვალებს ნაწვიმს,  
ვერ გაუგებენ უწმინდეს სურვილს,  
როდესაც იტყვის „ალებოს ნაძვი“,  
განა ხეს ამბობს, ბავშვს ამბობს იგი  
და როცა იტყვის „ბინული ნაზი“,  
ისევ ბავშვი ჩანს ბინულის იქით,  
და „ოქროს სარკეც“ ბაგეებს ოდეს,  
ხმით იღუმალით დასცდებათ ჩუქად,  
კვლავ ბავშვის სახე იმ სარკეს  
მოსდევს,  
სარკე კი არა, ბავშვია სულაც,  
რაც არ უნდა თქვას, უნდა ახსენოს,  
ბავშვის თვალები ანათებს სიტყვას,

არც დღე, არც ღამე ის არ ასვენებს,  
ბავშვი უღერს ყველგან, რაც უნდა  
გითხრას,  
მერმე კი — ღამე როდესაც დგება,  
როდესაც ჩათვლემს კერია თბილი,  
უცხო სასწაულს ის ქალი ჰყვება,  
რადგან არ იცის იმ ქალმა ძილი,  
ნაძვს ალექსოსას თითქოსდა ხედავს,  
თავის ნაძვს მწვანეს, ამოსულს  
დილით,  
ამაღლებულა იმ ქალის ბედად, —  
ნაძვი კი არა, შვილია, შვილი,  
ლამის ლოდინი უცოცხლებს დღეებს,  
იმ სასწაულით კი ცოცხლობს ღამით,  
მისჩერებია იმ მწვანე ხეებს,  
ლამის თვალებად გადიქცეს, ღამის  
და ყოველ ხესა ვედრებით შესთხოვს,  
რომ დაიხაროს მიწისკენ ერთხელ.  
ცეცხლი გიზგიზებს მის ნათელ  
გულში,  
უცხო გალობა ჩაესმის ყურში,  
და ხეთ შემცივნულთ, შემცივნულ  
ხეებს,  
ეხვევა, ათბობს, იხუტებს გულში.

ხის ღარბვა

ოდეს ცაში ნაზი მზე  
გამოჩენას ინებებს,  
დედამიწას ვალვიძებთ  
დედამიწის შვილები  
და აისის ფერებში,  
ვეფერებით ოქროვანს

და ვუტოვებთ ხელებში,  
მოცეკვავე ფოთლოვანს,  
ვუმღერო, ვიდრე ფერები,  
დედის წიაღს მოძებნის,  
ვუმღერო, ვეაღერსებით,  
ჩვილით განაოცები —

იგი თითქოს ანთია,  
როგორც უცხო შირაყი,  
მას სინათლე-ნათლია  
სხივს აჩუქებს რიყრაყზე,

სახელს როდი თხოულობს,  
იბადება სახელით,  
და სიხარულს პოულობს  
ზეციური მნახველი.

რომ არასდროს ეტიროს,  
შენ გავედრებთ მხურვალედ,  
დიდო წყალო კეთილო,  
დაამშვიდე მწყურვალი,

შენ გაბარებთ პატარას,  
მზეო, ზარდე შრიალა,  
ოქროვანი ატარე,  
მოწყენილი კი არა.

სულ ზეცისკენ ატარე,  
ჩვენც ზეცისკენ გაგვიშვი,  
მესამესაც ვაბარებთ,  
მიწას — ღმერთის ქალიშვილს



...ღმერთო, იგი გაზარდე,  
ვითა კაცი სათნოი,  
ჩემი ხეა უზადო,  
არ დატოვო მარტოი,

ღმერთო, კარგად მისმინე  
ვით ძვირფასი ხატის ხმას,  
ქარიშხლისგან იხსენი  
და შუადღის ხვატისგან,

სიცივისგან, ქართაგან, —  
მიეცი საფარველი,  
იხსენ ბოროტ კაცთაგან  
იქმენ მისი მფარველი!

□

# ტატიანა სუხოტინა-ბოლსტაია

## მოგონებები

თარგმნა ნანა ღარჩიაშ



### ტანია ბოლსტიანას ბავშვობა იასნაია პოლიანაში

**ბ**ავშვობის წლებს უდიდესი სიყვარულით ვიგონებ და მხურვალე მადლიერების გრძნობით ვფიქრობ იმ ადამიანებზე, ჩემ გარშემო რომ იყვნენ შემოკრებილნი ჩემი ცხოვრების ამ უბედნიერეს ხანაში.

გავიზარდე იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ერთმანეთიც უყვარდათ და მეც ვუყვარდი.

მეგონა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამგვარი ურთიერთობაა დამახასიათებელი ადამიანური ბუნებისათვის.

მე ახლაც ასე ვფიქრობ.

და თუმცა ჩემი უამიერი სიცოცხლის მანძილზე ზოგჯერ ვხედავდი სიავსა და სიძულვილს კაცთა შორის, — მწამს, რომ ამგვარი დამოკიდებულება ისევე არაბუნებრივია, როგორც სენი, და ისევე, როგორც სენი, წარმოიშობა ადამიანური ცხოვრების პირველქმნილი კანონების დარღვევის შედეგად.

ასევე ბუნებრივი იყო ჩვენი ცხოვრების გარეგანი პირობები.

ქორწინებიდან თვრამეტი წელიწადი მამაჩემმა ოჯახთან ერთად იასნაია პოლიანაში გაატარა ისე, რომ ფეხი არსად გაუდგამს, მხოლოდ იშვიათად თუ ჩავიდოდა ქალაქში საქმეებზე!

სოფელში ცხოვრებამ შემაყვარა განმარტოება და სიმშვიდე, ჩვევად მიქცია ბუნების სიყვარული და მისთვის თვალყურის დევნება.

ჩემს ბავშვობას განსაკუთრებით სამ ადამიანს ვუმაღლი:

მამას, ჩვენი ცხოვრების თავკაცს, ვინც შეგვიქმნა ის პირობები, რომელშიაც გავიზარდე.

დედას, ვინც სიცოცხლეს აღამაზებდა ამ პირობებში ისე და იმგვარად, როგორც ხელეწიფებოდა...

და მანას, ჩვენს აღმზრდელ ინგლისელ ქალს. მან ექვსი წელიწადი იცხოვრა ჩვენს ოჯახში, მაგრამ რაოდენი სიყვარული, ზრუნვა და მტკიცე ზნეობრივი საფუძველი მოგვაგო!...

აი, ამ სამი ადამიანის გვერდით გაიარა ჩემმა ბავშვობამ — მათ წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში.

მეცხრე წელიწადში ვიყავი გადამდგარი, როცა მან ჩვენი სახლიდან წავიდა. და კიდევ დასრულდა ჩემი ბავშვობა, დასრულდა ის უღრუბლო ბედნიერება, აქამდე რომ მაცოცხლებდა.

ასე დაიწყო ჩემი ყრმობა. ყრმობის ამბავს სხვა წიგნში ვიამბობთ.



I

დავიბადე იასნაია პოლიანაში 1864 წლის 4 ოქტომბერს. ჩემს დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე ნადირობისას მამაჩემი ხიფათს გადაყრიდა.

ახალგაზრდობაში მამას ძალიან უყვარდა ნადირობა, განსაკუთრებით — შემოდგომის პირზე მწვევრებით ნადირობა კურდღლებსა და მეღიებზე.

1864 წლის 26 სექტემბერს მამას თან წაუყვანია მთელი ხროვა მწვევართა, შემჯდარა თავის ახალგაზრდა ფეხმარდ ფაშატზე, მაშკას რომ ეძახდნენ, და სანადიროდ წასულა. შორიახლოს მინდორში უცებ რუხი კურდღელი გამოჩნტარა. მამას აუშვია მწვევრები, ერთი შეუძახნია და კურდღელს დადევნებია. ნადირობას შეუჩვეველი და ფიცხი მაშკა ქარის უსწრაფესად გასდევნებია ძაღლებსა და კურდღელს.

გზად ღრმა ლარტაფი დახვედრიათ. მაშკა თურმე ვერ გადაახტა ხრამს, წაიფორხილა და ორივე მუხლით დაეცა. მერე ვეღარ მოერია თავს და მთელი სიმძიმით გვერდზე გადავარდა, მამაჩემიც დავარდა ცხენთან ერთად. ხელი ცხენქვეშ მოუყვა და მთელი სიმძიმე ხელს დააწვა. მამამ გონს მოსვლა ვერ მოაწყო, რომ მაშკა წამოხტა, თავისი მხედარი ლარტაფში დატოვა და შინისაკენ მოჰკურცხლა. ხელის აუტანელი ტკივილისაგან განაწამები, თითქმის გონდაკარგული მამაჩემი ძლივს ამოფორთხებულა ვაკე ადგილზე.

რა ექნა? წასვლის ღონე არ ჰქონდა. შარავზამდე, სადაც ვისიმე დახმარების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა, ერთ ვერსამდე მაინც იქნებოდა.

ბოლოს ძალა მოიკრიბა და წალასლასდა.

შემდეგ გვიამბობდა, იმ დროს თითქმის უგუნოდ ვიყავით; ასე მეგონა, თითქოს ყოველივე ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდაო. თითქოს ოდესღაც, შორეულ წარსულში ცხენით მოვდიოდით, ძაღლით ვნადირობდი კურდღელზე და ცხენიდან გადმოვევარდიო... ეს იყო დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ.

რის ვაი-ვაგლახით გაიარა ერთი ვერსი და შარავზას მიაღწია. იქ უკვე ძალამ უმტყუნა, ცუდად გახდა და გზის პირას მიწაზე დაწვა.

ასე იწვა და ელოდებოდა — მგზავრი ვინმე ჩამოივლისო.

ფორანმა ჩაიარა. შიგ გლეხები ისხდნენ. მამამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გასძახა:

— შეჩერდით! მიშველეთ!

გლეხებმა, ვინ იცის, ვერ გაიგონეს თუ არ ისურვეს შეჩერება, გზა განაგრძეს.

მამა ისევ გზის პირზე იწვა. ბოლოს ერთმა გლეხმა ჩამოიარა და შეიცნო.

— ღმერთო დიდებულო! ეს ხომ ჩვენი იასნოპოლიანელი გრაფია! — შესძახა მან, — ნეტავ რა დაემართა?

გლეხმა გააჩერა პირველივე ფორანი, მეფორნის შემწეობით ზედ დააწვინა მამაჩემი და იასნაია პოლიანაში გამოამგზავრა.

მამაჩემი მეტისმეტად იტანჯებოდა.

— ძიაკაცო, — უთხრა მან გლეხს, — საბატონო სახლში კი ნუ წამიყვან, სოფელში ჩამიყვანე, ჩემს ქობში.

თურმე ფიქრობდა, გაუფრთხილებლად რომ მისულიყო შინ ასე დასახინრებული, დედაჩემს ძალზე შეაშინებდა.

ამ დროისათვის კი იასნაია პოლიანას საბატონო სახლში სადილი უკვე გა-

ეშალათ და ჩემი ახალგაზრდა, ოცი წლის დედა თავის მეუღლესა და მულს გრაფინია მარია ნიკოლოზის ასულ ტოლსტაიას ელოდებოდა. იქ იყვნენ მისი მამალი — გრაფი სერგეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოი და ~~ლიუბოვ ალექსანდრეს ასული ბერსი.~~ ლიუბოვ ალექსანდრეს ასული ბერსი.

ისინი არ ჩანდნენ. წენიანი კი გაცივდა.

— ეს ტოლსტოები მუდამ იგვიანებენ სადილად! — ბუნებუნებდა დედაჩემი.

გულში რაღაც შეშფოთება ჩასდგომოდა. იგი უკვე შიშობდა, ჩემს მეუღლეს რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვაო.

უცებ შემოვიდა მარია ნიკოლოზის ასული, — ლიუბოვ ალექსანდრეს ასულს რაღაც უცნაურად ანიშნა და წასჩურჩულა.

შემდეგ ორივენი მეზობელ ოთახში გავიდნენ.

როცა უკან შემობრუნდა, ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა რაღაც უცნაური, არაბუნებრივი ხმით დაიწყო ლაპარაკი, თითქოს არავის არ მიმართავდა.

— არასოდეს არ უნდა შეშინდე. რაც არ უნდა შეგემთხვას ცხოვრებაში, გონიერება უნდა შეინარჩუნო, შიში ვერას გომველის...

მაგრამ დედამ აღარ დაამთავრებინა სათქმელი. იგი მიხვდა, მისი ქმრის თავს რაღაც უბედურება ტრიალებდა.

— რა დაემართა ლევს? ჩქარა მითხარით, მოკვდა? — განწირულივით წამოიყვირა.

როცა სიმართლე გაიგო, სასწრაფოდ ჩაიცივა და სოფელში გაიქცა.

მივიდა და ნახა, მისი მეუღლე ჯორჯოზე იჯდა და ძალზე იტანჯებოდა. ქოხის პატრონ გლეხკაცს ეჭირა მისი მხრამდე გაშიშვლებული ხელი, ხოლო სოფლელი დედაკაცი მკლავს უზელდა. იქვე იყვნენ აგაფია მიხეილის ასული, ტოლსტოების უკვე ხანდაზმული ყოფილი ყმა ქალი და მამაჩემის დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასული ერგოლსკაია. ქოხში ბავშვები ყვიროდნენ, ბნელოდა, კაცი სულს ვერ მოითქვამდა, იმდენ ხალხს მოეყარა თავი.

— სასწრაფოდ ტულაში აფრინეთ ვინმე ექიმის ჩამოსაყვანად! — ბრძანა დედაჩემმა. მამა შინ გადმოიყვანეს.

ტულიდან ჩამოსული ექიმში შეეცადა ჩაეგდო ნაღრძობი ხელი. რვაჯერ ამოუტრიალა და გადაუბრუნა ხელი მამაჩემს, მაგრამ ვერაფერს გახდა, მხოლოდ უსაშველოდ გატანჯა. ბოლოს იძულებული გახდა გაწბილებული გაბრუნებულიყო უკან. მამამ ტანჯვის ღამე გაათენა. დედა წუთითაც არ მოსცილებია. მეორე დღეს უთენია ისევ აფრინეს კაცი ტულაში სხვა ექიმის ჩამოსაყვანად. ეს იყო ახალგაზრდა ქირურგი. მამას ქლოროფორმი გაუკეთეს და, როგორც იქნა, ჩაუგდეს ხელი. მაგრამ მაინც აციებდა და არც ტკივილი უცხრებოდა.

მამაჩემი ჯერაც არ იყო რიგიანად გამოჯანსაღებული, როცა ამ ქვეყანაზე მე გავჩნდი.

ჩემს მშობლებს ვაყიშვილი უკვე ჰყავდათ — წლინახევრის სერიოჟა, — და ქალის დაბადება გაუხარდათ. მომნათლა მამაჩემის მეგობარმა დიმიტრი ალექსის ძე დიაკოვმა, მეორე ნათლია კი ჩემი დიდედა ლიუბოვ ალექსანდრეს ასული ბერსი გახლდათ.

მამას უნდოდა ჩემთვის ტატიანა დაერქმიათ, მისი აღმზრდელისა და საყვარელი დეიდის ტატიანა ალექსანდრეს ასულ ერგოლსკაიას პატივსაცემად, დედაჩემს კი უსაყვარლესი უმცროსი და ტატიანა ჰყავდა და მასაც ახარებდა

თავისი ქალიშვილისთვის საყვარელი დის სახელის დარქმევა.

მე ჯანსაღი, ძლიერი ბავშვი ვიყავი და ყოველგვარი დავიდარების გარეშე ვიზრდებოდი.

ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები მეტისმეტად იყვნენ შეწუხებულნი იმ აზრით, რომ მამას ხელი ისევ სტკიოდა. თავისუფლად ვერ ამოძრავებდა და შიშობდა, ვაითუ მთელი სიცოცხლე ხეიბარი დავრჩეო.

ლამეები არ ეძინა და ერთგული მოხუცი აგაფია მიხეილის ასული ეჭვსი კვირის განმავლობაში ყოველ ღამე თავზე ადგა, მხოლოდ ზოგჯერ თუ ჩათვლემდა სავარძელში ჩამჯდარი.

მამაჩემი მაინც უჩიოდა ხელის ტკივილს, ჰოდა, მშობლებმა გადაწყვიტეს, უსათუოდ წასულიყო მოსკოვში და იქ ვინმე კარგ ქირურგს მოთათბირებოდა. ბოლოს და ბოლოს ცხადი გახდა, რომ ხელი არასწორად უხორცდებოდა.

მოსკოვში მამა ბინად დედაჩემის მშობლებთან გაჩერდა, კრემლში. ბაბუაჩემი სასახლის კარის ექიმი იყო და ოჯახითურთ კრემლის ერთ-ერთ შენობაში ცხოვრობდა.

იმ წიწვილიდან, რომლისაჲც მამაჩემი უახანაჲდა თქვას, ჩანს, რომ იგი უაზრავ ექიმთან იყო და ყველამ სხვადასხვა რჩევა-დარიგება მისცა.

ბევრი ურჩევდა, არამც და არამც ხელი ისევ არ გადაიტეხო, მხოლოდ ივარჯიშეო და ჰპირდებოდნენ, დროთა განმავლობაში თანდათან სწორად ამოძრავდებო. სხვები დაუინებით ამბობდნენ, ხელი ისევ უნდა გადატყდეს, და შემდეგ სწორად ჩაისვასო.

თავდაპირველად მამამ სცადა პირველი ექიმების რჩევისათვის ეგდო ყური, ამავე აზრისა გახლდათ ბაბუაჩემი ბერსიც, და მამაც დიდის გულმოდგინებით ვარჯიშობდა, მაგრამ მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. ისეთი ჯანსაღი, ძლიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანისათვის, როგორც მამაჩემი გახლდათ, მეტად სავალალო იყო მარჯვენა ხელის წართმევა და ბოლოს და ბოლოს მან ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა.

ისევ გადაუმტვრიეს ხელი, ისევ ჩაუგდეს და სახვევი დაადეს.

ოპერაცია კარგად ჩატარდა. მამამ მოსკოვში კიდევ დაჰყო ცოტა ხანი, ვიდრე ხელს ხშირი შეხვევა სჭირდებოდა.

მან ისარგებლა ამ შემთხვევით და რაკი მოსკოვში უნდა შეჩერებულიყო, თავისი დიდი რომანის „ომისა და მშვიდობის“ ბეჭდვის საქმეს მოჰკიდა ხელი. მხოლოდ დეკემბერში დაუბრუნდა თავის ოჯახს იასნაია პოლიანაში.

მე უკვე მეხუთე თვეში ვიყავი გადამდგარი. დედაჩემი მთელი თავისი არსებით ოჯახის საქმეებში იყო ჩაფლული. იმ ხანებში მას თავისი ქმრისა და შვილების გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა და გულით სურდა, რომ ყველა მის საყვარელ ადამიანს ერთმანეთი ჰყვარებოდა. მამაჩემი კი არასდროს ყოფილა ალერსიანი ჩვილი ბავშვების მიმართ, თანაც იმხანად მათთვის არც ეცალა: ახლახან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და არც იყო სავსებით დარწმუნებული, ამიერიდან მაინც თავისუფლად თუ დაიმორჩილებდა საკუთარ მარჯვენას და ეს ამბავი მეტისმეტად ადარდებდა.

ესეც არ იყოს, სხვა საზრუნავიც ჰქონდა. მეორე დიდი თხზულება ჰქონდა ჩაფიქრებული, ამისთვის კი საჭირო იყო ბევრი ეკითხა, ბევრი რამ გაეგო, ბევრი ეფიქრა.

ამიტომაც, სად ჰქონდა იმისი თავი, დაინტერესებულიყო, იცინოდა თუ

არ იცინოდა მისი პაწია გოგონა, ისწავლა თუ არა რაიმე ნივთის დაჭერა თავის პაწაწა ვარდისფერ თათუნებში, ან ცნობდა თუ ვერა თავის დედასა და ვაღიას, დედას კი გული წყდებოდა.

„ტანიას ზედაც არ უყურებს, — სწერდა იგი თავის დედას და ვაღიას კანდრის ასულს, — მწყინს და ეს ამბავი ცოტა უცნაურიც მეჩვენება. ის კი, იცი, როგორი საყვარელი, კარგი, მშვიდი და ჯანიანი გოგონაა?! საცაა ხუთი თვისა გაბდება, საცაა კბილიც ამოჭრის, ჯერ ფორთხვას დაიწყებს, მერე ატიტინდება, გაივლის, და ასე შეუმჩნევლად გაიზრდება. ტანია, ვეთაყვა, ყურადღებას ნუ მოაკლებ და შეიყვარე. თვალები, თუ არ ვცდები, შავი აქვს, მაგრამ ჯერ მაინც ანელია ფერის დადგენა. მხოლოდ ძალიან ნათელი, მხიარული და დიდი თვალები აქვს.“

მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ დედა სულ სხვა ამბავს აუწყებდა თავის დას:

„ტანიუშა სულ ყვირის „დაძალჯობათ“ (გამარჯობათ) და ისწავლა „ჟიოქას“ (სერიოქას) თქმა. ლევი პირდაპირ ჰკუთას ჰკარგავს მის გამო.“

მეორე წერილში იგი წერს: „რომ დაგანახა, ჩემო კარგო ტანია, რა სასაცილო გოგონაა ტანიუშა. ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, თავისებურად, მაგრამ პირწმინდად ყველაფერს. ხტუნვა-ხტუნვით დარბის, თითქოს ცეკვავსო, გეგონება, ვინმეს ესწავლებინოს კიბეზე მარტო ადი-ჩადის და მამასთან ძალიან შეგობრობს.“

## II

როგორც კი წამოვიზარდეთ, მამას უნდოდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, სადად გვეცხოვრა. თავად ხომ მუდამ, გემოვნებითაც და მოთხოვნებითაც, მეტისმეტად თავმდაბალი გახლდათ.

დედა გვიამბობდა, რომ ქორწინებამდე თურმე მამაჩემი ტყავის უსარჩულო, უმითელო ბალიშზე იძინებდა და იასნაია პოლიანას სახლის მთელი ავლადიღებაც საკმაოდ ღარიბული იყო.

მამა წინააღმდეგი ყოფილა ყოველგვარი ძვირფასი სათამაშოებისა და ჩვენი ზაფშუობის პირველ ხანებში თურმე დედაჩემი თვითონ გვიკეთებდა ათასგვარ სათამაშოს. ერთხელ თოჯინა-ზანგი გაგვიკეთა, ეს თოჯინა ძალიან გვიყვარდა. მთლიანად შავი ყალამჭრისაგან იყო ნაკეთები, თვალის თეთრი გარსი — თეთრი ტილოსი, თმა — შავი კრაველისა, ხოლო წითელი ტუჩები — წითელი თივთიკის ნაჭრისა ჰქონდა.

მამას მუდამ რუხი თივთიკის ხალათი ეცვა, ევროპულ ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა მოსკოვს მიემგზავრებოდა. მეცა და ბიჭებსაც, ჩემს ძმებს, მამა გვთხოვდა, ასეთივე ხალათი გვეცმოდა.

მაგრამ ნელინელ დედამ თავისი წესრიგი შემოიტანა ოჯახში. ჯერ მამას ნებართვა გამოსთხოვა, საშობაოდ ბავშვებს ნაძვის ხეს გავუმართავეო. „სერიოქას მხოლოდ ერთ ცხენუქას ვაჩუქებ, — ითხოვდა იგი, — ტანიას კი მხოლოდ ერთ თოჯინას.“

შემდგომ ნაძვის ხეზე ცოტაცოტაობით იმატა საჩუქრებმაც და რუხი პერანგიც უფრო მრავალფეროვანმა და მოხდენილმა კაბებმა შეცვალა. და ასე

წარიმართა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი წრის ყველა მემამულის ცხოვრების მსგავსად...

დიდი დღესასწაულების წინ ჩვენსა ჩვეულებისამებრ მოდიოდა მოვლენილი და დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასულთან მწუხრის ლოცვას ეძღვრებოდა. დეიდას ერთი ვიღაც ქალი ჰყავდა სამადლოდ — სანთელს ანთებდა მისი ორა სხატიის წინ. საღღესასწაულოდ საგანგებოდ გაწმენდილი ხატების ვერცხლისფერი შეჭედებულობა თქალისმომჭრელად ელვარებდა, თაფლის სანთლის ალს ირეკლავდა. ბებერი მოსამსახურე ქალი აქსინია მაქსიმეს ასული ფეხაკრეფით მიმოდიოდა ოთახში. დროდადრო ხელს შეავლებდა კანდელსა და სანთლებს და პირჯვარს იწერდა. ოთახებში სინესტე იგრძნობოდა ახლახან მორეცხილი იატაკის გამო და პიტნისა და ბურახის სუნი იდგა, იატაკის მორეცხვის შემდეგ ყოველთვის რომ ახრჩოლებდნენ ხოლმე ჩვენს დერეფნებსა და კიბეებზე.

ეს ასე კეთდებოდა: სპილენძის ტაშტში დებდნენ გავარვარებულ წითელ აგურს და ზედ — გამხმარ პიტნას. შემდეგ აგურზე ბურახს მოასხამდნენ. ბურახი შიშინით ორთქლდებოდა და ირგვლივ პიტნისა და ძირტკბილას სურნელს აფრქვევდა.

ჩვენს სახლში სხვადასხვა ჯურის უცნაური ადამიანები ცხოვრობდნენ.

კარგა დიდხანს ცხოვრობდა ბერი ვოეიკოვი. იგი გახლდათ მამაჩემისა და მისი და-ძმების მეურვის ძმა. ვოეიკოვს ბერ-მონაზვნის სამოსელი ეცვა, რაც ფრიად არ ეხამებოდა მის ტრფიალს ღვინისადმი.

კიდევ ერთი ჯუჯა ცხოვრობდა. მას შეშის დაჩეხვა ეჯალებოდა, მაგრამ, ამასთანავე, მუდამ მთავარი როლი ეკისრებოდა სხვადასხვა გასართობსა და მასკარადებში, იასნაია პოლიანაში რომ იმართებოდა. აქვე ცხოვრობდა უცნაური დედაბერი მარია გერასიმეს ასული, მამაკაცის ტანსაცმელს რომ არ იცილებდა. იგი მამიდაჩემის, მარია ნიკოლოზის ასულის ნათლია იყო.

მიამბეს, რომ დიდუდაჩემი, რაკი სულ ვაჟები ჰყავდა, ნაბოლარა ვაჟი-შვილის, ლევის (მამაჩემის) დაბადების შემდეგ თურმე ერთთავად სულ ქალიშვილზე ოცნებობდა. ღმერთს აღუთქვა, თუ ასული შემეძინება, იმ დედაკაცს მოვანათვლინებ, ვინც შარაგზაზე პირველი შემხვდება.

მალე მართლაც შესძენია ასული. გაგზავნეს ხალხი შარაგზაზე მგზავრთა დასახვედრად. პირველი ადამიანი, შარაგზაზე ვინც ნახეს, ეს ღვთის გლახა, ბიჭურად გადაცმული დედაკაცი ყოფილა.

სწორედ ეს ქალი გახლდათ მარია გერასიმეს ასული. მან მონათლა მამიდაჩემი მარია ნიკოლოზის ასული.

ამის შემდეგ დიდუდაჩემმა მარია გერასიმეს ასული ტულის მონასტერში განამწესა, საიდანაც ხშირად დაიარებოდა იასნაია პოლიანაში.

მოვიდა ერთხელ მარია გერასიმეს ასული ტულიდან და ამბავი მოგვიტანა: ტულაში ყველანი ასე ლაპარაკობენ, თითქოს ზეფირიდან (ზეციდან) რაღაცნაირი არსებანი მოფრენილან, ცხოველები თუ ფრინველები, კარგად არ იციანო, „ზეფიროტებს“ ეძახიანო.

მალე საზღვარგარეთიდან ჩემი ბიძაშვილები, ორი ახალგაზრდა ქალიშვილი — ვარია და ლიზა ტოლსტოები ჩამოვიდნენ დედასთან ერთად.

— აი, ესენი არიან ზეფიროტები, — თქვა მამამ. იმ დღიდან მოკიდებული ხუმრობით მათ ყველანი ზეფიროტებს ეძახდნენ.

შობის დღეებში იასნაია პოლიანაში სოფლიდანაც მოდიოდნენ ნილაბაფა-



რებული შინაყმები და სახლში მაშინვე ერთი ალიაქოთი ატყდებოდა, აი, როგორ აღწერს ამ მასკარადებს დედაჩემი თავისი დისადმი მიწერილ ბარათებში. 1865 წლის იანვარი.

„დილიდანვე ვემზადებოდით, ვაკეთებდით ნიღბებს, კაგუბრგვიწებს, ქუდებსა და ათას სხვა რამეს. საქმის გაძლოლა დავავალეთ სარინა ფროლოვას, — ყმა ქალს! — ხომ გახსოვს, რა მხიარული ქალია, — და საღამოს მოგვაწყდნენ სამასკარადოდ მორთული ხალხი. ჩვენები ასე იყვნენ მორთულნი: ვარენკა ფრანგი ზუავივით, წითელი ქურთუკი და წითელი, მოკლე შარვალი ეცვა, თავზე ფოჩიანი წითელი ფერისავე ქუდი ეხურა. ყოველივე ეს მთელი დღე ვკერეთ. მისი მეწყვილე იყო სერიოჟა, მარკიტანი ქალის სამოსელში გამოწყობილი. შემდეგ ლიზა და დუშკა, ლიზა მარკიზი იყო, დუშკა კი — მარკიზი ქალი, ორთავეს თმა გაპუდრული და დახვეული ჰქონდა, წინდები და მაშეები ეცვათ, სამკუთხა ქუდები იღლიაში ამოეჩარათ, რაღაც არაჩვეულებრივად კარგები იყვნენ; მათ მოჰყვებოდნენ გრიშა — ასე ვთქვათ, მასხარასავით გამოწყობილი, კუზიანი, და მისი ცოლი ანა, გერმანელი, ისიც მასხარასავით მორთული! ხოლო ყველაზე წინ მოდიოდა ჩემი დაქირავებული ჯუჯა, ნამცეცა, ჩვენი მზარეულის ასულ მაშკასთან ერთად. ესენი ველურთა მეფეები იყვნენ, თავზე ოქროსფერი და ვერცხლისფერი გვირგვინები ედგათ; ხელზე ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები ეკეთათ, ფეხები ჰვარტლში ამოეგანგლათ, ხელთ უზარმაზარი ჯოხები ეჭირათ, მაშენკასა და დეიდას შარფები წითელი მანტიებივით მოესხათ. დეიდამ ჩვენი მასკარადის გამო ყველა თავისი საიდუმლო განჯინის კარი და სკივრი გაგვიხსნა.

შინაყმები და გლეხის ქალები, ვისაც როგორ შეეძლო, ისე მორთულ-მოკაზმულიყვნენ. მაგრამ ეს იყო ისეთი entrain<sup>1</sup> ისეთი მხიარულება, გადმოცემაც არ შემიძლია. სერიოჟამ, საღამო ხანს რომ ჩამოვიდა, ვერავინ შეიცნო და იმდენი იხარხარა, ლამის გული წაუვიდა. რა დღეში იყო ეს ჯუჯა! — სიირი უკეთესი არ გინდა. იგი დეიდას ძმისწულს შინ მასხარად ჰყავდა და მართლაც რომ ნამდვილი მასხარაა. შინაყმებს ვაშლით, ტკბილი სასმელით, თაფლის პურითა და ჩაით გავუმასპინძლდით, ყველანი მეტისმეტად მხიარულნი და კმაყოფილნი იყვნენ. „ზეფიროტები“ და გრიშა ხომ სიხარულით ცას ეწივნენ. ვარენკა ისე აღეგზნო, რომ როცა ფერხული გაიმართა და სიმღერა წამოიწყეს, ერთ ადგილას ველარ ჩერდებოდა, ხტოდა და ისე უბრწყინავდა თვალები, თითქოს ამქვეყნად ამაზე დიდი ნეტარება არც არსებულებო.

მერე, საღამოს, როცა ყველანი დამშვიდდნენ, უცებ სერიოჟა აყვირდა, ყველაფერი ისე კარგი იყო, თავიდან უნდა გაჯიმეოროთო. მეორე დღესვე უნდოდათ განმეორება, მაგრამ როგორც იქნა დავიყოლიე, ჯერ გონს მოდიო-მეთქი. გადავწყვიტეთ, უბრწყინვალესი მეჯლისი და მასკარადი გაგვემართა ნათლისღებას, „Je jour Rois“<sup>2</sup> ღვეზელებით, ცერცვით, ნიღბებით, სერიოჟამ თავისიანების მორთვა-მოკაზმვა და ჩამოყვანა იკისრა. ისეთი ფაციფუცი შეიქნა, რომ მთელი სახლი თავდაყირა დადგა.

მე და ლევმა სამეფო ტახტი მოვაწყეთ. სასადილოს დიდ მაგიდაზე დავდგით ოქროს ორთავიანი არწივებით შემკული ორი სავარძელი, ყველაფერი —

<sup>1</sup> სანახაობა (ფრანგ.).

ღვთის გამოცხადება (ფრანგ.).

კედლებიც, მაგიდებიც და საფეხურებიც მწვანე მაუდიტ მოვრთეთ, მალულიდან წითელყვავილებიანი თეთრი საბანი ჩამოვუშვიტ, დავაწყვეტ გვარგვინები და ორდენები, ყვავილები, დაფნისა და თურინჯის ხეები — ღმერთმანი, ბრწყინვალე იყო. ეს ყველაფერი სასტუმრო ოთახში, შუშის კარის წინა კაბინეტში. ზედმეტი ავეჯი გავიტანეთ, რომ სიხალვათე ყოფილიყო. ვარჯიშით ვაპირებ მოვაწყვეტ, — დალალები, შავი ხავერდის ქუდი, ზედ ყოლოსფერი ფრთა და ოქროსფერი არშია, თეთრი ქურთუკი, ყოლოსფერი ყილეტი, თეთრი მოკლე შარვალი და ყოლოსფერ გადანაკეცებიანი ჩექმები ისეთი კარგი იყო, სასწაული გეგონებოდა. ლიზას, ალყირში რომ იცვამენ, ისე ეცვა: იმდენი რამ შემოეხვია ტანზე, ყველაფერი აღარ მაგონდება. დუშკა ლევმა მოხუცი მაიორით გამოაწყო, ისე კარგად, ღმერთმანი, სასწაულია! სერიოჟკა კი — მაიორის ცოლივით. დღიური მუშა კი, ვითომ ძიძააო; ციყვუნია-ვასკა ჩვრებში გამოვხვით და ხელში დავაჭერინეთ. შემდეგ ორი კაცი გამოვყავით, აქაოდა, ცხენები არიანო და ზედ დუშკა შევასკუპეთ.

ჩვენები ყველანი უკვ ჩაცმულნი იყვნენ — მეშვიდე საათი დაიწყო, სერიოჟა კი არ ჩანდა. ლამის სასოწარკვეთილებას უნდა მივცემოდით, რომ უცებ ზანზალაკების ხმა გავიგონეთ და შემოვარდა სერიოჟა თავისი ამალიტ, სკივრითა და ათასი რამერუმეთი. ისინი ჩემს საძინებელ ოთახში შეიყვანეს, ტანსაცმელი რომ გადაეცვათ. ლევი თავისიანებს კაბინეტში რთავდა, მაშენკა კი — დეიდას ოთახში. მე უნდა მეზრუნა განათება-გამასპინძლებასა და უმთავრესად, ბავშვებზე. შემდეგ ჩამოვიდნენ მუსიკოსები — ვიოლინო და ტრომბონი, უზარმაზარი, ძალიან ჟღერადი მრგვალი გიტარა გეგონებოდა. გრიშა არლეკინოსავით იყო გამოწყობილი, სპილენძის თეფშები ეჭირა, ერთიანად ჟღარუნები აესხა, შემდეგ ორი ბიჭუნა პიერო — ორი ბაბურიხელი ბრანდტი, შემდეგ მისი მოსამსახურე ქალი და მეჯინების ცოლი — ბატონი და ქალბატონი, შემდეგ ბიჭუნა — პაწია მწყემსი. ყველაფერი ეს — ექვნებით, ხმაურით, სატკაცუნებით, თეფშებით — წინ, ხოლო უკან ჩინებულად გაკეთებული უზარმაზარი გოლიათი, თითქმის ჭერს რომ უწვდენდა თავს. ეს ვითომ-გოლიათი კელერს ეჭირა, აქეთ-იქით ახტუნავებდა და აცეკვებდა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, გადმოცემაც არ შემიძლია. მოვარდა ზღვა შინაყმებისა, გერმანელებად გადაცმული არინა, დაიწყეს ღვეხელების ჭამა. პარკი ბრანდტს<sup>1</sup> შეხვდა და მან ვარენკა აირჩია, ისინი ტახტზე დასვეს, და შემდეგ ისე აირ-დაირია ყველაფერი, რომ გადმოცემაც არ ძალმიძს. სიმღერები, ცეკვები, თამაში, შეხლა-შემოხლა, სატკაცუნები, ფერხული, გამასპინძლება და, ბოლოს, ბენგალური ცეცხლი, რისგანაც მთელ ღამეს და მეორე დღესაც სუყველას თავი სტკიოდა და გული ერეოდა.

მე უმეტესწილად ქვევით ვიჯექი, ბავშვებთან...

მეორე დღეს ყველანი ჩვენსა დარჩნენ. ორი ეტლიტ სასეირნოდ წავედით, აღგზნებულნი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ ვის გაუსწრებდა. საღამოს ბავშვებმა ათასგვარი თამაშობა მოიგონეს და მხოლოდ მესამე დღეს მოემზადნენ შინ წასასვლელად... გავაცილეთ მე, ლევმა და სერიოჟკა-უმცროსმა. მაგრამ გავედით თუ არა ველზე, ისეთი ქარი ამოვარდა, ყველანი უკან გამობ-

<sup>1</sup> ბაბერინის შემამულე.

რუნდნენ. ვისადილეთ, სერიოჟა გვიან გაემგზავრა. მაშენკა და გოგონები პიროგოვოში წავიდნენ“.

ამ მასკარადებში ჩვენ, ბავშვები, რასაკვირველია, არ ვმონაწილეობდით და საიდან უნდა მხსომებოდა.

ბევრი რამ, რაც აქამდე დავწერე, შემდგომ შევიტყუებოდა. მისი სხვა ახლობელი ადამიანებისაგან, ბევრიც სხვადასხვა წერილში ამოვიკითხე.

III

ჩემი თავი ძალიან ადრეული ასაკიდან მახსოვს. მაგრამ ხშირად ის, რაც მახსოვს იმ დროისა, ლამის ძუძუმწოვარა რომ ვიყავი, ჩემს გონებაში ენასკვება ახლობელთა ნაამბობს, ასევე — უცხო ხალხის მოგონებებსაც.

მამაჩემი თავის „პირველ მოგონებებში“ წერს, რომ მას საკუთარი თავი ახსოვს არტახებში გაკრული, ახსოვს, როგორ იტანჯებოდა თავისი უმწეობით, როგორ უნდოდა ხელები ამოეღო არტახებიდან, მაგრამ აბა რას გახდებოდა.

როცა ამ ადგილს ვკითხულობ, ყოველთვის მგონია, რომ მეც მახსოვს ჩემი თავი ამ ყოფაში — მახსოვს არტახებში მჭიდროდ გაკრული რომ ვიყავი, გაშეშებული თოჯინასავით, რომელსაც იღებენ, თავქვეშ ხელს ამოუდებენ, რადგან ერთადერთი ნაწილი სხეულისა, გადახრა რომ შეუძლია, კისერია — და რაღაც უხეშ, მაგარ საგანზე დებენ.

მაგრამ შესაძლებელია, ეს ყოველივე კი არ მახსოვს, არამედ ასეთი შთაბეჭდილება მრჩება და იმის გამო, რომ თვითონ ბევრს ვგადიობდი ჩემს მრავალრიცხოვან უმცროს ძმებსა და დებს, ხშირად, თვითონ ვკრავდი მათ არტახებში და ვუნანავებდი.

ყველაზე პირველი, ვინაც ნათლად მახსოვს და თანაც ნამდვილად — ეს გახლავთ ჩემი გადია მარია ათანასეს ასული არბუზოვა. მახსოვს მისი კეთილი, მრგვალი, ნაოჭებიანი პირისახე, სადად გადავარცხნილ თმაზე შავი აბრეშუმის არახჩინი, ყელზე მოხვეული თეთრი თავსაფარი და სახსარში გადაჭრილი მახინჯი სალოკი თითი.

სალამოს, ძილის წინ, მე და გადია საბავშვო ოთახის კუთხეში ვსხედვართ, არყის ხის ყვითელ ოთხკუთხა მაგიდასთან. მუხლებზე ვუზივარ, და იგი კოვზით მაჭმევს გემრიელსა და სურნელოვან რძიან უგრეხელის ფაფას.

ის ფაფა და ის რძე ბევრად უფრო სურნელოვანი და გემრიელია, ვიდრე ახლა მეჩვენება — თითქოს სხვა ფაფა და სხვა რძე ყოფილიყო. ხოლო როცა გადია სამზარეულოში ვერ ნახულობს უგრეხელის ფაფას, მაშინ რძეში გვიფშხენის ჭვავის პურს და გვაჭმევს ამ უბრალო შეჭამადს. და ეს შეჭამადიც ფაფასავით გემრიელია, ვგონებ — უკეთესიც. ალბათ ჩემთან ერთად მიირთმევდა ფაფას ჩემი ორი ძმაც, ჩემთან ერთად რომ იზრდებოდნენ, მაგრამ ისინი ამ ყოფაში არ მახსოვს.

ბავშვის გუმანით ვგრძნობ, რომ გადია საკუთარი სწრვილით გვაჭმევს. მშობლებს არ დაურთავთ ამის ნება, თვითონ მოიგონა, რადგან ჰგონია, რომ საკმარისად მაძლარნი არა ვართ.

ჩემი შემდეგი მოგონება გახლავთ მოსკოვს გამგზავრება მომაკვდავი პაპის სანახავად.

ეს გამგზავრება პირველია ჩვენთვის, ბავშვებისათვის.

სერპუხოვომდე ცხენებით ვიმგზავრეთ, რადგან იმ ხანებში სარკინიგზო გზა მოსკოვისაკენ სერპუხოვოდან იწყებოდა. იასნაია პოლიანადან სერპუხოვომდე ასიოდე ვერსი იქნება, რომელიც მარხილიანი დახურული ეკოდებით უნდა გაგვევლო.

ჩვენ, ბავშვები, გადიასთან ერთად დახუთულ საზიდარში ვსხედვართ, მშობლები კი — მარხილზე.

სამწლინახევრის სერიოჟა ჩემ გვერდით ზის და თავის მეგობარ, სოფლელ ზიჟუნა ნიკოლაზე წუხს. იასნაია პოლიანაში იგი იყო სერიოჟას ამხანაგი თამაშობის დროს და სერიოჟაც მოითხოვს, „კოპკა“, — ასე ეძახის იგი ნიკოლას, ჩვენთან ერთად წამოვიდესო. რომ დაემშვიდებინათ, უთხრეს, კოპკა უკან მარხილით მოდისო. ისიც დამშვიდდა, მაგრამ ზოგჯერ, თითქოს უნდა თავი დაირწმუნოს, ნაღდად მარხილით მოდისო, ღიმილით იმეორებს: „კოპკა უკან არის მარხილში... კოპკა უკან არის მარხილში“.

ბუნდოვნად მახსოვს სერპუხოვოს სასტუმრო. საზიდარში ხანგრძლივი ჯდომისაგან დაღლილმა, რაკი თავისუფლება ვიგრძენი, ისე გაშმაგებით დავიწყე დერეფანში სიბილი, რომ ვერავენ დამიჭირა და ვერ მაიძულა გავჩერებულყავ. საწოლი იატაკზე გავვიშალეს, რამაც ძალზე გამამხიარულა.

მოსკოვში მახსოვს ჩემი დამბლადაცემული პაპა ანდრეი ევსტაფის ძე ბერსი.

მახსოვს, რა შეშინებული და შემცბარი შემეყვანეს მის კაბინეტში — კრემლში.

გრძელი და ვიწრო ოთახის ბოლოში საწოლზე წევს პაპა, ახოვანი ბერიკაცი. ქალარა წვერი და ღია ცისფერი თვალები აქვს. უნდა მიჩვენოს, რომ მარცხენა ხელი წართმეული აქვს და ხელს მარჯვენა ხელის დახმარებით სწევს მალა. მარცხენა ხელი უსიცოცხლო და უმწეოა. ყურადღებით მივჩერებივარ, მაგრამ თან კიდევ მზარავს ამის ხილვა.

იქვე დგას დიდება — ლამაზი, მაღალი ქალი, მშვიდი და კეთილშობილური მიხვრა-მოხვრა რომ აქვს. იგი ჩემი ნათლიაა და მეც გამორჩეულად მიყვარს.

#### IV

ჩემს მეხსიერებას არ შემოუნახავს არც მოსკოვში ცხოვრებისა და არც უკან დაბრუნების ამბები. ჩემი მოგონებები მხოლოდ იასნაია პოლიანას ყოფიდან ამოტივტივდებიან.

უკვე ჩვენი გამზრდელი მარია ათანასეს ასული კი აღარ არის, არამედ ინგლისელი ქალი Hanna Tarsey<sup>1</sup>. მამაჩემმა იგი პირდაპირ ინგლისიდან გამოიწერა სამი ბავშვის — უფროსი შვილების აღმზრდელად. მისი აზრით, ყველაზე უკეთესი ლიტერატურა, განსაკუთრებით საბავშვო — ეს არის ინგლისური ლიტერატურა. სურდა, ინგლისური გვესწავლა და ეს წიგნები ორიგინალში წაგვეკითხა.

ჰანა იასნაია პოლიანაში მისმა დამ ჩენიმ ჩამოიყვანა, რომელიც ჩვენი

<sup>1</sup> ჰანა ტარსეი (ინგლ.).

ნაცნობი თავადის, ლვოვების, ოჯახში ცხოვრობდა და გუვერნიორობდა. ორივე და მამის ჩამოვიდა, როცა მამა მოსკოვს იყო, ხოლო დედა, რომელმაც თითქმის არ იცოდა ინგლისური ენა, ფრიდ შეატუნა ამ მოულოდნელმა სტუმრობამ.

„წარმოიდგინე, — სწერს იგი მამას 1866 წლის <sup>ქრონიკაში</sup> ~~ქრონიკაში~~ — რომ დღეს სადილობამდე უცაბედად გამომეცხადა ლვოვების წოწოლა ინგლისელი ქალი თავის დასთან — ჩვენს ინგლისელთან ერთად. რომ იცოდე, რა ცეცხლში ჩავვარდი, გონება მთლად ამერია და მღელვარებისაგან თავი ახლაც მტკივა. არ ვიცი, ყოველივე როგორ გადმოგცე? სწორედ ისეთია, როგორსაც ველოდი. ძალზე ახალგაზრდაა, საკმაოდ მომხიბვლელი, სასიამოვნო პირისაზე ღწვს. ის კი არაა — ძალზე კარგიც არის, მაგრამ ეს ორმხრივი უცოდინარობა ერისა — საშინელებაა. ამჟამად მისი და ჩვენსა ათევეს ღამეს, რადგანაც თარჯიმნობას გვიწევს, მაგრამ მერე რა იქნება — ღმერთმა უწყის. მთლად დამებნა თავგზა, განსაკუთრებით იმიტომ, შენ რომ არა ხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო“...

პირველ ხანებში ჩვენ ისევ ბავშვთა ოთახში ვიყავით ჩვენს მოხუც გადიასთან ერთად. ჰანა მარტო იძინებდა და მხოლოდ ღლისით წაგვიყვანდა ხოლმე თავის ოთახში.

დედა მეუბნებოდა, ჰანას არც ისე მალე შეეჩვიეთო. გამიძნელდა ჩემი მოხუცი გადიის დატოვება, თუმცა ვცდილობდი, ჰანასაც მოეწონებოდი.

დედა სწერს მამაჩემს: „ბავშვები გაიწაფნენ. ტანია ხელში ჰყავდა აყვანილი, სურათებს ათვალიერებდა, თანაც რაღაცას უამბობდა“... მაგრამ მერე საღამოს ბავშვთა ოთახში გადიასთან მივედი და ვერაგულად გამოვსჯავრე ჰანას, წარმოვადგინე, როგორ ლაპარაკობდა „ენგლისელი“, (ასე ვეძახდი ხოლმე). მარია ათანასეს ასული ხარხარებდა და ვბედავდი, როგორ მოსწონდა ჩემი ქილიკობა.

„ტანიუშას არ სურს, რომ ასე სწრაფად და იოლად ჩაუვარდეს ხელში უცხოს, — სწერს დედაჩემი მამას ჰანას ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, — იგი სულ ეჩხუბება, და საკმარისია წავიდე, რომ მესმის, ტანია ტირის, შემდეგ მომვარდება და შემომჩივლებს: „ენგლისელი ქალი მამბრაზებს...“

სინამდვილეში კი კეთილ ჰანას ფიქრადაც არ გაუვლია ჩემი წყენინება. მე მღლიდა, თავს ძალას რომ ვატანდი, მისი ნათქვამი რომ გამეგო, მასთან ყოფნა მიმძიმდა და თან მწყინდებოდა კიდევ. რადგან ასე ვიღლებოდი, ჩემდა უნებურად ვამბრაზებდი და ამიტომაც ვუჩიოდი. ვადიაც მეტისმეტად დარდობდა ჩვენზე.

„შენ რომ იცოდე, — სწერს დედა მამაჩემს იმავე წერილში, — როგორ დარდობს მოხუცი გადია, მებრალება და გული მტკივა, რომ ბავშვები მოვაშორე. ამბობს: თითქოს რაღაც დავკარგე, ისეთი დარდი მაწევს გულზეო.

მაგრამ ცოტაცოტაობით შევეჩვიეთ, და მე, რაკი მუდამ ერთი სურვილი მამოძრავებდა — ყოველთვის და ყველას მოეწონებოდი, თავდაპირველად ვცდილობდი მისი გულის მოგებას, შემდეგ კი გულითადად შევიყვარე.

მამისადმი მიწერილ ერთ წერილში დედაჩემი აღწერს, რა მონდომებით ვიმეორებდი მთელი დღის განმავლობაში ინგლისურ სიტყვებს, ჰანა რომ მას-

<sup>2</sup> ქვეყანა (ინგლ.).

წავლიდა, და რა კმაყოფილი იყო ჰანა, მერე კი ისე გამიტაცა ამ განმგებლობის სურვილმა, რომ უკვე დედაჩემის ნათქვამ რუსულ სიტყვებსაც ვიმეორებდი. მაგრამ საღამო ხანს უკვე მომბეზრდა ეს საქმიანობა და ისევ მოვინდომე ჩემი ნომეზორები „ენგლისელი“.

დედაჩემი თავს არ ზოგავდა, რომ გაერთო ჰანა და გაელამაზებინა მისთვის იასნაია პოლიანაში ცხოვრება. ეს მან ძალიან კარგად შეძლო.

ჰანას ჩამოსვლიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ დედამ ბავშვები და ჰანა მარხილით წაგვიყვანა სასეირნოდ და ამ სეირნობას ასე აღუწერს მამას: „თბილოდა... ჰანა ისე ბედნიერი იყო, რომ მარხილზე ხტოდა და იძახდა: „so nice“. — ეს ალბათ „კარგს“ ნიშნავს: აქვე მარხილში აგვიხსნა, რომ ძალიან ვუყვარვართ მეც და ბავშვებიც, რომ „country“ კარგია და რომ იგი „very nappy“<sup>3</sup>.

ჰანა და მისი და ჯენი, ვინაც ჩამოიყვანა ჰანა იასნაია პოლიანაში, ლონ-ლონის ვინძორის სასახლის მეზაღის ასულები იყვნენ.

ისინი კარგი, ღირსეული ქალიშვილები აღმოჩნდნენ, შრომისმოყვარენი, წიგნიერნი, კარგად იცოდნენ თავიანთი ენა და არათუ გაურბოდნენ და ერცხვინებოდნენ რაიმე სამუშაო, პირიქით — მიაჩნდათ, რომ შრომა აუცილებელი პირობა იყო ბედნიერებისათვის.

როდესაც ჰანამ თავისი სამშობლო დატოვა და შორეულ, მისთვის უცხო რუსეთში გამოემგზავრა, ცხრამეტი წლისა იყო. მან ერთი რუსული სიტყვაც არ იცოდა. ჩვენ კი ერთი ინგლისური სიტყვაც არ ვიცოდით. მე ჩემს მშობლიურ ენაზედაც კი ძლივს ვლაპარაკობდი... რა უნდა გვექნა, სხვა ხერხი უნდა გველონა. ღიმილს, ამბორს, გამომეტყველებას, ცრემლებს — არავითარი ენის ცოდნა არ სჭირდება და ყველა ხალხისათვის ერთი მნიშვნელობა აქვს და აი, პირველ ხანებში ურთიერთობის ამ ხერხს ვიშველიებდით.

ერთმანეთისადმი სიყვარულიც, ჩვენს სულებში რომ შთაინერგა და სამუდამოდ დარჩა, არც ინგლისური ყოფილა და არც რუსული, ზოგადსაკაცობრიო იყო და მან სამუდამოდ დაგვაკავშირა ჰანასთან.

ჩვენს ოჯახში, ფეხი შემოდგა თუ არა, ჰანამ იმ წუთიდანვე ისე დაიწყო ცხოვრება, თითქოს მთელი მისი წარსული სამუდამოდ უკან დარჩა, ხოლო ყველა მისი ცხოვრებისეული ინტერესი ჩვენს ოჯახს გადაეჭაჭვა.

მახსოვს, მუდამ მხიარული იყო, მუდამ მხნე, ხელში მუდამ ხელსაჭმე ეჭირა, ზამთარსა თუ ზაფხულში სუფთა, ღია ფერის ჩითის კაბა ეცვა და წინსაფარი ეკეთა.

მაშინ ფიქრადაც არ გამივლია გულში, რომ ამ ახალგაზრდა ლამაზ ქალიშვილს ზოგჯერ იქნებ მხიარულება სწყუროდა, იქნებ ოცნებობდა მისსავე ტოლებზე, მის თანამემამულეებზე, რომ ეგების ზოგჯერ უმძიმდა კიდევ მთელი წელიწადი რუსულ სოფელში ცხოვრება. მაშინ ძალზე პატარა ვიყავ, ამას რომ ჩავხედომოდი, ჰანა კი მეტისმეტად ამაყი გახლდათ, რომ გაემყლავნებინა თავისი განცდები, თუკი ასეთი წუთები მართლაც ჰქონდა...

ერთხელაც არ გვინახავს მოწყენილი, ერთხელაც არ გვსმენია დაეწუწუნოს მისთვის უცხო საარსებო პირობებისა გამო. პირიქით, ეს ქალი მუდამ ცდი-

<sup>3</sup> ძალზე ბედნიერი (ინგლ.).

ლობდა ცხოვრებაში რაც შეიძლებოდა მეტი სარგებელი და საამოცნება ხვდომოდა წილად.

პირველი, რაც მან წესად შემოიღო, ყოველდღიური აბაზანები იყო თვითვეული ბავშვისათვის. ამიტომ ინგლისიდან გამოიწერა რომელიმე დღესაც შემორჩა იასნაია პოლიანაში. შემდეგ ყურადღება მიაქცია იატაკის სისუფთავეს — მისი აზრით, ჩვენთან იატაკის წესიერად მორეცხვა არ იცოდნენ. იატაკის სარეცხი საგანგებო ჯაგრისებრიც გამოიწერა ინგლისიდან და ბავშვთა ოთახში თვითონ რეცხავდა იატაკს.

ინგლისიდან გამოიწერა ჩვენთვის ციგურები და სრიალი გვასწავლა. მაშინ ციგურები ხისა იყო და მხოლოდ პირი და ხრახნი — ჩექმის ქუსლში ჩასახრახნავი, იყო ფოლადისა. ციგურების ხის მასაში იყო ამოცმული ღვედები, ფეხზე ორ ადგილას რომ იკვრებოდა.

ბავშვები ყველანი სავსებით დაემორჩილდით მის ზეგავლენას და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვირწმუნეთ, რომ ყველაფერი, რასაც იგი გვიბრძანებდა, — ჩვენთვისვე იყო კარგი და ჩვენვე მოგვიტანდა ბედნიერებას.

ასეც იყო.

ჰანასთან ცხოვრების მთელი ხნის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი უსიამოვნება, ერთხელაც არ გავჭირვეულებულვართ და არც გავჯიუტებულვართ, თუმცა, ზოგჯერ ისეც მომხდარა, რაიმე არ დაგვიჯერებია, რადგან მე და ილია მეტად ცელქი ბავშვები ვიყავით და ზოგჯერ ისე გადავირეოდით, რომ ჩვენი შეკავება ძნელი იყო.

ზოგჯერ ისეც დამმართნია, რომ სიმართლეს გავქცევდით. ეს კი ჰანას გულს ტკენდა. თვითონ უჩვეულოდ მართალი ბუნების ქალი იყო და სერიოზულად — ჩემი უფროსი ძმა, მართალი ბავშვი გახლდათ. საკუთარ თავზე კი, ჩემდა სამარცხვინოდ, ამას ვერ ვიტყვი. თუმცა ვცდილობდი არასოდეს მეტყვა ტყუილი, მაგრამ ისე ცოცხალი, ეშმაკი და ქარაფშუტა გახლდით, რომ ხანდახან ჩემდა უნებურად, რაც მომადგებოდა ენაზე, იმას ვამბობდი; ამას, რასაკვირველია, არ ვიტყვოდი, წინასწარ რომ დავფიქრებულყავ. გარდა ამისა, ჩემი ცინცხალი წარმოსახვის უნარს ხშირად გადაყავდი ოცნებაში და მეც ისე ვყვებოდი ჩემს გამონაგონს, თითქოს ჭეშმარიტად მომხდარი ამბავი იყო.

მახსოვს, როგორ ატირდა ერთხელ ჰანა, როცა დარწმუნდა, რომ ტყუილი ვუთხარი. ამ ცრემლებმა ისე გამაოცა და ისე ძლიერად იმოქმედა ჩემზე, რომ ვერც ერთი დასჯა ასეთ შედეგს ვერ გამოიღებდა. აგერ უკვე სამოც წელს გადავაბიჯე, ეს ამბავი კი გუშინდელივით მახსოვს...

ჰანასი მჯეროდა, და რაკი სიხარულს მგვრიდა ის ამბავიც, რომ თავს უფლებას არ ვაძლევდი სიმართლე არ მეტყვა, ამიტომაც თანდათანობით გადავეჩვიე ტყუილების თქმას, რაც ბავშვებსა და უსწავლელ ადამიანებს სჩვევიათ. ვცდილობდი, მართალი ვყოფილიყავ, მაგრამ ზოგჯერ არ მიჯერებდნენ და ეს ამბავი მეტისმეტად მტკენდა გულს.

ერთხელ, აი, რა მოხდა: დედასთან ერთად ვმეცადინეობდით. დედას წამალი უნდა დაეღია და წამლის მოსატანად მის საძინებელ ოთახში გამგზავნა.

— წადი, ტანია, პაწია კიჭლა მომიტანე, შიგ ყავისფერი სითხე ასხია. სარკესთან დევს, — მითხრა მან.

გავიქეცი საძინებელში, მაგრამ ვერც სარკესთან, ვერც პატარა მაგიდაზე

ჭიკლა ვერ ვიპოვე. იძულებული გავხდი უკან გამოვბრუნებულიყავი/და მეტ-  
ქვა, წამალს ვერ მივაგენი-მეთქი:

— შენ ხომ ვერასოდეს ვერაფერს მიაგნებ, — მითხრა დედამ და/თვი-  
თონ წავიდა საძინებელში.

მეწყინა და მის დაბრუნებას თვალცრემლიანი და გულწრფელი  
დებოდი.

დედა დაბრუნდა და თან მოიტანა წვეთები, კარადაში ჰქონდა შენახული.

— შენ ჩაკბიჩე ლელვის ჩირი და მერე ჩემს სარკესთან ჩააგდე? — მკითხა.

— არა, მე არც არავითარი ლელვის ჩირი არ მინახავს სარკესთან.

— მაშ, რად აგდია მოკბეჩილი ნახევარი ლელვის ჩირით სავსე ტომრის  
გვერდით?

მე ხმას არ ვიღებდი.

— აბა, მოდი ჩემთან და პირი გააღე. თუ ლელვი შენი მოკბეჩილია, მაშინ  
პირში ლელვის წიპწები უნდა გქონდეს.

წყენისა და აღკრთებისაგან აჭარხლებული ცრემლს ძლივს ვიმაგრებდი,  
მივედი დედასთან და პირი გავაღე.

რასაკვირველია, ლელვის არავითარი წიპწა არ მქონია პირში; არ მიკამია  
და საიდან უნდა მქონოდა?!

მე ბოროტად ვხეიმობდი.

„განა ღირს სიმართლის თქმა, — ვფიქრობდი გულში, — თუკი მაინც არ  
დაგიჯერებენ?“

მაგრამ რომელიღაც შინაგანმა ხმამ მიპასუხა, რომ სიმართლეს არც დე-  
დის გულისთვის ვამბობ და არც პანას გულისთვის, და არც იმისათვის, რომ  
მერწმუნონ, არამედ იმიტომ, რომ რაკი ერთხელ შეიყვარე სიმართლე, მერე  
უკან დახევა და ტყუილის თქმა თვითონვე გიმძიმს და სამარცხვინო საქმედ  
მიგაჩნია.

## VI

იქნებ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, რომ მე, ჩემს ბავშვობას რომ ვიგო-  
ნებ, ვერ აღმზრდელებზე ვლაპარაკობ და საკუთარ მშობლებზე თითქმის არა-  
ფერი მითქვამს. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ დედა და მამა მახსოვს, როგორც  
ჩვენი არსებისაგან განუყოფელნი, რასაც თითქმის ვერ ამჩნევ; ადამიანი ხომ  
ვერ ამჩნევს ჰერს, რითაც სულდგმულობს, ასევე ვერ ვამჩნევდი ჩემს მშობ-  
ლებს.

განსაკუთრებით დედა ერწყმის მთელ ჩემს ცხოვრებას და იშვიათად გა-  
მოიკვეთება ცალკე სურათებად.

მახსოვს მუდამ საქმიანი; ხან რომელიმე ჩვენგანთან თავსატეხი რამ გას-  
ჩენია, გვასწავლის, ხან საოჯახო საქმეებზე დარბის, ხან სახელდახელოდ რა-  
იმეს გვიკერავს ფეხის საკერავ მანქანასთან მჯდარი — მამაჩემს ან რომელიმე  
ჩვენგანს, ხან კიდევ წამალს უწონის ვინმე ავადმყოფ სოფლელ დედაკაცს...

სალამოს, როცა საქმეს მოილევენ, ზოგჯერ დედა და მამა ფორტეპიანოს  
მიუსხდებიან და ოთხი ხელით უკრავენ. მაგრამ უფრო ხშირად დედა მის პა-  
ტარა საწერ მაგიდასთან მახსოვს, სასტუმრო-ოთახის კუთხეში.

ჩვეულებრივ, დღე ასე იწყება: გამოცხადდება გადია მარია ათანასეს ასუ-



ლი. იგი დგას დედაჩემის წინ. ხელები მუცელზე დაუკრეფია, თავი ოდნავ გადაუხრია გვერდზე და ისმენს ბრძანებებს, თუ რა არის საჭირო სახვალის სადილისათვის. რაც ჰანა ჩამოვიდა, იგი მნეს მოვალეობას ასრულებს.

შემდეგ დედა სოფელში კვერცხის, ქათმებისა და წიწილების ყიდვის თაობაზე ეთათბირება მას. ზოგჯერ გადაწყვეტენ, დილაუთენბა ტყულისა და ხაჭაპურის კაცი და გადიასაც მოაქვს ტულის სასურსათო წიგნაკი. დედა წერს კოლონიური მაღაზიისა და ხორცის ფარდულის წიგნაკში, რა სანოვაგე უნდა იყიდონ.

— სანთლები, სოფია ანდრეის ასულო, კალეტური სანთლები ხუთიოდ გირვანქა მაინც იქნება საჭირო, — ამბობს გადია.

საკმაოდ მოგვიანებით შევიტყვე, რას ნიშნავდა „კალეტური“ სანთლები. იყო კალეტის ქარხანა, სადაც ქონისა კი არა, სტეარინის სანთლებს ამზადებდნენ.

— არც ქონის სანთლის ყიდვა იქნება ურიგო, — მცირე შესვენების შემდეგ განაგრძობს მარია ათანასეს ასული, — თორემ საქალებოში უკვე სანთლის ნამწვიც აღარ დარჩა. მერედა ვინ იცის, რომელ ბუმვს როდის ასტკივდება ყელი. მე კი უკანასკნელი ნამწვი გუშინ კავეცი.

შეძრწუნებული ვისმენ ამ სიტყვებს. გული მეკრევა, როცა ვიგონებ, როგორ გვმკურნალობდნენ, თუ რომელიმე ჩვენთაგანს ან ყელი ასტკივდებოდა, ან ახველებდა. აი, გადია ვერცხლის სუფრის კოვზზე აღნობს ქონის სანთელს, ამრობს პატრუქს და დასალევად გვაწვდის ამ გადამდნარ ქონს. მეორე კოვზზე მკერდის, ყელისა და ფეხისგულეების დასაზელად აღნობს ქონს. დაზელის შემდეგ მტკივანი ყელი უნდა შეგვიხვიონ შალის წინდით, მაგრამ წინდა უსათუოდ მარცხენა ფეხისა უნდა იყოს.

როგორც კი გაისტუმრებს სასურსათო წიგნაკმომარჯვებულ გადიას, დედა მაშინვე იწყებს მამაჩემის ხელნაწერების გადაწერას. დიდხანს გრძელდება თუ ცოტა ხანს ეს საქმიანობა, ჩვენ არ ვიცით, რადგან როგორც კი მათ დავემშვიდობებით, მაშინვე დასაძინებლად მივდივართ, დედა კი ისე გაფაციცებული დასცქერის მამის ხელით დაწერილ ქაღალდის ფურცლებს, რომ მის პირისახეზე ძნელი არ არის ამოიკითხო — სწორედ ახლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა, თუმცა მოცლილი არასოდეს არის.

დამშვიდობებასაც ვერ ვასწრებთ, რომ მას უკვე ისევ დაუხრია თავისი ლამაზი, შავთმიანი, სადად გადავარცხნილი თავი და ახლომხედველი თვალებით ცდილობს გაარჩიოს მამის ხელნაწერის გადახაზული, ხოლო ზოგჯერ — სულ ერთთავად გადაჭრელებული გვერდები.

დილით მამის საწერ მაგიდაზე უკვე აწყვია სუფთათ და მკაფიოდ გადაწერილი ფურცლები, რომლებსაც მამა ისევ თავიდან ასწორებს, ან კიდევ მთელ გვერდებს ამატებს, მსხვილი, გაურკვეველი ხელით რომ არის დაწერილი. ამიტომ დედაჩემის მიერ წინააღმდეგობით გადაწერილი გვერდების უმეტესობა ზოგჯერ ხელის ერთი დაკვრით ნადგურდება.

საღამოს დედა ისევ ყველაფერს აწესრიგებს, მეორე დილით კი მამაჩემი ისევ ხაზავს და ასწორებს დაწერილს, თან ახალ გვერდებსაც უმატებს.

მრავალი, მრავალი დღე, ზოგჯერ — წელიც მუშაობდა მამა თავის ამა თუ იმ თხზულებაზე, თავს არ ზოგავდა, რათა რაც შეიძლება უკეთ შეესხა ხორცი თავისი ჩანაფიქრისათვის. მთელი თავისი ცხოვრება, ვიდრე არ გავიზარდე და მე არ შევცვალე, იშვიათი გამონაკლისის გარდა დედაჩემი ათეორებდა მა-

მის თხზულებებს. შემდეგ ეს საქმე მე განვაგრძე, მერე — ჩემმა დამ მამამ, ლოლო მამას შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, ჩვენმა უმცროსმა დამ — საშამ.

ხშირად მიდგას თვალწინ, როგორ მიდის მამა დედასთან, მხარს ზემოდან დასცქერის მის ნაწერს. აი, დედაჩემმა ხელი მოჰკიდა მის დიდ, ყველაფერს მარჯვენას და სიყვარულითა და მოწიწებით ეამბორა. მამამ კი ნაზად მარჯვენა ხელის თმაზე ხელი და თავზე აკოცა...

და ამას რომ ვუყურებ, ჩემს ბავშვურ გულში ორივეს მიმართ სიყვარულის ისეთი გრძნობა ღვივის, რომ მინდა ჭტურო და ორივეს მადლობა ვუთხრა, ასე რომ უყვართ ერთმანეთი, ვუყვარვართ ჩვენ და მთელი ჩვენი ცხოვრება სიყვარულის შუქში ვახვიეს.

ჩემი მეორე ძმა, ილია, მოგონებებში ასე აღწერს თავის დამოკიდებულებას დედისადმი:

„ოჯახში მთავარი დედაა. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. იგი უკვე თავს მზარეულ ნიკოლაის სადილს, ის გვიშვებს სასეირნოდ, იგი მუდამ აწოვებს ძუძუს რომელიმე პაწიას და მთელი დღე აჩქარებული ნაბიჯით მიმოდის სახლში. მასთან ჭირვებულობაც შეიძლება, თუმცა ზოგჯერ გულმოსულმა შეიძლება კიდევ დაგსაჯოს. დედამ ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის.

იცის, რომ ყოველდღე უნდა დაიბანო ხელ-პირი, სადილად წვნიანი უნდა ჭამო, უნდა ილაპარაკო ფრანგულად, უნდა ისწავლო, მუხლებით არ უნდა იხიხო, მაგიდას იდაყვით არ უნდა დაეყრდნო, და თუ მან თქვა, სასეირნოდ წასვლა არ შეიძლება, რადგან საცაა გაწვიმდებაო, უეჭველად ასეც მოხდება და უნდა დაემორჩილო. როცა მახველებს, ძირტკბილას ან „დანის მეფის“ წვეთებს მასმევს, და ამიტომაც ძალიან მიყვარს ხველება. აი, დედამ საწოლში ჩამაწვინა და მალა ავიდა მამასთან, რათა ერთად დაეკრათ ფორტეპიანო, მე კი დიდხანს, დიდხანს ვერ დავიძინე და გული დამწყდა, მარტო რომ დამტოვეს. ასე ხშირად მეორდება, ამიტომ დროდადრო ისეთ ხველებას ავიტებ და მანამდე არ დავმშვიდდები, ვიდრე გადია დედაჩემს არ შეატყობინებს. ბრაზი მახრჩობს, მოსვლას რად აგვიანებს-მეთქი.

და არასგზით არ დავიძინებ, ვიდრე დედა არ მოირბენს, არ ჩამისხამს სირჩაში ხველის წამალს, ზუსტად ათ წვეთს, და არ დამალევიანებს“.

## VII

სახლში მამაჩემის გავლენა დედის გავლენაზე უფრო ძლიერი იყო. ეს ყველამ იცოდა.

მამას უფრო იშვიათად ვხედავდით, მაგრამ მასთან შეხვედრა ან მისი მოსვლა ბავშვთა ოთახში ჩვენთვის მუდამ დიდი მოვლენა იყო.

მე იგი ჯერ ისევ ახალგაზრდა მახსოვს, წაბლისფერი, თითქმის წითური წვერი ჰქონდა, შავი, ოდნავ ხუჭუჭა თმა, ღია ცისფერი თვალები.

ეს თვალები ხან ლბილად, ალერსიანად, ხან მხიარულად, ხანაც — მკაცრად, გამომცდელად შემოგცქეროდნენ. დიდი იყო, ბეჭფართო, კუნთმაგარი. სწრაფად და მარტოდ მოძრაობდა.

მაშინ ჯერაც არ იყო ჭალარა, არც იმ ტანჯვისა და მწველი ცრემლების ნაკვალევი ემჩნეოდა, მოგვიანებით რომ დაუღარეს პირისახის ნაკვთები, როცა მარტოსული და დაძაბული ეძიებდა ცხოვრების აზრს.

მოხუცებულობაში გაჭალარავდა, მხრებში ნოიხარა, თითქოს უფრო დაბატარავდა და ნათელი თვალები უფრო ალერსიანი გაუხდა, უფრო ხშირად კი ნაღველი ჩაუდგებოდა ხოლმე ამ თვალებში.

ბავშვობაშიც და მერეც იშვიათად გვაძლევდა შენიშვნებს, მაგრამ თუკი რამეს იტყოდა, არასოდეს გვაფიწყებოდა და უსიტყვოდ გვახრებდა.

თუკი მოიცლიდა საქმეთაგან, ყველაზე მხიარული კაცი იყო, ვინც კი ოდესმე მცნობია. მასთან ყოფნას ყოველთვის სიხარული მოჰქონდა, გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე იწყებოდა რაიმე მეტად საგულისყურო და თავშესაქცევი. ასე მეგონა, სასიცოცხლო ენერჯის რაღაც ახალი ტალღა მოედინებოდა.

მე „ჩურკას“ მეძახდა და ეს მეტსახელი ფრიად მომწონდა, რადგან ასე მაშინ მომმართავდა, როცა მხიარულ გუნებაზე იყო და უნდოდა მომფერებოდა ან გამხუმრებოდა.

ის განსაკუთრებულად ძლიერი გრძნობა სიყვარულისა და თაყვანისცემისა, რასაც მამაჩემის მიმართ მთელი ჩემი ცხოვრება ვგრძნობდი, არასოდეს გამწვლავებია. იმისდა კვალად, რაც თვითონაც კარგად მახსოვს, ანდა სხვისგან გამოვიგია, მამაც მუდამ განსაკუთრებული სინაზით მექცეოდა.

მახსოვს, მუხლებზე დავუსკუბდებოდი და იღლიებსა და კისერში ვულიტინებდი. რაკი ღიტიჩისა ეშინოდა, დაიწყებდა ხარხარს, ყვიროდა და თავს იცავდა.

მე კი მსიამოვნებდა, რომ ესოდენ ძლიერი და ღირსეული პიროვნება, ვინც ყველაფერი ძალუძდა, ჩემს ხელთ იყო.

მხოლოდ ორი წლისა ვიყავი, როცა მამა კარგა ხნით მოსკოვს გაემგზავრა. და უკვე მაშინაც კი ვდარდობდი მის გამო. დედა სწერდა მოსკოვში მამას:

„აი, ახლა ტანია მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ჩამოიგეთ მამილო კედლიდან — შევხედავ“.

ორი დღის შემდეგ ისევ მისწერა:

„ისინი ხშირად მეკითხებიან შენს ამბავს, ტანიაშაც უცებ ღვთის გლახასავით შეიხედა სკამის ქვეშ და ძახილი დაგიწყო: მამილო, მამილო!“

1869 წელს, როცა მეხუთე წელიწადში ვიყავი გადამდგარი, მამაჩემი პენზაში გაემგზავრა მამულის სანახავად, რის ყიდვასაც აპირებდა. მაშინაც ძალიან ვდარდობდი.

„რომ იცოდე, რა ხშირად გახსენებს პაწია ტანია და რაებს ამბობს, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, გაგეხარდებოდა“, — წერს დედაჩემი. „მთელი დღე სულ შენ გახსენებენ: „ახლა ჩვენი მამილო ნეტა რას აკეთებსო, „ანდა ვფიქრობ ამ მანქანით ჩვენი მამილო მოდის“\* „ანდა „ვინ იცის, იქნებ უკვე ტულაშია ჩამოსული“. გუშინ თამაშობდნენ, ტანიაშცხენი მიადგა სავარძელს და მეუბნება: „აბა, ახლა უნდა გავეშურო პენზაში მამილოს ჩამოსაყვანად, თორემ დაუგვიანდა ძალიან“. შემდეგ ბავშვებმა თავი დაანებეს თამაშს, ის კი ჩაფიქრებული იჯდა, ცხენს მიერეკებოდა და ამბობდა: „ჯერ კიდევ შორი გზა მაქვს პენზამდე, მამილო უნდა ჩამოვიყვანო“.

ჩამოვიდოდა თუ არა მამა, ჩვენ უწინდებურად ბედნიერნი და კმაყოფილნი ვიყავით.

\* ისინია პოლიანას სახლის ფანჯრებთან მოჩანს რკინიგზა.

ერთი თამაში იყო, მამა რომ გვეთამაშებოდა და ძალიან გვიყვარდა. მისი გამოგონილი თამაში გახლდათ.

აი, რა თამაში იყო: მამა უცებ, სავსებით გაუფრთხილებლად, სახეზე შიშის დაიტყობდა და აქეთ-იქით დაიწყებდა ყურებას, ჩვენთან რომელიმე ორს გვტაცებდა ხელს და წამოვარდებოდა, ფეხისწვერებზე, ჩუმად, ჩუმად შიშის რებოდა, ცდილობდა არ ეხმაურა, გარბოდა და რომელიმე კუთხეში მიიმალებოდა, თან ხელიხელჩაკიდებული მიათრევდა იმას, რომელსაც მოიხელთებდა.

„მოდის... მოდის“... — შეშინებული, ჩურჩულით ამბობდა.

იმ სამიდან კი ერთი, რომლის წაყვანა ვერ მოასწრო, თვალის დახამხამების უმალ მივარდებოდა და ებლაუჭებოდა პერანგზე. ყველანი, ოთხივენი, შეშინებულნი მივიყუყუებოდით კუთხეში და გულაძგერებულნი ველოდით, „ის“ როდის გაივლიდა. მამა ჩვენთან ერთად ჩაცუცქულა ფეხის წვერებზე და ისეთი სახე აქვს, თითქოს დაძაბული უთვალთვალეებს ვიღაცას, თვალით უხილავს. მამა „მას“ თვალეებით აცილებს, ჩვენ კი ვსხედვართ უხმოდ ერთმანეთს მიკრულნი, შეშინებულნი, „იმან“ არ დაგვინახოს-თქო.

გულები ისე გვიძგერს, ასე მგონია, „მას“ შეუძლია გაიგონოს ეს გულის ძგერა და მოგვნახოს.

ასე დაძაბულ დუმილში გადის რამდენიმე წუთი. და აი, მამას პირისაზე უმწვიდდება, სიხარული ეფინება.

— წავიდა! — გვეუბნება „მასზე“.

ჩვენც მხიარულად წამოვცვივდებით და მამასთან ერთად ოთახებს დავივლით, რომ უცებ... მამა წარბებს ასწევს, თვალეებს გადმოკარკლავს, საშინელება ეხატება სახეზე და ჩერდება: თურმე „ის“ ისევ გამოჩნდა საიდანღაც.

— მოდის! მოდის! — ვჩურჩულებთ ერთად ყველანი და აქეთ-იქით ვაწყდებით, თავშესაფარს ვეძებთ, რომ დავემალოთ. ისევ მივიყუყუებთ რომელიმე კუთხეში და ისევ გულის ფანცქალით ველოდებით, ვიდრე მამა თვალეებით აცილებს „მას“. ბოლოს და ბოლოს, „ის“ ისევ მიდის; რაკი ვერ გვიპოვა, ისევ წამოვცვივდებით და ყველაფერი თავიდან იწყება, ვიდრე მამას არ მობეზრდება ყოველივე და ჰანასთან არ გაგვგზავნის.

ჩვენ კი ეს თამაში ალბათ არასოდეს მოგვბეზრდებოდა.

ასევე გვიყვარდა ერთი უბრალო მოთხრობის მოსმენა, ათასნაირ კილოზე რომ გვიამბობდა მამა, — ხმას ხან აუწევდა და ხან დაუდაბლებდა...

ეს იყო „შვიდი კიტრის ამბავი“.

იმდენჯერ უამბნია ეს ამბავი ჩემთვის ან კიდევ სხვა ბავშვებისათვისაც, ზეპირად მახსოვს. აი, ეს მოთხრობაც:

— ბიჭუნა ბოსტანში წავიდა. ხედავს, კიტრი შემოსულა. აი, ამოდენა კიტრი (თითებით გვაჩვენებს კიტრის სიდიდეს). აილო და ხაპ! — შესანსლა. (ამას ყველა მშვიდად, მაგრამ ხმამაღლა).

— მიდის ბიჭუნა, მიდის და რას ხედავს? — მეორე კიტრი ძევს, აი, ამოდენა კიტრი, მან ისიც — ხაპ და შესანსლა (აქ ხმა ცოტა უფრო ძლიერად უღერს).

— ისევ განაგრძო გზა, აგერ მესამე კიტრიც ძევს, — აი, ამოდენა კიტრი (და მამამ თითებით ნახევარი ადლი შემოხაზა). მან ესეც ხაპ — და შესანსლა. შენდევ მეოთხე კიტრი დაინახა — აი, ამოდენა კიტრი! — ისიც — ხაპ და შესანსლა.

და ასე გრძელდება, ვიდრე შვიდივეს გადასანსლავდეს, — მამა ხმას თანდათან უმაღლებს, აბოხებს.

— მიდის ბიჭუნა და ხედავს, მეშვიდე კიტრი ძევს. აი, ამოდენა კიტრი (და მამაც შლის ორსავე მხარეს ხელებს, სანამდეც მიუწვდება). ბიჭმა აიღო და — ხაპ! ხაააპ! და შესანსლა.

როცა გვიჩვენებს, როგორ ჭამდა ბიჭუნა მეშვიდე კიტრს, მისი კბილო პირს იმოდენაზე აღებს, რომ შიში გვიპყრობს, თან ხელებითაც გვანიშნებს, რა ვაივაგლახით იჩრიდა ხახაში ბიჭუნა მეშვიდე კიტრს...

და ჩვენც, სამივენი, თვალმოუშორებლად შევცქერით, უნებურად მასავე ვაბჩენთ პირს და ვსხედვართ ასე პირდაღებულნი კარგა ხანს.

კიდევ მამასთან ერთად დილაობით ვატარებდით დროს მხიარულად. როცა ჩაიცვამდა, მის კაბინეტში მივდიოდით სავარჯიშოდ. მას ერთი ოთახი ჰქონდა, ამქამად ის ოთახი აღარ არის; ოთახს ორი ბოძი ამშვენებდა, ამ ბოძებს შუა რკინის ლარტყა იყო დატანებული. ყოველ დილით ამ ლარტყაზე ვვარჯიშობდით.

შვედურ ტანვარჯიშსაც ვასრულებდით. ჩვენი მეთაური მამა იყო.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — და ჩვენც ვძაბავდით ჩვენს პატარა კუნთებს და ხელებს მასთან ერთად ვიშვერდით წინ, გვერდზე, ზევით, ქვევით, უკან.

მამა მეტისმეტად ძლიერი და მარჯვე კაცი იყო და თვითველ ბავშვს უჩვეულო ფიზიკური ძალა გამოგვცა.

ვარჯიშის შემდეგ მამა „სამეცადინოდ“ მიდიოდა და ამ დროს არავის აძლევდნენ ნებას, მასთან მისულიყო და შეეწუხებინა. მეუბნებოდნენ, რომ მხოლოდ ერთს მე მქონდა უფლება და მამა მხოლოდ მე მრთავდა ნებას, მასთან მივსულიყავი. მაგრამ ეს მე არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის ამბავი, რომ მამისა სიცოცხლის ბოლომდე მეშინოდა. ვშიშობდი—ხელი არ შემეშალა მისი ფიქრების მდინარებისათვის, მის აზრებს მუდამ პატივს ვცემდი, რადგან მეტად საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნდა.

ბავშვობაში გუმანით ვგრძნობდი, რომ ისეთი ადამიანი, როგორც მამაჩემია, არ შეიძლება წვრილმანი საქმიანობით იყოს გართული. ხოლო მოწიფულობის წლებში, როცა მის მოღვაწეობაში ემონაწილეობდი, მივხვდი და ვაღიარე ამ მოღვაწეობის მნიშვნელობა.

„მამა ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანია. მანაც ყველაფერი იცის, მაგრამ მასთან ჭირვეულობა არ შეიძლება“, — წერს ჩემი ძმა ილია თავის მოგონებებში მამასთან დამოკიდებულებაზე.

„ხოლო როცა იგი თავის კაბინეტში ზის და „მეცადინეობს“, არ უნდა იხმაურო, არც მასთან შესვლა შეიძლება. რას აკეთებს, როცა „მეცადინეობს“, არ ვიცი. მოგვიანებით, როცა კითხვა დავიწყე, გავიგე, რომ მამა „მწერალი“ იყო.

ეს ასე მოხდა: რომელიღაც ლექსები მომეწონა. დედას ვკითხე, ეს ლექსები ვინ დაწერა—მეტეჩი? მიპასუხა, პუშკინმა დაწერა და პუშკინი უდიდესი მწერალიაო. გული დამწყდა, მამაჩემი ასეთი რად არ არის—მეტეჩი. მაშინ მითხრა დედამ, შენი მამაც ცნობილი მწერალი არისო. ამ ამბავმა ძალზე გამახარა.

სადილობის დროს მამა დედას პირდაპირ ზის და თავისი მრგვალი ვერცხლის კოვზი უჭირავს. როცა დედაბერი ნატალია პეტრეს ასული (ტატიანა ალექსანდრეს ასულთან რომ ცხოვრობდა) ბურახს დაისხამს თავისთვის, მამა

აიღებს ტიქას და სწრაფად შესვამს, შემდეგ კი მოუბოდიშებს: მამაკითხეთ, ნატალია პეტრეს ასულო, უნებურად მომივიდაო, — ჩვენ ყველანი ფრიად გამოფილები ვართ და ვიცინით, თან გვიკვირს, რომ მამას სულაც არ ეშინია ნატალია პეტრეს ასულისა, ხოლო როცა „შაქარლამას“ კისელი გვაქვს, მამა ამბობს, რა კარგი იქნებოდა პატარ-პატარა ყუთების დასაწებებლად ჩვენი ყუთები. დედა ბრაზობს, მაგრამ მამას არც მისი ეშინია. ზოგჯერ ძალზე გამხიარულდება.

იგი ყველაზე უკეთ ზის ცხენზე, ყველაზე სწრაფად დარბის და მასზე ძლიერი არავინ არის.

მამა თითქმის არასოდეს გვსჯის, ხოლო როცა თვალეში მიყურებს, ყველაფერს ხვდება, რასაც ვფიქრობ და შიში ამიტანს ხოლმე.

მე შემოდლია ტყუილი ქუთხრა დედას, მაგრამ მამას ვერასოდეს ვეტყვი, რადგან მაინც მიმიხვდება, ამიტომაც მას არავინ და არასოდეს ეუბნება ტყუილს“.

ილიასავით, არც მე მეპარება ეჭვი, რომ მამა ყველაზე ჭკიანი, სამართლიანი და კეთილია ამქვეყნად და რომ იგი არასოდეს შეცდება.

მახსოვს, მხოლოდ ერთხელ, წამიერად გამიჩნდა ეჭვი მის უცოდველობაზე. მაგრამ მაშინვე გავამართლე, უსათუოდ აქვს რაიმე ჩემთვის უცნობი მიზეზი, რის გამოც სწორედ ასე მოიქცა და არა სხვაგვარად-მეთქი. ეს ამბავი ასე იყო:

ერთხელ ჩეპიეიდან შინისაკენ მომავალს ვკიდე თვალი (ჩეპიეი ჩვენა სახლის ახლოს მდებარე ძველი მუხნარია). მაღალყელიანი, საჭაობე ჩექმები გცვა, ცალ მხარზე თოფი ეკიდა, მეორეზე — იაგტაში.

გავიქეცი და მივეგებე. პაწია ხელი სალოკ თითზე ჩავავლე და ასკინკილით მოვეყვები. მაგრამ რაღაც შეწუხებული ჩანს, ხელიდან თავისი თითი გამომაცალა.

— მოიცადე, ჩურკა, მოიცადე, — მეუბნება და ჩერდება. გავჩერდი და ვუყურებ, რა უნდა ქნას-მეთქი. ვხედავ, იაგტაშიდან ნატყვიარი, მაგრამ ჯერაც სულთმობრძავე ტყის ქათამი ამოიღო. უფართხალებდა ხელში. მამამ ფრთა გამოაძრო და სადღაც, თავის არეში შეარქო. ტყის ქათამი უკვე აღარ ფართხალებდა და მამამ ისევ ჩადო იაგტაში!

ეს ჩემთვის შემზარავიც იყო და შესაზიზლიც. თავზარდაცემულმა შევხედე მამას. როგორ ქნა ასეთი რამ?

მამამ ვერც შეამჩნია ჩემი შემოხედვა და ალერსიანად შემესიტყვა. მე გაოგნებული ვიყავი.

„რაკილა მან ასე გააკეთა, — ვფიქრობ გუნებაში, — ალბათ ისეთი არაფერია...“\*

### VIII

ზოგჯერ მამასთან სტუმრები ჩამოდიოდნენ. უმეტეს წილად ესენი ჭკვიანი ადამიანები იყვნენ, ვისთანაც მამა მნიშვნელოვან, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ საკითხებზე ბჭობდა.

\* (საბოლოოდ მამამ არათუ სავსებით მიანება თავი ნადირობას, არამედ უკვირდა როგორ შეგძლოდა ფრანგულბასა და მხეცების დაბოცვა და როგორ ვერ ვხედავდი ამ გასართობის მთელ სისასტიკეს).

მათ შორის იყვნენ: პ. ფ. სამარინი, ა. ა. ფეტ-შენშინი, თავადი ს. ს. ურუ-  
სოვი, გრაფი ა. პ. ბობრინსკი და სხვები.

ისინი ჩვენ, ბავშვებს, თითქმის არ გვაქცევდნენ კურბანებს, ჩვენ კი  
გვიყვარდა მათი თვალთვალი და თვითუფსუხვად ვაფასებდით.

პ. ფ. სამარინს საკმაოდ გულგრილად ვუცქეროდით. მამა ყოველთვის სე-  
რიოზულ საგნებზე ესაუბრებოდა, ხოლო ზოგჯერ კიდევ ეკამათებოდა ჩვენ-  
თვის უცხო და გაუგებარ რამეებზე. ასეთ საუბრებს „სიტყვის უმაღლეს ხა-  
რისხს“ ვეძახდით და ვიცოდით, რომ მათი გაგება ჩვენს ძალ-ღონეს აღემა-  
ტებოდა.

მხოლოდ ერთხელ ძალზე ცხოველი მონაწილეობა მივიღეთ მამაჩემისა და  
სამარინის კამათში, დოლის ცხენების ავკარგიანობაზე დავობდნენ. მამა არწმუ-  
ნებდა, ველის ცხენები სიმარდით ინგლისურ ცხენებს არ ჩამოუვარდებიანო.  
სამარინი კი ზიზღით უარყოფდა ამ აზრს.

მამამ შესთავაზა, თუ გნებავთ, სანაძლეო დავდოთო. მამას თავისი ველის  
ცხენი უნდა გამოეყვანა დოლში, სამარინს კი — თავისი ინგლისური.

ჩვენ, რასაკვირველია, მთელი სულითა და გულით მამის მხარეზე ვიყავით,  
მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და გაგვაწბილა: სამარინის ინგლისურმა, ჰაუ, როგორ  
გაუსწრო ჩვენს ბაშკირულ ველის ცხენს...

ფეტი მაინცდამაინც არ გვყვარებია. არ მოგვწონდა მისი გარეგნობა: პა-  
ტარა, უწამწამებო შავი თვალები, დაწითლებული ქუთუთოები, დიდი, ვეჟანი,  
კაუჭა ცხვირი, თოჯინასავით პაწაწა, სათუთი, თეთრი გრძელფრჩხილებიანი  
ჩელები, ასეთივე პაწია ფეხები, ზედ პატარა მაღალყელიანი ფეხსაცმელები  
რომ ეცვა. დიდი მუცელი და მულოტი თავი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ვერა-  
ფერი მიმზიდველი პიროვნება იყო.

გარდა ამისა, ფეტს ჩვეულებად ქცეოდა, საუბრისას სიტყვები გაბმით  
წარმოეთქვა და სიტყვებს შორის ზმუილის მსგავსი ბგერები ამოეშვა. და-  
იწყებდა ზოგჯერ რაღაც ამბის თხრობას, იქნებ სასაცილო ამბავიც იყო, მაგ-  
რამ ისე ძალიან აჭიანურებდა და ისე ხშირად წყვეტდა თხრობას და ზმუოდა,  
რომ მოთმინება აღარ გყოფნიდა ბოლომდე მოგესმინა. ამიტომ, საბოლოოდ  
აღარც ამბავი გამოდიოდა სასაცილო.

ჩემს მშობლებს იგი ძალზე უყვარდათ. იყო დრო, როცა მამაჩემი მას  
თავის ნაცნობთაგან ყველაზე ჰკვიანად მიიჩნევდა და ამბობდა, ფეტის გარ-  
და არავინ მყავს, ვისაც ასე ძალიან ესმოდეს ჩემი და ვისაც შეუძლია მიმი-  
თითოს, რა არის ცუდი ჩემს ნაწერებშიო.

„აი, ამიტომაც გვიყვარს ერთმანეთი, — წერდა მამაჩემი ფეტს 1867 წლის  
27 ივნისს, — რომ ერთნაირად ვაზროვნებთ გულის გონებით, როგორც თქვენ  
ამბობთ ხოლმე“.

„ზოგჯერ მახრჩობს დაუკმაყოფილებელი სურვილი — გვერდით მყავდეს  
ღვიძლი, თქვენი მსგავსი ადამიანი, — წერს იგი მეორე წერილში 1869 წლის  
30 აგვისტოს, — რათა გადაეუშალო ყოველივე, რაც გულში დამიგროვდა“.

1876 წლის 29 აპრილით დათარიღებულ წერილში მამა სწერს ფეტს, როცა  
გავემზადები „იქით“, ე. ი. საიქიოს გასამგზავრებლად, თქვენ მოგიხმობთო. „იმ  
წუთებში მე ისე არავინ დამჭირდება, როგორც თქვენ და ჩემი ძმა. სიკვდილის  
წინ ძვირფასი და სასიხარულოა იმ ადამიანებთან თანაზიარობა, რომლებიც  
ამქვეყანადაც მის საზღვრებს მიღმა იხედებიან. ჩემთვის უცებ ამა თუ იმ შე-

უჩინველ თვისებათა მიხედვით ნათელი შეიქნა თქვენი უარესად მონათესავე სული — ბუნება, განსაკუთრებით სიკვდილთან მიმართებაში: მე უცვლად ვაფასებ ჩვენი დამოკიდებულება და გაცილებით მეტად, ვინემ ოდესმე/ ვუფრთხილდები მას“.

მე და ილიას გვაოცებდა, მამა ესოდენ დიდად რომ აფასებდა ერთხელ ერთად ბევრიც ვიცინეთ პატივცემულ ათანასე ათანასეს ძეზე.

ერთ საღამოს ბავშვები დარბაზში ცალკე მაგიდასთან ვისხედით და რაღაცას ვაწებებდით, „დიდები“ კი ჩაის შეეჭყეოდნენ და საუბრობდნენ.

ჩვენამდე აღწევდა ფეტის სიტყვები, თავისი გულისგამაწვრილებელი ხმით რომ აღმოთქვამდა, — დიდი მომთხოვნი არა ვარ და სულ იოლად შემძლია ძალზე მცირედით დაგკმაყოფილდეთ.

— მომეციოთ მე კარგი კომბოსტოს სუბი და უგრეხელის ფაფა. მმმ... და სხვა არაფერი... მომეციოთ ხორცის კარგი ნაჭერი... მმმ... და მეტი არაფერი... მომეციოთ... მმმ... კარგი საწოლი და სხვა არაფერი...

და კიდევ დიდხანს, თან რომ ზმუოდა სიტყვებს შორის, ფეტი ასახელებდა მისი კეთილდღეობისათვის ყველა აუცილებელ საგანს, მე და ილია კი, განცალკევებულ მაგიდასთან მსხდარნი, ერთმანეთს იდაყვს ვკრავდით, ძლივს ვიკავებდით ყელში მომდგარ სიცილს და ჩურჩულით ვამატებდით, ჩვენი მხრივ, კიდევ სხვა აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს.

— მომეციოთ თითო კოლოფი კამფეტი დღეში, სხვა არაფერი, — ჩურჩულებდა ილია და სიცილისაგან იგუდებოდა.

— მომეციოთ კარგი მარცვლოვანი ხიზილალა და ერთი ბოთლი შამპანური, მეტი არაფერი, — კვერს ვუკრავდი მეც ჩურჩულით.

ფეტთან ერთად ჩამოდოდა მისი მეუღლე — სათნო, კეთილი მარია პეტრეს ასული, ჩვენ იგი უფრო მეტად გვიყვარდა, ვიდრე მისი სახელოვანი ქმარი. ეს ქალი ყოველთვის და ყველასთან ალერსიანი იყო, თავმდაბლობას, შემწყნარებლობასა და სიკეთეს აშუქებდა.

ორივეს მიმართ სიცოცხლის დასასრულამდე შევინარჩუნეთ მეგობრული დამოკიდებულება, ხოლო როცა გავიზარდე, მე შევიყვარე ჭეშმარიტი პოეტური ნიჭი ათანასე ათანასეს ძისა და ვისწავლე, როგორ უნდა დამეფასებინა მისი ყოვლისმომცველი გონება.

თავის სტუმართან, ა. პ. ბობრინსკისთან, მამა მუდამ უჩვეულო სიფიცხით კამათობდა რელიგიურ საკითხებზე.

ნახსოვს ერთხელ ჩვენი სახლის წინ, ხეების ჩრდილში სკამზე დამჯდარი მამა ისე გააღმასებული ეკამათებოდა მას რელიგიაზე, რომ შემეშინდა. მე, რასაკვირველია, მამაჩემის მხარეს ვიჭერდი, თანავუგრძნობდი არა იმიტომ, რომ გამეგებოდა ან მომწონდა, რასაც იგი ლაპარაკობდა, არამედ, უბრალოდ, იმიტომ, რომ მიმაჩნდა, მამა არ შეიძლება შეცდეს-მეთქი. მაგრამ ბობრინსკიც მეუბრალეობდა, მამა ესოდენი გაშმაგებით რომ ესხმოდა თავს. სულ ახლახან მეუბნებოდა ბობრინსკი, დაახლოებით შენი ხნის გოგონა მყავს, სახელად მისი ჰქვია და მინდა, გაგაცნო. ამაზე ისე გულით ვოცნებობდი, რომ შემეშინდა. მამაჩემთან ჩხუბის შემდეგ თავისი ქალიშვილის ჩამოყვანა არ გადაიფიქროს-მეთქი.

მაგრამ მამაჩემის ყველა სტუმარი როდი იყო ჭკვიანი და მამაჩემს საზეო, ჩვენთვის გაუგებარ საგნებზე როდი ეკამათებოდა. მასთან ჩამოდოდა ჩვენი



მეზობელი თ. ვ. არსენიევიც, ვისთან საუბარიც ყოველთვის უფრო ატბრალო და ჩვენთვის გასაგები იყო. ამიტომაც, თუ იმის გამო, რომ ნიკოლენკა არსენიევი მუდამ ყურადღებას მაქცევდა, მე იგი ძალიან მიყვარდა. ახალგაზრდა, ლამაზი, მხიარული ჭაბუკი იყო. ყოველთვის, როდესაც ჩამოვიდოდა ჩვენთან თავისი მამულიდან, სუდაკოვოდან, როცა კი შემეძლო, სასტუმროში ვიჯექი, „დიდებთან“, ქუსმენდი ნიკოლენკას და თვალს არ ვაშორებდი.

მახსოვს ერთხელ იმ დროს ჩამოვიდა, როცა მამა არყის ხის ნერგების დასარგავად მიდიოდა. ნიკოლენკა თან წაიყვანა. ჩემდა სასიხარულოდ, ნიკოლენკამ ითხოვა, ბავშვებიც თან წავიყვანოთო და ჩვენც წავედით არყის ხეების დასარგავად.

ახლა უკვე ეს ნარგავები — ძველი არყნარია, ე. წ. აბრამოვის ტყეა, და როცა ეტლით ჩავუქროლებ ან შორიახლოს გავისეირნებ, ყოველთვის ვიგონებ, რა მონდომებით ვრგავდი მამაჩემისა და ნიკოლენკას ხელმძღვანელობით ნორჩ არყის ხეებს, პაწია, სურნელოვანი, წებოვანი ფოთლები რომ უბზინავდათ.

— აი, გაიზრდები და აქ სოკოების საკრეფად მოხვალ, — მითხრა მამაჩემმა.

ერთხელ ნიკოლენკა ჩვენსა სტუმრად იყო, ყველანი სასტუმრო ოთახში ვისხედით. საღამო ხანი იყო და როგორც კი ჩვენი დაძინების დრო მოახლოვდა, პანამ ბავშვთა ოთახში წამიყვანა. გული მეტკინა, ნიკოლენკას რომ უნდა დავშორებოდი, მაგრამ სხვა რა ღონე მქონდა, არ შეიძლებოდა პანას არ დამორჩილებოდი.

დაბანა თუ არა სერიოზა აბაზანაში, პანამ უმცროს-უფროსობის რიგი დაიცვა და მის შემდეგ მე ჩამსვა, გამისაბნა თავი და წუთით გვერდზე გადგა, რათა სუფთა წყლით სავსე დოჭი აეღო გადასავლებად. უცებ თამამი აზრი მომივიდა, დრო ვიხელთე, პანა ჩემკენ ზურგით რომ იდგა და ელვის სისწრაფით ამოვხტი აბაზანიდან. თვალის დახამხამებაში სასტუმროში ამოვყავი თავი, თან ვზადავზა იატაკზე სველი ფეხისგულების ნაკვალევს ვტოვებდი.

სასტუმრო ოთახის შუაგულში გავჩერდი ნიკოლენკას წინ, დიდის ამბით გავშალე ხელები და აღმოვთქვი:

— აი, მე, ტანია!

არ ვიცი, რა იფიქრა მან შიშველი ტანის დანახვაზე, წყალი წურწურით რომ ჩამოსდიოდა, ხოლო საბონი, გათქვეფილი ნალებიჭით რომ ეკიდა თავზე, ეს კი ვიცი, შეძრწუნებულმა და თავზარდაცემულმა დედამ ხელში ამიტაცა, ანომილლიავა და პანასკენ გამაქანა. პანა უკვე გამორბოდა ჩემს ნაკვალევზე.

— ღმერთო ჩემო! ამისგან რა ადამიანი უნდა დადგეს? — ამბობდა თავზარდაცემული დედა.

## IX

მე და პანა იასნაია პოლიანას სახლის ქვედა ოთახში ვცხოვრობდით. ადრე, ჯერ კიდევ მამაჩემის ბავშვობაში ეს სახლი ერთ-ერთი ფლიგელი იყო, დიდი სახლის ორსავ მხარეს რომ იდგა. ამ სახლში დაიბადა მამაჩემი. იმ უძველეს ხანაში თაღებიანი ოთახი საცხოვრებელი არ ყოფილა, საკუჭნაოდ იყენებდნენ ყოველგვარი სურსათ-სანოვავის შესანახად. ამ ოთახს ჭერში დატანებული

ქმონდა დიდი რკინის რგოლები, აქამდე რომ შემორჩენილა. უწინ ამ რგოლზე პკიდებდნენ ლორს, გამხმარ ბალახს, გამხმარ სოკოს, ხილსა და სხვა სოფელურ მარაგს.

დიდი სახლი, სადაც დაიბადა ჩვენი ბებია ტოლსტაია, სადაც მანამდე და თავისი ბავშვობა და ყრმობა გაატარა მამამ, დაშალეს და რქვანა დაქვანა კიდევ მამაჩემის დაქორწინებამდე. იგი იასნაია პოლიანადან ოცდახუთიოდე კილომეტრზე გადაიტანეს და ისევ დადგეს, როგორც ადრე იდგა სოფელში.

1913 წელს მამული, სადაც ეს სახლი იდგა, გლეხებს მიჰყიდეს. მათ დაშალეს უზარმაზარი სახლი, ერთმანეთში გაიყვეს და ძეღურები აიშენეს.

როდესაც ახალგაზრდობაში ეს დიდი სახლი გაყიდა, მამა თავის აღმზრდელ დეიდასთან, ტატიანა ალექსანდრეს ასულთან და იასნაია პოლიანის სხვა მობინადრეებთან ერთად ერთ-ერთ ქვის ფლიგელში გადავიდა საცხოვრებლად.

ამავე ფლიგელში მოიყვანა მამამ თავისი ახალგაზრდა ცოლიც.

ამ სახლში დავიბადეთ და თითქმის მთელი ცხოვრება გაატარეთ მეც და ჩემმა მრავალრიცხოვანმა და-ძმებმა.

ამ ფლიგელს ჩემს მახსოვრობაში მიაშენა მამამ წინა ოთახი და კაბინეტი და ზედ უზარმაზარი დარბაზი დააშენა, ხოლო კარგა ხნის შემდეგ დედამ ბრძანა „დაენგრიათ დაბალი ფიცრული მინაშენი, სახლის საპირისპირო მხარეს რომ მიყუჟულიყო, და იმავე ადგილას დაადგმევინა მამაჩემის აგებული დარბაზის ოდენა მინაშენი.

სამივე უფროსმა შვილმა ბავშვობა ჩვენი სახლის ქვედა სართულის ოთახში გავატარეთ.

ეს ოთახი ქვის კონქით ორ მცირე და დიდ ნაწილად იყო გაყოფილი: მცირეში ჰანა ცხოვრობდა, ხოლო დიდში — ჩვენ, სამნი: სეროჟა, ტანია და ილიუშა.

ჩვენში უფროსი სეროჟა იყო, ჩუმი, დინჯი, მიმნდობი და მართალი ბიჭუნა. კეთილი და გულიანი ბავშვი იყო. რატომღაც მუდამ რცხვენოდა სინაზის ყოველგვარი გამოვლენისა, თითქოს რაღაც დანაშაული ყოფილიყოს და მუდამ გაურბოდა თავისი გრძნობების გამჟღავნებას.

თამაშის დროს იგი არ იყო ისე საინტერესო და მზიარული, როგორც ილია. წარმოსახვის უნარი აკლდა, სწრაფად ვერ ჩახვდებოდა ხოლმე თამაშის არსს და მხარს ისე ვერ აგებამდა, როგორც მე და ილია ვახერხებდით. საკმარისი იყო სულ ოდნავი მინიშნება და ილია არათუ გაიგებდა, არამედ თავის მხრივ შეავსებდა კიდევ თამაშს. მეც ასეთივე ვიყავი — ჩანაფიქრი და ვაგება ერთი იყო.

სეროჟა უმეტეს წილად მარტო თამაშობდა. ერთი თოჯინა ჰყავდა, ხატულა ცისფერთვალეებიანი, შავი ფაიფურისებური თმა უბზინავდა. ამ თოჯინას ეენი დაარქვა ჰანას დის პატივსაცემად, რომელიც ძალზე უყვარდა. სეროჟა მუდამ მარტო ეთამაშებოდა თოჯინას და მე და ილიას ხშირად გვინაბავს, როგორ ეჩურჩულებოდა თავის ეენის.

— ილია, წადი ერთი, მოუსმინე, რას ელაპარაკება, — ვაქეზებდი მე.

— შემამჩნევს, — მეუბნებოდა ილია და, მართლაც, როგორც კი შეამჩნევდა სეროჟა, მითვალთვალებნო, შეცბუნდებოდა, გაჩუმდებოდა, ეენის გვერდზე გადასდებდა, და თავს ისე დაიჭერდა, თითქოს ზედაც არ ვუყურებო.

სეროჟას შემდეგ მე დავიბადე.

ჩემთვის ძნელია საკუთარი თავის აღწერა. ვინც მიცნობდა, მკუბნებოდა, რომ ძალიან ცოცხალი ცელქი და მხიარული გოგონა ვიყავი, დიდი ხნით კედელს, ზოგჯერ თითლიბაზიც.

ჯერ სულ ცეროდენა ბაღი ვყოფილვარ, როცა ჩემი მამის მხატვრობით ერთობოდნენ, რომ მსუბუქად მიმარტყმევინებდნენ ხოლმე მხატვრობის კედელზე. მე კი თავს გვერდზე გადავაგდებდი, თვალეზე ხელს ავიფარებდი და თავს მოვიკატუნებდი, მეტკინა და ვტირი-მეთქი.

— ა-ა-ა! — ვწრიპინებდი მე.

ბიძაშვილებს მოსწონდათ ეს გასართობი და მანამდე არ მომეშვნენ, სანამ ერთხელ ისე მაგრად არ მიმახეთქეს კედელს, რომ სიმწრისგან მართლა ავტირდი.

ისიც მიამბეს, სერიოზუს კუკუდამალობანას რომ ვეთამაშებოდი, თურმე თავს მოვიკატუნებდი, აქაოდა ვერ ვხედავო, არადა, იგი ყველას დასიანხად იჭდა ფორტეპიანოს ქვეშ და გულუბრყვილოდ მიცქეროდა, ზურგზე ხელებდაწყობილი როგორ გავაპარებდი თვალს მისკენ და ეშმაკურად ვიმეორებდი:

— აქაც არ არის! ნეტავ სად დაიკარგა!

ჩემს შემდეგ ილია დაიბადა. იგი წლინაბევრით არის ჩემზე უმცროსი. — ჯანსაღი, ლოყებლაყლაყა ბავშვი იყო, მხიარული, ფიცხი ბუნებისა და ფხუციანი. მაგრამ სიზარმაცე და რამდენადმე სუსტი ნებისყოფა ხელს უშლიდა აქტულებინა თავი და გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო ან თავი შეეკავებინა მისგან, რაც ეკრძალებოდა...

სეირნობისას მუდამ უკან ჩამოგვრჩებოდა ხოლმე. ხშირად უფროსები გავერთობოდით და სულ დაგვაავიწყდებოდა, რომ კუდში მოჩანჩალებდა ჩვენი უმცროსი გოდორა ძმა — ილია. უცებ უკნიდან ღრიალი შემოგვესმოდა.

— თქვენ მე არ დამელოდეეთ! — ღრიალებდა იგი.

ჩვენ უკან გავრბოდით, ხელს ჩავკიდებდით და ერთხანს ასე მოგვეყავდა, მაგრამ შემდეგ ისევ გაგვიტაცებდა ხილის კრეფა, სოკოები ან სხვა რამ და ილია ისევ ჩამოგვრჩებოდა.

— თქვენ მე არ დამელოდეეთ! — ისევ ღრიალებდა სასოწარკვეთილი ილია.

ილიას შემდეგ სამი წელი გავიდა და დაიბადა ლიოვა, ხოლო შემდეგ — მაშა. ეს ორნი გადიასთან ერთად ზევით ცხოვრობდნენ. „Little ones“<sup>1</sup>, მათ ასე ეძახდნენ. ისინი თითქმის არ მონაწილეობდნენ ჩემი, სერიოზუსა და ილიას ცხოვრებაში.

## X

იმ დროს, ჰანასთან ერთად დაბლა ოთახში რომ ვცხოვრობდით, ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა და ისე ცოცხლად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ ახლაც შემიძლია ამ შემთხვევის ყოველი წვრილმანი აღვწერო.

<sup>1</sup> პატარები (ინგლ.).

ერთხელ ღამით, როცა ყველანი იწვნენ და ეძინათ, დავინახე ჩემი საწოლის მოპირდაპირე მხარეს, ოთახის ბოლოში როგორ გაიღო კარი და შემოვიდა... მგელი.

უკანა თათებზე იდგა და ისე მოდიოდა, ღამის იატაკს გარტყმით დატოვებულსოვს, მოკლე შარვალი ეცვა და, იქნებ, ქურთუკიც, ჰოდა, ქურთუკებშიც და ბანჯგვლიანი მკერდი დავუნახე. თვალები დავაჭყიტე, შიშისგან ღამის გონი დავკარგე. მეშინოდა ან ძმებისთვის დამეძახნა ან ჰანასთვის, ვაითუ მგელმა შენამჩნიოს-მეთქი. თანაც მთელი არსებით მწამდა, რომ რომელიმე მათგანი ვაიღვიძებდა. მაგრამ მათ ეძინათ, მესმოდა რა თანაბრად და მშვიდად სუნთქავდნენ.

ჩვენმა ბნელმა, გრძელმა ოთახმა, ქვის თაღოვანი ჭერი და შიგ დატანებული მძიმე რკინის რგოლები რომ ჰქონდა, სანახევროდ წყვდიადმა, მძინარე ადამიანების თანაბარმა სუნთქვამ და ჩემკენ ჩუმად მომავალმა მგელმა ძაწოლით აავსო ჩემი, სული.

„იქნებ ჩემთან არ მოდის და არც ჩემს წასაყვანად“, — გავიფიქრე, მაგრამ რაღაც იღუმალის ხმა მეუბნებოდა, რომ სწორედ ჩემთან მოდიოდა და სწორედ ჩემს წასაყვანად.

თითქოს იატაკზე მოცურავსო, მგელი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ჩემს საწოლს. მე სული გავკმიდე, თვალები დავხუჭე და უცებ... ჰოი, საშინელებავ, ვიგრძენი როგორ ამიყვანა საწოლიდან და შიშისაგან გაბევებული ხელში დამიჭირა.

ისევე ჩუმად, როგორც მოვიდა — კარისკენ იბრუნა პირი, ჩაუარა მძინარე ილიას, სეროიყასა და ჰანას.

რაღაცის თქმა მინდა, მაგრამ არ შემიძლია, კრინტის დაძვრაც არ ძალმიძს, რათა ვინმე გავაღვიძო... მაგრამ რაც შემიძლია ძალ-ღონეს ვიკრებ და მთელი გულთა და სულით ვევედრები, დამტოვე ან ისევე საწოლში ჩამაწვინებ-მეთქი.

„აბა, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, — გონებაში ვევედრები მგელს, — გთხოვ, გემუდარები, მობრუნდი უკან“.

სულ წინ და წინ მივცურავთ. აი, კარსაც მივუახლოვდით, მაგრამ ჰოი, ბედნიერებავ! მგელი უცებ შემობრუნდა უკან... და ისევე ჩამატარა მძინარე სეროიყას, ილიას, ჰანას გვერდით, მიმიყვანა ჩემს საწოლთან და ჩამაწვინა...

რა მოხდა შემდეგ — როგორ წავიდა, როგორ ჩამეძინა, არაფერი მახსოვს...

რაღა თქმა უნდა, არაფითარი მგელი არ ყოფილა. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ან მესიზმრა ან წარმოვიდგინე. მაგრამ ეს ხილვა ისე მკათიო იყო, რომ დღემდე თვალწინ მიდგას მისი ყოველი წვრილმანი, თითქოს ყოველივე ცხადში მომხდარიყოს.

მგელი, მე რომ მეზმანა, გოეთეს „რეინივე მელას“ კაულბახისეულ ნაბატს პგავდა. მამაჩემს ბიბლიოთეკაში ამ წიგნის საუკეთესო გამოცემა ჰქონდა. ძალზე მიყვარდა ამ სურათების თვალღერება. იქნებ ამიტომაც ჩამებეჭდა მეს-სიერებაში.

მაგრამ მაშინ ეს შემთხვევა არც სიზმარი იყო ჩემთვის და არც ზმანება, კეშმარტი სინამდვილე იყო.



იქვე, იმავე თაღებიან ოთახში გაცხდით სამივენი ქუნთრუშით ავად. გადამდები სენი არისო, რის გამოც ანლა ადამიანები მარტო მარტო უნდა, არამედ ზოგჯერ შკაცრადაც იქცევიან, მაშინ ამაზე არაეინ ფიქრობდა.

ქუნთრუშა გლეხის ბავშვებისაგან გადაგვედო. — ნაძვის ხეზე გვყავდნენ მოპატიუებულნი. იმ ზამთარს სოფელში ქუნთრუშა ძლიერ იყო მოდებული. არცთუ სავსებით გამოჯანსაღებული მრავალი ბავშვი გვეწვია საახალწლო ნაძვის ხეზე. ზოგჯერ კანი ხელთათმანივით ძვრებოდა ტანზე და სამივენი იმით ვერთობოდით. ომ ხელებიდან ვაცლიდით ამ აქერცლილ კანს. და აბა რა გასაკვირია, თუკი სამივეს გადაგვედო და ისე სწრაფადაც, რომ ვერ მოვასწარით ყველა ნუგბარის შექმა, რაც საჩუქრად მივიღეთ, ვერც მოტანილი სათამაშოებით ვიჯერეთ გული, სამივენი ლოგინში ჩავწექით.

ილიას მსუბუქად მოჰკიდა ბელი, სერიოყას უფრო მაგრად, მე კი — კინალამ მოვკვდი. დედა მიამბობდა, თურმე რამდენიმე დღე უგონოდ ვყოფილვარ და ყველას ეშინოდა, ვერ გადაიტანსო.

ჩემს საწოლთან ორნაირი სასმელი იდგა — თეთრ ღვინოგარეული წყალი და მურაბიანი წყალი. მე თურმე წამოვხტებოდი საწოლიდან და სწრაფად და მოკლედ მოვჭრიდი: „თეთრი“ ან „წითელი“ და მრავალი დღე, ამ სასმელების გარდა ხემსი არ ჩამსვლია პირში.

იმხანად სხეულის სიცხის საზომი თერმომეტრები არ არსებობდა, არც რაიმე გასინჯვა-გამოკვლევა გავგონა ვინმეს. ექიმებიც ცოტანი იყვნენ და ამიტომაც იშვიათად თუ მოიწვევდნენ ხოლმე ექიმს. ელოდებოდნენ, როდის ჩავივლიდა ავადმყოფობა; ავადმყოფს ტანს თბილი პროვანსული ზეთით უზელდნენ, სითხეს ასმევდნენ და სხვა დანარჩენი ღმერთის ნება-სურვილზე იყო მიხედობილი.

მახსოვს, როგორ ვიგრძენი მცირეოდენი შეება. ვწევარ ჩემს საწოლში და ნეტარება მეუფლება.

ჩემი საწოლის გვერდით ილიას საწოლი დგას, იქით კი — სერიოყასი. ისინიც წვანან, მოდის მამა და ჩემს საწოლთან ჯდება.

— აბა, როგორ ხარ, ჩურკა? თავს იკატუნებ, თითქოსდა ავად იყო, ხომ? — მეუბნება იგი. ისე ნახად მიყურებს, რომ ვგრძნობ, შემიძლია ვთხოვო, რაც მომესურვება. მაგრამ სათხოვნი არაფერი მაქვს. ვწვდები მის დიდ, ძლიერ ხეშეშ ხელს და არათითიდან საქორწინო ბეჭედს ვაძრობ. ის არ მიშლის და ისევ ნაზი ღიმილით მიცქერის. ბეჭდით მანამ ვითამაშე, სანამ ხელიდან არ გამისხლტა და ისე შორს არ შეგორდა, რომ ვერაეინ მიაგნო. მამას საყვედური არ უთქვამს, მოთმინებით ელოდა. ვიდრე აგაფია მიხეილის ასულმა არ იპოვა ბეჭედი რომელიღაც ხერელში.

როცა უკეთ შევიქენით, საახალწლო ტკბილეული და სათამაშოები გადმოგვცეს. ჩვენც ერთი საწოლიდან მეორეში გადავინაცვლებდით ხოლმე და სტუმრობანას ვითამაშობდით. ხან ილიას ვესტუმრებოდით, ხან სერიოყას, ხანაც — მე მეწვეოდნენ. აქვე იყო ჩვენი კეთილი ჰანა, იგი გვივლიდა. ხშირად მოდიოდა დედა, ზოგჯერ — მამაც და ძალზე ბედნიერნი ვიყავით.

XII



ქუთურუშა რომ შეგვეყარა, კიდევ ერთი ადამიანი გვევლებოდა თავზე, ვისზედაც უსათუოდ უნდა გიამბოთ, რადგან მას დიდი ზეგავლენა ჰქონდა არა მარტო ჩვენზე, ბავშვებზე, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენი ოჯახის ცხოვრებაშიც.

ეს გახლდათ აგაფია მიხეილის ასული, პაპაჩემის დედის, პელაგია ნიკოლოზის ასული ტოლსტაიას ყოფილი მოახლე, ხოლო შემდგომ ძაღლების „გუფერნანტი“, — ასე ეძახდნენ ხოლმე.

გამხდარი, მაღალი დედაბერი იყო, რომლის ამაყი და გოროზი პირისახის კეთილშობილურ ნაკვთებს ჯერაც შემორჩენოდა ძველი სილამაზის ნაკვალევი.

იგი ბოლომდე გაუთხოვარი დარჩა; ალბათ არ სურდა თავისი ცხოვრება მეორე ადამიანისათვის დაექვემდებარებინა. რაკი ახალგაზრდა შინაყმა იყო, სურდა თუ არა სურდა, ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდა თავის ქალბატონს და ისიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. როცა დასნაია პოლიანას პატრონი მამაჩემი გახდა, მან აგაფიას მოჯალაბეებთან მისცა სადგომი, პენსია დაუნიშნა. უეჭველია, მისი ამაყი სული დაინდო „არა-ეითარი მოვალეობა არ დაუქისრებია, თავის ნებაზე მიუშვა, რათა რაც სურდა, ის ეკეთებინა.

აგაფია მიხეილის ასულს ამბების მოყოლა უყვარდა: როცა მამათქვენის შინაყმა ვიყავი, ვილაცას ჩემი ყიდვა სდომნია და სანაცვლოდ წყვილი მღევარი ძაღლი შეუთავაზებია, მაგრამ მამათქვენმა არ ინდომაო.

— ძაღლები კი ჯიშინები იყვნენ, — ამბობდა და თან მიგანიშნებდათ აქაოდა, ძაღლების ფასი მეც გამეგებაო.

საჯალაბოში რომ გადმოვიდა, აგაფია მიხეილის ასულმა ჯერ ცხვრის მოვლა დაიწყო, შემდეგ საძაღლეში გადაბარგდა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ძაღლებს უვლიდა.

აგაფია მიხეილის ასულს მარტო ძაღლები როდი უყვარდა — მისთვის ყოველი ცოცხალი არსება სიყვარულისა და თანაგრძნობის ღირსი იყო. ისეთ საზიზღარ მწერებსაც კი არ ანადგურებდა, აბანოს ჭიები და ბაღლინჯოები რომ არიან, უფრო მეტიც — ბრაზობდა, როცა სხვები აკეთებდნენ ამას მისი თანდასწრებით. იგი ამ მწერებს არათუ კლავდა, არამედ კვებავდა კიდევ ცხვრის ხორცი კი, მას შემდეგ, რაც ცხვრებს უვლიდა, პირში არ ჩაუდვია.

„ერთი თავუნა ჰყავდა, — წერს თავის მოგონებებში ჩემი ძმა ილია, — მოდიოდა ეს თავუნა, როცა იგი ჩაის სვამდა და მაგიდაზე დაყრილ პურის ნამცეცებს მიირთმევდა.

ერთხელ ბავშვებმა თვითონ დავუკრიფეთ მარწყვი, ყულაბიდან 16 კაპიკა ამოვიღეთ გირვანქა შაქრის საყიდლად და ერთი ქილა მურაბა მოვუხარშეთ. აგაფია მიხეილის ასული ფრიად კმაყოფილი დაგვჩა და მადლობა გადაგვიხადა.

— უცებ, — გვიამბობდა აგაფია, — ჩაის დალევა მომინდა, ავიღე მურაბიანი ქილა და რას ვხედავ, ქილაში თავგია. ამოვუყვანე, რის ვაი-ვაგლაბით გავბანე თბილი წყლით და ისევ მაგიდაზე დავსვი.

— შერე მურაბა?

— მურაბა გადავლევარე. თაგვი ხომ უწმინდურია, მერე რათა შეძამევედა?!“  
 ზოგჯერ, როცა მთელი ჩვენი ოჯახი ზამთრობით მოსკოვში მიემგზავრებოდა, მამა კი მარტო რჩებოდა რასნაია პოლიანაში ან მოსკოვში ჩამოვიდოდა დროებით, რომ დაესვენა, მისთვის მძიმე ქალაქურგულ-სამუშაო მუშაობა, აგაფია მიხეილის ასული ყოველთვის მოდიოდა საჯალაბოდან ჩვენს სახლში, ერთად უსხდნენ სამოვარს და რაზე არ საუბრობდნენ.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ახსენებს მამა ამ ქალს დედისადმი მიწერილ წერილებში და ყოველთვის — კეთილი გრძნობით.

„ახლა აგაფია მიხეილის ასული შენზე მიაშობდა და გამამხიარულა, — წერს იგი 1882 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში, — ეს კარგი იყო. მისი ნაამბობი ძაღლებსა და კატებზე სასაცილოა, მაგრამ როგორც კი აღამიანებზე მიდგება — გული შეგიწუხდება: ეს კარდაკარ დადისო, იმას ავი ზნე სჭირსო, ის ჭლეჩიანიაო, იგი გათანგული წევსო, იმან ბავშვები მიატოვაო“.

სხვა წერილებში წერს:

„ჩაი მზად არის და აგაფია მიხეილის ასული ზის ჩემთან“.

„მოვიდა აგაფია, ღობე-ყორეს მიედო და ახლა წავიდა“.

„აგაფიამ კარგად მომიტხრო ძველი ამბები — ჩემი ამბები გადავიწყებული რომ მქონდა. თურმე რა საზიზღარი ბატონიშვილი ვყოფილვარ“.

„ისევ მარტო ვისადილე, ისევ აგაფია „*toujours avec un nouveau plaisir*“\*.

„მთელი საღამო აგაფიას ქოშებს ვუკერავდი... იყვნენ დ. ფ. და აგაფია მიხეილის ასული და ხმამაღლა ვკითხულობდით „წმინდანთა ცხოვრებას“.

„ახლა საღამოა, ექვსი საათი. აგაფია ჩემთან ზის“.

„დღეს რვაზე ავდექი, გავარკვიე საქმეება, მივედი აგაფიასთან“.

უკანასკნელად მამა აგაფიას ახსენებს დედისადმი გაგზავნილ, 1890 წლის ნოემბრით დათარიღებულ წერილში. „ახლა ცხრა საათია, სასეირნოდ ვიყავ, სიჩუმეა, თბილი თოვლი დევს, აგაფიასთან შევიარე“.

როცა პატარა გოგონა ვიყავი, ხშირად შევირბენდი ხოლმე აგაფიასთან, რათა მელაყბა, მელაქლაქა და ჩემი საყვარელი ძაღლები მენახა. აგაფია მიხეილის ასული მიაშობდა ძველ ამბებს, პაპაჩემის დედის ამბავს; აგაფია მისი „სეფექალი“ იყო — ასე ეძახდა იგი თავის თანამდებობას.

— ასე ნუ მიყურებთ, ახლა რომ ასეთი საშინელი ვარ, ჯეელობაში მზეთუნახავი ვიყავი, — გვიამბობდა იგი, — ვთქვათ, იჯდა გრაფინია აივანზე თავის სტუმრებთან ერთად, დიდ სახლში. უცებ ცხვირსახოცი დასჭირდება, და მიძახებს «*Фатёр-де шажёр, аппортс мршуар де пош*»\*\*. მე კი: «*Тутсит, мадам, ля коитес*»\*\*\*. ბატონები კი მიყურებენ და მიყურებენ, მიყურებენ და მიყურებენ.

ვსხედვართ მე და აგაფია მიხეილის ასული, ვსაუბრობთ, იქვე, ოთახში კი ძაღლები მიმოდიან. კუთხეში ახალ ჩალაზე თითქმის მუდამ წევს რომელიმე ძაღლი, რომელსაც განსაკუთრებით სჭირდება აგაფიას მოვლა და მეურვეობა.

ვეკითხებოდი ჩემი დიდედის — მარია ნიკოლოზის ასულის, მამაჩემის

\* როგორც ყოველთვის, სიამოვნებით (ფრანგ.).

\*\* მომიტანე ცხვირსახოცი. (დამახინჯ. ფრანგ.).

\*\*\* ახლავე, გრაფიანი (დამახინჯ. ფრანგ.).

დედის ამბავს. მაგრამ მას ცოტა რამ შეეძლო ეამბნა, რადგანაც ტოლსტოების ყმა იყო, ხოლო დიდდაჩემი თავადის ასული ვოლკონსკაია გახლდათ. ავსტრიამ მხოლოდ ის მითხრა, დიდდაშენი ნასწავლი ქალი იყო და ლანძღვა-გინება არ იცოდაო.

ეცდილობდი, რაც შეიძლება მეტი გამეგო დიდდაჩემის ამბავს. მამა მის ხსოვნას მუდამ სიყვარულითა და მოკრძალებით ინახავდა. აგაფია მეუბნებოდა, გარეგნობით მას გავხარო. და ეს ძალზე მახარებდა, თუმცა ამბობდნენ, შეუხედავი ქალი იყო. ამის შემოწმება შეუძლებელია, რადგან ერთი სურათიც არ დარჩენილა მისი, მხოლოდ პატარა, შავი სილუეტია შემორჩენილი.

„მამას თავისი დედილო არ ახსოვდა, — წერს ჩემი ძმა ილია მოგონებებში, — იგი გარდაიცვალა, როცა მამაჩემი ორი წლისა ყოფილა და თავის დედაზე მხოლოდ ის იცოდა, რასაც მისი ახლობლები უამბობდნენ.“

ამბობენ, პატარა ტანის ქალი ყოფილა, შეუხედავი, მაგრამ უჩვეულოდ კეთილი და ნიჭიერი; დიდრონი, ნათელი და შუქიანი თვალები ჰქონია.

გადმოცემის თანახმად, იგი ისე ყვებოდა ზღაპრებს, თურმე ბადალი არ ჰყოლია და მამა ამბობდა, ჩემს უფროს ძმას — ნიკოლაის მისი ნიჭიერება დაჰყვარო.

არავისზე არ ლაპარაკობდა მამა ისეთი სიყვარულითა და მოკრძალებით, როგორც თავის „დედილოზე“. მის არსებაში იღვიძებდა რაღაც განსაკუთრებული განწყობა, ლბილი და ნაზი, მისი სიტყვებიდან ისეთი პატივისცემა გამოსჭვიოდა დედის ხსოვნისადმი, რომ ჩვენ იგი წმინდანად გვესახებოდა.

თავისი მამა კარგად ახსოვდა მამაჩემს, რადგანაც ცბრა წლისა ყოფილა, როცა გარდაცვლილა. მამას ისიც უყვარდა, ყოველთვის მოკრძალებით ლაპარაკობდა მასზე, მაგრამ იგრძნობოდა, რომ უცნობი დედის ხსოვნა მისთვის უფრო ძვირფასი იყო და დედა მამაზე ბევრად უფრო უყვარდა.

მაგრამ ისევე აგაფიას დავუბრუნდები.

მახსოვს, ერთხელ მასთან მივედი. ვხედავ, კუთხეში წევს მამას საყვარელი შავ-თეთრი მწვევარი მილკა. მილკა თითქმის მთლიანად დაუფარავს აგაფიას ახალ, დალიანდაგებულ ხალათს, სულ ცოტა ხნის წინათ დედამ რომ შეუკერა. ძალღი თითქოს გრძნობსო, რომ მეტიმეტად დიდი პატივი მიაგეს, ჩემკენ იწვდის თავის გრძელსა და წვრილ დრუნჩს, მიყურებს მშვენიერი შავი თვალებით, შეშფოთება ჩაგუბებია მზერაში. ხალათქვეშ, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ძალღის კუდი უნდა იყოს, ხალათი ირხეჭა. დროდადრო ჩამოცურდება და ვხედავ უამრავ თვალაუხეღელ, ბომბორა ლეკვს: ზოგი ძუძუს სწოვს, ზოგს სძინავს, ზოგიერთები კი დედის შორიახლოს ფუთფუთებენ, დროდადრო ცხვირს რგავენ ჩალაში. მილკა თავს აბრუნებს მათკენ და შეწუხებული ათვალეებს თავის წვრილშვილს.

მენანება დედაჩემის შრომა. ვხედავდი, საათობით, მხრებში მოხრილი როგორ ჩასჩერებოდა თავისი ახლომხედველი თვალებით საქსოვს, ხალათს ალიანდაგებდა. და უცებ, ეს ხალათი ძალღს ახურავს! მაგრამ დედა ამას შეჩვეულია. ეს ხომ პირველად არ ხდება! რამდენი ქვედა კაბა, კოფთა, ხალათი შესწირა ძალღებს. თვითონ აგაფია მიხეილის ასულს კი ისეთი დაგლეჯილი კოფთა აცვია, ზედა პირი ისე გასცვეთია, რომ მისგან თითქმის არაფერი დარჩენილა და მხოლოდ დალიანდაგებული ბამბა მოჩანს, ყველგან ნაფლეთებად რომ ჰკიდია.



მკერდი და ყელი მოუღვლია. გრძელი ყელი აქვს, დაძარღვული. მკერდი — პერგამენტისფერი, მუქი; უბეში უყრია თამბაქოს ნაფხვენები, დროდადრო რომ ყნოსავს ხოლმე. სქელი ჭალარა თმა გასწეწია, ჩამოშლილი ჭალარა წარბებიდან ქვიანი, გამჭრიახი თვალები შემოგცქერიან.

ერეკლე

— რა სამბობთ, პაწია გრაფის ასულო, — მითხრა მან, — მითხრა თქვენში გულისტკივილი ვუთხარი ხალათის გამო, — რაო, ეთომ ხალათი ღვთის გაჩენილ ცოცხალ არსებაზე ძვირფასია?

არ შემეძლო არ დავთანხმებოდი და ამიტომ არც შევწუხებულვარ, მაგრამ გადავწყვიტე დედისთვის არ მეთქვა მისი ნახელავის ბედის თაობაზე.

აგაფია მარტო ძალღებს როდი უვლიდა. მშვენივრად იცოდა ავადმყოფების მოვლაც და როცა ჩვენს ვანზე შეუძლოდ შეიქნებოდა, ჩვეულებრივ, აგაფიას შევატყობინებდით. მშვიდად და მოთმინებით ათენებდა იგი მთელ ღამეებს ავადმყოფის საწოლთან, ყველას მონდომებით და სიამოვნებით უვლიდა. სხვათა შორის, ჩვენს მოურავს ალექსეი სტეფანეს ძესაც, მამას ყოფილ კამერდინერს, აგაფია ადგა თავზე, როცა იგი იასნაია პოლიანას ფლიგელში კვდებოდა. მრავალი დღე და კვირა გაათენა აგაფიამ მის სასთუმალთან. ძალიან უყვარდა ალექსეი სტეფანეს ძე და ხშირად ესაუბრებოდა ყველაზე საგულისხმო საკითხებზე.

უბრალო ხალხს არ ერიდება სიკვდილზე როყიო ლაპარაკი. ჰოდა, ერთხელაც აგაფიამ თავის მომაკვდავ მეგობარს ყველასთვის გარდაუვალ აღსასრულზე ჩამოუგდო სიტყვა „ისინი იმაზე მარჩიელობდნენ, სამძიმოა თუ არა ეს გადასვლა სხვა ცხოვრებაში, და აი, როცა ცხადი გახდა, რომ აღსასრული მოახლოვდა, აგაფია მიხეილის ასულმა მათი ადრინდელი საუბარი შეახსენა მომაკვდავს და ჰკითხა, კარგად თუ გრძნობთო თავს.

— მერედა რა კარგად! — უყოყმანოდ მიუგო ალექსეი სტეფანეს ძემ. მისი სიკვდილის შემდეგ აგაფია მიხეილის ასული ძალიან დარდობდა. „გუშინ აგაფია მიხეილის ასული დიდხანს იჯდა და ტროდა, — სწერს მამა დედაჩემს, — დარდობდა უცნაურად, როგორც ყოველთვის, მაგრამ გულწრფელად: „ლევ ნიკოლოზის ძეც, გეთაყვა, მითხარი რა ვქნა? მეშინია, რომ ქვუანზე არ შევიშალო. მივალ შუმიხასთან\*, მოვეხვევი და ავტირდები: „აღარ არის შუმიხა, ჩვენი საყვარელი“ და ა. შ. და ტირის“.

მას აქეთ, რაც აგაფია მიხეილის ასული მახსოვს, მუდამ იმას ჩიოდა, ტანში არყის ხე მეზრდებაო. როცა ჯანმრთელობის ამბავს ვკითხავდი, მუდამ შუბლს შეჭმუხნიდა, თავს გადააქნევდა და ისე მიპასუხებდა:

— არყის ხე, პატარა გრაფის ასულო, სულ უფრო და უფრო იზრდება, სულის მოთქმა მიჭირს...

არც მაშინ ვიცოდი და ახლაც არ ვიცი, სჯეროდა თუ არა, რომ მართლაც არყის ხე ეზრდებოდა სხეულში, მაგრამ ბავშვობაში მე კი მჯეროდა და გუნებაში ტფიქრობდი, თუკი არყის ხე უფრო და უფრო გაიზრდება, საბოლოოდ კენწერო გარეთ უნდა გამოეყოს-მეთქი და ერთმანეთში აღრეული ცნობისმოყვარეობისა და შიშის გრძნობით ველოდი არყის ხის გამოჩენას.

შემოდგომისა და ზამთრის გრძელ ღამეებში ეს მარტოხელა ქალი ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე, შამფურივით ტრიალებდა ამ არყის ხის გამო და გარს უცნაური ფიქრები ეხვია.

\* მონადირე ძალღი.

— აი, ერთხელ ვწევარ მარტო, — გვიამბობდა იგი, — სიჩუმეა, მხოლოდ საათი წიკწიკებს კედელზე: ვინ ხარ? რა ხარ? ვინ ხარ? რა ხარ? მეც დაფიქრდი: მართლაც ვინ ვარ ან რა ვარ-მეთქი. მთელი ღამე ამ ფიქრში გავატარე.

\* სწორედ ამ მონათხრობის მოგონება უყვარდა მამას, და ღიმილით ამბობდა ამ უცნაური ქალის ცხოვრებიდან.

ერთხელ ავად გახდა ჩვენთან სტუმრად მყოფი ტატიანა ანდრეის ასული ბერსი, დედაჩემის უმცროსი და. ჩვეულებისამებრ, ახლაც აგაფიასთან აფრინეს კაცი.

— აბანოდან იმ წუთის მოსული ვიყავი, — გვიამბობდა აგაფია, — ჩაიღვლიე და ღუმელზე დავწექი. უცებ მესმის, ყილაც ფანჯარაზე აკაკუნებს. რა გინდა-მეთქი, — დავუყვირე. „თქვენთან ტატიანა ანდრეის ასულმა გამოგზავნა — ავად არის ქალბატონი. გთხოვს, მობრძანდითო. ავადმყოფს მოუბარეთო“. მე კი ეს წუთია ღუმელზე ავძვერი, ძლივს გაჯობი, მეზარება ჩამოსვლა, ჩაცმა და ამ ყიამეთში გარეთ გამოსვლა. მეც ავდექი და ვუთხარი: გადაეცი, აგაფიას მოსვლა არ შეუძლია, აბანოდან ახალმოსულია-თქო. წავიდა შიკრიკი, მე კი ვწევარ და ვფიქრობ: „ოჰ, არ ვიქცევი კარგად, თავი მეცოდება, ავადმყოფი ადამიანი კი არ მეცოდება?“ ჩამოვუშვი ფეხები ღუმელიდან, დავიწყე ჩაცმა. მესმის, ისევ აკაკუნებენ ფანჯარაზე. აბა, ვეკითხები, კიდეც რა გნებავთ-მეთქი! „ტატიანა ანდრეის ასულმა — უსათუოდ მობრძანდითო, კაბასაც შეგპირდათ ფეშქაშად“. „აჰა! ვეუბნები, კაბას შემპირდა? გადაეცი, რომ არ მოვა-თქო, და არც მივალ“. ისევ გავიხადე თექის ფეხსაცმელები, ავძვერი ღუმელზე და კარგა ხანს ვერ დავიძინე. განა კაბის გულისთვის მებრალეებიან სნეულნი... მე მიყვარდა ტატიანა ანდრეის ასული, მან კი როგორ მაწყენინა...“

ჩვენი სტუმრებიდან აგაფია ბევრს იცნობდა და ბევრი უყვარდა, მაგრამ ყველაზე მეტად მ. ა. სტახოვიჩი იყო მისი რჩეული. უნდა ითქვას, სტახოვიჩიც, თავის მხრივ, ყოველთვის ისე ალერსიანად და ყურადღებით ექცეოდა, რომ რა გასაკვირია, ამითაც აეჩუყებინა მოხუცი ადამიანისთვის გული. არასოდეს მოსულა იგი მასთან ხელცარიელი და, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ამ ამაყი დედაბრისათვის — მუდამ ისეთივე მოკრძალებითა და თავაზიანად ექცეოდა, როგორც ყველაზე წარჩინებულ ბანოვანს შეჰფერის. მივიდოდა სტახოვიჩი აგაფიასთან, აგაფია კი ჩაით გაუმასპინძლდებოდა. ოთახში ძაღლის მძაფრი სუნი დგას, მაგიდაზე და კედელზე აბანოს ჭიები დარბიან, ძაღლების გამო უთვალავი რწყილია. თვითონ აგაფიაც ჭუჭყიანია და მისი ჩაის ჭურჭელიც.

მაგრამ მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაჟკაცურად ისხამს ჩაის ლამბაქზე და ხვრებს, თან შაქრის საეჭვო ნატეხსაც კვნეტს. ამ შაქარს რომ შეხედავ, ვეგონება, თითქოს ვილაცას უკვე აულოკავსო.

მახსოვს, ერთხელ აგაფიამ მიხეილ ალექსანდრეს ძეს შესთავაზა „მისი თამბაქო დაეყნოსა. და იმანაც, ოდნავადაც არ შეუყოყმანებულა, ისე ამოიღო აგაფიას არყის ქერქის სათამბაქოედან მწიკვი თამბაქო, დაიყარა მარცხენა ხელის დიდ ფრჩხილზე და ცხვირით შეისუნთქა.

5 თებერვალს აგაფიას დღეობა იყო, ყველას გვახსოვდა ეს დღე და მილოცვის ბარათებს ვუგზავნიდით.

მხოლოდ ერთხელ, მოსკოვში როგორღაც მეტისმეტად გავერთეთ და დავვაფიწყდა აგაფიასთვის დღეობის მილოცვა. მამამ კი, იმ დროს იასნაია პოლიანაში რომ ცხოვრობდა, ვერ მოუხსწრო ქოშების შეკერვა. დედას იგი წერილში

ატყობინებს: „ბავშვებს დაავიწყდათ აგაფიას დღეობა და ვერც/ჩემი ქოშები მოესწრება“.

მაგრამ სტახოვიჩს არ დაევიწყნია ეს დღე. 5 თებერვალს ვინვასა და ქარბუქში ჩამოვიდა ფოსტალიონი და აგაფიას სტახოვიჩის მოლოცვას დაეძინა მოუტანა.

„სალამოს მოვიდა აგაფია და დეპეშა მოიტანა. იგი ფრიად კმაყოფილია“ — სწერს მამა დედაჩემს 1884 წლის 5 თებერვალს.

აგაფია სიხარულისაგან ბრწყინავდა და ყველას ეტრაბახებოდა. როცა მამას დეპეშა უჩვენა, მან გაიციინა და უთხრა:

— შერედა არ გრცხვენია, რომ ასეთ ქარბუქში ადამიანი სამ კილომეტრზე მოაბოტებდა ამ დეპეშის გამო?

— მოაბოტებდა და მოაბოტებდა! ამბობთ, მოაბოტებდაო! ეს დეპეშა ანგელოსმა მომიტანა, თქვენ კი გაიძახით, მოაბოტებდაო! — და აღელვებული დედაბერი კარგა ხანს ვერ დამშვიდდა.

როცა გაზაფხულზე იასნაია პოლიანაში ჩავედით, პირველი, რაც გვიამბო აგაფიამ, ის იყო, სტახოვიჩმა რომ დეპეშა გამოუგზავნა. „მამათქვენმა კი მითხრა, ფოსტალიონი თოვლში მოაბოტებდაო“.

— მოაბოტებდა... თქვენთან როცა მოაქვს, მაშინ არ მოაბოტებს, ჩემთან კი მოაბოტებს, არა? ანგელოსმა მომიტანა, — იმეორებდა მოხუცი და მართალიც იყო. მე მგონი, იშვიათად თუ ვინმეს განუცდია ისეთი სიხარული დეპეშის მიღებით, როგორც ამ ქალს საძაღლეში მოსულმა დეპეშამ განაცდევინა.

გარდაიცვალა აგაფია, როცა არც ერთი არ ვიყავით იასნაია პოლიანაში. გარდაიცვალა მშვიდად, უდრტვინველად, უშიშრად.

სიკვდილის წინ დაუბარებია, მთელი ჩვენი ოჯახისათვის მადლობა გადამოეცათ მიგებულ სიყვარულის წილ.

ყვებოდნენ, რომ როცა მიასვენებდნენ, თურმე ყველა ძაღლი ყმუილით მიაცილებდა; სასაფლაომდე კი კარგა შორი მანძილი იყო. უაგაფიოდ იასნაიაში უფრო მოსაწყენი გახდა ცხოვრება.

(გაგრძელება იქნება)

იტალიურიდან თარგმნა  
ბაჩანა ბრეზვაძემ

მალამბრუნოსა და ფარფარელოს საუბარი

მალამბრუნო. ეჰეი, ქვესკნელის სულნო, ფარფარელო, ჩირიატო, ბაკონერო, ასტაროტო, ალკინო და რა ვიცი, კიდევ რა გქვიათ! მოგიხმობთ ბელზებელის სახელით და გიბრძანებთ ჩემი ხელოვნების ძალით, რომელსაც შეუძლია ციდან ჩამოგლიჯოს მთვარე და ზესკნელის თაღს მიაღწერს მზე,— ახლავე აქ გაჩნდეს ერთი თქვენგანი და თან იქონიოს თქვენივე მთავრის მიერ გაცემული უფლებამოსილება და იმის ნებართვა, რომ ჩემს სამსახურს მოახმაროს ჯოჯობეთის მთელი ძალა.

ფარფარელო. აგერ გახლავარ.

მალამბრუნო. რა გქვია?

ფარფარელო. ფარფარელო. მიმსახურე, შენა ხმალი და ჩემი კისერი.

მალამბრუნო. ბელზებელის უფლებამოსილება თუ მოიტანე?

ფარფარელო. აი, აქა მაქვს. შენს სამსახურში მე შემიძლია მოვიმოქმედო ყველაფერი, რისი ძალიც შესწევს მხოლოდ შეფეს, და მაშასადამე, უფრო მეტი, ვიდრე ყველა სულიერს ერთად.

მალამბრუნო. კეთილი და პატიოსანი. ერთი სურვილი უნდა შემიხრულო.

ფარფარელო. ბრძანე, რა გნებავეს. გინდა ატრიდებზე ცნობილი და სახელგანთქმული გახდე?

მალამბრუნო. არა.

ფარფარელო. იქნებ უფრო მეტი სიმდიდრე გსურს, ვიდრე იპოვიან ქალაქ მანოაში, როდესაც მას აღმოაჩენენ?

მალამბრუნო. არა.

ფარფარელო. ან იქნებ იმაზე ვრცელ საბრძანებელს ნატრობ, რაც ერთ ღამეს, როგორც გადმოგვცემენ, სიზმრად უნახავს კარლოს მეხუთეს?

მალამბრუნო. არა.

ფარფარელი. გნებავს, პენელოპეზე უკარება ქალს მოგვეტოვო, რომელიც ყველა სურვილს შეგისრულებს?

მალამბრუნო. არა; შენის აზრით, ამისთვის ეშმაკია საჭირო?

ფარფარელი. გინდა გაიძვეროდ დარჩე და სახელი შენსავე კი არ მოგაკლდეს?

მალამბრუნო. პირიქით, ეშმაკი თუ დამჭირდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელისა და პატივისაგან დავეხსენი.

ფარფარელი. კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რას მიბრძანებ?

მალამბრუნო. ბედნიერი გამხადე თუნდ ერთი წამით.

ფარფარელი. არ შემიძლია.

მალამბრუნო. რას ჰქვია, არ შეგიძლია?

ფარფარელი. არ შემიძლია, სინდისს გეფიცები.

მალამბრუნო. პატიოსანი ეშმაკის სინდისს?

ფარფარელი. რა თქმა უნდა. იცოდე, პატიოსანი ეშმაკებიც ისევე არსებობენ, როგორც პატიოსანი ადამიანები.

მალამბრუნო. შენ კი იცოდე, რომ ამ კოჭზე დაგვიდებ კუდი, თუკი კვლავ განაგრძობ ურჩობას და ნებას არ დამყვები.

ფარფარელი. რა თქმა უნდა. იცოდე, პატიოსანი ეშმაკებიც ისევე არ შემიძლია.

მალამბრუნო. მაშინ თავიდან მომწყდა, ჯანდაბამდისაც გზა გქონია; დაე, თვითონ ბელზებელი გამომეცხადოს.

ფარფარელი. თვით ბელზებელიც რომ გამოგეცხადოს და თან მთელი ჯუდეკა და მალებოლჯეც წამოიძღვანოს, ჩემზე მეტად ვერც ის მოგანიჭებს ბედნიერებას ვერც შენ და ვერც რომელიმე შენს მოყვასს.

მალამბრუნო. ვერც ერთი წამით?

ფარფარელი. ეს ისევე შეუძლებელია გნებავს წამით, გნებავს წამის ნახევრით თუ წამისვე მეთასედი, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერაინ გაგზდის ბედნიერს.

მალამბრუნო. მაგრამ თუ არასდიდებით არ შეგიძლია ბედნიერება მონიჭო, იქნებ საიმისოდ მაინც გეყოს ძალა, რომ უბედური არ ვიყო?

ფარფარელი. თუ შეგიძლია, ყველაზე მეტად არ გიყვარდეს შენივე თავი?

მალამბრუნო. სიცოცხლეში რა მოგახსენო, ჯერ უნდა მოგკვდე.

ფარფარელი. მართლაცდა, ეს სიცოცხლეში არცერთ სულდგმულს არ შეუძლია, ვინაიდან თვით თქვენივე ბუნება ყველაფერს გაუძლებს, ყველაფერს აიტანს, გარდა ამისა.

მალამბრუნო. აგრეა.

ფარფარელი. ხოლო თუ შენ უცილობლად ყველაზე დიდი სიყვარულით, მთელის არსებით გიყვარს შენივე თავი, მაშასადამე, შენი თავისთვის უცილობლად ყველაზე დიდი სიკეთეც გასურს, რაც კი შეიძლება საერთოდ ისურვოს კაცმა; ეს შენი სურვილი ისე ძლიერია, რომ ყოველად შეუძლებელია მისი ასრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის უბედური იქნები და ვერასდიდებით თავს ვერ დაიხსნი უბედობისგან.

მალამბრუნო. ნუთუ ვერც მაშინ, როცა ვანცხრომას მივეცემი? ვერა-

ვითარი განცხრომა ვერ მომანიჭებს ვერც ბედნიერებას და ვერც სიამოვნებას?

ფარფარელი. ვერავითარი.

მალამბრუნო. და არანაირ განცხრომას არ დაერქმევა ჰეილინი? ნაიდან ვერცერთი ვერ გაუტოლდება ბედნიერების იმ თანდაყოლილ და მლეგურ სურვილს, რომელიც გამუდმებით ფეთქავს ჩემს სულში? ასე რომ, თვით იმ დროის მანძილზეც, სანამ გრძელდება განცხრომა, მე კვლავ უბედური ვიქნები?

ფარფარელი. დიახ, უბედური, ვინაიდან ადამიანებიცა და სხვა არსებებიც, მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ ბედნიერებას ვერ ღირსებიან, ტანჯვას, ტკივილსა თუ გაჭირვებასაც რომ არ განიცდიდნენ და, ასე განსაჯე, იმითაც კი ტკბებოდნენ, რასაც თქვენს ენაზე განცხრომა ჰქვია, — მაინც უბედურზე უბედურნი არიან.

მალამბრუნო. ასე რომ, დაბადებიდან სიკვდილამდე არ მოიძებნება არცერთი წამი, როცა ჩვენ უბედურად არ ვგრძნობდეთ თავს?

ფარფარელი. არა, მოიძებნება, — ყოველთვის, როცა ისე ღრმად გძინავთ, რომ სიზმრები არ გაშფოთებენ, ან გული მიგდით, ანდა კიდევ ამა თუ იმ მიზეზის გამო გონებას კარგავთ.

მალამბრუნო. მაგრამ არა მაშინ, როდესაც ვგრძნობთ, რომ ცოცხალნი ვართ?

ფარფარელი. არა, მაშინ კი არა.

მალამბრუნო. როგორც ირკვევა, უმჯობესია არ ცოცხლობდე, ვიდრე ცოცხალი იყო.

ფარფარელი. დიახ, თუკი უმჯობესია არ იყო უბედური, ვიდრე უბედური იყო.

მალამბრუნო. ერთის სიტყვით...

ფარფარელი. ერთის სიტყვით, თუ გნებავს დროზე ადრე ჩამაბარო სული, მე მზადა ვარ თან წავიტანო.

### ჰერაკლესა და ატლანტის საუბარი

ჰერაკლე. მამავ ატლანტო! ზევსმა გამომგზავნა, მოკითხვა დამაბარა შენთან და მიბრძანა, თუ ქანცი გაგიწყვიტა ამ სიმძიმემ, მე თვითონ მოვიგდო მხრებზე, როგორც მოვიქცეო ერთხელ, არ მახსოვს, რამდენი საუკუნის წინათ, და სულის მოთქმის საშუალება მოგცე.

ატლანტი. გმადლობ, ჩემო ძვირფასო ჰერაკლე, და დიდად დავალებული ვარ მისი უდიდებულესობის ზევსისაგან. მაგრამ სამყარო ისეთი მსუბუქი გახდა, რომ ეს მოსასხამი, რომლითაც თოვის დროს ვიფარავ თავს, უფრო მეტად როდი მამძიმებს. ზევსის ნება-სურვილი რომ არ მაიძულებდეს, ამ ადგილას ვიდგე ფეხმოუცვლელად და ზურგზე ეს ბურთი მეკიდოს, ილლიაში ამოვიჩირიდი, ან ჭიბეში ჩავიდებდი, ან კიდევ წვერის ერთ ბეწვზე დაეკიდებდი, — დაე, იქნაოს, — და ჩემი საქმეების მოსაგვარებლად გავწევდი.

ჰერაკლე. კი მაგრამ, რას უნდა მივაწეროთ, რომ ასეთი მსუბუქი გახდა? მე შევნიშნე რომ, ცოტა არ იყოს, ფორმა შეიცვალა და ნაზუქივით აღარც

ისეთი მრგვალია, როგორც იმ ხანად, მე რომ კოსმოგრაფიას ვსწავლობდი, ვიდრე არგონავტებთან ერთად გავუდგებოდი შორეულ გზას. მაგრამ ვერა და ვერ გამიგია, რატომ უნდა იწონიდეს უფრო ნაკლებს <sup>მსუბუქი</sup> ვიდრე უფროსს.

ატლანტი. რა მოგახსენო. მაგრამ როგორი მსუბუქი გახდა, ამაში შეგიძლია ახლავ დარწმუნდე, თუკი ერთს წამით დაიდებ ხელის გულზე და თვითონვე აწონ-დაწონი.

ჰერაკლე. ვფიცავ ჰერაკლეს, არასდიდებით არ დავიჯერებდი, რომ მე თვითონ არ მომესინჯა! ეს რაღა ახალი ამბავია? აღმოჩენაც ეს არის სწორედ! პირველად რომ ზურგზე მოვიგდე .ისე ფეთქავდა, თოქოს ცხოველის გულით და თანაც გაბმით ზუზუნებდა, ბზიკების ბუდესავით. ახლა კი, თუ მაინც ფეთქავს, მხოლოდ იმ საათის მექანიზმით, რომელსაც ზამბარა გაუწყდა, ხოლო რაც შეეხება ზუზუნს, ჩამიჩუმიც აღარ მესმის.

ატლანტი. ამაზედაც ვერაფერს მოგახსენებ, მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ სამყარო რახანია აღარ იძვრის და აღარც ისე ხმაურობს, რომ გაგონება შეიძლებოდეს. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მოკვდა-მეთქი და დღე-დღეზე ველოდი, როდის აყროლდებოდა. იმაზეც კი ვიმტვრევდი თავს, სად დამემარხა ან რანაირი ეპიტაფია შემეთხზა. მერე კი დავრწმუნდი, რომ არ იხრწნება და ვადავწყვიტე, ადრე თუ ცხოველი იყო, ახლა დაფნასა და სხვა მისთანებივით, მცენარედ იქცა-მეთქი. ამიტომაც, რომ აღარ იძვრის და აღარც სუნთქავს. შენ წარმოიდგინე, მეშინია, ვაითუ ფესვები ვაიდვას ამ ჩემს მხრებში.

ჰერაკლე. მე კი მგონია რომ ეპიმენიდესავით სძინავს, რომელიც ნახევარ საუკუნეს ძილში ატარებდა, ან კიდევ ჰერმოტიმესავით, ვისზედაც მოგვითხრობენ, ვითომ როცა მოეპრიანებოდა, მაშინ ამოუვიდოდა სხეულიდან სული და მრავალი წლის მანძილზე გარე-გარე, მთელი დედამიწის ზურგზე დაბორილობდა, ბოლოს კი უკანვე ბრუნდებოდა, სანამ მეგობრებმა, რომლებსაც სურდათ ბოლო მოეღოთ ამ საღათასეული ბოლთის ცემისათვის, კოცონზე არ დაწვეს სხეული და აი, უკან დაბრუნებულსა და სხეულში ჩასაბრუნებლად გამზადებულ სულს სახლი დანგრეული დახვდა, ასე რომ, თუ ჰერაკლემ თავის შეფარებას დააპირებდა, სხვა სახლი უნდა ექირავა ან სასტუმროში დაბინავებულიყო. მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ სამყაროს ასე გამოუღვიძებლად ეძინოს, თორემ რომელიმე მეგობარს ან კეთილმოსურნეს შეიძლება მოეჩვენოს — მოკვდაო და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს აიღოს და დაწვას. მოდი, ვსინჯოთ, იქნებ როგორმე გამოვაღვიძოთ.

ატლანტი. კი მაგრამ, როგორ?

ჰერაკლე. ერთს ლაზათიანად ვუცხუნებ ამ ჩემს კომბალს. თუმცა არა, მეშინია, ვაითუ ლავაშივით გავაბრტყელო. ან, ვინ იცის, შეიძლება მისი ქერქი — რაკილა ასე უჩვეულოდ მსუბუქი გახდა, — ისეთი თხელი აღმოჩნდეს, რომ კვერცხის ნაჭუჭივით დაიფშენას. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ადამიანებს, რომლებიც ჩემს დროს ხელდახელ ერკინებოდნენ ლომებს, ხოლო ახლა რწყილებსლა ებრძვიან, გული არ წაუვიათ დარტყმის ხმაზე და ერთბაშად ძირს არ ჩამოცვივიათ. უმჯობესია განზე გადავდო ჩემი კომბალი, შენ კი — ეგ შენი მოსასხამი და ამ ბუმტით ფრენბურთი ვითამაშოთ. აფსუს, რატომ ხელთათმანები არ წამოვიღე, ანდა ჩოვნები, რომლებითაც ჰერმესთან

ერთად ზევსის სახლში თუ ბაღჩაში ვთამაშობ ხოლმე. არა უშავს რა, შიშველი ხელებითაც იოლას გავალთ.

ატლანტი. კეთილი, მაგრამ ვაითუ ჩვენი თამაშის შემყურე მამაშენს თვითონაც მოუნდეს ჩვენთან თამაში და თავისი ცეცხლოვან ბურთულას ჩადებას განდაბაში გვიკრას თავი, როგორც ფაეტონს — პოში.

ჰერაკლე. ასედაც მოხდებოდა, მე რომ ფაეტონით ვინმე მელექსის შვილი ვიყო და არა მისი საკუთარი ძე. თანაც, ხომ იცი, გულს ნურავინ მომაყვანინებს, თოტემ, იცოცხლე, პოეტებისა არ იყოს, ღირის ეღერით რომ ასახლებდნენ ქალაქებს, მე შემოძლია ამ ჩემი კომბლით უდაბნოდ ვაქციო ცა და მიწაც. ზევსის ბურთულას კი ერთს ისეთს მოვუნიავებ, რომ აქედან თვით ემპირეამდე ახტეს, ან არა და, აღმა ფრენისას პაერშივე დაიფშვნას და აქეთ-იქით მიმოიფანტოს. დარდი ნუ გაქვს, კიდევაც რომ მომეპრიანოს და ციდან ხუთი თუ ექვსი ვარსკვლავი ჩამოვგლიჯო საკენჭაოდ, ანდა კომეტას კუდში ვწვდე, შურდულივით მოვიქნო და მიზანში ვისროლო, ან კიდევ ბადროს ნაცვლად თვითონ შზე ვტყორცნო, მამაჩემი თვალს დახუჭავს და თავს მოიკატუნებს, ვითომ არაფერიც არ შეემჩნიოს. ეგეც არ იყოს, ჩვენ ხომ კეთილი განზრახვით ვაპირებთ თამაშს, — გვინდა შევეწიოთ სამყაროს. აბა ფაეტონს კი არ ვგავართ, ვისაც ეტლში ჩაჯდომისას მხოლოდ ერთი საფიქრალი ჰქონდა: სურდა თავისი სიმარჯვე დაემტკიცებინა ჰორებისათვის, რომლებსაც სადავით ეჭირათ რაშები, და უებრო მეეტლედ გამოჩენილიყო ანდრომედას, კალისტოსა და ვარსკვლავეთის სხვა ლამაზმანთა თვალში, რომლებსაც, თუ ჭორებს ვენდობით, გზადაგზა სხივების თაიგულებსა და სინათლის დაგორგლილ ბურთულებს ესროდა თურმე, და საერთოდაც უნდოდა თავი მოეწონებინა ზეცის ნკვიდრთათვის, რომელნიც იმ დღეს დიდთან-პატარიანად სასეირნოდ გამოსულიყვნენ, ვინაიდან დღესასწაული იყო. ერთის სიტყვით, მამაჩემის რისხვა ნუ შეგაშინებს, რადგან, თუ საქმე საქმეზე მიდგა, იცოდე, ზარალს აგინაზღაურებ. მაშ, ნულარ ყოყმანობ, მოსასხამი მოიძრე და ბურთი მომაწოდე.

ატლანტი. მეტი რა გზა მაქვს, ნებას უნდა დავყვე. შენ ზორბა ჭაბუკი ხარ და, თანაც, შეიარაღებული, მე კი უიარაღო და მიხრწნილი. მაგრამ ფრთხილად იყავი, არ დაგივარდეს, თორემ ვაითუ ახალი კობი დააჯდეს, ან სადმე ჩაიტყლიტოს, ანუ ვაგლახად გაიბზაროს, მაშინდელისა არ იყოს, იტალიას რომ სიცილია მოსწყდა, ხოლო ესპანეთს — აფრიკა, ან კიდევ — ღმერთმა დაგვიფაროს, — სულაც ჩამოემტვრეს რომელიმე პროვინცია ანდა მთელი სამეფო. თორემ ხომ იცი, უბედური ომი ატყდება და უყარე მერე კაკალი.

ჰერაკლე. არხეინად იყავი.

ატლანტი. აჰა, დაიჭი! ერთი უყურე, რა უშნოდ ხტება, ალბათ იმიტომ, რომ ფორმა აღარ უვარგა.

ჰერაკლე. რა მოგდის, ცოტა უფრო მაგრა დაარტყი, თორემ ჩემამდე ვერ აღწევს.

ატლანტი. დარტყმა რა შუაშია: აღმოსავლეთიდან ნიავექარი ქრის და ბურთი მიაქვს, იმიტომ რომ ბუმბულივით მჩატვა.

ჰერაკლე. ჰოო, ეგ ცოდვა არ ახალია, ძველია: მისდღემჩი ქარიფანტია იყო ეგ თავქარიანი.

ატლანტი. მართალი გითხრა, არ აწყენდა, რომ გაგვებერა, თორემ რაღა ეგა და რაღა ბერფუყი ნესვი.



ჰერატლე. აი, ეგ კი ახალი ბიჭი ჩანს: უწინ ხომ ეს ჩვენი ბურთულა ციკანივით მკვირცხლად დახტოდა და დაკუნტრუშობდა.

ატლანტი. აბა, გაიქე! ჩქარა, გაიქე-მეთქი! ვაიმე, ვარდება! ლმერთმანი, ვარდება! შენი აქ მოსვლის საათი დასწყევლოს ღმერთმა!

ჰერატლე. რა ვქნა, ისე მრუდად და დაბლა მომაწოდე, რომ კისრისტე-ხითაც ვერ მივწვდებოდი. როგორა ხარ, შე საცოდავო? ხომ არაფერი იტკინე? შენც არ მომიკვდე, ან თუ ვინმე ირხევა, ან თუ ვისიმე ხმა ისმის! მგონი, ყველას უწინდებურად სძინავს.

ატლანტი. მორჩი, გაფიცებ სტიქსის ყველა კალაპოტს; მოდი, ხელი წამიკარ და კვლავ მხრებზე მომაგდებინე! შენ კი სასწრაფოდ გასწიე ცაში და მამაშენის წინაშე მიშუამდგომლე! სულ შენითა მჭირს, რაცა მჭირს.

ჰერატლე. ჰო, კაი, კაი!.. აგერ რამდენი საუკუნეა, მამაჩემის სახლში ერთი მელექსე ცხოვრობს, ჰორაციუსი ჰქვია; კარის პოეტად მიიღეს ავგუსტუსის თავმდებობით, რომელიც ზევსის მიერ განღმრთობილ იქნა იმ მიზნით, რომ მის გაღმერთებას რომის ძღვევამოსილების განვრცობისა და განდიდებასათვის შეეწყო ხელი. ეს პოეტი ერთთავად რაღაც სიმღერებს გაჰკივის და ერთ სიმღერაში, სხვათა შორის, ნათქვამია: სამართლიანი კაცი არ შეირხევა, ქვეყანაც რომ დაიქცესო. შეიძლება იფიქრო, რომ, ყველა კაცი სამართლიანი გახდა, რაკი ქვეყანა კი არა, მთელი სამყარო დაიქცა და დაეცა კიდეც.

ატლანტი. მერე, ვის ეპარება ექვი კაცთა სამართლიანობაში? მაგრამ რაღას უდგინხარ? ჩქარა მოუსვი და მამაშენის წინაშე, როგორც გინდა, ისე გამამართლე, თორემ წუთი-წუთზე გულის კანკალით მოველი, როდის დამეცემა მეხი და მე, ატლანტს, ეტნად მაქცევს.

### დედაშიწისა და მთვარის საუბარი

დედამიწა. მთვარე, ჩემო ძვირფასო, მე ვიცი, რომ ლაპარაკიც შეგიძლიათ და კითხვებზე პასუხის გაცემაც: პოეტებისაგან არაერთხელ გამიგონია, მთვარე ცოცხალი არსებააო. ეგეც არ იყოს, ბავშვების ლაპარაკს რომ მიუგდო ყური, ძალაუნებურად უნდა დაიჯერო, თითქოს თვალეზიკა გაქვს, ცხვირიც და პირიც. ამ ჩვენი ონავრების მსგავსად, რომლებიც იფიცებიან, ყოველივე ეს ჩვენი თვალთ გვინახავსო; როგორც ჩანს, მზერა ამ ასაკში მართლაც საოცრად მახვილი უნდა იყოს. მეორეს მხრივ, ალბათ, თავადაც მოგეხსენება, რომ მეც შენსავით ცოცხალი არსება ვარ და ყმაწვილქალობაში, ვინ მოსთვლის, რამდენი ვაჟიშვილი მოვუვლინე ქვეყნიერებას, ასე რომ, იმედია, ჩემი ლაპარაკი არ გაგიკვირდება. ხოლო თუ შენს მეზობლად იმდენი საუკუნეა ეცხოვრობ, ჩემო მშვენიერო, რომ სათვალავიც კი ამერია, მაგრამ დღემდე ერთი სიტყვითაც არ გამოგლაპარაკებია, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეებს ვერ ავუდიოდი და საქორაოდ არ მეცალა. ახლა კი საქმეები შემომმელია, თუმცა, რაცა მაქვს, ისიც თავის ნებაზე და თავისი გზით მიედინება, მაგრამ, რა ვქნა, უქმად ყოფნას არ ვარ ჩვეული და ლამის მოწყენილობამ მომკლას. ამიტომაც გადავწყვიტე, ამიერიდან ხშირ-ხშირად გელაპარაკო და შენს საქმეებზე მაინც ვიფიქრო, თუკი, რასაკვირველია, თავს არ შეგაწყენ.

მთვარე. რას ბოდიშობ; ნეტავი შენს ლაპარაკზე უფრო მოსაწყენი არა-

ფერი მარგუნოს ბედმა. თუ ჩემთან საუბარი გსურს, მესაუბრე, რამდენიც გნებავს. მე კი, თუმცა, დუმილის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ, როგორც, ალბათ, თავადვე მოგეხსენება, მაგრამ ხათრს როგორ გაგიტეხ: დიდი სიამოვნებით მოვისმენ და არც პასუხს დაგზარდები.

დედამიწა. გესმის ის სანეტარო ხმები, ციური სხეულები? <sup>ეროვნული</sup> <sup>ფილმის</sup> <sup>გამოსვ</sup> ცემენ მოძრაობისას?

მთვარე. მართალი გითხრა, არაფერიც არ მესმის.

დედამიწა. არც მე მესმის რამე, ქარის გრილის გარდა, რომელიც ჩემი პოლუსებიდან ეკვატორისკენ და, პირიქით, ეკვატორიდან პოლუსებისკენ ქრის და, როგორც ჩანს, წარმოდგენაც არა აქვს მუსიკაზე. მაგრამ, პითაგორას მტკიცებით, ციური სფეროები ისე საამურ ხმებს გამოსცემენ, რომ პირდაპირ მოჯადოებულნი დარჩები, და ამ მელოდიას შენი სმაც ეწვნის, რადგანაც სამყაროული ლირის მერვე ლარი ბრძანდები, მე კი თურმე ჩემივე საკუთარი ხმა მიხშობს სმენას და მიტომაც არაფერი არ მესმის.

მთვარე. როგორც ჩანს, მეც დახშული მქონია სმენა, ვინაიდან თვითონაც არა მესმის რა, და, თუ დამიჯერებ, წარმოდგენაც არა მაქვს იმაზე, რომ თურმე ნუ იტყვი და, ლარი ვყოფილვარ.

დედამიწა. მაშინ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მითხარი, მართლა დასახლებული ხარ, როგორც ამტკიცებენ ძველი თუ ახალი დროის ბრძენკაცნი ორდევსიდან მოყოლებული ლალანდამდე? მე კი, რაგინდ მაღლაც უნდა ვიშვერდე რქებს, რომლებსაც ადამიანები მთის წვერებსა თუ მწვერვალებს უწოდებენ და რომლებითაც — ისევე როგორც ლოკოკინა თავის საცეცებით, — ყველაფერს ვათვალისწინებ, სულიერის ქაჭანებასაც ვერ ვხედავ შენს ზედაპირზე. თუმცა ის კი გამიგონია, რომ ვინმე დავით ფაბრიციუსს, რომელსაც უთუოდ ლინკევსზე უფრო მახვილი და ბასრი მზერა ჰქონდა, ერთხელ თვალი მოუკრავს მთვარის რამდენიმე მცხოვრებისათვის, რომლებიც თურმე მზეზე გასაშრობად ჰფენდნენ ტილოებს.

მთვარე. შენი რქებისა რა მოგახსენო, მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, დასახლებული ვარ.

დედამიწა. მერედა, რა ფერისანი არიან შენი ადამიანები?

მთვარე. რომელი ადამიანები?

დედამიწა. რომელი და შენი მცხოვრებნი. აკი თვითონვე თქვი დასახლებული ვარო?

მთვარე. მერე რა?

დედამიწა. რა და ის, რომ შეუძლებელია მარტოოდენ მხეცებით იყო დასახლებული.

მთვარე. არც ადამიანებით და არც მხეცებით. არც კი ვიცი, რანი არიან ან ერთნი და ან მეორენი, ან რა ჯიშისა და ჯილაგისანი. მაგ შენი სიტყვებიდან, რომლებითაც, თუ არა ვცდები, ნართაულად მიმანიშნებდი ადამიანებზე, მართალი გითხრა, თითქმის ვერავითარი აზრი ვერ გამოვიტანე.

დედამიწა. კი მაგრამ, მაინც რა ხალხების სამკვიდრო ბრძანდები?

მთვარე. მრავალი სხვადასხვა ხალხის, მაგრამ შენ მათზე უფრო მეტი როდი იცი, ვიდრე მე — შენს მცხოვრებლებზე.

დედამიწა. ეს რა მესმის?! სხვას რომ ეთქვა, არაფრით არ დავიჯერებდი. მაგრამ მითხარი, შენს მცხოვრებლებს არასოდეს არ დაუპყრიხართ?

მთვარე. არა მგონია... კი მაგრამ, როგორ? რისთვის?

დედამიწა. პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების, ან ხნვის სიმდიდრისა თუ მიწა-წყლის მიტაცების მიზნით; პოლიტიკური ხრიკებით თუ იარაღით.

მთვარე. არ ვიცი, რას ნიშნავს „იარაღი“, „პატივმოყვარეობა“, „პოლიტიკური ხრიკები“ და სხვა დანარჩენი, რასაც შენ გეგონება!

დედამიწა. იარაღი თუ არა, ის მაინც უეჭველად გეცოდინება, თუ რა არის ომი. ერთმა აქაურმა ფიზიკოსმა ამას წინათ სამხერი ჭოგრიტით — ეს იმისთანა ხელსაწყოა, რომლის მეშვეობითაც ძალზე შორეული საგნების დანახვა შეიძლება, — შენს ზედაპირზე შენიშნა დიდებული ციხე-სიმაგრე დამრეცი ქონგურებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ალყის შემორტყმა და გალავნის იერიში შენი ხალხებისათვის უცხო ხალი არ უნდა იყოს.

მთვარე. მომიტევე, ქალბატონო დედამიწავ, თუ უფრო თამამ სიტყვასა გკადრებ, ვიდრე შენს მხევალსა და მოახლეს შეეფერება; გულახდილად რომ მოგახსენო, სულ მთლად გამოთაყვანებულხარ, თუ მართლა გგონია, რომ სამყაროს ყველა ნაწილში ყველაფერი ისევეა, როგორც შენს ზედაპირზე თუ შენს წიაღში, თითქოს ბუნებას მეტი საქმე არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ ზედმიწევნითი სიზუსტით გაემეორებინა ყოველივე მიწიერი. მე გეუბნები, დასაბლებული ვარ-მეთქი, შენ კი იმნაირი დასკვნა გამოგაქვს, რომ ჩემი მცხოვრებნი მაინცდამაინც ადამიანები უნდა იყვნენ. მე გიხსნი, ისინი ადამიანები არ არიან-მეთქი, შენ კი თითქოს მეთანხმები, მაგრამ უწინდებურად დარწმუნებული ხარ იმაში, რომ მათ ისეთივე თვისებები აქვთ და ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც ეგ შენი ხალხები. ამასთან, ვილაც უცნობი ფიზიკოსი მოგყავს მოწმედ, მთელი მისი სამხერი ჭოგრიტებითურთ. თუ ეს შენი ჭოგრიტები ყველაფერს ასევე კარგად ხედავენ, მაშინ უნდა გითხრა, რომ მათი მზერა დიდად როდი განსხვავდება იმ პატარა ბავშვების მხედველობისაგან, რომლებმაც თურმე თვალები და ცხვირ-პირიც კი დამინახეს, თუმცა მე თვითონ არ ვიცი, სად ჯანდაბაში უნდა მქონდეს ისინი.

დედამიწა. მაშასადამე, ისიც ტყუილია, რომ შენი პროვინციები ფართო და ლარივით სწორი შარაგზებითაა დასერილი, როგორც ეს სამხერი ჭოგრიტებით მშვენივრად მოჩანს გერმანიის მხრიდან?

მთვარე. მე ისიც კი არ ვიცი, დამუშავებული ვარ თუ არა, შარაგზებზე რომ არაერთარი წარმოდგენა არა მაქვს.

დედამიწა. უნდა მოგახსენო, ჩემო მშვენიერო, რომ მე კაი გვარიანი ზებრე, გაუთლელი და გონებაჩლუნგი ვახლავარ; ამიტომაც, ასე ადვილად რომ მამრიყვებენ და მასულელებენ ადამიანები. მაგრამ ყური მიგდევ, რას გეტყვი: შენი მცხოვრებლები კიდევაც რომ არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ დაგიპყრონ, იცოდე, დამონების საფრთხე მაინც გემუქრება, რადგანაც მეტისმეტად ბევრი მტერი გყავს აქ, ქვემოთ, ადამიანებს შორის, რომლებმაც სხვადასხვა დროს აპირებდნენ შენს დაპყრობას და საგულდაგულოდ ემზადებოდნენ კიდევ ამისთვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მაღალ მწვერვალებზე აბობლდნენ და თითის წვერებზეც კი აიწიენ, ჯერჯერობით მაინც ვერ მოგწვდნენ. ეგეც არ იყოს, აგერ უკვე რა ხანია ვამჩნევ, რომ საექვოდ გითვალთვალევენ, შენს ფაზებს სწავლობენ, შენი ადგილების რუკებს ადგენენ, მთების სიმაღლეებს ზომავენ და, არ ვიცი, რა მანქანებით, მათი სახელებიც კი გაიგეს. ჩემი შენდამი კეთილგანწყობილების გამო, საჭიროდ ვცანი, ყოვე-

ლივე ამასთან დაკავშირებით გამეფრთხილებინე, რათა, ყოველი შემთხვევე-სათვის, თადარიგი დაიჭირო და სათანადო ზომებიც მიიღო. ახლა კი სულ სხვა რამ მინდა გკითხო: ძალიან გაბეზრებენ თავს ძაღლები, როცა გიყეფენ? რას ფიქრობ იმაზე, ვინც შენს თავს ჭაში უჩვენებს სხვებს? რა სქესურობისაა მამრობითის თუ მდედრობითის? უწინ ამის თაობაზე სხვადასხვანაირად იფიქრებდნენ. მართალია თუ არა, რომ არკადიელები შენზე ადრე გაჩნდნენ ქვეყნად? რომ მანდაური ქალები თუ, რა ვიცი, რა ვუწოდო შენი მცხოვრებლების ნახევარს, — კვერცხსა დებენ და ერთი ამ კვერცხთაგანი აქ, დაბლა, ვარდება ხოლმე, ოღონდ არ ვიცი, როდის? რომ მთელს სიგრძეზე გახვრეტილი ხარ, კრილოსანის მძივივით, როგორც ვარაუდობს ერთი თანამედროვე ბუნებისმცოდელი. რომ, ერთი ინგლისელის მტკიცებისა არ იყოს, მთლიანად ჭყინტი ყველისგან ხარ გაკეთებული? რომ ერთ მშვენიერ დღეს ან იქნებ, ღამესაც მაინაღმა საზამთროსავით შუაზე გაგჭრა და კაი მოზრდილი ნაჭერი სახელოში ჩაუვარდა? გსიამოვნებს თუ არა მინარეთის წვერზე ჯდომა? ან რა აზრისა ხარ ბაირომის დღესასწაულზე?

მთავარი. რას გაჩერდი, მიდი, განაგრძე! სანამ ეგრე გაუჩერებლად ლაქ-ლაქებ, არც პასუხის გაცემა მჭირდება და, მაშასადამე, არც ჩემი ჩვეული მღუმარების დარღვევა. თუ მართლა ჩემთან საუბარზე გელევა სული, მაგრამ სხვა სათქმელი და სალაპარაკო არ გაგაჩნია, გიჯობს მე ნუკი მომმართავ, — სულ ერთია, მაინც ვერაფერს გაგიგებ, არამედ უბრძანე ადამიანებს, სხვა პლანეტა გააკეთონ, რათა შენს გარშემო ბრუნავდეს, გაჭრილი ვაშლივით გგავდეს და შენსავით იყოს დასახლებული. შენ ხომ სხვა რამეზე ლაპარაკი არ შეგიძლია, სულ ერთსა და იმავეს გაიძახი: ადამიანები და ძაღლები, ადამიანები და ძაღლებიო, მაგრამ მე იმდენივე ვიცი მათზე, რამდენიც შენ იმ დიად მზეზე, რომლის გარშემოც, როგორც ამბობენ, ისევე ბრუნავს ეს ჩვენი მზე, როგორც მე — შენს გარშემო.

დედამწიფა. მართლაცდა, რაც უფრო მეტადა ვცდილობ, ლაპარაკში ერთი სიტყვიტაც არ შევუხო ჩემს საქმეებს, მით უფრო ნაკლებ ვახერხებ ამას. კეთილი, აწი უფრო ყურადღებით ვიქნები. მაგრამ ერთი ესეც მითხარი: მადლა რომ სწევ, მერე კი კვლავ დაბლა უშვებ ჩემი ზღვის წყალს, თამაშობ თუ რას შვრები?

მთავარი. იქნებ ვთამაშობ კიდევ; მაგრამ თუ შენზე ასე ვმოქმედებ, თვითონ ვერც კი ვგრძნობ ამას, ისევე როგორც შენ: აბა, რა იცი, რანაირ ზემოქმედებას ახდენ ჩემზე? თუმცაღა ეს ზემოქმედება იმდენად ძლიერია ჩემსაზე, რამდენადაც თვითონვე აღმემატები ზომით, წონითა თუ ძალმოსილებით.

დედამწიფა. და მართლაც, იმის თაობაზე, თუ რანაირად ვმოქმედებ შენზე, მხოლოდ ერთი რამ ვიცი: კერძოდ, ის რომ დროდადრო მზის შუქს გიბნელებ, ჩემს თავს კი შენს შუქს ვართმევ. ეგეც არ იყოს, როცა ღამითა ხარ მოცული, ისე მაგრა განათებ ხოლმე, რომ ხანდახან ნაწილობრივ მეც კი ვბედავ ჩემსავე ნათელს. ჰო, მართლა, კინაღამ ყველაზე მთავარი არ დამავიწყდა? მითხარი, მართალია თუ არა, რასაც არიოსტო წერს: თითქოს ყველაფერი, რასაც თვითეული ადამიანი თანდათანობით კარგავს დროთა განმავლობაში, სახელობრ, სიჭაბუკე, სილამაზე, ჯანმრთელობა, სიმხნევე ანდა სიმდიდრე, დასარჯული კეთილი მიზნით: სახელისა და მოყვასთა პატივისცემის მოსახვეჭად, უასაკოთა სიკეთის გზაზე დასაყენებლად თუ კაცთა კეთილდღეობის დასამკვიდ-

რებლად, — ყოველივე ეს ცად იზილება და შენს ზედაპირზე გროვდება, ასე რომ, შენს მთვარეულ სინამდვილეში შეიძლება ადვილად მიაკვლიო ყოველივე ადამიანურს, რასაკვირველია, სიგიჟის თუ სიშლეგის გარდა, რომელიც განუყრელია კაცთა მოდგმისგან. თუ ყოველივე ეს მართადად იქნება, ჩემი ანგარიშით, ისე გამოტენილი უნდა იყოს, რომ, ალბათ, ნემსსა და სიშლეგს არ მოგეძებნება, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ უკანასკნელ ხანს ადამიანებმა ძალზე ბევრი რამ დაკარგეს, კერძოდ, სამშობლოს სიყვარული, სიმამაცე, დიდსულოვნება, პატიოსნება, და დაკარგეს არა ნაწილობრივ და არა ზოგიერთებმა, არამედ მთლიანად და უკლებლივ ყველამ. ხოლო თუ ეს თვისებები შენს სინამდვილეში არ მოიძებნება, მაშინ მთელს სამყაროშიც სულ ტყუილად დავუწყებთ ძებნას. მაგრამ მე მინდა, ასეთი ხელშეკრულება დავდოთ: ამიერიდან შენ თანდათანობით დამიბრუნებ ყოველივე ჩემს კუთვნილს, რადგანაც, ეჭვს გარეშეა, თვითონაც მოწადინებულნი იქნები, თავი დააღწიო ამ მძიმე ტვირთს, განსაკუთრებით კი გონებას, რომელსაც, ჩემი გამოანგარიშებით, შენი სივრცის უმეტესი ნაწილი უნდა ეკავოს; მე კი ვაიძულებ ადამიანებს, ყოველწლიურად კაი გვარიანი გამოსასყიდი გადაგიხადონ.

მთვარე. აღარ მოეშვები ამ ადამიანებს? რაკილა სიშლეგე და სიგიჟე, როგორც თვითონვე ამტკიცებ, შენს ფარგლებს არ ტოვებენ, ამიტომ გინდა ყოველ მიზეზს გარეშე მეც ტყუიდან შემშალო და საღი აზრი დამაკარგვინო, ვითომცდა, ადამიანების მიერ დაკარგული გონიერების ძებნის საბაბით? მაგრამ მე წარმოდგენაც არა მაქვს, სად ჯანდაბაში უნდა იყოს, ან არის კია, საერთოდ, ეგ გონიერება მთელს სამყაროში? ერთი ის ვიცი დაბეჯითებით, რომ აქ ნამდვილად არ არის არც გონიერება და არც სხვა რამ თვისება, რომლებზედაც შენ მეკითხები.

დედამინა. იმას მაინც ვერ მეტყვი, არის თუ არა შენს სინამდვილეში ბიწიერება, სიბრძნე, უბედურება, ტანჯვა, სიბერე, ერთის სიტყვით, — ბოროტება? ამ სიტყვების აზრი მაინც თუ გესმის?

მთვარე. მაგათი — იცოცხლე! და არა მართო სიტყვების, არამედ იმისაც, რასაც ისინი აღნიშნავენ, რადგანაც მხოლოდ ამით ვარ სავსე და არა იმით, რაც შენ წარმოგედგინა.

დედამინა. მაინც რა სქარბობს შენს მცხოვრებლებში — ღირსება თუ ნაკლი?

მთვარე. ნაკლი გაცილებით უფრო მეტი აქვთ.

დედამინა. სიკეთისა და ბოროტების თანაფარდობაზე რაღას იტყვი?

მთვარე. ეეჰ, სიკეთე სად მოვა ბოროტებასთან.

დედამინა. კი მაგრამ, შენი მცხოვრებნი ბედნიერები არიან თუ უბედურნი?

მთვარე. იმდენად უბედურნი, რომ არ ვისურვებდი, მათ შორის თვით ყველაზე ბედნიერის ადგილას ვყოფილიყავა.

დედამინა. აქაც რომ ზუსტად ასეა საქმე?! საკვირველია, ღმერთმანი, თითქოს საერთო არაფერი გვაქვს, ამ მხრივ კი ოდნავადაც არ განვსხვავდებით ერთმანეთისგან.

მთვარე. საერთო არაფერი გვაქვსო?! კი მაგრამ, მეც ხომ შენნაირი ცოტა მაქვს, შენსავით ვბრუნავ და შენსავით მანათებს მზეც? ამიტომ, ის მსგავსებაც სავსებით ბუნებრივია, რომელიც შენ ასე გაკვირვებს, რადგანაც

ბოროტება ისევე ნიშნულია სამყაროს ყველა პლანეტისათვის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მთელი მზის სისტემისათვის მაინც, როგორც მრგვალი ფორმა და სხვა დანარჩენიც, რაზედაც ეს-ესაა პოგახსენებდი. შენ რომ შეგეძლოს, — ურანს, სატურნსა თუ ჩვენი სისტემის სხვა პლანეტებზეც შეგეძლო ხმა და ჰკითხო, არის თუ არა მათზე უბედურება, ბოროტება სხვა სხვათეს, თუ, პირიქით, სიკეთე — ბოროტებას, მერწმუნე, ყველა იმასვე გიპასუხებდა, რაც ჩემგან მოისმინე. იმიტომ გეუბნები ასე დაბეჭითებით, რომ თვითონვე მიკითხავს ვენერასა და მერკურისთვის, რომლებსაც შენზე უფრო ვუახლოვდები ხოლმე, აგრეთვე რამდენიმე კომეტისათვის, რომლებმაც გვერდით ჩამიქროლეს, და ყველანი ერთნაირ პასუხს მაძლევდნენ. მე მგონია, ვერც შენ და ვერც რომელიმე სხვა ვარსკვლავი ვერ იტყოდა სხვა რამეს.

დედაპიწა. და მაინც, მე უკეთესის იმედი მაქვს, მით უმეტეს, ახლა, როცა ადამიანები ესოდენ ბედნიერ მომავალს აღმითქვამენ.

მთვარე. ნება შენია, მე კი აღვითქვამ, რომ უკუნისამდე ლიტონი იმედის ამარა დარჩები.

დედაპიწა. იცი რა, ადამიანებმა და ცხოველებმა ერთი ყაყანი ატეხეს, რადგანაც იმ ნაწილში, რომლითაც გელაპარაკები, ახლა, როგორც ხედავ, ან უფრო სწორად, ვერ ხედავ, — ჯერ კიდევ ღამეა. ყველას ეძინა, მაგრამ ჩვენმა ლაპარაკმა გამოაღვიძათ და ფეთიანებივით წამოიშალნენ.

მთვარე. ჩემს ამ ნაწილში კი როგორც ხედავ, უკვე დილაა.

დედაპიწა. არ მინდა, ჩემი გამოისობით გაუტყდეთ ძილი, რადგანაც სხვა სიკეთე არ გააჩნიათ ამ საცოდავებს. ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ, ახლა კი ნახვამდის, დილა მშვიდობისა.

მთვარე. ნახვამდის, ღამე მშვიდობისა.

### მოდისა და სიკვდილის საუბარი

მოდა. ქალბატონო სიკვდილო, გესმის, ქალბატონო სიკვდილო?

სიკვდილი. ცოტაც მოითმინე, თავის დროზე დაუძახებლადაც მოგაკითხავ.

მოდა. ქალბატონო სიკვდილო!

სიკვდილი. ჯანდაბამდისაც გზა გქონია! როცა არ გენდომები, მაშინ მოგივალ.

მოდა. ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვდავი არ ვიყო.

სიკვდილი. უკვდავიო?

„ათას წელზე მეტი გავიდა“,

მას შემდეგ, რაც უკვდავთა დროებამ ჭირი მოგჭამა.

მოდა. თქვენ კი, ქალბატონო, ისევე ვერ შელევინხართ პეტრარკას, როგორც მეთხუთმეტე ან მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი ლირიკოსი.

სიკვდილი. პეტრარკას ლექსები იმიტომ მომწონს, რომ მათში ჩემს საკუთარ ტრიუმფსა ვხედავ, და კიდევ იმიტომ, რომ შიგ თითქმის ყოველ წამს მე ვიხსენები. თუმცა გვეყოფა, თავიდან მომწყდი!

მოდა. გაფიცებ შენს სიყვარულს ყველა მომაკვდინებელი ცოდვის მი-  
მართ, შეჩერდი და შემომხედე.

სიკვდილი. გხედავ.

მოდა. *სუთო ვერა მცნობ.*

სიკვდილი. უნდა მოგახსენო, რომ მხედველობა არ შეგუბრუნებულა, თვალს  
კი ვერ ვიკეთებ, იმიტომ, რომ საჩემოს თვით ინგლისელნიც ვერ ამზადე-  
ბენ, მაგრამ კიდევაც რომ დაემზადებიანთ, მე თვითონ რა ჯანდაბაზე უნდა  
გამეკეთებინა მათი ნახელავი?

მოდა. მე მოდა ვარ, შენი და.

სიკვდილი. ჩემი და?

მოდა. რა თქმა უნდა; ნუთუ არ გახსოვს, რომ ორივენი წარმავლობის  
ნაშეიერნი ვართ.

სიკვდილი. როგორ უნდა მახსოვდეს, თუკი მეხსიერებას ჩემზე უფრო  
დაუძინებელი მტერი არა ჰყავს?

მოდა. აი, მე კი კარგად მახსოვს, და ისიც მშვენივრად მესმის, რომ ორი-  
ვეს ერთი მიზანი გვაქვს: გადავაკეთოთ და საბე ვუცვალოთ ყველაფერს, რათა  
ამ მზისქვეშეთში აღარაფერი იყოს უცვლელი და მარადიული. მხოლოდ შენ  
შენი გზით მიდიხარ ამ მიზნისაკენ, მე კი ჩემი გზით.

სიკვდილი. თუკი შენსავე აზრებს არ ესაუბრები, ან მსმენელი ყელში  
არ გიზის, უფრო ხმამაღლა ილაპარაკე და ეცადე მკაფიოდ წარმოსთქვა ყო-  
ველი სიტყვა. შენ კი კბილებში სცრი და ხმაც ისეთი წვრილი გაქვს, გეგო-  
ნება ობობას ქსელიათ. ასე ხვალამდისაც ვერაფერს გამაგებინებ, რადგან უნდა  
მოგახსენო, რომ სმენა უკეთესი როდი მაქვს, ვიდრე მხერა.

მოდა. თუმცა ეს კარგ ტონად არ ითვლება და თუმცა საფრანგეთში სა-  
ერთოდ არაა მიღებული ილაპარაკო იმიტომ, რომ მოგისმინონ, მაგრამ რა გა-  
ეწყობა, რახან დები ვართ და შეგვიძლია ზედმეტი ცერემონიები თავიდან  
ავიცილოთ, მოგახსენებ, როგორც შენ გნებავს. რე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ერთ-  
ნაირი ბუნება გვაქვს და ერთნაირი ზნე-ჩვეულება—გამუდმებით განვაახლოთ  
სამყარო. მაგრამ შენ იმთავითვე ხალხსა და მის სისხლ-ხორცს მიჰყავი ხელი,  
მე კი უპირატესად თმებს, წვერ-ულვაშს, ტანსაცმელს, სამკაულებს, ავეჯს, სრა-  
სასახლეებს და სხვა მისთანათ ვჭერდები. მართალია, მეც არასოდეს გამიშვია  
ხელიდან შემთხვევა, რომ კაი გვარიანი ოინი გამეთამაშა და, სხვათა შორის,  
არცთუ შენზე უარესად: ასე მაგალითად, მე ვზვრეტ ხან ყურებს, ხან ბაგეებს

და ნესტოებსაც, ვაწამებ ხალხს, უცნაურ რგოლებს ვაყრევინებ შიგ, ან ვაიძუ-  
ლებ ადამიანებს თავიანთი ხელით დაიბუგონ საკუთარი ხორცი და ზედ, სილა-  
მაზის გულისთვის, გავარვარებული შანთით ათასნაირი დამლა აღბეჭდონ;  
ან სახვევებითა თუ ურიცხვი სხვა საშუალებით ახალშობილთა თავებს ვასა-  
ზიჩრებინებ მათ, რაკილა ჩვევად ვნერგავ, როგორც მაგალითად, აზიაში თუ ამე-  
რიკაში, რომ ქვეყნის მთელ მოსახლეობას ერთნაირი მოყვანილობის თავები  
ჰქონდეს; ან ვკარნახობ მათ, თავი იწამონ ვიწრო ფეხსაცმელებით და სული  
შეიხუთონ კორსეტებით, ისეთნაირად შემოტმასნილი ამ არტაბებით, რომ  
ლამის თვალები ბუდიდან გადმოუცვივდეთ. ვინ მოთქლის, რას აღარ ჩავდი-  
ვარ. მოკლედ, ვარწმუნებ ან ვაიძულებ მორჭმულთ, ყოველდღიურად აიტანონ  
ათასგვარი სიმძიმელი და გაჭირვება, ზოგჯერ თვით ტანჯვა-წამებაც და, შენ  
წარმოიდგინე, გმირულადაც კი დასდონ თავი ჩემი სიყვარულის გულისთვის.

აღარაფერს ვიტყვი თავის ტკივილზე, სურდოზე, ათასნაირ ანთებაზე, ყოველ-  
დღიურ, ან სამდღიანსა თუ ოთხდღიან ციებ-ცხელებაზე, რითაც ნებაყოფლობით  
ავადდებიან ადამიანები, რადგანაც მორჩილად იხრიან ქედს ჩემი თავსე-  
ბობის წინაშე და მზად არიან სიცივით იკანკალონ ანდა სიცხით ემყოფებოდნენ-  
ლი; ზურგი მატყლის ქსოვილით შეიმოსონ, ხოლო მკერდი — უჩვეულოდ  
თი, ერთის სტყვით, ყველაფერი ჩემი კარნახით აკეთონ, თვით თავიანთი თავის  
საზიანოდ.

სიკვდილი. ახლა კი მჯერა, რომ მართლა ჩემი და ხარ; ღმერთმანი, ამაში  
საეკლესიო წიგნიდან ყოველგვარი ამონაწერის გარეშეც ისევე ღრმად ვარ  
დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა მოკვდება.  
მაგრამ იცი რა? ერთ ადგილას ამდენ ხანს დგომით შეიძლება გული წამივი-  
დეს. თუ გნებავს ფეხდაფეხ მომყვე სირბილით, ფრთხილად იყავი, არ გასკ-  
დე, რადგან მე ქარივით დავქრივარ. გზადაგზა კი შეგიძლია გამანდო ყველა-  
ფერი, რისი თქმაც გასურს. არა და, რაკი ასე ახლო ნათესავეები ვყოფილვართ,  
პირობას გაძლევ, რომ სიკვდილის შემდეგ მთელს ჩემს ბარგი-ბარხანას ვიან-  
დერძებ; ახლა კი კარგად ბრძანდებოდე.

მოდა. ჩვენ რომ სანაძლეოზე გავჯობებოდით ერთმანეთს, ღმერთმა  
იციის, ვის დარჩებოდა გამარჯვება: შენ მიქრიხარ, მე კი მივფრინავ; და თუ  
შენ ერთ ადგილას დიდხანს დგომით გული მიგდის, მე პირდაპირ ცვილის სან-  
თელივითა ვდნები. მაშ, გაქვუსლოთ და გზადაგზა, როგორც შენ თვითონ თქვი,  
ჩვენს საქმეებზე ვილაპარაკოთ.

სიკვდილი. აბა, ჰე!.. იცი, რას გეტყვი? თუ შენ მართლა დედაჩემის სა-  
შოდანა ხარ გამოსული, ჩემს საქმეში ცოტ-ცოტა ხელიც უნდა შემომამშველო.

მოდა. კი მაგრამ, განა აქამდე არა გშველოდი? თანაც გაცილებით უფრო  
მეტად, ვიდრე შენ თვითონ გგონია. ჯერ ერთი, მართალია, გამუდმებით ვცვლი,  
ვაუქმებ და წინაუკმო ვატრიალებ ჩვეულებებს, მაგრამ არასდროს დამიშვია,  
რომ ადამიანებს აეღოთ და ერთის დაკვრით გადაეწყვიტოთ, აღარასოდეს მომ-  
კვდარიყვნენ; ამიტომაც, რომ ეს ჩვეულება, როგორც ხედავ, ყველგან უცვ-  
ლელი დარჩა დასაბამიდან — დღევანდელ დღემდე.

სიკვდილი. უჰ, რა დიდი საქმეა, არა ქნა ის, რაც არ შეგიძლია.

მოდა. რა არ შემიძლია? აი, ხომ ხედავ, თვითონვე აღიარე, რა ცუდად  
გესმის მოდის ძალმოსილება.

სიკვდილი. კარგი ერთი, ამაზე მერეც მოვასწრებთ ლაპარაკს, როცა ჩვე-  
ვად იქცევა ის, რომ აღარავინ აღარ მოკვდეს. მანამდე კი მე ვისურვებდი, რომ  
შენ, როგორც შეშვენის მოსიყვარულე დას, უფრო უკეთ მიწყობდე ხელს,  
ვიდრე აქამდე, რათა უფრო სწრაფად და უფრო ადვილად გავუუყო ყველა.

მოდა. ჩემი ზოგიერთი საქმის თაობაზე უკვე მოგახსენე, რომლებიც შენს  
წისქვილზე ასხამენ წყალს. მაგრამ ეს მხოლოდ უბადრუკი წვრილმანია იმას-  
თან შედარებით, რაც ახლა უნდა გითხრა. თანდათანობით, მით უმეტეს, ამ  
ბოლო ხანს, დავავიწყებინე და ხელი ავადებინე ხალხს ყველა იმ საქმესა თუ  
თვითწვრთნაზე, რომლებიც სხეულის გაკაფებას უწყობენ ხელს, ხოლო მათ  
სანაცვლოდ დავნერგე და უჩვეულო პატივით შევმოსე ხალხის თვალში ურიც-  
ხვი სხვა საქმიანობა, ათასნაირად რომ აძაბუნებენ სხეულს და დღეს უმოკლე-  
ბენ ადამიანებს. ეგეც არ იყოს, ამ ქვეყნად იმნაირი წესრიგი დავამყარე და  
ისეთნაირი ზნე-ჩვეულებები დავამკვიდრე, რომ სულისა და სხეულის სიცოცხ-



ლეს მკვდარი უფრო ეთქმის, ვიდრე ცოცხალი. ამიტომაც ამ ჩვენს საუკუნეს თამამად შეიძლება სიკვდილის საუკუნე უწოდოს კაცმა. და თუ უწინ სხვა სამფლობელოები არ გაგაჩნდა, ორმოებისა და მღვიმეების გარდა, სადაც სიბნელეში თესავდი ძვლებსა და მტვერს — ხოლო ეს თესლი, მოგვსენებათ, ნაყოფს არ იძლევა. — ახლა მზის გულზედაც შემოგემატა სიბნელეები; და ადამიანები, რომლებიც ირგვლივ დაძრწიან და დაწანწალებენ, მხოლოდ შენი კეთილმოწყალების იმედით არიან, თუმცა დაბადებისთანავე როდი მოგიცელავს ისინი. მეტიც, ყველგან, სადაც უწინ სძულდით და გგობდნენ, ახლა, ჩემი გარჯის წყალობით, იქამდის მივიდა საქმე, რომ, ყველა ვისაც ტვინის ნატამალი მაინც მოეძებნება, გუნდრუკს გიკმევს და ხოტბას გასხამს, სიციცხლეზე მალა გაყენებთ და ისე სანუკვარადა გთვლის, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გიხმობს და სასოებით შემოგცქერის, როგორც თავის ერთადერთ ნუგეშს. და ბოლოს, ამასაც გეტყვი: რამდენი ვინმე მინახავს, რომ იკვებნიდა, უკვდავება მსურს და მთლიანად როდი მოვკვდები, ვინაიდან უმეტესი ნაწილი ჩემი თავს დაადწევს სიკვდილის კლანჭებსაო. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ფუჭი ყბედობა იყო, და თუ ის, ან სხვა ვინმე, მაინც რჩებოდა კაცთა ხსოვნაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხუმრობით ცოცხლობდა და უფრო მეტად როდი ტკბებოდა თავისი დიდებით, ვიდრე საფლატის სინესტით იტანჯებოდა. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, უკვდავებასთან ეს ლაციცი რომ არაფრად გეპიტნავებოდა, რადგანაც ამას, როგორც ჩანს, საკუთარი ღირსებისა და რეპუტაციის შებღალვად თვლიდი: ამიტომაც ავდექი და გავაუქმე უკვდავებისკენ სწრაფვისა თუ იმათთვის უკვდავების მინიჭების ჩვეულება ვინც ამას იმსახურებდა. ასე რომ, ვინც ახლა კვდება, მერწმუნე, მისი იოტის ოდენა ნაწილაკიც აღარა რჩება ცოცხალი და მთლიანად, მთელი თავისი არსებით, მიწაში დაინთქმება, ზუსტად იმ ლიფსიტასავით ერთ ლუკმად რომ ყლაპავენ, თავის ფხიან-ფარფლებიანა. აი, რამდენი და რამდენნაირი სამსახური გამიწევია შენთვის დღევანდელ დღემდე, რათა განმედიდებინა შენი სახელი, რაც, იმედი მაქვს, შევძელი კიდევ. ამ მიზნის მისაღწევად მზადა ვარ ყოველდღე უფრო მეტი მოვიმოქმედო: სწორედ ამ განზრახვით გამოვწიე შენს საქებნელად. მე მგონია, ამიერიდან განუყრელნი ვიქნებით, რადგან თუ ყოველთვის მხარში ვედგებით ერთიმეორეს, შეგვეძლება ყველა ცალკეულ შემთხვევაში რჩევა ვკითხოთ ერთმანეთს და არა მარტო უკეთესი გეგმა დავსახოთ, არამედ უკეთაც განვახორციელოთ იგი.

სიკვდილი. მართალი ხარ. ასეც მოვიქცეთ.

**სილვისა და ბნომის საუბარი**

სილვი. ვაჰ, ეს შენა ხარ, საბაზიას ძევ? საით გაგიწევია?

ბნომი. მამაჩემმა გამომგზავნა, გამიგე, რას აპირებენ ეს ვირეშმაკა ადამიანებიო. თვითონ საგონებელშია ჩავარდნილი, იმიტომ რომ რახანია თავს აღარ გვაბეზრებენ და მამიჩემის სამფლობელოში ადამიანის ჭაჭანებაც აღარსადა ჩანს. ჰოდა, ეჭვობს, რაიმე უკეთურობას ხომ არ მიმზადებენო, თუ, რა თქმა უნდა, ხელახლა ჩვევად არ იქცა აღებ-მიცემობა ოქრო-ვერცხლზე კი არა ხვასტაგზე გადაცვლით, ანდა თუ განაილებული ხალხები ამჟამად ქალაქის

ფულით არ კმაყოფილდებიან, წკრილა მონეტის ნაცვლად, ან, ველურებისა არ იყოს, ანისის მნიშვნისა არ სჯერებდებიან, და თუ ხელახლა არ შემოუღლიათ ლიკურებს კანონები, რაც თვითონ მას ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნია.

სილფი. „ამაოდ უცდით: დედაბუდიანად ამოწყდნენ“, — როგორც ნათქვამია ერთი ტრაგედიის დასასრულს, სადაც ერთიმეორის მიყუდებით იხილება ყველა მოქმედი პირი.

ბნომი. რისი თქმა გსურს?

სილფი. იმისა, რომ ადამიანები ერთიანად გადაშენდნენ და თვით მათი ბუნებაც გადაეგო.

ბნომი. მაგრამ, ანის თაობაზე ხომ გაზეთებს უნდა ეუწყებინათ? მაშ, რატომ არსად დაგვიღანდავს ამ მოვლენის გამო ამტყდარი ყაყანი და მითქმამოთქმა?

სილფი. ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ! ნუთუ არ გესმის, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანები გადაშენდნენ, გაზეთებიც აღარ იბეჭდება?

ბნომი. ერიჭა! კი მაგრამ, როგორღა გავიგებთ, რა არის ახალი ამ ქვეყნად?

სილფი. რაღა უნდა იყოს ახალი? ის, რომ მზე ამოვიდა და ჩავიდა, რომ აქა-იქ წამოწვიმა, თბილი ამინდი ცივით შეიცვალა, თოვა დაიწყო ან ქარი ამოვარდა? მართლაცდა, მას შემდეგ, რაც ადამიანები გადაშენდნენ, ფორტუნამ თვალებიდან ჩამოიგლიჯა სახვევი, ცხვირზე სათვალე წამოისკუბა, ბორბალი კავზე ჩამოჰკიდა, გულხელდაკრეფილი ზის, თვალყურს ადევნებს ყველაფერს, რაც ქვეყნად ხდება და არაფერში აღარ ერევა. ახლა აღარც სადმე სახელმწიფოა და აღარც სამეფო, უსაშველოდ რომ იბერებოდნენ და მერე საპნის ბუშტებივით სკდებოდნენ, — ყველა აღიგავა პირისაგან მიწისა, აღარ ეომებოდათ ერთმანეთს და ერთი წელიწადი ისე ჰგავს მეორეს, როგორც წყლის ორი წვეთი.

ბნომი. ახლა იმასაც ვეღარ გაიგებ, რა თვეა და რა რიცხვი, რადგან კალენდრებსაც აღარ ბეჭდავენ.

სილფი. იმაზე დამიდგა დარდი, თუ არ მეცოდინება, რა თვეა; განა მთვარე ამის გამო გზას ვეღარ გაიგნებს ცაზე?

ბნომი. აღარც კვირის დღეების სახელი გვეცოდინება.

სილფი. რაო, ხომ არ გეშინია, რომ დღე აღარ დადგება, თუკი სახელს ვერ უწოდებ? ან, იქნებ, გგონია, რომ შეიძლება გავლილ დღეს სახელი დაუძახო და უკანვე შემოაბრუნო?

ბნომი. წელთაღრიცხვაც აგვერევა.

სილფი. მერე რა, ჩვენც ავდგეთ და ხანდაზმულებმაც ახალგაზრდებად ვავასალოთ თავი. ეგეც არ იყოს, თუ ვეღარ დავთვლით, რამდენი წელი მოვიტოვეთ უკან, სატანჯველი შეგვიმცირდება და როცა მთლად დავჩაჩანაკდებით, ყოველდღე მაინც აღარ ვიქნებით სიკვდილის მოლოდინში.

ბნომი. კი მაგრამ, ამ მღილებმა მაინც როგორ ამოიჭამეს თავი?

სილფი. როგორ და, ჯერ ერთი, ისე, რომ ერთმანეთს ეომებოდნენ, მეორეც, ზღვის ტალღებს ეწირებოდნენ, მესამეც ერთმანეთს ნთქავდნენ; ბევრმა მათგანმა საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე, ბევრი უქმად ყოფნამ დააღპო, ზოგმა წიგნებს დააკლა თავი, ზოგი აღვირა ხსნილობასა თუ ათას სხვა

უკულმართობას ემსხვერპლა; ერთის სიტყვით, ყველა გზა მოსინჯეს, რათა თავიანთი ბუნების საპირისპიროდ ევლოთ და უფსკრულში გადაჩენილიყვნენ.

ბნომი. ვერა და ვერ ჩავმხვდარვართ მაგ შენი სიტყვების აზრს; როგორ მოხდა, რომ ერთი და იმავე სახეობის ცხოველები დედაბუნებას ვამოწყდნენ?

სილფი. ყველა ყველა და შენ — გეოლოგიაში ასე უნდა გახსოვდეს, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია: ცხოველთა რამდენი ძველთუძველესი სახეობა არსებობდა ამ ქვეყნად, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ გაქვავებული ჩონჩხებიღა შემოგვრჩა. ხოლო ამ საბრალო ქმნილებისთვის უთუოდ უცხო იყო მთელი ის დახვეწილი მანქანები, რომლითაც ადამიანებმა მუსრი გაავლეს ერთიმეორეს.

ბნომი. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ სერი ის იქნებოდა, ამ ხროვის ორიოდ წევრი მკვდრეთით რომ აღმდგარიყო. ნეტავი გამაგებინა, რას იფიქრებდნენ იმის შემყურენი, რომ მას შემდეგაც, რაც კაცთა მთელი მოდგმა გადაეგო, ყველაფერი ძველებურად გრძელდება და თავისი გზით მიდის, თუმცა ღრმად იყვნენ დარწმუნებული, მთელი სამყარო მხოლოდ ჩვენთვისაა შექმნილი და ჩვენთვის არსებობსო.

სილფი. და ბელადებით უარყოფდნენ იმას, რომ სამყარო სილფებისთვის არსებობს.

ბნომი. იმე, ხუმრობ თუ მართლა სილფით ვიქრის თავში?

სილფი. ვითომ რატომ? რა დროს ხუმრობაა?

ბნომი. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ვინ არ იცის, რომ სამყარო გნომებისათვის არსებობს?

სილფი. რაიო, ქვესკნელში მცხოვრები გნომებისათვის? ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა? კი მაგრამ, რას აქნევენ გნომები მზეს, მთვარეს, ზღვას, ჰაერს, ველ-მინდვრებს?

ბნომი. სილფები რაღას აქნევენ ოქროსა და ვერცხლის ძარღვებს ან დედამიწის მთელ სხეულს, მისივე კანის გარდა?

სილფი. იცი რას გეტყვი? მოგჩიეთ ამ ფუჭ მიეთ-მოეთსა და დავი-და-რაბას. მე, მაგალითად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თვით ხვლიკებისა და ჩრჩილების აზრით სამყარო მხოლოდ მათი ჯიშისა და ჯილაგის სახმარად არსებობს. მაგრამ, დაე, ყველა თავ-თავის აზრზე დარჩეს, სულერთია, ამ აზრს მაინც ვერავინ ამოგვიგდებს თავიდან. ჩემზე მოგახსენებ, თავბედი უნდა მეწყევლა, სილფად რომ არ გავჩენილიყავი: ეს არის და ეს.

ბნომი. მეც ასევე, გნომად რომ არ დავბადებულიყავი. მაგრამ იმის გაგება კი მაინტერესებს, რას იტყოდნენ ამჟამად თავიანთი ქედმაღლობის თაობაზე ადამიანები, ასე უსაშველოდ რომ იბღინებოდნენ, წინაუკმო ატრიალებდნენ ყველაფერს, ათასი წყრთის სიღრმეზე მიძვრებოდნენ მიწის წიაღში, რათა ჩვენი კუთვნილი აქლადიდება მიეტაცებინათ და თანაც ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი მათ ეკუთვნით და ბუნებამ მხოლოდ თავშესაქცევად დაუშალა მთელი განძი ადამიანებს და მიწაში დაფლა, რადგანაც მათი გამოცდა სურდა, — აბა, ვნახოთ, თუ შეძლებენ დამალულის პოვნას და მზის სინათლეზე გამოტანასო.

სილფი. მერედა, რა გიკვირს? ისინი არა მართო ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი მათ სახმარად არის შექმნილი, არამედ იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ კაცთა მოდგმასთან შედარებით ყოველივე და-

ნარჩენი უბადრუკობა იყო. ამიტომაც თავიანთ საკუთარ პერიპეტეებს სამყაროულ გადატრიალებებად ასალებდნენ, ხოლო თავიანთი ტომების ისტორიას — სამყაროს ისტორიად. თუმცა, ალბათ, შეიძლება დავითვალოთ, ისე, რომ დედამიწის ფარგლებს არც კი გავცილდეთ, იმდენივე სახეობა, მყუდროება და სიმშვიდე გვქონდეს, რომ თავი ვანებოთ, თუნდაც მხოლოდ ცხოველებისა, რამდენიც იყო ადამიანი, და მათ სახმარად შექმნილმა ამ ცხოველებმა ერთხელაც ვერ შეამჩნიეს, რომ სამყარო გადატრიალდა.

ბნომი. ნუთუ კოლოებიცა და რწყილებიც კაცთა სასიკეთოდ იყვნენ შექმნილი?

სილფი. რა თქმა უნდა, — იმ მიზნით, რომ ადამიანებს მოთმინებაში გამოებრძმედათ თავი, მათივე საკუთარი აღიარებით.

ბნომი. ჭეშმარიტად! რწყილები რომ არა, როგორღა უნდა გაეწვრთნათ და გამოებრძმედათ თავიანთი მოთმინება?

სილფი. აკი ღორებიც, ქრისიპეს თქმით, მხოლოდ ხორცის ნაჭრები იყვნენ, ბუნების მიერ კაცთა სამზარეულოებისა და საკუჭნაოებისთვის დამზადებულნი, და რომ არ აყროლებულიყვნენ, მათში მარილის ნაცვლად ჩადებული იყო ცოცხალი სული.

ბნომი. მე კი პირიქით მგონია: მაგ ქრისიპეს თავში ცოტაოდენი მარილიც რომ ჰქონოდა და არა მარტო სული, ალბათ, აღარ მოიგონებდა ამ წარმოუდგენელ სისულელეს.

სილფი. ანდა, თუ გნებავს, კიდევ ერთი, არანაკლებ თავშესაქცევი და წარმოუდგენელი ამბავი. ცხოველთა ძალზე ბევრი სახეობა საერთოდ ვერ შენაშნეს და ვერც შეიცნეს მათმა ბატონ-პატრონებმა — ადამიანებმა, არ ვიცი, იმიტომ, რომ იმ ადგილებში ბინადრობდნენ, სადაც კაციშვილს არასოდეს დაუდგამს ფეხი, თუ იმიტომ, რომ ზოგიერთის ტანმორჩილობის გამო ვერასდიდებით ვერ შეძლეს მათი მიგნება. ბევრი სხვა სახეობა კი ადამიანების მიერ მხოლოდ უკანასკნელ ხანს იქნა შემჩნეული. იგივე ითქმის მცენარეებისა და ბევრი სხვა არსის სახეობათა მიმართ. ზუსტად ასევე, თავიანთი ჭოგრიტების მეშვეობით ადამიანები დროდადრო აღმოაჩენდნენ ხოლმე ხან ვარსკვლავს და ხანაც პლანეტას, და თუმცა ათასწლეულების მანძილზე აზრადაც არ მოსვლიათ მათი არსებობა, დაუყოვნებლივ შეჰქონდათ ისინი თავიანთი ავლადიდების რეესტრში. მათ სჯეროდათ, რომ ვარსკვლავები და პლანეტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მალეა ცაში გამოდგმული ჭრაქებია, მათ უმოწყალესობათათვის გზის გასანათებლად, როცა ისინი რაიმე საქმეზე ეშურებოდნენ ღამით.

ბნომი. ზაფხულობით კი, ცეცხლოვანი ციციანთელების ცვენას რომ უმზერდნენ ღამეული ცის თალზე, ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ: ეს უთუოდ რომელიღაცა სულია, ჩვენს სამსახურად წარმოგზავნილი, ნალვენთს რომ სწმენდს ვარსკვლავებსო.

სილფი. ახლა, როცა ისინი გადაშენდნენ, დედამიწას არც კი უგრძვნია, რომ რაღაც დააკლდა, არც მდინარეები დალლილან დენით და არც ისა ჩანს, რომ ზღვა დამშრალიყოს, თუმცა ვაჭრობისა და ზღვაოსნობის სამსახური აღარ სჭირდება.

ბნომი. ვარსკვლავებიცა და პლანეტებიც უწინდებურად ამოდიან და ჩადიან, და არც ფლასებით შემოსილან გლოვის ნიშნად.

სილფი. და არც მზის პირს დასდებია მეწამული ფერი, როგორც დაე-

მართა, ვერგილიუსის სიტყვებით, კეისრის მკვლელობისას, თუმცა, ჩემი აზრით, მზე უფრო მეტად როდი უნდა დაემწუხებინა ამ ხიველით, ვიდრე ლომპეუსის ქანდაკება.



ბუნებისა და სულის საუბარი

ბუნება. წადი, საყვარელო ასულო ჩემო! რადგანაც ამ სახელით იწოდები უკუნითი უკუნისამდე. იცხოვრე და იყავ დიადი და უბედური.

სული. კი მაგრამ, რა შეგცოდნე, ჯერ ხომ ცხოვრებაც არ დამიწყია? რატომ მომისაჯე ამნაირი სასჯელი?

ბუნება. რანაირი სასჯელი, ასულო ჩემო?

სული. აკი წინასწარვე დამიბედნე, უბედური იყავიო?

ბუნება. მე მინდა, რომ შენ დიადი იყო, ხოლო ერთი წარმოუდგენელია მეორის გარეშე. ეგეც არ იყოს, შენი დანიშნულება ისაა, რომ ასულდგმულებდე სხეულს კაცისას, ხოლო ყოველი კაცი უცილობლად უბედური იბადება და უბედურია მისი ცხოვრებაც.

სული. კი მაგრამ, განა უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, იმაზე გეზრუნა, რომ ის, პირიქით, ბედნიერი იბადებოდეს, ხოლო თუ ეს არ შეგიძლია სულაც არ მოგევიტინა ამ ქვეყნად?

ბუნება. ერთიცა და მეორეც ჩემს ძალმოსილებას აღემატება, რადგან თვითონ მეც იძულებული ვარ ქედს ვიხრადე ბედისწერის წინაშე, ხოლო მან სხვაგვარად ინება, როგორც უნდა იყოს ამის მიზეზი, თანაბრად გონებაში უწკდომელი როგორც შენთვის, ისე ჩემთვისაც. რაკი ისე ხარ შექმნილი, რომ შენი წყალობით ენიჭება ხატება ადამიანურ არსს, არავითარ ძალას, არც ჩემსას და არც სხვისას, არ შეუძლია დაგისხნას იმ უბედური ხვედრისაგან, რომელიც საერთოა ყველა კაცისთვის. მაგრამ, გარდა ამისა, შენ გელის შენი საკუთარი ხვედრიც, რომელიც ათასწილ უფრო მძიმეა და დაბადებითვე თან დაგყვება, იმ უპირატესობის გამო, რომელიც მე მოგანიჭე.

სული. ჯერ ვერაფრის შეცნობა ვერ მოვასწარი, რადგან ეს წუთია შემოვდგი ფეხი ამ ქვეყნად და, ალბათ, სწორედ ამიტომ არ მესმის შენი. მითხარი, უპირატესობა და უბედური ხვედრი თავისი არსით ერთი და იგივეა? ხოლო თუ ერთი სხვაა და მეორე — სხვა, არ შეგიძლია ერთმანეთისაგან განაცალკევო ისინი?

ბუნება. ადამიანებისა და შესაბამისად ყველა სახეობის ცხოველთა სულიც ეს ორი რამ, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთი და იგივეა, ვინაიდან ერთი სულის უპირატესობა დანარჩენთა წინაშე განსაზღვრავს იმას, რომ ის უფრო დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს და ამიტომაც უფრო მწვავედ განიცდის, რარიც უბედურია იმისი ხვედრი; ხოლო ვინც უფრო მწვავედ განიცდის საკუთარ უბედობას, სწორედ ისაა ნამდვილად უბედური. ზუსტად ასევე, რაც უფრო დაძაბულია სულის ცხოვრება, მით უფრო მძაფრია მისი თავმოყვარეობა, რასაც უნდა ესწრაფვოდეს და რა ნიღბითაც უნდა გვევლინებოდეს იგი. თავმოყვარეობის სიმძაფრე კი ნეტარების ასეთსავე მძაფრ წყურვილს იწვევს და ამიტომ უფრო მძაფრი ხდება დაუკმაყოფილებლობის მტანჯველი განცდაც, რომელიც ნეტარების ვერწვდომისგან იღებს დასაბამს. ყოველივე ეს დასაბა-

მოთვე საფუძვლად უდევს განგების ნებით შექმნილი სამყაროს წესრიგს, და მე არ შემძლია ამისი შეცვლა. ეგვეც არ იყოს, შენი გონების სიმძლიერება და წარმოსახვის სიმძაფრის გამო შენი არსების უმეტესი ნაწილი ხელიდან დაგასხლტება და აღარ დაემორჩილება შენს ხელმწიფებას. ველურეკეტილებს იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც თვითონვე უსახავენ საკუთარ თავს, ყველაფერს იყენებენ მთელ თავიანთ ძალას, უნარსა და შესაძლებლობას. მაგრამ ადამიანები იშვიათად თუ ბედავენ იმის კეთებას, რისი ძალიც აშკარად შესწევთ, რადგანაც მათ, ჩვეულებრივ, ხელს უშლის მათივე აზრი და წარმოსახვა, ათასნაირ ეჭვს რომ იწვევს გადაწყვეტილების გამოტანისას და ათასნაირ დაბრკოლებას ქმნის მისი ასრულებისას. ვისაც ყველაზე ნაკლებ სჩვევია ყველაფრის აწონ-დაწონა, ვისთვისაც უცხოა განმარტოებისა და ფიქრში დანთქმის მოთხოვნილება, ყველაზე ადვილად ახერხებს გადაწყვეტილების მიღებას და ყველაზე მეტი წარმატებითაც მოქმედებს. მაგრამ ის, ვინც შენსავით ერთთავად თავის თავშია დანთქმული, თავისი შესაძლებლობებით დათრგუნვილი და თავისივე თავით ძლეული, თითქმის ყოველთვის ყოყმანობს, ფიქრშიაც და საქმეშიაც, ხოლო ყოყმანი ერთი ყველაზე სამინელი სატანჯველია, კაცთა ცხოვრების გამამწარებელი. ნურც იმას დაივიწყებ, რომ შენი უებრო ნიჭის წყალობით ადვილად დაეუფლები ყველა თავსამტკრევ საგანს თუ ცოდნის ყველა ურთულეს დარგს და სულ მალე უკან მოიტოვებ შენსავე მოყვასთ, მაგრამ ამასთან, შეუძლებელი ან წარმოუდგენლად ძნელი გეჩვენება ათასგვარი წერილმანის დაუფლება და მათი სათანადოდ მოხმარა, რაგინდ აუცილებელნიც უნდა ჩანდნენ ისინი სხვებთან ურთიერთობისას. თუმცა იმაშიც დარწმუნდები, რა ოსტატურად იყენებს და რა ადვილად ეუფლება მათ ათასობით ადამიანი, რომლებიც არამც-თუ ვერ შეგედრებიან თავიანთი ნიჭიერებით, არამედ აშკარა ზიზღის ღირსნიც კი არიან. ეს სიძნელე და ათასი სხვა უბედურება მიწყივ თანა სდევს დიად სულებს და გასაქანს არ აძლევს მათ. სამაგიეროდ ყველაფერს ანაზღაურებს საბელი და ქება-დიდება, რასაც ისინი იხვეჭენ თავიანთი სიდიადის წყალობით, და უკვდავი ხსოვნა, სამარადისოდ რომ ტოვებენ შთამომავლობის გულში.

სული. კი მაგრამ, მაინც ვინ მომაგებს მაგ შენს ნაინატრ სახელს და პატივს: ზეცა, შენ თუ სხვა ვინმე?

ბუნება. ადამიანები; რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ქება-დიდება მიიღონ კაცს.

სული. აი, ხომ ხედავ, მე კი მეგონა, რახან, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელი არ მიმიწვდება იმაზე, რაც აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობისათვის და რაც თვით ყველაზე უნიჭოთათვისაც კი ხელმისაწვდომი ყოფილა თურმე, — მთელი ჩემი დღე და მოსწრება ყველასათვის საძულველი, უსახელო და უცნობი ვიქნები და ადამიანები არამც-თუ არ განმადიდებენ, არამედ ზურგს მაქცევენ და სათოფეზეც აღარ გამეკარებიან, რაკილა მათთან ურთიერთობის თავი არა მაქვს-მეთქი.

ბუნება. მე მომავლის წინასწარჭვრეტის ნიჭი არა მაქვს და, მაშასადამე, არ შემძლია დაბეჯითებით გიწინასწარმეტყველო, როგორ მოგექცევიან ადამიანები, ან რას იფიქრებენ შენზე, სანამ მათ შორის მოგიწევს ყოფნა. თუმცა ჩემი უხსოვარი დროის გამოცდილებით შემძლია დავასკვნა, რომ ისინი, უფრო მოსალოდნელია, შურიტ აღძრულნი დაგიწყებენ დევნას, ხოლო ესაა ერთი ვარდუვალი უბედურება, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში თავს ვერ და-

აღწევს ვერცერთი დიადი სული; ან კიდევ ზიზღით დაგიწყებენ ცქერას და შენი სახელის გაგონებასაც არ ისურვებენ. ეგეც არ იყოს, თვით წარმატებაცა და შემთხვევითობაც, ჩვეულებრივ, მტრულად არიან განწყობილნი შენნაირების მიმართ. მაგრამ შენი სიკვდილისთანავე, იმ კაცისა <sup>მარტო</sup> რომელსაც კამოენსი ერქვა, ან, სულ დიდი-დიდი, შენი სიკვდილიდან <sup>რამდენიმე წლის შემდეგ</sup> მეორე კაცივით, რომელსაც მილტონს უწოდებდნენ სახელად, — პირდაპირ გაგადმერთებენ და ცაში აგიყვანენ ქება-დიდებათ, ყველანი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შენი საღად მოაზროვნე მოყვასნი მაინც. ვინ იცის, იქნებ იმისი ნეშტი, ვისშიაც შენ ჰპოვებ სავანეს, დიდებულ აკლდამაში იქნეს დაკრძალული, მისი გარეგნობა, ათასნაირად ნაძერწ-ნახატ-ნაქანდაკარი, უსასრულოდ გავრცელდეს ადამიანთა შორის, მისი ცხოვრების ყველა წვრილმანი ათასჯერ იქნეს აღწერილი და ათასთა მიერ — საგულდაგულოდ დაზუთხულ-დაზებირებული, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, მთელს განათლებულ სამყაროს არ მოიცავს მისი სახელი, მაგრამ ყოველივე ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბედისწერის სიძვე და შენივე ნიჭის სიჭარბე ხელს არ შეგიშლის იმაში, რომ უჩვენო და დაუმტკიცო ადამიანებს, რისი ღირსიც ხარ. მერწმუნე, ამის მაგალითები სანთლით როდია საძებნი, თუმცა ეს ვიცით მხოლოდ მე და კიდევ ბედისწერამ.

**სული.** დედავ-ბატონო, მართალია, გერჯერობით ცოდნის ნატამალიც არ გამაჩნია, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, რომ ერთადერთი და უმძაფრესი სურვილი, რომელიც შენ ჩამინერგე, ბედნიერების სურვილია. თუმცა, დავუშვათ და, იმავდროულად, დიდებაც რომ მსურდეს, სულერთია, მე შემიძლია მიველტვოდე ამ, თვითონაც არ ვიცი, სიკეთეს თუ ბოროტებას მართოდენ როგორც ბედნიერებას ან მისი დაუფლების საშუალებას. და აი, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ის უებრო ნიჭი, რომელიც ასე უშურველად მიბოძე, შეიძლება ვარგისი და გამოსადეგი იყოს დიდების მოსახვეჭად, მაგრამ ნეტარებისაკენ კი არ მიგვიძღვის, არამედ წარმოუდგენელი უბედურებისაკენ. ისიც ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამ ნიჭმა დიდებას მაზიაროს ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე, ხოლო სიკვდილის შემდეგ რას ვაქნევ თუნდაც მთელი ქვეყნის ყველა სიკეთეს? და ბოლოს, ადვილი შესაძლებელია ისედაც მოხდეს, როგორც შენ ამბობ: თავნება და ჟინიანი დიდება, რომელსაც მხოლოდ ამდენი უბედურების ფასად თუ მოიხვეჭს კაცი, თვით სიკვდილის შემდეგაც კი არა მხედეს წილად. ამრიგად, შენივე საკუთარი სიტყვებიდან გამომდინარე, მე შემიძლია დავასკვნა, რომ ყველაზე მეტად კი არ გიყვარვარ, როგორც თავდაპირველად ამტკიცებდი, პირიქით, ბოროტს იზრახავ ჩემთვის და უფრო მეტადა გძულვარ, ვიდრე ადამიანებს და ბედისწერას ჩემს ამქვეყნიურ სიცოცხლეში; რადგანაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიბოძე ესოდენ დამლუბველი ნიჭი, როგორც ეგ შენი ნაქები უპირატესობა გახლავს. განა სწორედ ეს არ იქნება ერთი ყველაზე დაუძლეველი დაბრკოლება, რომელიც იმის საშუალებას არ მომცემს, რომ ჩემს ერთადერთ სანუკვარ მიზანს — ბედნიერებას მივალწიო?

**ბუნება.** ასულო ჩემო, ყოველი კაცის სული, საიმისოდაა განწირული, რომ უბედურების წერა შეიქნეს, თუმცა ამაში მე როდი მიმიძღვის ბრალი. მაგრამ ადამიანთა ყოფის საყოველთაო უბედურებასა და ამქვეყნიური სიამით ტკბობისა თუ განცხრომის მთელს ამაოებაში კაცობრიობის უკეთეს ნაწილს სწორედ დიდება მიაჩნია უდიდეს სიკეთედ, რომელიც განგების ნებით

წილად ხვდომია მოკვდავთ, და მათი მუდმივი ზრუნვისა და რუღუნების ყველაზე ღირსეულ მიზნად. ამიტომ სიძულვილის კი არა, არამედ იმ ჰემოზოტი და განსაკუთრებული სიყვარულის გამო, რასაც შენდამი ვგრძნობ, მე გადაწყვიტე მის მისაღწევად მებოძებინა შენთვის ყველაფერი, რაც შემიძლია.

სულნი. მითხარი, შენს მიერ შემოხსენებულ ველურ მხეცთა შორის შემთხვევით თუა ისეთი, რომ მისი სასიცოცხლო ძალა და გრძნობათა სიცხოველე ადამიანისაზე ნაკლები იყოს?

ბუნება. იმათგან მოყოლებული, რომელნიც ჯერ კიდევ მცენარეებსა ჰგვანან, ამ მხრივ ყველანი დაუვარდებიან ადამიანს, ერთნი მეტად, მეორენი ნაკლებად. ადამიანის სასიცოცხლო ძალთა მარაგი და გრძნობათა სიცხოველე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სულდგმულისა, იმიტომ, რომ ის ყველაზე უფრო სრულქმნილია უფლის ქმნილებათა შორის.

სულნი. მაშ, თუ გიყვარვარ, ყველაზე ნაკლებ სრულქმნილთა შორის მომიჩინე ბინა, ხოლო თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ მიმხადე მთელი ეს დამღუპველი და ზეადმტაცი ნიჭი და ყველაზე ხეპრე და რეგვენ სულს დამამგვანე, რომელიც ოდესმე მოგივლენია ქვეყნად.

ბუნება. აი, ეს სამსახური კი შემიძლია გაგიწიოთ და მზადა ვარ თხოვნა შეგისრულო, თუკი თვითონვე უარს ამბობ უკვდავებაზე, რომელიც მსურდა შენთვის მერგუნებინა წილად.

სულნი. უკვდავების ნაცვლად კი მე გთხოვ, რამდენადაც შეგიძლია, ჩემი სიკვდილი დააჩქარო.

ბუნება. ამაზე ბედისწერას მოვეთათბირები.

### პრომეთეს ღაპა

ზევის გამეფებიდან რვაას ოცდაცამეტი ათას ორას სამოცდამეთხუთმეტე წელს მუზების კოლეგიამ დაბეჭდა და ქალაქ ღრუბლებსმიღმეთის საზოგადოებრივ თავყრილობათა ადგილებში გამოაკრა აფიშები, რომლებითაც წინადადებას აძლევდა უკვდავ ღმერთებს, დიდს თუ პატარას, ისევე როგორც ქალაქის დანარჩენ მცხოვრებთ, ყველას, ვისაც უხსოვარ ღროს თუ სულ ახლახან გამოეგონებინა რაღაც ღირსშესანიშნავი, — ნატურალური, ან კიდევ ნახაზისა თუ აღწერილობის სახით წარედგინათ თავიანთი გამოგონება შემოხსენებულ კოლეგიის წევრებისაგან არჩეული ჟიურისათვის. ამასთანავე, მუზები ბოდისმსი რზდიდნენ, რომ თავიანთი ყბადაღებული სიღარიბის გამო ისეთ გულუხვობას ვერ გამოიჩენდნენ, როგორც სურდათ, და იმას, ვისი გამოგონებაც ყველაზე უკეთესად და სასარგებლოდ იქნებოდა მიჩნეული, ჯილდოდ სთავაზობდნენ დაფნის გვირგვინსა და დღისით თუ ღამით, შინ თუ საზოგადოებრივ თავყრილობათა ადგილებში, ქალაქში თუ ქალაქ გარეთ მისი მუდმივი ტარების პრივილეგიას, აგრეთვე იმის უფლებას, რომ შემოხსენებულ გვირგვინით შებლ-შემკული ფერმწერთა ტილოებზე ყოფილიყო გამოსახული და მოქანდაკეთა თუ პედაგოგობის ოსტატთა მიერ ამ სახითვე ნაძერწ-ნაჭედ-ნაქანდაკარი.

ზევის მრავალი ბინადარი ჩაება ამ კონკურსში, მაგრამ მხოლოდ თავშეკცვისა და ღროსტარების მიზნით, ვინაიდან ეს ისევე სჭირდება ღრუბლებსმიღმეთის მცხოვრებლებს, როგორც ყველა სხვა ქალაქის მკვიდრთ, და ეგვეც



არ იყოს, აღთქმული ჭილდო ჭილის ქუდადაც არ ღირდა. რაც შეეხება დიდებას, თუკი თვითონ ადამიანებმა, მას შემდეგ, რაც ფილოსოფოსები გახდნენ, შეიზიზღეს იგი, რა დიდი თავისმტვრევა სჭირდება იმის მიხვედრას, თუ რა ფასი აქვს მას ღმერთების თვალში, თავიანთი სიბრძნით უსმეველნი მამ ჩრდილავენ ადამიანებს და არა მარტო ჩრდილავენ, მეტიც, სჭედილობენ ხლიან, ვინაიდან პითაგორასა და პლატონის აზრით, ღმერთების გარდა არც არავან იმსახურებს ბრძენის სახელს.

მოხდა ისე, რომ — ჭეშმარიტად არნახული და არგაგონილი შემთხვევა ამ დროიდან მოყოლებული, როცა დაწესებულ იქნა ჭილდო ყველაზე ღირსეულთათვის, — მინიჭებაზე ვერაფრითარ ზეგავლენა ვერ მოახდინა ვერც შუამდგომლობამ, ვერც მიმხრობა-მიკერძოებამ, ვერც ფარულმა აღთქმა-დაპირუტყვებმა, ვერც მზაკვრულმა ხრიკებმა. უპირატესობა მიენიჭა სამს: ბახუსს — ღვინის გამოგონებისათვის, ათენას — ზეთისხილიდან ძვირფასი ზეთის გამოხდისათვის, რაც ასე ძალიან სჭირდება ღმერთებს ყოველდღიური განბანის შემდეგ ტანის დასაზელოდ, და ჰეფესტოს — „მომჭირნედ“ სახელდებული სპილენძის ქვაბქოთნის გაკეთებისთვის, რომელშიაც ნელ ალზე და ძალიან სწრაფად შეიძლება მოგეხარშა ყველაფერი, რაცკი მოგეპრიანებოდა. რაკი ჭილდო სამად უნდა გაეყოთ, თვითეულს მხოლოდ დაფნის პატარა ტოტი თუ შეხვდებოდა, მაგრამ სამივემ უარი თქვა არა მარტო თავის წილზე, არამედ, საერთოდ, მთელს ჭილდოზედაც. ჰეფესტომ მოიმიზეზა, თითქმის მთელი დღე ცხელ ქურასთან ვტრიალებ სამჭედლოში, ოფლი წურწურით ჩამომდის და გვირგვინი მხოლოდ ხელს შემოშლისო; ის კი არა და, შეიძლება სულაც დავიწვა და დავიდაგო, თუკი ნაპერწკალი გამხმარ ფოთლებს ეცა და ჩინჩხვარივით ააბრიალო. ათენამ თქვა: თავზე ისედაც ვეება მუზარადი მხურავს, „მეომართა ასი ქალაქის გადამწვდომ-გადამფარავი“, როგორც აღნიშნავს ჰომეროსი, და ჩემს კისერს კიდევ ტვირთის მიმატება ეჭირვებო? ბახუსმა ცივი უარი განაცხადა თავისი თავსარქმლის მოხდაზე: ვაზის გვირგვინს არასდიდებით არ გავცვლი დაფნისაზეო; ისე კი, სიამოვნებით მივიღებ დაფნას, თუ ნებას დამრთავთ, აბრად გამოვაკრა ჩემი დუქნის კარზეო; მაგრამ მუზებმა შორს დაიჭირეს, სამაგისო დაფნის გვირგვინი აბა სად გვაქვსო, და ის მათ საერთო ხაზინაში დარჩა.

ჭილდოს მაძიებელთაგან იოტის ოღენა შურიც არავის აღძვრია, გამარჯვებული ღმერთების მიმართ, არ დამდურებია მსაჯულებს და არ დაუგმია მათი გადაწყვეტილება, არავის, პრომეთეს გარდა, ვინაც მსაჯულებს საკონკურსოდ წარუდგინა თიხის ყალიბი, რომელსაც იყენებდა პირველი ადამიანების შექმნისას, და თან დაურთო აღწერილობა, სადაც განმარტავდა მის მიერ გამოგონილი კაცთა მოდგმის თვისებებს და დანიშნულებას. მართლაც რომ განცვიფრებას იწვევს პრომეთეს გულისწყრომა იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც სასაცილოდაც არ ჰყოფნია არავის, არც გამარჯვებულებს და არც დამარცხებულებს. მაგრამ მიზეზთა კვლევისას ცხადი შეიქნა, რომ ტიტანს მართლაც სურდა, მეტიც, სული ელეოდა არა იმდენად საპატოო გვირგვინზე, რამდენადაც იმ პრივილეგიაზე, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში მოიპოვებდა. ზოგიერთის ვარაუდით, მას უნდოდა გვირგვინით დაეფარა თავი მებისგან, ტიბერიუსის მსგავსად, რომელიც გრგვინვის გაგონებისთანავე გვირგვინს დაიკოსებდა თურმე თავზე, რადგან სჯეროდა, დაფნას მები არ ეცემაო. მაგრამ ქალაქ ღრუბლებსმიღმეთში არც ელვა იცის და არც მები.

სხვები უფრო დაბეჭითებით ირწმუნებიან, რომ პრომეთეს, როგორც ხანშიშესულ ხალხს სჩვევია, თმებმა დაუწყო ცვენა, და რაკი ეს უსიამოვნება ნამეტანი ახლოს მიჰქონდა გულთან და, შესაძლოა, სინესიოსის „სიქაჩლის ქებაც“ არ წაეკითხა, ან, ვინ იცის, იქნებ კიდევაც წაეკითხა, მაგრამ სწორედ ამ ვერაფერი ეპოვა შიგ, — სწორედ ამიტომ უნდოდა, დიქტატორ ცენსორის პრიუსს, გვირგვინით დაეფარა სიქაჩლე.

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს ამბავს. ერთ მშვენიერ დღეს, მომოსთან საუბრისას, პრომეთე საშინლად აღშფოთებული გახლდათ იმის გამო, რომ ღვინოს, ზეთსა და ქვაბქოთნებს უფრო მაღალი შეფასება მისცეს, ვიდრე კაცთა მოდგმას, ამ — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — ყველაზე დიად ქმნილებას, რომელიც ოდესმე გამოსულა უკვდავთა ხელიდან. მაგრამ რაკი დაინახა, რომ მთლად ვერ დაარწმუნა მომოსი, რომელიც ყურით მოთრეულ საბუთებს უპირისპირებდა მის აზრს, ტიტანმა შესთავაზა, დაუყოვნებლივ დავეშვათ დედამიწაზე და, სულერთია, ხუთი კონტინენტიდან პირველად რომელს დავადგამთ დებს, იქ შევჩერდეთ, სადაც წავაწყდებით კაცთა საცხოვრისსო: წინასწარ კი დავნიძლავდეთ, რომ ხუთსავე კონტინენტზე თუ არა, სამსა თუ ოთხზე მაინც აღმოვაჩინოთ იმის უტყუარ საბუთს, რომ ადამიანი ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა სამყაროშიო. მომოსი დაყაბულდა, სანაძლეოს ფასზე შეთანხმდნენ და დაუყოვნებლივ დაეშვენენ დედამიწაზე. უწინარეს ყოვლისა, „ახალ სამყაროს“ მიაშურეს, რომელიც თვით თავისი სახელისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ზედ ცის არცერთ ბინადარს ჯერ კიდევ არ დაედგა ფეხი, ყველაზე მეტად უღვივებდათ ცნობისწადილს. პოპაიანის ქვეყანას გადაუქროლეს და ჩრდილოეთით, მდინარე კაუკას ახლოს დაეშვენენ, რადვანაც ეტყობოდა, რომ აქ ადამიანთა საცხოვრისი უნდა ყოფილიყო: მინდვრებში სახნისის ნაკვალევი, ნახევრად წაშლილი ბილიკები, უღვთოდ აჭრილ-აჩეხილი და ერთმანეთზე უთავბოლოდ მიყრილი ხეები, სამარხთა მსგავსი მიწაყრილები და აქა-იქ მიმოფანტული ადამიანის ძვლები. მაგრამ რაკიგ არ ქაბავდნენ სმენას, თვალგაშტერებით გაპყურებდნენ შორეთს და გაფაციცებით ზვერავენენ არემარეს, ზეცის ბინადართ არც ძებორციელის ხმა მისწვდენია საიდანმე და არც კაცის ქაჭანება დაულანდავთ. ასე გავლეს კაი გვარიანი მანძილი, ხან ფეხით და ხან ფრენით, გადაიარეს მთები, გადასერეს მდინარეები, კლდენი და ღრენი, მაგრამ ყველგან ხვდებოდათ კვლავ იგივე ნაკვალევი, იგივე უდაბურება და უკაცურობა.

„მაინც რამ ამოაგდო აქაურობა? — უკვირდა მომოსს, — ხომ აშკარად ჩანს, რომ ოდესღაც დასახლებული უნდა ყოფილიყო?“ პრომეთე ეხსენებდა ხმელეთის წამლეკ ზღვებს, მიწისძვრებს, გრიგალებს და ცხელი ქვეყნებისათვის — როგორც გაეგო, — ესოდენ ჩვეულებრივ კოკისპირულ წვიმებს. და მართლაც, სწორედ ამ ღროს, ორივეს გარკვევით ესმოდა, როგორი წკაპა-წყუპით ცვიოდნენ მიწაზე წვიმის წვეთები ხის ტოტებიდან, რომლებსაც მეზობელ ქალაში ქარი არხევდა. და მაინც, მომოსი ვერასდიდებით ვერ მიმხვდარიყო, როგორ უნდა წაელეკა აქაურობა ზღვას, თუკი ისე შორს იყო, რომ თვალსაწიერზეც არ ჩანდა. ან რა სასტიკი უნდა ყოფილიყო ბედის განაჩენი, რომ მიწისძვრებს, გრიგალებს და თავსხმებს ერთიანად გაეჟუჟათ ადამიანები, მაგრამ დაენდოთ იაგუარები, მაიმუნები, ქიანჭველა-ჭამიები, კენგურუები, არწივები და მიწაზე მძრომთა თუ ცაში მფრინავთა ურიცხვი ჯიში ანუ ჭილაგი, ვინაიდან აქაურობა სავსე იყო ყოველი ჯურის ცხოველით. ბოლოს გავიდნენ

ტრიალ მინდორზე, სადაც დაინახეს სახლების, ან, უფრო სწორად, უბადრუკი ქობმახების გროვა, რომლებიც პალმის ტოტებით იყო გადახურული და თვითეული ცალ-ცალკე — ხის მესერით შემორაგული. ერთი ქობი წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ზოგი ფეხზე იდგა, ზოგიც თინის ქუთონს შემოესხდომოდა, რომელიც ცეცხლზე თუხთუხებდა. ცის მკვიდრთ აფრთხილებს მიიღეს და ახლოს მივიდნენ. პრომეთე თავაზიანად მიესალმა ყველას, მერე მიუბრუნდა იმას, ვისაც ქცევასა და მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, რომ ამათში თავკაც უნდა ყოფილიყო და პკითხა, რას აკეთებთ?

ველური. ვერა ხედავ, სადილს ვაპირებთ.

პრომეთე. ემანდ რას ხარშავთ?

ველური. ხორცს რასმე.

პრომეთე. შინაური საქონლისას თუ ნადირისას?

ველური. რასაკვირველია, შინაურისას: ჩემი საკუთარი ვაჟისას.

პრომეთე. რას ამბობ, კაცო, ეგ შენი ვაჟი, პასიფაეს ნაშიერივით, ხბო ზომ არ იყო?

ველური. ხბო კი არა, ისეთივე ადამიანი, როგორც ჩვენა ვართ.

პრომეთე. ხომ არ გაგიჟდი, შენს საკუთარ ხორცსა ჭამ?

ველური. ჩემს საკუთარს კი არა, მისას: აბა, ტყვილა გაეაჩინე და გამოვზარდე?

პრომეთე. რომ თვითონვე შეგეჭამა?

ველური. რა გიკვირს, დედამისსაც მალე შეგჭამ, რადგან, ვატყობ, შეილებს ვეღარ გააჩენს.

პრომეთე. ჰო, ჯერ კვერცხს ჭამენ, მერე ქათამსაც.

ველური. დანარჩენ ქალებსაც, მე რომ მყავს, მაშინვე შეგჭამ, როგორც კი შვილის გაჩენას ვეღარ შეძლებენ. ან ამ ჩემს მონებს ხო უყურებ? მაგათი თავის ხეთქამ, მუქთად შევინახავდი, რომ არ მრავლდებოდნენ და დროდადრო საკლავით არ მამარაგებდნენ. დაბერდებიან თუ არა, მაგათაც შეგჭამ, თუ მანამდე თვითონვე არ შემჭამა ვინმემ.

პრომეთე. ერთი ეს მითხარი, ეგ მონები შენი თვისტომნი არიან თუ სხვა ტომისანი?

ველური. სხვა ტომისანი.

პრომეთე. აქედან შორსაა მაგათი საცხოვრებელი?

ველური. გადაკარგულში: ჩვენსა და მათ სახლებს შუაში წყარო ჩაუდის. ამ სიტყვებით მან თითი გაიშვირა ბექობისკენ და თან დასძინა: „აგე, იქ იყო მაგათი სადგომი, მაგრამ ჩვენებმა უტირეს დედა!“ პრომეთემ ახლალა შენიშნა, რომ ველურები ისე ხარბად და რაღაც უცნაური სინაზით თუ სიყვარულით მიშტერებიან, როგორც კატა უყურებს თავვს, და რაკი აშკარად არ უნდოდა მისივე საკუთარი ქმნილებების კერძი გამხდარიყო, ბევრი აღარ უფიქრია: დაჰკრა ფეხი და აფრინდა. მომოსი უკან მიჰყვა. ორივე ღვთაება ისე აეტანა შიშს, რომ აფრენისას ისეთივე უწმინდურებით წაბილწეს ველურების მეჯლისი, როგორსაც მტაცებელი პარპიები სტომაქიდან ათბევდნენ ტროელთა სუფრას. მაგრამ ველურები ენეასის მზღებლებზე უფრო მშვივრები და ნაკლებ გულაზიზნი იყვნენ და ამიტომ ღრეობა არ შეუწყვეტიათ. პრომეთემ კი, ფრიად უკმაყოფილომ და „ახალ სამყაროზე“ გულაყრილმა, „ძველი სამყაროს“ უძველეს ნაწილს — აზიას მიაშურა. ლამის ერთ წამში რომ დაფარეს

მთელი მანძილი, რომელიც ვესტ-ინდოეთს ოსტ-ინდოეთისაგან აშორებს, თრივე ღვთაება მშვიდობით დაეშვა ერთ ხეობაში, აგრის მახლობლად, სადაც ურიცხვი ხალხი შეჩვეულყო საკმაოდ ღრმა ორმოს გარშემო, რომელიც შეშით იყო ამოვსებული. ორმოს პირას, ცალ მხარეს, რამდენიმე წყარო მოედო ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ და შხად იყვნენ კოცონი გაეჩაღები-ნათ, მეორე მხარეს აღმართულ ფიცარნაგზე კი — ყმაწვილი ქალი, რომელიც გაშმაგებული როკვითა და წივილ-კივილით გამოხატავდა თავის აღტყინებას. მის დანახვაზე პრომეთეს ეგონა, ნამდვილად ახალ ლუკრეციასა თუ ახალ ვირგინიას, ან კიდევ ერეხთევსის ასულის, იფიგენიას, კოდროსის, მენეკევსისა თუ კურციუსებისა და დეციუსების ერთ-ერთ მეტოქეს ვხედავ, რომელიდაცა წინასწარმეტყველების აღსასრულებლად თავისი ნებით რომ ეწირება მსხვერპლად სამშობლოს კეთილდღეობასო. შერელა გაიგო, რომ მსხვერპლწეწირვის მიზეზი მისი ქმრის სიკვდილი ყოფილიყო, და გაიფიქრა, საბრალო, ალბათ, ალკესტიდას მსგავსად აპირებს თავისი სიცოცხლის ფასად სიკვდილისაგან დაიხსნას საყვარელი მეუღლეო. მაგრამ როდესაც აუხსნეს, საცოდავი მხოლოდ იმიტომ დაყაბულდა თვითდაწვას, რომ ასეთია მისი კასტის ქალების ჩვეულებათ; ქმარი ყოველთვის ჭირის დღესავით სძულდა, ახლა კი მაგრა გამოათვრეს, ხოლო მიცვალებული არამცთუ არ აღდგება მკვდრეთით, არამედ ამავე კოცონზე დაიფერფლებათ, — ტიტანმა მაშინვე ზურგი აქცია ამ სანახაობას და ევროპისკენ აიღო გეზი. მიფრინავდნენ და თან გზადაგზა ლაპარაკობდნენ:

**მომოსი.** რას წარმოიდგენდი მაშინ, როცა თავს სწირავდი, რათა ადამიანების გულისთვის ცეცხლი მოგეპარა ზეციდან, რომ ისინი ასე უკულმართად გამოიყენებდნენ მას: ერთნი — ქოთნებში თავიანთი ახლობლების, მოსახარშად, მეორენი კი — საკუთარი ნება-სურვილით თავიანთი თავის დასაწვავად?

**პრომეთე.** ვერასდიდებით ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, ჩემო ძვირფასო მომოს, რომ ჩვენ ჯერხნობით მხოლოდ ბარბაროსები მოვინახულეთ, ბარბაროსების მიხედვით კი ადამიანის ბუნებაზე მსჯელობა არ შეიძლება; მასზე მხოლოდ ცივილიზებული ადამიანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებსაც ამჯერად უნდა ვეწვიოთ, და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი თვალით ვნახავთ და ჩვენი ყურით მოვისმენთ რაღაცა ისეთს, რაც არა მარტო ქების, არამედ განცვიფრებისა და აღტაცების ღირსადაც მოგეჩვენება.

**მომოსი.** მაგრამ მე მაინც არ მესმის, რატომაა აუცილებელი, რომ ადამიანები, თუკი მათი მოდგმა ყველაზე სრულყოფილია მთელს სამყაროში, — მაინცდამაინც განათლებულნი უნდა იყვნენ, რათა ცოცხლად არ დაიწვან თავი და არ შეახრამუნონ თავიანთი შვილები? აკი დანარჩენი ცხოველები ერთიანად ბარბაროსები არიან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, განზრახ არცერთი არ იწვავს თავს, ფენიქსის გარდა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს, და მხოლოდ ძალზე ცოტანი თუ ნთქავენ თავიანთსავე მსგავსთ, მით უმეტეს, — თავიანთ ნაშიერთ და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და არა იმიტომ, თითქოს რახან გააჩინეს ამ ქვეყანაზე, ბოლოს თვითონვე უნდა შეკამონ. ისიც გაითვალისწინე, რომ დედამიწის ხუთივე კუთხიდან მხოლოდ ერთი, დანარჩენ ოთხზე გაცილებით უფრო პატარა კუთხე თუ ფლობს და ისიც მთლიანად როდი ფლობს მაგ შენს ნაქებ ცივილიზაციას, მხოლოდ ერთი და, ჰა და ჰა, შეიძლება კიდევ მეორე, და შენ გაგიჭირდება იმის მტკიცება, რომ

ცივილიზაცია საბოლოოდ მომწიფდა, და რომ პარიზსა თუ ფილოზოფიაში უკლებლივ ყველამ მიაღწია იმნაირ სრულყოფილებას, რაზედაც საერთოდ, შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს კაცთა მოდგმას. ახლა იმას აღარ იკითხავ, რამდენი წელი დასჭირდათ ადამიანებს, რათა გამუდმებული ომების წყალობა და უპაანწყვეტით ჯერ კიდევ არასრულყოფილი ცივილიზაციის დღევანდელ დონემდე მიეღწიათ? ზუსტად იმდენი, რამდენმაც განვლო ადამიანის შექმნიდან, აი, აგერ, გუშინდელ დღემდე. და თითქმის ყველა გამოგონება, რომელიც ესოდენ საჭირო ან განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგა ცივილიზებულ მდგომარეობამდე ასამაღლებლად, თავის არსებობას უნდა უმადლოდეს არა იმდენად ზუსტ მიზანდასახულობას, რამდენადაც ანაზღვეულსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევითობას. ასე რომ, ადამიანური ცივილიზაცია უმალ ბედისწერის ქმნილებაა, ვიდრე ბუნებისა, ხოლო იქ, სადაც მისდღემჩი ამის მსგავსი არა ყოფილა რა გამოგონილი, ხომ ჩვენსევე თვალთ ვიხილეთ, რომ ხალხები დღესაც პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობაში იმყოფებიან?! ჰოდა, შევამბობ, თუ ბარბაროსი ათი თავით დაბლა დგას ნებისმიერ ცხოველზე; თუ განათლება, ბარბაროსობის ეს ერთგვარი საპირისპირო მოვლენა, თვით ჩვენს დროშიაც კი კაცთა მოდგმის მხოლოდ მცირე ნაწილის ხვედრია; თუ ამ მცირე ნაწილმაც მხოლოდ უთვალავი საუკუნის შემდეგ მიაღწია ცივილიზაციის დღევანდელ დონეს, და ისიც, უპირატესად, კეთილმოწყალე შემთხვევითობასა და არა სხვა რაიმე კანონზომიერი მიზეზის ძალით; და თუ, ბოლოს, თვით ცივილიზაცია ჯერ კიდევ ძალზე შორსაა სრულყოფილებისგან, მაშინ ცოტა შენც გაანძრე ტვინი და თავად განსაჯე, მთელი ეგ შენი მსჯელობა კაცთა მოდგმის სრულყოფილების თაობაზე ცოტა უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა ასეთნაირად შესწორებული სახით: ადამიანი მართლაც აღემატება ყველა სხვა ჯიშისა თუ ჯილაგის ცხოველს, მაგრამ არა თავისი სრულქმნილებით, არამედ, პირიქით, არასრულქმნილებით, თუმცაღა კაცნი, იმ აკვიატებული წარმოდგენის შედეგად, რომელიც თვითონვე შეიმუშავეს და რომელსაც ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად თვლიან, — თავიანთ მსჯელობებსა თუ მოსაზრებებში გამუდმებით ურევენ ერთმანეთში ამ ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა სხვა ქმნილება, ცალკე ერთეულებადაც და მთელ გვარებადაც, დასაბამითვე სრულყოფილი იყო. მაგრამ თუნდაც ასევე უეჭველი არ იყოს ჩვენთვის, რომ ბარბაროსობის საფეხურზე დარჩენილი ადამიანი ყველა დანარჩენ სულდგმულზე უარესია, — შე მაინც ვერასდიდებით ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს ყველაზე არასრულყოფილ არსებას — ხოლო ადამიანი, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ასეთია, — ყველაზე სრულყოფილად უნდა ვთვლიდეთ. ამასაც დაუფიქრდი: ადამიანური ცივილიზაცია, რომლის მიღწევასაც ამდენი ტანჯვა-წამება დასჭირდა და რომელიც, ალბათ, ვერასოდეს ვერ მიაღწევს სრულყოფილებას, არც ისე მომწიფებულა, რომ შეუძლებელი იყოს მისი დანგრევა, როგორც ცივილიზაციის საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარი არა ერთი და ორი, აწ უკვე გადაშენებული ძველი ხალხის ისტორია გვიმოწმებს ამას. ერთი სიტყვით, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე შემძლია დავასკვნა, რომ თუკი შენი ძმა ეპიმეთე საკონკურსოდ წარადგენდა იმ ყალიბს, რომელსაც იყენებდა პირველი ვირისა თუ პირველი ბაყაყის შექმნისას, უცილობლად მოიპოვებდა სანუკვარ ჯილდოს, რომელიც შენ არ გელირსა. მაგრამ, ასეა თუ ისე, სიამოვნებით დავეთანხმები და ვაღიარებ, რომ ადამიანი მართლაც ყველაზე

სრულყოფილი არსებაა, თუკი შენც, შენის მხრივ, აღიარებ, რომ ეს სრულყოფილება მსგავსია იმისა, რასაც სამყაროს მიაწერს დიდი პლოტინი, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ჩვენი სამყარო ჭეშმარიტად კეთილია და ყოფილად სრულქმნილი, მაგრამ სწორედ ამ სრულქმნილების გამო თავის წიაღში უნდა იმარხავდეს ყოველნაირ ბოროტებასო. და მართლაც, მასში იმდენია ბოროტება, რამდენიც შეუძლია დაიტოს, და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ყველაფერს, მე მზადა ვარ დავეთანხმო თვით ლაიბნიცსაც, ვისი აზრითაც, ჩვენი სამყარო ყველა შესაძლო სამყაროთა შორის უკეთესია და უსრულქმნილესი.

შეუძლებელია ექვი შეგვეპაროს იმაში, რომ მომოსის მოსაზრების გასაზიარებლად პრომეთეს მზად ჰქონდა ნათელი, ზუსტი და დიალექტიკის ყველა წესის უზადო დაცვით გამართული პასუხი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პასუხი გაუცემელი დარჩა, ვინაიდან სწორედ ამ წამს ქალაქ ლონდონის თავზე აღმოჩნდნენ. დაბლა დაშვებისას შენიშნეს, რომ უამრავი ხალხი აწყდებოდა ერთი კერძო სახლის კარს. ბრბოს შეერივნენ და შიგ შევიდნენ. მტრისას, რაც მათ იქ დახვდათ: საწოლზე გულადმა ეგდო მკვდარი კაცი; მკერდგანგმირულს მარჯვენა ხელში რევოლვერი ჩაებლუჯა. იქვე, მის გვერდით, იწვა ორი პატარა ბავშვი. ორივე მკვდარი. ოთახში იყო რამდენიმე მოსამსახურე და მათი დაკითხვით გართული სასამართლოს ორიოდე მოხელე. მწერალი ოქმსა წერდა.

პრომეთე, ვინ არიან ეს უბედურები?

მოსამსახურე, ჩემი ბატონი და მისი შვილები.

პრომეთე, კი მაგრამ, ვინ მოკლა?

მოსამსახურე, სამივე — ჩემმა ბატონმა.

პრომეთე, ესე იგი, შენ ამბობ, რომ შვილებიც მოკლა და თავიც მოიკლა?

მოსამსახურე, დიახ.

პრომეთე, ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას, რა უბედურება უნდა დასტყდომოდა თავზე საცოდავს!

მოსამსახურე, მე თუ მკითხავთ, არაფერიც არ დასტყდომია.

პრომეთე, იქნებ დარიბ-ლატაკი იყო და ყველას მიერ მოძულეებული? ან უიმედოდ შეყვარებული, ანდა კიდევ სასახლის კარზე ყბადაღებული?

მოსამსახურე, პირიქით, ძალიან მდიდარი იყო და პატივისცემით გარემოსილი; სასიყვარულოდ არ ეცალა, სასახლეში კი წყალობა არ დაჰკლებია.

პრომეთე, აბა, მას რამ გააწირინა თავიცა და ეს ცოდვის შვილნიც?

მოსამსახურე, რა ვიცი, თუ იმ ბარათს ვენდობით, სიკვდილის წინ რომ დაუწერია, როგორც ჩანს, სიცოცხლე მობეზრდა.

პრომეთე, ეს მოხელეები რაღას აკეთებენ?

მოსამსახურე, უნდათ დაადგინონ, სრულ ჭკუაზე იყო თუ არა ჩემი ბატონი, თუ ჭკუაზე იყო, მთელი მისი ავლადიდება, კანონის თანახმად, ხაზინის გადაეცემა; არაფერი ამას არ დაუდგება წინ, ჩვენ კი ცარიელზე დავგვსვამენ.

პრომეთე, ერთი ეს მითხარა, ან ნათესავი არ ჰყავდა ამ უბედურს, ან მეგობარი, რომ კი არ მოეკლა, მისთვის დაეტოვებინა შვილები?

მსახურე, ჰყავდა, როგორ არა ჰყავდა, მათ შორის ერთი — ყველაზე გულითადი და ახლობელი; სწორედ მას დაუტოვა თავისი ძაღლი.

მომოსმა ის იყო დააბირა მიელოცა პრომეთესათვის, ეს რა კეთილ ნაყოფს გვაძლევს, თურმე, განათლება და რა ბედნიერებას გვპირდება ცხოვრებაშიო;

უნდოდა ისიც მოეგონებინა ტიტანისათვის, რომ არც ერთი სუთნური თავისი ნებით არ იკლავს თავს და არც — ცხოვრებაზე ხელჩაქნეული — სასიკვდილოდ არ იმეტებს თავის ნაშეერთ; მაგრამ პრომეთემ დაასწრო და ისე, რომ აღარც კი გახსენებია, ქვეყნიერების ორი თუ სამი კუთხეში მდებარე მთა-სახილველიო, — დაუყოვნებლივ გადაუხადა მომოსს მხარეს.

### ფიზიკოსისა და მეტაფიზიკოსის საუბარი

ფიზიკოსი. ევრიკა, ევრიკა!

მეტაფიზიკოსი. რაო, რას მიაგენი?

ფიზიკოსი. სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებას.

მეტაფიზიკოსი. ეგ რაღა წიგნი გიჭირავს ხელში?

ფიზიკოსი. ყველაფერი აქა მაქვს ჩაწიკწიკებული; და თუ ადამიანები უფრო დიდხანს იცოცხლებენ ამ ჩემი გამოგონების წყალობით, მე ხომ, სულ მცირე, მარად ცოცხალი ვიქნები, ესე იგი, ის მინდა მოგახსენო, რომ უკვდავ სახელს მოვიხვეჭ.

მეტაფიზიკოსი. მოდი, ისე მოიქეცი, როგორც მე გირჩევ: აიღე ტყვიის ყუთი, ჩაღე შიგ ეგ შენი წიგნი და მიწაში ჩაპყალ, სიკვდილის წინ კი არ დაგავიწყდეს, ვინმეს ასწავლო ადგილი, რომ მივიდეს და ამოთხაროს, როცა გამოიგონებენ იმის საშუალებას, თუ როგორ იცხოვრონ ბედნიერად.

ფიზიკოსი. მანამდე?

მეტაფიზიკოსი. მანამდე კი არც არის საჭირო. ჩემს თვალში მეტი ფასი ღირსობაა, შიგ გადმოცემული რომ იყოს სიცოცხლის შემოკლების საშუალება.

ფიზიკოსი. კი მაგრამ, ეგ საშუალება რა ხანია ცნობილი გახლავს, და მის მიგნებას დიდი თავისმტვრევა როდი სჭირდება.

მეტაფიზიკოსი. ასეა თუ ისე, მე მას უფრო ვაფასებ, ვიდრე შენსას.

ფიზიკოსი. ვითომ რატომ?

მეტაფიზიკოსი. იმიტომ, რომ სანამ სიცოცხლე ბედნიერი არ გამხდარა, ხოლო აქამდე არც არასდროს ყოფილა ბედნიერი, — ჩვენთვისვე უმჯობესია, რომ მოკლე იყოს.

ფიზიკოსი. არამც და არამც: სიცოცხლე თავისთავად სიკეთეა, ამიტომაც ყველას სწყურია და ყველას უყვარს, ვინაიდან ეს ბუნებრივია ადამიანისათვის.

მეტაფიზიკოსი. ჰო, ასე ფიქრობენ ადამიანები, მაგრამ ცდებიან, ამ უბირთა მსგავსად, ფერი რომ საგანთა თვისება ჰგონიათ, მაშინ როდესაც ის საგანთა თვისება კი არ არის, არამედ სინათლასა. მე ვგულისხმობ შემდეგს: ადამიანს სწყურია და უყვარს მარტოოდენ თავისი საკუთარი ბედნიერება, სიცოცხლეს კი მხოლოდ იმდენად ვტრფის, რამდენადაც ამ ბედნიერების მიღწევის საშუალებად წარმოუდგენია. ასე რომ, ადამიანს, საბოლოო ანგარიშით, სიცოცხლე კი არ უყვარს, არამედ ბედნიერება, თუმცაღა ბედნიერების სიყვარულს ხშირად სიცოცხლის სიყვარულთან აიგივებს. სიმართლე კი, თუ გნებავს, ისაა, რომ ამნაირი შეცდომა იმდენადვე ბუნებრივია, რამდენადაც ის მცდარი წარმოდგენა, საგანთა თვისებად რომ მიიჩნევს ფერს. სიცოცხლის სიყვარული ის თვისება როდია, რომელიც ბუნებრივად და უცილობლად გა-

ნუყრელია ადამიანისაგან. შენ თვითონ დარწმუნდები იმაში, თუ გაიხსენებ, რომ ძველად მრავალზე მრავალი არჩევდა სიკვდილს, თუმცა კი შეეძლოთ ეცოცხლათ, და ახლაც სულ სხვადასხვა ვითარებაში, ვინ მოსთვლის, რომდენი ნატრობს სიკვდილს, ხოლო ზოგიერთი თავისი ხელითაც კი იმოკლებს დღეს. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა, სიცოცხლის სიყვარული ბუნებით თანდაყოლილი რომ იყოს ჩვენთვის, სამაგიეროდ, საკუთარი ბედნიერების სიყვარული დვრიტადა დევს ყოველი სულდგმულის ბუნებაში, და უმალ ქვეყანა დაიქცევა, ვიდრე ესა თუ ის სულდგმული თავისივე ბედნიერების სიყვარულსა და მისკენ სწრაფვაზე აიღებს ხელს. ახლა კი შენგან მოველი ფიზიკური, მეტაფიზიკური თუ რომელიც გნებავს მეცნიერებიდან მოხმობილ საბუთებს იმის დასტურად, რომ სიცოცხლე თავისთავად არის სიკეთე. ჩემის აზრით, ბედნიერი სიცოცხლე უთუოდ სიკეთეა, მაგრამ მხოლოდ ბედნიერი და არა ყოველგვარი სიცოცხლე. უბედური სიცოცხლე, რამდენადაც ის უბედურია, — ბოროტებაა, და თუ დავუფიქრდებით, რომ ბუნების, კერძოდ, ადამიანური ბუნების გამოისობით სიცოცხლე და უბედურება ერთმანეთისაგან განუყრელია, თავად განსაჯე, რა გამომდინარეობს აქედან.

**ფიზიკოსი.** გემუდარები, მოვეშვათ ამას, ისედაც ყველაფერი სატირალია. ერთი ამ კითხვაზე მიპასუხე, ისე რომ მეტიმეტ თავის მტვრევას ნუ მოჰყვები: ადამიანი რომ უსასრულოდ ცოცხლობდეს, მაგრამ არა სიკვდილის შემდეგ, არამედ ამქვეყნადვე, ესე იგი, უკვდავი იყოს, — საამური იქნებოდა თუ არა ეს მისთვის?

**მეტაფიზიკოსი.** ამ შენს იგავმიუთხრობელ ვარაუდს იგავითვე ვუპასუხებ, მით უმეტეს, რომ უსასრულოდ არ მიცოცხლია და მაშასადამე, საკუთარი გამოცდილებით ვერაფერს მოგახსენებ. ეგეც არ იყოს, არც ერთ უკვდავთან საუბარი არ მლირსებია და რა უნდა გითხრა მათზე, თუკი იგავი არ მოვიშველიე? კალიოსტრო რომ გვერდით გვყავდეს, იცოცხლე, ის კი გაგვარკვევდა ამ საკითხში, ვინაიდან თვითონვე იცოცხლა რამოდენიმე საუკუნე, თუმცა იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ სხვებზე ნაკლებ როდი ამოსძვრა სული, როგორც ჩანს, უკვდავი არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ერთს გეტყვი: ბრძენჭირონს, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი იყო, ბოლოს და ბოლოს, ისე მობეზრდა სიცოცხლე, რომ ზევსს გამოსთხოვა სიკვდილის ნებართვა და კიდევაც მოკვდა. თავად დაფიქრდი, თუკი თვით ღმერთებსაც უმძიმთ უკვდავება, რა ეშველება საბრალო ადამიანებს? ჰიპერბორეელები, ყველასათვის უცნობი, მაგრამ სახელგანთქმული ხალხი, რომლის საცხოვრისსაც ვერც ზღვით და ვერც ზმელეთით ვერ მიუდგები, ხალხი, სავსე ყოველი სიკეთით და, განსაკუთრებით, საუცხოო სახედრებით, რომლებსაც ისინი მსხვერპლად სწირავენ, — დიახ, ჰიპერბორეელები, რომლებსაც, თუ არ ვცდები, შეუძლიათ უკვდავნი იყონ, ვინაიდან მათთვის უცნობა ყოველგვარი სნეულებაც, ჭანცგამწყვეტი შრომაც, ომებიც, განხეთქილებაც, შიმშილობაც, ბიწიერებაც, დამნაშავეობაც, — ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იხოცებიან, ვინაიდან დაახლოებით ათასწლოვანი სიცოცხლის დამლევს, ყოველივე მიწიერით გულმოყირჭებულნი, მალალი ჭარაფიდან თავიანთი ნებით ცვივიან ზღვაში და სათითაოდ იღუპებიან.

ერთ ასეთ იგავსაც მოგახსენებ. ძმები ბიტონი და კლეობისი, რაკი ჯორები არა ჰყავდათ, ერთ დღესასწაულზე თვითონვე შეებნენ თავიანთი დედის — ჰერას ქურუმის ეტლში და ასე მიიყვანეს ბომონში. ქალი შეევედრა ჰერას,



მისი ვაჟებისათვის სანაცვლოდ მიეგო ყველაზე დიდი სიკეთე, რაც კი შეიძლებოდა წილად ხვდომოდა მოკვდავთ. მაგრამ ჰერამ, ნაცვლოდ იმისა, რომ უკვდავება მიენიჭებინა მათთვის, რაც მას დიახაც შეეძლო და რაც მაშინ, ასე ვთქვათ, მოდაში იყო, — ისე იწეობა, რომ ორივემ იმავ წესს მშვენივრად უღრტვინველად დალია სული. იგივე ბედი ეწიათ აგამედესს და მისი კონიოსს. დელფოს ტაძრის შენება რომ დაასრულეს, საზღაური მოსთხოვეს აპოლონს, ხოლო ღმერთმა პასუხად ბრძანა: შვიდი დღის შემდეგ შეგისრულებთ სათხოვარს, მანამდე კი თქვენს ხარჯზე იქეიფეთო. მეშვიდე ღამეს მან ისეთი ტკბილი ძილი მოჰგვარა მშენებლებს, რომ თუმცა გამოღვიძება შეეძლოთ, მაგრამ რაკა ეს სიტკბოება ერთხელ იგიმეს, სხვა საზღაური აღარც გახსენებიათ. თუმცა, რახან იგავეებზე მიდგა საქმე, ერთსაც მოგახსენებ და თან ასეთ კითხვას დაგისვამ. შენისთანებს ჰგონიათ, თითქოს კაცის სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს იგი, მცირეოდენი სხვაობის გარდა, ბუნებრივი ხანგრძლივობით თითქმის ყველგან ერთნაირია. მაგრამ ერთი ძველი მწერალი გადმოგვცემს, რომ ინდოეთისა და ეთიოპიის ზოგიერთ კუთხეში ხალხი ორმოც წელზე მეტს ვერ ცოცხლობს და ვინც ამ ასაკში კვდება, ამბობენ, რომ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, ხოლო შვიდი წლის გოგონას უკვე გასათხოვარ ქალიშვილადა თვლიან. ჩვენ ჭიციით, რომ ასევე ნაადრევად მწიფდებიან საქორწინოდ გვინებაში, დეკანის ნახევარკუნძულზე და სხვა მხარეებში, თავიანთი ჰავით რომ უახლოვდებიან ცხელი სარტყლის ქვეყნებს. ამრიგად, თუ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ იმას, რომ არსებობს ერთი ან რამდენიმე ხალხი, სადაც ადამიანები ორმოც წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ, რაც აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი მიზეზით და არა სხვა რამით, როგორც ფიქრობდნენ პოტენტოტებზე, — საკითხავია, ზემოხსენებული ხალხები, შენის აზრით, დანარჩენებზე უფრო ბედნიერნი იქნებიან თუ უბედურნი?

**ფიზიკოსი.** რასაკვირველია, უბედურნი: აქი უფრო ადრე იხოცებიან.

**მეტაფიზიკოსი.** მე კი მგონია, რომ ისინი, პირიქით, სწორედ ამის გამო ჩვენზე ბედნიერნი არიან. მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვაა. კარგად დაფიქრდი. მე უარვყოფდი იმას, რომ სიცოცხლე თავისთავად, ანუ მარტოოდენ საკუთარი არსებობის შეგრძნება, სასიამოვნო და სასურველია ჩვენთვის თვით ჩვენივე ბუნების თანახმად. მაგრამ ის, რასაც აგრეთვე სიცოცხლე ჰქვია და, შესაძლოა, უფრო მეტად ღირსია ამ სახელისა, ესე იგი, შეგრძნებათა სიმძაფრე და სიუხვე, — მართლაც, სასიამოვნო და სასურველია ყველა კაცისთვის თვით მათივე ბუნებისამებრ, ვინაიდან ყოველივე ის, რასაც უფრო ვნებიანად ვეძლევით ანდა უფრო მძაფრად განვიცდით, თუკი იმედგაცრუებას ანდა ტკივილს არ აღწევს ჩვენში, უფრო სასიამოვნო გვეჩვენება სწორედ ამ ვნებიანობისა და სიმძაფრის გამო, სიამოვნების მომგვრელი სხვა რამ თვისების ნატამალიც რომ არ გააჩნდეს. მაშასადამე, იმათ, ვინც სიცოცხლეს ბუნებრივად მთავრდება ორმოცი წლის ასაკში, რაც ორჯერ უფრო მოკლე ყავლია, ვიდრე ის, რაც ბუნებამ გაიმეტა დანარჩენთათვის, — სიცოცხლის ყოველი მონაკვეთი ორჯერ უფრო ცხოველმყოფელი ეჩვენებათ, ვიდრე ჩვენ: ისინი ხომ ჩვენთან შედარებით ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებიან და აღწევენ სრულქმნილებას, ისევე როგორც ჭკნობას და მიხრწნილებას; მაშასადამე, მათი ბუნების ყველა სასიცოცხლო მიდრეკილება ამნაირი სისწრაფის შესაბამისად ორჯერ უფრო მძაფრია, ვიდრე დანარჩენებისა და ყველა მათი თვითნებური მოქმედებაც, მათი

გარეგნული მოქნილობაც, სიმარდეც და სიციქასეც ამ უმეტესი სიმძაფრის შესატყვისია, თუკი უფრო მოკლე დროის მანძილზე სასიცოცხლო ფუნქციის ისეთივე მარაგი აქვთ მინიჭებული, როგორც ჩვენ. ამიტომ წლების უფრო ნაკლებ რაოდენობაზე განაწილებული ეს მარაგი საკმარისია საიმისოდ, რომ უმცირესი ნიშნულზე ცარიელი შუალედების გამოკლებით, მოლიანად ააფრებინონ მაშინ, როდესაც იგივე მარაგი აშკარად არ კმარა ორჯერ უფრო გრძელი ვადისთვის, ხოლო მათი მოქმედებანი და შეგრძნებანი, თავიანთი ძალმოსილებითა და სასიცოცხლო გზის უფრო ნაკლებ მანძილზე კონცენტრაციის წყალობით, სავსებით სამყოფნი არიან საიმისოდ, რომ სიცოცხლის სიმძაფრით განწონონ მთელი მათი წუთისოფელი, მაშინ როდესაც ჩვენი — შედარებით უფრო გრძელი წუთისოფლის მანძილზე იშვიათი როდია უქმად ყოფნის, უმიზნობისა და ცხოველმყოფელ გრძნობათა ნაკლებობის შუალედები. და რაკი ჩვენთვის სასურველია არა მარტო ლიტონი არსებობა, არამედ სვებედნიერი არსებობა, და დღეგრძელობა როდია იმის საზომი, უბადრუკია თუ არა ვისი-მე ყოფა, — მე დავასკვნი, რომ, რაც უფრო მოკლეა შემოხსენებულ ხალხთა სიცოცხლე, მით უფრო სავსეა ტკბობითა და ყოველივე იმით, რასაც განცხრომის სახელი ჰქვია, და ამიტომაც იმსახურებს უპირატესობას არა მარტო ჩვენი, არამედ თვით ძველი ასირიის, ეგვიპტის, ჩინეთისა და ინდოეთის მბრძანებელთა სიცოცხლის წინაშეც, რომელთაგანაც თვითეული — კვლავ მივუბრუნდეთ იგავებს, — ათას წელიწადს ცოცხლობდა. ამიტომ ჩემს თვალში სრულიად უფასურია უკვდავება, რასაც სიამოვნებით ქუთმობ თევზებს, რომლებსაც ამ თვისებას მიაწერს ლევენჰუკი, — რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შესაძლებელია ადამიანები, ან არ შთანთქავენ ვეშაპები, — და ნაკვლად იმისა, რომ შეგვენელებინა, ან დროებით შეგვეწყვიტა ჩვენი სხეულის ზრდა-განვითარება, და ამ გზით გაგვეჩანგრძლივებინა სიცოცხლე, როგორც ამას გვირჩევს მოპერტიუი, მე ვამჯობინებდი გამოძენახა მისი შემოკლების საშუალება და ზოგიერთი მწერის ეფემერული სიცოცხლისათვის გამეტოლებინა იგი, დიახ, ზოგიერთი მწერისა, რომელთა შორისაც თვით ყველაზე უხუცესთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, მავანთა აზრით, ერთ დღეს არ აღემატება, და მიუხედავად ამისა, როცა ისინი იხოცებიან, უკვე დიდი პაპები და დიდებანი არიან თურმე. ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, ალბათ, აღარ დაგვრჩებოდა სევდისა და მოწყენის დრო. რას ფიქრობ, ამ ჩემს მსჯელობასთან, დაკავშირებით?

**ფიზიკოსი.** რასა და იმას, რომ ნაკლებად დამაჯერებელი მეჩვენება, და თუ შენ ეგ შენი მეტაფიზიკა გიყვარს, მე ამ ჩემს ფიზიკას ვეტრფი; იმას მოგახსენებ, რომ შენ ყველაფერზე თავს იმტვრევ, ასჯერ ზომავ და ერთხელ კრი, მე კი ყველაფერს სახელდახელოდ ვანგარიშობ, თვალის ერთი შევლებით ვზომავ და ამას ვჯერდები. მაგრამ მიკროსკოპიც რომ არ ავიღო ხელში, დაბეჭითებით შემძლია ვამტკიცო, რომ სიცოცხლე უნდა გვერჩიოს სიკვდილს, და სწორედ პირველს ვაკუთვნებ ვაშლს, თუმცაღა ორივე შემოსილი მიდგას თვალწინ.

**მეტაფიზიკოსი.** მეც ვიზიარებ შენს აზრს, მაგრამ როცა მახსენდება ბარბაროსების ერთი ჩვეულება, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ყოველი უბედური დღის აღსანიშნავად შავ კენჭს აგდებდნენ კაპარკში, ხოლო ყოველ ბედნიერ დღეს თეთრი კენჭის ჩავდებით აღნიშნავდნენ, ძალაუნებურად ვან-

გარიშობ, რა ცოტა თეთრ და რა ბევრ შავ კენჭს პოულობდნენ, ალბათ, ამ პარკუჭებში მათი პატრონების სიკვდილის შემდეგ! ნეტა ყველა იმ დღის კენჭები მანახა, რომელთაგანაც ამერიიდან შედგება ჩემი სიცოცხლე და თან მათი გადარჩევის უფლებაც მომცა, რათა გადამეყარა შავი კენჭები და, ამრიგად, ჩემი სიცოცხლიდან გამომერიცხა ყველა უბედური დღე: თეთრი კენჭები კი დამენარჩუნებინა. სიამოვნებით ვისარგებლებდი ამ უფლებით, თუნდაც წინასწარ მცოდნოდა, რა ცოტა აღმოჩნდებოდა თეთრი კენჭების რიცხვი, და ისიც, რომ მათი ფერი თოვლივით ქათქათა არ იქნებოდა.

ფიზიკოსი. ბევრი ჩვენგანი კი, პირიქით, უყოყმანოდ არჩევდა თვით კუბრივით შავი კენჭების სიმრავლეს; მეტიც, არც იმაზე იტყოდა უარს, რომ უკლებლივ ყველა კენჭი შავი ყოფილიყო, ვინაიდან, მათი აზრით, არც ერთი კენჭი არ იქნება ისეთი შავი, როგორც უკანასკნელი. ყველას, ვინც ასე ფიქრობს, და მათ შორის მეც, დიახ, ჩვენ ყველას შეგვიძლია მრავალი კენჭი შევმატოთ ჩვენს სიცოცხლეს, თუკი ვისარგებლებთ იმ ხელოვნებით, რომელიც აღწერილია, აი, ამ წიგნში.

მეტაფიზიკოსი. დაე, ყველამ თავისი ჩვეულებისამებრ იმსჯელოს, ყველა თავისი ჩვეულებისამებრ მოიქცეს; მაგრამ არც სიკვდილი მოიშლის ისე ქცევას, როგორც სჩვევია. ხოლო თუ შენ გასურს სიცოცხლის გახანგრძლივებით ქეშმარიტი სარგებლობა მოუტანო ადამიანებს, მაშინ აღმოაჩინე ისეთი ხელოვნებაც, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდება გაზარდო მათსაც საქმეთა სიმრავლე და გრძნობათ სიმტკიცე. ამ გზით შენ მართლაც გაახანგრძლივებ კაცთა სიცოცხლეს და, შინაარსით რომ აავსებ ცარიელი დროის უსასრულო შუალედებს, — რახან ჩვენს არსებობას უაზრობა უფრო ეთქმის, ვიდრე სიცოცხლე, — უფლებას მოიპოვებ იკვებნიდე და თავი მოგქონდეს იმით, რომ დღეგრძელობა მიანიჭე ადამიანებს. თანაც, ისე აღასრულებ ამას, რომ არ ეცდები შესაძლებლად აქციო შეუძლებელი და ძალადობით დაარღვიო ბუნების წესრიგი, თუნდაც ეს ძალადობა ბუნებისავე შემწეობას ისახავდეს მიზნად. ან იქნებ გგონია, რომ ჩვენი წინაპრები ჩვენზე დიდხანს არ ცოცხლობდნენ, თუმცა იმ საფრთხის გამოისობით, რომელშიაც გამუდმებით იგდებდნენ თავს, ჩვენზე აღრე იხოცებოდნენ? თუ იქნები, მწყალობელი შენ იქნები იმ ხალხისა, ვის ცხოვრებასაც ბედნიერი, არა, ბედნიერი კი არა, ნაკლებ უბედური ეთქმის ყოველთვის, როცა სიცოცხლისაგან განუყრელია ბობოქარი ვნებათაღელვა, რომელსაც საერთო არა აქვს რა ტკივილსა და მწუხარებასთან, და როცა გაცილებით ნაკლებია უაზრობა და უქნარობა. ხოლო როცა სიცოცხლე სავსეა უქნარობით, უმოქმედობითა და გულმოყირჭებით, ესე იგი, როცა ის ცარიელი, უაზრო და უშინაარსო ხდება, შეიძლება ქეშმარიტებად მიიჩნიო პირონის სიტყვები, რომელთა თანახმადაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება. თუმცა ეს რომ მჯეროდეს, გეფიცები, სიკვდილი აღარც ასე შემაშინებდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე მართლაც ცოცხალი უნდა იყოს, ესე იგი, ლალი, სისხლსავსე, ქეშმარიტი, არადა სიკვდილი ათასწილ უმჯობესია მასზე.

ტორკვატო ტასოსა და მისი ღემონის საუბარი



ღემონი. როგორა ხარ, ტორკვატო?

ტორკვატო. თავად მოგეხსენება, როგორაა კაცი ციხეში, სადღეღამისად და უბედურება.

ღემონი. შენც ნახე რაღა ამ ნასადილევს ჩივილის დრო... გამზნევი და ერთად ვიცინოთ.

ტორკვატო. მართლა სასაცილოდ არა მაქვს საქმე? მაგრამ შენთან ყოფნა და შენი სიტყვები ყოველთვის მანუგეშებენ. მოდი აქ, ჩემს გვერდით ჩამოჯექ.

ღემონი. როგორ ჩამოვჯდე? შენ გგონია ეს ადვილი საქმეა სულისთვის? კარგი, ჩათვალე, რომ უკვე ვზივარ.

ტორკვატო. აჰ, რა იქნება, ერთხელ კიდევ შემახვედრა ჩემს ლეონორას! ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობ, ასე მგონია, სიხარული გრუანტელივით მივლის მთელს ტანში, თხემით ტერფამდე, და ჩემი ყოველი ნაკვთი, ყოველი ძარღვი ცხროიანივით თრთის და ცახცახებს. ხოლო როდესაც მის სახეს წარმოვიდგენ, ჩემს სულში იღვიძებენ უცნაური ხატებანი და გულისთქმანი, ასე რომ, წამით მგონია, თითქოს კვლავ ის ტორკვატო ვარ, რაც უწინ ვიყავ, სანამ ადამიანებს გავიცნობდი და ამდენ უბედურებას გამოვივლიდი, ის ტორკვატო, რომელიც არაერთხელ დამიტირებია, როგორც მკვდარი. დიან, მე ვამბობ, რომ კაცთა შორის ცხოვრების გამოცდილება და ამ ცხოვრების მანძილზე განცდილი ტანჯვა-წამება ყოველ ჩვენგანში საბოლოოდ აკვდინებს ან საღათის ძილით აძინებს იმას, ვინც ვიყავით, ანდა რანიც ვიყავით უწინ. ზოგჯერ ეს ჩვენი უწინდელი „მე“ ერთის წამით იღვიძებს სულში, მაგრამ მით უფრო იშვიათად, რაც უფრო მეტი დრო გადის. შემდეგ ის თანდათან სულ უფრო ღრმად ინთქმება და იძირება ჩვენს სულში, სულ უფრო გამოუღვიძებლად ეძლევა ძილქუშს, ბოლოს კი სულაც კვდება, კვდება მანამდის, სანამ თვითონ ჩვენ სამუდამოდ დავლევდეთ სულს. მე მიკვირს, რანაირად შეიძლება იყოს საყვარელ ქალზე ფიქრი ისე ძლიერი, რომ სული განშიახლოს და უბედურება დამავიწყოს? და თუ საბოლოოდ არ მიმხდოდა იმის იმედი, რომ, ერთხელაც იქნება, ისევე ვნახავ, მართალი გითხრა, ვირწმუნებდი, თითქოს ჯერ კიდევ შემრჩა ბედნიერების განცდის უნარი.

ღემონი. შენის აზრით, რა უფრო სასუკვარია: ხედავდე საყვარელ ქალს თუ ფიქრობდე მასზე?

ტორკვატო. რა მოგახსენო; ერთი ეს ვიცი: როცა ჩემს გვერდით იყო, ქალი მეგონა, შორიდან კი ქალღმერთი მგონია.

ღემონი. ეს ქალღმერთები ისე მოწყალენი არიან, რომ როდესაც ვინმე უახლოვდებათ, იმწამსვე აძარცვავენ თავიანთ ღვთაებრიობას, შუბლიდან იხსნიან თვალისმომჭრელად მოელვარე დიადემას და ჯიბეში ინახავენ, რათა გათავხედებული მოკვდავი არ დააბრმავონ.

ტორკვატო. სამწუხაროდ, მართალი ხარ. მაგრამ, შენის აზრით, განა ყველა ქალის საერთო ნაკლი არ არის ის, რომ სინამდვილეში სულ სხვანაირი არიან, ვიდრე ჩვენს წარმოსახვაში?

ღემონი. არ მესმის, რა მათი ბრალია, რომ სისხლისა და ხორცისაგან არიან შექმნილნი და არა ამბროსიისა და ნექტარისაგან? ვინა ფლობს ამქვეყ-

ნად თუნდაც იმის მეთასედ სრულყოფილებას, რასაც თქვენი წარმოსახვა მიაწერს ქალებს? და კიდევ, აი, რა იწვევს ჩემს გაოცებას: თუკი რატოს ოდენადაც არ ვიკვირთ, რომ ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები, ესე იგი, არცთუ მაინცდამაინც დიდი ქებისა და სიყვარულის ღირსი არსებები არიან, რატომღა ემწყვდევით ჩიხში ყოველთვის. როცა რწმუნდებით რომ ქალები სინამდვილეში, თურმე ნუ იტყვიან, და ანგელოსები არა ყოფილან?

**ტორკვატო.** მიუხედავად ამისა, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ შენატყრება მასთან შეხვედრა და საუბარი.

**დემონი.** კარგი, ამალამ სიზმრად მოგივლენ სილამაზეს ქალღმერთივით მომხიბლავს და ისე მოწყალეს და მოალერსეს, რომ შენ გაბედავ უფრო თამამად და გულახდილად ელაპარაკო, ვიდრე ოდესმე; გამომშვიდობებისას კი ხელს ჩამოართმევ, ხოლო ის დაჟინებით შემოგხედავს და სიხარულს ისე თბილ ნაკადად ჩაგიღვრის სულში, რომ მთელი ხვალინდელი დღის მანძილზე, როგორც კი შენი სიზმარი გაგახსენდება, იგრძნობ, რა ნეტარებით გიძვერს მკერდში გული.

**ტორკვატო.** ნუგეშიც ამისა ჰქვია; სიზმარი — სიცხადის, სიცრუე — ჰეშმარიტების ნაცვლად.

**დემონი.** რა არის ჰეშმარიტება?

**ტორკვატო.** მართალი ვითხრა, ეს მე უკეთ როდი მსემის, ვიდრე პილატეს.

**დემონი.** კეთილი, მაშინ ამ კითხვას შენს მაგივრად მე ვუბასუხებ. იცოდე, ჰეშმარიტებას მხოლოდ ერთი რამ განასხვავებს სიზმრისაგან. ის, რასაც ჩვენ სიზმარში ვხედავთ, ზოგჯერ შეიძლება იყოს ისე მშვენიერი, ისე საამო, რომ ნამდვილსა და ჰეშმარიტს ვერას შევადარებთ.

**ტორკვატო.** მაშასადამე, სიზმრად განცდილი ნეტარება ჰეშმარიტის ტოლფასია?

**დემონი.** რა თქმა უნდა. მე ერთ კაცსაც კი ვიცნობ, რომელიც იმ დღეს, როცა საყვარელ ქალს იხილავს სიზმარში, გაურბის და თავს არიდებს მასთან შეხვედრას, რადგანაც იცის, რომ ის აშკარად ვერ გაუძლებს შედარებას იმ საოცნებო ხატებასთან, რომელიც სიზმარმა აღბეჭდა მის სულში; რომ სიცხადე უთუოდ შებღალავს სიზმარეული ხილვის სიწმინდეს და ამრიგად, ენით უთქმელი ნეტარების გზას დაუხშობს მას. აი, რატომ არ უნდა ვგმობდეთ ჩვენს ზორეულ წინაპრებს, რომლებიც ჩვენზე გაცილებით უფრო გულმოდგინენი, გამჭრიახნი და ქმედითნი იყვნენ ყოველთვის, როცა საქმე ებებოდა ადამიანის ბუნებისათვის მისაწვდომი ტყობისკენ სწრაფვას, — არ უნდა ვგმობდეთ პიტაგორასაც, რომელიც ლობიოს ჭამას უკრძალავდა თავის მიმდევრებს, რადგანაც თვლიდა, რომ მისი მონელება ამღვრევს და აშფოთებს სიზმრებს. მიტევების ღირსნი არიან ის ცრუმორწმუნენიც, რომელნიც გულმხურვალე ლოცვითა და ხედაშის ღვრით ევედრებოდნენ ჰერმესს — ძილის მეუფეს, — სასამოვნო სიზმრები გვანახეთ, და ამ მიზნით თავიანთი საწოლის ფეხებს ღმერთის გამოსახულებებით ამკობდნენ. სიცხადეში რომ ვერ პოულობდნენ ბედნიერებას, ისინი ცდილობდნენ სიზმრად მაინც ზიარებოდნენ მას, და, ჩემის აზრით, ნაწილობრივ კიდევ აღწევდნენ მიზანს, რადგან ჰერმესი, როგორც ჩანს, ყველა ღმერთზე მოწყალე იყო მათი ლოცვა-ვედრების მიმართ.

**ტორკვატო.** კი მაგრამ, რა გამოდის: თუ ჩვენ, კაცნი, მარტოოდენ სულიერი თუ ხორციელი ტყობისა და საამოვნებისათვის ვცოცხლობთ. რაც

კვებლევა მხოლოდ სიზმარში, ან უმეტესწილად სიზმარში, მაშასადამე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტოთ, რომ საჭიროა ვიცოცხლოთ მხოლოდ სიზმრებისათვის; მაგრამ რა ვქნა, არასდიდებით არ შემოძლია ვაიძულო ჩემი თავი: ესაა შენი ერთადერთი მიზანი-მეთქი.

ეროვნული

დემონი. შენ უკვე ვაიძულეს და შენს ზაგივრადაც გადაწყვიტეს, რა კილა ცოცხლობ და თანახმა ხარ კვლავაც იცოცხლო. რა არის ტკბობა?

ტორკვატი. ჩემი გამოცდილება არც ისე მდიდარია, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლო.

დემონი. გამოცდილებით ეს არაფერ არ იცის, არამედ — მხოლოდ წარმოდგენით, ვინაიდან ტკბობა წარმოსახული საგანია და არა ჭეშმარიტად არსებული. ის სურვილია და არა სინამდვილე; გრძნობა, რომელიც აღიქმება გონებით, მაგრამ არ განიცდება გულთ; ან, უფრო სწორად, გრძნობაც კი არა, არამედ — ცნება. ნუთუ თვითონვე ვერ ამჩნევთ, რომ სწორედ იმ დროს, როცა რაღაცა ისეთით ტკბებით, რაც გონისმიმხედვლად სასურველი გეჩვენებოდათ და რისკენ სწრაფვისას არად აგდებდით არავითარ განსაცდელს და გაჰკირვებას, — მარტოოდენ ამწამიერ განცხრომას როდი სჯერდებით, არამედ სამერმისოდ მოვლით რაღაც უფრო ნამდვილს, რაღაც უფრო მძაფრს, ერთის სიტყვით, ჭეშმარიტ ტკბობას, და ცდილობთ თქვენი წარმოსახვით წინასწარვე გამოიწვიოთ საარსებოდ მომავალი ნეტარების ყოველი წამი. განცდილი ტკბობა კი ყოველთვის ისე მთავრდება, რომ ვერასდიდებით ვერ აღწევს იმ წამს, რომელიც ნამდვილ ნეტარებას მოგანიჭებდათ, და ბევრს ვერაფერს გიტოვებთ სულში, გარდა ლიტონი იმედისა, ვინ იცის, იქნებ მომავალში მაინც ვეზიაროთ ნეტარებასო, ანდა — ცოტად თუ ბევრად სანუგეშო წარმოდგენისა, თითქოს მართლაც განიცადეთ სიამოვნება, რათა შემდეგ გამუდმებით იფიქროთ ამაზე და სხვებსაც გაუზიაროთ თქვენი განცდები, მაგრამ არა მარტო კვებნით, არა მარტო ჭადილრთ, ანდა თავის მოსაწონებლად, არამედ იმ მიზნითაც, რომ უკვე მოიტყუოთ თქვენივე თავი, ხოლო სწორედ ეს გახლავთ თქვენი ყველაზე სანუგვარი სურვილი.

ტორკვატი. ნუთუ ადამიანებს არასდიდებით არ შეუძლიათ ირწმუნოთ, რომ სწორედ ამწამიერი ნეტარებით ტკბებიან?

დემონი. მაგისი რწმენა რომ მისცათ, მაშინ ხომ მათთვის უცხოც აღარ იქნებოდა ნამდვილი ტკბობა! მაგრამ თვითონვე მითხარი: მთელი შენი ცხოვრების მანძილზე თუ ყოფილა ისეთი წამი, როცა შენ შეგეძლო გულწრფელად გეთქვა: აი, ტკბობაც ამასა ჰქვიაო. შენ ყოველდღე გულწრფელად ამბობდი და ახლაც ამბობ: აი, ტკბობაც ამას ერქმევა! უფრო იშვიათად და ნაკლებ გულწრფელად: ტკბობა თუ ერქვა, ამას ერქვაო. ასე რომ, ტკბობა ყოველთვის წარსულშია ან მომავალში, და არასოდეს — აწმყოში.

ტორკვატი. ესე იგი, არსად, არასდროს, არაფერში არ არის.

დემონი. როგორც ჩანს.

ტორკვატი. თვით სიზმარშიაც?

დემონი. მართალი თუ ვნებავს, — თვით სიზმარშიაც.

ტორკვატი. და მაინც, არა მარტო მთავარი, არამედ ერთადერთი მიზანიც, რომლისკენაც ვისწრაფით მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, — ეს გახლავთ სიამოვნება, თუკი სიამოვნებად მივიჩნევთ ბედნიერებას, ხოლო ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, თუ სადაა მისი სათავე, არ შეიძლება სხვა რამ იყოს, გარდა ჭეშმარიტი ტკბობისა.

დემონი. რა თქმა უნდა.

ტორკვატი. მაშასადამე, მთელი ჩვენი სიცოცხლე, რომელიც ვერასოდეს ვერ აღწევს მიზანს, ძალზე შორსაა სრულყოფილებისგან და ამიტომ, თვით თავისივე ბუნებით, სხვა არა არის რა, თუ არა განუთქმუნებელი ტანჯვა-წამება.

დემონი. შესაძლოა ასეც იყოს.

ტორკვატი. „შესაძლოა“ კი არა, ასეა სწორედ. მაგრამ მაშინ რატომღაც ცოცხლობთ, ესე იგი, რატომ ვთანხმდებით იმას, რომ ცოცხალნი ვიყოთ.

დემონი. აბა, რა ვიცი? თქვენ, ადამიანებმა, ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ.

ტორკვატი. მე, ჩემდა თავად, გეფიცები, არაფერიც არ ვიცი.

დემონი. მაშინ შენზე ბრძენს დაეკითხე. იქნებ მას ჰქონდეს მაგ შენი საქობიანო კითხვის პასუხი.

ტორკვატი. ასეც ვიხამ. მაგრამ იმნაირი სიცოცხლე, რომლითაც მე ვცოცხლობ, ყოვლად აუტანელია, ვინაიდან ტანჯვაც რომ არად ჩავაგდოთ, მართო მოწყენილობა მომიღებს ბოლოს.

დემონი. რა არის მოწყენილობა?

ტორკვატი. ამ შემთხვევაში კი ჩემი გამოცდილება საესებით საკმარისია, რათა შენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. ჩემის აზრით, მოწყენილობა, თავისი არსით, ჰაერსა ჰგავს, რომელიც ავსებს ნივთიერი საგნების გამყოფ მთელ სივრცეს, და იმ სიცარიელესაც, რომელიც არის ყოველ მათგანში; და თუ ერთი საგანი ისე გადაადგილდა, რომ მეორემ არ დაიკავა მისი ადგილი, დარჩენილ სიცარიელეს დაუყოვნებლივ შეავსებს ჰაერი. ასე კაცის სიცოცხლეშიც მოწყენილობა ავსებს ყველა შუალედს სიამოვნებას და უსიამოვნებას შორის. მაშასადამე, მსგავსად იმისა, როგორც მატერიალურ სინამდვილეში, პერპატეტაიკოსთა მოძღვრების თანახმად, არ არსებობს სიცარიელე, არც ჩვენს ცხოვრებაში არსებობს იგი, თუ არ ჩავთვლით იმ იშვიათ წამებს, როცა ჩვენი სული, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ აზროვნებს. მთელი დანარჩენი დროის მანძილზე კი სული — თუნდაც თავისთავად, ესე იგი, სხეულისაგან განცალკევებით განხილული, — ყოველთვის რაღაცას განიცდის, ვინაიდან მაშინაც კი, როცა ყოველგვარი სიამოვნო თუ უსიამოვნო შეგრძნებისაგან არის დაცლილი, ყოველ შემთხვევაში, მოწყენილობით მაინც სავსეა, ხოლო მოწყენილობას ისევე განიცდიან, როგორც ტკივილსა თუ სიამოვნებას.

დემონი. და რაკი მთელი თქვენი სიამოვნება ობობას ქსელივით წვრილი, ნატიფი და გამჭვირვალე ძაფებით არის ნაქსოვი, ამიტომ მოწყენილობა ისევე ატანს მათში, როგორც ჰაერი — აბლაბუდაში და მთლიანად განწონის სულს. თუმცა მე ვერ დავიჯერებ, თითქოს მოწყენილობა სხვა რამეა და არა ბედნიერების დაუოკებელი წყურვილი, რომელსაც ვერ აცხრობს ვერავითარი განცხრომა და კიდევ უფრო ამძაფრებს ათაგვარი უბედურება. ამ წყურვილის მოკვლა, როგორც მოგახსენე, თითქმის შეუძლებელია, ხოლო ტკბობა, ამ სიტყვის კეშმარტი მნიშვნელობით, საერთოდ არ არსებობს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლე ნაწილობრივ ტანჯვა-წამების, ნაწილობრივ კი მოწყენილობისაგან არის შეთხზული, და ერთ-ერთ ამ ბოროტებას სხვაგვარად ვერ დააღწევ თავს, თუ მეორის წერა არ ვახდი. ასეთია არა მართო შენი, არამედ, საერთოდ, ყველა ადამიანის ბედიც.

ტორკვატი. რა წამალი უშველის მოწყენილობას?

დემონი. ძილი, ოპიუმი, ტანჯვა. ეს უკანასკნელი ყველაზე უკეთესად წა-  
შლია, ვინაიდან როცა კაცი იტანჯება, ყოველ შემთხვევაში, მოწყენილი მარ-  
ად არის.

ტორკვატო. ამნაირ წამალს მე მიჩვევია მთელი სიცოცხლე, მარტო კვლავ  
ლი ვიყო. მაგრამ ავი მოქმედებათა, საქმეთა თუ გრძნობათა მრავალფეროვნე-  
ბაცა და სხვადასხვაობაც თუ მთლიანად ვერ გვიხსნიან მოწყენილობისაგან,  
რაკილა ჭეშმარიტ სიტყვობებს ვერ გვანიჭებენ, ნაწილობრივ ხომ მაინც გვი-  
სუბუქებენ და უფრო ადვილად ასატანს ხდიან მას. აქ კი, ამ პირქუშ დილეგში,  
სადაც მე მოწყვეტილი ვარ ყველას და ყველაფერს, სადაც წართმეული მაქვს  
თვით წერის უფლებაც, სადაც იძულებული ვარ დროის მოსაკლავად საათის  
რეკვას ვუგდო ყური, ან ჭერზე კოჭები, ბზარები თუ ხის ჭივებით ჩაბრული  
ნახვრეტები ვთვალო, თვალჩაყვებით ვუშვირო იატაკის მოხატულ ფილებს და  
ჩემს სენაკში მოფარფატე პეპლებისა თუ აბეზარი ბუხების ცქერით შევიქციო  
თავი. — არ ვიცი, რამ უნდა გამიქარგოს მოწყენილობა, ან ოდნავ მაინც შე-  
მიშუბუქოს სევდის სიმძიმელი.

დემონი. ერთი მითხარი, დიდი ხანია, რაც ამნაირი ცხოვრება მოგესაჯა?

ტორკვატო. ვითომ არ იცი? ეს რამდენიმე კვირაა.

დემონი. და ვერავითარ განსხვავებას ვერა გრძნობ, მოწყენილობა დღე-  
საც ისევე გიწეწავს აუღს, როგორც პირველ დღეს?

ტორკვატო. რა თქმა უნდა, პირველად უფრო მიჭირდა. მერე კი ჩემი  
მოცლილი და მოშეებული სული თანდათანობით შეეჩვია იმას, რომ სულ უფ-  
რო დიდხანს ესაუბრა საკუთარ თავთან და, ამრიგად, უფრო მეტი ნუგეშიც  
ეცა ჩემთვის. ბოლოს, ამ ჩვეულების წყალობით, იმის უნარიც შეიძინა, რომ  
არა მარტო ესაუბროს, ელაყბოს კიდევ საკუთარ თავს, ასე რომ ზოგჯერ ისიც  
კი შეჩვენება, თითქოს ათობით თანამოსაუბრე მიზის თავში, და თვით ყველა-  
ზე უბადრუკი საგანი, რამაც შეიძლება აზრად გაშიფლოს, სავსებით საკმარისია,  
რათა დაუსრულებელი კამათის მიზეზად იქცეს ჩემსა და ჩემსავე თავს შორის.

დემონი. შენ თვითონ დარწმუნდები, რომ ეს ჩვეულება დღითი დღე უფ-  
რო ღრმად გაიდგამს ფესვს, ასე რომ შემდეგ, როცა კვლავ მოგეცემა ადამიან-  
ნებთან ურთიერთობის საშუალება, სულ ისეთი განცდა გექნება, რომ მათ  
შორის უფრო მარტო ხარ, ვიდრე ამ სენაკში იყავი. მაგრამ ნუ წარმოიდგენ,  
თითქოს ამნაირი ცხოვრების ატანა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც უწინ შენსა-  
ვით ერთთავად ფიქრს იყო ნახვევი: ადრე თუ გვიან, იგივე დღე მთელის  
ყველას. მეტსაც გეტყვი, კაცთაგან, ანუ, რაც იგივეა, ცხოვრებისაგან მოკვეთა  
არცთუ მთლად ფუჭია და ურგები: მართლაცდა, თვით გულმოყირჭებული,  
იმედგაცრუებული და თავისი მწარე გამოცდილების წყალობით ყველაფერზე  
ხელჩაქნეული კაციც, ბოლოს და ბოლოს, კვლავ ეჩვევა იმას, რომ შორიდან  
უშვიროს ყოველივე ადამიანურს, შორიდან კი ყველაფერი უფრო მშვენიერი  
და უფრო მეტი პატივისცემის ღირსი ჩანს, ვიდრე ახლოდან: ამიტომაც ივიწ-  
ყებს ყოვლის უბადრუკობას და ამაოებას, კვლავინდებურად აღადგენს წარ-  
მოსაზრებით და, თავისი განწყობის შესაბამისად, ლამის ხელახლა ქმნის მთელს  
სამყაროს, ძველებურად აფასებს და ეტრფის სიცოცხლეს, ძველებურად  
სასურველი ჰგონია იგი; და თუ მას საბოლოოდ არ წართმევა იმის უფლება,  
თუ მის სულში საზუღამოდ არ ჩამქრალა იმისი რწმენა, რომ ერთ მშვენიერ  
დღეს შეიძლება კვლავ დაუბრუნდეს ამ ცხოვრებას და თავისი ადგილი დაიკა-



ვოს მოყვასთა შორის, — მარად უკვდავი იმედი კვლავაც ისევე ამხნეებს, კვლავაც ისევე ასულდგმულებს, როგორც ოდესღაც, სიჭაბუკეში ასე რომ, სიმარტოვე თითქმის იმასვე აკეთებს, რასაც სიჭაბუკე, ესე იგი, ახლებს და აახალგაზრდავებს სულს, უწინდელ სიმძაფრეს ანიჭებს და ანიჭებს მას, იმუშაოს, ხოლო გამოცდილებით დაბრძნებულ კაცს კვლავ უბრუნებს იმ ოდინდელი გამოუცდელობის ყველა სიკეთეს, რომლის გამოც შენ ასე ჭმუნავ. ახლა კი გტოვებ, რადგანაც ვხედავ, რომ ძილი ნანატრი სტუმარი-ერთ მოგადგა კარზე; გტოვებ, რათა გაგიშადო ის სანეტარო სიზმარი, რასაც დაგპირდი. ასე, სიზმარეულ ჩვენებებსა და სიცხადის ოცნებებს შორის გაილგვა შენი სიცოცხლე, და რას მოისთვლი სანაცვლოდ, გარდა იმისა, რომ სიცოცხლე გადის, ხოლო ესაა ამქვეყნიური არსებობის ერთადერთი ნაყოფი, რომელიც შეიძლება მოწყვიტო ცხოვრების ხიდან, და ერთადერთი მიზანი, რომლისკენ სწრაფვას ყოველ დილით, გაღვიძებისას, თქვენს სასიცოცხლო საქმედ უნდა თვლიდეთ. ვინ იცის, რამდენჯერ კბილებით გჭერიათ იგი. ნეტა იმ დღეს, როცა ხელში აიტაცებთ, ან მხრებზე მოიგდებთ! მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დრო შენს საკანში უფრო ნელა როდი გადის, ვიდრე შენი ჯალათის დარბაზებსა თუ ბაღებში. ნახვამდის.

ტორტვატი. ნახვამდის. თუმცა არა, ჯერ მომისმინე! შენი სიტყვები ისეთ სიმხნევებს მინერგავენ გულში! ვერ ვიტყვი თითქოს მთლიანად მიქარებდნენ მწუხარებას, მაგრამ თუ ის უმეტესწილად უმთქარო და უვარსკვლავო ღამის წყვილია ჰგავს, შენი სიტყვების წყალობით მწუხრის ბინდბუნდს ემგვანება, რომელიც სასიამოვნო უფროა ჩვენთვის, ვიდრე უამური და შემაჭირვებელი. კვლავ რომ დამჭირდეს შენი ხმობა, მითხარი, სად გეძებო, სადა გაქვს ბინა? დემონი. ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი? ერთ კეთილშობილ სასმელში!

### გუნების საუბარი ისლანდიელთან

ერთი ისლანდიელი, რომელსაც თითქმის მთელი დედამიწის ზურგი მოევლო და ურიცხვი სხვადასხვა მხარე მოეხილა, ერთხელ აფრიკის კონტინენტზე მოგზაურობდა. იარა, იარა და როცა ეკვატორის მახლობლად იმ ადგილს მიადგა, სადაც კაციშვილს ჯერ კიდევ არ დაედგა ფეხი, ისეთი სასწაულის მოწმე შეიქნა, როგორიც უხილავს ვასკო და გამას, როცა ის იყო, კეთილი იმედის კონცხისათვის უნდა აეჭვია გვერდი; იქ მას გოლიათის სახით გამოსცხადებია თურმე თვით კონცხი — სამხრეთის ზღვათა მფარველი — და უბრძანებია არ გასულიყო მის წინ გაშლილ უცნობ სივრცეში. ჩვენმა ისლანდიელმა შორიდან შენიშნა უზარმაზარი ფიგურა, წელზევით რომ ამოზიდულიყო მიწის სიღრმიდან. ერთხანს ქვის ქანდაკება ეგონა, იმ ვეება ჰერმების მსგავსი, რომლებიც დიდი ხნის წინათ აღდგომის კუნძულზე ეხილა. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, ცხადი შეიქნა, რომ ეს იყო წარმოუდგენელი სიმაღლის ქალი, რომელიც მიწაზე იჯდა და წელგამართულს ზურგი და იდაყვები მთისათვის მიებჯინა. არა ქანდაკება, არამედ ცოცხალი ქალი. მისი სახე მშვენიერი იყო და წყრომით მზირალი. გიშრისფერი თვალები და თმები ჰქონდა. თვალჩაყვებით დააშტერდა ისლანდიელს, პირველად კრინტიც არ დაუძრავს და მხოლოდ კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

ბუნება. ვინა ხარ, ან ამ მხარეში რისთვის მოსულხარ, სადაც შენი მოღმისას ჯერ არავის დაუდგამს ფეხი?

ისლანდიელი. მე ვარ ერთი საწყალი ისლანდიელი, რომელიც ბუნებას/გაუბრის. თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე გავუბრბოდი მას. ვინ მოსულვლის, რამდენი ქვეყანა შემოვიარე, და აი, ახლა აქ მიდევს გზა.

ბუნება. ასე ციყვი გაუბრბის ჩხრიალა გველს, სანამ მის ხახაში არ ამოკყოფს თავს. მე ისა ვარ, ვისაც შენ გაუბრბი.

ისლანდიელი. შენ ბუნება ხარ?

ბუნება. დიახ, ბუნება.

ისლანდიელი. ვაი შენ, ჩემო თავო! ამაზე უარესი რა უნდა დამმართოდა?!

ბუნება. შენ დიახაც უნდა გცოდნოდა, რომ მე განსაკუთრებით ხშირად ვარ ამ ადგილებში: როგორც მოგეხსენება, ჩემი ძალაუფლება აქ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე დედამიწის რომელიც გნებავს სხვა კუთხეში. მაგრამ რამ დაგაფრთხო, რატომ გამირბიხარ კისრისტეხით?

ისლანდიელი. მინდა მოგახსენოთ, რომ სიყმაწვილეშივე, როგორც კი მცირეოდენი გამოცდილება შევიძინე, მე დაერწმუნდი ცხოვრების ამოებასა და ადამიანთა უგუნურებაში, რომლებიც გამუდმებით ეომებიან ერთმანეთს ფუჭი ფუფუნებისა და უსარგებლო სიმდიდრის გამო; თავსაც იუბედურებენ და სჩვენსაც აუბედურებენ; ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახეს უგებენ, სტანჯავენ და აწამებენ ერთიმეორეს და ამრიგად, მით უფრო მეტად შორდებიან ბედნიერებას, რაც უფრო ხარბად მიილტვიან მისკენ.

ამ აზრებით აღძრულმა გადავწყვიტე ხელი ამელო ყველა სურვილზე, არავისთვის მომებეზრებინა თავი, არავის შევცილებოდი სახელისა თუ სიმდიდრის მოხვეჭაში და მშვიდად და უჩინრად მეცხოვრა, რაკილა ბედნიერების იმედი არა მქონდა, რადგან ეს საერთოდ აუხდენელი ოცნებაა კაცთა მოდგმისთვის, ერთადერთ საზრუნავად ის დავისახე, რომ ტანჯვისთვის მაინც გამერიღებინა თავი. არა, ისე არ გამიგო, თითქოს ან შრომაზე მეტქვას უარი, ან ოფლის ღვრაზე: თავადაც ხომ მოგეხსენება, რა განასხვაებს შრომას — ფუჭი ფუსფუსისაგან და უქნარობას — აუმღვრეველობისაგან.

ის იყო, ჩემი განზრახვის ასრულებას შევუდექი, რომ მწარე გამოცდილებამ მაშინვე დამარწმუნა, რაოდენ ფუჭია იმაზე ოცნება, თითქოს შეიძლება კაცთა შორის იცხოვრო ისე, რომ თუ გაღმა არ შეედავები, გამოღმა არ შემოგედავონ: არ მინდოდა სხვისი ბოროტი, სხვა გულბოროტმა მე არ დამინდო! ყველაფერს ვთმობდი, ყველას წინაშე უკან ვიხევდი, ყველაზე მცირეს ვჯერდებოდი: მერედა რა?! არამცთუ ვინმემ რამე დამითმო, ეს მცირედიც არ შემარჩინა.

მაშინ კი ბევრი აღარ მიფიქრია, სრულიად განვეშორე ადამიანებს, რომლებმაც საბოლოოდ მომაძულეს თავი და სიმარტოვე ვირჩიე განდეგილივით: მაღლობა ღმერთს, ჩვენს კუნძულზე ძნელი როდია განმარტოება. ვიყავი ასე. ჩემს ცხოვრებაში სიამოვნების ნატამალიც არ განმიცდია, მაგრამ ვაი რომ ვერც ტანჯვას დავალწიე თავი, ვინაიდან ხანგრძლივი ზამთარი, სასტიკი ყინვა და ზაფხულის ხვატი, რაც ჩვეულებრივი ამბავია ჩვენში, პირდაპირ სულსა მხდიდა, ხოლო ცეცხლი — მე ხომ მის პირას ვათენ-ვალამებდი, — შაშხივით მიხმობდა ხორცს, კვამლი კი თვალებსა მწვავდა, ასე რომ, არც შინ და არც ღია

ცის ქვეშ ჩემს გემოზე არასდროს მღირსებია მოსვენება, ვერც აუმღვრევლობა შევინარჩუნე, — თუმცა ეს იყო ჩემი მთავარი საზრუნავი, — ვინაიდან გრიგალთა მძვინვარება ხმელეთსა თუ ზღვაზე, ჰეკლას თავზაბდა ამკვედრუსხნი, ერთთავად იმისი შიში, თუ როდის იფეთქებდა ხანძარი, ვინაიდან მისი მოვლენაა იქ, სადაც ხალხი ჩვენსავით ხის სახლებში ცხოვრობს, — ყოველივე ეს ძილს მიფრთხოვდა და თავგზას მიბნევედა, როცა ცხოვრება ერთფეროვანია, როცა მის მდორე დინებას არაფერი არ არღვევს, არც რაღაცისკენ სწრაფვა, არც რაიმეს იმედი, არც რამ საზრუნავი, გარდა იმისა, თუ როგორ შეინარჩუნო სიმშვიდე და აუმღვრევლობა, მაშინ არამცთუ გრიგალის ან ხანძრის მძვინვარება, თვით ყველაზე უბადრუკი წვრილმანიც კი წარმოუდგენელ შემოთევბას იწვევს, გაცილებით უფრო დამთრგუნველს, უფრო მტანჯველს და აღტანველს, ვიდრე ერთის შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს, რომელიც თავისი დღე და მოსწრება მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რა ძნელია ამ ცხოვრებაში თავის გატანა და რა გულმხეცნი და უღმობელნი არიან კაცნი.

რაკილა დავრწმუნდი, რომ რაც უფრო მეტად ვიზღუდავ, რაც უფრო მეტად ვიმცირებ და ვიპატარაებ თავს, ისე რომ, ლამის გუნდის ხელა ვნდები, რაც უფრო მეტად ვცდილობ არავინ შევაწუხო ჩემი არსებობით, მით უფრო მეტად მამღვრევს, მორგუნავს და მსრესს ყველაფერი, რაც გარს მარტყია — გადავწყვიტე ამიერიდან გამუდმებით გამოვიცვალო ჰავაცა და ადგილიც: ვნახოთ, თუ მოიძებნება მთელს დედამიწაზე თუნდაც ერთი, ერთადერთი კუთხე, სადაც შეიძლება ისე იცხოვრო, რომ ბოროტება არ მოგაგონ შენი უბოროტობის სანაცვლოდ, ხოლო თუ შენ არად აგდებ შვებას და ლხენას, სამაგიეროდ ტანჯვისგან მაინც დაიხსნა თავი-მეთქი, — ვფიქრობდი მე.

ამნაირი გადაწყვეტილება ერთმა აზრმა მიმაღებინა, რომელიც მოულოდნელად დამებადა თავში: იქნება, შენ კაცთა მოდგმის, ისევე როგორც ყოველი ჭურის ცხოველისა თუ მცენარის, საცხოვრისი მარტოოდენ ამა და ამ ჰაჭითა და ადგილით შემოსაზღვრე, ხოლო ამ არეალს გარეთ ადამიანებს ან საერთოდ არ გაეძლებათ, საერთოდ არ დაედგომებათ, ანდა — რის ვაივაგლახით, ჯახირით და ტანჯვა-წვალებით. თუ ასეა, მაშინ მათ უბედურებაში შენ კი არ მიგიძღვის ბრალი, არამედ თვითონვე არიან დამნაშავენი, რაკილა თვითნებურად დაარღვიეს შენს მიერ კაცთა საცხოვრისად დადგენილი ზღვარი.

თითქმის მთელი დედამიწა შემოვიარე, ლამის ყველა ქვეყანას ვეწვიე. სულს მიხუთავდა ტროპიკული სიცხე, პოლუსების მახლობლად კვლავინდებურად მთოშავდა სუსხი, მაწამებდა ზომიერი ჰაერის ქვეყნებში ამინდის ცვალებადობა და თითქმის ყველგან შიშისზარს მცემდა გაშმაგებული სტიქიის მძვინვარება. მოვინახულე უთვალავი ადგილი, სადაც დღე არ გაივლის ქექა-ქუხილისა და მეხთატეხის გარეშე, მაგრამ ეს ხომ იგივეა, რომ შენი მხედრიონით ლაშქრავდე, არბევდე და აწიოკებდე იქაურ მოსახლეობას, რომელსაც არავითარი ბრალი არ მიუძღვის, არც არაფერი შეუცოდავს შენს წინაშე. სხვაგან ცა უღრუბლოა და ლურჯი მოკამკამე, სამაგიეროდ მიწისძვრები აწყვევენ და მიწისქვეშ მოთუხთუხე ლავისმფრქვეველ ვულკანთა მძვინვარება წალეკვით ემუქრება იქაურობას, სადაც სხვა სტიქიონები არ ბობოქრობენ, იქ თავაწყვეტილი ქარები დათარეშობენ და მიწასთან ასწორებენ ყველაფერს. მომხსენია, რა ავბედითად ჭრიანებს თავს ზემოთ თოჯლის სიმძიმით ჩამოზნექილი ტერი: მიგრძენია, როგორ მეცლება ფეხქვეშ კოკისპარული წვიმებით ჩარეცხილი და

ჩასაქცევად გამზადებული მიწა; კისრისტეხით გავქცევივარ აღიდებულსა ჩემს ჩასანთქმელად კალაპოტიდან ამოვარდნილ მდინარეებს, თითქოს დამეშავებინოს მათთვის. ვინ მოსთვლის, რამდენი ველური მხეცი, რომლებიც არ გამიღიზიანებია და არც თავს დავსხმივარ, ისე, სრულიად უმიზნოდ დევნებია შესაქმელად, რამდენი შხამიანი გველი — საკბენად, რამდენჯერ დახვევია მფრინავი მწერების ხროვა თავიან-ფეხებიანად გამოსახვრელად.

აღარაფერს ვამბობ ურიცხვ ხიფათზე, განსაცდელსა თუ ფათერაჯზე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაღუპვას რომ უქადის კაცს, — იმდენად ურიცხვზე, რომ ძველი დროის ერთმა ბრძენმა ვერ იქნა და ვერ გამოუძებნა შიშს უკეთესი წამალი, შემდეგი გამოთქმის გარდა: ყველაფრის უნდა გეშინოდესო. არც ათასნაირ ავადმყოფობას დავუნდივარ, თუმცაღა მე, მართალია, ასკეტივით არ ვამქლევებ, მაგრამ არც ვანებიერებ ხორცს. მე ყოველთვის ძლიერ მიკვირდა, როცა ვხედავდი, თუ რაოდენ უძლები და დაუოკებელი სურვილი ჩადე ჩვენს სულში განცხრომისა და ტკბობისა, რომელთა გარეშეც ჩვენი სიცოცხლე, თითქოს ყოველივე იმისაგან განძარცული, რისკენ სწრაფვაც მისთვის ბუნებრივია, — ლამის უაზრო და უშინაარსო ხდება; იმავდროულად კი დაადგინე, რომ კაცისთვის ყველაზე მავნე სწორედ გამუდმებული განცხრომა განდავს, ვინაიდან ეს დამღუპველად მოქმედებს სულის სისაღესა თუ ხორცის სიმრთელეზე და, ამრიგად, გვიმოკლებს დღეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის თავს ვიკავებდი ყოველგვარი განცხრომისაგან, მაინც არ ამცდა ათასნაირი სნეულება, რომელთაგანაც ზოგი სიკვდილს მიქადდა, ზოგი — ამა თუ იმ ასოს დაკარგვას და უწინდელზე კიდევ უფრო უბადრუკ ყოფას, ხოლო ყველანი ერთად ნამდვილი ჯალათებივით მაწამებდნენ, მრავალი დღის და თვის მანძილზე წარმოუდგენელი ტკივილებით ჯიჯგნიდნენ ჩემს სულს და სხეულს. და თუმცა თვითთელი ჩვენგანი ავადმყოფობისას სრულიად ახალსა და ყოვლად უჩვეულო ტკივილს განიცდის, წარმოუდგენლად იტანჯება და უწინდელზე უფრო უბედურად გრძნობს თავს (თითქოს ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ისედაც სავსე არ იყოს უბედურებით), მთელი ამ ბოროტების სანაცვლოდ, ორიოდღე დღე რა არის, ორიოდღე დღითაც არ იმეტებ ჩვენთვის სულისა და ხორცის უჩვეულო სისაღეს და ძალთა სიჭარბეს, რათა ამ უბადრუკი დროის მანძილზე მაინც დავტკბეთ თავისი სიმძაფრით თავბრუდამხვეჭი, ჭერარნახული და განუცდელი ნეტარებით.

იმ ქვეყნებში მოგზაურობისას, სადაც წლის უმეტესი დროის მანძილზე აუღებლად დევს თოვლი, ლამის ისევე დავბრმავდი, როგორც საკმაოდ ხშირად ბრმავდებიან ლაპლანდიელები თავიანთ მშობლიურ მხარეში. ცხოველმყოფელი მზე და მაცოცხლებელი ჰაერი, რომლებიც ესოდენ აუცილებელნი არიან ჩვენთვის და რომლებსაც ვერსად გავექცევით, ვერსად წაუვალთ, გამუდმებით გვემუქრებიან: ჰაერი — სინესტივით, სიმშრალით თუ სხვა რამ თვისებით, მზე — თავისი სიცხით და თვით სინაილით, ასე რომ კაცისთვის მეტ-ნაკლებად მავნე, მეტ-ნაკლებად სახიფათოა მზეზე თუ ჰაერზე დიდხანს ყოფნა. ამრიგად, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ერთი დღეც არ მახსოვს ტკივილისა და ტანჯვის გარეშე, ერთ დღეზეც ვერ ვიტყვი, რომ მას ქრთილისოდენა ბედნიერება მაინც მოეტანოს ჩემთვის. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვრწმუნდები, რომ ჩვენთვის იმდენადვე გარდუვალია უბედურება, რამდენადაც მიუწვდომელია ბედნიერება, იმდენადვე შორსაა სიმშვიდე, რამდენადაც განუყრელია ბორცნეულობა.

ამიტომაც გავკადნიერდები და მა... იქმას ვაგებდავ: შენა ხარ ადამიანის, ყველა სულდგმულის, ყველა შენი ქმნალების მოსისხლე მტერი. ხან მახეს გვიგებ, ხან გვიტევ, ხან გვემუქრები: ... ჩავ, გვაწამებ, გვარბი, ერთ ვასა-ჭირს როდი გვაჯერებ, არამედ ჭირს ჭირზე გვისართავ, დაეჩვენებ შენი ზნისა თუ შენს მიერვე დადგენილი წესისამებრ, თუ შეიძლება. შენი ზნისა, შენი საკუთარი სისხლის და ხორცის, თვით შენივე შეილებების ჯალათი ხლები. და მე ყოველგვარი იმედი გადამიწყდა, რადგანაც მივხვდი, რომ თვით ადამიანებიც კი თავს ანებებენ იმის დევნას, ვინც მათ გაურბის, მაშინ როდესაც შენ — ვიცოდე მაინც, რა დაგიშავეთ? — დაუსვენებლივ გვერეკები, დაუნდობლად და დაუნოგაჲად გვდევნი მანამ, სანამდის სულს არ ამოგვხდი. უკვე ვხედავ, როგორ მიახლოვდება უნუგეშო და უსიხარულო სიბერე, ეს ჩვენი წყევლა, ეს ჩვენი უბედურება, მეტიც, წყველათა წყევლა, უბედურებათა უბედურება: მიახლოვდება სიბერე, რომელსაც თვით ჩვენს სიყრმეში აქვს ფესვი გადგმული, ჩვენთან ერთად იზრდება და მწიფდება, რათა ბოლოს ჩვენვე მოგვინელოს. ასე რომ ჩვენი სიცოცხლის მხოლოდ ერთი მესამედი თუ ერთმობა ზრდასა და ძალთა გაფურჩქვნას, ძალზე მცირე ნაწილი — სიმწიფეს და ძალთა სისრულეს, უმეტესი წილი კი — ჭკნობას და კვდომას, ისევე როგორც მათგან განუყრელ ტანჯვა-ვაებას.

**ბუნება.** რას მიედ-მოედები, ადამიანო? ან იქნებ გგონია, რომ ეს სამყარო თქვენთვის — კაცთათვის — არის შექმნილი? იცოდე, როცა მას ექმნიდი, წესრიგს ვამყარებდი თუ სხვა რამეს ვაფუძნებდი, ცოტა მეტს ვგულისხმობდი და ვითვალისწინებდი ავიდრე ეგ თქვენი ბედნიერებაა თუ უბედურება. ამიტომ, როცა ჩემი მოქმედებით ან მოძრაობით რაიმე ზიანს გაყენებთ, მართალი ვითხრა, ვერც კი ვგრძნობ ამას და თუ ზოგჯერ კიდევაც გწყალობთ, ან ბედნიერებას განიჭებთ, ესეც შეუმჩნეველი მრჩება. მხოლოდ თავს იტყუებთ, თუ ფიქრობთ, რომ ოდესმე მიკეთებია ან ახლა ვაკეთებ რამეს თქვენდა სალხენად და საამებლად. ის კი არა და, რომ დამჭირებოდა და მთელი თქვენი მოდგმისთვის მუსრი გამეველო, მერწმუნე, ვერც ამას ვიგრძნობდი.

**ისლანდიელი.** კი მაგრამ, ესაა საქმე? ვთქვათ, ვილაცა მეპატიყება თავის მამულში, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მითხოვია; მეპატიყება დაფინებით, საშველს არ მაძლევს; და მეც, იმ მიზნით, რომ ვაამო, — თუმცა მეტი გზა არცა მაქვს, — თანხმობას ვუცხადებ და მივემგზავრები. იქ კი საცხოვრებლად მთავაზობენ უბადრუკსა და ერთიანად დაცხავებულ გალიას, მყრალს და ნესტიანს: ჭერიდან წვიმა ჩამოდის, კედლებიდან და კარ-ფანჯრებიდან კი ქარი უჭიქინებს, ხოლო სახურავი ყოველ წამს მზადაა ჩამოინგრეს და ქვეშ მომიყლოს. მასპინძელი, ნაცვლად იმისა, რომ სტუმრის სიამოვნებასა და მხიარულ დროსტარებაზე ეზრუნა, ჩემს სარჩენად ძლივს იმეტებს ორიოდ ლუკმას და ვგეც არ იყოს, ნებას აძლევს თავის შვილებს და მთელ სახლელულს, აბუჩად ამივლონ, დაცინვა, მუქარა და, შენ წარმოიდგინე, ცემა-ტყეპაც კი არ მომაკლონ. ხოლო თუ შევჩივლე, რატომ მეპყრობიან შენს სახლში ასე უდიერად-ნეთქი, პასუხად ამბობს: „შენმა მზემ, სწორედ შენთვის ავაშენე ეს სახლი, ან კიდევ იმისთვის გავაჩინე შეილები და გარს შემოვიხვიე სახლელული, რომ შენ გემსახურონი! მეტი საქმე არა მაქვს, ხომ იცი, რომ შენ გარჩინო, გეფერო და გელთლიავო!“ მე კი სანაცვლოდ მივუგებ: „იცი რა, ჩემო მეგობარო? თუ ჩემთვის არ აგიგია ეს სახლი, მაშინ რატომღა მახევდი კალთებს, ვინ ვახვეწი-

ოდან, დამპატივებელი? მაგრამ რაკილა მაიძულეს, რომ გსტუმრებოდი, განა მძალედ არა ხარ ისე მიმასპინძლო, რომ მე შვეოდად, უშიშრად და უზრუნველად კიგოანთ თავი? ახლაც ამასვე ვამბობ. მე ვიცი, რომ ეს სამყარო კაცობრივად სიკეთოდ და საკეთილდღეოდ როდი შეგიქმნია. პირიქით, უმაღლესი იმედი უნდა იქნებ, რომ ყველაფერი ისე შექმნილი და თითქოს განზრახ, ყველაფერი ისე გააჩინა და დააწესა, რომ დღენიდან გვტანჯო. მაგრამ მაშინ საკითხავია: მე ვთხოვე, არიქა, ამქვეყნად მომიწვიე-მეთქი? ან იქნებ ძალით, შენდა უნებურად შემოგეჭვრა? ხოლო თუ შენი ნება-სურვილით მომიყვანე, ან, უფრო სწორად, ძალით მომათრიე და აქ მომიჩინე ბინა, ისე რომ არც თანხმობა გიკითხავს, არც უარის თქმისა თუ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მოგიცია ჩემთვის, მაშინ მითხარი, ნუთუ არავითარი მოვალეობა არ გაკისრია ჩემს მიმართ? კარგი, ვთქვათ, ჩემი მოვლა-პატრონობითა და ჩემს ბედნიერებაზე ზრუნვით არ გსურს შეიწუხო თავი, მაგრამ ის მაინც არ გმართებს, რომ ტანჯვა-წამებისაგან დამიხსნა და ჯოჯობეთად არ მიქციო აქ ყოფნა? და რასაც ახლა გეუბნები, იცოდე, კაცთა მთელი მოდგმის, ყველა სულდგმულისა და ყველა ქმნილების სახელით გეუბნები.

**ბუნება.** მე კი მგონია, შენ ივიწყებ იმას, რომ სამყაროს მთელი სიცოცხლე დაბადებათა და გარდაცვალებათა მარადიული წრებრუნვაა, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს დაუბნეღლი კავშირი ჰქრავს, და თუ ერთი არ ემსახურა მეორეს, ან, პირიქით, მეორე — პირველს, ხოლო ორივე ერთად — სამყაროს არსებობისა და თვითმყოფობის შენარჩუნებას, — ყველაფერი დაიშლება, დაიშლევდა და არად იქცევა. აი, რატომაა მარადიული სიკვდილიცა და სიცოცხლაც; აი, რატომაა საზიანო სამყაროსათვის, რომ მასში თუნდაც ერთი, ერთადერთი სულდგმულიც არ იტანჯებოდეს.

**ისლანდიელი.** ზუსტად ამასვე ამტკიცებს თითქმის ყველა ფილოსოფოსიც. მაგრამ თუ მოკვდავი იტანჯება, ხოლო სიკვდილის მიზეზი არავითარ სიამოვნებას არ განიცდის და მალე თვითონაც მოკვდება, მაშინ კეთილინებე და ამკითხვაზეც მიპასუხე, რომლის პასუხი არც ერთ ფილოსოფოსს არ მოეძებნება: ვის აძლევს ხელს, ან ვის რასა რგებს, რომ სამყაროს ამ უებედურესი სიცოცხლის შენარჩუნება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთი გზით, მხოლოდ ერთი საშუალებით: ყოველივე იმის სიკვდილით, რაც შეადგენს თვითონ სამყაროს?

მაგრამ ამნაირ საუბარში გართულთ, როგორც გადმოგვცემენ, შეუმჩნეველად მიუახლოვდა ორი ლომი, შიშნულით ისე გამხდარი, გაძულტყავებული და გამოფიტული, რომ ძლივს მოახერხეს ისლანდიელის შექცა. ამ საქმეს რომ მორჩნენ და ცოტა მომაგრდნენ, ორიოდვე დღეს კიდევ შეძლეს თავის გატანა თუმცა ზოგიერთი უარყოფს ამას და, თავის მხრივ ამტკიცებს, რომ ისლანდიელის ბოლო სიტყვებზე ამოვარდა საშინელი ქარი, მიწას გააკრა ის და ზედ ქვიშის ზვიადი მაგზოლუქში აღმართა. დიდი ხნის შემდეგ ეს ჩვენი ისლანდიელი, ჩირვივით გამომხმარი და დიდებულ მუმიად ქცეული, ვილაც მოგზაურებმა იპოვეს და ევროპის ერთ-ერთი ქალაქის მუზეუმში მოათავსეს.

ფრედერიკ რეისისა და მისი მუშაობის საუბარი

მუშაობის ქორი

(ფრედერიკ რეისის კაბინეტში)



პოი, სიკვდილო, ერთადერთი უკვდავო ქვეყნად, ყოვლის მიმრქმელო, დედობრივად შენი წილი ყველაფერს იტევს, ყველა ტკივილს უამებს სულს, ტანჯვისგან დახსნილთ.

მალამოსავით ეფინები კრილობებს ჩვენსას, შევბას თუ არა, სიმშვიდეს ხომ მაინც გვანიჭებს სამარადისო სამყოფელი სულეთის მკვიდრთა — შენი სივანე,

თვლემამორეულ გონებაში დამის უკუნა მძლავრა, უკვე მიინაგლა აზრის ნათელი, არსად კიფობს არც სურვილის, არც სასოების უმწეო სხივიც.

ვნებათაღელვაც, შიშაც, ძრწოლაც დაცხრა ერთიან დაწრეტილ სულში; აღარ გვამღერებს, აღარ გვაშფოთებს სიყარველის საღინარით მდორე დინება მარადისობის.

ჩვენცა ვცხოვრობდით, კაცნი გვერქვა ოდესღაც ჩვენცა, მაგრამ ისე, ვით სიბერეში — სიყრმის სიზმარი, ჩვენშიაც სრულად წარიბოცა და გაქრა ძვალი გარდასულ ყოფის.

რანი ვაყავით, ან რა ერქვა იმ მწარე წამსა, რასაც სიციხლეს უწოდებენ რატომღაც კაცნი, და რაც იაყვე გვაფრთხობს მკვდართა, როგორც ცოცხალნი უფრთხიან სიკვდილს.

რარიც მშვიდია, უშფოთველი და უგრძობელი აწ ჩვენი ყოფა, მაგრამ ვაი რომ ნეტარება — აღთქმული ჭილდო — არც მოკვდავთა და არცა მკვდართა არ არის ხვედრი.

რეისი (კაბინეტის ზღურბლთან ჩერდება და კარში დატანებული ფანჯრიდან იტყუილება შიგ) — დალანგროს ეშმაკმა, ვინ ასწავლა ამ მკვდრებს სიმღერა? რა მამლებივით გაჰყვირან ამ შუალამისას? მართალი გითხრათ, ჭირის ოფლმა დამასხა და კინალამ მათზე უფრო მკვდარი არ გავხდი?! რას წარმოვიდგენდი, რომ გაბრწინისგან დაცვა საკმარისი იქნებოდა მათ გასაცოცხლებლად? ისინი კი გაცოცხლდნენ, მკვდრეთით აღდგნენ და, მე ციებცხელებიანივით ვცახცახებ და ვერავითარი ფილოსოფია ველარა მშველის. ღმერთმა დასწყევლოს ის ეშმაკი, რომელმაც ჩამჩურჩულა, მთელი ამ ძმობისთვის ჩემს ჭერქვეშ მიმეცა თავშესაფარი. ახლა რაღა ვქნა? ჩაკეტილში დავტოვო, ვაითუ კარი გამომტყერიონ! თუმცა შეიძლება საკლიტედანაც გამოძვრნენ და ჩემს საწოლამდე მოაღწიონ. ყუჩრილს მოვყვე და ხალხი შევეყარო, მიშველეთ, მკვდრების მეშინია-მეთქი, ხომ მომეჭრა თავი? არა, მეტი გზა არ არის, გული უნდა გავიმაგრო და ერთი ჩემებურად დავუცაცხანო, ეგება ცოტათი მაინც დავაშინო ეს თავხედები (კაბინეტში შედის).

ეს რა ამბავი გაგიმართავთ, ჩემო კარგებო? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მკვდრები ხართ? ნუთუ მეფის სტუმრობამ ისე გაგაამაყათ და გაგაყოყოჩათ, რომ აღექით და ხელაღებით გადაწყვიტეთ, თითქოს ძველ კანონებს აღარ ემორ-

ჩილებით? თუმცა თქვენ, ალბათ, ხუმრობთ; არა მგონია, სერიოზულად თქ-  
რობდეთ ამას. თუ მართლა გაცოცხლდით, სულითა და გულით გილოცავთ;  
მაგრამ ნურც ისე მდიდარი გგონივართ, რომ ცოცხლებიც ისევე შეგინახოთ,  
როგორც მკვდრებს გინახავდით. ამიტომ კეთილინებეთ და აქედან მისხვედით.  
ხოლო თუ მართალია, რასაც ვამპირებზე ამბობენ, და თუ მკვდრებს საბ-  
რცხვს ეკუთვნით, მაშინ სხვა მსხვერპლს დაუწყეთ ძებნა; ისლა მაკლია, თქვენ  
გაწოვინოთ სისხლი; სულ ტყუილად გგონიათ, რომ ამ შემთხვევაშიც იმნაირ  
გულუბნობას გამოვიჩენ, როგორც მაშინ, როცა სისხლის მაგივრად ხელოვ-  
ნურ სითხეს გიშხაპუნებდით. ერთის სიტყვით, თუ მოწყალებას მოიღებთ და  
კვლავინდებურად ჩუმად და წყნარად იქნებით, ჩვენც კვლავ გულითად შეგობ-  
რებად დავრჩებით და ამ ჩემს სახლში არაფერი არ მოგაკლდებათ; არადა, ამ  
ძელს ხომ უყურებთ? დავავლებ ხელს და ერთიანად ამოგუყუავთ.

მკვდარი. ნუ ბრახობ: პირობას გაძლევ, რომ მალე ისეთივე  
მკვდრები კიქნებით. როგორც აქამდე ვიყავით, და შენ აღარ დაგჭირდება  
ჩვენი დახოცვა.

რეიზი. კი მაგრამ, რა ჯანდაბამ ვაფიქრებინათ ამ უდროო დროს სიმღერის  
წამოწყება?

მკვდარი. ეს-ესაა, ზუსტად შუალამისას, შესრულდა ის დიადი მათემა-  
ტიკური წელი, რაზედაც ამდენს წერდნენ ძველი ბერძნები. სწორედ ესაა მი-  
ზეზი, რომ მკვდრები თავიანთი სიკვდილის შემდეგ პირველად ალაპარაკდნენ.  
და განა მართო ჩვენ, უკლებლივ ყველა მკვდარმა, სადაც უნდა იყვნენ ისინი,—  
ყველა სასაფლაოზე, ყველა სამარეში, ყველა სამარხში, ზღვის ფსკერზე, ღია  
ცის ქვეშ, თოვლში, ქვიშაში, — ამ შუალამისას ერთდროულად დააგუგუნა ის  
სიმღერა, რომელიც შენ მოისმინე.

რეიზი. და კიდევ დიდხანს აპირებთ სიმღერასა და ლაპარაკს?

მკვდარი. სიმღერას უკვე მოვრჩით, ლაპარაკით კი ერთ თხუთმეტოდუ  
წუთსაც ვილაპარაკებთ; შემდეგ კი დავდუმდებით და კრინტს აღარ დავძრავთ  
მანამ, სანამ არ გაილევა კიდევ ერთი დიადი წელი.

რეიზი. თუ ასეა, მეტი არაა ჩემი მტერი, ერთხელ კიდევ გამაღვიძოთ  
შუალამისას! კეთილი და პატიოსანი; ილაპარაკეთ, მე კი თავს არ შეგაწყენო,  
ჩემთვის მივდგები აგერ — კუთხეში და სიამოვნებით მოვისმენ ყველაფერს;  
ამაზე საინტერესო რა უნდა იყოს?

მკვდარი. მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ლაპარაკი,  
თუ რომელიმე ცოცხალს შეკითხვებზე პასუხს ვაძლევთ. ვისაც ცოცხალი თანა-  
მოსაუბრე არა ჰყავს, მორჩა, მოგჭამა ჭირი: ხელად დადუმდება.

რეიზი. დიდად სამწუხაროა: მე შეგონა, ყურს დაგიგდებდით და კაი გვა-  
რიანად გავერთობოდით. თქვენ კი თურმე არ შეგიძლიათ...

მკვდარი. რომც შეგვიძლოს, რისთვის უნდა დაგეგდო ყური: ერთმანე-  
თისთვის სათქმელიც რომ არაფერი გვაქვს?

რეიზი. ათასი კითხვა მიტრიალებს თავში, მაგრამ დროის სიმცირის გამო  
ვერც ერთს ვერ ამოვირჩევ. ვერც ერთს ვერ მივანიჭებ უპირატესობას.

ამიტომ მოკლედ მითხარით, რა იგრძენით უშუალოდ სიკვდილის წამს?

მკვდარი. მე პირადად, მართალი ვითხრა, არც კი მიგრძენია, როგორ გავ-  
თავდი.

დანარჩენი მკვდრები. არც ჩვენ.



რეიში. როგორ თუ არ გიგრძენიათ?

მკვდარი. როგორ და ისე, როგორც შენ, მაგალითად ძილის წინ, ბევრიც ვცადო, ვერასდიდებით ვერ იგრძნობ იმ წამს, როცა იძინებ.

რეიში. კი მაგრამ, ძილი ხომ სავსებით ბუნებრივია?

მკვდარი. ხოლო სიკვდილი, შენის აზრით, არაა ბუნებრივი არის? აბა, დამისახელე თუნდაც ერთი კაცი, ან ცხოველი, ანდა მცენარე, უკვდავი რომ იყოს.

რეიში. ახლა კი აღარც თქვენი სიმღერა მიკვირს და აღარც ლაპარაკი, რაკი თვითონაც არ გიგრძენიათ, როგორ გათავდით.

„ისრით განგმირულს არ აწუხებს წყლული სრულიად,

კვლავ ბრძოლად იწევს, და ვერც კი გრძნობს, რომ მოკლულია“.

როგორც ამბობს ერთი იტალიელი პოეტი. მე მეგონა, სიკვდილის ასავალ-დასავალი თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ვიდრე ცოცხლებს, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, ნუთუ მართლა არავითარი ტკივილი არ გიგრძენიათ სიკვდილის წამს?

მკვდარი. რის ტკივილი, რა ტკივილი, თუკი ის, ვინც შეიძლება ტკივილს განიცდიდეს, ვერც კი გრძნობს, რომ კვდება?

რეიში. მაგრამ ყველა ღრმად და რწმუნებული, რომ არ არსებობს სიკვდილზე უფრო მტკივნეული განცდა.

მკვდარი. თითქოს სიკვდილი მართლაც განცდა იყოს და არა რაღაც განცდის საპირისპირო.

რეიში. კი მაგრამ, ისინიც, ვინც იზიარებენ ეპიკურელთა შეხედულებას სულის ბუნებასა თუ რაობაზე და ისინიც, ვინც საყოველთაოდ აღიარებულ აზრს იცავენ, მოკლედ, ყველა, ანდა ყველა თუ არა, უდიდესი უმრავლესობა მაინც ერთმანეთს ეთანხმება ერთ რამეში, კერძოდ, იმაში რასაც ახლა მე ვამტკიცებ; ესე იგი, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სიკვდილი, თავისი ბუნებით, უკიდურესად მტკივნეულია, და რომ მას ვერავითარი სხვა ტკივილი ვერ შეედრება.

მკვდარი. მაშინ ერთთაც და მეორეთაც ასე დაეკითხე ჩვენი სახელით: თუკი ადამიანს არ შეუძლია შეიგრძნოს ის წამი, როცა ყველა მისი უნარი მხოლოდ დროებით და ნაწილობრივ წყვეტს მოქმედებას ძილის, ძილქუშის, გულის წასვლის თუ სხვა მისთანათა შედეგად, როგორღა შეიგრძნობს იმ წამს, როცა ყველა ზემოხსენებული უნარი დროებით ან ნაწილობრივ კი არა, მთლიანად და სამუდამოდ იშრიტება და ქრება? ეგეც არ იყოს, როგორ შეიძლება, რომ სიკვდილის წამს მთელის არსებით შეგვეძრას ამა თუ იმ ცოცხალმა განცდამ, ამა თუ იმ მძაფრმა შეგრძნებამ? მეტიც, როგორ შეიძლება, რომ სიკვდილი თავისთავად იყოს რაიმე ცოცხალი განცდა, ანდა შეგრძნება? ნუთუ, თქვენის აზრით, როცა მთელი გრძნობელობა არა მარტო სუსტდება და ჩლუნგდება, არამედ მთლიანად იშრიტება და სულაც ქრება, ადამიანს კიდევ რჩება რაიმე მძაფრი შეგრძნების თუ განცდის უნარი? ან, იქნებ, გგონიათ, რომ თვით ეს დაშრეტა და ჩაქრობა შეიძლება მძაფრი შეგრძნება იყოს? მაგრამ ხომ თქვენი თვალით გინახავთ, რომ თვით იმ კაცსაც, ვინც ხანგრძლივი ავადმყოფობისა და სასტიკი ტკივილებისგან წარმოუდგენლად იტანჯებოდა, სწორედ იმ წამს, როცა სული ეყრება სხეულს, რაღაც უცნაური სიმშვიდე ეუფლება, რაც მხოლოდ იმასა მოწმობს, რომ მის არსებაში ოდნავდა მბეუტავი სასიცოცხლო ძალა აშკარად აღარ არის საკმარისი, რათა კვლავინდებურად იგრძნ-

ნოს ტკივილი, რომელიც თვით სიცოცხლეზე ადრე მთავრდება. ჩვენი სახელ-  
 ლით ეს გადაეცი ყველას, ვისაც ჰგონია, რომ სიკვდილის წამს წაობოლდები-  
 ლი წამება და წვალება ელის.

რეპორტი. ეპიკურელებისათვის ეს შეიძლება საკმარისი სიბრძნეა.  
 მაგრამ არა მისთვის, ვინც სულის ბუნებაზე სულ სხვაგვარად მსჯელობს, კერ-  
 ძოდ, ისე, როგორც მე ვმსჯელობდი უწინ, ხოლო ამას იქით, რა საკვირველია,  
 უფრო დარწმუნებით და დაბეჯითებით ვიმსჯელებ, რაკილა ჩემი ყურით მოვის-  
 მინე, როგორ მღეროიან და ლაპარაკობენ მკვდრები. რადგან ის, ვისაც სწამს,  
 რომ სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა სულისა და სხეულის გაყრა, და  
 რომ ადამიანის არსებობას ნაოლოდ მათი მჭიდრო კავშირი, ურთიერთშერწყმა  
 თუ შენივთება განაპირობებს, ვერასდიდებით ვერ დაიჯერებს, თითქოს შესაძ-  
 ლებელი იყოს სულისა და ხორცის გაყრა, მათი გათავისთავადება თუ განცალ-  
 კვება წარმოუდგენელი ძალადობისა და ენით უთქმელი ტანჯვის გარეშე.

მკვლარი. ერთი ეს მითხარი: ხომ არა გგონია, რომ სული მიკრულია  
 სხეულს რომელიღაც ძარღვით, კუნთით ან აპკით, რომლებიც უთუოდ უნდა  
 გაწყდნენ სულისა და ხორცის გაყრისას? ან იქნებ, შენის აზრით, სული სხეუ-  
 ლის ერთ-ერთი ასოა, რომელიც ძალით უნდა მოიკვეთოს ანდა მოიჭრას? ნუ-  
 თუ ვერ ხედავ, რომ სული თავისით ეყრება სხეულს, როცა რაიმე ხორცის  
 გარსში აღარ აყენებს, და ამიტომაც არ სჭირდება ძალით ამოძირკვა, ან ძირ-  
 ფესვიანად აღმოფხვრა. ესეც მითხარი: განა განსხეულებებისას სული გრძნობს,  
 რომ ძალით ასახლებენ სხეულში, ანდა ძალით აჯაჭვებენ მას, რათა, შენივე  
 თქმისა არ იყოს, ერთაარად შეანივთონ ისინი? მაშ, სხეულთან გაყრისას რა-  
 ტომღა უნდა გრძნობდეს, რომ ძალით ამორებენ, ძალით ატოვებინებენ თავის  
 სახლს, ან მტკივნეულად რატომ უნდა განიცდიდეს ამ განშორებას? უნდა იცო-  
 დე და ეჭვმიუტანლად გწამდეს, რომ სულის განსხეულება და სულისა და  
 სხეულის გაყრაც ერთნაირად მშვიდია, უმტკივნეულო და უტანჯველი.

რეპორტი. კი მაგრამ, თუ სიკვდილი ტანჯვა არ არის, მაშ, რაღა არის?

მკვლარი. უმაღლესი სიამოვნებაა. იცოდე, ჩვენ ისევე ვკვდებით, როგორც  
 ვიძინებთ, არა ერთ წამს, არამედ თანდათანობით. თუმცა ეს თანდათანობა  
 სხვადასხვანაირია, რასაც სიკვდილის მიზეზთა სხვადასხვაობა განაპირობებს,  
 რომელთა გამოისობითაც კვდომა ხან უფრო მეტად ჭიანჭურდება, ხან — უფრო  
 ნაკლებ. უკანასკნელ წამს სიკვდილი აღარც მტკივნეულია და აღარც სასიამ-  
 მოვნო, ისევე, როგორც ძილი. მაგრამ ის უმტკივნეულოა იმ ხნის მანძილზეც,  
 რომელიც უმუშაოდ წინ უსწრებს უკანასკნელ წამს, ვინაიდან ტკივილი რა-  
 ლაც ცოცხალია, ხოლო როდესაც კაცი კვდება, მისი გრძნობებიც მომაკვდა-  
 ვად უნდა ჩაეთვალოს, იმდენად ძალადაწრეტილი არიან ისინი. სამაკვიროდ  
 სიკვდილმა შეიძლება სიამოვნება განგვაცდევინოს, ვინაიდან სიამოვნება სიკ-  
 ვდილივით ცოცხალი როდია, მეტიც, ყველა ადამიანური სიამოვნება, არსები-  
 თად, სხვა არა არის რა, თუ არა ერთგვარი მოშვებულობა, ღონეშიხდილობა,  
 მრბნედილობა. ამიტომ კაცი შეიძლება მაშინაც კი განიცდიდეს სიამოვნებას,  
 როცა მისი გრძნობელობის უნარი თითქმის მთლიანად მიმქრალია და მისუსტე-  
 ბული, ვინაიდან თვით სისუსტე, როგორც უკვე ითქვა, — ესაა ერთგვარი სი-  
 ამოვნება, მით უმეტეს, როცა ტანჯვისაგან გვათავისუფლებს: ხომ მოგეხსენე-  
 ზა, რომ ყოველგვარი ტანჯვისა თუ ტკივილის შეწყვეტა თავისთავად არის სიამ-  
 მოვნება. მაშასადამე, სიკვდილისმიერი სისუსტე და სიძაბუნე განსაკუთრებით

სასიამოვნო უნდა იყოს, ვინაიდან წარმოუდგენელი ტანჯვისაგან გვათავისუფლებს. მე პირადად სიკვდილის წამს არ დავკვირვებოვარ ჩემს შეგონებებსა და განცდებს, ვინაიდან ეჭიმებმა ამიკრძალებს ტვინის გადაღლა, მაგრამ ბუნდოვნად მაინც მახსოვს, რომ ჩემი სული დააბლოებით ისეთსავე დასუსტებულ მოთენთილობას განიცდიდა, რასაც უშუალოდ ძილის წინ განვიცდით ხოლმე.

**დანარჩენი მკვდრები.** დიახ, გვახსოვს, ჩვენც ასეთივე განცდა გვქონდა. **რეიში.** თუ ასეა, ასე იყოს, მაგრამ ყველა. ვისთანაც ამ საგანზე მისაუბრობია, სულ სხვანაირად სჯიდა, თუმცა, რამდენადაც მახსოვს, არც ერთს არ დაუმოწმებია თავისი საკუთარი გამოცდილება. ახლა კი ამ კითხვაზედაც მიპასუხეთ: როცა სიკვდილის წინ ესოდენ სასიამოვნო განცდები გქონდათ, ფიქრობდით კია, რომ კვდებით და სიკვდილით გულმოდგინებას უნდა უმაღლოდეთ, ამ თქვენს სიამოვნებას? თუ სულ სხვა იყო თქვენი საფიქრალი?

**მკვდარი.** სანამ არ მოვკვდი, ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ როგორმე თავს დაფიქრებდი ამ განსაცდლისგან: ყოველ შემთხვევაში, სანამ ჯერ კიდევ შემეძლო აზრის მოკრება, იმედი მქონდა, ორიოდ საათს კიდევ ვიცოცხლებ-მეთქი. მე მგონია, ასე ემართება ყველა მომავლად.

**დანარჩენი მკვდრები.** დიახ, ჩვენც სწორედ ასე დაგვემართა. **რეიში.** ჰო, ისეა, როგორც ციკერონი ამბობს: არ მოიძებნება ისეთნაირად მიხრწნილი ბერიკაცი, თავს რომ არ იმხნეებდეს, ორიოდ წელს მაინც ვიცოცხლებო: კი მაგრამ, უკანასკნელ წამს როგორ იგრძენით, რომ თქვენი სული ვაეყარა ახლულს? მითხარით, როგორ მიხვდით, რომ უკვე მოკვდით? ხანს არ იღებენ, რა მოგივიდათ, თქვე კაი ხალბო, ხომ არ დაყრუვდით? თუმცა, როგორც ჩანს, თხუთმეტი წუთი უკვე ვავიდა. აბა, ერთი კარგად მოვსინჯო: დიახ, კვლავ იპეთივე მკვდრები არიან, როგორიც უნდა იყვნენ მკვდრები. აწი კი ნამდვილად ველარ შემაშინებენ. წავალ, ერთი პირსაც წავუძინებ.

**პრისტავორა კოლუმბისა და კედრო გუბიერისის საუბარი**

**კოლუმბი.** რა მშვენიერი ღამეა!  
**გუბიერისი.** მართლაც რომ მშვენიერია, მაგრამ ხმელეთზე კიდევ უფრო მშვენიერი მოგეჩვენებოდა.

**კოლუმბი.** აი, ხომ ხედავ, შენც დავღალა ცურვამ.  
**გუბიერისი.** არა, არა, მხოლოდ არა ცურვამ! მაგრამ უფრო დიდხანს კი გაქიანურდა, ვიდრე მოველოდი, და, ცოტა არ იყოს, მომბეზრდა. ნუ გგონია, თითქოს სხვებივით ვდრტვინავდე შენს საქციელზე. შენდუ, რაც უნდა გადაწყვიტო ამ მოგზაურობისას, ისევე, როგორც უწინ, ყოველნაირად მხარს დაგიჭერ. მაგრამ, რახან სიტყვა მოიტანა, მოდი, გულახდილად მითხარი: ნუთუ გველებურად დარწმუნებული ხარ, რომ დედამიწის ამ ნაწილში რაიმე ხმელეთს აღმოაჩენ და, ესოდენ ხანგრძლივი გამოცდილების მიუხედავად, ჯერ კიდევ არაფერი არ გაეჭვება?

**კოლუმბი.** მართალი გითხრა, — ან კი სხვა რა უნდა უთხრა მეგობარს, რომელიც, იცი, საიდუმლოს შეგინახავს, — ცოტა არ იყოს, თვითონაც შევეჭვდრი, მით უმეტეს, რომ მოგზაურობისას ბევრმა სასიკეთო ნიშანმა მოლოდინს არ გაგვიმართლა: გაიხსენე თუნდაც ის ფრინველები, რომლებმაც გომერიდან

გამოსვლის შემდეგ თავზე გადაგვიფრინეს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ აიღეს გზი, — მე კი მეგონა, რომ ეს ხმელეთის სიახლოვეს მოასწავებდა. რამდენი რამ ვივარაუდე ზღვაში გასვლამდე, რამდენი რამ ვიწინასწარმეტყველე, გზაში ესა და ეს შეგვხვდება, ესა და ეს შეგვემთხვევა-მეთქი, მაგრამ დღითი დღე სულ უფრო თვალნათლით ვრწმუნდებოდი, რომ სინამდვილე არც ჩემს ვარაუდს შეესაბამება და არც წინასწარმეტყველებას. და რაკი ყველა ვარაუდი გამიცრუვდა, რაც უწინ უმჯველად მეჩვენებოდა, ახლა უკვე იმასაც ეფიქრობ, რომ შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს მათ შორის ყველაზე მთავარიც, რომლის თანახმადაც ოკეანის გაღმა მხარეს ხმელეთი უნდა მდებარეობდეს. მართალია, ერთის მხრივ, ეს ვარაუდი იმდენად ურყევ საფუძველს ემყარება, რომ თუ ისიც მცდარი აღმოჩნდა, საერთოდ აღარ ვენდობი ადამიანის არავითარ აზრს, არავითარ მსჯელობას, რომელიც უშუალოდ არ ეხება იმას, რაც შეიძლება შენივე თვალით დაინახო, ყურით მოისმინო ან ხელით მოსინჯო. მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენთვის ისიც აშკარაა, რომ პრაქტიკული ცდა ძალიან ხშირად არ ემთხვევა თეორიულ აზრს, ძალიან ხშირად განსხვავდება მისგან და ამიტომ ასე ვეუბნები ჩემსავე თავს: ვინ გითხრა, თითქოს დედამიწის ყველა ნაწილი დანარჩენ ნაწილებს უნდა ჰგავდეს და თუ მთელი აღმოსავლეთი ნახევარსფერო ნაწილობრივ წყალს უჭირავს, ნაწილობრივ კი ხმელეთს, ამიტომ დასავლეთი ნახევარსფეროც წყალსა და ხმელეთს შორის უნდა იყოს დანაწილებული? ვინ გითხრა, თითქოს ის მთლიანად არ უჭირავს უნაპირო ზღვას? ან, ვინ იცის, იქნებ მიწას და წყალს რაღაც მესამე სტიქიონიც ენაცვლება იქ? ხოლო თუ მას, მეორე ნახევარსფეროს მსგავსად, მხოლოდ ზღვა და ხმელეთი აკავებს, განა გამორიცხებულია, რომ ის მთლიანად დაუსახლებელი, ან საცხოვრებლად უვარგისი იყოს? მაგრამ დაუუშვათ, რომ ისევე დასახლებულია, როგორც ჩვენი ნახევარსფერო; — ვინ მეტყვის დაბეჯითებით, რომ იქაც ისეთივე გონიერი არსებები ბინადრობენ, როგორც აქ? ხოლო თუ ბინადრობენ, ან იმის დასტური სად არის, რომ ისინიც ადამიანები არიან და არა გონიერებით დაჯილდოებული სხვა ცხოველები? ანდა, თუ მაინც ადამიანები არიან, ხომ შეიძლება თხემით ტერფამდე განსხვავდებოდნენ ჩვენგან: ვთქვათ, უფრო ტანსრულნი იყვნენ, უფრო ძლიერნი, უფრო მარჯვენი, ბუნების მიერ შეუდარებლად უფრო დიდი გონივრული თუ სულიერი ძალებით დაჯილდოებულნი, მეცნიერებებს უფრო სრულყოფილად დაუფლებულნი და ხელოვნებებშიაც უკეთ გაწაფულნი? დიან, ასე ვეუბნები ჩემსავე თავს. ჭეშმარიტად, ბუნებისათვის ნიშნეულია, როგორც თავად შეგვიძლია დავრწმუნდეთ, იმნაირი ძალმოსილება და მისი გამოვლინებანი ამდენად მრავალრიცხოვანნი და მრავალფეროვანნი არიან, რომ შეუძლებელია არა მარტო ექვშეუვალი სიზუსტით იმსჯელო იმაზე, რაც მას შეუქმნია ან ახლაც ქმნის ყველაზე შორეულ მხარეებში, რომლებიც სრულიად უცნობია ჩვენთვის, არამედ ისიც საკითხავია, ტყუვდება თუ არა ადამიანი, მისთვის ჩვეული საგნებისა თუ მოვლენების მიხედვით რომ აფასებს ამ შორეულ მხარეთა უცხო ბუნებას; რადგან არც ესაა გამორიცხული, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ უცნობ სამყაროში ყველაფერი განსაცვიფრებლად განსხვავებულია ჩვენი სამყაროსაგან.

აი, ჩვენ საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ ისარი ამ ზღვებში პოლარული ვარსკვლავისაგან საკმაოდ დიდი კუთხით იხრება დასავლეთისკენ: ეს კი არნახული და არგაგონილი მოვლენა გახლავს, რომელსაც შეუძლია საგო-

ნებელში ჩააგდოა რომელიც გნებავს ზღვაოსანი, და მეც, ამდენი თავისმტკრევის მიუხედავად, ვერავითარი დამაჯერებელი აბსნა ვერ მოვუძებნე მას. ამით იზის თქმა კი არა მსურს, თითქოს სარწმუნოდ უნდა მიგვაჩნდეს ჩველი მწერლების მონაჩმაბი, რომლებიც უცნობი სამყაროსა თუ ამ უკვანეს სასწაულებს გვიხატავენ, თუნდაც ის არაკები, რომლებსაც შორეულ ქვეყნებში იყავება პანონია: თითქოს იქაური ღამეები სავსე იყოს მოცეკვავე ცეცხლის ენებით, ხოლო ზღვას ცეცხლის მდინარეები ერთვოდნენ. აკი თვითონვე დავრწმუნდით, როდენ ფუჭი და საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა ჩვენი მეზღვაურების შიში იმ საშინელებათა წინაშე, რასაც ამ მოგზაურობას უკავშირებდნენ. გაიხსენე თუნდაც ის შემთხვევა, როცა გზა გადაგვიღობა წყალმცენარეების წარმოუდგენელმა სიუხვემ და სიმრავლემ, ღამის მინდვრად რომ აქციეს ზღვა და გასაგანს აღარ გვაძლევდნენ, მეზღვაურებს კი ეგონათ, თითქოს უკვე მივადექით ოკეანის ფიქსურეს ზღვარს, რომელსაც შეიძლება ხომალდებით მიადწიოს კაცმა. მაგ შენი კითხვის პასუხად, აი, რას გეტყვი: ჩემი ვარაუდი ემყარებოდა სავსებით სანდო წინამძღვრებს, ათასჯერ აწონილ-დაწონილს, ყოველმხრივ შემოწმებულსა და დასაბუთებულს არა მარტო ჩემი, არამედ მრავალი სახელოვანი გეოგრაფის, ასტრონომისა და ზღვაოსნის თვალსაზრისითაც, რომლებსაც, როგორც მოგეხსენება, სათითაოდ ვეთათბირებოდი ესპანეთში, იტალიასა თუ პორტუგალიაში. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ის მაინც შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, ვინაიდან, ერთხელ კიდევ გაგიმეორებ, ბევრმა ჩემმა დასკვნამ, ყველაზე სანდო წინამძღვრებზე დაფუძნებულმა, აშკარად ვერ გაუძლო ცდით შემოწმებას. არცაა გასაკვირი, რადგანაც საქმე ეხება საგნებს, რომლებიც ჯერ კიდევ სრული იდუმალების ბურუსითაა მოცული.

**ბუტიმერსი.** ასე რომ, შენი გამოისობით, არც შენსა და არც ჩვენი თანამგზავრების სიცოცხლეს, არსებითად, არავითარი სხვა საყრდენი არ გააჩნია თეორიული დასკვნების გარდა?

**კოლუმბი.** დიახ, ასეა, ვერ უარვყოფ. მაგრამ, ჯერ ერთი, ადამიანები ყოველდღე საფრთხეში იგდებენ თავს იმის შედეგად, რომ გაცილებით უფრო სუსტ საყრდენს ანდობენ თავიანთ სიცოცხლეს, თანაც, ყოვლად უბადრუკი მიზნის გულისთვის, ან უბრალოდ, თავიანთი უგუნურების გამო და ეგეც არ იყოს. ერთსაც დაუკვირდი: ახლა მეც, შენცა და ეს ჩვენი თანამგზავრებიც ამ ხომალდებზე, ამ ზღვაში, ამ უდაბურ სივრცეში, იდუმალებით მოცული მომავლია მოლოდინში რომ არ ეიყოს და არც ჯერარნახული და არგაგონილი განსაცდელი გვემუქრებოდეს, რა იქნებოდა მაშინ ჩვენი სიცოცხლე? რა საქმეს მოვკიდებდით ხელს? როგორ გავატარებდით ამ დღეებს? შენ გგონია, დიდ სიხარულში? იქნებ, პირიქით, დიდ მწუხარებაში და ტანჯვაში? ან, იქნებ, მოწყენილობისათვის ვერ დავგვეღწია თავი? რას ნიშნავს „ყოფა, რომელსაც არც რაიმეს მოლოდინი ამღვრევს და არც მუქარა?“ თუ ეს კმაყოფილებაა და ბედნიერება, მაშინ ის უნდა გვერჩიოს ყველაფერს, ხოლო თუ უსიხარულო და უბადრუკი არსებობის გარდა სხვა არა არის რა, არც კი ვიცი, რას უნდა გვერჩიოს იგი. აღარაფერს ვამბობ იმ დიდებაზე, რომელსაც მოვიხვექთ, და იმ სარგებლობაზე, რომელსაც მოვუტანთ ქვეყანას, თუ მოლოდინი არ გაგვიცრუვდა და წარმატებით დავვირგვანდა ეს ჩვენი მოგზაურობა. მაგრამ მარცხითაც რომ დამთავრდეს და არავითარი შედეგი არ გამოიღოს, ფუჭად მაინც არ ჩაივლის, იმიტომ, რომ ერთხანს მაინც დაგვიხსნის მოწყენილობისაგან, სიცოცხლეს შეგ-

ვაყვარებს და ჩვენა თვალში ღირებულებას მესძენს იმ საგნებს, რომლებსაც სხვა ღროს არავითარ უფრადლებას არ მივაქცევდით. ძველი მწერლები გადმოგვცემენ. — ალბათ, თვითონაც წაგიკითხავს ან გაგიგონია, — რომ უბედური შეყვარებულები სანტა მაურას (ძველად მას ლავკადა ერქვა) ქარაფიდან ცველი ოდნენ ზღვაში, მაგრამ თუ რაღაც სასწაულით გადარჩებოდნენ, უწყალობით თავს აღწევდნენ სიყვარულის მწველ სახმილს. არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა ეს გადმოცემა, მაგრამ ის კი მწამს, რომ სასიკვდილო საფრთხისაგან თავდაღწეულთ აპოლონია წყალობის გარეშეც გაუტკბებოდათ სიცოცხლე, ან, ყოველ შემთხვევაში, ის ერთხანს მაინც უფრო ძვირფასი და სასურველი გახდებოდა მათთვის, ვიდრე მანამდე. ჩემის აზრით, ყოველი მოგზაურობა თავისებური ნახტომია ლავკადის კლდიდან, რადგანაც ისეთივე სარგებლობა მოაქვს, მხოლოდ უფრო დიდი ხნით, და სწორედ ამით აღემატება ზემოხსენებულ ნახტომს. ხალხს ჰგონია, რომ მეზღვაურები და ჯარისკაცები, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე საფრთხეში იგდებენ თავს, ყველაზე ნაკლებ აფასებენ სიცოცხლეს. მე კი, პირიქით, ვთვლი, რომ იშვიათად თუ ვინმეს შეუძლია, ისე უყვარდეს და აფასებდეს სიცოცხლეს, როგორც აფასებენ მას მეზღვაურები და ჯარისკაცები. რამდენი სიკეთე, რომლებსაც არაფრად აგდებენ მათი მფლობელები, რამდენი ნივთი თუ საგანი, რომლებსაც სიკეთის სახელს ვერც კი უწოდებ, სასურველად და ფასეულად ეჩვენებათ ზღვაში გასულ მეზღვაურებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლებულნი არიან მათ. ვინა თვლის სიკეთედ იმას, რომ ფეხქვეშ მიწია ნაგლეჯსა გრძნობდეს, რომელსაც შეუძლია თამამად დაეყრდნოს ფეხით? ვის, თუ არა მეზღვაურებს, — და მით უმეტეს ჩვენ, რომლებმაც არ ვიცი, რა შედეგით დასრულდება ეს ჩვენი მოგზაურობა, — შეიძლება ენატრობოდეს უფრო მეტად, თვალი მოჰკრას ხმელეთის ბუნდოვან ზოლს? ესაა ჩვენი პირველი და, იმავდროულად, უკანასკნელი ნატვრა, რომლითაც ვიღვიძებთ და ვიძინებთ კიდევ. და თუ ერთ მშვენიერ დღეს ბედი გაგიღიწებს და შორითვე დაელანდათ მთის მწვერვალებსა თუ ხეთა კენწეროებს, შეიძლება სიხარულისაგან გავგიყდეთ. ხოლო მას შემდეგ, რაც ხმელეთს დავადგამთ ფეხს, ჩვენზე ბედნიერი აღარავინ გვეგონება იმის გამო, რომ კვლავ მყარ მიწაზე დავდივართ და შეგვიძლია არა მარტო ვიაროთ, არამედ კიდევ ვირბინოთ, ვისტუნოთ, ან როგორც მოგვეპრიანება, ისე მოვიქცეთ.

**ბუტიერისი.** მართალს ბრძანებ, და თუ შენი ვარაუდი ისეთივე ჭეშმარიტი გამოდგა, როგორც ეგ შენი თავის მართლება, რომლითაც ირკვევა მთელი შენი ქცევის მიზეზი, ღმერთმანი, რამდენიმე დღეში აგვიხდება ეს ჩვენი ნატვრა.

**აკლუმბი.** მე კი, ჩემის მხრივ, თუ ვეღარ ვბედავ უწინდებურად დაბეჭითებით ვამტკიცო, ყოველ შემთხვევაში, იმედი მაინც მაქვს, რომ სულ მალე აგვიხდება იგი. ეს რამდენიმე დღეა, როგორც მოგეხსენება, ზონდი უკვე ზღვის ფსკერს ეხება და ნიადაგის სინჯი, რომელიც გემბანზე ამოგვაქვს, დამამედებელი მეჩვენება. ქარიც თითქოს უწინდებურად აღარ ბობოქრობს, მიმართულების შეუცვლელად, პირდაპირ და თანაბარი ძალით აღარ უბერავს, არამედ ხან იკლებს და ხანაც იმატებს, ხან აქედან შემოგვიტევს და ხან იქიდან, ერთის სიტყვით, ისე იცვლება, გვეგონება, რაღაცა გზას უღობავსო. ეგეც არ იყოს, გაიხსენე ლერწმის ღერო, ტალღებზე რომ ტივტივებდა და სულ ახლახან მოჭრილსა ჰგავდა, ანდა ხის ტოტი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მო-

წითალო ნაყოფთა კენწულა: ეს ფრინველებიც, მართალია, ერთხელ უკვე მომატყუეს, მაგრამ ასლა ისე ჩშირად და ისე გუნდ-გუნდად გადაგვიფრენენ ხოლმე თავზე, რომ ძალაუხნებურად ხმელეთის სიახლოვეს გაფრებინებენ კაცს, მით უმეტეს, რომ მათ შორის ზოგჯერ თათო-ოროლა უჩვეულოდ გამოიჩინება, რომლებიც ზღვის ფრინველებს არ ჰგვანან. ერთის სიტყვებში ვხვდებით მისი მისი, ერთად აღებულნი, მთელი ჩემი უნდობლობის მოუხედავად, მაიძულებს ერთთავად დაძაბული ვიყო და რაღაც სასიკეთოს ველოდო.

ბუტიერისი, ღმერთმა ინებოს, რომ ამჯერად მაინც მოლოდინი არ გავვიცრუვდეს.

### ტიმანდრესა და ელმანდრეს საუბარი

ტიმანდრე. მე მინდა, ან, უფრო სწორად, უნდა პირდაპირ მოგახსენოთ ჩემი სათქმელი. აზრიცა და მიზანიც ყოველივე იმისა, რასაც თქვენ წერთ, ყველაზე მკაცრი გამობისა და განკიცხვის ღირსი მეჩვენება.

ელმანდრე. თუ ასეთივე არ გეჩვენებათ ჩემი ქცევაც, მაგას კიდევ გაუძლებს კაცი, რადგან არც სიტყვებსა და არც ნაწერებს თითქმის არავითარი ფასი არა აქვთ.

ტიმანდრე. რაც შეხება თქვენს ქცევას, ამ მხრივ, ბევრს ვერაფერს ვისაყვედურებთ. ვიცი, რომ მოყვასთათვის დიდი მოკეთე თუ კეთილისმყოფელი არა ხართ, იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ არც ბოროტისმყოფელი ბრძანდებით, იმიტომ, რომ არა გსურთ. ხოლო, რაც შეეხება თქვენს სიტყვებსა თუ ნაწერებს, აქ კი მართლაც იმსახურებთ გამობასაც და გაკიცხვასაც. ეგვეც არ იყოს, მე არ გეთანხმებით იმაში, თითქოს დღეს სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვთ: მთელი თანადროული ცხოვრება მხოლოდ მათზეა დაფუძნებული. მაგრამ, მოდით, თავი ვანებოთ სიტყვებს და მხოლოდ თქვენს ნაწერებზე ვილაპარაკოთ, რომლებშიაც გამუდმებით ჰგმობთ და დასცინით კაცთა მოდგმას. ჯერ ერთი, ეს უკვე აღარ არის მოდაში.

ელმანდრე. ისევე, როგორც ჩემი ვინება, ხოლო ის ამბავი, რომ შეილები მამასა ჰგვანან, არ ახალია, ძველია.

ტიმანდრე. ჰოდა, არც ის იქნება ახალი, რომ თქვენს წიგნებს არავითარი წარმატება არ ექნებათ, ისევე როგორც ყველაფერს, რაც საზოგადოებრივ აზრსა თუ ცხოვრების მდინარეებს უპირისპირდება.

ელმანდრე. მაგაზე დამიდგა დარდი; ხომ არა გვინიათ, რომ მათხოვრებრით აიტუხებიან სხვის კართან?

ტიმანდრე. ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ, ფილოსოფოსები თითქმის ერთხმად ჰგმობდნენ კაცთა მოდგმას, ამ ჩვენს საუკუნეში კი პირიქით.

ელმანდრე. კი მაგრამ ამ ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ, ერთხმად რომ ჰგმობდნენ კაცთა მოდგმას, როგორ გვინიათ, ფილოსოფოსები მართალნი იყვნენ თუ არა?

ტიმანდრე. კაცმა რომ თქვას, მეტწილად მართალნი იყვნენ.

ელმანდრე. მერედა, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე კაცთა მოდგმა ისე შეიცვალა, რომ მთლიანად დაუპირისპირდა თავისსავე თავს?

ტიმანდრე. არა მგონია, მაგრამ ამას რა კავშირი აქვს ჩვენს მსჯელობასთან?

ელეანდრე. ვითომ არა აქვს? იქნებ, კაცობრიობა უფრო ძლიერი გახდა, უფრო ამადლდა, არნახულ მწვერვალებს მიადწია, ასე რომ, ახლანდელ მწვერვალებს ესტადიარჩენია, მხოლოდ ელოლიავებოდეს და ფეხქვეშ ეგებოდეს მას?

ტიმანდრე. მე სერიოზულად გელაპარაკებით, თქვენ კი სუმრობთ.

ელეანდრე. თუ სერიოზულობაზე მიდგა საქმე, არც აქ დაგრჩებით ვალში. ამ ჩვენს საუკუნეში ადამიანები საქმით ძირს უთხრიან თავიანთ მსგავსთ, სიტყვით კი ცაში აჰყავთ ისინი. გასული საუკუნე რა მოსატანია? მაგრამ მე არც ჩემსავე მსგავსთ ვუთხრი ძირს და არც არამსგავსთ, ამიტომ არც მოვალედა ვთვლი თავს, თუკი ჩემი სინდისი არ მაძლევს ნებას, ვაქო და ვადიდო ისინი.

ტიმანდრე. მაგრამ, ყველა თქვენი მოყვასის მსგავსად, მოვალე ხართ იმაზე მაინც იფიქროთ, თუ რა არგოთ კაცთა მოდგმას, რომელსაც თვითონვე ეკუთვნით.

ელეანდრე. კი მაგრამ, თუ კაცთა მოდგმას, რომელსაც თვითონვე ეკუთვნი, სხვა საფიქრალი არა აქვს, გარდა იმისა, რომ როგორმე მავნოს? მაშინ, ღმერთმანი, არ მესმის, რომელ მოვალეობაზე მელაპარაკებით. მაგრამ დავუშვათ, რომ ეს მოვალეობა მაინც მაკისრია: რას მიბრძანებთ, ჩემთვის რა შემიძლია, რომ მთელს მოდგმას რაიმე ვარგო?

ტიმანდრე. საქმისა რა მოგახსენოთ, საქმით ბევრი არაფერი შეგიძლიათ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვას ვისა აქვს ამის შეძლება? აი, წიგნებით კი იცოცხლე, დიხხაც შეგიძლიათ და მოვალეცა ხართ სარგებლობა მოუტანოთ თქვენსავე მოყვასთ; მაგრამ არა იმნაირი წიგნებით, რომლებშიაც ყოველ გვერდზე თავს ესხმით ადამიანს და რომლებსაც სარგებლობის კი არა, მხოლოდ ზიანის, და მერე რამზელა ზიანის მოტანა თუ შეუძლიათ.

ელეანდრე. გეთანხმებით, რომ ჩემს წიგნებს სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ, მაგრამ იმედი მაქვს, ქვეყანას მაინც არ დააქცევენ. ისე კი, ნუთუ ბართლა ფიქრობთ, რომ წიგნებმა შეიძლება რაიმე არგონ კაცთა მოდგმას?

ტიმანდრე. განა მართო მე? ყველა ასე ფიქრობს.

ელეანდრე. მაინც რანაირ წიგნებს გულისხმობთ.

ტიმანდრე. სხვადასხვანაირს, უპირატესად კი ზნეობაზე დაწერილ წიგნებს.

ელეანდრე. მაგრამ ყველა მაინც არ ფიქრობს ასე, რადგან მე პირადად სხვაგვარად ვფიქრობ, — როგორც უბასუხა სოკრატეს ერთმა ბანოვანმა. ზნეობისადმი მიძღვნილი ესა თუ ის წიგნი სასარგებლო რომ იყოს, მაშინ ყველაზე სასარგებლო, ჩემის აზრით, პოეტური წიგნები უნდა ყოფილიყოს: ამასთან, სიტყვას „პოეტური“ მისი ფართო გაგებით ვხმარობ და ვგულისხმობ წიგნებს, რომლებსაც შეუძლიათ სულის სიღრმემდე შესძრან მკითხველი, სულერთია, პროზად არიან დაწერილი თუ ლექსად. რადგან მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არ გახლავართ იმ პოეზიაზე, რომელიც წაკითხვისა და გააზრების შემდეგ არავითარი კეთილშობილური გრძნობის ნაკვალევს არ ტოვებს მკითხველის სულში და, ამრიგად, არ აძლევს მას, ნახევარი საათით მაინც დათრგუნოს სულმდაბლობა, ანდა თავი შეიკავოს უღირსი საქციელის ჩადე-



ნისაგან. მაგრამ თუ წიგნის წაკითხვიდან ერთი საათის შემდეგ მკითხველი გატეხს გულითადი მეგობრისთვის მიცემულ სიტყვას, მართალი გითხრათ, ამის გამო ვერ შევიზიზღებ პოეზიას, რადგანაც მაშინვე უნდა მკითხველი იხილოს ან ქვეყნად ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ვნებიანი, მსგავსი სიტყვებით აღსავსე ქმნილებები. ამასთანავე, მე გამოვრიცხავ დიდ ქალაქებში მცხოვრებ მკითხველსაც. რადგან დიდი გულისყურითაც რომ კითხულობდეს წიგნებს, ვერა-ცოთარი პოეზია ნახევარი საათითაც ვერ მოუტანს რაიმე სარგებლობას, ვერ შესძრავს, ვერ ააღელვებს.

**ტიმანდრე.** თქვენ კვლავ დაცინვითა და გაბოროტებით მსჯელობთ, რაც იმას მოწმობს, რომ სხვები ყოველთვის ნაკლებად გაფასებდნენ და ცუდად გეპყრობოდნენ, რადგან უმეტესწილად სწორედ ესაა სიძულვილისა და გაბოროტების მიზეზი, რასაც თქვენივე საკუთარი აღიარებით, თავიანთ მსგავსთა მიმართ განიცდიან ადამიანები.

**ელეანდრე.** მართლაცდა, ვერ ვიტყვი, თითქოს ადამიანები კარგად მეპყრობოდნენ ან მეპყრობიან, რადგანაც ამის მტკიცებას რომ მოვყოლოდი, ერთადერთ უჩვეულო გამონაკლისად უნდა მიმეჩნია თავი. მაგრამ არცთუ დიდი სიივე უქნიათ ოდესმე ჩემთვის: ისა მშველოდა, რომ არც არაფერს მოვითხოვდი მათგან, არც რაიმეში შევეცილებივარ და, მით უმეტეს, არც არა წამართმევია მათთვის. აი, რას ვეტყვი, და გთხოვთ სარწმუნოდ მიიჩნიოთ ჩემი სიტყვები: მე თვითონ ვიცი და ვგრძნობ კიდევაც, რომ იმის შეასვლას გაკეთებაც არ შემიძლია, რაც საჭიროა საიმისოდ, რომ ადამიანებს მოაწონო თავი; არ ვიცი, ჩემი ბუნებაა ამაში დანაშავე, თუ ჩემი ხასიათის ბრალია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არც ადამიანებთან ურთიერთობისთვის ვარგევარ და არც, უბრალოდ, ცხოვრებისათვის. ამიტომ, ადამიანები უკეთ რომ მეპყრობოდნენ, გაცილებით უფრო დაბალი წარმოდგენა მექნებოდა მათზე.

**ტიმანდრე.** მაშინ მით უმეტეს გმობის ღირსი ხართ, რადგანაც უსამართლოდ რომ გაეგობროტებინეთ, თქვენს სიძულვილსა და, ასე ვთქვათ, შურისძიების სურვილს რაღაც გამართლება მაინც მოეძებნებოდა, მაგრამ აკი თვითონვე ბრძანებთ, რომ სიძულვილისთვის არავითარი საფუძველი არ გაგაჩნიათ, რაღაც უცნაური და უბადრუკი პატივმოყვარული მისწრაფების, კერძოდ, იმის სურვილის გარდა, რომ კაცთმოძულის სახელი მოიხვეჭოთ, დამთხვეული ტიმონის მსგავსად. ეს სურვილი კი თავისთავად ზიზღის ღირსია და სრულიად უცხო სწორედ ჩვენა საუკუნისთვის, რომელიც ყველაზე მეტად აფასებს კაცთმოყვარეობას.

**ელეანდრე.** რაც შეეხება პატივმოყვარულ მისწრაფებას, ამაზე პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნია: აკი მოგახსენეთ, რომ არასოდეს არაფერი მომიტხოვია და არც მოვითხოვ ადამიანებისაგან. მაგრამ ჩემს სიტყვებს რომც არ ენდოთ, თუმცა კი სანდონი არიან, ის მაინც უნდა აღიაროთ, რომ პატივმოყვარეობა რიადი მაწერინებს იმნაირ წიგნებს, რომელთა წყალობითაც, როგორც თვითონვე ამტკიცებთ, მხოლოდ გმობას თუ მოვიხვეჭ და არა დიდებას. კაცთა მოდგმის მოძულე ხართო? ჩემთვის იმდენად უცხოა ეს გრძნობა, რომ არა მსურს ან არ შემიძლია თვით ისიც კი მძულდეს, ვინც შეურაცხყოფას მაყენებს. მე საერთოდ არა მაქვს სიძულვილის თავი, საერთოდ არ

შეძიძლია მკულდეს ვინმე, ჰო, მართლა, სწორედ ესაა ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ადამიანებთან ურთიერთობისთვის ღმერთს არ ვუქნევთ ამ მხრივ, მართლაც არ არის ჩემი საშველი, ვინაიდან ერთთავად ამას ვუქნევთ რობ: ყველა, ვინც არწმუნებს საკუთარ თავს, რომ სხვისთვის უფლებას უფუფეს ან ზიანის მიყენების მიზნით რაიმეს ისარგებლებს ან ისიამოვნებს იმით კი არა შეურაცხყოფს ვინმეს, რომ ბოროტი უყოს მას (ამნაირი მიზანი არ შეიძლება ჰქონდეს არავითარ საქციელს, არავითარ აზრს თუ განზრახვას), არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ რაიმე არგოს თავისსავე თავს, ეს კი სავსებით ბუნებრივი სურვილი გახლავთ და მიტომაც არ იმსახურებს ზიზღს თუ სიძულვილს. ეგეც არ იყოს, სხვისი ნაკლისა თუ დანაშაულის დანახვისას, ყოველთვის, სანამ აღვშფოთდებოდე, მე ჩემსავე თავს ვუკვირდები: ვფიქრობ, რა იქნებოდა, ყოველივე ეს მე რომ მომსელოდა, მე დამმართვოდა, ან ამნაირ დღეში ჩავგარდნილიყავი; და რაკი ვერასოდეს ვერ ვბოულობ იმის საფუძველს, რომ ყველა ეს ბიწი სრულიად უცხოდ ჩავთვალო ჩემთვის და, ამრიგად, თავდაჯერებით ვამტყიცო. საქმე საქმეზეც რომ მიდგეს, ჩემი სული ისევე არ მიიკარება მათ, როგორც სხივი სიბნელეს-მეთქი, — გამბედაობა აღარ მყოფნის აღშფოთების გამოსატყმელად. ამიტომაც ყოველთვის სამერმოსოდ ვდებ ჩემს მრისხანებას, როცა იმნაირი ავზნეობის მოწმე გავხდები, რომელიც, ბუნებით, მართლა შეუძლებელი იქნება ჩემთვის; მაგრამ ჯერ კიდევ არ შევსწრებივარ ამნაირ რამეს. და ბოლოს, ჩემი სული ისე სავსეა ყოველივე ადამიანურის ამაოებაზე ფიქრით, რომ ვერასდიდებით ვერ გადამიწყვეტია გალაშქრება მისი ერთ-ერთი გამოვლინების წინააღმდეგ. აღშფოთებაც და სიძულვილიც მეტისმეტად მძაფრ ვნებებად მესახება, ვიდრე ამას იმსახურებს მთელი ჩვენი ცხოვრების უბადრუკობა. ახლა ხომ ხედავთ განსხვავებას ტიმონის სულსა და ჩემს სულს შორის? ტიმონს სძულდა ადამიანები და გაურბოდა მათ, მაგრამ უცვარდა და სიხარულით ეგებებოდა ალკიბიადეს, რომელშიაც იმ უდიდესი უბედურების მიზეზს ხედავდა, მომავალში თავს რომ უნდა დასტყლომოდა ორივე მათგანის სამშობლოს. მე კი, თუმცა ვერ შევიძულებდი ალკიბიადეს, მაგრამ უფრო მეტად კი ვეცდებოდი თავი ამერიიდებინა მისთვის, ვიდრე ყველა დანარჩენისთვის და წინასწარ გავაფრთხილებდი ჩემს თანამოქალაქეებს, სასწრაფოდ ელონათ რამე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამბობენ, ტიმონს ადამიანები კი არ სძულდა, არამედ ადამიანის სახით მოვლენილი მხეცებო. მე კი არც ადამიანებისა და არც მხეცების სიძულვილი არ შეძიძლია.

**ტიმანდრე.** მაგრამ არც არავინ გიყვართ.

**ელეანდრე.** მომისმინეთ, ჩემო მეგობარო. მე იმისთვის დავიბადე, რომ მყვარებოდა და, შესაძლოა, უფრო ვნებიანად, უფრო გულმხურვალედ და უფრო მეტადაც, ვიდრე ამის უნარი შესწევს კაცის სულს. ახლა კი, როგორც თვითონვე ხედავთ, მართალია, ჯერ კიდევ არ მიმიღწევია იმ ასაკისთვის, როცა კაცი გულგრილი ან ვნებათაგან აუმღვრეველი ხდება, მაგრამ სულაც არ მრცხვენია იმისი თქმა, რომ არავინ არ მიყვარს, ჩემივე თავის გარდა, და ისიც მხოლოდ ბუნებრივი აუცილებლობის ძალით, ისე ნაკლებად, რომ არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა სიყვარული ეწოდოს ამას. მიუხედავად ამისა, მე მზადა ვარ, უმაღლეს თვითონვე ვიტანჯო, ვიდრე სხვისი ტანჯვის მი-

ზეზი გავხდე. ეფიქრობ, აქ თქვენც კი შემოიძლია მოწმედ წაგვიყვანოთ, თუმცა ცუდად იცნობთ ჩემს ხნესა და ჩემს ჩვეულებებს.

ტიმანდრი. აი, მაგის უარყოფა ნამდვილად არ ექმნება.

ელეანდრი. ის კი არადა, ხანდახან სრულიად ვბნეობს ჩემსადმი თავს და მხოლოდ ამის ცდაში ვარ, თუ როგორ მივანიჭო ადამიანებს უდიდესა, მეტიც, ერთადერთი სიკეთე, რომელსაც, მას შემდეგ, რაც არავითარი სურვილი აღარ შემჩნა, ჯერ კიდევ ვუსურვებდი სემსავე თავს: მე ვკულისხმობ ტანჯვისგან თავის დაღწევას შესაძლებლობას.

ტიმანდრი. კი მაგრამ, აკი პირდაპირ აცხადებთ, რომ არც ადამიანი გიყვართ და არც ადამიანთა მოღვმა?

ელეანდრი. დიან, პირდაპირ ვაცხადებ: მაგრამ ისევე როგორც ჩემზე რომ იყო დამოკიდებული, — უყოყმანოდ დავსჯიდი ყველა დამნაშავეს, თუმცა არც ერთი არა მძულს. — რომ შემეძლოს, მთელ ბოროტებას აღკვეციდი მიწის პირისგან კაცთა მოღვმის საკეთილდღეოდ, მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარა იგი.

ტიმანდრი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ არც თქვენთვის მოყუენებული შეუტრაცხოფა, არც სიძულვილი და არც პატივმოყვარეობა არაფერ შუაშია, მაშ, რაღა გაიფიქრებთ ასე წეროთ?

ელეანდრი. ბევრი რამ, ჯერ ერთი, შეუწყნარებლობა ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ქვებუდანობის მიმართ, რომლებსაც საუბრისაა ხანდახან მეც ვუბადი ხარკს, მაგრამ წერისას — არაადროს რადგანაც საუბარში ჩაბმას არცთუ იშვიათად აუცილებლობა მაიძულებს: წერას კი არავინ მამალებს, და ჩემგან რომ მოითხოვდნენ, ერთი ვწერო და მეორე ვიფიქრო, არ უკვირ, რა სიამოვნება უნდა მენახა კალმის წრიპინში. ახლა ერთხმად დასცინიან იმას, ვინც ლათინურად წერს, ვინაიდან აღარავინ ლაპარაკობს ამ ენაზე და ძალზე ცოტას თუ ესმის იგი. არანაკლებ სასაცილოა, ჩემის აზრით, ის სიკერბე, რომლითაც ყველა სიტყვასა თუ ყველა ნაწერში ერთხმად მიაწერენ ადამიანს რაღაც წარმოუდგენელ თვისებებს. თუმცა ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ დღე, მათ ნაახსაც ველარ კპოვებთ ვერც ერთი ჩვენგანის სულში, ხოლო სამყაროს — ერთგვარ იდეალურსა თუ წარმოსახულ არსთა სიმრავლეს, რომლებსაც თავყვანს სცემდნენ ოდესღაც, ახლა კი არარაობად თუ არარსებულად თვლიან ისინიც, ვინც მათ ახსენებს და ისინიც, ვინც ამას ისმენს. მაგანი რომ ნიღაბს იკეთებდეს და ვადაცმული დაიარებოდეს, იმ მიზნით, რომ სხვები მოატყუოს ან არავინ იცნოს, — ეს თვალთმაქცობა არც იტე უცნაური მეჩვენება, მაგრამ როცა ყველა ნიღბებს იფარებს და, თანაც, ეს ნიღბები წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს; როცა ყველა ერთნაირად ვადაცმული დაიარება, ეს უკვე აშკარა სიბრიყვეა ჩემს თვალში, დაე, ჩამოიხსნან ნიღბები და საკუთარი სახისა თუ სამოსის ამარა დარჩნენ: შედეგი იგივე იქნება, ხალხში კი საგრძნობლად იკლებს სიყალბეცა და სიკრუეც, რადგან შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს, ყელში არ ამოგივიდეს ეს მუდმივი, თუმცა ყოველად უაზრო თვალთმაქცობა, ეს ნაძალადევი საჭიროება, თავს ასბლებდეს იმად, რაც არა ხარ სინამდვილეში. პირველყოფილი ველურობისა და განკერძოება-გათიშულობის მდგომარეობიდან ადამიანებს ერთბაშად, ერთი ნახტომით რომ მიეღწიათ თანამედროვე ცივილიზებული ყოფისათვის და არა თანდათან, საკითხავია, იპოვიდნენ, კია თავიანთ ენაში სიტყვას ყოველი-

ვე შემოთქმულის აღსანიშნავად, ხოლო თავიანთ ცხოვრებაში — მათი გამუდმებული გამეორებისა და მათზე გაუთავებელი ლაყბობის ჩვევან? უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩვეულება იმ უძველესი ადათ-წესების გადმონაშთად მესახება, რომლებიც უკვე უცხონი არიან ადამიანის აწინდელი ბუნებისათვის და მხოლოდ ტრადიციის წყალობით ინარჩუნებენ თავიანთ ძალმოსილებას. ვერ ვეგუები ვერც ამ ადათ-წესებსა და ვერც შემოხსენებულ ჩვეულებას: ამიტომაც თანამედროვე ენაზე ვწერ და არა იმაზე, რომელსედაც ლაპარაკობდნენ ძველი ტროელები. ეგეც არ იყოს, ჩემის აზრით, არაფერია უფრო ცხადი, აშკარა და ხელშესახებად საგრძნობი, ვიდრე უბედურება, რომელიც თანაბრად გარდუვალია ყოველი სულდგმულისათვის. თუ ეს თვალსაზრისი მცდარია, მაშინ ამ ქვეყნად ყველაფერი მცდარი ყოფილა და არც ამ ჩვენი მსჯელობის გაგრძელებასა და არც არავითარ სხვა მსჯელობას არა აქვს აზრი. ხოლო თუ ეს მართალია, ვითომ რატომ არა მაქვს იმის უფლება, რომ ხმა-მალა, ყველას გასაგონად ვდრტვინავდე ჩვენი უბედობის გამო და გულახდილად ვამბობდე: ვიტანჯები-მეთქი? მაგრამ მე რომ გულამოსკვნით მოვთქვამდე და მდულარე ცრემლებს ვღვრიდე (ესეც ჩემი ქცევის მესამე მიზეზი), უთუოდ გულს გავუწყალებდი ჩემს თავსაც და სხვებსაც, რგებით კი ვერავის ვერაფერს ვარგებდი. მაგრამ მწარედ რომ დავცინი ჩვენს უბედობას, თავსაც ვინუგეშებ და ვცდილობ ასევე ვანუგეშო სხვებიც. და თუნდაც ვერ შევძლო ეს, სულერთია, მაინც იმ აზრზე დავრჩები, რომ ჩვენი უბედობის საბასუნო სიცილია არა მართო ერთადერთი სიკეთე, რასაც შეიძლება გამოვრჩეთ ამ უბედურებას, არამედ მისი შემსუბუქების ერთადერთი საშუალებაც. პოეტები ამბობენ, რომ სასოწარკვეთილებას ყოველთვის ღიმილი დასთამაშებს ბაგეზე. ნუ გგონიათ, თითქოს არ თანავუგრძნობდე ადამიანებს და არც მათ უბედურებას ვიზიარებდე, მაგრამ რაკი ვერავითარი საშუალებით, ვერავითარი გულმოდგინებით, ვერავითარი მცდელობითა თუ ძალისხმევით ვერაფერს ვუშველი მათ, კაცისთვის უფრო შესაფერისად და კეთილშობილური სასოწარკვეთილებისათვის უფრო ღირსეულად მიმაჩნია დავცინოდე ჩვენს საერთო უბედურებას, ვიდრე სხვებთან ერთად ცხარე ცრემლით დავტიროდე მას და ჩემს დღეში მყოფთაც გმინვასა და მოთქმა-გოდებას ვურჩევდე. დასასრულ, ისღა დამრჩენია სათქმელად: რომ არც თქვენზე და არც არავიზე ნაკლებ არ ვუსურვებ ბედნიერებას კაცთა მოდგმას, მაგრამ არავითარი იმედი არა მაქვს ამისა და არც საამური ოცნებებით ვიტყუებ და ვიბრუებ თავს, როგორც ამას სჩადის ჩვენი საუკუნის თითქმის ყველა ფილოსოფოსი. ჩემი სასოწარკვეთილება იმდენად უსაზღვროა და უცვლელი, იმდენად ურყევ რწმენაზე დადუძნებული, რომ ადგილს აღარ მიტოვებს ნათელი სიზმრებისა თუ მომავალზე ოცნებისათვის და ხელ-ფეხს მიბოჭავს, საშუალებას არ მაძლევს რამე ვიღონო, რათა სიცხადესა თუ სინამდვილეში ხორცი შევასხა მათ. ხომ მოგეხსენებათ, რომ ადამიანი იშვიათად თუ მოჰკიდებს ხელს საქმეს, რომლის წარმატებაშიც წინასწარ დარწმუნებული არ არის, ანდა, თუ მოჰკიდებს, ძალზე დუნედ, უხალისოდ და უნიათოდ აკეთებს მას. ისიც კარგად იცით, რომ თუ ისე არა წერ, როგორც ფიქრობ, ან შენსავე მრწამსს, თუნდაც მცდარ მრწამსს უპირისპირდები, ვერასოდეს ვერაფერს შექმნი მნიშვნელოვანსა და საყურადღებოს.

ტიმანდრი. მაშინ უნდა შეიცვალო მრწამსი, თუკი ის, თქვენს მრწამსისა არ იყო, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

ელენადრი. მე მწამს, რომ უბედური ვარ და ისიც ვიცი, რომ არ ვცდები. თუ ვინმეს სხვანაირი წარმოდგენა აქვს თავის, ჩვედობის შესახებ და გულით ვულოცავ მას. ისიც ვიცი, რომ სიკვდილამდე თავს ვერ დავაღწევ ჩემს სვედავსილობას. თუ ვინმეს სხვა რამის იმედი აქვს, ღმერთმა ნუ მოუწალოს.

ტიმანდრი. ჩვენ ყველანი უბედურები ვართ და ყოველთვის უბედურები ვიყავით: ამიტომ, იმედია, კვებნას არ მოჰყვებით და თქვენს მიერ აღწოჩნილ სიახლედ არ გაასაღებთ ამ ძველისძველ ჭეშმარიტებას. მაგრამ კაცთა ცხოვრების ვითარება შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს და შეუდარებლად უკეთესიც გახდეს, ვიდრე ამჟამად არის, როგორც უკვე შეიცვალა წარსულთან შედარებით, როგორც ჩანს, არ გახსოვთ, ან არ გინდათ გაიხსენოთ, რომ ადამიანს უნარი შეაწევს დაუსრულებლად სრულყოფას თავისი თავი.

ელენადრი. გენდობით და მჯერა კიდევ, რომ ადამიანს შეუძლია სრულყოფას თავისი თავი, მაგრამ რომ ის სრულყოფილია, რაც გაცილებით უფრო არაუბიოთი გახლავთ, არ ვიცი, ვინ დამაჯერებს, ანდა როდის დამაჯერებს ამაში.

ტიმანდრი. თუ სრულყოფილებას ვერ მიაღწია, ეს დროის ნაკლებობის ბრალია, მაგრამ რომ მიაღწევს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ელენადრი. მერედა, ვის ეპარება ეჭვი? ის მცირეოდენი ხანი, რამაც საწყაროს დასაბამიდან ჩვენს დღეებამდე განვლო, შეიძლება მართლაც არ ჰყოფნოდეს საამისოდ, და აქედან შეუძლებელია რაიმე დასკვნის გამოტანა ადამიანის უნარის, ნაჭიერებისა თუ დანიშნულების შესახებ, მით უმეტეს, რომ მას ურიცხვი სხვა საქმეც ჰქონდა. მაგრამ ახლა ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ სრულყოფს ეს ჩვენი მოდგმა.

ტიმანდრი. რა თქმა უნდა, მთელს ცივილიზებულ სამყაროში ამაზე ფიქრობენ, და მერე რამდენსა ფიქრობენ. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ საშუალებათა სიმრავლესა და ძალმოსილებას, აგრეთვე იმას, თუ როგორ გაიზარდა სულ მოკლე ხნის მანძილზე ერთიკა და მეორეც, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოო მიზანი ადრე თუ გვიან მიღწეული იქნება, და ეს იმედი ნაწილობრივ უკვე ხორცს ისხამს იმ უაღრესად სასარგებლო ქმედობებისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით, რომლებსაც თვითონვე იწვევს, თვითონვე აძლევს დასაბამს. და თუ ყოველთვის მაგნე იყო და გმობის ღირსი, ახლა ხომ ორმაგად მაგნედ, გმობის ღირსად და აშკარა მკრებელობად ითვლება ყოველგვარი ცდა — სააშკაროდ გამოიტანო, ქვეყნის თვალწინ გამოფინო შენი სასოწარკვეთილება და ადამიანებს თავში ჩაუჭედო ის აზრი, რომ უბედურება გარდუვალია, რომ ცხოვრება ფუჭია და ამაო, რომ კაცთა მოდგმა უმწეობა და უბადრუკი, ხოლო მისი ბუნება — ბოროტებაა. ასე ხომ შეიძლება მხნეობა მიხადო, დათრგუნო და თავიანთი თავის პატივისცემა დააკარგინო მათ, ერთის სიტყვით, მოშალო ის საფუძველი, რომელსაც ემყარება ყველა პატიოსანი, ყველა ღირსეული სიცოცხლე და რომელიც ცხოვრების მიზნად თავის თავზე ზრუნვასა და თავისი კეთილდღეობისათვის ბრძოლას უსახავს ადამიანს.

ელმანდრი. მე მინდა პირდაპირ, არაორკოფულად მითხრათ: თქვენს აზრით, ჭეშმარიტია თუ ყალბია ის, რასაც კაცთა უბედურებაზე მოგანხვებენ?

ტიმანდრი. თქვენ კვლავ მაგ თქვენა იარაღს აელარუნებთ, და როცა ვალიარებ, მართალი ბრძანდებით-მეოქი, რატომღაც გამარჯვებულს რგებენო? თავი. მე კი გეუბნებით, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტება როდი შეძლებისათვის დაგო ყველას და ყველა დროში.

ელმანდრი. ღვთის გულისათვის, ერთ კითხვაზედაც მიპასუხეთ: ის ჭეშმარიტებანი, რომლებსაც გამუდმებით ვიმეორებ და ვქადაგებ, ფილოსოფიის ძირითადი ჭეშმარიტებანი არიან თუ მეორეხარისხოვანი?

ტიმანდრი. მე, ჩემდა თავად, მიმაჩნია, რომ მათშია ყოველგვარი ფილოსოფიის არსი.

ელმანდრი. მაშასადამე, სასტიკად ცდება ყველა, ვინც გამუდმებით იმეორებს და ქადაგებს, რომ ადამიანის სრულყოფილების პირობა ჭეშმარიტების შემეცნებაა, რომ მთელი მისი უბედურება მცდარი წარმოდგენებისა და უშეცრებისაგან იღებს დასაბამს, და რომ ჩვენი მოდგმა, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი გახდება, როცა ყველა კაცი ან მათი უმრავლესობა მაინც შეიცნობს ჭეშმარიტებას და მხოლოდ მისი მიხედვით წარმართავს თავის ცხოვრებას. განა ამას არ ამტკიცებს ძველი თუ ახალი დროის თითქმის ყველა ფილოსოფოსი? თქვენის აზრით კი ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც შეადგენენ ყოველგვარი ფილოსოფიის არსს, თურმე უნდა დავუშალოთ ადამიანთა უმრავლესობას. მე მგონია, თქვენ უყოყმანოდ დაეთანხმებოდით იმასაც, რომ ყველას დაევიწყებინა ზემოხსენებული ჭეშმარიტებანი და არავითარი წარმოდგენა არა ჰქონოდა მათზე, რადგან, ვინც იცის და ზეპირად ახსოვს ისინი, თურმე ნუ იტყვიან და, წყალწაღებულად უნდა მიგვაჩნდეს. მაგრამ ეს ხომ არსებითად იმასა ნიშნავს, რომ ფილოსოფია მთელი დედამიწის ზურგზე ამოიძირკვოს. მე კარგად მახსოვს საბოლოო დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოუტანოთ ჭეშმარიტი და სრულჭმნილი ფილოსოფიიდან: არ უნდა ვიფილოსოფოსოთ, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ფილოსოფია, ჯერ ერთი, სრულიად უსარგებლოა, რადგანაც იმისთვის, რომ არ ვიფილოსოფოსოთ, სულაც არ არის აუცილებელი ფილოსოფოსები ვიყოთ, და, მეორეც, ის აშკარად მავნეა, რადგანაც ამ უკანასკნელი დასკვნის არსს შეიძლება ჩავწვდეთ მხოლოდ ჩვენივე ძალისხმევის შედეგად, ჩაწვდომის შემდეგ კი შეუძლებელია საქმეში გამოიყენო იგი, ვინაიდან ადამიანების ნება როდია, დაივიწყონ შეცნობილი ჭეშმარიტებანი, და უფრო ადვილია ყველა სხვა ჩვეულებაზე ხელის აღება, ვიდრე დავიწყება იმისა, რასაც ფილოსოფოსების ჩვევა ჰქვია. ერთის სიტყვით, ფილოსოფია, რომელიც თავდაპირველად იმედოვნებს და, იმავდროულად, უბედურებისაგან განკურნებას აღგვითქვამს ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, იმით ამთავრებს, რომ მხოლოდ თავისი თავის განკურნებასლა ცდილობს და ისიც ამაოდ. ყოველივე ამის დადგენის შემდეგ, ჩემს თავს ნებას ვაძლევ, ვიკითხო: კი მაგრამ, მაინც რატომ გვგონია, რომ ეს ჩვენი საუკუნე უფრო სრულყოფილია, ან თავისი თავის შეცნობის უფრო მეტი უნარი შესწევს? იმიტომ, რომ უკეთ იცნობს ჭეშმარიტებას? მაგრამ ეს ცოდნა, როგორც დავრწმუნდით, კიდევ უფრო მიუწვდომელს ხდის ადამიანის ბედნიერებას. ან, იქნებ, იმიტომ, რომ ახლა ზოგ-ზოგმა მაინც იცის, რომ ფილოსოფოსობა ფუჭია, თუნდაც თვითონ თავს ვერ იკავებდნენ ფილოსოფოსობისაგან? მაგრამ

ძირველყოფილი ადამიანები ხომ ნამდვილად არ ფილოსოფოსობენ და ველურებიც იოლად გადიან ფონს ამის გარეშე. მაშ, ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავებით, რა ახალი ან უფრო მძლავრი საშუალებები შეგვიძლია სრულყოფილების მისაღწევად?

**ტიმანდრე.** რამდენიც ვნებავთ: ყველა უჩვეულოდ მძლავრია და ქმედითი, მაგრამ მათზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა.

**ელენდრე.** მაშ, დროებით მოვეშვათ მათ. მე კი იმას, რაც ზემოთ ჩემზე მოვანბნეთ, აი, რას დავსტენ: თუკი ჩემს ნაწერებში ზოგიერთ უსიამოვნო ან სავალალო შემხარტებას ვეხები ხოლმე, რათა გული მოვიოხო, ან სიცილით ვინუგეშო თავი, განა იმავე წიგნებში არ დავტირი, ვგმობ და ვუკრძალავ ადამიანებს იმ ცივი და უბადრუკი შემხარტებისაგან სწრაფვას, რომლის ცოდნაც ან დაუდევრობისა თუ მცონარობის, ან უსულგულობის, უსამართლობისა თუ ზნედაცემულობის წყაროდ გვევლინება? და, პირიქით, ვაქებ და ვადიდებ ყველა თვალსაზრისს, — თუგინდ მცდარნიც იყვნენ ისინი, — რომლებიც კეთილშობილურსა და ღირსეულ აზრებს აღძრავენ სულში, სიქველესა და სათნოებას ნერგავენ ქვეყნად და საზოგადო თუ საკუთარი სიკეთისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის ყინით აღანთებენ ადამიანებს; იმ მშვენიერ და საანურ, თუმცაღა ფუჭ ოცნებებს, რომლებიც აზრს ანიჭებენ კაცთა ცხოვრებას, სულის ყველა ბუნებრივ თვითცთუნებას და, ბოლოს, წინაპართა ყველა შეცდომას, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან არაერთი ბარბაროსული ცდომილებისაგან და რომლებსაც უთუოდ უნდა მოღებოდათ ბოლო თანადროული განათლება-განსწავლულობისა და ფილოსოფიის მიღწევათა შედეგად. მაგრამ განათლებაცა და ფილოსოფიაც აშკარად გასცდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებს (ყოველივე ადამიანურის გარდუვალი თავისებურება!) და ერთი ბარბაროსობიდან ძლივსძლიევობით თავდაღწეულნი ახლა მეორე, პირველზე არანაკლებ ბარბაროსობაში ჩაგვყარეს, თუმცაღა ეს უკანასკნელი, რომელიც უმეცრებით კი არა, ცოდნითა და შემეცნებითაა განსაზღვრულ-განპირობებულა, უმალ სულს აჩნდება ლაქად, ვიდრე სხეულს და უფრო ჩვენი არსების სიღრმეში იმალება, ვიდრე თავს იჩენს მის გარეთ. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რამდენადაც წინაპართა ყველა ცდომილება აუცილებელი იყო, რათა განათლებულ ხალხებს ახლანდელი მდგომარეობისათვის მიედწიათ, იმდენადვე შეუძლებელია მათი აღორძინება, და ეს დღითი დღე სულ უფრო ძნელი ხდება. რაც შეეხება ადამიანის სრულყოფილებას, გეფიცებით, მას რომ ამ მდგომარეობისთვის მიედწია, სულ მცირე, მთელ ტომს წაიხრც დაწერდი კაცთა მოდგმის საქებად და სადიდებლად. მაგრამ რაკი ჯერჯერობით ამას არ მოვსწრებდევარ და იმედიც არა მაქვს, რომ სიკვდილამდენაინც მოვესწრები, მზადა ვარ, მთელი ჩემი ავლადიდების უმეტესი ნაწილი ვუანდერძო ყველას. ვინც დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კაცთა მოდგმა სრულყოფილებას მიაღწევს, ყოველწლიურად თითო პანეგირიკს მიუძღვნის, ან, წინაპართა მაგალითისამებრ, ტაძრებსა თუ ძეგლებს აუგებს მას, ანდა კიდევ იმ სახით მიაგებს პატივს, როგორც თვითონ მიიჩნევს უმჯობესად.

(გაგრძელება იქნება)



ინგლისურიდან  
თარგმნა კობე გეგაძე

ხსენები და გამოკვლევანი

ვიქტორ ჰიუგო: I' ANNÉE TERRIBLE!

ბოქსიის საბოლოო მიზნის შესახებ

დამიანს, ვინც ითავებს ამ რანგის წიგნის კომენტირებას, ყოყმანისა და უხალისობის გრძნობა ეუფლება, ვით დამწყებ მწერალს და ვერ გადაუწყვეტია განაგრძოს დაწყებული საქმე თუ არა. არ იფიქროთ მკვლევარს მწვავე სირცხვილის მოზღვავებული გრძნობა იპურობდეს ან აღარ ათბობდეს ცაზე მოელვარე ვარსკვლავთ შუქი. პოეტურ მეტაფორას თუ მოვიმარჯვებთ, ის ნათლად ხედავს დილის საავდრო ღრუბლებს შორის მზისებრ მოკაშკაშე უსასრულო ღამის ტრიუმფატორ ვარსკვლავს, მან იცის, ეს ზეციური ცეცხლი ნამდვილად დღის ცეცხლია, მაგრამ ვერ მოუძებნია სასურველი, მადლმოსილი სიტყვები, რათა მიესალმოს და თაყვანი სცეს ამ დამწაფრავ მზის ამოსვლას.

ჩვენმა დიდებულმა პოეტმა კვლავ გვიძღვნა სისხლითა და ცრემლით დაღვენილი წიგნი, აღსაესე სინამდვილითა და კეთილხმოვანებით. გიხარია, ამ წიგნს რომ ფურცლავ, ამასთან დელავ, რადგან შესაძლოა ვერც კი გვეხილა სწიფენილი მადლი აღსარებისა. უკვდავია ამ დვითური კმნილების სისხლი, მწვავე სულიერი ტკავილის ფასად რომ იშვა. სიამოვნება, მისი „სლიერი სტრიქონის“ სიღიადე და სილამაზე რომ გვანიჭებს, ძვირადაა ნაყიდი იმ საშინელი შემთხვევის გამო, რამაც დასაბამი მისცა ამ ნაშრომს. აღფრთოვანებით ვიღებთ ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტის ნაბოძვარს — უპოქისა, რომელიც სავსეა სინათლითა და ქარიშხლით, მოძრაობითა და ვნებებით — რამეთუ მისი კალამი აროდეს ყოფილა უფრო მტკიცე, ზოლო ლექსი აგრერიგად უღერადი; და ამ მწარე, ტრაგიკულ ფურცლებზე დაღვრილი სიტკბო ჩრდილავს თვით სიყვარულისა და ღვინის სიმღერათა სიამესაც კი; და უნებლიეთ გვაგონდება ეზეკიელის? წინ გადაშლილი ცხოვრების წიგნი, დაწერილი დარდში, მოთქმასა და ტირილში — და შევექვეცი მას და ჩემში ის დატკბა, ვითარცა თაფლი.

ყოველი ლექსი, რომელშიც სიღიადის ელემენტი მოიპოვება, ბადებს ხოლმე უამრავ კითხვას პოეტური ხელოვნების რაობაზე საერთო — მოითხოვს მათ გაშუქებას საკუთარი, ახლებური პოზიციებიდან, მაღალი რანგის კრიტიკოსებს



შორის ერთბაშად აღძრავს ხშირი და უსარგებლო კამათის ორ ძირითად პუნქტს. პირველი — თუ რამდენად ეთანხმება ერთმანეთს პოეზია და პოლიტიკა; მეორე — რას უნდა ასახავდეს პოეზია, თანამედროვეობას თუ შორეულ წარსულს. ამ საკითხთა ორივე მხარის განხილვისას, ჩემი აზრით, ბრძენნიც კი ცდებიან — მცდარი თეორიებიდან გამომდინარე მცდარ აზრებს ავითარებენ, რასაც მხოლოდ მცდარი დასკვნები მოსდევს.


თეორიის კარგად ცნობილ ფორმულას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ (საპირისპიროდ იმ პოეტის თვალთახედვისაგან, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა ამ ცნების ავტორობის უმაღლეს რეპუტაციას)3, მსგავსად სხვა დოქტრინებისა, აქვს კუმშარიტი და მცდარი მხარეები. თუ მას შტატიცებად ჩავთვლით, მივიღებთ ძვირფას და მუდმივ კუმშარიტებას. ხელოვნების არც ერთ ნიმუშს არ გააჩნია ღირებულება ან სიცოცხლე არ უწერია, თუ იგი არ იქმნება ხელოვნების აბსოლუტურ პირობებზე დაყრდნობით. ის არ არსებობს უვალუაფერზე წინ ან მალა — ეს დადებითი ხელოვნებას ნიმუში, თუ ვიმსჯელებთ სპეციალური ხელოვნების კანონთა მიხედვით, რომელსაც თავად ემორჩილება. ხელოვნების ამ ფორმულის პრინციპებისა და მიმართებების ღრმად შესწავლის გარეშე შექმნილი პოემა, სურათი თუ ქანდაკი ვეროდეს გახდება ღია ან სრულყოფილი და ხელოვნების მაღალი რანგის ნიმუშებთან ჰიდილში მისი მარცხი გარდუვალია. ხელოვნების პრინციპები საგრძნობლად განსხვავდება მორალური წესებისაგან. მორალური კოდექსის შემბლაღავი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოტივებს, რამაც განაპირობა მისი მოქმედება, შეიძლება გავამართლოთ, დავსაჯოთ ან ვაპატიოთ შეუსაბამო ქცევა, რადგან საამისოდ სტიმულს აძლევდა რალაც განსაზღვრული მიზანდასახულება ან იდეა: ხელოვნებაში ძირითადი უურადლება ექცევა მას, თუ რას ვქმნით და არა იმას, თუ რას ვფიქრობთ ან ვგულისხმობთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელოვნების ნიმუშის ავკარგიანობის დადგენისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ მის მხატვრულ ღირსებას. ფორმულა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ არის თავიდათავი და განმსაზღვრელი უველა დანარჩენისა; თუ არა და, უკუუვადგოთ საერთოდ და ნურც რაიმე მნიშვნელობას მივანიჭებთ მას; ვინც არ აღიარებს ჩვენს დებულებას, როგორც პირველადსა და უმთავრესს, ე. ი. ვისაც არ გააჩნია კუმშარიტი ხელოვნებისათვის აუცილებელი ეს უმთავრესი პირობა, უნდა წაერთვას ის დადებითიც, რითაც ასაზრდოებს თავის ნამოდვარს; როგორც არ უნდა იწონებდეს თავს მიზანსწრაფვითა თუ ამაღლებულ იდეათა გამოხატვით, სენტიმენტალური გრძნობების სიუხვითა თუ გულწრფელობით, მისი ჯაფა უსარგებლოდ მიგვაჩნია და ქება-დიდებას ჩვენგან ნუ ელის, რამეთუ მრწამსი მისი მცდარია. საპირისპიროდ ზემოთქმულისა — რაოდენ მშვენიერი და საკირო იქნებოდა, რამდენ ბედნიერ წუთს მოგვანიჭებდა უველაფერი ეს, კუმშარიტი ხელოვნების სამსახურში რომ ჩამდგარიყო და ექადაგა ერთადერთი სწორი აზრი: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომლის ერთგულნი ჩვენ ვვლავაც ვრჩებით: ღიახ, გვირჩევნია გოეთე კიორნერს და საფო ტარტიუსს; მსხვერპლად შევწირავდით მრავალ პატრიოტს ერთი კუმშარიტი ხელოვნის ნაცვლად, აღიარებით, რომ ღექსის ღირსება დავიდა სპარტანული შიმნის დონემდე, რომ მოქალაქეობრივი ღირსება გაცილებით იოლი მისაღწევი და საკმაოდ ხშირია ვიდრე ღირიული გენია. რაოდენ საქებიც უნდა იყოს მოქალაქეობრივი თუ მორალური მრწამსით შთაგონებული სპარტანული სულისკვეთების ღექსი — ხელოვნებისათვის ის სულ მთლად უფასურია; ამ დროს კი არსებობს ღირებულება შეუფასებელი, ღირსება შეუდარებელი და ნიქი აუხსნელი ღესბოსური მუსიკის ხორციელ ციებ-ცხელებასა და სასიუვარულო სნეულებაში.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ პოემის ავკარგიანობას ვერა და ვერ განსაზღვრავს მისი მორალური სულისკვეთება, კონსტრუქცია ან ფორმა. ჩვენ გამოვარჩევთ ქებას ცეზარისას და სტიუარტისას, ვირგილიუსისა და დრაიდენის კალმით ნამდერს ბევიუსისა ან სეტლის ძალადქმნილ ნაწარმოებთაგან, ნაკარნახევთ მხოლოდ სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით. თავად განსაჯეთ, რომელია წამყვანი ხელოვნებისათვის — დიდსული გამოსვლა ტირანიისა და უსამართლობის წინააღმდეგ თუ ღირიული გენია. მეორეს მხრივ, არ ვეთანხმებით აზრს, თითქოს შეუძლებელი იყოს ნებისმიერი საუკუნისა ან ერის პოლიტიკის, ეთიკის, რელიგიისა და მორალის შერწყმა უმაღლესი რანგის ხელოვნებასთან; ჩვენს დიდებულ პოეტებს — ესქილესა და დანტეს, მილტონსა და შელის თავიანთ ხელოვნებასთან ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა მკუნებარე სიუვარული რომ შეეკავშირებინათ, მათი ღირსება არაფრით დამცირდებოდა; არც იმ მგოსანთა ღექსებს მოაკლდებოდა ელფერი, ვინც გზას აუვლავდა მსგავს თემებსა და სიუფეტებს; მოკლედ რომ მოვჭრათ, დოქტრინა — „ხელოვნება

ხელოვნებისათვის არის ქვეშაობა — დადებითი მნიშვნელობით და უაღრესად — უარყოფითი გაგებით; ისევე ძლიერია, როგორც მტკიცება, და არასაიმედო. — როგორც აქრძალვა-ხელოვნება მოვალეა მხოლოდ ხელოვნების წინაშე; მისი აბსოლუტური ვალდებულება ემსახუროს თავის თავს, ხოლო თუ ამგვარი გაგება მართებულად არ გვესახება, მაშინ გამოდის, რომ ხელოვნება უნდა ემორჩილებოდეს სრულიად პირობით აზრებსა — მტკიცებულებას — მეტწილად უცნაურ მიზნებს; მაშინ კი, როცა ის მართოდენ თავის თავში უნდა იქონიებდეს არ განიცდის მის გარეშე არსებულ ძალთა შემოქმედებას, თავისსავე კანონთა შესაბამისად მალღდება ან მარცხდება და პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე; და არ არსებობს კანონი ხელოვნების კანონის გარდა, რომელიც განაჩენს გამოუტანს, დაიწუნებს ან გაამართლებს ხელოვნების ნამუშს. ჩვენ უარს ვამბობთ ყოველ მხატვარზე, ვინც რაიმე მიზეზით არღვევს ხელოვნების შემოადინებულ კანონთა ნორმებს, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქოს ვასაქანს არ ვაძლევდეთ ან ვზღუდავდეთ ჩვენგან განსხვავებულთ; ისინი თავისუფალნი არიან, აღნიშნულ პირობებსა და პრინციპებზე დაურღობით, საკუთარი მოზიციებიდან გააშუქონ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები. მათთვის, ვინც შეისისხლხორცა (სიტყვათა განსაკუთრებული მნიშვნელობით) ლოზუნგი — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მიუღებელია და ვერ აღიარებენ ამგვარ თავისუფლებას, ვინაიდან თვალნათლივ ზუსტად ხედავენ, რომ ხელოვნება, არავის დაუდგება „ხელზე მოსამსახურედ“; ღვთის მსახურთა, მორალისათა ან პოლიტიკოსთა მსგავსად. ამრიგად, მსახულთა ერთი მხარე მიდის დასკვნამდე, თითქოს ხელოვნების მთელი ნიჭი და ძალა ხელოვნება იზომებოდეს მისი სარგებელ-უნარიანობით მორალურ, მოქალაქეობრივ თუ სხვა ფაქტორთა მიმართ; მათი უღმრთო კრიტიკა შეუწყნარებლად ჩაიკოვავაშორებს ისეთ შედეგებს როგორებიცაა: „შამლეტი“ — თავისი „სტეპტიკური იქვიანობითა და არაჯანსაღი აზროვნებით“, „ივლისის ღამის სიჭმარი“ — „უაზრო და უმიზნო სილაპაჭით“, ან „როგორც „გენებოთ“; ამათ სანაცვლოდ კი განადიდებენ ერთგული თავდადებითა და პატრიოტული ცეცხლით გამსჭვალულ — „ჰენრი V“ ან „მეფე ჯონს“. მეორე მხარე კი არ დაინდობს და განდევნის ყოველ ხელოვანს, ვინც დაამაზინებს ლიტერატურას პატრიოტთა მორალურ-პოლიტიკური კრედიტით, დაამძიმებს გმირთა რელიგიური ემოციებით; მათი თეორია მზადაა აღმოაღოს Persae<sup>1</sup> ესქილეს ლეგენდიდან; გამოდის, თითქოს დანტესა და მილტონს, სალიტერატურო ჟანრის ამ კორიფეთ, სხვა არაფერი შეექმნათ თუ არა Vita Nuova<sup>2</sup> და Allegro and Penseroso<sup>3</sup>, რომ შელის შემკვიდრებას შეადგენს მართოდენ Skylark and the Cloud<sup>4</sup>.

ლოგიკურად, ფანატიკოსთა ერთი კავშირი პოეტურ სამყაროსაგან გამორიცხავს კოლორიკის ან კიტის მსგავს მოქალაქეებს; მეორენი უფლებას აპყრიან ბერნისა და ბაირონის მსგავსთ. ხელოვნება ერთია, ხოლო სფერო მისი მსახურებისა — სხვადასხვაგვარი; სრული უაზრობაა მოვთხოვოთ გოეთეს გახდეს დანტე, კიტის — მილტონი, კოლორიკს — შელი; ივადგომთ „ოდა თავისუფლებას“<sup>5</sup>, რადგან არსებობს „თქმულება უუბლა ხანზე“<sup>6</sup>; „ფაუსტი“<sup>7</sup> აღტაცებულმა წუნი დავდოთ „დვთაებრივ კომედიას“<sup>8</sup> ან გავკილოთ პიდმონტის სისხლიანი დღეებისადმი მიძღვნილი სონეტი<sup>9</sup> ძველ ბერძენთა ხიტბაშესხმულ ნეშტთა სახელით<sup>10</sup>. არაფერი მოცეცხვს კრიტიკის ისტორიაში იმ ფაქტზე მეტად, რომ ძალზე ხშირად გამოჩენილი, დახვეწილი აზროვნების კრიტიკოსებიც კი მსჯავრს დებენ ერთ დიდ ხელოვანს, რადგან მისი პოეტური ხედვა განსხვავდება მეორე ქვეშაობით შემოქმედის რწმენისაგან, რომელსაც თავად ადიდებენ; გულმწურაღნი არიან და უკვირთ, ლეღვის ხე რომ ყურძენს არ ესხამს. კრიტიკული აზროვნების ამგვარ გაუფრთხილებლობასა და არაკეთილგონიერ მოლოდინს გაღიზიანებამდე მივყავართ, რაზეც ზუსტად მიუთითა ოგიუსტ ვაკერიმ<sup>12</sup>, ბრწყინვალე ნიჭის ადამიანმა, ნათლად და სწრაფად რომ აღიქვამს სრულქმნილი ხელოვნების ყოველგვარ გამოწათებას. ამ შემთხვევაში ტოლფასია დაწერილ და დაუწერელ კანონთა სიძლიერე; ამოა, მოსთხოვო ხელოვანს, უარყოს საკუთარი ნიჭის ბუნებრივი მიდრეკილება, ვერც იმას უბრძანებ, სწვისი საქმე ითავოს და ხელოვნებას ზიანი მიაყენოს. თუ შემოქმედს თავისი სული და გენია მოუწოდებს შექმნას ლექსები პოლიტიკური ჟანრისა, ის უექველად შექმნის; თუ უბრძანებს თავი შეიკავოს მსგავსი თემებისაგან და წეროს მხოლოდ სუბიექტურ ან იდეალურ საგნებზე, ის ასევე დაემორჩილება მათ; ხოლო, თუკი ხელოვანი შორეულ, არა-ბუნებრივ მოვალეობათა ზეგავლენის ქვეშ მოექცევა და აიძულებს საკუთარ გენიას ემსახუროს უაღრეს ვალდებულებას, ძნელადღა შექმნის იგი ხელოვნების სრულქმნილ ნამუშს; მისი ქმნილება ვერ დააკმაყოფილებს თავად მას და ვედარც სხვას. ხელოვნებას არასდროს განუჩივია თავისი მსახურნი შეხედულებათა ან იდეათა სხვადასხვაობის გამო; ის მოითხოვს

მხოლოდ ერთგულებასა და საკუთარი ნიჭის პატივისცემას: ხელოვანო, მიჰყევ შენი ბედს ვარსკვლავს ისეთივე რწმენით, თავდადებით, გატაცებითა და ცეცხლით, ვით დასტე ალიგერი, განურჩევლად იმისა მიჰყვები მის კვალს თუ არა.



ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია დროის პრობლემის განხილვისას ჩანგის პოეზიაში, რაც უთუოდ ნაკლებად საქამათოა, ვიდრე საკითხი — ხელოვნების საბოლოო მიზნის შესახებ. მებრძოლ რაინდთა ერთი პარტია უპირატესობას ანიჭებს აწმყოს, მეორე — წარსულს. უმრავლესობის აზრით, დროის სწორი არჩევანი არის უძვირფასესი ჩილდო უოველი ტიტულოსანი პოეტისათვის. გარდასულ უამთა მადიდებელნი მოგვიწოდებენ განუდგეთ აწმყოს და უოველად ნაშრომს, რომელიც ასახავს დღევანდელ უოფას; განცანთ ჩვენი სულები წმინდა წულით, დავუბრუნდეთ კაცობრიობის გაზაფხულს და ვისუნთქოთ მადრით. წარსულის ჭეშმარიტ გმირებს რომ ასაზრდოებდა, ხოლო ლიტერატურთა ნაწილი, რომელთა ნაწარმოებებიც თანამედროვე ტენდენციებზეა აგებული, გვთავაზობს გავწყვიტოთ უმიზნო, უსარგებლო კავშირი წარსულ დროებასთან, დავამსხვრიოთ მონობის უღელი, თავი ვანებოთ ეპიკურ, რომანტიკულ, კლასიკურ თუ ფეოდალურ თემათა დამუშავებას, დავუბრუნდეთ ჩვენს საუკუნეს, ეპოქას, რომელშიაც ვცხოვრობთ, ვიღწვიოთ, ვარსებობთ არ დავიშუროთ სული და გონება მშვენიერი ანუ „საექვო“ მომავლის ძიებისათვის; მაგრამ ორთავე მხარის დამცველთა მსგავსი ფუჭი მოთხოვნები წყლის ნაყვია მხოლოდ ხელოვნებისათვის არ არსებობს დროის არჩევანი — უოველი საუკუნე აწმყოა მის თვალში, ერთნაირად ძვირფასია — გუშინდელიც და დღევანდელიც და სავსებით მიუღებელია ცნება ძველისა თუ ახლის; მართალია მხოლოდ ერთი მხარე, რომ ხელოვანს ვერ დაუძლევია შიშა ასახოს ნაწარმოებში თანადროული, აქტუალური საკითხები. მართალია მხოლოდ მტკიცება მეორე მხარისა, რომ ხელოვანი ლალია გადაწვდეს განული საუკუნეებს და აქციოს თავისი შრომის დვრიტად უძველეს დღეთა მონაპოვარი; სავსებით უსაფუძვლოა და არც საღად ეღერს აზრი, თითქოს აწმყოსთან კავშირი ვულგარულსა და უხამსს ხდიდეს, ან წარსულთან კონტაქტი სასიცოცხლო ენერჯიასა და სიხარულის გრძობას ართმევდეს ხელოვნების ნიშნებს. შეთანხმდებთან კი ოდესმე ინგლისის სახელმწიფოებრივი პოეტი ქალი და ამერიკის გამოჩენილი პოეტი, რომ ძალდატანებით მოახვიონ თავს თავიანთ მოწაფეებს ან მიმდევრებს საკუთარი დროის სულიერი განწყობილებისა და საიდუმლოების მნიშვნელობა; ასეთ ნამუშევარს აქვს ღირებულება, მაგრამ გაცილებით მეტი საარსებო მონაცემები გააჩნია ნაშრომს, რომლის პარველმიზეზი საკუთარი გონებრივი და სულიერი შრომის ნაყოფია; და თუ მკითხველთა გარკვეულ კატეგორიას უსიცოცხლოდ ან უვარგისად ესახება რიგი პოემებისა, რომლებიც ბერძნული დრამისა თუ შუასაუკუნეობრივი რომანის ქარგაზეა გამოყვანილი, ანდა ემსგავსებიან კლასიკურსა თუ ფეოდალურს ფორმითა და შინაარსით — თემის ან ფორმის სიძველე აქ არაფერ შუაშია; მიზეზი პოეტში უნდა ვეძიოთ, რომელმაც თავი ვერ ვაართვა დაუძლველ ამოცანას, პოეტში, რომლის ცოდნა-უნარი საკმარისი აღმოჩნდა, შეექმნა მხოლოდ სუსტი, უბირო, დუნე იმიტაცია; და რომ მყოფნოდა ნიჭი, შეეცხო და შთაებერა პირველი ნიშნის ახალი, ნორჩი სისხლითა და საკუთარი სუნთქვით, აღარც რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებოდა მაშინ საგნის სიშორესა თუ არჩეული ფორმის სიძველეს და არც პოემის რეალური დედაარსი ან ღირსება შესუსტდებოდა. დახელოვნებული პოეტი უძველესად აუფლის გვერდს წონურ, მექანიკურ გადაწერასა და ახლის გადაღებას, ბეჭითი მოხელის მსგავსად; შემოქმედი ხელოვანი მუდამ მზადაა ორიგინალურ გამომსახველ საშუალებათა წყალობით დაგვახლოვოს წარსულ სამყაროსთან, მოკრძალებითა და მოწინებით მოგვიახლოვოს უამთა ღერცვლაში ჩადვრილი სილამაზე და სიუვარული; არ არსებობს მოძველებული ფორმა ან დრომოკმული თემა, როცა უტყუარი მხატვარი უძღვება სამუშაოს. კითხვაზე: „შესწევთ ამ ძველებს სიცოცხლის უნარი?“ პასუხი ერთია: თუ ეს ძველები გაიფლენიანება ჭეშმარიტი ხელოვნების სულიერი სუნთქვით და ძახილი ხმისა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის მოწოდებად იქცევა, მაშინ უდავოდ „ძვალთ ძვალს შეუერთდება“, შეეწებება, ჩონჩხი შეიკვრება, ხორცი შეივსება, კანი გადკვრება და სული ჩადგმება; მაშინ უთუოდ მამოძრავებელი ძალა მკვდრით ალსდგება, გაცოცხლდება, იარსებებს და აღორძინდება; ამოა ზოგიერთ კრიტიკოსთა რწმუნება, მოვერიდოთ იმ პრობლემათა გადაწყვეტას, რაც ჩვენი ეპოქის მაჩისცემით ფრთქავს; ასევე უარაა „უნდობლობა პოეტისადმი“, ძველ საუკუნეებს რომ უბრუნდება, „სულით მალღდება“ და უზღერის მანდილოსანთა და სამხედრო ბელადთ. ჭეშმარიტი პოეტი ერთნაირი გრძნებათ უგალობს ძველსა და ახალს; უველაფერი წმინდა სიერცისა და დროის განურჩევლად მახ-

ლოცულია და სათუთი მისთვის; და თუ გმირთა ძეგლებს აკლია ხორცი, ან გმირთა პოეტებს სიცოცხლის ელფერი, მიწეზე კვლავ და კვლავ უნდა ვეძიოთ არა ძეგლებში, არამედ პოეტებში, არა თემაში, არამედ მომღერალში. მუზა სიამოვნებითა და სიხარულით ესტუმრება პოეტს რომელიც მიზნად დაისახავს გაანდიდროს პოეტური გლობუსი ახალშობილ ფორმათა ერთობლივი დამუშავებით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დავიწყებას მივცეს პომეროსი ან ვირგილიუსი, წარსულს ჩაბარდეს ენეიდა, ოდისეა, ტროელთა ბრძოლა თუ აქილევსის რისხვა. ვერავინ მოსთხოვს ხელოვანს, უფრად არ იღოს მავედრებელ მამათა დაღადისი, დაივიწყოს წარსულ დღეთა ელვარება, ფერხთ გათელოს ძეგლთა სიდიადე და გასცვალოს ტაძართა ბრწყინვალება თავისუფალ, უზრუნველ ცხოვრებაზე კეთილმოწყობილ აპარტამენტებში; ახლაც და მუდამ გულისუფრითა და აღტაცებით წაიკითხება კლასიკა, ეპიკური პოემა თუ რაინდული რომანი; არ არსებობს თემა „სამუდამოდ დაკარგული ან ჩამქრალი“; არც ერთი თქმულება ან ლეგენდა ელინური ან ფეოდალური რწმენისა არ „გაქრება ძირფესვიანად აორთქლებისდაგვარად; „რაც კი ოდესმე ცოცხლობდა თავისთავში, იცოცხლებს თავისთავში მარად“. ელდაუცემელი — მომღიმარი და კმაყოფილი, მძაფრი ენერგიული სტვენითა და ქშენით ჩაუქროლებს მუზა მანქანათმშენებლობის მძლავრ საუკუნეს; მხიარული მუზა ეახლება პოეტს და მოუწოდებს უმღეროს ნიჭის ყოველ ახალ მიღწევასა და აღმოჩენას, მაგრამ განა ამისათვის საჭიროა ეგზომ საყვარელი და ძვირფასი ნასახლარის მიგდობა-მიტოვება? არა, ხელოვნებას არ განსაზღვრავს დრო ან ადგილი, ის არასდროს მოექცევა დროებით მერყევ ზეგავლენის ქვეშ; მას არ სჭირდება მდინარეთა ან მთათა გადალახვა, რათა ერთბაშად მოპოინოს ყველა დროის ხალხებსა და ერებს მაღლი თავისი გარეგნობისა; ყოველი დრო დროულია პოეტისათვის და ყოველი თემა — აწმყო; ვერ უკუაგდება იგი არგონავტსა და ჭვაროსანს, ვერ უარყოფს ქემელოტსა და ტროას, ათენსა და იერუსალიმს, ვერც რეალურ სინამდვილეზე აიღებს ხელს და კეთილმოსურნე თანაგრძნობით მოეკიდება ახალ მიმდინარეობებს დღევანდელ ლონდონსა და ნიუ-იორკში.

ხელოვნება საუკუნოა; შეუცვლელი, დაუმარცხებელი, მყარი და ძლიერი, ხელოვნება ყველგანმყოფია, სამარადისო, სამარადეთაშო და შეუწყვეტელი.

ნარკვევი შექსპირზე

ჩვენი ეპოქის უდიდესმა პოეტმა მისთვის ჩვეულა მჭევრმეტყველებით შეადარა შექსპირის გენია ზღვის სტიქიას; და ეს მსგავსება იმით განიჭრება ნაცად შექსპიროლოგთა ნაზრებისაგან, რომ ნათელს მფენს და აიოლებს ბევრი ხელშესახები თუ ნაკლებ შესამჩნევი მომენტის აღქმას. სულ ცოტა ორი საუკუნეა, რაც სხვადასხვა ჯურის მკვლევრები ძალდაუზოგავად მიაცურებენ ზღვა იდეებით დატვირთულ ხომალდებს უკიდვანო სივრცის ტალღებზე და გულმოდგინედ ეძიებენ ამ დაუმრეტელი ენერჯის სათავეებს დაწყებული უმნიშვნელო მიღწევებით ბუმბერაში კატარღების ისეთ შრომატევად აღმოჩენებამდე, როგორსაც წინამძღვრობდნენ კოლრიჯი თუ გოეთე; და ნაქები ფლოტილიის ყოველმა ხომალდმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი. ზოგმა ნაპირის გასუფთავება ითავა, ზოგიერთი უბეს აგეგმობდა, საკუთარი, ახლებური საზომით ზომავდა და ჭერ დაუმუშავებელ, შეუსწავლელ ადგილებს მიმოიხილავდა; თითო-ორულამ კი ძალა მოუკრაბა, არ შეუშინდა უკუნეთ სიბნელეს და შექ-ჩრდილთა ორომტრიალში გაბედულად შეაცურა თავისი ხომალდი თვალშეუდგამ აზვირთებულ ოკეანეში. აღამიანის სიბრძნისა და თავდადების წყალობით ისეთი მონდომებით იქნა შესწავლილი ეს დიდძალი მასალა — გვჭერა, დადგება დრო, როდესაც კაცობრიობა საბოლოოდ გააფანტავს ეჭვებს, ხელთ იგდებს იალქნებაშვებული გემის სადავებებს და ფართას ახდის თვალუწვდენელი ოკეანის ამოუხსნელ საიდუმლოებას, კვლავ რომ მოელის მოუთმენლად თავის კოლუმბს. მაგრამ ვერავინ დაუდებს ზღვარს ამ ბობოქარი სივრცის უნაპირო ზღუდეებს. ვერა ზღვარსანი კიდეთ კიდემდე ვერ ჩასწვდება მის სულისჩამდგმელ ძალოვნებას, ვერ დაადგენს მის უწრეტ ნაკადთა დინების წესებს და ვერ მიაგნებს მის შემკვრელ ძალთა ფართულ ცვლილებას; ვერც ერთი ქარმზომი ვერ აზომავს ვანებივრებულ ქართა სისწრაფეს; და ვერც ერთი ლოტლინი ვერ აწყავს ღვთაებრივად დამზაფრავ მძვინვარებას.

აღნიშნული გამოკვლევების მიზანს შეადგენს მარტოოდენ იმ თვალსაჩინო კვშმარიტების წარმოჩენა, რომლისაც მწერალს განუხრელად სჭერა ანუ ვეცდები გავაშუქო პოეტის შემოქ-

მედებიანი წარდისა და სტილის განვითარება-ჩამოყალიბების პროცესი; მეთოდის ეს ობიექტუ-  
რი თუ სუბიექტური ცვლილებანი — როგორც სახე ერთი მთლიანი კონსტრუქციისა — რო-  
მელთაც განაპირობებს მასალის გადმოცემის ნაირგვარი ფორმების, სტილისტური სერხებისა  
და განსხვავებულ ავტორისეულ საშუალებათა ერთობლიობა, რაც ნათლად იკვეთება შექს-  
პირის შემოქმედებაში. ჩემს შრომაში არ შევეცდები გავარკვიო ამა ~~შექსპირის~~ შექსპირის  
ზუსტი დრო ან მათი თანმიმდევრული წარმატების მიზეზი. შეუძლებელია ~~შექსპირის~~ შექსპირის  
თავსებათა რაიმე გარეგანი ან თუნდაც ისეთი შინაგანი სისტემის პოვნა, რომ დააზუსტო-  
ბდ ნაწარმოებთა თანმიმდევრობა, რომელთა უმეტესობაც მოკლებულია კომპოზიციურ ერ-  
თიანობას და რომლის ამოხსნაზე უშედეგოდ იმტვრევდნენ თავს სხვადასხვა დროის კრიტი-  
კოსები, თუმცა სავსებით შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ შექსპირის შემოქმედება ბუნებ-  
რივად იყოფა კლასებად, რაც დაგვიხმარება გამოვეყოთ სრულყოფისაკენ მიმსწრაფი მისი  
გონებისა და ხელოვნების ცალკეული პერიოდები ან საფეხურები.

მთლიანი ტექსტის შესწავლა შეუცდომლად მიგვანიშნებს იმ სამი ძირითადი პერიოდისა  
ან საფეხურის არსებობაზე, როელიც ასე იოლი ამოხსნობია სულ ახალბედა შექსპიროლო-  
გისთვისაც კი. შექსპირის მხარდაჭერითა და შთაგონებით უკვე დიდი ხანია საკუთარ თავს  
დავუმტკიცე ამ საფეხურების არსებობა და დარწმუნებული რომ ვიყო — ერთ-ერთმა პირ-  
ველმა მივუთითე მათზე — ალბათ, მცირეოდენ შექცებასაც კი მოვითხოვდი აღმოჩენისათვის,  
რომელზედაც შორსმჭვრეტელობითა თუ განზრახ თვალის დახუჭვით არაფერს ამბობდა ათო-  
ბით ან მეტი სწავლული მეცნიერი.

მევე ინგლისურ სცენაზე მარლოუს გამოჩენამ ისეთივე აურზაური გამოიწვია, როგორც  
პიუგოს მიერ გაჩაღებულმა რევოლუციამ. გაცილებით ადვილი ასახსნელია, ვიდრე პირველი  
შენედვით ჩანს, რატომ ვერ აიტაცა იმთავითვე შექსპირი მარლოუს გენიამ და ვერ ჩააბა  
ბრძოლაში თავისი დროშის ქვეშ. როგორც მოსალოდნელი იყო, შექსპირი სულით ბორცამ-  
დე მოაჯადოვა რითმულმა ლექსთწყობამ: მას არ მოსწონდა მარლოუს აქვე შეგნიშნოთ, ეს  
უთუოდ განაპირობა პოეზიის ნაკლებად აქტიურმა ფორმებმა ტრაგიკულ დრამასთან შედა-  
რებით; ამასთანავე ადრეულ კომედიებში, ტრაგიდიებსა თუ ისტორიულ ქრონიკებში ვაწყდე-  
ბით ორი ზეგავლენის შეჭახებასა და კონფლიქტს. შექსპირის ვნებით გარიჟმული ახლა  
ბოროტ ანგელოზად ქცეული ლექსი ჯერ ფეხდაფეხ მიბჟვება, ხოლო შემდეგ დასუსტე-  
ბული, ნაბიჯ-ნაბიჯ უთმობს საბრძოლო პოზიციებს მარლოუს უჩვეულო გენიას; კეშმარიტი  
მუჯა ეახლება პოეტს, რათა ფეხაკრფით გაატაროს ბეწვის ხიდზე და მოკრძალებით წა-  
რუიდვს კეშმარიტი ხელოვნების სათავეებისაკენ.

ჯერ კიდევ „ტიტუს ანდრონიკუსში“, ხოლო მეტი დამაჭრებლობით, „ჰენრი მეექვსეში“  
ცხადად მოჩანს საქმეში ორივე ხელით ჩაფლული ხელოვანი. მისი მარცხენა — რითმის  
წერწავს, მარჯვენა — თეთრ ლექსს აქანდაკებს. დასუსტებული, გულაყრილი მარცხენა ნა-  
ღები წალისით უძღვება სამუშაოს, რითმა კი, დადარღვიანებული და გულმოკლული, კარ-  
გავს ჩვეულ სიამაყეს და, მარმონიულ ელერადობას მოკლებული, ნაღვლიანად ითვლის სი-  
ცოცხლის უკანასკნელ წამებს. ამ დროს სულ უფრო თამამი, დამოუკიდებელი და ღალი  
ხდება შემოქმედის მარჯვენა. იმდენად იზრდება, ძლიერდება და მტკიცდება მისი შეხების  
არც, რომ შიშით შექსპირობილ თანამოსაგრეს ისღა დარჩენია, დაკვრა შესწყვიტოს, რათა და-  
სოსანსი არ შეიტანოს ტრაგიკული სიმღერის კეთილმშობლანებაში. „რიჩარდ მეორეში“ ისევე,  
როგორც „რომეო და ჯულიეტაში“ რითმა კვლავ ცდილობს მეტოქეობა გაუწიოს თანა-  
ნებრძოლს, ღამობს იპოვოს მყარი დასაურდენი და შეინარჩუნოს პირველობა, თუმცა უოველუ  
ღონე უმეტეს წილად ამაოა და უნაყოფო. ცალკეულ პიესათა გარიჟმული სცენები ერთობ  
უნწიოდ გამოიყურებინან, რაც მხოლოდღა ნაშთია წარსული ძლიერებისა; შექსპირის შემოქ-  
მედების პირველი ეპოქის პიესათა ზერეულე გადასინჯვაც კი საკმარისია, რათა ნათელვყოთ,  
თუ რაოდენ გაგრძელდა რითმებთან ჭიდილის, მათი თანმიმდევრული, თანდათანობითი დამარ-  
ცების პროცესი. თუ გვერდზე გადავდებთ შემდგომში შესწორებულსა ან გადაკეთებულ  
პიესებს, ხელთ დაგვრჩება ერთი ტრაგედია, ოთხი თუ არა ხუთი კომედია და ორი ისტორიული  
ქრონიკა, რომელთაც ყველაზე კრიტიკულად განწყობილი მკითხველიც კი უსათუოდ მიაკუთ-  
ვებს მისი შემოქმედების პირველი პერიოდის საუნჯეთა რიცხვს.

„რიჩარდ მეხამეში“ რითმათა შემაუღლებელი რგოლები სულ ერთიანად წყდება და  
იშლება, შექსპირი გადაჭრით ირჩევს მარლოუს გზას, უფროსი შემოქმედის ზეგავლენა მკა-  
ფიოდ გამოსკვივის პიესის უოველი მონაკვეთიდან. „რიჩარდ მეხამე“ არის შექსპირის ერთად-

ერთი ქმნილება, რომელიც სულით ხორცამდე მარლოუს სკოლის უერთგულესი წამყვანი ის ისევე მგზნებარეა სიყვარულით, სანუკვარი — მიზნით და ხშირად მდიდარი ფრა- დოვანი მქვერმეტყველებით, ვით დიდი ტამერლანი, თუმცა არასდროს ესოდენ გავლენიანი რიტორიკითა და ენამკვეთობით. „რიჩარდ მეხამე“ უქველად მალლა დგას უკუქველად ქმნილებაზე, რაც კი ოდესმე შეუქმნია მარლოუს გენიას; ამგარაა, რომ უფროსი მისწავლე ბელს არ დაუტოვებია ჩვენთვის ნაწარმოები, ეგზომ მიმზიდველი თავისი უბრალოებითა და გამოხატვის წაირფეროვანი საშუალებებით.

შექსპირის შემოქმედების მეორე პერიოდი ძირითადად კომიკურ და ისტორიულ ეანროს სრულყოფას ეთმობა. იგივე არ ითქმის ტრაგედიებზე, რომელთაც აკლიათ აზრის სიღრმე, მკვეთრი, რიტმული მაჯისცემა და საბოლოო განწმენდას საჭიროებენ: მაგრამ ამ პერიოდს ახასიათებს განსაკუთრებული ღირსება, უცდომელი, მხარული, ლაღი მბრძანებლობისა უო- ენდგვარ ნიქსა და უნარზე, ნებით ან უნებლიეთ რომ ემსახურება შექსპირის გენიას. სწო- რედ ამ ეტაპზე წარმოჩინდება სრულად პოეტის სადა, ნატიფი ენა, დახვეწილი ფრაზა, წმინდა სტილი, გამჭრიახი ხალასი გონება. პირველი საუფბურისათვის დამახასიათებელ უინიან, ფანტასტიკურ სახეებს ბოლო ეღება, ქედმაღლური მედიდურობა, მოუხეშაობა, ბუნდოვანება ნელ-ნელა კრება და გზას უთმობს სინათლესა და ბუნებრივ აღმაფრენას. მსგავს მოსაზრებას ვერ გამოვთქვამთ მეტყველების დახვეწის თვალსაზრისით; პოეტი ჯერ კიდევ არ ცდილობს ერ- თთავად დაძაბოს, დაანაწევროს და დახლიჩოს სიტყვათა ნაზი სამოსელი; მხურვალე ვნებათა დელვას ჯერ ვერ გადაუდგამს ნაბიჯი კარჩაკეტილი ცხოვრებისაკენ. მგზნებარე სიყვარული არ მიიწრაფვის სიმარტოვისა და სიმკაცრისაკენ. შექსპირის სტილისტური სრულყოფის (თუნდაც რომ შეიძლებოდეს რაიმე ხერხით მისი შესწავლა) თავისთავად უნაკლო ნიმუშს წარმოადგენს მეორე პერიოდის სტილი, რომელშიაც დაიწერა მთელი რიგი ტიპური პიესება: მხოლოდ ეს სტილი მიგვაჩნია მიბაძვის აბსოლუტურ მოდელად, თუკი საერთოდ საჭიროა ან დასაშვებია იმიტაცია შექსპირისა.

ამ საფეხურს, ზეშთავონებითა და პოეტურ წესთა წყობით, თუ არა, მასალითა და რეა- ლური თანმიმდევრობით, განეკუთვნება ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ქრონიკა და ოთხი რჩეული კომედია.

დიდი ეროვნული ტრილოგია შექსპირის მეორე პერიოდის ნამოღვაწარის შემაჯამებელი გვირგვინი — ისტორიული დრამის განვითარების უმაღლესი მწვერვალია. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა უცნაური ხვედრი არგუნა ჭირვეულმა ფორტუნამ ტრილოგიის თითოეულ ნაწილს. ამათგან არც ერთი უოფილა უფრო იღბლიანი ვიდრე „ჰენრი მეოთხე“ და ისეთი უიღბლო, როგორც „ჰენრი მეხუთე“. ეს უკანასკნელი შექსპირის პიესათა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ერთობ არასასურველი რეპუტაცია და შეუფერებელი პატივი მოიპოვეს გამოქვეყნე- ბისთანავე. თითოეულ მათგანს ახირებული ბედი ხვდა წილად შავწვეროსანთა, თუ ქოსათა. იმ ბნელი თუ უმეცარი ენთუზიაზმის წყალობით, როგორსაც იჩენდნენ ისინი შექსპირის და- უხვეწელ, დაუმთავრებელ პიესათა მიმართ. თავის გამოჩენის მიზნით — ცნობილმა გამომ- ცემლებმა ვანზრახ, ხოლო პრესის ახალბედა თანაშრომლებმა თავისდაუნებურად ჯერ კიდევ მანამ დაუშვეს ხომალდი წყალზე, სანამ ძრავას ჩაუდგამდნენ, ან გემბანზე საჭეს დაამკ- რებდნენ, ვიდრე შემოქმედი ოსტატი საბოლოო სულს შთაბერავდა და ფათერაკებით აღ- სავსე შორეულ გზას დაულოცავდა თავის პირმშო შეგირდს. ამ პიესათაგან სულ ცოტა ორი ტრაგედიაა: ძირფეხვიანად შეიცვალა, გადაკეთდა და თითქმის თავიდან დაიწერა გამოცე- მელთა მიერ. ეს თვითნებურად შესწორებული, გაძარცული გამოცემები უმეტეს წილად არ ეთანხმებიან პოეტის ხელით შექმნილ პირველად ვარიანტებს, გვაწვდიან რა დედნის მეტ- ნაკლებად ზუსტ, ხშირად კი შემოკლებულ, არასაიმედო ასლებს. იგივე არ ითქმის კომედია- ზე, „უინძორელი ქალები“, რომლის თვითმყოფადი სტილისტური ტემბრი უცილობლად უკუაგდებდა უცხო უღერადობას. და მაინც უცდიათ ერთგვარი ცვლილებები შეეტანათ პიესის ენობრივი სტრუქტურის ტონალობაში, რაც ძნელად თუ გამოჩნება მხედველობიდან თვალხმიერ მკითხველს. „ჰენრი მეხუთეს“, დანარჩენი სამი პიესისაგან განსხვავებით, უარესი ბედი ხვდა წილად. ისე არ გავიგოთ, თითქოს იგი „ჰამლეტის“ ან „რომეო და ჯულიეტას“ ფორმის ან სტილის მიბაძვით გადაეკეთებინოთ, მაგრამ თვითნებურად შესწორებული ტექს- ტის გაუმართაობა, მისი ხინჯები და ხარვეზები ვაცილებით მკაფიოდ შეიგრძნობა სწორედ აქ, ვიდრე რომელიმე სხვა პიესაში. ამგვარად განახლებული ნაგებობის ერთიანი სტილის კონსტრუქციის თვალსაჩინო შესწავლა ცხადად მიუთითებს მის ნაკლოვან მხარეებზე; უნაკო ხედოსნის ტლანქი, ულაზათო ფრაზა დაუფარავად უივას უოველი კუთხე-კუნჭულიდან.

ზეციური ოთხთავის მასალებში დატყვევებულ ცთომილთა იისფერი აისის ჩრდილი, რაც ჩვენი ჩრდილოეთის ქვარს აქანდაკებს, ასე მაღლა რომ ჩასახლებულა პოეტის უმაღლეს გალაქტიკაში დრამატული რომანის თანავარსკვლავედთა შორის, რომლის წინაშეც მუხლმოდრეკით უნდა შევუვინდეთ ჩვენთვის სიამოვნების დასაოკებლად, რათა უფროდ ვგრძნობამორეუღნი არ მოვყვეთ ბავშვური აღტაცებითა და ბალღური მადლიერებით აღტაცებულ სიტყვათა ჩურჩულს, თუნდაც რომ ვაქებდეთ მუდმივ ტანჯვაში განახლებულ, განმაღლებულ, მრავალბედნიერად ჩვენს ღირსყოფილ და კურთხეულ „მგლოვარე ჩრდილოეთის მხარეს“, რომელსაც თავის პირველივე ალიონზე ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილს „ღმერთი მოველინა ცათა შინათვისთა ბრწყინვალეებითა“.

ამ ოთხეულის მიღმა ცაზე კვლავ იქარგება მოციალედ ვარსკვლავთა ახალი გუნდი, რომლის ნეტარებით ბრწყინვალე სამებაში იმალება „წამთრის ზღაპარი“, „ქარიშხალი“ და „ციმბელინი“. ამათ მიღმა კი სუფევს ღვთაებრივი წყვდიადი მარადიულად თბილი დედობრივი ღამისა.

პირველ ოთხეულში — რომელიც მკვეთრად განსხვავდება ამ თვალსაზრისით უკანასკნელი სამეულისაგან — ძალზე აშვიათად შევნიშნავთ უეცარ, წამიერ სხივთა ათინათს და რაიმე უფრო ნათელსა ან ნაკლებ მომნიბეღელს, ვიდრეა „ტკბილად მათრობელი სურნელი მომღიმარი ყვავილებისა“<sup>11</sup>. ამ პიესათა სატრფიალო ცხოვრების აფორიაქებულ მაჯისცემასში სწორედ საკმარისი ბოროტება ან თუნდაც ვნებაა ჩაქსოვილი, რათა სუნთქვა ავუკრძალოთ მათ და ყოველი ახალი, რაც უცოდობლად მიიკვლევს საკუთარ ბილიკს, იმდენად არის შეზავებული ძველნაცად სიმშვენიერესთან, რომ, ვფიქრობთ რა „ვენეციელ ვაჭარსა“ თუ „აურზაურზე არაფრის გამო“, სახეზე გვჩნება როგორღაც შერბილებული, შემსუბუქებული მოგონებანი შაილოვსა და დონ ჯონზე; ძნელაღლა შევიგრძნობთ ჩვენ ოლივერსა ან ჰერცოგ ფრედერიკის პორტრეტების დაბინდულ ფერთა პალიტრას პიესაში „როგორც გენებოთ“; ხოლო „მეთორმეტე ღამეში“ ისეთს ვერაფერს მოვიგონებთ, რაც დაარღვევდა სიუჟარულის სილამაჟის პარმონიასა და ზაფხულის დილის გრძნულ სინათლეს.

ვერც ერთი ასტრონომი ვერ გამოარკვევს თუ რომელს შეშვენის მზეობა ამ ოთხ ცთომილთაგან, რამეთუ ზეციური ზეშთაგონების ან განსაცვიფრებლად თავისებურ, უჩვეულო ხმაში „ერთი ვარსკვლავის წარჩინებული სახელი ტოლფასია მეორის კეთილშობილი დიდებულებისა“.

მამლეტი, ჩემი თვალსაზრისით, წარმოადგენს ერთგვარ ხილს შექსპირის შემოქმედების შუა და ბოლო პერიოდებს შორის, უკანონოდ გაძარცვული ქონების უპატრონოდ მიგდებულა ფასდაუდებელი ნივთების ნაწილი, რომელთა გადარჩენას „მწუხურვალე“ გამომცემლის „ბელნიერი“ მომხვეჭელობას უნდა ვუშადლოდეთ, ეჭვგარეშეა, გაცილებით ზუსტად აღადგენენ „მამლეტის“ პირველქმნილი პიესის ასლს, ვიდრე ამ პიესის პირველ გამოცემას; და ეს პირველი „მამლეტი“ უთუოდ შუა პერიოდს განეკუთვნება.

უველაზე გაუმართლებელი და გავრცელებული აზრი ბევრ სხვა შეცდომათა შორის, რომელიც ბატონობდა ჯერ კიდევ პოპის<sup>11</sup> ეპოქაში (რაც დასაშვებია იყო) და ცხოველმყოფელობას არ ჰქარგავს მისტერ ქარლაილის<sup>12</sup> პერიოდშიაც (რაც საპატიოდ აღარ ჩაითვლება), არის ანდერძად გადმოსული რწმენა, თითქოს ისევე უმტკივნეულოდ ეშვას შექსპირს მამლეტი, როგორ იოლადაც დებს ქათამი კვერცხს ან ამტკიცებს სოფისტი უალბ თეორიას; თითქოს ისევე ანაზღად შეექმნას თავისი პირმშო, როგორც მასხარა წამოისვრის მოსწრებულ სიტყვას ან თაღლითი — ტყუილს: თითქოს მამლეტზე მუშაობისას სულაც არ ფიქრობდა, რომ რაიმეს, ეგზომ მშვენიერსა და იშვიათს შეთხზავდა, რაც საუკუნო დიდებას მოუხვეჭდა ავტორს, იმის საბუთად, რომ შექსპირს საფუძვლიანად ჰქონდა შეცნობილი თავისი საოცარი ქმნილების უდავო გავლენის ფასი ყველა დროისა და ჯურის ადამიანზე, ჩვენ ხელთა გვაქვს უველაზე სარწმუნო მოწმის ჩვენება — თავად შექსპირისა. ასეთი მსჭელობა ეყრდნობა არა ნიშველ სიტყვას, არამედ რეალურად არსებულ უტყუარ მასალას. შემოქმედი ნაბიჯ-ნაბიჯ, კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა, აბზაც-აბზაც დეტალურად სინჯავდა, ხაზიდან ხაზზე სტრიქონ-სტრიქონ ასწორებდა, ახალ-ახალი ხერხების შემწეობით ხვეწდა ერთხელ უკვე დიდი ჯაფით მიღწეულ მრავალგზის გადამუშავებულ სქემის კონტურებს; და ამ შრომატევად სამუშაოს შექსპირი ედგა არა იმისათვის, რომ უზრუნველყო საკუთარი წარმატება ან ჯიბე ბრინჯაოს მონეტებით აეჩხრიალებინა, არამედ მარტოოდენ და მხოლოდ იმ მიზნით — ნაწარმოებს სრულფასოვნად გამოეხატა ავტორის ნიჭი და მისი შემოქმედების ღირსეული მემ-

კვიდრე გამხდარიყო მომავალ მკვლევართათვის. „ჰამლეტის“ ტექსტში შეტანილმა უოლფ-გვარმა ცვლილებამ შეასუსტა მისი სცენური მიმზიდველობა და გააძლიერა სწავლულთა სურვილი ზედმიწევნით ზუსტ, სრულყოფილ სტრუქტურათა კვლევისადმი.

შექსპირის მესამე პერიოდის შემოქმედებითი ძიების გზა სამოთხისაკენ მხოლოდ მოძიების გზაა და აკარგული გზის ძიებას წააგავს.

1. მოზღვავებული საზარელი სახეებითა და აღმოადებული მკვლევებით.

ღირი, ოტელო, მაკბეტი, კორიოლანუსი, ანტონიუსი და ტიმონი სწორედ იმ გმირთა სახელებია, რომელთა საბოლოო მიზანი ბევრად სცილდება ტრაგიკული ეფექტის შექმნის ცდას. პიესის თითოეული წამყვანი გმირი მის მიერ შერჩეულ გზას დასდგომია და, დაკარგული სამოთხის კარიბჭისაკენ მიშავალს, საკუთარი ბილიკი თუ კვალი აურჩევია.

„მეფე ღირი“ ერთადერთია შექსპირის პიესათაგან, რომელშიაც ავტორი ემსგავსება და თითქმის უტოლდება მასზე უოვლმზირი უფრო ძლიერ, გაცილებით მაღალ, უზენაეს ღირიკულ გენიას, ბუმბერაზ ტრაგიკოსს — ესკილეს, პოეტს, რომლის კალმით ნამღერი, სიმფონიის შესადარი ჩვენს ქალარა პლანეტას ჯერ არაფერი სმენია. „მეფე ღირი“ ყველაზე მეტად სტიქიური, გულუბრყვილო და ელემენტარული, მაგრამ მრავლისმეტყველი, მრავლისმეტყველო და ტიტანური ქმნილებაა შექსპირის მონაპოვართა შორის. ის აღარ მიმართავს ჰამლეტისებურ დახვეწილ სიფაქიზებსა თუ ოტელოსმაგვარ პირობათობას: აღარსად დაისმის რასობრივი უსამართლობისა ან, „განაწილებული მოვალეობის“ საკითხები; პიესა აღარ ეხება სამშობლოსა და ხალხის ან ოჯახური ურთიერთდამოკიდებულების ნახევრად ამოუხსნელ, გადაუჭრელ პრობლემებს. ამ თავბრუსმდამბვევ ორომტრიალში, სადაც მორიგეობით გუშაგობენ სიკვდილსიცოცხლე, სადაც უძღურია ნათლისმომცემ ვარსკვლავთ სინათლე და არსაით ჩანს წინამძღვარი ან მრჩეველი ვინმე, ჩვენ ბევრს ვეძიებთ, და ამაოდ, ბუნების ამოუხსნელ საიდუმლოთა, განგების ჩახლართულ გზათა ან ცხოვრების არსში ღრმად წვდომის მცდელობებს.

მაგრამ ერთ არსებით საკითხში იგი ძირეულად განსხვავდება ესკილეს სულიერი განწყობილებებისა და მის ქმნილებათაგან. შექსპირის ფატალიზმი გაცილებით მძიმე, იდუმალი ბუნებისაა. კაცთა მოდგმისათვის ღვთის რისხვით ტანჯულ პრომეთევსს კვლავაც შესწევდა უნარი შებრძოლებოდა ღმერთის ნება-სურვილს. ორესტესს კი არ ძალუძს წინ აღუდგეს ღვთიურ განგებას. ესკილესთან — თუმცა არ ვიცით როდის დადგება — სასოებით შევცქერით მომავლის დილას, რომელიც საბოლოოდ შეარიგებს უანგარო დანაშაულსა და მკაცრ მართლმსაჯულებას, როცა უოვლისშემძლეობა უკანასკნელ წამს მაინც მოლბება და შენდობით ეამბორება პირუთვნელობასა და სამართლიანობას. შექსპირის უკიდურესად დაბინდული, დამწუხრებული ტრაგიკული ფატალიზმის თვალსაწიერზე კი ლანდიც არსად ჩანს დანაშაულის შესაძლებელი მიტევებისა ან შერიგების. თავისუფლება, სამართლიანობა, ახსნა-განმარტება, საზღაური, შურისძიება, მოწყალება, სიბრალული, სინანული და ღმობიერება — ფუჭი, უნაყოფო, ლიტონი სიტყვებია მხოლოდ.

ღმერთნი ჩვენ ისე გვექცევიან, ვით ბავშვნი ბუზებს გვტანჯავენ იგინი და იმითი შეექცევიანის.

დასრულ წყვილადში უმწეონი იქმნებოდნენ თვით მარადიული ღამის ნაშობი ევმინიდებიც; აქ ყველა კარი დახშულია, ხსნისკენ მისწრაფული უოველი ღონე ამაო.

ზემოთ ციტირებული სიტყვები არ წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს ან შემთხვევილობას. მათი გამოძახილი მძლავრ ექოდ გაისმის პოემის უოველი ნოტიდან; ამ ტონალობაშია დაწერილი და ეს არის წამყვანი ქვაკუთხედი საერთოდ მთელი პოემისა. აქ ვეღარ ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა თუ შეხედულებათა უხეხა-შემოხლასა ან შერკინებას (კუდარც წილისურას გამოაქვს საბოლოო განაჩენი დამნაშავისათვის); ამოლოს მთიდან აღარ უღერს მომაჯადოებელი ღვთიური მარმონიის საამო პანკები და არ იგრძნობა მადლცხებული სიბრძნე ათენის ბებერი მიწისა. ჩვენ ხშირად და ბევრი გვსმენია ღვთისმეტყველთაგან ნათელმოსილი გამოცხადებისა თუ ზეციური ზეშთაგონებას თაობაზე. რაღაც ამდაგვარს ჩვენ ნამდვილად ვპოულობთ ესკილესთან, მაგრამ სწორედ შექსპირთან აღწევს ზებუნებრივი გამოცხადების მთელს სიღრმესა და იდუმალებას.

ადამიანის გენიოსათვის ხელმისაწვდომ საკვირველად რთულ, შიშისაღმძვრელ ქმნილებაში ბუნება თავად ხდება პიესის სიუჟეტური ქარგისა და მოქმედების განვითარების მამოძრა-



უბელი ძალა. ჩვენი გონებრივი ტაძრის ჭუმანური გარსი შუაზე იხლიჩება და იძარცვება. ბუნება თავად, ასე ვთქვათ, ამჟღავნებს საკუთარ თავს — და ამჟღავნებს არაბუნებრივად. ასეთი დახლართული, აფორიაქებული სამყაროს შემყურე ადამიანი მსურველად ნატრობს კვლავ ქაოსის დადგომას: და გზაკვალარეულ მოკვდავს უნდა მიეტყუოს ეს კადნიერი სურვილი.

შექსპირის ყოველისმძლე გენიამ ცხოვრების შავბნელ გზაზე საბრძოლველად კიდევ ერთი კეთილშობილი რაინდის სული ააძგერა, რაინდისა, რომელსაც, ერთი მხრივ მეტი ტვირთიც კი დააწვა მხრებზე, ვიდრე თვით ლირს იმდენად, რამდენადაც წამებულს ჰყოფნის შემართება საქვეყნოდ გამოაცხადოს— ადამიანთა ცოდვანი ჩემს მიმართ სქარბობს ჩემს საკუთარ ცოდვებს მათ წინაშეო. და თუკი რომელიმე მოკვდავს მაინც ძალუძს ლირის შემდგომ აღმადლოს პროტესტის ხმა, ეს სხვა ვერავინ იქნება თუ არა ოტელო. საპატიო ტიტულის მატარებელი და დიდების შარავანდდით მოსილი — ღვთის წყრომისა თუ ადამიანის სიზარბის გამო აწ იაგოს უწმინდურ კლანჭებში მოქცეული დიდსულოვანი მბრძანებლის ტრაგიკული აღსასრული მეტ სიბრალულსა და თანაგრძნობას ბადებს ჩვენს გულში, ვიდრე მრავალ ჭირვარამგამოვლილი აწ ბავშვადქმნილი ხნიერი მამა. ყოველ შემთხვევაში, ოტელო ძირს დასცა უფრო მძლავრმა ხელმა, ვიდრე ლირი. თუ ოტელო უკეთილშობილესია კაცთა შორის, იაგო უველაზე ცოდვილი დამნაშავეა ბოროტმოქმედთა შორის, ყოველისმძლე, ყოველისმომკმედი ავი სული და ბოროტი გენია. რა თქმა უნდა, ამ გაცვეთილ ფრაზებში ახალი არაფერია, მაგრამ ტყუილუბრალოდ არ დავიხარჯებით, თუ თავს სანახევროდ მაინც ვინუგეშებთ და დავძენთ, თუ დამარცხება ან სიკვდილი გიწერია, გიჯობს ძლიერმა დაგცეს, რომ არ გტანჯავდეს სინანულისა და სირცხვილის გრძნობა.

თუ „ოტელო“ ყველაზე მეტად ამაღელვებელი, „ლირი“ დამზაფრავი, ხოლო „მამლეტი“ დახვეწილი და ღრმა ნაწარმოებია შექსპირისა, ყველაზე მეტად ამაღლებული ეპიკური ტრაგედია თავისი უბრალოებითა და სისადავით არის „მაკბეტი“.

შექსპირის სხვადასხვა უანრის ორი ნაწარმოების შემთხვევითი ან ბუნებრივი სისადავისა თუ განსაკუთრებული მოპულარობის გამო ზედმეტი ხდება ამ პიესების წამყვან გმირთა შერჩევა და კრიტიკული ანალიზი. მათ ბუნებაში არაფერია ისეთი რთული ან დახლართული, რომ საჭიროებდეს ძირითად ელემენტთა შემადგენელ ნაწილებად დაშლას ან ზედმიწევნით განმარტება-კომენტირებას. ნებისმიერი მკითხველი იმთავითვე მიხვდება, რომ ერთი მათგანია „როგორც გენებოთ“, ხოლო მეორე — „მაკბეტი“. ძნელად თუ შევხვდებით აქ ისეთ გმირთა სახეებს ან ეპიზოდებს, რომელთა გარჩევასაც თუნდაც ყველაზე ახალბედა შექსპიროლოგი ვერ შეუთანხმდეს ყველაზე გამოცდილს ან ღუნე მკითხველი ყველაზე ცინცხალს. სამუშაო ღროს ფუჭად დახარჯავს ან დასვენების ეამს უქმად გააცდენს ის მკვლევარი ან ქადაგი, ვინც შეეცდება აზრთა ლოგიკური მსვლელობით დაასაბუთოს, ან მჭევრმეტყველი, ენამოქარგული რიტორიკით დაგვიხატოს მაკბეტის, როზალინდასა თუ ლედი მაკბეტის საქციელი. წამკითხველი წაიკითხავს და გამგები გაიგებს.

დასასრულ, ვუახლოვდები რა შექსპირის შემოქმედებითი სრულყოფის გადამწვეტი ციკლის კულმინაციურ ეტაპს, რით ვუძღვნა ქებათა ქება შექსპირის ბრწყინვალე თანაჯარსკვლავედს, რომლის მარადიული ხმა მუდამ ატკბობდა და კვლავაც ახაზრდოებს მთელს ჩემს არსსა და გონებას, როცა ვდგავარ ვითარცა დანტე

წმინდა  
სამურ სიჩუმეში გაყინულ ცათა,

რით დავათრო მე თქვენი სმენა ან რით ვუთხრა სადიდებელი ამ კეთილშობილ, გვირგვინოსან პლანეტას, რომლის ნაშუქიც არის ნათელი — თვითმყობადი, და წმინდა სიყვარულისა.

ხოტბა შექსპირისა უთუოდ მოკლე უნდა იყოს, თუკი საერთოდ ხელმწიფება ხელოვანს მისი გენიის უძრახველი შემკობა. თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შექსპირი თავის სამყოფელს დაუბრუნდა\*. ან კვლავაც რომ ცოცხალი იყოს, ვისზედაც კარგად სთქვა ჩარლზ ლემმანს: ვერავინ დაწერს სანიმუშო წიგნს შექსპირზე თუ არა თვით შექსპირი ან, უკეთეს შემთხვევაში, ის გმირი, ვისზედაც არის მისი წიგნი დაწერილი; და მაინც, განა შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არავინ გამოთქვამს საკუთარ, ახალ მოსაზრებას „ქარიშხალზე“.

\* 1864 წლის 17 სექტემბერს.

„ზამთრის ზღაპარსა“, ან „ციმბელინზე“; ხოლო ჩვენდათავად რას შევიძლებთ მეტს ან უმეტესს, რომ კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ სიყვარულის საოცარი ძალით შელოცვილი, მშვენიერი სიტყვა — სელია? და უველაზე შთამბეჭდავი და ბუნებრივი, შრავალნაცადი ფრაზის წყალობით მადლობა არ შევსწიროთ ღვთის მადლსა და შექსპირს? ვით შევაფასოთ მსგავსი ძღვენი ძღვენთაგანი, ჩვენ არა ვიცით რა, რამეთუ ვიცით დანამდვილებით, რომ ვერცერთი შეძლებს და ვერასდროს.

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ნ ი**

**პიეტრო კიუპო:**

პოეზიის საბოლოო მიზნის შესახებ

1. საზარკელი წელიწადი — პიუგოს შემოქმედების ბოლო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კმნილება. დაწერილია ლექსად 1872 წელს. ასახულია 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიისა და 1871 წლის პარიზის კომუნის მოვლენები (რომლის დროსაც დაიღუპა პიუგოს ვაჟი). თავისი დროისა და ხალხის მემბტიანე, ვიქტორ პიუგო ყოველდღიური მოვლენების ანალიზის საფუძველზე უღრმავდება ავტობიოგრაფიულ პრობლემებს, პროგრესის აუბსუნელ შეფერხებებსა და საკაცობრიო სევდას, გამოწვეულს სამშობლოსადმი „ავადმყოფური“ პატრიოტიზმით.
2. ებრაელი კომედი — ცხოვრობდა ძვ. წ. აღ. II ს.-ში. იგულისხმება დრამა — „ლტოლვა ევროპტიდან“. ჩვენამდე მოღწეულია ამ ნაწარმოების მხოლოდ ერთი ფრაგმენტი.
3. საფიქრებელია, რომ ავტორი გულისხმობს ინგლისელ კრიტიკოსსა და ჟურნალისტს, ფრანგული ლიტერატურის ყველაზე ავტორიტეტულ ინგლისელ მკვლევარს — ჯორჯ სანტბორის (George Saintsbury, 1845-1933), რომელმაც პირველად გადმოწერა ფრანგული წყაროებიდან ფორმულა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ჯ. სენტსბერის ცნობილი ნაშრომებია: ფრანგული ლიტერატურის მოკლე ისტორია (1832) და „კრიტიკის ისტორია“ (1904). წერდა ცოცხალი, სალაპარაკო ენით. მსჯელობისას გაცალეებით მეტად ეყრდნობა ფაქტობრივ მასალას, ვიდრე ანალიტიკურ აზროვნებას.
4. ირანი — ლათ.
5. „ახალი ცხოვრება“ — ლათ., (1292), დანტე ალიგიერის უკვდავი ნაწარმოები.
6. ინგლისელი პოეტისა და პროზაიკოსის, ჯონ მილტონის (John Milton, 1608-1674) — ლირიკული პოემა — „მხიარული და ნაღვლიანი“ — იტალ. (მუსიკალურ ტერმინოლოგიაში ნაწარმოების შესრულების შესაბამისად: ჩქარი და ნელი ტემპი).
7. „ტოროლა და ლაუბალი“ — (ინგლ.) შულის აღიარებული ლირიკული ნაწარმოები.
8. შელის — „ოდა თავისუფლებას“ დაწერილია 1820 წელს. ბუნების მუდმივად განახლებადი ძალის შეთვისებაში — აქ ერთგვარი, ალეგორიული სახითაა ტრანსფორმირებული პოეტის რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი.
9. „თქმულება ყუბლა ხანზე“ (1798), ინგლისელი პოეტის, კრიტიკოსისა და ფილოსოფოსის „ლეიკისტების“ ეველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის — სამუელ ტეილორ კოლრიჯის დაუმთავრებელი ნაწარმოები. დაწერილია ოპიუმის ზემოქმედებით.
10. 11. დედანში მოცემულია ნაწარმოებთა ზუსტი სახელწოდებები — შესაბამისად: ჯ. მილტონის — Sonnet on the Massacres in Piedmont — „სონეტი ბოცვა-ჟლეტაზე პიედმონტში“ (1655 წელს მთელი ინგლისი შეაშფოთა პროტესტანტების ბოცვა-ჟლეტამ პიედმონტში ემანუელ მეორის ჯარების მიერ; სწორედ ამ შემზარავ ფაქტს ეხმეურება მილტონის „სონეტი“), და დიდი ინგლისელი ლირიკოსისა ჯონ კიტსის (John Keats, 1795-1821) — Ode on a Grecian Urn — „ოდა ბერძნულ ურნას“ (სადაც გამოხატულია პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება უხეში საგნებისა და ფორმების მიმართ; ოდა წარმოაჩენს ანტიკურ ფენომენს, როგორც პარმონიისა და სილამაზის იდეალს); თარგმანში ბრტყალები გახსნილია თარგმანის ერთიანი ეპითელქმოვანების მეთარტუნების მიზნით.
12. Auguste Vacquerie (ფრ.), (1819-1895) — ფრანგი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და დრამატურგი. პიუგოს ათევისმცემელი და მასთან დაახლოებული მწერალი. (იგიუხტის ძმას ცოლად ჰყავდა პიუგოს ქალიშვილი). რომანტიკული პოემებისა და დრამე-

ბიოგრაფიული მოკლედრობით სარგებლობდა: პიესა — „დენ ბოლრა“ (1863) და ლექსების კრებული „სულის ჯოჯობეთი“ (1843); თარგმანა ათფოკლე და შექსპირის თეატრები.



ნარკვევი შექსპირნი

ეროვნული  
ენციკლოპედია

1. იველისსმება: „რომეო და ჯულიეტა“, „უინსორული მხიარული ქალები“ და „ჰამლეტი“.
2. 3. იველისსმებანი შესაბამისად, გამოცემილები და პიესის მსჯელობი, რომლებმაც ავტორის დაუკითხავად თვითნებურად შეასწოვეს, გადააკეთეს და გამოაქვეყნეს შექსპირის — ამდენიმე პიესა.
4. ნაგულისხმევი — „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტი“.
5. შეიძლება პიესები მართლაც საჭიროებდნენ მართად კორექტურის, მაგრამ სუინბორნი უფროსტებას ამბვილებს იმ ფაქტზე, რომ მათი თვითნებურად შეცვლისა და გადაკეთების უფლები არ ჰქონდათ გამომცემლებს; მით ემეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ავტორის თვად ჰქონდა განზრახული მათი შემდგომი დაგეგნა და სახის შეცვლა.
6. *Settentrional vedovo sito* — უკალი.
7. *Goder pareva il ciel di lor fiamelle* — იტალი. დიალეტი.
8. ნაგულისხმევი: „ვენეციელი კაჭარი“, „აურზაური არაფრის გამო“, „როგორც გვიფითი“ და „მეთორმეტე დამე“.
9. ნაგულისხმევი: „ხამთრის ზღაპარი“, „ქირიშხალი“ და „ციმბელინი“.
10. დედანიშო მოკენული: *'a light of laughing flowers*.
11. ალექსანდრე პოპი (ALEXANDER POPE, 1688-1744) — ინგლისელი პოეტი, ლიტერატურულ სამყაროში დაიმკვიდრა უკლებელი ავტორიტეტის რეპუტაცია, თარგმანა ოვიდისი, ფლოფოსტი, ვირგილიუსი და სხვა ძირითადი ნაწარმოებია „ესე კრიტიკაზე“ (1711), რომელიც გახდა ინგლისური განმანათლებლური კლასიციზმის მანიფესტი. ა. პოპის შექსპირის თვლი გამოცემა უყრდნობა პირველ წყაროს და განთავისუფლებულია ე. წ. „ვეულგარიზმებისგან“, რომელთა კითხვაც ცუფ ტონად ითვლებოდა ვეთილშიობილ ინგლისურ ოჯახებში.
12. თომას ჰარლილი (THOMAS CARLYLE, 1795-1881) — გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისა და ლიტერატურის (ერძოდ გოეთეს) ცნობილი ინგლისელი მკვლევარი. ინგლისელი პროზია ისტატთა შორის დვალსაჩინო ადგალი ეკავა, როგორც ისტორიკოსსა, ფილოსოფოსსა და ლიტერატურის კრიტიკოსს, დიდი წვლილი მიუძღვის შექსპიროლოგიის განვითარებას საქმეში.
13. „აფფე ლირი“ (მოქმედება, IV, სანახაი 1, თარგმანი ი. მაჩაბლისა, უილიამ შექსპირის ტრაგედიები, თბილისი, საბჭოთა მწერალი, 1954 წ.).
14. მშენებნილები (ერინებნი) — შტრესმგებელი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში.
15. ჩარლზ ლამი (CHARLES LAMB, 1775-1834) — ინგლისელი პოეტი, ესეისტი და ლიტერის განსაკუთრებული მოკლედრობით სარგებლობენ მისი შრომები შექსპირისა და ჯოჯობეზე.



საქმეში. მისი შრომები შექსპირისა და ჯოჯობეზე.

ბიოგრაფიული მოკლედრობით სარგებლობდა: პიესა — „დენ ბოლრა“ (1863) და ლექსების კრებული „სულის ჯოჯობეთი“ (1843); თარგმანა ათფოკლე და შექსპირის თეატრები.

### 60-იანი წლები ფრანგულ დრამატურგიაში

საფრანგეთის 60-იანი წლები არ ყოფილა დიდი ძვრების პერიოდი და ამდენად, იგი განსაკუთრებით პრობლემატური არ გამხდარა და არც გამოხატულა ლიტერატურის ისტორიაში.

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან ორი ძირითადი თარიღი გამოიკვეთა: 1958 წლის მაისი, როცა მეოთხე რესპუბლიკა შეცვალა მეხუთე რესპუბლიკამ და 1968 წლის მაისი — მეხუთე რესპუბლიკის ანუ სახელმწიფო — მონოპოლისტური კრიზისი.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 60-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობს წარმოების ზრდა, რასაც თან ახლავს უმნიშვნელო და ხანმოკლე კრიზისული პერიოდები, დეპრესიული განწყობილება... 1967-1969 წლებში კი ადგილი აქვს სერიოზულ ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ სიძნელეებს“<sup>1</sup>.

60-იანი წლებს, ომისშემდგომ ოცდახუთწლეულს უწოდებენ. ამ პერიოდში ჩნდება ცნება „სამომხმარებლო საზოგადოება“, რომლის იდეოლოგიური ფორმირებაც საფრანგეთში ერთგვარად დაგვიანდა. ერთის მხრივ, შენეულა 60-იანი წლების სახალხო ფრონტისა და წინააღმდეგობის პერიოდში ჩასახული დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა ამ ისტორიულ პერსპექტივაში „სამომხმარებლო ცივილიზაცია“ აღიქმებოდა, როგორც სოციალურ-ზნეობრივი რევრესი, რაც საზოგადოების პასუხისმგებლობის შესუსტებით, უგულობითა და ეგოიზმით იყო გამოწვეული.

მეოთხე რესპუბლიკის არსი სახელმწიფო კრიზისებსა და კოლონიალურ ომებში გამოიხატა. „საფრანგეთი აღარ იყო თავისი საგარეო პოლიტიკის ბატონ-პატრონი, — წერს ა. გრისე, — რადგანაც ამერიკას უდიდეს თანხებს უხდიდა ინდო-ჩინეთში ომის გასაჩაღებლად“.

მეორეს მხრივ, საქირო იყო გარკვეული წონასწორობა დამყარებულიყო საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც განხორციელდა კიდევ შარლ დე გალის შემდგომ. შან შესძლო საფრანგეთის კოლონიის — ალჟირის პრობლემა გადაეჭრა და დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა. მაგრამ მეხუთე რესპუბლიკის აღმავლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ბურჟუაზია ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია კოლონიების დაკარგვასთან ერთად გაქრა.

დაცბულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, მსოფლმხედველობრავმა კრიზისის ხელოვნებასა და ლიტერატურაში ნიჰილიზმი გააბატონა.

არმან ლანუს, გარდატეხის რეალურ გამოხატულებად მიაჩნდა ალბერ კამიუს გარდაცვალების წელი (1960), რაც გაფორმდა როგორც ისტორიული მოვლენა „პოსტმოდერნიზმის“ სახელწოდებით.

კრიტიკოსი პიერ ბურჟადი კი ლიტერატურის პეროდოლიზაციას აცდებს ისტორიული მოვლენების მიხედვით. მისი აზრით პირველი რევოლუციური, 1945-1954 წლები ვანთავისუფლების, უდიდესი იმედების პერიოდია, 1954 — გარდატეხის წელი... ამ ხანებში ესთეტიზმის სახელით ლიტერატურას მოევლინა „ახალი რომანი“, რომელიც შეგუების პოზიციისაკენ ილტვოდა. 1968 წელი — „ახალი“ რევოლუციური ეტაპის დასაწყისია“.

<sup>1</sup> Л. Г. Андреев. Современная литература Франции, М., 1977, стр. 5.

190-იანი წლების ლიტერატურაში არა ერთმა სკოლამ იჩინა თავი. ფეხი მოკვიდა „სამომხმარებლო ცივილიზაციის“ თანამგზავრმა „ნასობრივმა კულტურამ“, რომელიც არა მარტო დაბალი დონის გასართობ პროდუქციას წარმოადგენდა, არამედ დეკადენტურ ლიტერატურის განწყობილებასაც ასახავდა. იგი ორი შტოსაგან შედგებოდა. ერთი მხარე იმ-ის წლებს ნაციონალიზმსა და მილიტარიზაციასთან ერთად ჩაისახა, მეორე დეკადენტური შტო, წმინდა ესთეტიკურ ტკბობას ელტვოდა.

„ნასობრივ კულტურას“ უპირისპირდებოდა ხელოვნების უარყოფის ტენდენცია. „ახალი რომანის“ წარმომადგენლებმა (ნატალი საროტი, მიშელ ბიუტორი, მარგარიტ დიურა, ფილიპ სოლერსი, რომ-გრე, რომელთაც ბევრად უფრო ადრე მოიქციეს უურაღიება, ვიდრე აბსურდის დრამის წარმომადგენლებმა (ვაილაშქრეს ხელოვნების ფორმების სიძველის, სამყაროს ესთეტიკური აღქმის წინააღმდეგ. მათ არჩევანი შეაჩერეს რომანზე, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით უფრო დიდხანს უწყვეტად წინააღმდეგობას „მოდერნისტულ რევოლუციას“. „ანტირომანი“ უნდა ჩამდგარიყო „ფერწერას“, „პოეზიის“, „ანტიდრამის“ შორის. ნოდერნისტულ რევოლუციას მოჰყვა რომანის ფორმისა და შინაარსის, ლოგიკური სტრუქტურის უარყოფა.

ინგლისელი თეორეტიკოსი ჯ. რიდი წერდა: „თანამედროვე ხელოვნების განვითარება სულ უფრო და უფრო მიილტვის შეუცნობადისაკენ. ის ზღვრა ანტიხელოვნური და თითქოს ანტიხელოვნებად გარდაიქმნება. მხატვარი ასახავს იმ სუბიექტურ განწყობილებას, რომელიც ნაწარმოების შექმნისას გააჩნია“. მოდერნისტებმა აღიარეს ე. წ. „უნაპირო რეალიზმი“ და ვაილაშქრეს რეალიზმის პრინციპების წინააღმდეგ, რუსი კრიტიკოსის ლ. ანდრეევის შენიშვნით, ნათ რეალიზმი გაიგოვეს მხატვრის სამყაროში უოფნასთან, მის მიბაძვასთან, ისინი მივიდნენ ესთეტიკის საწყის ფორმამდე (ანუ მეცნიერებამდე არსებულ ესთეტიკამდე), მაგრამ მოექცნენ წინააღმდეგობაში და აღიარეს, რომ შეუძლებელია „უნაპირო რეალიზმის“ არსებობა, რადგანაც სტრუქტურული და სურრეალისტური სკოლების შექმნით მან მაინც შეხდლო „საკუთარი ნაპირების“ შექმნა. რეალიზმის „ახალმა“ სახეობამ, რომელსაც შემარცხენე პოლიტიკური ძალები უჭერდნენ მხარს, არეულობა შეიტანა ლიტერატურის თეორიასა და პრაქტიკაში. ისინი ერთდროულად გამოდიოდნენ ბურჟუაზიული და იმპერიალისტური „იდეოლოგიის“, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, „რევიზიონისტული უნაპირო რეალიზმისა“ და სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ.

1910-იანი წლების ავანგარდისტებმა გაიზიარეს ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის იდეები, გამოეყენენ რეალისტურ ხელოვნებას და გამოხატვის ახალ ფორმებისათვის მიმართეს 1910-იანი წლების სურრეალისტებს. აირჩიეს ალფრედ უარის პიესის „მეფე იუბუს“ აბსურდული ფორმა და სტრუქტურული ალოგიკურობა. დაეურდნენ ანტონენ არტოს მეტაფიზიკურ ფილოსოფიას, მათ თეორიულ პრინციპებს. არტოს მიხედვით, „თეატრი უნდა ემორჩილებოდეს პოიშიტიკულ ფორმებს, რადგანაც თავდაპირველი თეატრი ადამიანის ბუნების კვდცნობიერ იმპულსებს, საიდუმლო ირაციონალურ მხარეებს გამოხატავდა. თეატრი უნდა ყოფილიყო ერთგვარი შავი მაგია, რომელიც ბიპნოზურად იმოქმედებდა მაუურებელზე“.

„ავანგარდისტები“ უარყოფდნენ გონებას, საზოგადოების არსებობის შესაძლებლობას რაციონალურ საწყისებზე, ქადაგებდნენ ყოველგვარი ადამიანური ცდის „აბსურდულობას“, მის უძლეურებას. „აბსურდის თეატრი“, როგორც უურნალი „ესპრი“ იუწყებოდა, გამოხატავდა სამყაროს უდიდეს მარცხს, რომელსაც ადამიანი მარტოობამდე მიჰყავდა“. „ავანგარდისტული თეატრი“ მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას იზიდავდა, საზოგადოების დემოკრატიულმა ნაწილმა არ გაიზიარა მისი შემოქმედებითი კრედო.

„თუ ჩემი პიესები უმცირესობას მოსწონს, — წერდა ე. იონესკო, — მაშასადამე ისინი კარგია, რადგანაც სიმართლე ყოველთვის უმცირესობას მხარეზეა, ხოლო ვინც უმრავლესობისაგან მოედის ქება-დიდებას, კონფორმისტი და დოგმატიკოსია“.

კრიტიკოსი დ. პრისტლი „აბსურდისტების“ შესახებ ამბობდა: „ჩემთვის მიუღებელია მათი დრმა პესიმიზმი. სამყაროს სამუდამ ბეკეტივით რომ აღვიქვამდე, პიესების წერის მაგივრად ცხოვრებას თვითმკვლელობით დავამთავრებდი“.

იონესკოსა და ბეკეტისაგან განსხვავებით, უან ენემს სცადა „ანტიდრამაში“ შემოეტანა პოლიტიკური მოტივები, მაგრამ „ავანგარდისტული თეატრის“ ჩარჩოებს მაინც ვერ დააღწია თავი. „ავანგარდისტები“ ენის შტამპების, სიტუვათა შეთანხმების, ბოლოს ენის, როგორც კონფუნიკაციის საშუალების უარყოფამდე მივიდნენ. „ავანგარდიზმს“, რომელსაც მშორად კრი-

ტიკოსები „არჩერგარდიშხაყ“ უწოდებდნენ, ერთადერთი ძალა — პოლიტიკური შეწყვეტა ემუქრებოდა, აღნიშნავდა კრიტიკოსი გი ლეკლერკი.

„ანტიხელოვნებს“ ტენდენციამ მუარად ვერ მოაკიდა ფეხი. მათი პოზიცია, ტრაიური ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზტთა პოზიცია, ანარქიზმს აყენებდა წინა პლანზე, ზრმეტიკური კსისტემების აზრით, დიდი ხანია: იდგა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ფენსტრეში.

როგორც ფრანგი კრიტიკოსი, პიერ დე ბუადეფერი ამბობდა, ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ ახალ თეატრზე, ახალ კრიტიკაზე, ახალ რომანზე, მაგრამ არ ჩანდნენ ახალი თხზულებანი. პროზაში, დრამატურგიაში, თეატრალურ ხელოვნებაში კრიზისი გრძელდებოდა.

თანამედროვე ფრანგული თეატრის შესახებ განუწყვეტლივ წერდნენ, თეატრალური კრიზისის შესახებ საუბარი დაშლულ თემად იქცა. საჭირო იყო ახალი ნაბიჯი.

მე-მანდი წლების დასასრულს ფრანგულ თეატრალურ ხელოვნებაში მაინც გაჩნდა ახალი ძვრები, (რამაც როგორც იდეამ ჰერ კიდევ რ. როლანის მოსაზრებებში იჩინა თავი) რომელთაც შეიძლება „სახალხო თეატრების“ მოძრაობა ვუწოდოთ. ამ მოძრაობაში ჩაებნენ „ანტი-ალიტერატურული“, „ანტიადრამატურგული“ თეატრალური ჯგუფები, რომელთა რეპერტუარიც ეყრდნობოდა ტრადიციულ და თანამედროვე დრამატურგიას. დასაბამი მიეცა დისენტრალიზაციის პროცესს, რაც ითვალისწინებდა თეატრების შექმნას გარეუბნებსა და სხვადასხვა ქალაქებში „მათთვის, ვინც თეატრში არ დადის“.

გეოგრაფიული და სოციალური სირთულეების მიუხედავად, „გარეუბნის თეატრები“ შეიქმნა „პარიზის წითელ სარტყელში“: ობერვილიეში (თეატრის ხელმძღვანელი პიერ გარანი), სენ დენისში (ხოსე ვალვერდე), ნანტერში (პიერ დებოში) და სხვ. პარიზის აღმოსავლეთით (გარეტორე), ვილჟიუში — „რომეს როლანის სახელობის თეატრი“ (რაიმონ უერბალი), ჟან ვილარის „სახალხო თეატრის“ ტრადიციების პირდაპირი გამგრძელებლები გახდნენ მარსელის თეატრი — მ. მარეშალის და ლიონის „ტეატრ დე ლა სატე“ — როვე პლანშონის ხელმძღვანელობით.

„გარეუბნის თეატრმა“ მიზნად დაისახა ურთულესი ამოცანა, მიეზიდა თეატრს მოწყვეტილი ფართო მასები.

1918 წლის 24 მაისს ვილერბანში ჩატარებულ დრამატურგთა და რეჟისორთა შეკრებაზე პლანშონის, რეტორეს, გარანის, შეროს, დებოშის, ვალვერდეს, სარაზენის და სხვათა მონაწილეობით მიიღეს დეკლარაცია თეატრის ადგილისა და როლის შესახებ „ახალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებაში“. ვილერბანის დეკლარაციაში მნიშვნელოვანი ადგილი იკავა საკითხებს მოქალაქეობრივი პოზიციის არჩევის, თეატრის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაქცევის შესახებ. დადგმებში სანახაობა-გასართობთან ერთად დიდაქტიკური მოტივების გამოხატვას და სხვა. შემუშავდა გარკვეული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მაყურებლისა და ავტორის თანამშრომლობას, თეატრის საშუალებით მაყურებელს უნდა შესძლებოდა გარკვევა რთული თანამედროვე ცხოვრების გარემოში.

„სახალხო თეატრების“ შემოქმედება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა, რაც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებას ნაკლოვანებებს ამხედდა. ჟან ვილარის თეატრის კვალდაკვალ ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ახალი მაყურებლისა და რეპერტუარისათვის, ისეთი თეატრის შესაქმნელად, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სოციალურ ძვრებს.

„გარეუბნის თეატრი“ რევოლუციური და ახალია, — აღნიშნავდა ხოსე ვალვერდე, — მან არა მარტო გეოგრაფიული ადგილმდებარეობა შეიცვალა, არამედ სოციალურიც... სახალხო თეატრების არსებობა შესაძინევად ზრდის მუშათა კლასის დამოკიდებულებას კულტურისადმი“.

ახალი მაყურებლისათვის საჭირო იყო ახალი რეპერტუარი, რომელიც ძირითად მიზნად ისახავდა კრიტიკულ მიდგომას ბურჟუაზიული ხელოვნების ტრადიციებისადმი. რეპერტუარის ძიებაში მხოლოდ ფრანგული დრამატურგია არ იყო საკმარისი.

ვადამწყვეტი გავლენა იქონია ბრეტმა და მისმა „ეპიკურმა თეატრმა“. სახალხო თეატრის არსმა, იდეამ, მისმა ფუნქციამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაზღვრა თეატრის ესთეტიკური პროგრამა.

ხელოვნების დემოკრატიზაცია ფართო მაყურებლის მიზიდვასთან ერთად, დრამატურგებისა და რეჟისორებისაგან მოითხოვდა ახალი ხერხების ძიებას.

В. И. Ленин, Полное собрание соч., т. 17, стр. 224.

„ახალხოს თეატრების“ წყალობით გაცოცხლდა შონ ოყეისი, შექსპირი, მელიერი, რასინი სტანისლავსკი, მეიერჰოლდი, ჩეხოვი, გორკი. „ახალმა თეატრმა“ განზარა კლასიკური თეატრის გამოცდილება. მისი ძიებანი დაუკავშირდა დრამაში პოლიტიკური მოტივების დაწერვას.

„პოლიტიკური დრამა“ ანუ „დემოკრატიული ავანგარდიზმი“, ჩამოყალიბდა 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში არმან გატას, არტურ ადამოვისა და როჟე პლანშონის შემოქმედებაში.

არმან გატი პირველი დრამატურგი იყო, რომელიც თავისი პიესების პოლიტიკური სარჩულით „ანტიდრამის“ პირისპირ აღმოჩნდა. იგი არ უარყოფდა „აბსურდის თეატრის“ დამსახურებას ბურჟუაზიული დრამის „ჩონჩხის“ დამსხვრევაში. თუმცა ბრალად სდებდა, რომ არ მიაწინებდა ბურჟუაზიული წყობის შეცვლას.

გატისათვის მიუღებელი იყო „აბსურდისტების“ ინდივიდუალისტური პათოსი, ადამიანთა შორის მტრული განწყობილება, სარტრისეული ფორმულა „ჩოჯოხეთი — სხვები არიან“, ერთი სიტყვით, მისთვის, როგორც ვიშნევსკის, პესკატორისა და ბრეჰტის მიმდევარისათვის, ავანგარდისტული თეატრი არაადამიანური და არაოპტამისტური იყო.

რევოლუციური ხულისკვთებითაა გაუღენთილი გატის პიესები: „ვ, როგორც ვიეტნამი“, „მენაჟე რგუსტ უ-ს მიერ წარმოდგენილი ცხოვრება“ (რომლის სცენიური განხორციელებაც ვკუთვნიხ პლანშონს), „კენერალ ფრანკოს ვნებანი“ და სხვ.

პოლიტიკური დრამა შეგნებულად ჩაერთა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის შესანიშნავი მაგალითია ა. ადამოვის (შემოქმედების მეორე ნახევარი) და რ. პლანშონის პიესები, რომელნიც „აბსურდის დრამის“ ანტითეზას წარმოადგენენ.

ა. ადამოვმა თავის პიესებში: „გაზაფხული-71“, „ნარჩენების პოლიტიკა“, „პინგ-პონგი“, „პაოლო-პაოლი“ და სხვ. გამოხატა ისტორიულ მოვლენათა ზუსტი პოლიტიკური ანალიზი, რევოლუციის და პროგრესული საზოგადოების მუშანახტური იდეალები.

ისტორიულ და პოლიტიკურ თემატიკაზეა აგებული როჟე პლანშონის პიესები: „ფარდული“, „ჟილ დე რე“, „შავი ღორი“, „გულქვა“.

პლანშონის დრამატურგიული ძიების ამოცანას წარმოადგენს მშრომელი მასების, მუშათა და გლეხთა ფსიქოლოგიური სამუაროს ვადმოცემა ახალი რეალისტური ხერხებით. იგი აკვირდება და სწავლობს სინამდვილეს, ისტორიულ მოვლენებს, მიისწრაფის განზოგადებისა და ტიპიზაციისაკენ. მისი დრამები უაღრესად რეალისტური და თანამედროვეა.

„ახალხოს თეატრების“ რეჟისორებმა და დრამატურგებმა შექმნეს ახალი თეატრალური სტილი. ეს ვილარმა — ფილოსოფიურ-პოეტური, ჯორჯო სტრელერმა (იტალიური „პიკოლო ტეატროს“ რეჟისორი) — იმპროვიზირებული და ეპიკური, პლანშონმა კი შედმიწევნით ზუსტი სოციალოგიური ანალიზი და მკვეთრი თეატრალური ფორმა.

როჟე პლანშონმა, როგორც რეჟისორმა, ვილარისაგან ისესხა დადგინის ზოგიერთი პრინციპი, მაგრამ მან იპოვა საკუთარი გზაც. განაახლა ფრანგული სცენის ტრადიციები, რომელსაც ანტუანმა ჩაუყარა საფუძველი, და მას შეუთავსა 20-იანი წლების რეჟისორთა — პესკატორისა და ბრეჰტის — თეატრების ესთეტიკა.

პოლიტიკოსი დრამატურგების ძიებებმა ხელი შეუწვეს „გარეუბნის თეატრის“ გზის გაკაფვას. მათი დრამატურგიული სიახლენი არ ატარებენ ფორმალურ-ესთეტიკურ ხასიათს, არ მიილტვიან ორიგინალურობისა და ეფექტურობისაკენ.

„პოლიტიკური დრამის“ განვითარებამ შემოიტანა ლატერატურაში ე. წ. ისტორიზმის პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ 40-იან წლებში ეგზისტენციალისტებთან შეიმჩნეოდა (სარტრი, კამიუ).

„პოლიტიკური დრამის“ წარმომადგენლებმა მაყურებელი დაუბრუნეს თეატრს, გააცოცხლეს ისტორია და გახდნენ ეპიქის თანამედროვენი.





# მარი ელენ კამიუ

ფრანგულიდან  
თარგმნა რენანა ხანიამ

## ფერანს ლეჟეს არაჩვეულებრივი დინამიზმი

მე-20 საუკუნის გამოჩენილ მხატვრებთან პიკასოს, მათისს, ბრაკსა და სხვებთან ერთად ფერანს ლეჟეს ფრანგულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ნორმანდიელი მესაქონლის შვილი პირველად 19 წლისა ესტუმრა პარიზს 1900 წელს. მანამდე იგი კენში ერთ არქიტექტორს ედგა შეგირდად. პიკასოც იმ წელს დამკვიდრდა პარიზში. მათ ბევრი რამ აკავშირებდათ ერთმანეთთან, ერთი ხნისანი იყვნენ და სეზანის ხელოვნებას სცემდნენ თაყვანს.

სეზანის ხელოვნება ლეჟეს შემოქმედების საყრდენი გახდა, თუმცა მან პირველი კუბისტური ნაბიჯებიდანვე შეიმუშავა საკუთარი თეორია, რომელიც შემდეგამ დამოუკიდებლად განავითარა. „უველთაფერი გააზრებული უნდა იყოს კონუსის, სფეროსა და ცილინდრის საშუალებით“, — ამბობს ის.

ღიაბ, დასაწყისში ლეჟე კუბისტი იყო, ბრაკის, დელონის, გლეზის, პიკასოსა და მეციინგერთან ერთად ამ მიმართულების აღმავლობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მაგრამ მისი ტილოები ყოველთვის განსაკუთრებული თვითმყოფადობით გამოირჩეოდნენ. იმ დროს, როცა თავისუფლად შეიძლებოდა ერთმანეთში აგრეოდათ პიკასოსა და ბრაკის ტილოები ხაზების, თემის, იდეალური ტონების ერთგვარობით, ლეჟეს ფერწერა გამოირჩეოდა ლეჟესული არაჩვეულებრივი კოლორიტულობით. მხატვარს საოცრად მახვილი იქვალი და ცოცხალი ხედვა აქვს. მას მთელი ხულითა და გულით შეუვარებია საგანი, სიცოცხლე, თავისი დრო, შეუვარებია დიდი ინდუსტრიალიზაციის ფერხულში ჩაბმული, მარად მზარდი, სოციალურ ძალებთან მოიერიშე ადამიანი.

მისი მიღება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში, მისი ადამიანური ერთგულება, მისი ენთუზიაზმი არც გონების პროდუქტია და არც მოდას აყოლა. ეს მისთვის ჩვეული ერთგულებაა, მისეული ხელგაშლილობა, ოპტიმიზმი, კაცთმოყვარეობა, რაც მის ყველა ნაშრომშია გაბნეული.

არც ერთი მხატვრის შემოქმედებაში არ გვხვდება მხატვრული და სოციალური ორიენტაციის ისეთი მკაძრო შეკავშირება ლეჟესთან. იშვიათია ერთსა და იმავე მოვლენაში ორივეს განსახიერება, ეს მოვლენა კი იყო 1914 წლის ომი, რომლის უშუალო მონაწილეც სვეითონ გასლდათ.

„მე პარიზი“ აბსტრაქტული მოვლენებით სავსე დავტოვე, ეს იყო მხატვრული აზროვნების



ნები თავისუფლების ეპოქა, არაფერი შეცვლილა ჩემს ცხოვრებაში, ისევ და ისევ ფრანგ ზალს ვედექი მხარში. ამავ დროს მომხატვრობა 75-იანი ქვემების საკეტის ელვარებამ მზუნჯ, თეთრ მეტალზე აღფარებულმა მაგიაურმა სინათლემ. ეს საკმარისი იყო, რომ სრულიად დამვიწყებოდა 1912-1918 წლების აბსტრაქტული ხელოვნება. მოხდა ტოტალური რევოლუცია ჩემს, როგორც ადამიანის, ისე შემოქმედის, სულიერ სამყაროში. გარშემოწერილობითი კრიტიკული მოზღვავებული ბრავალფეროვნება სუფევდა, სუფევდა სუფევდა. მათგანაც გარშემო მყოფ ადამიანთა ცხლებური იერი, მათი პრაქტიკული აზროვნება და ენათუნიანში. ირგვლივ გამეფებული იყო სიცოცხლე და სიკვდილი, რომლის უშუალო მონაწილეები ვიყავით ჩვენც — მხატვრები, პოეტები, საგაზეთო ხელოვნების წარმომადგენლები, იქნებოდა სრულიად ახალი ძარღვიანი უარგონი, როდესაც ასეთი სინამდვილის კლანკებში მოვხვდით, საგანი განსაკუთრებით შემოეყარდა.

შტატებიდან დაბრუნების შემდეგ ლევემ უოველმბრივ გააანალიზა ადამიანთა რევოლუციური ძვრები უოველდღიურ არსებობაში. ამ დროს შექმნა მან თავისი შესანიშნავი ტილოები: „მოცაღეობა“, „მშენებლები“, „ღამაში ბრიგადა“ და „პროვინციული იდილია“.

სიცოცხლის ბოლო ათი წლის განმავლობაში გატაცებული იყო ცირკის ხელოვნებით, მუშაობდა ტილოზე „დიდი აღმართი“, რომელიც გამოფინა 1954 წელს, „ფრანგული აზროვნების სახლში“.

ამ ხელოვანს, რომელსაც არასოდეს ქმნიდა სურვილი არქიტექტორი უოფილიყო, მთელს ცხოვრება არქიტექტურასთან კავშირი არ გაუწყვეტია, ქმნიდა შენობების ფერწერულ კომპოზიციებს. მხატვარს აღწევოთებდა საზოგადოებრივ შენობებში პოლიქრომიის გამეფება, მხატვრულ გამომსახველობაში სოციალური მოვლენების უხეში ჩარევა.

ლევემ თავად მრავალი მონუმენტური დეკორი შექმნა, მუშათა დღესასწაულების, აღმუშებისა და გამოფენებისათვის. შექმნა ბრწყინვალე მონუმენტური მოზაიკა ასის ეკლესიის, კარაჯასის საუნივერსიტეტო ქალაქისათვის...

ლევეს ბიოს მუზეუმის ფასადის დეკორში ნათლად ჩანს მისი გატაცება მონუმენტური ფორმებით.


ფერნან ლევემ მოწოდებული იყო „დიდი ხელოვნებისათვის“, საგნის ხელოვნებისათვის, მისი ხელოვნება უუფუნების საგანი როდია, იგი საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს.





ფიგურა ლეო, სანი მამაკაცი

67/15



ფარნან ლეჟა, კონსტრუქტორები

780  
1986

ISSN 0134 - 9848

1986/1

# សេចក្តីសម្រេច

៧២៣១  
(១-២)

សម្រេច  
សេចក្តីសម្រេច

